ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური
ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

თაია ცხადაია

კავთისხევის ონომასტიკური მასალა

გამომცემლობა „კლიო“
თბილისი - 2015

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილია კავთისხევის თემის ყველა სოფლისა თუ ნასოფლარის ონომასტიკური მასალა (ტოპონიმები და ანთროპონიმები), რომელიც ჩავიწერეთ 2014 წლის აგვისტო-სექტემბერში. ტოპონიმების აღწერისას, უპირველეს ყოვლისა, ვიხელმძღვანელეთ 1961, 1965, 1981, 1988 წლებში თსუ-ის ტოპონიმიკის ლაბორატორიის (დღევანდელი ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) თანამშრომლების მიერ მოპოვებული მასალით, შევავსეთ იგი და, რაც მთავარია, თითოეულ ტოპონიმთან (სულ 700-ზე მეტია) მივუთითეთ სახელდებული ობიექტის ზუსტი ლოკალიზაცია და უმეტეს შემთხვევაში – სახელდების მოტივაცია. ინფორმაცია მივიღეთ 50-ზე მეტი რესპონდენტისგან. ნაშრომს ახლავს სათანადო რუკები. გარდა ამისა, რესპონდენტთა ცნობებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით განვიხილეთ კავთისხევში გავრცელებული 60-მდე გვარი (მათი წარმომავლობა, ჯგუფური და საოჯახო მეტსახელები) და 80-მდე ინდივიდუალური მეტსახელი.

რედაქტორი: **პატიკო ცხადაია**

გარეკანზე გიორგი ქსოვრელის ფოტო (კავთისხევი)

რუკები შპს „გეოგრაფიკი“

© თაია ცხადაია, 2015
ISBN 978-9941-441-52-3

გამომცემლობა „კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181,
თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995.32) 234.04.30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

შინაარსი

წინასიტყვაობა 4

კავთისხევის შესახებ..... 15

თავი I. ტოპონიმები..... 31

თავი II. ანთროპონიმები 184

ა) გვარსახელები და ჯგუფური მეტსახელები..... 184

გუდალეთი..... 189

ეზატი..... 197

თვალადი..... 205

კავთისხევი 220

ქვემო ჩოჩეთი..... 244

ქვემო ხანდაკი..... 252

ბ) ინდივიდუალური მეტსახელები 261

კავთისხევის სახალხო მთქმელები..... 269

გამოყენებული ლიტერატურა 285

წინასიტყვაობა

კავთისხევის ამა თუ იმ ისტორიული ადგილისა და ძეგლის შესწავლით მრავალი მკვლევარი დაინტერესებულა, მათ შორის: **ს. მაკალათია** („კავთურას ხეობა“: დაწვრილებით არის აღწერილი კავთურას ხეობა, დამოწმებულია ისტორიული ფაქტები და თქმულებები, მოხსენიებულია კავთურას წმინდა გიორგის და ლომისის ეკლესიები; მონასელიაანთ წმინდა გიორგის ეკლესია და სხვ.), **ბ. ჯორბენაძე** („აკლდამა სოფელ კავთისხევში“: დეტალურად აღწერილი და დახასიათებულია კავთისხევის მონასელიაანთუბნის გვიანდელი ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრული ძეგლი – აკლდამა), **რ. ხვისტანი** („კატაულას წმ. გიორგის ეკლესია“: დაწვრილებითაა აღწერილი ტაძარი, მისი მდგომარეობა, 2006 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევისა და სარესტავრაციო სამუშაოების შედეგები), **გ. ცქიტიშვილი** („მდიდრული სამარხი ციხიაგორის სამაროვნიდან“, „კავთისხევის „ციხიაგორა“: აღწერილია სოფ. კავთისხევის ჩრდილოეთით მდებარე ციხიაგორის ნასახლარის ერთ-ერთ ორმოსამარხში აღმოჩენილი მრავალფენიანი ინვენტარი), **გ. ნარიმანიშვილი, ზ. მახარაძე** („ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში“: დახასიათებულია ციხიაგორის სატაძრო კომპლექსის აქემენიდური ფენა, გაანალიზებულია მოპოვებული მასალა), **გ. ბოჭორიძე** („ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები“: ავტორი გვაწვდის ცნობებს ლომისის წმინდა გიორგის, ძლევის ქედის წმინდა გიორგის, კატაულას ეკლესიებზე) და სხვ. რა თქმა უნდა, კავთურას ხეობის კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრების“

ისტორიული დოკუმენტები, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები, პლატონ იოსელიანის, ივ. ჯავახიშვილის და სხვათა კვლევები.

ჩვენ მიერ დასახელებულ ნაშრომთა უმეტესობაში ასახულია კავთისხევის ისტორიული კვლევა-ძიებისა თუ იმ არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები, რომლებიც 1932 წლიდან მოყოლებული (როდესაც დამპალოს ქედზე მიწის სამუშაოების დროს დანგრეული სამაროვანი შეისწავლეს) კავთისხევში ჩატარდა. რაც შეეხება ონომასტიკურ კვლევებს, არაერთი ნაშრომი უძღვნა მთელი კასპის[1] ონომასტიკის საკითხებს არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვახტანგ მაღრაძემ[2], მაგრამ კავთისხევის ონომასტიკური მასალა (როგორც ტოპონიმები, ისე ანთროპონიმები) დღემდე არ არის სრულყოფილად აღწერილი.

1961, 1965, 1981, 1988 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის (დღევანდელი ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) თანამშრომლებმა: სერგო მელიქიძემ, რევაზ ძნელაძემ, ქეთევან გოდერძიშვილმა, დოდო ქიტუაშვილმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა ვახტანგ მაღრაძემ, მასწავლებელმა გრინა ქსოვრელმა, მაყვალა ქსოვრელმა (იმჟამად სტუდენტი იყო) კავთისხევის თემში შემავალი

---

[1] **კასპის მუნიციპალიტეტი** – ადმინისტრაციული რაიონი შიდა ქართლის მხარეში. რაიონული ცენტრია ქალაქი კასპი. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მტკვრის ორივე მხარეს. ტერიტორია – 802 კვ.კმ., ჩრდილოეთით აკრავს კავკასიონის სამხრეთი განშტოებანი, სამხრეთით – თრიალეთის ქედი. რაიონის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები: მტკვარი, ქსანი, ლეხურა, კავთურა, თეძამი (ქსე, 1980, 425).

[2] ფლორის აღმნიშვნელი ფუძეები კასპის რაიონის ტოპონიმებში, იკე, XXXIX, „მეცნიერება", თბ., 1990 (გვ. 118-122); ჰიდრონიმები კასპის რაიონში, „ონომასტიკური კრებული", თსუ, თბ., 1994 (გვ. 34-40); საკრალური ტოპონიმები (კასპის რაიონის მასალაზე), კრებ. „ფონეტიკა და ნორმა", თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახ. უნივერსიტეტი, თბ., 2000 (გვ. 122-127); „სინონიმური" რთული ტოპონიმები კასპის რეგიონის ტოპონიმების მიხედვით, იკე, XXXIV, თბ., 2000 (გვ. 163-165) და მრავალი სხვა.

სოფლების ტოპონიმების, შეიძლება ითქვას, სრულყოფილი ნუსხა შექმნეს[3]. მასალა ჩაიწერეს 100-ზე მეტი რესპონდენტისგან[4]. მართალია, უმეტეს შემთხვევაში მითითებულია მხოლოდ ტოპონიმები და მათი ზოგადი ადგილმდებარეობა ან დანიშნულება (მაგ.: კავთისხევში: ბაგა – ვენახი; გაბრუშკაანი – ბაღი; გუდალეთში: ანტონას ნაკაფი – საძოვარი, ახოლციხე – ტყე; ეზატში: აბულაანთ სასაფლაო – სასაფლაო, ოთიაანთ ურწყავი – სახნავი; ქვემო ჩოჩეთში: მზვრები – ვენახები სოფელში; ქვემო ხანდაკში: კოტეს ფერდა – ვაზი, ფერდობი, ტერასები და სხვ.), არ არის აღნიშნული ზუსტი ლოკალიზაცია და სახელდების მოტივაცია, მაგრამ სწორედ ამ მასალით ვიხელმძღვანელეთ 2014 წელს კავთისხევის ტოპონიმების აღწერისას[5], რომ არ გამოგვრჩენოდა ესა თუ ის

---

[3] სოფ. კავთისხევის ტოპონიმური მასალა ჩაწერეს გ. ქსოვრელმა, მ. ქსოვრელმა, ქ. გოდერძიშვილმა, ვ. მაღრაძემ, ს. მელიქიძემ, დ. ქიტუაშვილმა, რ. ძნელაძემ (1961-1965, 1981 წწ.), სოფ. გუდალეთის მასალა – რ. ძნელაძემ, ს. მელიქიძემ, ვ. მაღრაძემ (1981, 1988 წწ.), სოფ. ეზატისა – ვ. მაღრაძემ, რ. ძნელაძემ, ს. მელიქიძემ (1981 წ.), სოფ. თვალადისა – ქ. გოდერძიშვილმა, რ. ძნელაძემ, ვ. მაღრაძემ (1988 წ.), სოფ. ქვემო ჩოჩეთისა – ს. მელიქიძემ, ვ. მაღრაძემ, რ. ძნელაძემ (1981, 1988 წწ.), სოფ. ქვემო ხანდაკის – რ. ძნელაძემ, ქ. გოდერძიშვილმა, ვ. მაღრაძემ, ს. მელიქიძემ (1981 წ.), სოფ. წიფორისა – ვ. მაღრაძემ, ქ. გოდერძიშვილმა, გ. ქსოვრელმა, მ. ქსოვრელმა, რ. ძნელაძემ (1981, 1988 წწ.), სოფ. ქებაანისა – ს. მელიქიძემ (1988 წ.).

[4] რესპონდენტები იყვნენ როგორც კავთისხევის უხუცესები (მაგ.: სოფ. კავთისხევში – იოსებ ნოქარაშვილი (100 წ.), თამარ მამულაშვილი-შაყულაშვილი (90 წ.), სოფ. გუდალეთში – დავით ფულაძე (102 წ.), ეფემია ხოკერაშვილი-ფულაძე (99 წ.), სოფ. ეზატში – გიორგი რევაზიშვილი (90 წ.), სოფ. თვალადში – ნიკოლოზ ნაცვლიშვილი (90 წ.), სოფ. ქვემო ჩოჩეთში – სანდრო ნონიკაშვილი (95 წ.) და ა.შ.), ისე შუახნის ადამიანები და ახალგაზრდები (მაგ.: სოფ. გუდალეთში – გაბრიელ მოდრეკილაძე (18 წ.), სოფ. თვალადში – მიშა ნაცვლიშვილი (19 წ.), სოფ. ქვემო ჩოჩეთში – შალვა აბუაშვილი (14 წ.) და ა.შ.). 1981, 1988 წლებში ჩაწერილი ზოგიერთი რესპონდენტი, იმ დროისთვის შუახნის ადამიანები, ამჟამად უხუცესები, ჩვენც ჩავწერეთ, მაგ.: სოფ. თვალადში – ოთარ ზაქარიაშვილი (91 წ.), სოფ. კავთისხევში (შუაუბანში) – ა. მონასელიძე (85 წ.), სოფ. გუდალეთში – გრიგოლ თაგვიაშვილი (86 წ.), ვალერიან ყველაშვილი (80 წ.).

[5] 2014 წელს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა მიგვაკლინა კავთისხევის თემში ონომასტიკური მასალის ჩასაწერად.

ადგილი და, რაც მთავარია, საჭიროების შემთხვევაში, ახალთან ერთად მიგვეწინშნებინა ძველი სახელწოდებაც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1961, 1965, 1981, 1988 წლებში ჩაწერილი მასალის ერთი ნაწილი ვერ მოხვდა წიგნში, რადგან:

1. თითქმის ნახევარი საუკუნის წინ ჩაწერილი ზოგიერთი სახელწოდება მივიწყებას მიეცა – უხუცესებსაც კი აღარ ახსოვთ, მაგალითად: ბუხუაანთ თელა – 1981 წლის მასალების მიხედვით: „თელა საძოვარზე, სანერგე სოფ. ქვემო ხანდაკში“ (ბუხუაანი ლაშქარაშვილები არიან, სოფ. ქვემო ხანდაკის მცხოვრებნი, მაგრამ ადგილი ბუხუაანთ თელა არავის ახსოვს); იორდანეს წყარო – 1988 წლის მასალების მიხედვით, „იორდანე ბებერი კაცი იყო გუდალეთში, იმან გატეხა პატარა ველი და ამააჩინა პატარა წყალი“ (ასეთი წყარო გუდალეთში არ ახსოვთ).

2. გარდა ამისა, წიგნში არ შევიდა სოფელ იდლეთის ტოპონიმები. იდლეთი, რომელიც ისტორიულად დამოუკიდებელი სოფელი იყო (ბაგრატიონი, 1986, 30), მოგვიანებით კავთისხევს მიაკუთვნეს (1930 წელს ის კავთისხევის შემადგენლობაშია (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930, 11-12)), 1961 წლიდან კი – წინარეხის თემს[6], თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე კავთისხევის სოფლად მოიხსენიებენ ხოლმე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „იდლეთი იყო კავთისხევისა, მერე, 1961 წელს, მეურნეობა რომ ჩამოყალიბდა, გადაიყვანეს წინარეხზე. იდლეთი, თელათგორი, გომისჯვარი, ლავრისხევი და წინარეხი არიან ცალკე“.

3. ზოგიერთ შემთხვევაში ჩაწერილია იმ სოფლების ტოპონიმები, რომლებიც არასდროს ეკუთვნოდა კავთისხევს, მაგრამ ესაზღვრება მის სოფლებს ან მეტ-ნაკლებად ახლოსაა (მაგ.: წინარეხის თემიდან: დედაღვთისა (ტყე), დედაღვთისას ხევი, მაღალაანთ კოშკები[7], პარა-

---

[6] წინარეხი – სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, კასპის რაიონში. მდებარეობს მდინარე კავთურას ნაპირებზე. თემის ცენტრი (სოფლები: გომისჯვარი, თელათგორი, იდლეთი, ლავრისხევი) (ქსე, 1987, 328).

[7] XII ს-ის კომპლექსის ნაწილი, მდებარეობს წინარეხიდან 2,5 კმ-ზე. კომპლექსში შედის ეკლესია და კოშკები. ეკუთვნოდა აზნაურ მაღალაძეებს (ქსე, 1983, 501).

ტისი[8], ქვათახევი[9]; ახალქალაქის თემის სოფ. გოსტიბიდან: მარტიას აგარაკი (ტყე, საძოვარი), მიხელაანთ სახლები (ნასახლარები); თეთრახევიდან: აშურიანი[10] და სხვ.).

რაც შეეხება ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალას, ზოგიერთი ადგილის კუთვნილება სოფლის მცხოვრებთათვის სადავოა. მაგალითად, ერთი ინფორმაციით, გაჭრილი კლდეი წინარეხს ეკუთვნის, სხვა ინფორმაციით – წინარეხსაც და კავთისხევის სოფ. თვალადსაც; ნაყაზახრები, ერთი ინფორმაციით, გოსტიბეს ეკუთვნის, სხვა ინფორმაციით – გოსტიბეს შესასვლელამდე გუდალეთისაა; დიდველები, ერთი რესპონდენტის აზრით, წინარეხს ეკუთვნის, მეორის აზრით, გუდალეთისაა, სხვა მოსაზრებით – თვალადისა... სადავოა ზოგიერთი ადგილის კუთვნილება თვითონ კავთისხევის ფარგლებშიც, მაგალითად, საღოლიო თვალადს ეკუთვნის თუ ვარჯაანს ეკუთვნოდა და ახლა გუდალეთისაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ნასოფლარის ტოპონიმები თუნდაც 30 წლის წინ ჯერ კიდევ ახსოვდათ მომიჯნავე სოფლების უხუცესებს, რომლებიც მოესწრნენ ამ სოფლებს. ამჟამად მათი ერთი ნაწილი ახსოვთ (და შესაბამისი ობიექტის ზუსტი თუ მიახლოებითი ადგილ-მდებარეობაც), ზოგიერთ ტოპონიმს კი, სამწუხაროდ, ვერ იხსენებენ.

ჩავიწერეთ ყველა სოფლის (გუდალეთის, ეზატის, თვალადის, კავთისხევის, მირიანის, ქვემო ჩოჩეთის, ქვემო ხანდაკის) თუ ნასოფლარის (ვარჯაანის, ვერხოულის, ქებაანის, წიფორის...) ტო-

---

[8] ნასოფლარი, მთა, მამულები, საძოვარი წინარეხში. ნასოფლარი პარატისი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით, კავთისხევის თემში შედის (სძა, 1990, 172), კავთისხეველთა უმეტესობის ინფორმაციით – წინარეხის თემში. ამ ინფორმაციას ადასტურებს კავთისხევის ტერიტორიულ ორგანოში კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელიც.

[9] XII-XIII სს-ის ქართული მონასტერი წინარეხიდან 5 კმ-ზე, მდ. კავთურას სათავესთან (ქსე, 1986, 506).

[10] XI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ღვთისმშობლის მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია კასპის ჩრდილო-აღმოსავლეთით 10 კმ-ზე, თეთრახევაში (ქსე, 1977, 69).

პონიმური მასალა: ოიკონიმები, დრომონიმები, ჰიდრონიმები... ვიხელმძღვანელეთ რა სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული და 1961, 1965, 1981, 1988 წლებში ჩაწერილი მასალით, შევავსეთ იგი რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელწოდებით, ზოგიერთი, პირიქით, გამოვრიცხეთ და, რაც მთავარია, თითოეულ მათგანთან (სულ 700-ზე მეტი ტოპონიმია) შეძლებისდაგვარად მივუთითეთ ობიექტის ზუსტი ლოკალიზაცია და უმეტეს შემთხვევაში – სახელდების მოტივაცია (ჩავიწერეთ ნებისმიერი ახსნა მნიშვნელობისა, სარწმუნო თუ სავარაუდო, ხალხურ ეტიმოლოგიაზე დაფუძნებული). ნაშრომს ახლავს როგორც მთელი კავთისხევის (N1, 2), ისე მისი რამდენიმე სოფლის რუკები (N3, 4, 5, 6, 7)[11].

გარდა ამისა, ჩავიწერეთ კავთისხევის ანთროპონიმები (გვარები, მათი წარმომავლობა, ჯგუფური და ინდივიდუალური მეტსახელები და მათი მნიშვნელობები), მეტად საინტერესო, მაგრამ შედარებით მწირი მასალა. მართალია, ამჟამად კავთისხევში ოფიციალურად 200-მდე გვარის წარმომადგენლები ცხოვრობენ, მაგრამ რეალურად მათი დიდი ნაწილი წასულია კავთისხევიდან (კავთისხევში არიან ჩაწერილი, მაგრამ სხვაგან ცხოვრობენ, ძირითადად – თბილისში). ამდენად, რიგ შემთხვევაში ამა თუ იმ გვარის წარმომადგენელი ვერ ვნახეთ, რიგ შემთხვევაში – გვარის შესახებ ინფორმაციის მომწოდებელი (თუ უხუცესები არ ჰყავდათ, შედარებით ახალგაზრდა თაობებს უმეტესად არ ჰქონდათ ინფორმაცია თავიანთი გვარისა თუ ჯგუფური მეტსახელების შესახებ). ტოპონიმების ჩაწერისას დიდი დახმარება გაგვიწიეს ხანდაზმულმა რესპონდენტებმა, რომლებმაც, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი ინფორმაცია (რეალური ისტორიები და გადმოცემები) გაგვაცნეს საკუთარი (და ხშირად სხვათა) გვარსახელებისა თუ ჯგუფური მეტსახელების

[11] N1 – კავთისხევის თემის ფიზიკური რუკა; N2 – კავთისხევის სოფლების მდებარეობა; N3 – სოფ. გუდალეთი და მისი უბნები; N4 – სოფ. ეზატი და მისი უბნები; N5 – სოფ. თვალადი და მისი უბნები; N6 – სოფ. კავთისხევი და მისი უბნები; N7 – სოფ. ქვემო ჩოჩეთი და მისი უბნები (სოფ. ქვემო ხანდაკი და სოფ. მირიანი უბნებად არ იყოფა).

შესახებაც, მაგრამ, ცხადია, ყველა გვარის შესახებ ცნობებს ვერ მოგვაწვდიდნენ.

რაც შეეხება ზოონიმებს, მასალა ძალზე მწირია, რადგან კავთისხევში ძირითადად გავრცელებულია ისეთი სახელები, როგორებიცაა: ნიკორა, ჭრელა, ღვინია, წაბლა და ა.შ. განსხვავებული ზოონიმები, ფაქტობრივად, არ შეგვხვედრია.

მასალა ჩავიწერეთ 50-ზე მეტი რესპონდენტისგან. მადლობას ვუხდით თითოეულ მათგანს[12]. აქ მოვიხსენიებთ რამდენიმე რესპონდენტს, რომელთაც დიდი მოცულობისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალა მოგვაწოდეს. ესენი არიან თავიანთი კუთხის საფუძვლიანად მცოდნე, მეტად პატივსაცემი ადამიანები:

ჰამლეტ წიტაიშვილი (74 წ.), **ამირან მონასელიძე** (84 წ.), **გიორგი შაყულაშვილი** (88 წ., ქვემო ხანდაკის სკოლის ყოფილი პედაგოგი, ხიდისყურის სკოლის ყოფილი დირექტორი), **ამბროსი აღაპიშვილი** (73 წ.), (სოფ. კავთისხევი, შუაუბანი); **ბეჟან სესიკელაშვილი** (76 წ.), **ამირან ქასრაძე** (74 წ.) (სოფ. კავთისხევი, ციხისუბანი); **გრიშა (გრიგოლ) თაგვიაშვილი** (85 წ.); **ამირან თაგვიაშვილი** (79 წ.), **ბიჭიკო თაგვიაშვილი** (76 წ.), **ვალერიან ყველაშვილი** (80 წ.) (სოფ. გუდალეთი); **თამაზ კერესელიძე** (62 წ., ყოფილი კავთისხევის მეურნეობის დირექტორი; კასპის პოლიციის უფროსის მოადგილე); **ვალერიან ოთიაშვილი** (65 წ., სოფ. კავთისხევის ტერიტორიული ორგანოს ყოფილი რწმუნებული, კავთისხევის სატყეოს უბნის უფროსი) (სოფ. ეზატი); **ოთარ ზაქარიაშვილი** (91 წ., მიწათმომწყობი) (სოფ. თვალადი); **იაკობ ქსოვრელი** (84 წ., საქალაქთაშორისო მატარებლების ვაგონების გამსინჯველი), **ჯემალ სოლოღაშვილი** (74 წ., კავთისხევის მეურნეობის ბრიგადირი), **ზაქარია ნონიკაშვილი** (61 წ., რესპუბლიკის ყოფილი მთავარი მხატვარი, სამხატვრო ფონდის ყოფილი დირექტორი) (სოფ. ქვემო ჩოჩეთი); **მურად მამულაშვილი** (70 წ.) (სოფ. ქვემო ხანდაკი); **მიხეილ ოთიაშვილი** (74 წ.) (სოფ. მირიანი).

---

[12] რესპონდენტთა სრული სია ერთვის ნაშრომს.

უღრმეს მადლობას ვუხდით თითოეულ მათგანს ფასდაუდებელი დახმარებისთვის: გარდა იმისა, რომ მათი კომპეტენტური ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია კავთისხევის ონომასტიკური მასალის აღწერის საქმეში, აღსანიშნავია მათი მონდომება. ჩვენი რესპონდენტები, მშრომელი ადამიანები, რომლებიც, ასაკის მიუხედავად, მუდმივად საქმიანობენ, ფუსფუსებენ[13], მთელი სულითა და გულით, ერთგვარი ჟინით მიუდგნენ ამ საქმეს, საათობით ისხდნენ და გვაწერინებდნენ მასალას, დაღლა არც დასტყობიათ, პირიქით, ეხალისებოდათ, ეამაყებოდათ საკუთარი სოფლის შესახებ საუბარი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი რესპონდენტი კავთისხევში ცნობილი სახალხო მთქმელია. სიამოვნებით შემოგთავაზებთ მათი შემოქმედებიდან რამდენიმე ნიმუშს.

მადლობას ვუხდით კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს კავთისხევის ტერიტორიულ ორგანოში, მიხეილ კელაპტრიშვილს, და მის მოადგილეს, ლევან მოდრეკილაძეს, გაწეული დახმარებისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ბატონ **ჰამლეტ წიტაიშვილს.** იგი დაიბადა სოფ. კავთისხევში 1940 წელს, 1958 წელს დაამთავრა კავთისხევის საშუალო სკოლა, 1959 წელს – თბილისის ტექნიკური სასწავლებელი. 1964-1969 წლებში სწავლობდა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ სასწავლებელში. უკვე 1968 წლიდან მუშაობა დაიწყო სოფ. კავთისხევის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლად. 1971-1976 წლებში მუშაობდა კავთისხევის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის ფაბრიკა-ქარხანებში... ბატონი ჰამლეტი მთელი კავთისხევისთვის პატივსაცემი, მრავალმხრივ განათლებული, გამორჩეული ადამიანია, თავისი ქვეყნის

[13] 90 წლის ოთარ ზაქარიაშვილი ბოსტანში მუშაობდა, როდესაც დახმარება ვთხოვეთ. რამდენიმე საათი ვიწერდით მასალას და, როდესაც შესვენება შევთავაზეთ, ასე ბრძანა, თქვენ თუ არ დაგეხმარებით, ან ბოსტანში უნდა მივბრუნდე, ან დავლიო, ასე რომ, ორივეს კავთისხევისთვის სასარგებლო საქმე მირჩევნიაო.

მიწა-წყლის, ტრადიციებისა და კულტურის, საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის უზომოდ მოყვარე. მან არა მხოლოდ თავისი სოფლის, არამედ მთელი კავთისხევის შესახებ მოგვაწოდა მეტად საინტერესო ინფორმაცია და, ამასთანავე, მისი დახმარებით მივაგენით ჩვენს ძვირფას რესპონდენტებს – ბატონმა ჰამლეტმა მეგზურობაც გაგვიწია და მისი წყალობით ყველგან დიდი პატივისცემითა და სითბოთი გვიღებდნენ კარს.

P.S. ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ შენიშვნებს და, შესაბამისად, შევავსებთ და დავაზუსტებთ მასალას (ობიექტების ადგილმდებარეობას, ტოპონიმთა და ანთროპონიმთა (ჯგუფური და ინდივიდუალური მეტსახელების) ეტიმოლოგიას, სახელდების მოტივაციას) შემდგომი გამოცემისთვის.



პ. წიტაიშვილი, ა. მონასელიძე




ო. ზაქარიაშვილი, პ. წიტაიშვილი



ა. თაგვიაშვილი, პ. წიტაიშვილი, გ. თაგვიაშვილი



პ. წიტაიშვილი, ი. ქსოერელი, ჯ. სოლოღაშვილი



ბ. სესიკელაშვილი, ა. ქასრაძე, პ. ცხადაია

კავთისხევის შესახებ

პატარა, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობით მდიდარი ულამაზესი ისტორიული სოფელი კავთისხევი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კასპის მუნიციპალიტეტში (კასპიდან სამხრეთით, დაახლოებით 10 კმ-ზე) (ქსე, 1980, 298). აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფლები: წინარეხი და იდლეთი (წინარეხის თემი), ჩრდილოეთით – თხოთის მთა, დასავლეთით – სოფლები: ნოსტე, მთიულთუბანი, ცხავერი, ახალციხე (ახალციხის თემი), სამხრეთით – დიდგორის მთები.

კავთისხევი მდებარეობს მდ. კავთურას (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე. კავთურა გამოდის დიდგორის ქედიდან და მიედინება კავთურას ხეობაში. სოფ. თვალადში მას უერთდება ყველაზე დიდი შენაკადი, გუდალურა, სოფ. ხანდაკთან კი ერთვის მდ. მტკვარს. კავთურას ხეობის მეშვეობით შიდა ქართლი უმოკლესი გზებით უკავშირდება ქვემო ქართლსა და თრიალეთს. „ეს გარემოება ანიჭებდა კავთურას ხეობას მნიშვნელობასა და გარკვეულ ადგილს საქართველოს ისტორიაში. ხეობა ძველთაგანვე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რასაც თვალნათლივ ადასტურებს მრავლად შემორჩენილი ნამოსახლარი და ხუროთმოძღვრების ძეგლები, ათეულობით ეკლესიის, კოშკის, ციხე-გალავნისა და სასახლის ნანგრევები“ (ჯორბენაძე, 1970, 68-71).

პ. იოსელიანის აზრით, კავთურას ხეობამ სახელწოდება მდ. კავთურასგან მიიღო (იოსელიანი, 1973; პავლიაშვილი, 2005, 93-94). გამოჩენილი მკვლევარი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ასეთ ცნობას გვაწვდის: „ნიჩბისის დასავლით ხევი კავთისა, გამოსდის დიდგორს, დის ჩრდილოთ, ერთვის მტკუარს სამხრიდამ. ქვათახევამდე ვენახოვანი, ხილიანი... და არს ადგილი შემკული. ზაფხულ გრილი, წყაროიანი; ზამთარ თბილი; გარემოს მთა ტყიანი,

შენობა მრავალნი“ (ქც, 4, 340). გ. შატბერაშვილი ყურადღებას ამახვილებს ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დამოწმებულ სიტყვაზე „ხევი კავთისა“ და ვარაუდობს, რომ მდინარის სახელწოდება „კავთურა“ მოდის ხეობის სახელწოდებიდან (ხევი კავთისა → კავთურა) და არა პირიქით, ხეობისა – მდინარის სახელიდან. ამ ხეობის ძველი სახელწოდება შემორჩა სოფელს (კავთისხევი). ხეობის ზემო ნაწილს ამჟამად „კავთურის ხეობა“ ჰქვია და არა „კავთის ხევი“, ვახუშტის დროს კი მთელ ხეობას „კავთის-ხევი“ („ხევი კავთისა“) უნდა რქმეოდა (შატბერაშვილი, 2009 ა).

„კავთა“ კავთურას ხეობაში გავრცელებული სახელწოდებაა: კავთა, თავკავთა[1], კავთისხევი, კავთურა, კავთის ეკლესია[2]... სადავოა „კავთის“ მნიშვნელობა. იგი, „ხალხური გადმოცემით, უკავშირდება კავს (კავიან ჯოხს). ერთი მეცხვარე, გვარად ლომიძე, თურმე ცხვარს აძოვებდა კავთურას სათავეზე. აქ, ნანგრევში, მას შეუმჩნევია რაღაც ბრჭყვიალა ნივთი, შეუყვია თავისი კავიანი ჯოხი და ხატი გამოუტანია. ეს ხატი იქვე დაუსვენებიათ და აქ აუგიათ კავთის წმ. გიორგის პატარა ეკლესია. ამ ისტორიული კავის გამო ადგილსაც და მდინარესაც კავთა დარქმევია. ლომიძისთვისაც გვარი კავთიაშვილად შეუცვლიათ (მაკალათია, 1960, 3). ს. მაკალათია უარყოფს ხალხურ ეტიმოლოგიას და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სახელწოდება „კავთა“ შესაძლოა „დაკავშირებული იყოს „კვართასთან“ (ქრისტეს პერანგი), „კვართობასთან“. კვართი ქრისტესი, როგორც ამას გადმოგვცემს საეკლესიო ლეგენდა, დაფლულია მცხეთაში... სოფელ ხოვლეში[3] არის „კვართის“ კოშკი და „კვართის“ ეკლესია, სადაც იციან ხატობა „კვართობა“. კავთისხევიც ემორჩილებოდა მცხეთის სვეტიცხოველს და ამის გამო, შესაძლებელია, ამ ორ სახელწოდებას შორის არსებობდეს გენეტიკური კავშირიც“ (იქვე). გ. შატბერაშვილის ვარაუდით, „კავთა“ უძველესი სახელი უნდა იყოს, შეიძლება, ქრისტიანობამდელიც. იმოწმებს რა ვახუშტი

---

[1] იგივე კავთა – ციხე-სიმაგრე და ეკლესია მდ. კავთურასა და ბოტისისწყლის გამყოფი ქედის კონცხზე, სოფ. წინარეხის სამხრეთით, 7 კმ-ზე (ტოპ. ლექს., 2013, 264).

[2] ეკლესია კავთისხევის თემის სოფ. თვალადში.

[3] სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში (კასპიდან 26 კმ-ზე), თემის ცენტრი (ქსე, 1987, 494).

ბატონიშვილისა და ს. მაკალათიას სიტყვებს: „დიდგორის კალთას არს ციხე კავთისა, მაღალს კლდესა ზედა შენი“[4]; „...მაღალ ქედზე აგებულია თავკავთას წმ. გიორგის ეკლესია და დიდი ციხე-გალავანი... ციხე-გალავნის კედლის სიმაღლე რვა მეტრია... კედლების სისქე 1,5 მეტრს უდრის... კავთის ეკლესია თავისი გალავნით შეერთებულია ამ დიდ ციხე-გალავანთან. მათ შუა დატანებულია გასასვლელი კარი. თუ მტერი ეკლესიის გალავანში შეიჭრებოდა, მაშინ ხალხი ციხე-გალავანში იხიზნებოდა და აქედან ებრძოდა მტერს“, გ. შატბერაშვილი ასკვნის: „კავთის ციხე-გალავანი დიდი თავდაცვითი სიმაგრე ყოფილა. იგი უკეტავდა გზას კავთურას ხეობაში შემოსულ მტერს, იცავდა და იფარებდა ახლომახლო სოფლებს და მტერს ქართლის შუაგულში შეჭრის საშუალებას არ აძლევდა“, ამდენად, „კავთა“ შეიძლება მომდინარეობდეს „კავ“ ძირისგან, რომელიც უკავშირდება ხევსურულ „ქავს“ (ქავი – თავდაცვით ნაგებობა, გალავანი, მტრისგან თავდასაცავი შემოკავებული ადგილი), „თა“ კი მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსია, რომელიც ხშირად მონაწილეობს ტოპონიმთა შექმნაში (შატბერაშვილი, 2009 ბ).

კავთისხევი მოხსენიებულია მრავალ წერილობით წყაროში. ესენია: ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც, 4, 340, 341, 409, 416), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქც, 2, 369, 378, 506, 515, 534), ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“ (გორგიჯანიძე, 1925, 247-248), პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ (ორბელიანი, 1981, 229), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი, 1986, 30), ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“ (ბაგრატიონი, 1941, 93, 135), იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ (გიულდენშტედტი, 1962, 273) და სხვ. მიუხედავად ამისა, კავთურას ხეობის ისტორიული წარსულის შესახებ ინფორმაცია მწირია.

არქეოლოგიური კვლევების შედეგად ადამიანთა ცხოვრების უძველესი კვალი აღმოჩნდა კავთურასა და თეძამს შორის მდებარე ტერიტორიაზე. თეძამ-კავთურას ხეობები ცნობილია ქვედა


[4] როგორც გ. შატბერაშვილი აღნიშნავს, ვახუშტი არ ახსენებს „თავკავთას“, როგორც დღემდე მოიხსენიებენ კავთას. ვარაუდობენ, რომ „თავკავთა“ გვიან შეერქვა აღნიშნულ ძეგლს, რადგან კავთურას ხეობაში, კავთისხევის სოფ. თვალადში, არის მეორე კავთაც – კავთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც ახალი ძეგლია (შატბერაშვილი, 2009 ბ).

პალეოლითის ხანის ძეგლებითაც, „ჩანს, რომ ლანდშაფტის მრავალფეროვნებას, მდინარეთა და ტბების სიახლოვეს, ბუნებრივი რესურსების სიმდიდრეს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა პირველყოფილ ადამიანთა მიერ ამ მიდამოებში დასახლების დროს“ (პავლიაშვილი, 2005, 7, 9).

ისტორიიდან ცნობილია, რომ XV-XVII სს-ში კავთისხევში მამულებს ფლობდნენ მაღალაძეები, ციციშვილები, სააკაძეები. 1569 წელს ქართლის მეფე სვიმონ I (1556-1569 წწ., 1578-1600 წწ.) ირანელებმა შეიპყრეს და ტახტი დავით XI-მ (1569-1578 წწ.) დაიკავა. კავთისხევში მყოფ დედოფალ ნესტან-დარეჯანს (სვიმონ I-ის მეუღლეს) თავს დაესხნენ ამილახორი, ქსნის ერისთავი და წაართვეს მთელი ქონება (ტოპ. ლექს., 2013, 265). კავთისხეველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1609 წელს მანგლისში შემოჭრილ თათართა ჯარის წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მეთაურობით გამართულ ბრძოლაში. იოსებ თბილელი მიტროპოლიტის გადმოცემით, თურქების ჯარი, რომელიც 60000 კაცისგან შედგებოდა, ახალქალაქის ირგვლივ ველზე დაბანაკდა, ერთაწმინდიდან მტკვრის ნაპირამდე გაიშალა. ასეთ მძიმე ვითარებაში მეფის ერთადერთი იმედი გიორგი სააკაძე იყო. მან „არწივის სისწრაფით ჩაიქროლა დაბა კავთისხევში და იქ რაზმი შეკრიბა, რომელიც თურქების ჯარს კვალდაკვალ დადევნებულ საბარათიანოს რაზმს შეუერთდა“, და რიცხვით ნაკლებმა, მაგრამ გულადობით უძლეველმა ქართველთა ჯარმა ხელჩართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა მტერი (იოსელიანი, 1973, 17-18). 1735 წლიდან ქართლ-კახეთში გაძლიერდა დაღესტნელი ყაჩაღების ავაზაკური თავდასხმები, ე.წ. „ლეკიანობა“. დაღესტნელ ფეოდალთა აბრაგები თრიალეთიდან გადმოდიოდნენ კავთურას ხეობაში და ანადგურებდნენ მოსახლეობას. იტაცებდნენ ხალხს, საქონელს, სარჩო-სანოვაგეს, ტყვეებისათვის ითხოვდნენ დიდძალ გამოსასყიდს. მოსახლეობას ხელიდან ეცლებოდა ხე-ტყე, სათიბ-საძოვრები, ნადგურდებოდა მატერიალური კულტურის ძეგლები. ხალხი შეხიზნული იყო ციხე-გალავნებში, თავდადებით იბრძოდა, მაგრამ ვერ უძლებდა მოთარეშე ლეკებს. მეფე ერეკლე II-მ ფიზიკური განადგურებისგან გადარჩენის მიზნით კავთისხეველები კახეთში გადაასახლა, ძირითადად – ნაფარეულსა და კურდღელაურში, იმ პირობით, რომ მშვიდობის დამყარების შემდეგ მშობლიურ კუთხეში

დააბრუნებდა. თარეში გაგრძელდა XIX ს-შიც, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც. ამის გამო მოსახლეობა კავთურას ხეობაში ფეხს ვერ იკიდებდა (მაკალათია, 1960, 9; პავლიაშვილი, 2005, 9-10). პ. იოსელიანი 1848 წელს სინანულით აღნიშნავდა: „მამულების უდიდეს ნაწილში ვენახებისგან ტყეები აღმოცენდა და გაგარეულდა... დარჩენილი ვაზები და უძველესი კაკლის ხეები, ხმაურიანი კავთურას ორივე ნაპირზე გაფანტული, მოწმობს, რომ ძველად აქ ბაღები ყოფილა...“, „შეიძლება ამჟამად, საყოველთაო მშვიდობის ჟამს... ის გლეხები, რომელნიც კახეთში ცხოვრების 102 წლის განმავლობაში ჯერ კიდევ ევედრებიან კავთისხევის ღვთისმშობლის სახელს, დროგამოშვებით სალოცავადაც მიდიან სავანეში და კვლავ მოინახულებენ წინაპართა ძვირფას სალოცავებს“ (იოსელიანი, 1973, 107-108). კავთურას ხეობის მოშენება-დასახლება დაწყებულა XIX ს-ის მეორე ნახევრიდან (მაკალათია, 1960, 9; პავლიაშვილი, 2005: 9-10).

მიუხედავად ისტორიული მასალის სიმწირისა, ცხადია, კავთისხევი (და მთელი კავთურას ხეობა) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური მხარე იყო, რაზეც მეტყველებს ისტორიული ადგილები: ძლევის ქედი, მისალოცავი, სანაღარო... და დღემდე შემორჩენილი ათეულობით ტაძარი, სამონასტრო კომპლექსი, თავდაცვითი ნაგებობანი, ნამოსახლარ-სამაროვნები და სხვ. მათ შორის აღსანიშნავია: **ლომისის და წმინდა გიორგის ეკლესიები** – სოფ. კავთისხევში (ციხისუბნის თხინვალიაანთუბანში); **კატაულას წმინდა გიორგის ეკლესია** და **აკლდამა** – სოფ. კავთისხევში (შუაუბნის მონასელიაანთუბანში); წმინდა ნიკოლოზის ორი ეკლესია: **შატბერაანთ ნიში** და **მეფეთსადგომის ეკლესია,** წმინდა გიორგის ორი ეკლესია: **ონოფრიაანთ საყდარი** და **კავთა, ღვთისმშობლის ეკლესია, სამება, მისალოცავის ეკლესია, კაციაანთ საყდარი, შეშაბერიაანთ საყდარი** – სოფ. თვალადში; **იოანე ნათლისმცემლის ეკლესია** – სოფ. ეზატში; **ისტორიული ციხე-გალავანი** და **ღვთისმშობლის ტაძარი, წმინდა გიორგის** ორი ეკლესია, **კვირაცხოველის ნიში, წმინდა ესტატეს, წმინდა მარინეს, წმინდა მარიამის ეკლესიები** – სოფ. გუდალეთში; **აბუაანთ საყდარი, ნონიკაანთ საყდარი, ხუციაანთ საყდარი, ციხიაგორას,**



კავთის წმინდა გიორგის ეკლესია. თვალები (წყარო. saunje.ge)



კავთისხევის წმინდა გიორგისა და ლომისის ეკლესიები. კავთისხევი, ციხისუბანი (გ. ქსოვრელის ფოტო)



ძლევის ქედის წმინდა გიორგის ეკლესია. თეალადი (გ. ქსოვრელის ფოტო)



გუდალეთის ღვთისმშობლის ტაძარი და ციხე-გალავანი. გუდალეთი

საყარაულო სერის, ლოდების მიწის ნამოსახლარები – სოფ. ქვემო ჩოჩეთში, **ღვთისმშობლის, წმინდა გიორგისა და მთავარანგელოზის** ეკლესიები, **თავდაცვითი და საყარაულო კოშკები** – სოფ. ქვემო ხანდაკში, **სამება** და **ღვთისმშობლის ეკლესია** – ნასოფლარ ქებაანში, **წმინდა გიორგის ეკლესია** – ნასოფლარ წიფორში, **მთავარანგელოზის ეკლესია** – ნასოფლარ ვარჯაანში, **ღვთისმშობლის ეკლესია** – ნასოფლარ ბოტისში და სხვ.

ს. მაკალათიას ცნობით, 1960 წლისათვის მთელ კავთურას ხეობაში იყო სამი სასოფლო საბჭო: ხანდაკის, კავთისხევისა და წინარეხის. „ბევრია ნასოფლარი ადგილი და ახლად გაშენებული სოფლებიც. საყურადღებოა, რომ ძველი სახელწოდებანი აქაურ სოფლებს თითქმის დღემდე შემოუნახავთ“ (მაკალათია, 1960, 10). მკვლევარს მოჰყავს ძველი (ვახუშტის მიხედვით) და ახალი (თავისდროინდელი) სოფლების სახელწოდებათა სია (მთელი კავთურას ხეობის მასშტაბით):

ძველად (ვახუშტის მიხედვით): 1. ხანდაკი, 2. იდლეთი, 3. კავთისხევი, 4. წინარეხი, 5. თვალადი, 6. გუდარეხი, 7. ბეფანი, 8. ეზატი, 9. ახათუბანი, 10. ბოტისი, 11. საკურთხისი, 12. თელათგორი, 13. გომიჯვარი, 14. ლავრა.

თანამედროვე (XX ს-ის II ნახევრის) სოფლები: 1. ხანდაკი, 2. იდლეთი, 3. კავთისხევი, 4. წინარეხი, 5. თვალადი, 6. გუდალეთი, 7. ეზატი, 8. ბოტისი, 9. საკურთხისი, 10. თელათგორი, 11. გომისჯვარი, 12. ლავრისხევი, 13. ვერხოულა, 14. ზვარიკოტმანი, 15. ვარჯაანი, 16. წიფორი, 17. პარეტისი (მაკალათია, 1960, 10-11).

როგორც ვხედავთ, კავთურას ხეობის სოფელთა შემადგენლობა უცვლელი არ ყოფილა. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დასახელებული ორი სოფელი: ბეფანი და ახათუბანი არ შედის ს. მაკალათიას სიაში, სამაგიეროდ, დასახელებულია სოფლები: ვერხოულა, ზვარიკოტმანი, ვარჯაანი, წიფორი, პარეტისი. ამათგან ვერხოულა, ზვარიკოტმანი, ვარჯაანი და წიფორი კავთისხევს მიეკუთვნება, მაგრამ ამჟამად ნასოფლარებია.

არც უშუალოდ კავთისხევის შემადგენლობა ყოფილა უცვლელი. მაგალითად, 1930 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, კავთისხევის სასოფლო საბჭოში შედიოდა შემდეგი სოფლები // ტერიტორიული ერთეულები:

ბარდაანთუბანი, ბოტისი, გომისჯვარი, გუდალეთი, ეზატი (ჩივაანთუბანი), ვარჯაანი, ვერხვეულა, ზვარიკოტმანი, თელათგორი, თვალადი, იდლეთი, კავთისხევი (ციხისუბნის ნაწილი), ნუსხელაანთუბანი, პარეტისი, საკურთხისი, სამტრედო, სანაანთუბანი, ტყემლოვანი, ქებაანი, ქვემო ხანდაკი, შუაუბანი, შუბათი, ჩოჩეთი, ციხისუბანი, წინარეხი, წიფორი (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930, 11-12).

1966 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, კავთისხევის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლებია: კავთისხევი (საბჭოს ცენტრი), ბოტისი, ეზატი, თვალადი, იდლეთი, ქებაანი, ქვემო ჩოჩეთი, ქვემო ხანდაკი, მირიანი (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1966, 58). ამ დროისთვის გომისჯვარი, თელათგორი, პარეტისი, საკურთხისი, წინარეხი წინარეხის სასოფლო საბჭოს მიეკუთვნება. წინარეხს მიაკუთვნეს აგრეთვე გუდალეთი, რომელიც ამჟამად კვლავ კავთისხევის შემადგენლობაში შედის. კავთისხევის თემის სოფელთა ნუსხას, როგორც ვხედავთ, დაემატა მირიანი, მეორე მხრივ, მოაკლდა ვარჯაანი, ვერხვეულა, ზვარიკოტმანი, სამტრედო, სანაანთუბანი, ტყემლოვანი, შუბათი და წიფორი, რომლებიც ამ დროისთვის უკვე ნასოფლარებია. აქვე აღვნიშნავთ, რომ იდლეთი, ადგილობრივთა ინფორმაციით, 1961 წლიდან წინარეხის თემის შემადგენლობაშია, მაგრამ სიიდან ამოღებული არ არის.

1980 წელს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში კავთისხევში შემავალ სოფლებად დასახელებულია: კავთისხევი (თემის ცენტრი), გუდალეთი, ეზატი, თვალადი, იდლეთი, ქებაანი, ქვემო ჩოჩეთი, ქვემო ხანდაკი, წიფორი (ქსე, 1980, 298). ამ შემთხვევაში სიიდან ამორიცხულია მირიანი და ბოტისი (ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, როგორც ნასოფლარი)[5]. მეორე მხრივ, მოხსენიებულია ნასოფლარი წიფორი (1966 წელს ამორიცხული სიიდან), ამასთანავე, დამატებული, უფრო სწორად, დაბრუნებულია სოფ. გუდალეთი. იდლეთი კვლავ კავთისხევის შემადგენლობაში სახელდება.

---

[5] ბოტისი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მიხედვით, წინარეხის თემში შედის (სძა, 1990, 212), კავთისხევის მოსახლეობისა და კავთისხევის ტერიტორიულ ორგანოში კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის ინფორმაციით, კავთისხევის კუთვნილებაა.

2002 წლის საქართველოს მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგებში კავთისხევის თემის საკრებულოზე დაქვემდებარებულ ტერიტორიებად დასახელებულია სოფლები: კავთისხევი (თემის ცენტრი), გუდალეთი, ეზატი, თვალადი, მირიანი, ქებაანი, ქვემო ჩოჩეთი, ქვემო ხანდაკი, ნიფორი (1966 წლის სიიდან ამოღებულია იდლეთი და დამატებულია მირიანი).

კავთისხევის თემში შემავალი ტერიტორიების სტატუსთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიები არსებობს: 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფაში აღრიცხულია 26 ერთეული (სავარაუდოდ, სოფლებად მიჩნეული). ამათგან სოფ. კავთისხევთან მითითებულია – ციხისუბნის ნაწილი, თუმცა ციხისუბანი ცალკეც არის გატანილი, ცალკეა ბარდაანთუბანი და შუაუბანიც (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930, 11-12). დანარჩენ შემთხვევებში, როგორც ვნახეთ, გამოყოფილია სოფ. კავთისხევი, თემის ცენტრი, არაფერია აღნიშნული ციხისუბნის, შუაუბნისა თუ ბარდაანთუბნის შესახებ. ერთ-ერთი მოსაზრებით, კავთისხევი რამდენიმე სოფლისა და უბნის გაერთიანებისგან შედგება. ეს უბნებია: ციხისუბანი, შუაუბანი, თხინვალიაანთ უბანი (ტოპ. ლექს., 2013, 265).

კავთისხევის ტერიტორიულ ორგანოში კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის, მ. კელაპტრიშვილის, ინფორმაციით: „დღესდღეობით როგორც სოფლები ფინანსდება არა მხოლოდ გუდალეთი, ეზატი, თვალადი, მირიანი, ქვემო ჩოჩეთი, ქვემო ხანდაკი, არამედ შუაუბანი და ციხისუბანიც, აგრეთვე – კარიერი. მართალია, ამ უკანასკნელს სოფლის სტატუსი ჯერ არ აქვს, მაგრამ უკვე შეტანილია განცხადება: უნდათ სოფელს ხევისძირი დაარქვან. ცალკე დასახლებაა და დაფინანსებაც მოსდის როგორც სოფელს. ამდენად, ცხრა სოფლად იწერება, მაგრამ ცენტრი არის ციხისუბანი, რომელსაც ადგილობრივები კავთისხევად მოიხსენიებენ“.

როგორც ვხედავთ, ერთ შემთხვევაში თემის ცენტრად ითვლება სოფ. კავთისხევი, შესაბამისად, შუაუბანი და ციხისუბანი (აგრეთვე ბარდაანთ და თხინვალიაანთ უბნები) – მის უბნებად, მეორე შემთხვევაში ციხისუბანი, შუაუბანი, აგრეთვე ბარდაანთ და თხინვალიაანთ უბნები კავთისხევის თემში შემავალ უბნებად მოიაზრება და არა სოფ. კავთისხევის უბნებად. მესამე თვალსაზრისით, შუაუბანი და ციხისუბანი სოფლებია და ციხისუბანი – თემის ცენტრი.

აზრთა სხვადასხვაობაა ადგილობრივთა შორისაც. მანანა ქვრივიშვილისა და გერისო კელაპტრიშვილის მოსაზრებით[6], თემის საკრებულოში შემავალი სოფლებია: კავთისხევი, ქვემო ხანდაკი, გუდალეთი, მირიანი, ხოლო წიფორი, თვალადი, ეზატი, ქვემო ჩოჩეთი, ციხისუბანი, შუაუბანი კავთისხევის თემში შემავალი სოფ. კავთისხევის უბნებია.

როგორც ჰ. წიტაიშვილი აღნიშნავს: „ადგილობრივები კავთისხევში გულისხმობენ ციხისუბანს, რაც არასწორია. ციხისუბანი არის სოფელ კავთისხევის ერთ-ერთი უბანი. ადრე სოფ. კავთისხევის უბნები იყო ციხისუბანი, შუაუბანი და ქვემო ჩოჩეთი. მერე შეუერთდა თვალადი, როგორც უბანი (თვალადი ცოტა მოშორებით იყო, პატარა დასახლება. მერე მოსახლეობა გაიზარდა, შუაში რომ ცარიელი ტერიტორია იყო, დაუსახლებელი, შეივსო და ეს დასახლებული პუნქტები შეერთდა, გადაება ერთმანეთს), ხოლო გუდალეთი, ეზატი, ქვემო ხანდაკი, მირიანი კავთისხევის თემში შემავალი სოფლები იყო. მოგვიანებით, როცა დაიწყო საარჩევნო ოლქებად დაყოფა, თვალადი და ქვემო ჩოჩეთი დაწერეს სოფლებად, რაც შეცდომაა. ესენი სოფ. კავთისხევის უბნებია და არა ცალკე სოფლები. მიუხედავად იმისა, თუ როგორია ოფიციალური დაყოფა, ხალხი სოფელ კავთისხევად აღიქვამს „გადაბმულ“ ტერიტორიას: ციხისუბანს, შუაუბანს, ქვემო ჩოჩეთსა და, ხშირ შემთხვევაში, თვალადსაც, მოშორებულებს: გუდალეთს, ეზატს, ქვემო ხანდაკსა და მირიანს – თემში შემავალ სოფლებად. ყოველ შემთხვევაში, სოფ. კავთისხევს რომ ამბობენ, გულისხმობენ ციხისუბანს, შუაუბანსა და ქვემო ჩოჩეთს მაინც“.

სადავოა, აგრეთვე, თხინვალიაანთუბანი სოფ. კავთისხევის უბანია, როგორც ციხისუბანი, თუ – ციხისუბნის მიკროუბანი.

ჩვენ, კავთისხევის თემის შემადგენლობის შესახებ არსებული ოფიციალური ვერსიების გათვალისწინებით, სოფლებად განვიხილავთ როგორც გუდალეთს, ეზატს, ქვემო ხანდაკსა და მირიანს, ისე თვალადსა და ქვემო ჩოჩეთს, მით უმეტეს, რომ ისინი ადრე

---

[6] მ. ქვრივიშვილისა და გ. კელაპტრიშვილის ჩანაწერები მოგვაწოდა მ. კელაპტრიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა კავთისხევის ტერიტორიულ ორგანოში.


დამოუკიდებელი სოფლები იყო (ქსძ, 1970, 217; ქც, 4, 341; ტოპ. ლექს., 2013, 265). შუაუბანსა და ციხისუბანს, მოცულობიდან და დასახლების კომპაქტურობიდან გამომდინარე, შეიძლებოდა სოფლების სტატუსიც ჰქონოდა, მაგრამ, 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებისა და ადგილობრივთა შორის გავრცელებული მოსაზრების გათვალისწინებით, განვიხილავთ როგორც სოფელ კავთისხევის უბნებს, ხოლო თხინვალიაანთუბანს – ციხისუბნის მიკროუბნად (ამ მოსაზრების მომხრეთა უმეტესობიდან გამომდინარე). მართალია, ციხისუბანი და შუაუბანი დღესდღეობით სახელმწიფოსგან ფინანსდება როგორც სოფლები, მაგრამ ასევე ფინანსდება ე.წ. კარიერის დაჩებიც (12 კომლი ცხოვრობს), რომელსაც ოფიციალურად სოფლის სტატუსი ჯერ არ მიუღია. გარდა ამისა, როგორც წესი, თემის სახელწოდება ემთხვევა მასში შემავალი ერთ-ერთი სოფლის – თემის ცენტრის – სახელწოდებას. ამ პრინციპით, კავთისხევის თემის ცენტრი სწორედ სოფელი კავთისხევია და არა ციხისუბანი (შდრ. ისტორიულ წყაროებშიც მოიხსენიება სოფელი კავთისხევი და არა ციხისუბანი ან შუაუბანი).

რაც შეეხება წიფორსა და ქებაანს, ისინი დიდი ხანია დაიცალა, უკვე ნასოფლარებია, ისევე როგორც ბოტისი, ვარჯაანი, ვერხვეულა, ზვარიკოტმანი, სამტრედო, სანათუბანი, ტყემლუანა და შუბათი. ამათგან ქებაანი კარიერის სამტეხლო სამუშაოების გამო დაიმეწყრა, დანარჩენები მთის სოფლები იყო და უკვე XX ს-ის II ნახევარში დაიცალა, რადგან მცირერიცხოვანი მოსახლეობისთვის (მაგალითად, სამტრედოში 3 ოჯახი ცხოვრობდა, ვარჯაანი იყო ყველაზე დიდი – 15 ოჯახი ცხოვრობდა)[7] სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობების

[7] შდრ.: 1930 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ბოტისში ცხოვრობდა 11 კომლი, 69 ადამიანი (ქართველი), ვარჯაანში – 26 კომლი, 150 ადამიანი (ქართველი), ვერხვეულაში – 12 კომლი, 73 ადამიანი (ქართველი), ზვარიკოტმანში – 14 კომლი, 88 ადამიანი (ქართველი), სამტრედოში – 9 კომლი, 49 ადამიანი (ქართველი), სანაანთუბანში – 5 კომლი, 37 ადამიანი (ქართველი), ტყემლოვანში – 14 კომლი, 78 ადამიანი (ქართველი), ქებაანში – 11 კომლი, 48 ადამიანი (ქართველი), შუბათში – 13 კომლი, 70 ადამიანი (ქართველი), წიფორში – 8 კომლი, 45 ადამიანი (ქართველი) (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930, 11-12).

შექმნა ვერ მოხერხდა: არ ჰქონდათ წყალი, გზა, სამედიცინო მომსახურება, სკოლა და ა.შ. ამას დაემატა სახნავ-სათესი მიწების სიმწირე, გარდა ამისა, დიდთოვლობის დროს 3-4 თვე ბარში ვერ ჩამოდიოდნენ. ამდენად, მოსახლეობის ერთმა ნაწილმა თვითონ დატოვა მთა, უმეტესობა კი გადაასახლეს, ზოგი – რუსთავში, ზოგი – კასპში, ქსანში, ზოგიც – ახლომახლო სოფლებში (გუდალეთში, თვალადში). სამწუხაროა, მაგრამ კავთისხევის სხვა სოფლებსაც მასობრივად ტოვებს ახალგაზრდობა სამუშაო ადგილების არარსებობისა თუ საცხოვრებელი პირობების უქონლობის გამო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა გუდალეთში, რომელიც 5-ოდე კილომეტრითაა დაშორებული ეზატს, მაგრამ ძნელად სავალი გზის გამო დიდთოვლობის დროს კავშირი გაწყვეტილია სხვა სოფლებთან. გარდა ამისა, არ არის წყალი, ხელმიუწვდომელია სამედიცინო მომსახურება. სკოლა არის, მაგრამ უპირობობის გამო თითქმის დაცლილ სოფელში სულ 13 მოსწავლეა.


ქასპის მუნიციპალიტეტი
ქასპი



1 - სოფ. კავთისხევი (ციხისუბანი)
2 - სოფ. კავთისხევი (შუაუბანი)
3 - სოფ. თვალადი
4 - სოფ. ეზატი
5 - სოფ. ქვემო ჩოჩეთი
6 - სოფ. გუდალეთი
7 - სოფ. ქვემო ხანდაკი
8 - სოფ. მირიანი
9 - კარიერის დაჩები (ხეივისძირი)
10 - ნასოფლარი ქებაანი
11 - ნასოფლარი ვარჯაანი
12 - ნასოფლარი ტყემლოვანი
13 - ნასოფლარი ნიფორი
14 - ნასოფლარი ბოტისი

თავი I. ტოპონიმები

აბაზაანთ კაკლები // აბაზას კაკლები // მეტივის გორა // ოთიაანთ სასაფლაო // ქაქუცას გორა – შემაღლებული ადგილი, მიდამო, ოთიაანთ (ოთიაშვილებისა) და წივილაანთ (წივილაძეების) უბნების სასაფლაო სოფ. ეზატში, ოთიაშვილების უბანში. რესპ. ვ. ოთიაშვილი: „ქაქუცას გორას ალბათ იმიტომ უწოდებენ, რომ ვიღაც წინაპარს ერქვა ქაქუცა“. გორაზე კაკლის ხეები დგას, რომლებიც, რესპონდენტთა ვარაუდით, აბაზა მოდრეკილაძემ დარგო. აბაზა მეტივე იყო. ამიტომაც ჰქვია გორას აბაზას კაკლები და მეტივის გორა. რაც შეეხება აბაზაანთ კაკლებს, როგორც ჩანს, ეს სახელდების მეორე ეტაპია: შემდგომმა თაობებმა ეს კაკლები აღიქვეს არა როგორც აბაზას, არამედ მისი შთამომავლების – აბაზაანთ – კუთვნილი. როგორც ცნობილია, **-ან** სუფიქსი ქართული ენის დიალექტებში (ქართლურში, კახურში... გურულში, იმერულში, აჭარულში...) „დაერთვის საკუთარი სახელის ფუძეს და აღნიშნავს ოჯახს, გვარეულობას (განკუთვნებას რომელიმე ოჯახისადმი, გვარეულობისადმი): ოთარა-ან-ი... ასეთი ფორმები მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში დაირთავენ **-თ** სუფიქსს: ოთარა-ან-თ ქვრივი“ (ჯორბენაძე, 1988, 37-38).

აბაზას კაკლები – შემაღლებული ადგილი, სასაფლაო, იგივე აბაზაანთ კაკლები (ეზატი).

აბუაანთ მამულები // აბუაანთ ჭალები – ჭალა, სახნავ-სათესი მიწა, ბაღები მდ. კავთურას მარცხენა ნაპირზე, სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოსკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. ქვემო ხანდაკისკენ, კავთისხევიდან კასპისკენ მიმავალი საავტომობილო გზის აღმოსავლეთ მხარეს. ეკუთვნოდათ აბუაშვილებს, რომლებსაც სოფ. ქვემო ჩოჩეთში ცალკე უბანი არა აქვთ, ცხოვრობენ ნონიკაანთუბანში, სოფლის მთავარი გზის ორივე მხარეს, ხოლო მათი

მიწა, აბუაანთ მამულები, ჭალები, მდებარეობს სოფლის ბოლოს. აბუაანთ ჭალებშია ტონიები და შავწყალა.

აბუაანთ სასაფლაო – სოფ. ქვემო ჩოჩეთში აბუაშვილების ორი ძველი სასაფლაოა: 1. სოფლის ცენტრიდან 100-ოდე მ-ზე, აღმოსავლეთით, ნონიკაანთუბანში, აბუაანთ საყდრის ეზოში. სასაფლაოზე შემორჩენილია საფლავის ძველი ქვები მხედრული წარწერებით; ერთ-ერთი რესპონდენტის ინფორმაციით, სასაფლაოს ადრე უფრო დიდი ადგილი ეკავა, მაგრამ ტაძრის წინ გაიყვანეს გზა, რომლის ქვეშაც მოექცა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და, შესაბამისად, ძველი საფლავები; 2. შედარებით ახალი სასაფლაო, ძველი სასაფლაოს ჩრდილოეთით, დაახლოებით 300-400 მ-ის დაშორებით, კავთისხევიდან კასპისკენ მიმავალი საავტომობილო გზის დასავლეთ მხარეს, გზის პირზე. გარდა ამ ორი სასაფლაოსი, სოფელში, მუნიწყაროს თავზე, ტეტიას სერზე, სამების ტაძართან (იხ. ქვემო ჩოჩეთის სამების ეკლესია), არის შედარებით ახალი დიდი სასაფლაო, სადაც კრძალავენ აბუაშვილებსაც, ქსოვრელებსაც, ნონიკაშვილებსაც.

აბუაანთ საყდარი – პატარა საყდარი სოფ. ქვემო ჩოჩეთში, ცენტრიდან 100 მ-ზე, აღმოსავლეთით, ნონიკაანთუბანში. საყდარს აბუაანთი იმიტომ ჰქვია, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე აბუაშვილები ცხოვრობდნენ (დღემდე ცხოვრობენ) და საყდრის ეზოშიც აბუაშვილები არიან დასაფლავებულნი (იხ. აბუაანთ სასაფლაო). აბუაანთ მამულები მოშორებითაა, სოფლის ბოლოს, საყდარი და ძველი სასაფლაო კი – ცენტრში. ადგილობრივთა ინფორმაციით, აბუაანთ საყდარი ღვთისმშობლის სახელობისაა. რესპ. ც. აბუაშვილი: „აბუაანთ საყდარი ძველისძველია, V ან VII ს-ისა. დაახლოებით 1985 წელს შეკეთდა, სახურავი გაუკეთეს. ამის მერე შეაკეთეს ნონიკაანთ ეკლესია, მაგრამ ის უკეთ არის მოხატული, რადგან მხატვარი ცხოვრობს იქვე, ნონიკაშვილი“.

აბუაანთ წისქვილი – ნაწისქვილარი სოფ. ქვემო ჩოჩეთში, დიდრუზე. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „16-17 წისქვილი იდგა ადრე. წისქვილების კვალი აღარ ჩანს, მაგრამ ადგილებს წისქვილების მფლობელთა სახელები შერჩა“.

აბუაანთ ჭალები – ჭალა, სახნავ-სათესი მიწა, ბაღები, იგივე აბუაანთ მამულები (ქვემო ჩოჩეთი).

აბულაანთ სასაფლაო // მახარიაანთ გორა // მახარიაანთ სასაფლაო – აბულაძეების სასაფლაო სოფ. ეზატში, ჩივაანთუბნის აღმოსავლეთით. რესპ. თ. კერესელიძე: „ჩივაანთუბანში ამჟამად ძირი-

თადად აბულაძეები ცხოვრობენ, ამიტომ აბულაანთუბანსაც ეძახიან, მაგრამ აბულაძეების სასაფლაო ჩივაანთუბნის აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორიაზეა, მახარიაანთ გორაზე, და არა შიგ უბანში. უბანში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ძველ ეკლესიასთან, მდებარე სასაფლაო ჯაჯანაშვილებისაა, რომლებიც ამ სოფელში ადრე ცხოვრობდნენ (იხ. ჯაჯანაანთ სასაფლაო). აბულაძეების ერთ შტოს ეძახდნენ მახარიაანთ, ალბათ, წინაპრის სახელიდან, მახარედან, გამომდინარე. აქედან მოდის სახელწოდება მახარაანთ გორა".

აბულაანთუბანი // აბულაანი // ჩივაანთუბანი – უბანი სოფ. ეზატში, ჩრდილო-აღმოსავლეთით. ადრე ჩივაძეები ცხოვრობდნენ, მაგრამ გადასახლდნენ (უმეტესად – თბილისში), თუმცა მათი სახლები ახლაც დგას. ამჟამად უბნის მცხოვრებთა დიდი ნაწილი აბულაძეა, ამიტომ აბულაანთუბანსაც უწოდებენ ხოლმე (უმეტესად ახალგაზრდები). რესპონდენტთა ინფორმაციით, XVII-XVIII სს-ში ამ უბანში ცხოვრობდნენ აზნაურები: ჯაჯანაშვილები და ჩივაძეები. რესპ. თ. კერესელიძე: „ჯაჯანაშვილები უფრო მეტნი იყვნენ, მაგრამ უბანს ჩივაძეებისა დაერქვა, ალბათ, უფრო სახელოვანნი, დაწინაურებულნი იყვნენ".

აბულაანი – უბანი, იგივე აბულაანთუბანი (ეზატი).

აგურხანა – საძოვარი სოფ. ქვემო ხანდაკის სამხრეთით, მდ. კავთურას მაჯვენა ნაპირზე, კლდეების პირას (კლდეების სახელი რესპონდენტთათვის უცნობია). რესპ. მ. მამულაშვილი: „ამბობენ, რომ ადრე ამ ტერიტორიაზე აგურს ამზადებდნენ. აგურის საჭრელი პრიმიტიული მოწყობილობა ჰქონდათ. თუმცა არანაირი კვალი არ არის. ან წინაპრების გადმოცემაა, ან სახელიდან გამომდინარე ფიქრობენ ასე". აგურხანა ქართულში ეწოდებოდა აგურის გამოსაწვავ ქარხანას (შდრ. ხანა (ხანისა) (სპარს. ხანე) – სახლი, შენობა) (ქეგლი, I, 108). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სოფ. ქვემო ხანდაკის სიახლოვეს (ისევე, როგორც მთელი კავთისხევის ტერიტორიაზე) მრავალი ნამოსახლარია, სადაც არქეოლოგებმა სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვა ნაგებობის კვალი აღმოაჩნეს, გამორიცხული არაა, ამ ადგილზეც ოდესღაც აგურის ქარხანა ან თუნდაც აგურის დასამზადებელი პრიმიტიული ნაგებობა // მოწყობილობა მდგარიყო.

აგურხანები – წყლისპირი, საბანაო სოფ. ქვემო ხანდაკში, მდ. კავთურას მარჯვენა ნაპირზე, აგურხანასთან.

ადამაანთ ნაწისქვილარი // ადამაანთ წისქვილი – ნაწისქვილარი სოფ. ქვემო ხანდაკის დასაწყისში, სამხრეთ-დასავლეთით, მდ. კავთურას რუზე, სამძივეებთან. რესპ. მ. მამულაშვილი: „ადამაშვილებს ეკუთვნოდათ ეს წისქვილი, თუ სწორად მახსოვს, კოტე ადამაშვილის იყო. დღეს იქ აღარაფერია“.

ადამაანთ წისქვილი – ნაწისქვილარი, იგივე ადამაანთ ნაწისქვილარი (ქვემო ხანდაკი).

ადამას ჭალა – ჭალა სოფ. კავთისხევში, შუაუბანში, მდ. კავთურას მარჯვენა მხარეს, მონასელიაანთუბნის გაგრძელებაზე, ჩაჩქანის (იხ. ჩაჩქანა) ბოლოს. რესპ. ა. მონასელიძე: „კავთურას პირზეა, სადაც საქონლის საყარი იყო. ბევრი კაკალი იდგა იქ. ფართობი, ფაქტობრივად, მონასელიძეებისაა. ადრე კანდელაკებს ეკუთვნოდათ. ადამა კანდელაკი იყო ნაკვეთის პატრონი. ადამას ჭალა, ჩაჩქანები, მონასელიძეების სახნავები მონასელიაანთუბნისაა, კანდელაკები მოშორებით, შუაუბნის ცენტრში, ცხოვრობენ, ეს მიწები აღებული ან შესყიდული ჰქონდათ“.

აკაანთ წისქვილები – ნაწისქვილარი სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთ მდინარეზე (იხ. გუდალურა, დიდი გუდალურა). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „წისქვილები ამ გუდალურაზე იდგა, ამ წყლით მუშაობდა. აკა რქმევია მოხუცებულ კაცს, ეს წისქვილები მისი და მისი ოჯახისა იყო. მგონი, დიდი სამთიულოდან, არაგვის ხეობიდან, იყვნენ გადმოსული, წიკლაურები იყვნენ ან ბექაურები. ეს წისქვილები პატარა იყო, ძალიან პრიმიტიული, ცოტას ფქვავდა, ერთი ქვა ბრუნავდა მხოლოდ და ამიტომ ორი ან მეტი წისქვილი ჰქონდათ“.

აკლდამა // აკლდამები – კავთისხევის აკლდამა[1], მდებარეობს შუაუბანში, მდ. კავთურას მარჯვენა ნაპირზე, მონასელიაანთუბნის ბოლოს, ჩრდილოეთ მხარეს, თამარ დედოფლის გორაზე. თარიღდება XVI-XVIII სს-ით. აღმოაჩინეს 1963 წელს მიწის სამუშაოების დროს. აკლდამა შედგება კლდის ქვითა და ბრტყელი აგურით ნაგები საკნისა და დრომოსისაგან[2]. დრომოსი საკანს უკავშირდება აღმოსავლეთიდან ისრულთაღიანი შესასვლელი-

---

[1] **აკლდამა** – ქვითკირის სამარე, რომელშიც მარხავენ მიცვალებულს (ქეგლი, I, 247).

[2] **დრომოსი** (ბერძნული Δρόμος „გზა, გასასვლელი“) – აკლდამის ან ყორღანის სამარხი საკნისკენ მიმავალი გზა, დერეფანი, ჰორიზონტალური ან დამრეცი, შეიძლება ჰქონდეს საფეხურები.

თა და ოთხსაფეხურიანი კიბით. ოთხკუთხა საკანს მრგვალგუმბათოვანი გადახურვა აქვს. გუმბათს ზემოდან ადევს ფილაქვები, შემდეგ ქვის გროვა და მიწაყრილი. საკნის სამხრეთ და დასავლეთ კედლების ზედა ნაწილებში დაყოლებულია თიხის მილები, რომელთა დანიშნულება გაურკვეველია. აკლდამაში არეულად ეყარა ადამიანის ძვლები, რაც იმას ადასტურებს, რომ იგი ადრევე გაუძარცვავთ (ჯორბენაძე, 1970, 68-71; სძა, 1990, 137). რესპ. ა. მონასელიძე: „ეს აკლდამა აგურით იყო აშენებული. შიგ უბანშივეა, თამარ დედოფლის გორაზე, თამარ მეფის სამარხებსაც ვეძახით".

აკლდამები – იგივე აკლდამა (შუაუბანი).

ანანაგორა // ანანას გორა – 12 მ სიმაღლის ყორღანისებური ბორცვი კავთისხევის დასავლეთით, სოფ. ეზატისკენ. რესპ. თ. კერესელიძე: „შუაუბნის მიმდებარე ტერიტორიაზეა, დასავლეთით, ეზატის და შუაუბნის საზღვარზე, კავთისხევის ელექტროქვესადგურის გვერდით". „გადმოცემით, ეს არის დაღესტნელებთან ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა სასაფლაო... გორაკი პირდაპირ გასცქერის ძლევის ქედს, სადაც ეს მეომრები დახოცილან. მათი საფლავის ქვაფიქალები ახლაც მოჩანს... აქვე მიმოფანტულია ადამიანის ჩონჩხის ნაწილები, ნივთები არ აღმოჩენილა. ეტყობა, დასაფლავება გვიანი დროისაა, დაახლოებით, XVI-XVII საუკუნეებისა... ანანა შეიძლება იყოს სარდლის სახელი, რომელიც მეომრებთან ერთად აქვე უნდა იყოს დასაფლავებული" (მაკალათია, 1960, 14).

ანანას გორა – ყორღანისებური ბორცვი, იგივე ანანაგორა (ეზატი).

ანტონას ნაკაფი – საძოვარი სოფ. გუდალეთში, მოდრეკილაანთუბანში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „სახნავ-სათესი მიწა ნაკლები იყო და მოდრეკილაანთ (მოდრეკილაძე) ანტონამ ნელ-ნელა გაკაფა მოდრეკილაანთუბნის მიმდებარე ტყე, ამოძირკვა ჯაგნარი და დაეუფლა იმ მიწას, დათესა კარტოფილი, ქერი. ახლა აღარავინ უვლის, ისევ გატყევდა".

ანტონას საყდარი // ტონია // ტონიის საყდარი // ხუციაანთ საყდარი – საყდარი სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოსკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. კავთურას მარცხენა სანაპიროზე, კავთისხევიდან კასპისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა, აღმოსავლეთ, მხარეს, ტონიაზე (იხ. ტონია). რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „ხუციშვილებს, ჩოჩეთის მკვიდრებს, აქვთ იქ მამულები (თავად ზემოთ ცხოვრობენ, შიგ სოფელში, ხუციაანთუბანში) და ძველად

საყდარიც ჰქონიათ. ანტონა იყო ხუციშვილი, ის იყო უხუცესი ჩემს დროს. ტონიას ეძახიან მიწას, რომელზეც ეს საყდარი დგას. ამიტომ აქ მდგომ ეკლესიას ტონიასაც ეძახიან (სახელი ტონია ანტონასთან არ არის დაკავშირებული). დანგრეული იყო და ახლა შეაკეთეს ბიჭებმა უფაში მოკლული ერთი ბიჭის სახელზე. იქ წყაროც არის“ (იხ. ანტონას წყარო).

ანტონას წყარო // ტონიის წყარო // ტონიიწყარო – წყარო სოფ. ქვემო ჩოჩეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. კავთურას მარცხენა სანაპიროზე, ანტონას საყდართან. საქეიფო ადგილია.

არწივის გორა – გორა, ვენახი შუაუბნისა და სოფ. ეზატის საზღვართან, სერების დასავლეთ მხარეს. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „არ ვიცი, რატომ ჰქვია არწივის გორა, შესაძლებელია, არწივი შენიშნეს იქ. ანანას გორიდან არწივის გორა დაცილებულია 200-ოდე მ-ით. რაკი ანანას გორაზე ბრძოლა იყო ლეკებთან, არწივის გორაზეც იქნებოდა. მებრძოლ ბიჭებს ძველად არწივებს ეძახდნენ, შეიძლება აქ დაიღუპნენ მამაცი ქართველები, არწივივით ბიჭები და არწივის გორა დაარქვეს“. რესპ. ა. მონასელიძე: „არწივის გორას ეძახიან მამა-პაპიდანვე მაგ ადგილს. ალბათ, არწივი ბუდობდა და იმიტომ დაარქვეს, ისე არ დაარქმევდნენ“. რესპ. თ. კერესელიძე: „ახლა არწივები აქ არ არიან, იქნებ ძველად იყვნენ და იქ სხდებოდნენ“.

აქვსენტაანთთავები // აქვსუნტასეულები – აქვსენტაანთ კუთვნილი სახნავები, საძოვრები სოფ. გუდალეთის სამხრეთით. აქვსენტაანი აქვსენტი წიკლაურის შთამომავალთა ჯგუფური მეტსახელი, ანუ შტოგვარია. ეს მამულები აქვსენტაანთუბნის ზევით არის, სოფლის თავზე, ამიტომ ჰქვია აქვსენტაანთთავები. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ერთი ტერიტორიაა და, წესით, თავი უნდა ერქვას და არა თავები“. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „სოფლის მამულები რომ დავყავით (თვითონ მე ვიყავი მაგ საქმეზე), ამ დასაყოფი ტერიტორიის თავი იქიდან არის, სოფლის სამხრეთით“.

აქვსენტაანთუბანი – მიკროუბანი სოფ. გუდალეთში, ეკუთვნის მოდრეკილაანთუბანს, მისი გაგრძელებაა. სახლობენ აქვსენტაანი, რომლებიც ჩამოსახლდნენ ვარჯაანიდან (ამჟამად ნასოფლარია). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „აქვსენტა წიკლაურს 3-4 ბიჭი ჰყავდა. აქვსენტაანი მოდრეკილაანთუბანს უერთდებიან, ძაან ცალკე არა ცხოვრობენ, მაგრამ, როგორც ჩამოსახლებულები, ამ ადგილზე, ოდნავ მოშორებით, სახლობენ ყველანი“.

აქვსუნტასეულები – სახნავები, საძოვრები, იგივე აქვსენტაანთთავები (გუდალეთი).

აღაპიაანთუბანი // აღაპიაანი – მიკროუბანი შუაუბანში. მდებარეობს კვესიაანთუბნის ჩრდილოეთით, კვესიაანთ და მორჩლაძეების უბნებს შორის. ცხოვრობენ აღაპიშვილები.

აღაპიაანი – უბანი, იგივე აღაპიაანთუბანი (შუაუბანი).

ახალნატეხი – ნაკვეთი სოფ. გუდალეთში, სოფლის სამხრეთ მხარეს, ქსილისის მთის ძირში. რესპ. ვ. ყველაშვილი: „ჩემს ხსოვნაში გატყდა ეს ნაკვეთი, ვესწრებოდი იქ, ტყე იყო და გატეხა კოლექტივმა, გაკაფა და ახალი მიწა გამოჩნდა, გამრათავისუფლეს დასამუშავებლად“.

ახალშენი // მთიულთუბანი // იმერლიაანი – დასახლებული უბანი, ახალი დასახლება შუაუბანში, იგივე მთიულთუბანი[3], პაპიაანთ და შაყულაანთუბნების დასავლეთით მიმდებარე ტერიტორია. ადრე სახნავ-სათესი მიწა იყო, რომლის ნაწილი ეკუთვნოდათ იმერეთიდან ჩამოსახლებულ ვეფხვაძეებს. ამჟამად ცხოვრობენ მთიელები: ბექაურები, ბურდულები, ქავთარაძეები და სხვ. რესპ. ა. მონასელიძე: „კავთის ეკლესიის ხელმარჯვნივ, ჩრდილოეთ მხარეს, ეგ მთის ხალხია დასახლებული, მთიულთუბანია. 50 წელზე მეტია ჩამოასახლეს. მაგ ადგილებს გვიან შეერქვა მთიულთუბანი, თავიდან იმერლიაანებს ეძახდნენ. შაყულაანთუბანში ცხოვრობდნენ ვეფხვაძეები, შთამომავლები იმერეთიდან ჩამოსახლებული ორი ძმისა. ერთ-ერთ ძმას აქაური ცოლი ჰყავდა, შაყულაშვილის ქალი. მათ ეკუთვნოდათ ეს მიწები. მარტო ამ ორ ძმას, ორ ოჯახს, კი არ ეკუთვნოდა, სხვადასხვა გვარის ხალხს ჰქონდა, შაყულაშვილებიც იყვნენ, პაპიაშვილებიც, მაგრამ იმერლიაანი, ანუ იმერელთა კუთვნილი, დაერქვა. ამ იმერლიაანთ მიწებზეა ახლა მთიულთუბანი“. რესპ. გ. შაყულაშვილი: „შაყულაანთუბნის მთიულთუბანში ამჟამად სულ 4-5 ოჯახი ცხოვრობს. ჩვენ დავარქვით მთიულთუბანი, მაგრამ მთიულები კი არ ჩამოსახლდნენ, არამედ ჩვენი, კავთისხევისავე, მთის ხალხი, მთიელები“. რესპ. ი. მელიქიშვილი: „შუაუბნის მთიულთუბანში ჩამოსახლდნენ მხოლოდ ბოტისელები: ქავთარაძეები, ბურდულები...“.

---

[3] ისტორიული მთიულთუბანი სოფელია კასპის მუნიციპალიტეტის ახალციხის თემში.

ახაშნიხევი // ახაშნისხევი – ხევი ნოსტე[4]-მთიულთუბანსა და სოფ. თვალადს შორის, რესპ. თ კერესელიძე: „ხევის დასაწყისი ნოსტეშია, ბოლო – თვალადის მიწებზე“. ჰ. წიტაიშვილი „სოფელი ახაშენი საქართველოში ცნობილია (კახეთში), ალბათ სადაც სათავეს იღებს ეს ხევი ან სადაც გამოივლის, იმ ადგილსაც ახაშენი ჰქვია“.

ახაშნისხევი – ხევი, იგივე ახაშნიხევი (ეზატი, თვალადი).

ახოლციხე // ახოციხე – ტყე, ხევი სოფ. გუდალეთში, მოდრეკილაანთუბნის სამხრეთით, ქსილისის მთის გასწვრივ. ადრე სოფ. ვარჯაანს ეკუთვნოდა, ახლა – გუდალეთს. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ტყე იყო მაღალი და ახოლი, შეიძლება ციხეც იყო პატარა ოდესღაც. გუდალურას შუაწელს ზემოთ ვარჯაანის მამულები იწყება, დიდი მამულებია. ამ მამულებს მთის ხალხი თვითონვე კაფავდა, რომ დაეთესა, რაღაც მოეყვანა. ხევში, სადაც ეს ტყეა, ნაწისქვილარიც არის, წყალი გამოდის ვარჯაანიდან და უერთდება ამ გუდალურას. პატარა ხეობაა. ახლა მოდრეკილაანთუბნის ტყეა“. რესპ. ვ. ყველაშვილი: „მამული იყო დიდი, სახნავი იყო, ვარჯაანი ხმარობდა მაგას, ციხეები იქ არ არის“. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ახოლციხე ტყეა, გუდალეთის ზემოდან არის, ბატონებისა იყო. ჩვენც გვქონდა ტყე, პაპაჩემმა გაყიდა. როცა მამულების ჩამორთმევა იყო, ვინც მოასწრო, გაყიდა, ვინც ვერა – დარჩა მთავრობას. ტერიტორიულად გუდალეთს ეკუთვნის“. სიტყვა ახოლი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა (ქეგლი) და ქართლური დილექტის ლექსიკონში (დიალექ. ლექს., 1981) არ არის შეტანილი. რესპ. ბ. თაგვიაშვილის განმარტებით: „ახოლია, ძალიან რომ არის შებუჩქებული და აყრილი“.

ახოციხე – ტყე, ხევი, იგივე ახოლციხე (გუდალეთი).

ბაგები – ვენახები შუაუბანში, სერების სამხრეთ მხარეს მიმდებარე ტერიტორია, მოდიოდა ჩინური და საფერავი (იხ. სერები). სიტყვა „ბაგას“ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის ნიშნავს ახალ, ახლად ჩაყრილ, ვენახს (ქეგლი, I).

ბალაანთ ნაკაფი – ტყე სოფ. გუდალეთის აღმოსავლეთით, ხოკერაანთუბანში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ბალაანი ხოკერაშვილები არიან, მათი ერთ-ერთი შტოგვარია. ბალა (ნამდვილი სა-

[4] **ნოსტე** – ისტორიული სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში, ახალციხის თემში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე (ქსე, 1984, 481).

ხელია და არა მეტსახელი) ერქვა მათ წინაპარს. მოხუცებული კაცი იყო, მამისტოლა. ეს ტყე გაკაფეს და ადგილი, რომელიც გამოათავისუფლეს სათესად, ბალაანთ ეკუთვნოდათ. აქ ორი კოლმეურნეობა იყო: ჩვენ, თაგვიაშვილები, ცალკე ვიყავით, მოდრეკილაძეები და ხოკერაშვილები – ცალკე. მერე შევერთდით და მეურნეობასთან შეგვაერთეს 1961 წელს, 21 კოლექტივი გაერთიანდა ერთ მეურნეობაში".

ბალაანთ მიწები // ბალაანი – ბალაანთ (ბალა ხოკერაშვილის შთამომავლების) კუთვნილი მიწა, ნაკვეთები სოფ. გუდალეთის ჩრდილოეთით, კატრების მხარეს, მექანარიაანთ მიწების ზემოთ მიმდებარე ტერიტორია.

ბალაანი – ნაკვეთები, იგივე ბალაანთ მიწები (გუდალეთი).

ბალებისხევი // ბალებიხევი – ხევი სოფ. ქვემო ჩოჩეთში, გადის ციხიაგორის ძირში. ციხიაგორიდან, გიგოლაანთხევიდან, ჩამოდის წყალი და ჩაივლის ბალებისხევში. ამ ხევში ბევრი ბალი იყო გაშენებული, ამიტომ დაარქვეს ბალებისხევი.

ბალებიხევი – ხევი, იგივე ბალებისხევი (ქვემო ჩოჩეთი).

ბალიასეულები – სახნავ-სათესი მიწა სოფ. გუდალეთის სამხრეთით, თაგვიაანთუბნის სამხრეთ მხარეს. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „თავის დროზე ბალიასი იყო, თაგვიაშვილების წინაპრისა. ახლა ხალხს დაუნაწილეს".

ბარდაანთუბანი // ბარდაანი – უბანი ციხისუბანში, სამხრეთით, ცენტრალური (გორი-თბილისის) გზის სამხრეთით, მდ. კავთურას მარცხენა მხარეს. ძირითადად ცხოვრობენ ბარდაძეები, ანუ ბარდაანი.

ბარდაანი – უბანი, იგივე ბარდაანთუბანი (ციხისუბანი).

ბარკალას სკოლა – დაწყებითი სკოლა შუაუბანში, მორჩილაძეებისა და აღაპიშვილების მიკროუბნების დასავლეთით. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „სკოლა დაარსდა, დაახლოებით, XIX ს-ის 90-იან წლებში. ამ სკოლის პედაგოგ თ. კვესიაშვილის გადმოცემით, პირველი მასწავლებელი იყო გიორგი ლომიძე. ბარკალას სკოლა იმიტომ დაერქვა, რომ აქ დიდხანს მოღვაწეობდა საფრანგეთიდან ჩამოსული და-ძმა – ნუჩია და ვანო (ივანე) ბარკალაიები. ისინი ასწავლიდნენ დაწყებით კლასებში. ცხოვრობდნენ სკოლის შენობაში. დიდი წვლილი მიუძღვით კავთისხევის საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამ სკოლაში მოღვაწეობდნენ: დიმიტრი ჯობაძე, ქეთევან დედა-

ნაშვილი, თამარ კვესიაშვილი, თამარ მორჩილაძე და სხვ. შემდგომში სკოლა შეუერთდა კავთისხევის საშუალო სკოლას, შენობა კი გადაეცა საქართველოს არქეოლოგიურ საზოგადოებას, რომელმაც გახსნა არქეოლოგიური ცენტრი. გადმოცემით, ბარკალაიები განისვენებენ თხინვალიაანთ სასაფლაოზე".

ბაღდოს წყარო // ბაღდუაანთ წყარო – წყარო სოფ. ეზატში, ჩივაანთ (ჩივაძეების) უბანში, ბაღდო (გრიგოლ) კერესელიძის (ამჟამად – მისი შვილიშვილის, თამაზ კერესელიძის) სახლის წინ, მოპირდაპირე მხარეს. ბაღდო კერესელიძეს მონაწილეობა მიუღია წყაროს გამოყვანა-მოპირკეთებაში, სწორედ ამის გამო შეარქვეს ბაღდოს წყარო. შემდგომში, რაკი წყარო მისი შთამომავლების (ბაღდუაანთ) სახლის წინ იყო, შეერქვა ბაღდუაანთ წყარო (სახელდების მეორე ეტაპი). წყარო ამჟამად დამშრალია.

ბაღდუაანთ წყარო – წყარო, იგივე ბაღდოს წყარო (ეზატი).

ბეჟანიაანთ სახლი – ბეჟანიაანთ ნასახლარი ქვემო შუბათში, მთაზე. ბეჟანიაანი ნიკალურების შტოგვარია. შუბათში ცხოვრობდნენ და გადასახლდნენ სოფ. გუდალეთში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ბეჟანი იყო ნიკლაურების წინაპარი, შეძლებული კაცი. სახლი ქვემო შუბათშია. ახლა იქ აღარავინაა, ჩვენთან გადმოსახლდნენ შუბათელები".

ბეჟანიაანთყელები – საძოვარი ქვემო შუბათში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ბეჟანიაანთყელები არის ადგილი, საიდანაც ბეჟანიაანი (ნიკლაურები) გადმოვიდნენ. უხმარას ეძახდნენ, უხმარაში ცხოვრობდნენ ეგენი, შუბათში, და ის ყელები არის მაგათი სახელისა". რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „შუბათში მაღალი აღმართია, ასასვლელი გზაც არის. აღმართის ბოლოს არის ეს ტერიტორია, ამიტომ დაერქვა ბეჟანიაანთყელები (ყელი დასაწყისია, ფაქტობრივად)".

ბერიწყარო – წყარო და ადგილი სოფ. გუდალეთის ჩრდილოეთით, თაგვიაანთ მამულების ბოლოში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „სანამ გუდალეთში შევიდოდეთ, მამულები, სადაც ეს წყაროა, ყოფილა ბერებისა. ეს თაგვიაანთუბანი ყოფილა საბატონო და საეკლესიო. საეკლესიოში იყო ეგ მოყოლილი და ბერები ფლობდნენ. დღესაც ვეძახით ბერიწყაროს".

ბერუკაანთ მიწები – წივილაანთუბნის ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორია სოფ. ეზატში. მიწა ეკუთვნოდათ ბერუკაანთ, ოთიაშვილების ერთ-ერთი შტოგვარის წარმომადგენლებს.

ბერუკაანთ წყარო – წყარო სოფ. ეზატში. რესპ. ვ. ოთიაშვილი: „სუფთა სასმელი წყალია, უმარილო. გამოდის ოთიაანთუბანში, ბერუკაანთ (ოთიაშვილების) სახლის წინ, და გადის რაზმაძეების ეზოში, ჩაივლის ჩიტუნაანთ გორის წინ".

ბესას ფარეხი – გორა შუაუბანში, სერების თავზე, სამხრეთის მხარეს. რესპ. გ. შაყულაშვილი: „ამ გორაზე ბესას, კოლმეურნეობის მეცხვარეს, შაყულაანთუბნის (შუაუბანი) მცხოვრებს, ჰქონდა ფარეხი. ჰპატრონობდა შაყულაანთ კოლმეურნეობის ცხვარს, პარსავდა, უვლიდა".

ბოსლები – 1. ჩივაძისეული ბოსლები, ადგილი სოფ. ეზატის ცენტრში, ჩივაძის წყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე. რესპ. თ. კერესელიძის ინფორმაციით, 1960-1962 წლებში კავთისხევის ტერიტორიაზე 6 კოლმეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა ერთი საბჭოთა მეურნეობა. ამ პერიოდში აშენდა სოფელ ეზატის ცენტრში პირუტყვის 4 სადგომი (ბოსლები). 3 დაინგრა 1997 წელს, მეურნეობის დაშლის შემდეგ (მეურნეობა ამ დრომდე შენარჩუნდა), ერთი კერძო მფლობელობაში გადავიდა. დარჩა ნაბოსლარი ადგილები. ეს ადგილები ადრე ეკუთვნოდა გიორგი ჩივაძეს; 2. ადგილი კარიერის დაჩების სამხრეთით. თავის დროზე იყო მეურნეობის ბოსლები.

ბოსტნები – სანერგე სოფ. ქვემო ხანდაკის აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. პატარ-პატარა ნაკვეთები (დაახლოებით – 5 X 100 მ) იყო განაწილებული სოფლის მოსახლეობაზე და მოჰყავდათ ბოსტნეული. მტკვრის ლამის გამო ძალიან ნაყოფიერი მიწა იყო და ბოსტნეული კარგად მოდიოდა.

ბოტისი – ნასოფლარი, საძოვარი, ტყე ბოტისის მთის ძირში, სოფ. გუდალეთის სამხრეთით, ახალქალაქის[5] აღმოსავლეთით, მდ. კავთურას პირზე. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ნასოფლარ შუბათის დაბლაა, ხეობაში. მთის პატარა სოფელი იყო, სულ – 10-12 კომლი. ახლა აღარავინ ცხოვრობს. ხალხი ჩამოსახლდა კავთისხევში, იქ კი საძოვარია და პირუტყვს აზამთრებენ". რესპ. ვ. ყველაშვილი: „ახლა იქ ორი მამაკაცია, საქონელი ჰყავთ, თვითონ შუაუბანში და ციხისუბანში ცხოვრობენ". რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „სოფელი

---

[5] **ახალქალაქი** (ყოფილი წითელქალაქი) – სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. თეძმის მარჯვენა მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ახალსოფელი, გარიყულა, გოსტიბე, ერთაწმინდა, ზემო ჩორეთი, თეძმისხევი, კაპრაშიანი, ჩაჩუბეთი) (ქსე, 1977, 96).

მთის ძირში დგას. როდესაც კოლმეურნეობები შეერთდა, ბოტისი შეუერთდა თვალადს და მერე თვალადი და კავთისხევი ერთიანი მეურნეობა იყო. ახლა უფრო თვალადისაა, როგორც შუბათი – გუდალეთისა. ცალკე კოლექტივები რომ იყო, მაშინ შუბათი, ბოტისი, პარატისი, ტყემლუანა ცალ-ცალკე იყო, მაგრამ მერე ზემო და ქვემო შუბათი შეუერთდა გუდალეთს, ბოტისი – თვალადს". რესპ. ი. მელიქიშვილი: „ბოტისის ჩამოსახლება კარგად მახსოვს. პირველ კლასში ვიყავი, რომ გადმოვედით. დიდი სოფელი იყო. ღვთისმშობელი იყო ჩემი სახლის უკან და სასაფლაო. ბოტისელები ძირითადად ჩამოსახლდნენ შუაუბნის მთიულთუბანში" (იხ. ბოტისის ღვთისმშობლის ეკლესია). 1981, 1988 წლების ჩანაწერების მიხედვით, „დაბალ ადგილას არის და ამიტომ ჰქვია ბოტისი". რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ბოტი არის მამალი თხა, შეიძლება, სადაც აძოვებდნენ, იმ ადგილებს დაერქვა ბოტისი".

ბოტისის მთა – მანგლისს და ბოტისს ბოტისის მთა ყოფს. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ზედ კავთურას პირზეა. ქსილისი აქეთ არის, წყალგამოლმა, და წყალგაღმა არის ბოტისის მთა".

ბოტისის ღვთისმშობლის ეკლესია – ეკლესია ნასოფლარ ბოტისში, თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (5,7 X 4.5 მ.), ნაგებია სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1,5-2 მ-ია. იატაკი დაფარულია ნანგრევებით, არ ჩანს გადახურვის კვალი (სძა, 1990, 212). ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე არის ნასოფლარ ბოტისის სასაფლაო, რომელიც თარიღდება XIX ს-ით და XX ს-ის დასაწყისით (იქვე).

ბრანძიაანთ ნაკვეთები – ნაკვეთები, ბაღი, სანახირო სოფ. თვალადის სამხრეთით, ვიწრო მორევთან, ელექტროსადგურს ზემოთ. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ბრანძი კაცის მეტსახელია, სულ იბღინძებოდა. ნამდვილი სახელი ბატონი ერქვა, კავთიაშვილი იყო. ეს ნაკვეთები ბრანძიაანთ ეკუთვნოდათ".

ბრილისები // ბრილისი – მთა და მასზე შეფენილი ტყე კავთისხევის სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. თვალადსა და სოფ. გუდალეთს შორის. ბრილისი ორია: დიდი და პატარა. პატარა ბრილისი კავთისხევის სამხრეთით არის, დიდი – უფრო დასავლეთით, ნოსტისკენ. პატარა ბრილისი ეკვრის სოფ. თვალადს, დიდი – ნოსტეს.

რესპ. ვ. ოთიაშვილი: „დიდბრილისი და პატარა ბრილისი ტყის სახელწოდებებია. ბრილისი ჩრდილიანს ნიშნავს". მკვლევარ გ. შაყულაშვილის მოსაზრებით, „ბრილისი" ნაგენიტივარი სახელია (როგორც, მაგ.: თბილისი, შინდისი). სიტყვა „ბრილი" ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში აღნიშნავს „ჩრდილოეთისაკენ დაქანებულ უმზეო ადგილს. მკვლევარი იმოწმებს ფორმას „ბრილვა", რომელიც მსხვილად თოვას ნიშნავს, ამასთანავე, მიუთითებს, რომ „ბრილი" გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელად გვხვდება ხაშურის, ცხინვალის, შუახევისა და ლენინგორის (ახლანდელი ახალგორის) რაიონებშიც, და ასკვნის: „... სიტყვის ცნება დაკავშირებულია სიცივესთან, უმზეო ადგილთან... ჩვენი „ბრილისიც" უმზეო, ცივი, ჩრდილიანი ადგილის აღმნიშვნელი უნდა იყოს. მართლაც, ამ სახელით ცნობილი მთა ჩრდილოეთს გასცქერის, ჩრდილოეთისკენ არის დაქანებული" (შაყულაშვილი, 1975).

ბრილისი – მთა, ტყე, იგივე ბრილისები (თვალადი, გუდალეთი).

ბრილისის არხი – XX ს-ის 60-იან წლებში, როცა მეურნეობა შეიქმნა, გაკეთდა დიდი არხი, რომელიც მიდიოდა ახლაქალაქის თავზე, შემოუვლიდა ახალციხის[6] მინდვრებს, ნოსტის მინდვრებს და გადადიოდა სოფ. ეზატში, სოფლის ჩრდილოეთით, ძლევის ქედის ეკლესიის დაბლა, გამოდიოდა ბრილისის ტყის პირას. რესპ. გ. შაყულაშვილი: „იქით რაც არის, მლაშეები და ორსაქცევები, ამ არხის ღარებიდან ჩამოსული წყლით ირწყვებოდა. ეს არხი რომ გაჩერდა, მთელი სიმძიმე დააწვა რუებს, იმიტომ არ ჰყოფნით სარწყავად" (იხ. მლაშეები; ორსაქცევა).

ბრილისის გზა – თვალად-გუდალეთის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი ბრილისის ტყეში, დუდუკის ნაკაფთან; ადის მექანარიაანთ მიწებში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „თვალადიდან, მექანარიაანთუბნიდან, როცა მივდივართ, ამ გზით ავდივართ მექანარიაანთ მიწებში, დიდ მიწებში. თეთრი გზის დაბლაა, მაგას არის მიბმული".

ბრილისის აღმართი – აღმართი ბრილისის ტყეში. ამ აღმართზე გადის თვალადი-გუდალეთის გზის მონაკვეთი (იხ. ბრილისის გზა).

ბრმა ხევი – ხევი, საძოვარი სოფ. გუდალეთის მაღლა, სამხრეთ-აღმოსავლეთით, პატარა (ქსილისის მთიდან მომდინარე) გუდალუ-

---

[6] **ახალციხე** – სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. თეძმის მარჯვენა მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: მთიულთუბანი, ნოსტე, ცხავერი) (ქსე, 1977, 100).

რას ხეობაში, წიფორის მხარეს. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „მზე არ უდგება, აქეთაც ჩრდილიანია და იქითაც, ამიტომ ვეძახით ბრმა ხევს“.

ბუჭიტას ნერგები – მიწა სოფ. თვალადში, პატარა ბრილისის მიმდებარე ტერიტორიაზე. 1981, 1988 წლების მასალები: „ხუთი ძირი უნაყოფო ხე მინდორში“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ბუჭიტა კაცის მეტსახელია, ნაცვლიშვილი იყო. ბუჭიტას წინაპრების დარგული იყო ნერგები, მაგრამ, რაკი ხალხს დაამახსოვრდა ბუჭიტა, ამ კაცის სახელი შეარქვეს“.

გაბრუშკაანი // საყვარელიძეების მიწები // შაყულაანთ კალოები – კალო შუაუბანში, შაყულაანთუბნის დასავლეთით. ეკუთვნოდა გაბრუშკა საყვარელიძეს. გაბრუშკაანი გაბრუშკას შთამომავლები არიან (შტოგვარია). რესპ. გ. შაყულაშვილი: „მდიდარი კაცი იყო გაბრიელი. გაბოს ეძახდნენ, რუსული გამოთქმით იყო გაბრუშკა. გაბრუშკაანთ ეძახდნენ მაგ კალოებს, ილეწებოდა ხორბალი. გაბრუშკაანთ მივდივარ, ნიშნავს საყვარელიძეებთან სახლში მივდივარ, გაბრუშკაანთ კალოზე მივდივარ, ე.ი. – საყვარელიძეების კალოებზე. შაყულაანთ კალოებსაც ვეძახდით“.

გაბრუშკაანთეული ხოდაბუნები – ხეხილის ბაღები სოფ. თვალადის დასავლეთით, თვალადიდან ეზატისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ოთიაანთგან რომ ბაღია, ეგენი სულ გაბრუშკაანთეულებია, საყვარელიძეებისა. მაშინ იყო ცარიელი, გაბრუშკაანთ ხელში, და კოლექტივები ხმარობდნენ სახნავ-სათესად, ახლა ნამყენები ჩაყარეს. ბაღები თვალადს ეკუთვნის, თვითონ გაბრუშკაანი ცხოვრობენ შუაუბანში, შაყულაანში“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ხოდაბუნებს ნაყოფიან მიწას ვეძახით“.

გადასხვეპილა // გადასხვეპულა – ტყე, ქედი სოფ. გუდალეთის თავზე, სამხრეთ მხარეს, გადასწვრივ, წიფორის მთის ძირში, ჩახერგილი ხევისკენ. ეკუთვნოდა წიფორს. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „გადასხვეპილა ტყიანი ქედობაა“. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ჩემი წარმოდგენით, ეს ტყე გაკაფეს, მოჭრეს და მერე აღმოცენდა“. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „როგორც წიფორის ზემოდან ნაკაფებია, ისე მანდ მოსხიპეს და მთლიანად გაანადგურეს ეს ტყე. წიფორის ზემოთ რომ გაკაფეს, ის მახსოვს, მაგრამ ამ ტყის გადასხეპას არ მოვსწრებივარ. გადასხვეპულაში ისევ ამოიყარა ხეები, აღორძინდა ტყე ბუნებრივად“.

გადასხვეპულა – ტყე, ქედი, იგივე გადასხვეპილა (გუდალეთი, წიფორი).

გადაჭიმულა – წმინდა გიორგის ეკლესიის მიწა შუაუბნის მონასელიაანთუბანში, წოწოლა გორის გადასწვრივ, ძირში, კატაულას მთის ჩრდილოეთით. რესპ. ა. მონასელიძე: „რომ გაშალო რამე და გაჭიმო, ისეთი მიწაა, დაცემული ადგილი, დიდი არ არის (დაახლოებით 2 ჰა), მაგრამ მოსწორებული ადგილია, გადატკეცილი. ძველი ხალხი იმ ადგილს ხნავდა, თესავდა“.

გადმოსაყარი // გადმოსაყრის ხევი // რიყიანის გადმოსაყარი – ხეების გადმოსაყრელი ფერდობი სოფ. გუდალეთის სამხრეთით, ქსილისის მთის ძირში, ახოლციხის ხეობაში. მოჭრილ ხეებს მიიტანდნენ ამ ფერდობამდე, გადმოყრიდნენ, აცურებდნენ და წყლამდე ჩამოდიოდა. თუ გაჩერდებოდა, თოკებს მოაბამდნენ, ეწეოდნენ და დაღმართზე ადვილად მიდიოდა. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „რიყიანი გზის ერთ მონაკვეთზე დიდი ხევი რომ ჩამოდის, უფრო სწორად, სანიალვრო, ის იყო გადმოსაყარი. იქ ხეებს გადმოყრიდნენ ხოლმე, რადგან ვერ ჩამოჰქონდათ, ციცაბო ადგილია. ადრე სამხერხაოებიც იყო იქ და მერე აკრძალეს“. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „რიყიანიდან, რიყიანი გზიდან რომ ავდივართ, გავივაკებთ თუ არა, ავალთ თუ არა სათავეში, იქვე არის გადმოსაყარი, სანამ დამთავრდება ეს რიყის გზა“ (იხ. რიყიანი; რიყიანი გზა).

გადმოსაყრის ხევი – ფერდობი, იგივე გადმოსაყარი (გუდალეთი).

გავაზური – მთა, ტყე, სათიბი სოფ. გუდალეთის სამხრეთ-დასავლეთით. მთას მრგვალი თავი აქვს. რესპ. ვ. ყველაშვილი: „გუდალურა გავაზურში იღებს სათავეს. გავაზურის იქით მხარე, დასავლეთი, გოსტიბისაა[7], მაგრამ აქეთ, აღმოსავლეთი, გავაზურისწყლის (დიდი გუდალურას) ხეობა, გუდალეთის დასავლეთით, ჩვენია, ტყემლიანისა იყო, უფრო სწორად“. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „გავაზურში ბევრი ხალხი დადის, ნავთობის ნიშნები ჩანსო, ხევია ერთ მხარეს და იქ იღვრებაო, მაგრამ, აქ რომ ნავთობი გამოჩნდეს, ამ მთის წყლის გემო გაფუჭდება. ძველები გავაზურის ხევს ნაქალაქარს ეძახდნენ – ბევრგან ქვა არის დაყრილი, შენობების ნაშალი. შემოსევებისგან შეწუხებული ხალხი გაიხიზნა აქ. ზუსტად

[7] **გოსტიბე** – სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის თემში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ მთისწინეთში. მდ. გოსტიბესწყლის ნაპირებზე (ქსე, 1977, 96).

რომელი შემოსევა იყო და რომელი საუკუნე, ვერ გეტყვით. არც ის ვიცი, რა გვარისა იყვნენ, უფრო მთის ხალხი იყო. ამ მთაზე, სადაც თავისუფალია, სათიბია ყველგან. მაგალითად, საძოვარიც და სათიბიც ამ გავაზურს, როგორც ყველა მთას, მაღლა აქვს, სადაც ტყე არ იზრდება, ალპურ ზონაში. სადაც მაღალი ბალახი ამოდის და კარგად გაითიბება ზამთრისთვის შესანახად, ეგ არის სათიბი და, სადაც პატარა ბალახი ამოდის, იქ საქონელი აჰყავთ და აძოვებენ, ეს არის საძოვარი, სადაც არ შეიძლება თივის დამზადება".

გავაზურისწყალი – მდინარე კავთისხევში (იხ. გუდალურა).

გალავანი – 1. იხ. გუდალეთის ციხე-გალავანი; 2. XVII-XVIII სს-ის გალავანი სოფ. ქვემო ხანდაკის სამხრეთ-დასავლეთით, სოფლის შესასვლელში, კავთისხევ-ხანდაკის გზის პირზე, აშენებული ციციშვილების მოურავის მიერ მდ. კავთურას ქვებით. რესპ. მ. მამულაშვილი: „ძველად ნიჩბისის, ჩოჩეთის, ქვემო ხანდაკის და სხვ. ტერიტორიები ციციშვილებს, ნიჩბისის თავადებს, ეკუთვნოდათ. თვითონ ნიჩბისში ცხოვრობდნენ და აქ წარმომადგენლად ჰყავდათ მოურავი – ჩიქოვანი (გიგა ჩიქოვანი იყო ამ გვარის ბოლო წარმომადგენელი აქ). გალავანიც ერთ-ერთი მოურავის აშენებულია. მოიცავს მთლიანობაში 6-7 ჰა ფართობს. გალავანში ჰქონდათ მარანი, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ქვევრები იყო ჩაყრილი, ჭირნახულს ინახავდნენ. საბჭოთა კავშირის დროს სკოლა ააშენეს დროებით".

განიგზები – მონაკვეთი გზისა, რომელიც ჩამოდის საქორიოს ტყიდან, სოფ. გუდალეთში აუვლის ხოკერაანთუბანს და მიდის დიდველებისკენ. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „წიფორის ქვემოდან რომ ტყე არის, საქორიო, იქიდან ჩამოდის გზა, გუდალეთის მხრიდან. ვიწრო მორევს რომ ეძახიან, წყლიდან რომ გახვალ გაღმა, მანდ არის განიგზების მონაკვეთი. თვალადიდან როცა მიდიხარ საქორიოს ტყისკენ, გზები ადის მექანარიაანთ მიწების დასაწყისამდე, სანაღარომდე, მერე გადაუხვევს და ხოკერაანთუბანს აუვლის გუდალეთში. ჯერ ვიწრო გზები ადის და რომ ახვალ, განიერდება და დიდველებს უერთდება. განიგზა სწორედ ეს პატარა, განიერი მონაკვეთია გზისა". რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „განიგზების გარდა, თვალადიდან სხვა გზებიც ადის დიდველებზე, წვრილ-წვრილი გზები, სამი მაინც. წინარეხიდანაც ადის გზა".

გაღმა-გამოღმა მზვარიანი // მზვარიანი // ნატუსები – ტყე სოფ. გუდალეთის სამხრეთით, ხოკერაანთ (ხოკერაშვილების) უბნის თავზე, პატარა გუდალურას (ხოკერაანთ მდინარის) ორივე მხარეს. „მზვარიანი“, ანუ მზიანი ადგილია. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „გამოღმაც მზვარიანია და გაღმაც“. რესპ. ვ. ყველაშვილი: „მზვარიანს ცეცხლი წაუკიდა ვიღაცამ და გადაიტუსა, დაერქვა ნატუსები. ტყე იყო და არის ახლაც“.

გაღმაუბანი – უბანი სოფ. ქვემო ხანდაკში, მდ. კავთურას მარჯვენა მხარეს. მდ. კავთურა ქვემო ხანდაკს ყოფს ორ ნაწილად. გაღმაუბანი უფრო პატარაა. ცხოვრობენ ძირითადად კაკალაშვილები.

გაჭრილი კლდეი – კლდე ბოტისსა და პარატისს შორის. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კლდეა მდ. კავთურაზე, თავკავთის[8] გამოსწვრივ. ის კლდე გაჭრეს წერაქვით, ლომით (სუფთა კლდე გაჭრეს, მიწა არ ეყარა იქ) და საცხენო და საცალფეხო გზა გაიყვანეს. მერე ბოლშევიკების დროს ოთიაშვილი მიხა აფეთქებდა და სამანქანე გზა გაიყვანეს. ეკუთვნის ბოტისს“. რესპ. ჰ. ნიტაიშვილი: „წინარეხსაც ეკუთვნის და კავთისხევსაც“.

გელას ნერგები – ტირიფები მინდორზე, ძლევის ქედის რუს პირზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „გელამ დარგო ტირიფის ნერგები ბრილისის ტყის ჩამოსწვრივ, გაიზარდა დიდი თეთრი ნერგები. დღესაც არის, დაჭრეს, მაგრამ ამოხეთქა“.

გვრიტეულები – სახნავ-სათესი მიწა სოფ. თვალადის გასწვრივ, ჩრდილოეთით, სოფ. გუდალეთის ქვემოდან, სამხრეთით, მექანარიაანთ მიწების ბოლოს. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „გვრიტები იყრიდნენ თავს, ბუდობდნენ მანდ, ალბათ მიჩვეულები იყვნენ. იციან ამოჩემება ფრინველებმა. იმიტომ ამოიჩემებდნენ, რომ მოშრიალე ხეები იდგა და იქ აფარებდნენ სიცხეში თავს“.

გიგიაანთ ჭაობი // ჭაობი – საძოვარი სოფ. ეზატში. გიგიაანთ ეძახიან აბულაძეების გვარის ერთ-ერთ შტოს (წინაპრის, გიგიას, სახელიდან გამომდინარე). ხშირად მოიხსენიებენ როგორც ჭაობს, რადგან ახლომახლო სხვა ჭაობი არ არის. რესპ. თ. კერესელიძე:

---

[8] **თავკავთა** – კავთის ციხე-სიმაგრე და ეკლესია კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. კავთურასა და ბოტისისწყლის გამყოფი ქედის კონცხზე, სოფ. წინარეხის სამხრეთით, 7 კმ-ის დაშორებით (ტოპ. ლექს., 2013, 265). რესპ. ჰ. ნიტაიშვილი: „თავკავთიდან მოედინება კავთურა ჯერ წინარეხში. ბოტისი და თავკავთა უყურებენ ერთმანეთს, შუაში გადის კავთურას ხევი“.

„შეიძლება მიწები ჰქონდათ ახლოს გიგიაანთ ან თავად გიგიას, სანამ დაჭაობდებოდა. ახლა ჭაობები აღარც არის, სათიბებია, მაგრამ მაინც სველი ადგილებია“.

გიგოლაანთხევი – დიდი ხევი, ვენახები სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს, ციხიაგორასთან. გიგოლაანი ქსოვრელები არიან, ერთ-ერთი შტოგვარია. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „გიგოლაანთხევი ჩამოუდის ციხიაგორას“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „გიგოლაანთხევი ალბათ იმიტომ ჰქვია, რომ გიგოლაანთი იყო ეგ ვენახები. ციხიაგორის დაბლაა“.

გიგოსეულები – გიგო თარხნიშვილის სახლი და კუთვნილი მიწა ციხისუბანში, თხინვალიაანთუბნის გასწვრივ, ახალქალაქის გზამდე.

გიგოს ტყე – ტყე სოფ. გუდალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, კატრიანის დასავლეთით, ნოსტის მხარეს. რესპ. თ. კერესელიძე: „ფიჭვები (კატრიანი) ზევით არის. ფიჭვიანი რომ მთავრდება, ხიდახევაში იწყება გიგოს ტყე. ეკუთვნოდა გიგო თარხნიშვილს“.

გივას წყარო – წყარო ნასოფლარ ვარჯაანში, გადმოსაყრის თავზე, ახოლციხეში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „გივას ადრე უცხოვრია ვარჯაანში, მაგრამ ძალიან ავი ქალი ყოფილა მისი ცოლი. ხალხი შეაწუხა ამ ქალმა. ამდგარა გივა და ვარჯაანიდან გასულა, მოშორებით დასახლებულა. წყარო ვარჯაანშია, სადაც თავიდან ცხოვრობდა ის გივა. გივა გადასახლდა, მაგრამ წყაროს მისი სახელი შერჩა“.

გივის კლდე – კლდე სოფ. ქვემო ჩოჩეთში, კავთისხევიდან კასპისკენ მიმავალი საავტომობილო გზის აღმოსავლეთით. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „სადგურში რომ მივდივართ, მუნის წყაროს რომ ჩავივლით, მოსახვევია. აი, იმას მარჯვენა მხრიდან გადმოჰყურებს გადმოხურული კლდე – გივის კლდე. ბავშვობაში ვეფარებოდით ხოლმე ქვეშ. პატარაობიდან ამ სახელით მახსოვს, მაგრამ რატომ ჰქვია, არ ვიცი. ალბათ, ვინმე გივისთან არის დაკავშირებული“.

გოგლას წყარო – წყარო სოფ. ეზატში, ჩივაანთუბანში, ბაღდოს წყაროს სიახლოვეს. ბაღდოს წყარო გამოედინებოდა ბაღდო კერესელიძის (ამჟამად – თამაზ კერესელიძის) სახლის წინ, ქუჩის გადაღმა, მოპირდაპირე მხარეს, ხოლო გოგლას წყარო – უშუალოდ კერესელიძეების სახლის ეზოში. აღმოაჩნა გოგლა კერესელიძემ. რესპ თ. კერესელიძე: „მამაჩემის გამოყვანილია, 5-6 წლის ვიქნებოდი, როცა აღმოაჩნა. პატარა წყარო ამოდიოდა,

მოთხარა, მოთხარა და ამოიყვანა, თვითონ შემოიყვანა ამ ეზოში და თვითონვე მოაპირკეთა“.

გოგნიაურები – ტერასებად დაყოფილი ნაკვეთი (4-5 ჰა), ბაღი, ვენახი შუაუბანში, შაყულაანთუბნის დასავლეთით. ადრე გოგნიაურებს ეკუთვნოდათ. რესპ. გ. შაყულაშვილი: „გოგნიაურები აღარ ცხოვრობენ შუაუბანში, გადაგვარებულები არიან. მაგათ ნაკვეთებში ერია მღვდლიაანთ (ინდუაშვილების) ნაკვეთებიც. მერე გაყიდეს და სხვადასხვა ტერასა სხვადასხვა ადამიანს ეკუთვნოდა“. „გოგნიაურები“ თავდაპირველად აღნიშნავდა ამ გვარის წარმომადგენელთა სიმრავლეს, შემდგომში კი იქცა მიკროტოპონიმად. კავთისხევში ხშირია გვარის კრებითობის აღმნიშვნელ ფორმათა ტრანსონიმიზაცია (კერძოდ, ტრანსტოპონიმიზაცია), მაგ.: ჟიჟილაანი თავდაპირველად ჟიჟილაშვილთა სიმრავლის გამომხატველი ანთროპონიმი იყო, ამჟამად იმ უბნის სახელიცაა, რომელშიც ჟიჟილაშვილები ცხოვრობენ. ასეთივე ფომებია: თაგვიაანი, ნონიკაანი, ფარუაანი და სხვ., მაგრამ სიმრავლის გამომხატველი -ებ სუფიქსიანი ანთროპონიმების ტრანსტოპონიმიზაცია იშვიათია (ტრანსონიმიზაცია-ტრანსტოპონიმიზაციის შესახებ იხ.: ცხადაია, 2005, 56-58).

გორიძირები – საღორე ფერმა და მიმდებარე ტერიტორია სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს, კავთისხევ-კასპის გზის აღმოსავლეთით, ციხიაგორის დაბლა. გორებია, რომელთა ძირში იყო აშენებული დიდი საღორე. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „გორიძირები ციხიაგორის გაგრძელებაა, ციხიაგორის დაბლაა“.

გრძელეები – 1. გრძელი ნაკვეთები, იწყება სოფ. ეზატის ჩივაანთუბნის დასავლეთით. ეკუთვნის ეზატსაც, შუაუბანსაც და, ნაწილობრივ, ციხისუბანსაც. რესპ. თ. კერესელიძე: „დიდი ფართობია და სხვადასხვა ტერიტორიას სწვდება. სახნავ-სათესი, საბაღე, საბოსტნე მიწებია და 5 ჰა ვენახი (მოჰყავდათ ალიგოტე – ფრანგული ჯიში). გრძელეები იმიტომ ჰქვია, რომ გრძელი მიწებია, ზოგიერთი ნაკვეთის სიგრძე 1000 მ-ს აღწევს. ვერც გლეხკაცი და ვერც თავადი ადრე სახნავ-სათეს მიწებზე სახლებს და ნაგებობებს ვერ ააშენებდა, რათა სახნავი მიწები არ დაეკავებინა (მიწები ჭირდა)“. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „დიდი და გრძელი ნაკვეთებია, ეკუთვნის ეზატსაც, შუაუბანსაც, ციხისუბანსაც და, ნაწილობრივ, ჩოჩეთსაც“. რესპ. ა. მონასელიძე: „ახალქალაქისკენ რომ მივდივართ, ჩრდილოეთით, ბაღები რომ არის, ეგენია გრძე-

ლეები, გორიდან თბილისისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს. გრძელი მიწებია და შუაუბანთანაც არის ახლოს (შუაუბნის მოსახლეობისაა) და ეზატსაც ეკუთვნის. ეზატის გრძელეებს (გრძელეების მონაკვეთს), სადაც ბაღები იყო გაშენებული, საბოსტნედ ხმარობდნენ, წელდაშვებულას ეძახდნენ გლეხები. ჩვენი – მონასელიძეების, შაყულაშვილების – უბნების მხარეს გრძელეების სხვა მონაკვეთია, მსხლიანის გრძელეებია" (იხ. მსხლიანი; წელდაშვებულა); 2. დიდი და გრძელი სახნავი მიწები სოფ. გუდალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მოდრეკილაძეების უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, პატარა გუდალურას (ხოკერაანთ მდინარის) ხევში, გალავნის დაყოლებაზე, გრძელდება დიდი და პატარა გუდალურას (გავაზურისწყლისა და ხოკერაანთ მდინარის) შეერთებამდე. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ეს მიწები ყოფილა რაჟდენაანთი, რაჟდენ მოდრეკილაძისა და მისი შთამომავლებისა. დღეს დანაწილებული აქვს სოფლის მოსახლეობას"

გუბისწყარო – წყარო სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ციხიაგორასთან, ბალებისხევის ზემოთ; ჩაედინება გიგოლაანთ ხევში. რესპ.: „ნიაღვრის წყალი ჩამოდის და გროვდება, გუბედ დგება, რადგან ტაფობი ადგილია. ამიტომ ჰქვია გუბისწყარო".

გუდალეთი – სოფელი კავთისხევში. მდებარეობს თრიალეთის ქედის[9] ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კალთებზე, ზღვის დონიდან 1000 მ-ზე, ძირითადად – მთა-ტყის ზონაში, მდ. კავთურას მარცხენა შენაკადის, გუდალურას, ხევში. კასპიდან დაშორებულია 19 კმ-ით. ისტორიულ წყაროებში XIV ს-ის ბოლოდან მოიხსენიება (ქსე, 1978, 290), აღნიშნულია, რომ „XIV ს-ში სოფელი სვეტიცხოვლის კუთვნილება ყოფილა; XVII ს-ში ეს ადგილები სახასო იყო. ცნობილია, რომ გიორგი სააკაძის შთამომავალნი – თარხნიშვილები – კავთისხევის მოურავები იყვნენ და გუდალეთიც მათ საბატონოში შედიოდა" (ანდღულაძე, 1974, 19; სძა, 1990, 152); სოფელში დაცულია რამდენიმე ეკლესია-სამლოცველო: ღვთისმშობლის ტაძარი, წმინდა გიორგის ორი

---

[9] **თრიალეთის ქედი** – ქედი მცირე კავკასიონის დასავლეთ ნაწილში, ახალციხის (დასავლეთით) და თბილისის (აღმოსავლეთით) ქვაბულებს შორის. იწყება საბადურის და მთავრდება თელეთის ქედით. მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. სიგრძე – დაახლოებით 150 კმ, მაქსიმალური სიგანე – 30 კმ (ქსე, 1979, 699-700).


სოფელი გუდალეთი
რუკა №3
ქავთისხევის თემის ტერიტორია
ახალციხის თემის ტერიტორია
თცალადი
თაგვიაანთუბანი
მოდრეკილაანთუბანი
ბოკერაანთუბანი
ნიფორი
ვარჯიანი
ქავთისხევის თემის ტერიტორია
N
W
E
S
0 0.25 0.5 1
კმ

ეკლესია, წმინდა ესტატეს, კვირაცხოვლის, წმინდა მარინეს, წმინდა მარიამის ეკლესიები. გუდალეთის ცენტრში დგას ისტორიული ციხე-გალავანი. გარდა ამისა, სოფლის დასავლეთით, თაგვიაანთუბანში, აღმოაჩინეს სამაროვანი (აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დამხრობილი ქვაყუთებით), რომელიც თარიღდება ფეოდალური ხანით (სძა, 1990, 154). ორი მდინარე – დიდი გუდალურა (გავაზურისწყალი, თაგვიაანთ მდინარე) და პატარა გუდალურა (ქსილისიდან მომავალი, ხოკერაანთ მდინარე) – სოფელს სამ უბნად ყოფს: თაგვიაანთ, მოდრეკილაანთ და ხოკერაანთუბნებად[10] (იხ. გუდალურა). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ეს ორი გუდალურა ისე ჩამოუდის სოფელს, რომ მოდრეკილაანთუბანი შუაში ექცევა: გავაზურიდან მომდინარე გუდალურა ყოფს თაგვიაანთ და მოდრეკილაანთუბნებს, ქსილისიდან მომავალი – მოდრეკილაანთ და ხოკერაანთუბნებს, შესაბამისად, სოფლის ცენტრში მოდრეკილაძეები არიან, აღმოსავლეთით – ხოკერაშვილები, დასავლეთით – თაგვიაშვილები. წინაპრების გადმოცემით, გუდალეთში გუდაბრელიძეებს უცხოვრიათ. ეს სოფელი კავკასიელი მტრების, ძირითადად, ლეკების, შემოსევას გაუნადგურებია, ამას გუდალეთის უძველესი ციხე-გალავანიც ამტკიცებს. გუდაბრელიძეები აქ აღარ ცხოვრობენ, სახელი დარჩა მარტო – გუდალეთი“ (იხ. გუდალეთის ციხე-გალავანი). რესპ. ვ. ყველაშვილი: „ამბობენ, გუდალეთი იმიტომ ჰქვია, ვითომ გუდაბრელიძეებს უცხოვრიათო“. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, **-ეთ** ტოპოფორმანტს[11] **-იან, -ოვან** ქონების სახელთა მაწარმოებლების იდენტური მნიშვნელობა აქვს. იგი გეოგრაფიულ სახელებს, ჩვეულებრივ, მცენარეთა, ცხოველთა და საკუთარ სახელთაგან აწარმოებს და რისიმე ან ვისიმე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავს (ჩიქობავა, 1977, 70-71). **-ეთ** სუფქისიანი ტოპონიმები იწარმოება როგორც ტომთა სახელების, ისე გვარსახელებისგან, მაგ.: თუშ-ეთ-ი (თუშთა სამყოფი), იმერ-ეთ-ი (იმერთა სამყოფი), აფხაზ-ეთ-ი (აფხაზთა სამყოფი)... თაგვ-ეთ-ი (← თაგვაშვილი, ხაშურის მუნიც.), ცხვედი-ეთ-ი (← ცხვედაძე, ცხვედიანი, დუშეთის მუნიც.), გოგორ-ეთ-ი

[10] ს. მაკალათიას ცნობით, გუდალეთი იყოფა ორ უბნად, ზემო და ქვემო გუდალეთად (მაკალათია, 1960, 35).

[11] **ტოპოფორმანტი** – მხოლოდ ტოპონიმთა მაწარმოებელი აფიქსი.

(← გოგორიშვილი, ოზურგეთის მუნიც.) (მაღრაძე, 2006, 41-42). ამდენად, სახელი გუდალეთიც აქ მცხოვრები ძირძველი მოსახლეობის გვარს უნდა უკავშირდებოდეს.

გუდალეთის კვირაცხოვლის ეკლესია // კვირაცხოველი – სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: „არქიტექტურული ძეგლი, დგას სოფ. გუდალეთის დასავლეთით, სერზე. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით, ნაგებია რიყის ქვით. სახურავი კირის ხსნარით და ფიქალის ქვითაა ნაწყობი“ (სძა, 1990, 154). როგორც რესპონდენტები (სოფ. გუდალეთის მკვიდრნი) აღნიშნავენ, კვირაცხოველი – პატარა, ქვით ნაშენები სალოცავი, ნიში – დგას სოფ. გუდალეთის თაგვიაანთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. თაგვიაანთუბანი სოფლის დასავლეთით არის, მაგრამ კვირაცხოველი – უბნის და, შესაბამისად, სოფლის სამხრეთით, ამასთანავე, ეკლესია ძალიან დაზიანებულია, თითქმის ბოლომდე დანგრეული. რესპ. გ. თაგვიაშვილი აღნიშნავს: „კვირაცხოველი სოფლის სამხრეთით არის, მაღლა. დღეს ნანგრევებილაა, მაგრამ თავის დროზე სალოცავად დადიოდნენ“. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „იმ სერსაც კვირაცხოველს ეძახიან, რომელზეც ეს ეკლესია დგას. 76 წლის კაცი ვარ და, რაც თავი მახსოვს, ეკლესია დანგრეულია. სახურავის კვალიც კი არ ჩანდა. ახლა იქ დიდი ჯვარი დააყენეს, რომელიც ღამით ანათებს“.

გუდალეთის მინდვრები – სათიბები სოფ. გუდალეთის გარეთ, გარშემო, თაგვიაანთ, მოდრეკილაანთ და ხოკერაანთუბნების მიმდებარე ტერიტორია. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ამ სამი უბნის ნებისმიერი მიმდებარე ტერიტორია არის ამათი მინდვრები, სათიბები“.

გუდალეთის ტაძარი – XIII-XVIII სს-ის ძეგლი სოფ. გუდალეთში, მდ. გუდალურას მაღალი ხევის პირას. კომპლექსში შედის: 1. ციხე-გალავანი; 2. ღვთისმშობლის ტაძარი (ანდღულაძე, 1974, 19-29; სძა, 1990, 152) (იხ. გუდალეთის ციხე-გალავანი; გუდალეთის ღვთისმშობლის ტაძარი).

გუდალეთის ღვთისმშობლის ტაძარი // ღვთისმშობელი – ტაძარი სოფ. გუდალეთში, მოდრეკილაანთუბანში. ჯვარგუმბათოვანი ნაგებობა, აგებული XIII-XIV სს-ის მიჯნაზე თლილი ქვით, გამოყენებულია რიყის ქვა და აგურიც. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია: გუმბათი და კამარები ჩაქცეულია, სამხრეთ და ჩრდილოეთ

კედლები 1-2 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი; დანგრეულია მეორე სართული, გუმბათქვეშა ბოძები და თაღები; ეკლესიის დასავლეთ კარიბჭის სამხრეთ კედელი მთლიანად დანგრეულია. შედარებით უკეთესად არის შემონახული აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადები. ტაძარს სამი შესასვლელი აქვს – დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. სამივე შესასვლელი თაღოვანია. აღმოსავლეთით აფსიდი[12] ნახევარწრიულია. მის ორივე მხარეს თითო აფსიდიანი სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნეა. მათ თავზე არსებული სათავსები ინტერიერს სწორკუთხა გასასვლელით უკავშირდებოდა. აქედან საკურთხევლის კონქის თავზე გამართულ სამალავშიც შეიძლებოდა მოხვედრა. ტაძარს შემოვლებული აქვს ხუთკუთხა გალავანი (ანდღულაძე, 1974, 19-28; სძა, 1990, 152) (იხ. გუდალეთის ციხე-გალავანი). ს. მაკალათიას ცნობით, „ძველად ამ ეკლესიაში ქალებს არ უშვებდნენ თურმე. მლოცველი ქალები დგებოდნენ ეკლესიის კარებთან, აანთებდნენ სანთლებს და ისე ლოცულობდნენ. გუდალეთის ღვთისმშობელს ჰქონია დღეობაც – აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს. სალოცავად მიდიოდნენ ქართლის შორეული სოფლებიდან, ღამეს უთევდნენ და ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს“ (მაკალათია, 1960, 36). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ეს სალოცავი, ღვთისმშობელი, ადრე, ჩემს პატარაობაში, უფრო კარგი იყო: დიდი გამოყვანილი თაღების შიგნით იყო სალოცავი. ადრე უფრო მეტად შედიოდა ხალხი, ლოცულობდა, პირჯვარს ისახავდა. ძალიან კოხტად იყო მოწყობილი. ახლა ისეთი აღარაა. უნდა შეეკეთებინათ, მაგრამ ვერ მოხერხდა და დარჩა ისე“. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „ჩემს პატარაობაში ღვთისმშობელს ჯერ კიდევ ჰქონდა გუმბათი, ქვისა“.

გუდალეთის ციხე-გალავანი // გალავანი – ღვთისმშობლის ტაძრის ხუთკუთხა გალავანი (28 X 30 მ) სოფ. გუდალეთში, მოდრეკილაანთუბანში. აგებულია XVIII ს-ის II ნახევარში რიყის ქვით. მოსწორებულ ადგილზე ნაგები გალავნის ყოველ კუთხეში თითო კოშკი დგას. თაღოვანი, ვიწრო და მაღალი ჭიშკარი სამხრეთ კოშკის პირველ სართულზეა. კოშკების ყოველ სართულს ცალკე

---

[12] **აფსიდა, აბსიდი** (ბერძნ. hapsis, idos – თაღი, კამარა) – შენობის ნაწილი, გეგმით წრიული ან მრავალწახნაგოვანი ფორმის მოცულობა, რომელიც გადახურულია ნახევარგუმბათით. ქრისტიანულ ტაძრებში აფსიდა, ჩვეულებრივ, აღმოსავლეთისკენაა მიმართული და შიგ მოთავსებულია საკურთხევლის ნაწილი (ქსე, 1977, 28).

შესასვლელი აქვს ეზოს მხრიდან. სართულებზე მისადგმელი კიბით ადიოდნენ. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს კოშკი დანარჩენებზე რამდენადმე დიდია. კოშკების ყოველი სართულის კედლებში გაჭრილია სათოფურები, სარკმლები, სხვადასხვა ზომის თახჩები და ნიშები. გალავნის დასავლეთ კედელზე შემორჩენილია ნაშთები საცხოვრებელი ნაგებობისა, რომელიც კოშკს საბრძოლო ბილიკით უკავშირდებოდა. გალავანი ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია კედლების ზედა მონაკვეთები (განსაკუთრებით – აღმოსავლეთ მხარეს), ჩამონგრეულია კოშკების ზედა ნაწილები, სართულშუა გადახურვები; გალავნისა და კოშკის ქონგურები; სათოფურები და სარკმლები ბევრგან გაგანიერებული ან ჩამოშლილია (ანდღულაძე, 1974: 19-28; სძა, 1990, 152-154). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „გალავანს ადრე კარგი კარები ება, ხის, ჩუქურთმებიანი. თუ მტერი შემოესეოდა, დაანთებდნენ ცეცხლს, ნიშანი რომ მიეცათ. სათოფურებიც აქვს, იქიდან უყურებდნენ მტერს. გვირაბიც მინახავს პატარაობისას, ციხიდან ჩადიოდა და მდინარის წყალს უერთდებოდა. ამ ციხეში, გალავანში, სალოცავია, ღვთისმშობელი“ (იხ. გუდალეთის ღვთისმშობლის ტაძარი); რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „პატარაობაში შევდიოდით ხოლმე, დავძვრებოდით, ასასვლელები იყო, სამალავები. არც ისე დიდი ხნის წინ გალავნის კედელზე სკოლის შენობა იყო მიდგმული. მერე ახალ შენობაში გადაიტანეს, 25-30 წელი იქნება“.

გუდალეთის წმინდა გიორგი // წმინდა გიორგი – 1. ეკლესია და სასაფლაო სოფ. გუდალეთის დასავლეთით, თაგვიაშვილების უბნის დასავლეთ მხარეს. ტაძარი თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (8,2 X 4,5 მ), ნაგები ნატეხი ქვით. ძეგლი დაზიანებულია: გადახურვა და კედლის ზედა ნაწილი ჩამონგრეულია. არქიტრავული შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია. ერთ-ერთ თაღოვან სარკმელში შემორჩენილია შელესილობა, რომელზეც მოხატულობის კვალი ჩანს (სძა, 1990, 154). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ადრე ღვთისშობლის სალოცავის გაშემო იმარხებოდნენ და მერე აქეთ გადმოინაცვლეს. ძველისძველი სალოცავია. მთელი მთის ხალხი აქ ლოცულობდა, ქვით ნაშენებია, პატარაა. მთელი სამთიულო[13] იქ

[13] იგულისხმება კავთისხევის მთის სოფლების (ვაჯაანის, ვერხვეულის ტყემლუანის, ზვარიკოტმანისა და სხვ.) მოსახლეობა.

დადიოდა, სანამ გადასახლდებოდა. სუყველა იქ იკრიბებოდა და მთელი კილომეტრი ტყეში გზაზე ჰქონდათ მაგიდები გაშლილი და ქეიფობდნენ"; 2. ეკლესია სოფ. გუდალეთში, ხოკერაშვილების უბნის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყეში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ხოკერაანში იდგა, მაგრამ დროთა განმავლობაში დაინგრა". რესპ. ქ. კუდუხაშვილი (ხოკერაშვილი): „წმინდა გიორგი ხოკერაანთუბანშია. შემორჩენილია საძირკველი და, მეტნაკლებად, კედლებიც. მიმდებარე ნაკვეთები დაინაწილეს და ეს ნანგრევები მოხვდა ალე ბექაურის ნაკვეთში. ნასაყდრალი იყო და ხელს ვინ ახლებდა. დარჩა შემოფარგლული. ჩემს ბავშვობაშიც დანგრეული იყო, გაპარტახებული, საქონელი დადიოდა. იქ უკვე ვეღარ ლოცულობდნენ, ამიტომ წიფორის წმინდა გიორგის ეკლესიაში დადიოდნენ სალოცავად".

გუდალეთის წმინდა ესტატეს ეკლესია // წმინდა ესტატე – ეკლესია სოფ. გუდალეთის აღმოსავლეთით, ხოკერაანთუბანში, ტყის პირას. თარიღდება X ს-ით. ეკლესია დარბაზულია (9 X 5,5 მ), ნაგებია რიყის ქვითა და ნატეხი ქვის კვადრებით. დაზიანებულია: ჭერი ჩაქცეულია, აღმოსავლეთ ფასადი შუა ადგილზე გარღვეულია. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. კარი სქელი მუხის მერქნისაა. ეკლესიას ადრე შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია. აღმოსავლეთის სარკმელი ამოშენებულია. ეკლესია გადახურული ყოფილა ღარიანი კრამიტით. სამხრეთით და ჩრდილოეთით ორი მინაშენი ჰქონია. სამხრეთის მინაშენისგან მხოლოდ ერთი კედელია შემორჩენილი, ჩრდილოეთისა ნახევრად დანგრეულია. ეკლესიის ირგვლივ გალავნის მხოლოდ საძირკველია გადარჩენილი (სძა, 1990, 154). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ეკლესია გაღმა ტყეშია. საკმაოდ დაზიანებულია. გაგიკვირდება, ქვა ისეა დაწყობილი, ისე მჭიდროდ. მშენებელმა ისე მოარგო ქვები ერთიმეორეს, გაჯით გალესილი გეგონება".

გუდალეთის წმინდა მარიამის ეკლესია // წმინდა მარიამი – მცირე ზომის დარბაზულია ეკლესია სოფ. გუდალეთში, ხოკერაანთუბანში. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ნაგებია რიყის ქვით, შემორჩენილია ნანგრევები. შესასვლელი სამხრეთ კედელშია. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, ნიშებია (სძა, 1990, 155). რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „წმინდა მარიამი დანგრეულია, მაგრამ უფრო კარგადაა შემორჩენილი, ვიდრე კვირაცხოველი".

გუდალეთის წმინდა მარინეს ეკლესია // წმინდა მარინე – ეკლესია სოფ. გუდალეთის განაპირას, ხოკერაანთუბანში, სამხრეთით. თარიღდება ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (11,5 X 6,4 მ.), ნაგებია უხეშად გათლილი საშუალო და მოზრდილი ქვებით. ძლიერ დაზიანებულია: ჩაქცეულია კამარა და კონქი, ჩამონგრეულია კედლების ზედა ნაწილი, აღმოსავლეთ ფასადი გაბზარულია. ეკლესია ქვა-ღორღითაა ამოვსებული. შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია. იგი ორივე მხრიდან სწორკუთხაა და გადახურულია არქიტრავით. აფსიდი დარბაზისაგან გამოყოფილია მცირე მხრებით. მისი იატაკი ერთი საფეხურით ამაღლებულია (სძა, 1990, 155).

გუდალურა – მდინარეები დიდი და პატარა გუდალურა სოფ. გუდალეთში. სოფლის სამხრეთით ორი მთაა: სამხრეთ-დასავლეთით – გავაზური, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ქსილისი. პირველი, ანუ **დიდი გუდალურა**, იგივე **გავაზურისწყალი, თაგვიაანთ მდინარე**, ჩამოედინება გავაზურის მთიდან (ტყიდან) და თაგვიაანთუბანს გამოივლის; მეორე, **პატარა გუდალურა,** იგივე **ხოკერაანთ მდინარე,** მოედინება ქსილისიდან. ეს ორი მდინარე ქმნის ორ ხეობას და ყოფს სოფელს სამ უბნად: გავაზურიდან მომდინარე გუდალურა ყოფს თაგვიაანთ და მოდრეკილაანთუბნებს, ქსილისიდან მომავალი – მოდრეკილაანთ და ხოკერაანთუბნებს (სოფლის ცენტრში მოდრეკილაძეები არიან, აღმოსავლეთით – ხოკერაშვილები, დასავლეთით – თაგვიაშვილები). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „გუდალეთელები დიდ და პატარა გუდალურაზე მეტად ამ მდინარეებს მოიხსენიებენ უბნების მიხედვით. ჩვენს მხარეს თაგვიაანთ მდინარეს იმიტომ უწოდებენ, რომ თაგვიაანთ – თაგვიაშვილების – უბანში ჩამოედინება. თაგვიაანთ გუდალურას აქვს უფრო გრძელი სათავე, იქითას – მოკლე“. რესპ. ბ. თაგვიაშვილის აზრით, ნამდვილი გუდალურა შეიძლება გავაზურისწყალი (თაგვიაანთ მდინარე) იყოს: „გავაზური ორჯერ მეტია და ეგ იქნება გუდალურა, ეგ მთავარია და, რაკი ქსილისიდან მომდინარე მცირე წყალი, იგივე ხოკერაანთ მდინარე, უერთდება, იმასაც გუდალურას უწოდებენ. რომ შეერთდება, გარკვეული მონაკვეთის მერე კავთურას უერთდება და უკვე კავთურაა“. ორივე გუდალურა მიედინება სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და უერთდება ერთმანეთს სოფლის ბოლოში

(ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცხვირცხვირასთან), შემდეგ კი – სოფ. თვალადში, კოტმისხევში – მდ. კავთურას. კავთურას ყველაზე დიდი შენაკადია. 1961, 1965 წლების მასალების მიხედვით: „გუდალურა ჩამოუდის გუდალეთს, ქმნის გუდალურას ხეობას, წინარეხის ბოლოში ერთვის წინარეხულას და ქმნიან მდინარე კავთურას". ვახუშტი ბატონიშვილი მდ. გუდალურას მოიხსენიებს როგორც **გუდარეხს**: „გუდარეხის ხევზედ არს თუალივის სასახლე, მეფეთა, ნაშენობა დიდი" (ქც, 4, 341; ტოპ. ლექს., 2013, 256), პ. იოსელიანი კი – როგორც **გუდარას**: მდ. კავთურა „დიდგორის, ქსილისის მთებიდან იღებს სათავეს. ეს ადგილები... გამოირჩევა ჯანსაღი კლიმატით და შესანიშნავი წყარო-ნაკადულებით, რის გამოც აქ ხშირად იმართებოდა მეფეთა საქმიანი შეხვედრები (იგულისხმება სოფ. თვალადი. თ. ც.). აქვე ახლოს ჩამოუდის გუდარას ნაკადული, სადაც წისქვილია მოწყობილი". ჩვენი რესპონდენტებისთვის სახელი „გუდარეხი" ან „გუდარა" უცნობია. აქვე აღვნიშნავთ, რომ სადავოა ხოკერაანთ მდინარის სახელწოდება ვარჯაანულა. რესპ. ვ. ყველაშვილი: „ხოკერაანთ მდინარეს ვეძახით ვარჯაანულას, ვარჯაანის წყალს, რადგან ქსილისიდან მოდის ვარჯაანის თავზე". რესპ. ო. ზაქარიაშვილიც ადასტურებს, რომ მეორე გუდალურა (ხოკერაანთ მდინარე) ვარჯაანულაა: „ხოკერაანთ სამხრეთით არის ვარჯაანი და ხოკერაანთ და მოდრეკილაანთ შორის რომ ჩამოდის ქსილისიდან, ეგ არის ვარჯაანულა". რესპონდენტები ბ. თაგვიაშვილი და დ. თაგვიაშვილი უარყოფენ გამოთქმულ მოსაზრებას: „გუდალეთში მხოლოდ ორი მდინარეა და არცერთს არ ვეძახით ვარჯაანულას, არც სხვა რომელიმე წყალს, თუნდაც ვარჯაანიდან ხელოვნურად წამოყვანილს". გუდალურა **-ურ-ა** ტოპოფორმანტით ნაწარმოები ჰიდრონიმია. **-ურ-ა** ტოპონიმისაგან აწარმოებს იმ მდინარის სახელწოდებას, რომელიც ამ ტოპონიმით აღნიშნულ ობიექტს ჩაუდის ან იქვე იწყება. ოიკონიმისაგან[14] პოტამონიმის[15] წარმოებისას სრულად იკარგება გეოგრაფიულ სახელთა **-ეთ** სუფიქსი და ერთვის ჰიდროფორმანტი: გუდალ-ეთ-ი → გუდალ-ურ-ა (შდრ. ქვიშხ-ეთ-ი → ქვიშხ-ურ-ა (ხაშურის მუნიც.), აჯამეთი → აჯამურა (ზესტაფონის მუნიც.)).

---

[14] **ოიკონიმი** – დასახლებული პუნქტის სახელი.

[15] **პოტამონიმი** – მდინარის, ნაკადულის სახელი.

გუდალურას ხეობა – ორი გუდალურას ორი ხეობა სოფ. გუდალეთში (იხ. გუდალურა).

დავალიძიაანთ სანაკადლო – სანაკადლო[16] შუაუბანში, შაყულაანთუბანში. დავალიძეს, ადგილობრივ მოსახლეს, ჰქონია ნაკვეთი, რომელზეც გამოდიოდა ეს სანაკადლო. დავალიძეები დიდი ხანია აღარ ცხოვრობენ შაყულაანთუბანში, არც მათი შთამომავლები შემორჩნენ (ჩვენი რესპონდენტი, გ. შაყულაშვილი, 88 წლის, არ მოსწრებია ამ გვარის წარმომადგენლებს აღნიშნულ მიკროუბანში), მაგრამ ნაკადელს შემორჩა სახელი. ჰ. წიტაიშვილი: „დავალიძეები ცხოვრობენ შუაუბანში, ოღონდ პაპიაანთუბანში“. დავალიძიაანთ სანაკადლოდან გამოსული წყლით ირწყვებოდა გოგნიაურები“.

დავითის სანაკადლო – სანაკადლო შუაუბანში, მთიულთუბნის დასავლეთით, სოფ. ეზატის სამხრეთ-აღმოსავლეთით. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „დავალიძის სანაკადლოს (შუაუბანი) დასავლეთითაა, ოთიაანთუბნის (სოფ. ეზატი) – აღმოსავლეთით. პაპიაანთ ნაკვეთები ირწყვებოდა დავითის სანაკადლოთი“.

დავითოს მიწები – სახნავ-სათესი მიწა სოფ. გუდალეთის თაგვიაანთუბნის სამხრეთით, დაახლოებით, 3 კმ-ზე, კვირაცხოვლის ნიშის ზევით, ქვაკაცეებში (ქვაკაცეების კლდეები გადმოჰყურებს ამ მიწებს). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „სოფ. გუდალეთის მერე დავითოს მიწებია და მერე, ზევით – ვერხვეული (ნასოფლარი). ახლა დავითოს მიწებსაც და ვერხვეულის მამულებსაც გუდალეთის მოსახლეობა ფლობს. დავითოს მიწები იმიტომ ჰქვია, რომ აქ დავითო ჩოხელი ცხოვრობდა. სულ 2 კომლი იყო ქვაკაცეებში – დავითო და წიკლაურები (ბერმიხაანებს ეძახდნენ). დღეს ამ მიწებს სახნავ-სათესად იყენებენ. დავითოს შთამომავალი იქ აღარავინ

---

[16] **სანაკადლო** – სარწყავი რუს სათავე, ადგილი, საიდანაც რუდან, არხიდან სარწყავი ნაკადელი გამოჰყავთ, რათა მიიყვანონ მოსარწყავ ნაკვეთში. **ნაკადელი** – წყლის გარკვეული რაოდენობა. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „რუდან გადმოგდებული, გამოშვებული წყალი სანაკადლოდან გამოდის. ერთი ნაკადელი თვალით იზომება. შეიძლება არხში დიდი წყალი მოდიოდეს – სამი-ოთხი ნაკადელი. მთლიანად ხომ არ გადმოაგდებ?! ერთი სარწყავი არხი ითვლება ერთ ნაკადლად, რომელსაც დაიმორჩლებ და რომლითაც მორწყავ. ბევრი წყალი რომ შემოიყვანო, ვერ დაიმორჩლებ, დაგიხრამავს, გაგიფუჭებს მოსავალს, რადგან ფერდობი ადგილებია და, თუ არ დაანებევრე და არ გაჯდა მინაში ნელ-ნელა, ღარებს გაგიჩენს და წაგიქცევს იმ ლობიოსაც და იმ სიმინდასაც. ერთი ნაკადელი სწორედ საჭირო რაოდენობაა“.

ცხოვრობს, სოფელიც მთლიანად გაუქმებულია. დავითოს ჰყავდა 11 შვილი. როცა სოფელი გაუქმდა, გადასახლდა მთლიანად ეს ოჯახიც და სოფელი დარჩა ეულად, დავითოს ლექსი გამოუთქვამს:

„ვერხვეულის გასახლება
გატყვრა ზარბაზანივითა,
დედაკაცი გადმომდგარა,
ღრიალებდა ხარივითა,
ბალღები ბალკონს გადმოდგნენ
ნიკალაის ჯარივითა“.

ეს დავითო პოეტობდა, სახალხო მთქმელი იყო“.

დავლაძიაანთ კოშკი – ს. მაკალათიას ცნობით, თვალადის კავთის ეკლესიის ჩრდილოეთით, შუაუბანში, „ყოფილა დავლაძიაანთ კოშკი, აქვე ამ გვარს დიდი მამულიც ჰქონია. ეს მამული გიორგი სააკაძეს უბოძებია ბერო დავლაძისათვის, რომელიც მის დროს დაწინაურებულა. კოშკი ყოფილა მაღალი და სამაოდ დიდი. შემდეგ ეს მამული გაყიდულა და კოშკიც საშენ მასალად გამოუყენებიათ“ (მაკალათია, 1960, 13). სამწუხაროდ, კოშკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

დათიაანთუბანი – მიკროუბანი სოფ. ქვემო ჩოჩეთში, ნონიკაანთუბანში. ცხოვრობენ დათიაანი, დათია ნონიკაშვილის შთამომავლები.

დათიკოს ნაკაფი – ტყე ნასოფლარ სანათუბნამდე, სოფ. გუდალეთის სამხრეთ-დასავლეთით, მოსდევს მოდრეკილაანთუბანს. დიდი ხანია აღარავინ ცხოვრობს და ნაკაფიც გატყევებულია. რესპ. ა. თაგვიაშვილი: ეს ტყე დათიკო მოდრეკილაძემ გაკაფა. სადაც კარგი მიწა იყო, იქ კაფავდნენ ტყეს, რომ საკარტოფილე, სალობიე მამული გაეკეთებინათ. იყო დათიკოს ნაკაფი, სვიმნიას ნაკაფი. დათიკოს ნაკაფი სოფლის თავზეა, მანამ სანათუბანში გავალთ“.

დამპალა // დამპალას მიწები // დამპალეები – ჭარბტენიანი სახნავი მიწა სოფ. ეზატის ჩრდილოეთ მხარეს, მლაშემდე. რესპ. თ. კერესელიძე: „მთლად ჭაობი არ იყო, მაგრამ ძალიან ტენიანი იყო და ამიტომ შეარქვეს დამპალას მიწები“. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „სახნავ-სათესი მიწებია ეზატის დასაწყისში, მინდორზე. ნაწილი შუაუბნის იყო და ნაწილი – ციხისუბნისა. წყალი იყო და, ამ წყალს რომ არსად ჰქონდა გასასვლელი, იტბორებოდა და, კაცი რომ შევიდოდა, კამეჩი რომ შევიდოდა, ველარ გამოვიდოდა, ლაფი იყო“.

დამპალას მიწები – სახნავი მიწა, იგივე დამპალა (ეზატი).

დამპალეები – სახნავი მიწა, იგივე დამპალა (ეზატი).

დამპალოს ქედი – სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ 1932 წელს კავთისხევის სამხრეთით, დამპალოს ქედზე, მიწის სამუშაოების დროს დაინგრა სამაროვანი. აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები: წინააზიური მახვილი, აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ცული და სატეხი. თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით. ნივთები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი) (ქორიძე, 1954, 166; ფიცხელაური, 1973, 66). რესპონდენტებმა ამ სახელწოდების ქედი ვერ გაიხსენეს. სოფ. ეზატის ჩრდილოეთ მხარეს არის დამპალა (დამპალას მიწები), რესპონდენტთა აზრით, შეიძლება რომელიმე ახლომდებარე ქედი იყოს დამპალას (და არა დამპალოს) ქედი.

დაქცეულები – ქვიანი ფერდობი, ტყე და საძოვარი სოფ. გუდალეთის დასავლეთით, 0,5 კმ-ზე. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „დიდი ლოდები ყრია, ტრაქტორი ვერ მოერევა. ალბათ, ვულკანური ამოფრქვევის დროს მიწიდან ამოყრილი ქვებია. დაქცეული ადგილია. ეტყობა, მცოცავი მიწა იყო. საუკუნეების წინათ იქნებოდა ეს ამბავი, რომ ამოიფრქვა მაღლა და დარჩა ეს ქვები. სადაც ქვები არ ყრია, ტყე არის. დღეს საძოვარია. სახნავ-სათესად ვერ გამოიყენებ".

დაჭრილები – სატყეო ზოლი, სახნავები, ციხიაგორის კომპლექსის შემადგენელი ნაწილი სოფ. ქვემო ჩოჩეთის მაღლა, ფერდობზე, საყარაულო სერის ჩრდილოეთით, 150 მ-ზე. ამ ადგილზე აღმოაჩინეს ძვ. წ. IV-III სს-ის სამაროვანი – 24 ქვევრსამარხი, სამარხებად გამოყენებული მოვარდისფროდ გამომწვარი ქვევრები, როგორც სადაზედაპირიანი, ისე წითელი საღებავებით მოხატული. ქვევრების უმრავლესობა მიწაში ჰორიზონტალურად ჩაუმარხავთ, პირით აღმოსავლეთისაკენ. მათში დაკრძალული იყო ერთი ან ორი მიცვალებული (ერთ მათგანში 7 მიცვალებული აღმოჩნდა). მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ კიდურებმოხრილნი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხებში აღმოჩნდა: სადა თიხის ჭურჭელი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაული (ნაკაიძე, 1980, 28-41). რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „დაჭრილები ციხიაგორამდეა. ამ ადგილზე ბორცვები იყო, ამიტომ იხვნებოდა მხოლოდ ბორცვებს შორის მიწა, ადგილ-ადგილ. გამოდის, რომ მიწა დანაწევრებული, დაჭრილი იყო".

დედახვთისა – ეკლესია, იგივე ჩიქოვნების საყდარი (ქვემო ხანდაკი).

დევსურაანთუბანი – მიკროუბანი შუაუბანში, შაყულაანთუბნის ჩრდილოეთით, კანდელაკიაანთუბნის სამხრეთით. შედის პაპიაანთუბანში. ცხოვრობენ დევსურაშვილები. დევსურაანთუბანს სოფლის გზა ყოფს.

დევსურაანთ წყარო – წყარო შუაუბანში, შაყულაანთუბანში, დევსურაანთ ვენახების ბოლოს.

დეიმანაანთ წყარო – წყარო სოფ. თვალადსა და სოფ. ეზატს შორის. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „გამოდის მინდორზე, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, ეზატის გასწვრივ რუ რომ გადის, იმის ქვემოდან, ხვლიკიწყაროს ზემოდან. ეს წყარო ამააჩინა ამ კაცმა, დეიმანაანთ ეძახიან შერქმეულადა, მისაგნები გვარია (შტოგვარი), როგორც წინიკაანი და იობაანი, და ნამდვილი გვარი არ მახსოვს“.

დელამუტა – დიდი ტყე წიფორის ზემოთ, სამხრეთ მხარეს. საქონლის საძოვარი იყო და ქოხებიც ჰქონდათ. რესპონდენტთათვის სახელების მოტივაცია უცნობია (შდრ. ქართლური დიალექტის ლექსიკონის მიხედვით, დელამა, დელამურწი, დელამურწა საყველედ შედედებული რძეა. სიტყვის გავრცელების არედ მითითებულია წინარეხი (დიალექტ. ლექს., 1981: 195-196). წიფორს სამხრეთ-აღმოსავლეთით აკრავს წინარეხი).

დიდბრილისი – ფერდობი, ტყე (იხ. ბრილისები).

დიდვაკე – 1. საძოვარი, დიდი ვაკე სოფ. ეზატის ჩივაანთუბნის ჩრდილოეთით, დაახლოებით 2 კმ-ზე, გორი-თბილისის გზის (იმავე საქართველოს სათადარიგო სამხედრო გზის) დაბლა, ჩრდილოეთით; 2. დიდი ვაკე, დაცემული ადგილი სოფ. ქვემო ჩოჩეთის დასავლეთით, კარიერის მაღლა. სახნავად, საძოვრად იყენებენ ციხისუბანი, სოფ. თვალადი და სხვ.

დიდველები – სატყეოს ნარგავები (კაკლები); საძოვარი, ტყე სოფ. თვალადის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. გუდალეთის აღმოსავლეთით, ხოკერაანთუბნის შემდეგ. აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ რომელ სოფელს ან საბჭოს მიეკუთვნება. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ქსილისის ქვემოთ რომ ტყეა, იმის გარშემო დიდი ველებია და დიდველებს ამიტომ ეძახიან. აქეთ, გუდალეთის მხარეს, ტყის გამოსწვრივ, დიდველების მამულებია, იქით უკვე ტყეა, უფრო ზევით არის დედაღვთისას ტყე. დიდველებიც და დედაღვთისაც წინარეხს ეკუთვნის. გუდალეთის მოსახლეობაც

ფლობდა ამ ველებს: ჩვენ (სოფ. გუდალეთი) ვიყავით წინარეხის საბჭოში 1961 წლამდე, სანამ მეურნეობა შედგებოდა. მხოლოდ აქედან გამომდინარე ეკუთვნოდათ გუდალეთელებს, თორემ მათი არ იყო. 1961 წელს მეურნეობები გაერთიანდა, თელათგორიდან[17] მოყოლებული საკავთისხეო, გუდალეთი შეერთდა, მერე გაიყო შუაზე. გუდალეთი კავთისხევის მიმდებარე ტერიტორიაა და გადმოვედით კავთისხევის საბჭოში". რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „თვალადის ტერიტორიაა. არის განიგზების თავზე, წიფორის ჩრდილოეთით, დასწვრივ, ხოკერაანთუბნის (სოფ. გუდალეთი) გასწვრივ. თვალადს ესაზღვრება სამხრეთით და ეს ნაწილი თვალადისაა". რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „დიდველები გუდალეთის მიმდებარე ტერიტორიაა, ეკუთვნის თვალადს". რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ქვათახევში (წინარეხი) მიმავალი გზის დასავლეთით, კაციაანთ ხევამდე (სოფ. თვალადი), დიდველების ნაკვეთია. ამ დიდველებზე სულ კაკლები დგას".

დიდთელები // თელიები – სახნავი, აღმართი სოფ. ქვემო ჩოჩეთში, ტეტიას სერამდე, კავთისხევ-კასპის გზის მარცხენა, დასავლეთ, მხარეს, ქასრაანთ და საბერო მიწებს შორის. დიდი თელები იდგა ამ მიწაზე, სამძივის რუ გამოდიოდა და მიმდებარე ნაკვეთები ირწყვებოდა.

დიდი ბრილისი – ფერდობი, ტყე (იხ. ბრილისები).

დიდი გუდალურა – მდინარე კავთისხევში (იხ. გუდალურა).

დიდი ვარჯაანი – ნასოფლარი სოფ. გუდალეთის სამხრეთით (იხ. ვარჯაანი).

დიდმიწა // დიდმიწები – მონასელიაანთ (მონასელიძეების) კუთვნილი დიდი ფართობი (12 ჰა), სახნავი მიწა, შუაუბანში, კატაულას მთის ჩრდილოეთ მხარეს. რესპ. ა. მონასელიძე: „დიდმიწები ერთი კაცისა კი არ იყო, დაყოფილი იყო მონასელიძეებზე".

დიდმიწები – სახნავი მიწა, იგივე დიდმიწა (შუაუბანი).

დიდრუ // დიდრუს წყალი – კავთურას შენაკადი წყალი, რუ, სარწყავი არხი, გამოდის კოტმისხევიდან. შუაუბანში, პატარა შაყულაანში, ილას წისქვილთან, იყოფა ორ რუდ: ერთია შუაუბნის რუ, რომელსაც შუაუბნის მოსახლეობა იყენებს, მეორე – ციხისუბნის რუ, რომელიც შუაუბნის გავლით ჩადის ციხისუბანში, შემდეგ – სოფ. ქვემო ჩოჩეთში. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ეს დიდრუ პატარა

[17] ბოლო დროს თელათგორს თელადგორსაც უწოდებენ.

შაყულაანში გამოდის კოტმისხევიდან. კოტმისხევი შაყულაანთ ზევით არის, ხვედრელიაანთუბნისკენ. პატარა შაყულაანში, ილას წისქვილთან, კი ფარია ჩაყენებული, რომ შეგუბდეს წყალი და, საჭიროებისამებრ, ან ერთ მხარეს გაუშვებენ, შუაუბნისკენ, ან მეორე მხარეს, ციხისუბნისკენ. ციხისუბნის რუ საბოლოოდ ჩაედინება სოფ. ქვემო ჩოჩეთში".

დიდრუს წყალი – რუ, სარწყავი არხი, იგივე დიდრუ (თვალადი, შუაუბანი, ციხისუბანი, ქვემო ჩოჩეთი).

დიდსაჩიტის მთა // საჩიტე – მთა, საიდანაც იღებენ კირქვის მასალას ცემენტის ქარხნისთვის. მდებარეობს გორი-თბილისის გზის (იმავე საქართველოს სათადარიგო სამხედრო გზის) ჩრდილოეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, ნასოფლარ ქებაანის მიმდებარე ტერიტორიაზე. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ჩიტი იყო ალბათ ბევრი, ფარა-ფარა დადიოდნენ მწყერჩიტები, ათასობით იყო ხოლმე. შეიძლება მანდ სადგომი ჰქონდათ, იქნებ ამიტომ ეძახდა მოხუცებული ხალხიც საჩიტეს. გროზნოში რომ ომი იყო, ის ჩიტი სულ აქ მოვიდა".

დიდსერები – სახნავი მიწა სოფ. გუდალეთის ჩრდილოეთით, ბრილისის ტყის სამხრეთით. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ბრილისის სამხრეთ მხარეა. დიდი ფართობია, დიდი მიწაა და დიდსერებსაც ეძახიან".

დიდი ცაცხვი – გზისპირა ადგილი საქორიოს ტყეში (ნასოფლარ წიფორშე), ადრე დიდი ცაცხვი იდგა. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „მისახვედრებლად იტყოდნენ: დიდ ცაცხვთან ვიყავი, დიდ ცაცხვთან გავკაფე. ძალიან დიდი ცაცხვი იყო, ოთხი კაცი ვერ შემოხვევდა ხელს. ცაცხვის ძირია ახლა და შტოები ამოიყარა".

დომენტის გორა – პატარა გორა სოფ. ეზატში, კავთისხევ-ახალქალაქის გზის მონაკვეთზე, ფერდის მიწის მიმდებარე ტერიტორია. რესპ. თ. კერესელიძე: „მეურნეობის დროს, ვენახში გოგირდის მოფრქვევის პერიოდში, დომენტი აბულაძემ გორაზე (დაღმართზე) დააყენა ტრაქტორი, რომელიც გადაბრუნდა, გზამდე ჩამოვიდა. მას მერე ეძახიან დომენტის გორას".

დუბია // დუბიები – 1. ვაკე ადგილი, სახნავი მინდვრები, ხეხილის ბაღი სოფ. ქვემო ჩოჩეთში. რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ქვემო ჩოჩეთში ორი დუბიაა. დუბიების მიწა კავთისხევ-კასპის გზამ გაჭრა და ორ ნაწილად გაიყო: ერთი დუბია მდ. კავთურას მარცხენა მხარესაა, ციხისუბნის ბოლოს, სოფ. ქვემო ჩოჩეთის გადასწვრივ,

ციხისუბნისა და ჩოჩეთის საზღვრის დასავლეთით, ქასრაანთხევის პირამდე, მეორე – სოფ. ქვემო ჩოჩეთის დასავლეთით, კარიერის სამხრეთით. კარიერი რჩება ჩრდილოეთით და დუბიები არის სამხრეთით. ამ დუბიის პირდაპირ, ახალქალაქის მიმართულებით, დასავლეთით, არის მლაშეები". რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „მგონი, მანდ იტბორებოდა ხოლმე". რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „თბილ, მზისგან გამთბარ წყალს ჰქვია დუბელა. ალბათ ამიტომ ჰქვია ამ მიწებსაც დუბიები". ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია: „დუბელა – ნელთბილი უგემური (მდგარი) წყალი" (ქეგლი). როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, ეს ადგილი მართლაც იტბორება, მაგრამ, ვფიქრობთ, დუბია // დუბიები ჰქვია არა იმის გამო, რომ დატბორილია, არამედ იმიტომ, რომ დაბალი, ვაკე ადგილია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „დუბე – დაბალი ადგილი (საბა). ესაა ძველი ქართული სახელწოდება" (ქეგლი, III). შდრ.: დიდუბე – ტოპონიმი დიდუბე „XI-XII სს-ის წყაროებში გაჩნდა და ნიშნავს დიდ უბეს, ანუ ვაკეს, დაბლობ ადგილს. იგი შემდეგში, გვიან საუკუნეებამდე, საკუთარი სახელის მნიშვნელობით აღარ გვხვდება. სიგელ-გურჯებში იხსენიება მხოლოდ დუბედ, დაბალ ადგილად" (ბერიძე, 1977, 211-212); 2. 2,5 ჰა სახნავ-სათესი მიწა სოფ. ქვემო ხანდაკის დასავლეთით, თათუაანთ ბაგების მიმდებარე ტერიტორია.

დუბიები – სახნავი მინდვრები, ხეხილის ბაღი, იგივე დუბია (ქვემო ჩოჩეთი).


დუდგულიანი – ტყიანი ხევი სოფ. თვალადში, კაციაანთხევის დასავლეთით, სოფ. გუდალეთის ხოკერაანთუბნის აღმოსავლეთით. ტყეში სულ დუდგულა (ბუჩქოვანი მცენარე, 2 მ-მდე იზრდება, გამძლეა, სარად იყენებენ) ხარობს.

დუდუკის ნაკაფი – გაკაფული ტყე სოფ. თვალადში, მექანარიაანთ მიწის თავზე. დუდუკმა (მეტსახელია კაცისა, გვარად კაციაშვილი იყო) დიდი ნაკაფი გააკეთა ტყეში და კარტოფილს თესავდა.

ეზატი – სოფელი კავთისხევის თემში. მდებარეობს მდ. კავთურას ხეობაში, დასავლეთით (მდინარეს უშუალოდ არ ეხება), ზღვის დონიდან 780 მ-ზე, კასპიდან დაშორებულია 10 კმ-ით. სოფელი ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIV ს-ში. შემორჩენილია გვიანი ფეოდალური ხანით დათარიღებული იოანე ნათლისმცემლის მცირე ეკლესია და ციხე-კოშკის ნანგრევები

(ქსე, 1979, 46). „ეზატი წინათ თურმე იმერეთიდან, საჩინოდან, გადმოსულ ჩივაძეებს ეკუთვნოდათ. მათი წინაპარი, პაპუნა ჩივაძე, ერთგული მსახური ყოფილა გიორგი სააკაძისა, რომელსაც მისთვის ეზატის მამული უჩუქებია. პაპუნა გიორგის ხლებია ოსმალეთშიც და, როდესაც სააკაძე და მისი ამალა ამოხოცეს, გამოქცეულა და ეზატში დასახლებულა. ჩივაძეს ეზატში საკუთარი კოშკი ჰქონია. ცხრა ძმა ჩივაძეს ცხრა ძროხად უყიდია ერთი თოფი, დაუდგამთ ციხეში, უსროლიათ ლეკებისთვის და გაუქცევიათ. კოშკი შემოზღუდული ყოფილა მაღალი გალავნით. კოშკის ქვედა სართული სალოცავად ყოფილა გამოყენებული. შემდეგ იგი დაუშლიათ და დავით ჩივაძის თაოსნობით ამ ადგილზე პატარა ეკლესია აუგიათ“ (მაკალათია, 1960, 18). ეზატი შედგება 3 უბნისგან: ოთიაანთ (ოთიაშვილების), წივილაანთ (წივილაშვილების) და ჩივაანთ (ჩივაძეების) უბნებისგან. რესპ. ჰ. წიტაიშვილი (შუაუბნის მცხოვრები): „ვფიქრობ, „ეზატი“ მომდინარეობს „აზატისგან“. როდესაც გაუქმდა ბატონყმობა, გლეხები გაათავისუფლეს, მაგრამ მიწები არ მისცეს (რეფორმის დროს ილია ჭავჭავაძის სურვილის საწინააღმდეგოდ). მაშინ ჩამოვიდნენ აქ ყველა კუთხიდან, განსაკუთრებით – დასავლეთიდან, იმერეთიდან, რაჭიდან, აგრეთვე, აღმოსავლეთ კახეთიდან. აქ ადგილობრივი არავინ არის, ყველა ჩამოსახლებულია“. რესპ. ნ. კერესელიძე (სოფ. ეზატის მცხოვრები): „ეზატი ისტორიაში XIV საუკუნეშია პირველად მოხსენიებული. შემდგომ გიორგი სააკაძის სამფლობელოს აღწერაში მის კუთვნილ სოფლებს შორის არის დასახელებული[18]. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სოფელი აქ არ იყო. წივილაძეები ცხოვრობდნენ გუდალეთის სამხრეთით, ნიფორთან ახლოს, იქიდან ჩამოსახლდნენ XVIII ს-ის ბოლოსკენ. აქ დასახლდნენ და ცალკე უბნად იყვნენ. ოთიაშვილები ცხოვრობდნენ ნოსტიდან 1 კმ-ით აქეთ, აღმოსავლეთით, გიგოს წყაროსთან და მერე გადმოვიდნენ. ჩივაძეებიდან აზნაურმა

[18] მართლაც, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გიორგი სააკაძის „საკუთრება იყო თეძმის ხეობაში ნოსტე, ახალშენი, ნოსტის ოძისი, გველდეს ორბეთი, ცხირეთი, ერთაწმინდა, ფავნისი, ეზატი, გუდალეთი, კავთისხევი, წინარეხი, მარჯანაანთუბანი, ტყემლოვანი, მზვარე, კოტმანი ორივე ზემო და ქვემო, ვერხვეული, გავაზური, სამტრედო, გოსტიბე, კაბერი, გარგარი, მერია, ჭავჭავისი, კვირიკა, გოგოთი (სანიკიძე, 1997).



პაპუნა ჩივაძემ დაასახლა ეს ადგილი. გიორგი სააკაძე რომ წამოვიდა და არმაზთან მდ. მტკვრის ფონზე გადიოდა (ანანურში მიდიოდა თავის სიმამრთან), შადიმანის მიერ ჩაყენებული რაზმი არ ატარებდა. პაპუნა ჩივაძე (იმ რაზმის მეთაური იყო, გიორგი სააკაძის გაზრდილი) დაუპირისპირდა შადიმანს და იმ შეხლა-შემოხლაში მოკლეს. შთამომავლობა დარჩა აქ. თავიდან ეს სამი გვარი დასახლდა და იყო წივილაანთ, ოთიაანთ, ჩივაანთუბნები, რომლებიც მერე გაერთიანდა და დაერქვა სოფელს ეზატი. XVII საუკუნემდელი აქ არც ნამოსახლარია, არც ძეგლი, არაფერი ჩანს, ეკლესიაც გვიანდელია, XVII ს-ის ბოლოსი. სავარაუდოდ, სოფელი ეზატი ადრე იყო გუდალეთის სამხრეთით, გუდალეთსა და წიფორს შორის, საიდანაც წივილაძეები ჩამოსახლდნენ. გუდალეთს შუაზე ჭრის მდინარე გუდალურა. როგორც პ. იოსელიანი აღნიშნავდა, მას ცოტა ქვემოთ მარცხნიდან უერთდება პატარა მდინარე ეზატი, კალმახით უხვი. როგორც ჩანს, იყო ასეთი მდინარე, ან ორივე გუდალურა (გავაზურისწყალი და ხოკერაანთ მდინარე) რომ უერთდება ერთმანეთს, ის იგულისხმება

მდ. ეზატში". რესპ. თ. კერესელიძე, ვ. ოთიაშვილი (სოფ. ეზატის მცხოვრებნი): „სოფ. გუდალეთის მახლობლად, სადაც ჩამოდის მდ. ეზატი, ადრე აშენებული იყო ეზატის ეკლესია (IX ს-ში), იქ ყოფილა სოფ. ეზატიც (დღევანდელი ეზატისგან 6-7 კმ-ის დაშორებით), რომელიც მოგვიანებით გადმოვიდა დღევანდელი სოფ. ეზატის ადგილას". მართლაც, პ. იოსელიანი სოფ. ქვათახევის დახასიათებისას წერს, რომ იგი „მდებარეობს მდ. კავთურას თვალწარმტაც ხეობაში, რომელიც... დიდგორის, ქსილისის მთებიდან იღებს სათავეს. ეს ადგილები ოდითგანვე მდიდარი ყოფილა ბაღ-ვენახებით... გამოირჩევა ჯანსაღი კლიმატით და შესანიშნავი წყარო-ნაკადულებით, რის გამოც აქ ხშირად იმართებოდა მეფეთა საქმიანი შეხვედრები. აქვე ახლოს ჩამოუდის **გუდარას** ნაკადული, სადაც წისქვილია მოწყობილი. მასვე უერთდება მეორე ნაკადული **ეზატი**, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია კალმახით. რამდენადაც ეს ნაკადული მოქცეულია წარმტაც მთებში, ამდენად თვალთა სიამის, თვალწარმტაცობისა და მიმზიდველობის გამო თვალად იწოდება. აქ რომ მეფეთა ხშირი სტუმრობის ადგილი ყოფილა, ვახუშტი ბატონიშვილიც გვიდასტურებს: „გუდარეხის წელზედ არს თუალივს სასახლე მეფეთა ნაშენობა დიდიო" (იოსელიანი, 1848; პავლიაშვილი, 2005, 93-94). გუდარა, იგივე გუდარეხი, სავარაუდოდ, დღევანდელი მდ. გუდალურაა. პ. იოსელიანი საუბრობს სოფ. თვალადზეც, რომელიც ნაწილობრივ მდ. გუდალურას პირას მდებარეობს, და აქ ნამდვილად იყო მეფეთა რეზიდენცია, მაგრამ რომელ მდინარეს ან ნაკადულს გულისხმობს ეზატში, ამჟამად არავინ იცის. მდინარე ეზატის არსებობას უარყოფენ სოფ. გუდალეთში (რესპონდენტები: გ. თაგვიაშვილი, ა. თაგვიაშვილი, ბ. თაგვიაშვილი, ვ. ყველაშვილი). გ. თაგვიაშვილი: „მდინარე ეზატი გუდალეთში არ ჩამოედინება, ერთადერთი მდინარე გუდალურაა. ერთი პატარა წყარო ჩამოდიოდა ნოსტიდან, მაგრამ ეზატი არ ეწოდებოდა".

ეზატი-გუდალეთის გზა – გზა, რომელიც ეზატიდან, ოთიაანთუბნიდან, სამხრეთის მიმართულებით მიდის (ოთიაანთუბანში მთავარი გზიდან უხვევს. იხ. ეზატის გზა), აუვლის დიდ ბრილისს, ადის პატარა ბრილისის თავზე, გაივლის კურდღლის მიწებს, დიდმიწების დაღმართს, გადადის ხიდახევას მონაკვეთზე, ადის

კატრიანისკენ და მექანარიაანთ მინების გავლით შედის სოფ. გუდალეთში (თაგვიაანთუბანში). გრძელდება მანგლისამდე. სანამ ბრილისის ტყეში შევა, გზა იყოფა: სამხრეთით მიდის გუდალეთისკენ, დასავლეთით უხვევს მთიულთუბნისკენ, გაივლის მთიულთუბანს და გადადის ნოსტეში.

ეზატის გზა // შარა // შარაგზა – სოფ. ეზატის ცენტრალური გზა, კავთისხევიდან ახალქალაქისკენ მიმავალი საავტომობილო გზის ნაწილი, შესახვევის მონაკვეთი, კავთისხევიდან 2 კმ-ის დაშორებით. გადის სოფ. ეზატის თავზე (სამხრეთით). რესპ. თ. კერესელიძე: „ამ სოფლისთვის ფართო გზაა და იმიტომ უწოდებენ შარაგზას. თუ სოფლის მცხოვრები კავთისხევის ცენტრში წავიდოდა აღნიშნული გზით, იტყოდა, შარაგზით მივდივარო, თუ ბილიკებით – მოკლე გზითო".

ვარდისუბანი – ახალი უბანი თვალადიდან ეზატისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, ძლევის ქედის ძირში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ახლა გავიდა იქ მოსახლეობა, 50 წელი იქნება. ვარდისუბანიც ახალი სახელია, ვითომ სილამაზის გამო შეარქვეს".

ვარცლა // ვარცლები – მინდვრები, საძოვრები, სათიბი ტყეში, სოფ. გუდალეთის თავზე, თაგვიაანთუბნის დასავლეთ მხარეს, მოსდევს თავშაღმებს. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ვარცლა იმიტომ ჰქვია, რომ დაბლობია, ვარცლის ფორმა აქვს, ჩაღრმავებულია. ერთიანი მამულია (დაახლოებით 4-5 ჰა). წყაროც იქვე ამოედინება".

ვარცლაი // ვარცლეების წყარო // ვარცლის წყარო – წყარო ვარცლაზე. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „წყარო ამოდიოდა, ცივი, ცივი, ბევრი რომ დაგელია, ალბათ გაგაცივებდა ადამიანს. ახლა ძალიან ცოტაღა მოწანწკარებს, ვერც კი აავსებ ჭურჭელს. დაშრა, რადგან ტყე გაიკაფა".

ვარცლეები – მინდვრები, საძოვრები, იგივე ვარცლა (გუდალეთი).

ვარცლეების წყარო – წყარო ვარცლაზე, იგივე ვარცლაი (გუდალეთი).

ვარცლის წყარო – წყარო ვარცლაზე, იგივე ვარცლაი (გუდალეთი).

ვარჯაანი – ნასოფლარი სოფ. გუდალეთის სამხრეთით, 4 კმ-ზე. ნასოფლარის ტერიტორიაზე დადასტურებულია 4 ქრონოლოგიური ფენა: თიხის ჭურჭლის ნამტვრევები ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანას განეკუთვნება. განვითარებული ფეოდალური ხანისაა მთავარანგელოზის ეკლესია და სამაროვანი. გვიანდელი

ფეოდალური ხანისაა უინვენტარო ქვაყუთი, რომელშიც ადამიანის ჩონჩხი ესვენა (სძა, 1990, 154). ვარჯაანი ორ დასახლებას მოიცავდა – **დიდ და პატარა ვარჯაანს**. თავდაპირველად ერთი ვარჯაანი იყო, მაგრამ მიწები რომ არ ეყოთ გლეხებს, მოშორებით, დაახლოებით, 500 მ-ის იქით, გადავიდნენ. ახალი დასახლება მოცულობით უფრო პატარა იყო, ხალხიც ნაკლები ცხოვრობდა, ამიტომ შეერქვა პატარა ვარჯაანი, ძველს კი – დიდი. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „დიდი ვარჯაანი არის აქეთა და იქითა გუდალურას ხევებს შორის. გუდალეთიდან რომ მიდიხარ, ჯერ დიდი ვარჯაანია, მერე – პატარა. დიდ და პატარა ვარჯაანს მინდვრები ყოფს. სოფლის თავზე მრავალწყაროა. სახელი რას ნიშნავს, არ ვიცი". რესპ. გ. აფციაური: „ამბობენ ვარჯაანი ნიშნავს „ვარ ჯანიანსო". ორივე ვარჯაანის მოსახლეობა დასახლდა კასპში, აქაც მათ დასახლებას, სოფელს, დაერქვა ვარჯაანი. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „კავთისხევიდან კასპში რომ შევდივართ, კასპის დასაწყისშივე, მიქელწყაროს რომ გავცდებით, 1-2 კმ-ზე არის ვარჯაანი, სადაც ზემოდან ჩამოსახლებული ვარჯაანელები დასახლდნენ. ჯერ მიქელწყარო დასახლდა, სამამულო ომის პერიოდში, შემდეგ – ეს ახალი ვარჯაანი".

ვარჯაანთ წისქვილი – ნაწისქვილარი მდ. პატარა გუდალურაზე. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „დიდ ვარჯაანში ყველას თავისი წისქვილი ჰქონდა, ყველა ბრუნავდა და გამოდიოდა იოლად, ფქვავდა".

ვარჯაანის მთავარანგელოზის ეკლესია // მთავარანგელოზი – დარბაზული ეკლესია (8 X 4 მ) ნასოფლარ ვარჯაანში, სოფ. გუდალეთის სამხრეთით, 4 კმ-ზე. თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. ეკლესია ნაგებია საშუალო და დიდი ზომის ნატეხი ქვით, გამოყენებულია ქვიშაქვაც; შესასვლელი სამხრეთიდანაა. ეკლესიაში აღმოჩნდა მოჩუქურთმებული ხის კანდელი (ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში). ეკლესია შელესილი და მოხატული ყოფილა. სახურავი ორფერდაა; სამხრეთით ჰქონია მინაშენი, რომელსაც შესასვლელი სამხრეთით აქვს. ეკლესიას შემოვლებული ჰქონია ქვის ოთხკუთხა გალავანი (შემორჩენილია ფრაგმენტები) (სძა, 1990, 154).

ვარჯაანის წყალი – რესპ. ა. თაგვიაშვილი: „გამოედინება ვარჯაანში. ორივე ვარჯაანს ორივე მხრიდან ჰქონდა სარწყავი წყალი. ეს წყალი გაიყვანეს სარწყავად კავთისხევამდე".

ვარჯაანულა – მდინარე. 1981, 1988 წლებში მოპოვებული მასალების მიხედვით, „ვარჯაანულა გუდალურას უერთდება, სასმელი წყალია“. ჰიდრონიმ ვარჯაანულასთან დაკავშირებით ჩვენს რესპონდენტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი მოსაზრებით (ვ. ყველაშვილი, ო. ზაქარიაშვილი) ვარჯაანულა პატარა გუდალურაა, ხოკერაანთ მდინარე, სხვა მოსაზრებით (გ. თაგვიაშვილი, ა. თაგვიაშვილი, ბ. თაგვიაშვილი, დ. თაგვიაშვილი) ასეთი ჰიდრონიმი სოფ. გუდალეთსა და ახლომდებარე ტერიტორიებზე არ არსებობს (იხ. გუდალურა).

ვასაანთთავები – ველები სოფ. გუდალეთში, ხოკერაანთუბანში, ნასოფლარ წიფორამდე. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „მაღლაა, წიფორში მისვლამდე. ერთი კაცი იდგა, ხოკერაშვილი ვასა, და იმისი სახელი ჰქვია“. ვასაანი საოჯახო მეტსახელია.

ვაშლიმიწები // ვაშლის მიწები – სახნავი მიწა სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბნის დასავლეთით. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „სოფელში რომ შემოდიხარ, თაგვიაანთუბანში, გზის ზევიდან, დასავლეთით, ვაშლიმიწებს ეძახიან, რადგან ბევრი ვაშლი იყო დარგული“. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ეს მიწები სახნავ-სათესად რომ გამოეყენებინათ, ტყე გაუკაფავთ, უფრო მეტი ტყის ვაშლი ყოფილა“.

ვაშლის მიწები – სახნავი მიწა, იგივე ვაშლიმიწები (გუდალეთი).

ვახტანგობა – ბაღი სოფ. ეზატის სამხრეთით, ბრილისის არხის დაბლა, ჩრდილოეთ მხარეს. გაშენებული იყო 100 ჰა-მდე ხეხილის ბაღი. ერთ-ერთი რესპონდენტის ინფორმაციით, ამ ბაღში იდგა საყარაულო ქოხი. ვახტანგმა (სოფ. ეზატის მცხოვრებმა) ვაშლი მოიპარა და დაიჭირეს ყარაულებმა, რის გამოც გაბრაზებულმა ვახტანგმა ქოხი დაუწვა. სხვა რესპონდენტის ინფორმაციით, ვახტანგ წივილაძემ ქოხი ააშენა ამ ბაღში. იქ ადიოდნენ ბიჭები, ქეიფობდნენ, სვამდნენ, ჭამდნენ. ბაღს და შემდეგ მთელ იმ უბანს ვახტანგობა შეარქვეს.

ვენახების ბოლო // ვენახიბოლოები – სახნავ-სათესი მიწა სოფ. ქვემო ხანდაკის ჩრდილოეთით. რესპ. მ. მამულაშვილი: „თვითონ ვენახებიც (ვენახს აქაურები ეძახიან ბაღს, ნამდვილი ვენახი აქ სულ 2-3 კაცს ჰქონდა) სოფლის ბოლოს არის, ჩრდილოეთით, ამ ვენახების ბოლოს კი სათესი ტერიტორია იყო მეურნეობისა“.

ვენახიბოლოები – სახნავ-სათესი მიწა, იგივე ვენახების ბოლო (ქვემო ხანდაკი).

ვერხვეული // ვერხოული – ნასოფლარი, ტყე, სათიბი სოფ. გუდალეთის სამხრეთით, დაახლოებით 3-4 კმ-ზე, დავითოს მიწების ზევით. დაიცალა 40-50 წლის წინათ. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „პატარა სოფელი იყო, ალბათ, რვა კომლი ცხოვრობდა“. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ხალხს ბარი ურჩევნია საცხოვრებლად. ჩემი დაკვირვებით, მთის მდიდარს ბარის ღარიბი ჯობია. მარტო საქონლით შეიძლებოდა თავის გატანა, ძნელი იყო ცხოვრება. ერთ ღარიბ კაცს, ბეჟანი ერქვა, უთქვამს, პატარა ხბორები მაჩუქეთო. ზოგმა კვიცი აჩუქა, ზოგმა – ხბო, ზოგმა – მოზვერი და ამ კაცმა შეკრიბა, დაახლოებით, ოცი სული. მერე იშრომა და ასი გახადა. რომ მოიპოვა ცოტა ფული, ეს მთები იყიდა და გახდა ფერმერი კაცი, მაგრამ ეს უძველესი დროის ამბავია, XVIII-XIX სს-ისა... ახლა ვერხვეულში არავინაა. ერთი კაცი ჩამოსახლდა, რომელსაც გაბრიელი ერქვა. კარგად მახსოვს ის კაცი, მამაჩემთან უძმაკაცია კიდეც. ალექსი იყო კიდევ, ძალიან კარგი კაცი, მასწავლებელი, მთელ უბანს ასწავლიდა, დიდი ხანი არ არის, გარდაიცვალა... იქიდან ჩამოსახლდნენ ესენი“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ვერხვეულში მოიპოვება არაჩვეულებრივი ბუნებრივი ქვიშა, მიწიდან ამოღებული, წმინდა, ხარჯი არ უნდა“. გ. თაგვიაშვილი: „წყალი ხომ რეცხავს ამას და ქვიშა რჩება. იმ ქვიშით ააშენა იქ ხალხმა სახლები“. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, „საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ფლორასთან დაკავშირებული ტოპონიმები (ე.წ. ბოტანონიმები). მცენარეთა ან მათი ერთობლიობის აღმნიშვნელი სახელები ხშირად წარმოადგენს გეოგრაფიულ სახელწოდებებს“ (მაღრაძე, 1990, 118-122). ამგვარი ტოპონიმების წარმოებაში ხშირად მონაწილეობენ მატოპონიმებელი აფიქსები (-იან, -ოვან, სა- -ო). ერთ-ერთი მათგანია **-ეურ**, რომელიც ამ შემთხვევაში **ვერხვ** ფუძეს დაერთვის: ვერხვ-ეურ-ი → ვერხვ-ეულ-ი (დისიმილაცია) (შდრ. ვერხვიანი (საგარეჯო), ვერხოვანი (ახმეტა)). რაც შეეხება ვერხოულს, ვ. მაღრაძის მოსაზრებით, მას შემდეგი ფონეტიკური პროცესები უნდა გაევლო: ვერხვ-ეურ-ი → ვერხო-ურ-ი → ვერხო-ულ-ი (მაღრაძე, 2006, 94). ვფიქრობთ, ფონეტიკური ცვლილებები შემდეგნაირად განვითარდა: ვერხვეური → ვერხვეული → ვერხოული.

ვერხოული – ნასოფლარი, იგივე ვერხვეული.

ვიწროები – მონაკვეთი თვალადი-გუდალეთის გზისა, რომელიც მექანარიაანთუბნიდან გადის სამხრეთით, გაივლის სანაღაროს და მიდის სოფ. გუდალეთში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „გადიხარ თუ არა მექანარიაანთგან, სულ ვიწრო გზა მიდის. თუ დაუცდებოდა ფეხი კაცს, გუდალურაში უნდა ჩავარდნილიყო, ამიტომ ეძახდნენ ვიწროებს“.

ვიწრო მორევი – საბანაო მდ. გუდალურაზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „მექანარიაანთგან გუდალეთში მიმავალი გზა იყრება: ერთია სამანქანო, თაგვიაანთში მიდის, მეორე – ფეხის გზა, რომელსაც შუაზე ეს ვიწრო მორევი ყოფს. ადრე საურმე გზა იყო და ურმით გადავდიოდით ამ ადგილზე. ბიჭები სულ იქ აყენებდნენ მორევს, წყალს აგუბებდნენ და საბანაოდ ადიოდნენ. ძალიან ვიწროდ გამოდიოდა იქიდან ეს გუდალურა“.

ზავრადაანთ მიწები – საძოვარი ნასოფლარ ვარჯაანში, პატარა ვარჯაანის გასწვრივ. ეკუთვნოდათ ზავრადაანთ, ანუ ზავრადაშვილებს. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ერთ კაცს, ზავრადაშვილს, უყიდია ის მამულები, პატარა ნასახლარიც არის იქ. მივიწყებული მიწებია, საძოვრად თუ იყენებენ“.

ზავრადაანთუბანი // ზავრადაანი – უბანი შუაუბანში, მდ. კავთურას მარცხენა მხარეს, ესაზღვრება კანდელაკიაანთუბანს. ცხოვრობენ ზავრადაშვილები, ჩამოსულები დუშეთიდან.

ზავრადაანთ წისქვილი // მიტას წისქვილი – ნაწისქვილარი შუაუბანში, ზავრადაანთ (ზავრადაშვილების) მიკროუბანში, ციხისუბნის რუზე. ეკუთვნოდა მიტა (დიმიტრი) კელაპტრიშვილს.

ზავრადაანთ წყარო // ზავრადას წყარო – წყარო შუაუბანში, ზავრადაანთუბანში, მდ. კავთურას მარცხენა ნაპირზე.

ზავრადაანთხევი – სოფ. ეზატის ბოლოდან, ჩრდილოეთიდან, იწყება ხევი, რომელიც გამოივლის გრძელეებს, შემდეგ – ციხისუბნის ნაწილს, შემდეგ – სოფ. ქვემო ჩოჩეთის მიწებს და ჩოჩეთშივე მთავრდება. ამ ხევის დასაწყის მონაკვეთს (სოფ. ეზატის ბოლოს) უწოდებენ ზავრადაანთხევს, რადგან ზავრადაშვილების კუთვნილ მამულებში გადის. ხევის შემდეგი მონაკვეთია ნიკაანთხევი, რომელიც გრძელდება ქასრაანთხევამდე.

ზავრადაანი – უბანი, იგივე ზავრადაანთუბანი (შუაუბანი).

ზავრადას წყარო – წყარო, იგივე ზავრადაანთ წყარო (შუაუბანი).

ზარალაანთ წისქვილი – ნაწისქვილარი სოფ. ქვემო ჩოჩეთში. ზარალაანი ქსოვრელები არიან (ზარალა ეპონიმის, ერთ-ერთი წინაპრის, მეტსახელია). ჭოტისუბანში ცხოვრობდნენ და წისქვილიც იქვე ედგათ, დიდრუზე.

ზარიკოტმანი // ზვარიკოტმანი // ზვარიკორტმანი – ნასოფლარი, სათიბები ნასოფლარ ვერხვეულის სამხრეთით, დიდი გუდალურას (გავაზურისწყლის) მარჯვენა მხარეს. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „მზვარეა, ე.ი. თბილი, მზიანი ადგილი, და კორტმანი, ე.ი. გამხდარი. მზე კი უდგება და მეტად აცხუნებს, მაგრამ ფერდობია და, რაც ძალიან ფერდობია, კლდოვანია და გამხდარი. აქეთა გუდალურას წყალი რომ მოდის, ხელმარცხნივ არის ტყემლუანა, ნასოფლარია ისიც, ხელმარჯვნივ – ზვარიკოტმანი“. რესპ. გ. აფციაური: „გუდალეთში სანამ შევალთ, გზა ადის ხეობაში და იქ არის ნასოფლარები. ზვარიკოტმანი ტყემლუანას გამოლმაა. მიუვალი ადგილია, მხოლოდ ორხიდიანი მანქანით თუ ახვალ. ჩვენ აქ ადრე ვცხოვრობდით და მერე კასპში გადაგვასახლეს, მაგრამ, დაბრუნების ნებართვა რომ გამოუშვა სიგუამ, 1990 წელი იქნებოდა, მამაჩემი დაბრუნდა და ჩვენც, სამი ძმა, დავუბრუნდით პაპისეულ ადგილებს. ახლა აქ ერთი ოჯახი ვცხოვრობთ, გვაქვს სახნავ-სათესი მიწები და, სათიბები. ზვარიკოტმანს ისტორიულად მზვარე ერქვა, ცხელი, მზიანი ადგილია. იმასაც ამბობენ, რომ ზარიკოტმანი ჰქვია: თათრულად კოტმან ნიშნავს გამოგორებას, გორაობას. ნინოწმინდის ნიშიდან თათრებს ზარი დაუგორებიათ და დაუწყიათ ყვირილი: „ზარი კოტმან, კოტმან“ და დაერქვა ზარიკოტმანიო, მაგრამ, რაკი მზიანი ადგილია, სახელი ზვარიკოტმანი უფრო სარწმუნოა. თევდორე მღვდლის ისტორიაშიც მოხსენიებულია როგორც მზვარე...“. ისტორიულ წყაროებსა თუ კვლევებში აღნიშნულია, რომ გ. სააკაძის საკუთრება იყო თეძმის ხეობაში ნოსტე, ახალშენი, ნოსტის ოძისი, გველდეს ორბეთი, ცხირეთი, ერთაწმინდა, ფავნისი, ეზატი, გუდალეთი, კავთისხევი, წინარეხი, მარჯანაანთუბანი, ტყემლოვანი, **მზვარე, კოტმანი ორივე – ზემო და ქვემო,** ვერხვეული, გავაზური, სამტრედო, გოსტიბე...“ (სანიკიძე, 1997). როგორც ვხედავთ, მზვარე და კოტმანი ახლომდებარე, მაგრამ სხვადასხვა სოფლებად მოიხსენიება. კოტმანი ნახსენებია უძველეს ქართულ დოკუმენტში „ნასყიდობის დაწერილი ფავნელისა

მღვიმის მონასტრისადმი" (IX-X სს., შემორჩენილია XIII ს-ის ხელნაწერის სახით). ბარდავის ბროლაში დიდაზნაურ ფავნელის ერთი ვაჟი დაღუპულა, მეორე ტყვედ ჩავარდნილა, მესამე სახლში გარდაცვლილა. გარდაცვლილთა სულის დასაურვებლად და ტყვედ ჩავარდნილთა გამოსახსნელად ფავნელს მღვიმის მონასტრისათვის მიუყიდია 4 სოფელი თეძმის ხეობაში: ცხეევრეთი, კოტმანი, გავაზელნი და გველდესი. ფავნელთა სოფლების ნაწილი XIII ს-ში ჯერ კიდევ მღვიმეს ეკუთვნოდა, შემდეგ სამეფო-სახასო გახდა, შემდეგ თორელ-ჯავახიშვილები, ბოლოს კი – სააკაძე-თარხნიშვილები დაეპატრონნენ (ქსე, 1986, 207-208). სიტყვები „მზვარე", „მზვარიანი" დამოუკიდებლად თუ სხვა სიტყვებთან ერთად ხშირად გვხვდება გეოგრაფიულ პუნქტთა სახელებად. თუნდაც, ზვარიკოტმანისგან არც თუ შორ მანძილზე, სოფ. გუდალეთის სამხრეთით, ხოკერაანთუბნის თავზე, არის ტყე – გაღმა-გამოღმა მზვარიანი // მზვარიანი. რაც შეეხება „კოტმან" სიტყვის მნიშვნელობას, მკვლევარი გ. შაყულაშვილი ტოპონიმ „კოტმისხევის" ეტიმოლოგიის განხილვისას გამოთქვამს მოსაზრებას, რომ იგი მომდინარეობს სიტყვისგან „კოდმე" (კოდმე – მთის კონცხი, გორის ფერდობი, გვერდობი) და ვარაუდის გასამყარებლად მოჰყავს ტოპონიმები „ზვარიკოტმანი" და „კოდ-მანი" (სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში) (შაყულაშვილი, 1975). მართლაც, ზვარიკოტმანი ფერდობია, ისევე როგორც კოდმანი (მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე).

ზაქას წყარო // წივილაანთ წყარო – წყარო სოფ. ეზატში, წივილაანთ, ანუ წივილაძეების, უბნის ჩრდილოეთით, ბერუკაანთ მიწებში. ზაქა მენახირის მეტსახელია. სავარაუდოდ, მან აღმოაჩნა ეს წყარო.

ზეით რუ – რუ, არხი, რომელიც სოფ. გუდალეთიდან მიდის სოფ. თვალადის მექანარიაანთუბანში, შემდეგ – კაციაანთუბანში, გადის ძლევის ქედის ფერდზე, შედის ეზატში და აღწევს ახალ-ქალაქამდე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „აქ არის კიდევ ერთი რუ, კოდის რუს ეძახიან. ამიტომ ამას მისახვედრად ზეით რუ დაარ-ქვეს. ზევით გადის ეგ, ძლევის ქედის ფერდზე, იმის იქით. კოდის რუ და ზეით რუ სხვადასხვაა".

ზეითუბანი – უბანი სოფ. მირიანში. რესპ. მ. ოთიაშვილი: „სოფელში ჩამოდის ხევი, რომელშიც წვიმის წყალი მიედინება, როცა მოგროვდება. ამ ხევს იქით ქვეითუბანს ვეძახით, ხევს აქეთ –

ზეითუბანს. ორივე ერთ სიმაღლეზეა, მაგრამ მტკვარი იქიდან მოედინება და მისი მიმართულების მიხედვით იქით ვეძახით ქვეითუბანს, აქეთ – ზეით უბანს".

ზემო შუბათი – მთა, ნასოფლარი, საძოვარი მთაში (იხ. შუბათი).

ზვარიკოტმანი – ნასოფლარი, სათიბები, იგივე ზარიკოტმანი.

ზვარიკორტმანი – ნასოფლარი, სათიბები, იგივე ზარიკოტმანი.

ზვრიბოლო // ზვრის ბოლო // მზვრები // მზვრის ბოლო // მოურავიაანთ ვენახები // მოურავიაანთ მზვარი – დასახლებული ტერიტორია სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს, ქვემო ხანდაკისკენ. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „ქვემო ხანდაკელი იყო მოურავი, ჩიქოვანი. სულ იმას ჰქონდა იქ შემოღობილი. ქვემო ჩოჩეთის ნაკვეთებიც იმათი ყოფილა. მერე იყიდა გლეხობამ. სოფლის ბოლოს არის, მზიანი, კარგი მიწებია. ადრე სულ ვენახები იყო, ახლა სახლები ჩაიდგა, დასახლებული ტერიტორიაა, თუმცა კიდევ დარჩა ნაკვეთები".

ზვრის ბოლო – დასახლებული ტერიტორია, იგივე ზვრიბოლო (ქვემო ჩოჩეთი).

ზუაანთუბანი // მორჩლაძეების უბანი – უბანი შუაუბანში, აღაპიაანთუბნის ჩრდილოეთით, კელაპტრიაანთუბნის გვერდით, დასავლეთით. ცხოვრობენ მორჩილაძეები, რომელთაც მეტსახელად ზუაანთ ეძახიან. სახელდების მოტივაცია უცნობია, ვარაუდობენ, რომ ზუა რომელიმე წინაპრის მეტსახელი იყო.

თაგვიაანთ არხი – არხი სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბანში, კვირაცხოვლის (სერის) ძირში. გამოდის პირველი გუდალურადან (თაგვიაანთ მდინარიდან). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „შედარებით ახალი არხია, არ არის ძალიან ძველი. მეურნეობის დროს გაიყვანეს. ოქრო აბაშიძემ ოთხი მილიონი გამოიტანა, რომ გაეკეთებინა. თაგვიაანთ მამულები ამ არხით ირწყვებოდა".

თაგვიაანთ მამულები – თაგვიაშვილების კუთვნილი მამულები სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბნის გარშემო.

თაგვიაანთ მდინარე – მდინარე კავთისხევში (იხ. გუდალურა).

თაგვიაანთუბანი // თაგვიაანი – 1. უბანი სოფ. გუდალეთის დასაწყისში, დასავლეთით. ცხოვრობენ თაგვიაშვილები. თაგვიაანთუბანში დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და კვირაცხოველი. აქვე აღმოაჩინეს სამაროვანი, რომელიც თარიღდება ფეოდალური ხანით (სძა, 1990, 154); 2. პატარა უბანი სოფ. თვა-

ლადში, ჩახრიელას ზევით მიმდებარე ტერიტორიაზე, შეშაბერიაანთუბნამდე. ცხოვრობენ გუდალეთიდან გადმოსახლებული თაგვიაშვილები.

თაგვიაანთ წყარო – ძველისძველი წყარო სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბანში. ემსახურება თაგვიაანთუბანს.

თაგვიაანთხევი – ხევი სოფ. გუდალეთში. ხევში დიდი გუდალურა (იგივე გავაზურისწყალი, თაგვიაანთ მდინარე) ჩამოედინება (იხ. გუდალურა).

თაგვიაანი – 1. უბანი, იგივე თაგვიაანთუბანი (გუდალეთი, თვალადი).

თავქვე – დაღმართი ციხისუბანში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „მორჩილაძეების უბნიდან (შუაუბანი) ჩრდილოეთით, ციხისუბნისკენ, ცენტრალურ გზაზე რომ ჩავდივართ, მეურნეობის გარაჟი სადაც იყო, სატრაქტორო პარკი, იმას ჰქვია თავქვე, პატარა დაღმართია“.

თავშაღმები // თავჩაღმეები – ფერდობი, სახნავი მიწა სოფ. გუდალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, დასავლეთით, ვარცლებამდე. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „სოფლის ზევით არის, მამულებია. ჯერ ვაკე ადგილია და მერე აღმართი, დიდი ფერდობი, ამიტომ თავჩაღმეებს ეძახიან. ვარცლებში ადიხარ ამ თავშაღმებიდან, ამის მერე იწყება ვარცლები“.

თავჩაღმეები – ფერდობი, სახნავი მიწა, იგივე თავშაღმები (გუდალეთი).

თათუაანთ ბაგები – საძოვარი, სახნავი სოფ. ქვემო ხანდაკის დასავლეთით, სოფლის დასაწყისში. რესპ. მ. მამულაშვილი: „სანამ სოფელში შემოვალთ, ეგ მიწებია. იქ ვაშლი იყო ჩარგული, რაც მახსოვს. თათუა კაკალშვილი იყო ამ ბაგების პატრონი“. თათუაანი, სავარაუდოდ, კაკალაშვილების შტოგვარი ან საოჯახო მეტსახელია.

თამარას მორევი – მორევი მდ. მტკვარზე, სოფ. ქვემო ხანდაკში. რესპ. მ. მამულაშვილი: „თამარა (თაგვიაანთ ქალი, გამოთხოვილი ლაშქარაშვილზე) ულამაზესი და ძალიან კეთილი ქალი იყო, მაგრამ ქმარს ღალატობდა (სამამულო ომამდელი ამბავია, XX ს-ის დასაწყისისა). მიუხედავად ამისა, ძალიან კეთილად მოიხსენიებენ. ერთხელ სოფელ კავთისხევში ყოფილან ჩვენი ბიჭები დღეობაზე და იქ უჩხუბიათ. იმათ უთქვამთ: „წადითო და თქვენს ბოზ თამარას შეუკარით ნიფხავიო“. ამაზე გამწარებულები წამოსულან, წაუყვანიათ ეს ქალი (7-8 ბიჭი იყო) და ამ ადგილას ჩაუხრჩვიათ. მას

მერე თამარას მორევს ეძახიან. მთელ სოფელში ერთი კაცი არ აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგი წასულიყო. რომ გადააგდეს, გამოცურა და ერთ-ერთს უთხრა: „ვანიჩკა, ნუ იდებ ჩემს ცოდვას, რა გინდა, ჩემს ცოდვას მევე ვზიდავო“. ადგნენ და ქვა დაჰკიდეს. ჯიბეში ხურდა ფული ჰქონოდა, ამოიღო – „სანთელი მაინც დამინთეთო“, და კაბაში გამოუკრეს, იქ დაინთე სანთელიო, და ჩაახრჩვეს ეს ქალი. მერე წყალმა გამორიყა კავთურას ბოლოს, კავთურასა და მტკვრის შესართავთან და თავისმა ქმარმა აიკიდა თურმე, აიყვანა და დაასაფლავა“.

თამარ დედოფლის გორა // თამარ მეფის სამარხები – სამარხი, ხელოვნური გორა შუაუბანში, მონასელიაანთუბნის ჩრდილოეთ მხარეს, მდ. კავთურას მარჯვენა ნაპირზე. ამ გორაზე 1963 წელს მიწის სამუშაოების დროს აღმოაჩნეს XVI-XVIII სს-ის აკლდამა (იხ. აკლდამა). რესპ. ა. მონასელიძე: „აწოწოლებული გორა იყო, ხელოვნურად გაკეთებული. ვითომ თამარი იქ იყო დამარხული, ახლაც ხომ ეძებენ მაგის საფლავს, სად არის დამარხული, არ იციან. ჩვენმა მეზობელმა, მოხუცმა კაცმა (მამაჩემზე წლოვანებით დიდი იყო) ამოთხარა და აღმოაჩინა ეს შენობა, აგურით აშენებული. კარები ჰქონდა, შემოაცალა მიწა, შეხვიდოდი შიგ, პატარა ეკლესიასავით იყო, ნიშივით. ლულები (სათოფურები) ჰქონდა, მდინარისკენ იყურებოდა, მტერს ეომებოდნენ იქიდან თუ რა იყო, არ ვიცი. ახლა ალბათ აღარაფერია. საბჭოს ხალხმაც ნახა, არქეოლოგებიც იყვნენ. კოხტად იყო ამოშენებულ-გალესილი. აკვანი იდგა და რაღაც ნივთები. ვიღაც კაცს პატარა შვილი დაუსაფლავებია და აკლდამა აუშენებია. რა თქმა უნდა, თამარის საფლავი ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ მას მერე თამარ დედოფლის გორას ეძახიან“.

თამარ მეფის ქვები – სოფ. თვალადში, ძლევის ქედის ბოლოს, წმინდა გიორგის ეკლესიის დასავლეთით, დევს სავარძლის მოყვანილობის ორი დიდი ქვა, რომელთა შესახებაც ს. მაკალათია წერს: „ხალხური თქმულებით, ამაზე სხდებოდნენ თამარ მეფე და მხარგრძელი და აქედან მეთვალყურეობდნენ ჯარების მოქმედებას“ (მაკალათია, 1960, 16). რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ბავშვობაში გამიგია, რომ დიდი ფილაქანია, რომელიც იყო თამარ მეფის დასაჯდომი. ლეგენდის მიხედვით, მანდ დაისვენა თამარ მეფემ და დაუდგეს ქვა. ეზატში თქვეს, იქიდან უყურებდნენ

თამარი და დავით სოსლანი ბრძოლის ველსო. ტერიტორიულად ხელსაყრელი ადგილია. ალბათ ჩვეულებრივად იდო ქვები და მერე, რადგან თამარ მეფე ჩამოჯდა იმ ქვებზე, ასე შეერქვა".

თამარ მეფის სამარხები – სამარხი, ხელოვნური გორა, იგივე თამარ დედოფლის გორა (შუაუბანი).

თარხნიაანთ ციხე – თარხნიშვილების ციხე-გალავანი ციხისუბანში, შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი. როგორც ცნობილია, თარხნიშვილები გიორგი სააკაძის შთამომავლები არიან. სააკაძეთა წინაპრები კავთისხევის მოურავები ყოფილან (მაკალათია, 1960, 11). სააკაძეთაგან პირველად გიორგიმ მიიღო „თარხან-მოურავის" წოდება. „გიორგი სააკაძის გვარეულობას სააკაძეებად იცნობს მხოლოდ ისტორია, სადაც გვარის სათავეში გიორგი სააკაძემ თავისი დიდებული გამარჯვებებით სამეფოს სახელოვან პირთა შორის საპატიო ადგილი მოიპოვა. მისმა გვარეულობამ კი შეინარჩუნა სახელი თარხან-მოურავისა, როგორც განმასხვავებელი თავად თარხნიშვილთა მთელი საგვარეულოსი, რომლის წინაპრად იქცა თავადი გიორგი სააკაძე" (იოსელიანი, 1973, 14). XVII ს-ის 40-იანი წლებში გიორგის შვილს, იორამს, როსტომ მეფემ „სააკაძეთა საგვარეულო სამფლობელო აღუდგინა, სხვა მამულებიც უბოძა და თარხნობა დაუმკვიდრა. ამის შემდეგ იორამის ჩამომავლებს თარხნიშვილები ეწოდათ" (ქსე, 1979, 589-590). სწორედ იორამ თარხან-მოურავს დაუმტკიცა კავთისხევის სათარხნო მამული მეფე როსტომმა 1659 წელს (იოსელიანი, 1973, 54). ს. მაკალათიას ცნობით, თარხნიაანთ ციხე-გალავანი მდგარა კავთურას ნაპირას, სჭერია, დაახლოებით, ნახევარი ჰექტარი ფართობი. გალავანში ყოფილა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაც და თარხნიშვილთა სასახლეც. გადმოცემით, ციხე-გალავანს სამხრეთის მხარეს შემოვლებული ჰქონია ღრმა თხრილი, რომელზეც ხის მორები ყოფილა გადებული. ლეკიანობის დროს ხალხი ამ მორებზე გადადიოდა, შემდეგ მორებს გალავანში შეათრევდა და ციხეში იხიზნებოდა, მტერს კი ღრმა თხრილზე გადასვლა უძნელდებოდა (მაკალათია, 1960, 12). ამჟამად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარხნიაანთ ციხის, მისი გალავნის, ეკლესიისა თუ სასახლის მხოლოდ საძირკველია დარჩენილი.

თარხნიშვილების მიწები – სახნავ-სათესი მიწა, საძოვარი სოფ. გუდალეთში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „თაგვიაანთ მიწების ნაწილი

საბატონო იყო და ნაწილი – საეკლესიო. ამ საბატონოს ეძახდნენ თარხნიშვილების მიწებს, იმათ ეკუთვნოდათ, საქონელი და ხბორები ჰყავდათ გაშვებული. თარხნიშვილებს მოურავი ჰყავდათ, ბატონს ეძახდნენ იმას. ის განაგებდა აქაურობას. გადმოცემით, ამ მოურავმა ბიძაჩემის ნახირი წაასხა. ბიძაჩემს დაუძახია: ჩქარა ცხენი მომიყვანეთო. მოუყვანეს ცხენი და დაეწია ამ მოურავს, ჩამოიღო ცხენიდან და – ძლიერი კაცი იყო – მაგრად მიბეგვა. წავიდა ეს მოურავი ნაცემი, არადა, მოურავი, როგორც ნაჩალნიკი, ისე იყო. ბიძაჩემს არ ეშინოდა: მერე რა არის, მცემენ კი არა, თვითონ ბატონს დედას ვუტირებო".

თარხნიშვილების სახლი – თარხნიშვილების საცხოვრებელი სახლი XX ს-ის 20-იან წლებამდე. დგას ციხისუბნის ჩრდილოეთით, მდ. კავთურას მარცხენა ნაპირზე, ბორცვზე. ამ სახლში ცხოვრობდა გიგო თარხნიშვილი, აქ იზრდებოდნენ მარო და თამარ თარხნიშვილებიც. XX ს-ის 20-იან წლებში თარხნიშვილები გაასახლეს, ზოგი დახვრიტეს, შენობაში კი გაიხსნა კავთისხევის საშუალო სკოლა. სულ ექვსი ოთახი იყო, შემდეგ აღმოსავლეთის მხრიდან მიაშენეს სამი ოთახი: სამასწავლებლო და სასწავლო ნაწილისა და დირექტორის კაბინეტები. 1958 წელს სკოლა ახალ შენობაში გადავიდა და თარხნიშვილების სახლში საბავშვო ბაღი გაიხსნა. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „მდინარე კავთურასთან ძალიან ახლოს არის. თარხნიშვილების დაბლა მათი ნავენახარია, სადაც მერე გაიხსნა სკოლის სტადიონი, საჭიდაოც გაკეთდა. ეგ მიწები თარხნიშვილებს რომ ჩამოართვეს, მერე მაზმიშვილებისა იყო, კრიჭინიაანთი".

თეთრი გზა // თეთრობი – თვალადი-გუდალეთის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „სოფ. თვალადის მექანარიაანთუბნიდან გადადიხარ კანჭიელას გზაზე, კანჭიელადან – ბრილისის გზაზე, მერე უერთდება თეთრი გზა (ბრილისს ამ თეთრ გზაზე გამოუდის თავი), გადადიხარ მექანარიაანთ მიწებში და შედიხარ სოფ. გუდალეთში. თეთრი გზა იგივე თეთრობია. სულ თეთრია, ცარცს იღებდნენ მანდ. კლდოვანი ნამტვრევებია, კირი საიდანაც იჭრება". რესპ. გ. თაგვიაშვილი: „თვალადიდან გუდალეთში რომ მივდივართ, გზა თეთრია, თეთრობს ვეძახით, თეთრი მიწაა, ცარცია, თეთრი კლდეა. ბუნებრივი გზაა, არაფერია

მოყრილი, უბრალოდ, გზა გაჭრეს და თეთრი კლდე გამოჩნდა“ (იხ. თვალადი-გუდალეთის გზა).

თეთრიგზაითავები – ვაკე ადგილი, იგივე მექანარიაანთ მიწები (თვალადი).

თეთრი კლდეები – ტყე; ფერდობი ტყეში სოფ. გუდალეთის მაღლა, დასავლეთით. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „აი, როგორ არის: ჩვენ ასწვრივ, მაღლა, მიხვალ, მიხვალ და დაახლოებით ერთ კილომეტრზე ტყეა, ტყეში – ფერდობი. იქ თეთრი მიწა არის და ქვაც არის. ამ პატარა ფერდობს ეძახიან თეთრ კლდეებს. ტყესაც, ფერდობიდან გამომდინარე, ჰქვია თეთრი კლდეები“.

თეთრნაკადლები – სარწყავი წყალი შუაუბანში, ჩადის სერების დასავლეთ მხარეს, არწივის გორის გვერდით, მცირე მონაკვეთზე. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „სარწყავი რუს მონაკვეთია, რომლიდანაც სარყავი წყალი გამოჰყავს ხოლმე ქვევით, შუაუბანში, მცხოვრებ მოსახლეობას. მუდმივად არ არის, როცა დასჭირდებათ, მაშინ გამოჰყავთ. ადგილი, სადაც ეს რუ გაივლის, თეთრი კირქვით არის დაფარული და თეთრნაკადლებს ამიტომ უწოდებენ“.

თეთრობი – 1. გზა, იგივე თეთრი გზა (თვალადი, გუდალეთი); 2. თეთრი, კირქვის გზა კატაულას მთის აღმოსავლეთით. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „გზის აქეთ მხარე, ჩრდილოეთით, კავთისხევისაა და იქით, სამხრეთით, წინარეხისა“.

თელიები – აღმართი, სახნავი მიწა, იგივე დიდთელები (ქვემო ჩოჩეთი).

თელის მიწა // თელის მიწები – მამულები, ხეხილის ბაღები, სახნავ-სათესი მიწა სოფ. ეზატში, კოდაზე, ბრილისის არხის ჩრდილო-დასავლეთით მიმდებარე ტერიტორია. მოიცავს ვახტანგობასაც. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „დიდი თელა იდგა ისე, რომ ხელს ვერ შემოხვევდი. ხვლიკისწყაროს ზემოთ იყო, ეზატის ბოლოზე“.

თელის მიწები – მამულები, ხეხილის ბაღები, სახნავ-სათესი მიწა, იგივე თელის მიწა (ეზატი).


თელიწყარო – წყარო სოფ. ქვემო ჩოჩეთში, ციხიაგორის დაბლა. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „თელიანი ადგილი იყო, დიდთელები, თელიები, კი არა, სხვა. თელა იდგა და წყალი გამოდიოდა“.

თერუან მიწა // კომკავშირების მიწა // მოდრეკილაანთ სასაფლაო – მოდრეკილაანთ და ხოკერაანთუბნების სასაფლაო სოფ. გუდალეთში, მოდრეკილაანთ და ხოკერაანთუბნების სამხრეთით. რესპ.

ვ. ყველაშვილი: „ჯერ თერუან მიწას ვეძახდით, მერე კომკავშირის მიწას. სანამ სასაფლაოსთვის გამოიყენებდნენ, სახნავი მიწა იყო. გუთნით რომ ვხნავდით, რაღაც ამოდიოდა მიწიდან, მიწის თხილივით, კუშტოვანი, კანიც მსგავსი ჰქონდა. ვფცქვნიდით და ვჭამდით, გემრიელი იყო. თეროს ვეძახდით მაგას. თეროვანი მიწა იყო, თერუანი. ახლა არ ვიცი, თერო არის თუ არა, აღარ იხვნება ის მიწები. კომკავშირის მიწა იმიტომ დაერქვა, რომ ბავშვები, კომკავშირლები, გავყავდით და გვამუშავებდნენ, რომ შრომა გვესწავლა. მერე, ძველ სასაფლაოზე (გალავანში იყო) ხალხი რომ ველარ ეტეოდა, ეს ადგილი გამოიყენეს სასაფლაოდ. მოიხსენიებენ როგორც მოდრეკილაძეების სასაფლაოსაც. საერთოდ, სოფელში ორი სასაფლაოა: ერთი ეს და მეორე – თაგვიაშვილების, წმინდა გიორგის ეკლესიიდან მოყოლებული სასაფლაოა, ვაშლიმიწებიდან იწყება“ (იხ. გუდალეთის წმინდა გიორგი).

თვალადი – სოფელი კავთისხევის თემში. მდებარეობს მდ. გუდალურას ხეობაში, ზღვის დონიდან 780 მ-ზე, კასპიდან დაშორებულია 14 კმ-ით. ფეოდალურ ხანაში თვალადში ქართლის მეფეთა საზაფხულო სადგომი იყო. შემორჩენილია წმინდა ნიკოლოზის შუა ფეოდალური ხანის ეკლესია (იხ. მეფეთსადგომის ეკლესია) და შენობათა ნანგრევები. მოსახლეობა მათ დღესაც როსტომ მეფის (1632-1658 წწ.) საყდარსა და სასახლეს უწოდებს (ქსე, 1979, 671; მაკალათია, 1960, 16; სძა, 1990, 163, 164); სოფელში აგრეთვე არის წმინდა ნიკოლოზის მეორე ეკლესია (შატბერაანთ ნიში), წმინდა გიორგის ორი ეკლესია (კავთა და ონოფრიაანთ საყდარი), კავთის ღვთისმშობლის ეკლესია, სამება (იხ. თვალადის სამების ეკლესია), კაციაანთ საყდარი, მისალოცავის ეკლესია. სოფ. თვალადი მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებში. ვახუშტი ბატონიშვილი მას უწოდებს თუალივს: „გუდარეხის ხევზედ არს თუალივის სასახლე, მეფეთა, ნაშენობა დიდი“[19] (ქც, 4, 341). გარდა

[19] სოფ. თუალივს ვახუშტი მოიხსენიებს არაგვის ხეობაშიც: „ჟალეთს ზეით იორს მოერთვის თიანეთის წყალი, რომელი გამოსდის თუალივს ქუეთი ხერკის მთას და ან თიანეთისას, და მოდის აღმოსავლეთს-სამხრეთ შუა, და მოერთვის იორს დასავლეთიდან, ხოლო ამ წყლის სათავისა და საშიშის თუალივს იქით, თეთრის არაგვის მჭურეტად არს ხარჭაშოს ეკლესია გუმბათიანი, ლეთილშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთისა...“ (ქც, 4, 531, 532).


სოფელი თვალადი
რუკა №5
ეზათი
კავთისხევი
(ძუაუბანი)
1
2
3
4
5
6
7
8
კავთისხევის თემის ტერიტორია
წინარეხის თემის ტერიტორია
სოფელ თვალადის
ტერიტორია
გუდალეთი
კავთისხევის თემის ტერიტორია
1 - ვარდისუბანი
2 - მოდრეკილაანთუბანი
3 - შუაბერიაანთუბანი
4 - ონოფრიაანთუბანი
5 - კოტმისხევი
6 - ხვედრელიაანთუბანი
7 - კაციაანთუბანი
8 - მექანარიაანთუბანი
0 0.125 0.25 0.5
N
W
E
S

ამისა, სოფ. თვალადი წყაროებში ცნობილია როგორც: თვალი, თვალთუბანი (დოკუმენტები, 1940, 7, 27; ტოპ. ლექს., 2013, 256). როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, „კავთურას ხეობის ქვედა წელის ერთ-ერთი ცენტრალური სოფელია თვალადი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო გვიანდელ ფეოდალურ ხანაში, რამდენადაც შემორჩენილია ამ პერიოდის საკმაოდ მდიდარი არქიტექტურული ძეგლები... ხეობაში სოფელი გამოირჩევა თავისი კოლორიტულობითაც, რაზეც მისი სახელიც მიგვანიშნებს... ადგილობრივთა გადმოცემით, სოფლის სახელწოდება მისი შესანიშნავი იერსახიდან წარმოდგება: „თვალადია, ლამაზი, კარგი შეხედულებისა“ (პავლიაშვილი, 2005, 41). 1981, 1988 წლების მასალების მიხედვით: „აქ ცხოვრობდა მეტად ღონიერი და თვალადი კაცი, რომელსაც ამ ადგილას კოშკი აუშენებია. შემდეგ ამ კოშკის ირგვლივ უბანი გაშენდა“. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „თვალადი იმიტომ შეერქვა, რომ თვალსაჩინო ხალხი იყო ბევრი (როგორც, მაგალითად, ტანადი). თვალადიდან იმ ცხონებულ გიორგი სააკაძეს 100 მეომარი ჰყავდა, ახლა წადი, მოთვალე 100 კაცი და 100 ცხენი! ვერ იშოვი. დაუძახებდა თუ არა, მზად იყვნენ ის ცხონებულები, მაგრამ იბრძოლეს, იბრძოლეს და სად ჩაიკარგნენ, როცა გააძევეს გიორგი სააკაძე აქედან, ის ცხონებულები, ისინი?! ომიც გადაიარეს, სისხლისღვრაც. ძლევის ქედი რად ჰქვია? მანდ სძლიეს მტერსა. სანაღარო რად ჰქვია, რომ გადახვალ მექანარიაანთგან თავქვე? მანდ დაუკრეს ნაღარა. მისალოცავი ჰქვია იქითკენ, რომ მიულოცეს გამარჯვება. ეკლესიაც მანდ არის“. რესპ გ. მაღალაშვილი: „ადრე ტბას რქმევია თვალადი, მექანარიაანში პატარა ტბაა. ჩემი გვარის ხალხს რომ მკურნალობდნენ, აქედან მიჰყავდათ წურბელები, ტბა თვალადიდან. ასე წერენ ჩვენი ისტორიკოსები“. სოფ თვალადის უბნებია: ონოფრიაანი (ონოფრიშვილების უბანი), ნოქარაანი (ნოქარაშვილების უბანი), შეშაბერიაანი (შეშაბერიძეების უბანი), მოდრეკილაანი (მოდრეკილაძეების უბანი), კავთიაანი (კავთიაშვილების უბანი), კაციაანი (კაციაშვილების უბანი), მექანარიაანი (მექანარიშვილების უბანი), ხვედრელიაანი (ნაცვლიშვილების უბანი). ახალი უბანია ვარდისუბანი, სადაც 50 წლის წინ დასახლდა ხალხი.

თვალადი-გუდალეთის გზა – გზა, რომელიც სოფ. თვალადის მექანარიაანთუბნიდან გადის, გაივლის ვიწროებს (// სანაღაროეს), შემდეგ კანჭიელას ფერდობს (იხ. კანჭიელას გზა), აუვლის ბრილისის ტყეს (იხ. ბრილისის გზა), ბრილისის გზას მოსდევს თეთრი გზა. თვალადიდან დაახლოებით 2 კმ-ზე გზა სამად იყოფა: ერთი გზა მიდის წინარეხში, ორი (ორივე სამანქანო) – გუდალეთში: ერთი, უფრო ფართო, – მექანარიაანთ მიწების გავლით შედის სოფ. გუდალეთის თაგვიაანთუბანში, მეორე, უფრო ვიწრო, – ხოკერაანთ და მოდრეკილაანთუბნებში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „გაყოფის მერე ვიწრო გზა გადაივლის მდ. გუდალურაზე, გადაკვეთს, მარცხენა მხარეს ჩაუვლის დიდ ლოდს და შედის პირდაპირ ხოკერაანში. ფართო გზა, მექანარიაანის უკან რომ დიდი ფართობია, იმას ჩამოივლის, ჩამოვა ხიდახევაში, ხიდახევადან მოდის პირდაპირ თაგვიაანში. ჩვენი (თაგვიაანთ) და მოდრეკილაანთ გზა რომ იყოფა, ამ ადგილიდან გზა წინარეხშიც მიდის“. თვალადი-გუდალეთის გზა სამანქანო გზაა, მაგრამ ვიწრო. თვალადიდან გუდალეთში ეზატის გავლითაც შეიძლება მოხვედრა (იხ. ეზატი-გუდალეთის გზა). რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „თვალადიდან ეზატის გავლით გუდალეთში მიმავალი გზა ცენტრალურია. ორივე გზა სამანქანოა, ორივე გუდალეთში ადის, ორივე ბრილისის ტყეს აუვლის, ოღონდ სხვადასხვა მხრიდან: უშუალოდ თვალადიდან მიმავალი – აღმოსავლეთით, ეზატიდან მიმავალი – დასავლეთით, ერთიც ბრილისის თავზე ადის, მეორეც, შეხვდებიან ერთიმეორეს კანჭიელას ზევით“. რესპ. ა. მონასელიძე: „ერთი გზა პირდაპირ თვალადიდან გადის. ჯერ უნდა გაიარო თვალადის მექანარიაანთუბანი, მერე გადახვიდე მდ. გუდალურაზე, ახვიდე ხოკერაანში, მერე არის მოდრეკილაანი და მერე თაგვიაანი. მეორე გზა ეზატის გავლითაა. ეს გზა, პირიქით, ჯერ თაგვიაანში ადის, მერე მოდრეკილაანში და ხოკერაანში. ეს უფრო დიდი გზაა“.

თვალადის სამების ეკლესია // სამება – სპეციალურ ლიტერატურაში სოფ. თვალადის ძეგლებს შორის მოხსენიებულია სამების ეკლესია: ეკლესია „დგას სოფლის კლუბის უკან, ფერდობზე. თარიღდება XIX ს-ით. ეკლესია დარბაზულია (7,6 X 5,1 მ), ნაგებია ნატეხი და უხეშად დაკუთხული ქვებით, წყობაში ურევია რიყის ქვაც. ოდნავ შეისრული ფორმის თაღიანი შესასვლელი სამხრეთ

კედლის დასავლეთ ნაწილშია. ერთი შესასვლელი ჩრდილოეთ მხრიდანაცაა. ნახევარწრიული, მცირე სიღრმის აფსიდის ღერძზე სწორკუთხა სარკმელია, თითო ასეთივე სარკმელი სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია. აფსიდის სამხრეთ ნაწილში პატარა ნიშია. დარბაზთან შედარებით აფსიდი საგრძნობლად დაბალია. აფსიდის კონქის ზევით მოწყობილი ყოფილა სამალავი. დარბაზის კედლები შელესილია. შეისრული ფორმის ყოფილა კირხსნარითა და ნაყარი ქვებით დაბეტონებული კამარა (სძა, 1990, 163). რესპ. ო. ზაქარიაშვილის, აგრეთვე ს. ძამუკაშვილისა და სოფ. თვალადის სხვა მცხოვრებთა ინფორმაციით, სამების ეკლესია ძამუკაანთ საყდარია, რომელიც დგას ძამუკაანთ (ძამუკაშვილების) უბანში, კანტორის შენობის უკან, ფერდობზე. მაგრამ, ლიტერატურაში აღწერილი სამების ეკლესიისგან განსხვავებით, ძამუკაანთ საყდარი ძლიერ დაზიანებულია, დანგრეულია. შემორჩენილია საძირკველი და თითქმის საძირკვლამდე ჩამოშლილი კედლები, შესაბამისად, არც შესასვლელი აქვს, არც სარკმლები.

თვალადის სკოლა // ნიკო ცხვედაძის სახლი – თვალადის ნიკო ცხვედაძის სახელობის სკოლა, ისტორიული შენობა, რომელშიც ცხოვრობდა ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის (მაშინდელი თბილისის ქართული გიმნაზიის) მშენებლობის ორგანიზატორი ნიკო ზებედეს ძე ცხვედაძე (1845- 1911 წწ.). „სახლი აშენებულია 1814 წელს... ნაგებია რიყის ქვითა და აგურით... შენობა სამხრეთიდან ორსართულიანია, ჩრდილოეთიდან – სამსართულიანი. მესამე სართული მოგვიანებით დაუშენებია ნიკო ცხვედაძის სიძეს, ცნობილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს, ფ. გოგიჩაიშვილს. შენობას დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს ჰქონია გალერეა (ამჟამად ამოშენებულია)“ (სძა, 1990, 163)... ამ ისტორიულ სახლში შემდგომში თვალადის სკოლა გახსნეს. „ნიკო ცხვედაძესთან ზაფხულობით სოფელში ხშირად ჩადიოდნენ სტუმრად გამოჩენილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები. მისი უახლოესი მეგობარი იაკობ გოგებაშვილი ჭაბუკობიდანვე სოფ. თვალადში, ნ. ცხვედაძის დედის ოჯახში, ისვენებდა. ნ. ცხვედაძის სახლში მას ცალკე ოთახი ჰქონია სამუშაოდ. ამ ოთახს „იაკობის ოთახს“

ეძახდნენ. აქ დაწერა ი. გოგებაშვილმა „კონა“ და „იავნანამ რა ჰქმნა!“ (იქვე). რესპ. თ. ცალქალამანიძე: „გოგებაშვილი ძალიან ახლოს იყო ნიკო ცხვედაძის სიძესთან, მეგობრობნენ. მოგეხსენებათ, ჭლექით იყო დაავადებული და კავთისხევის ჰავა ძალიან უხდებოდა. იმ ოთახში, სადაც ის ცხოვრობდა, დღესაც გაკრულია ტრაფარეტი შესაბამისი წარწერით“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „იაკობ გოგებაშვილს ექიმმა მთის ჰავა გამოუწერა და ნიკო ცხვედაძემ გუდალეთში დაუქირავა ბინა. მოთხრობის „იავნანამ რა ჰქმნა!“ მეორე ნაწილი დაიწერა გუდალეთში“. ნიკო ცხვედაძის შემდეგ შენობაში ჯერ გახსნეს დაწყებითი სკოლა, შემდეგ – რვაწლედი, ახლა საშუალო სკოლაა. თ. ცალქალამანიძე: „სამწუხაროდ, ამ სკოლას სხვაგან უპირებენ გადატანას და ძალიან გულდასაწყვეტია, რადგან ისტორიული შენობაა“.

თირიწყარო // თირის წყარო – წყარო, რომელიც მუნის საყდრის დაბლა ჩაივლის და ხიდახევას ხევში ჩამოდის. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ზაფხულში შრება ხოლმე, მაგრამ დიდი ნიაღვრობის დროს სულ ამ ხევში მიდის წყალი. მუნის საყდარში რომ მუშაობდა ხალხი, იმ წყლით სარგებლობდა ხოლმე“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „თირი არის მიწა, რომელიც უნაყოფოა, თეთრი თიხაა. წყალი კირიანი კლდიდან გამოდის, ძალიან ცივია და თავისებური გემო აქვს, თითქოს თირის გემო, ცარცის, კირის გემო იგრძნობა, ამიტომ თირის წყაროს ეძახიან“.

თირის წყარო – წყარო, იგივე თირიწყარო (თვალადი, გუდალეთი).

თხინვალიაანთ მიწები – სახნავ-სათესი მიწა სოფ. მირიანში, სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, ფერდზე. რესპ. მ. ოთიაშვილი: „პირველად რომ ჩამოსულან მოსახლეები მირიანში, გაანაწილეს ეს სახნავები (საძოვარი ერთი ჰქონდათ) და, თხინვალელებს რომ მიწა ერგოთ, იმას ვეძახდით თხინვალიაანთ მიწებს“.

თხინვალიაანთ ეკლესია // ლომისა // ლომისას სალოცავი // ლომისას საყდარი // ლომისის წმინდა გიორგი // წმინდა გიორგი – ციხისუბანში, თხინვალიაანთ მიკროუბნის ცენტრში, შემაღლებულ ადგილზე, გვერდიგვერდ დგას წმინდა გიორგის ორი ეკლესია. რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ერთი ლომისა, პატარა, ძველისძველია, ხოლო მეორე, დიდი, რომელიც ზედვეა მიდგმული ძველ საყდარს, ახალია. ახალი კოტეტიაანთ ან მათი წინაპრის აშენებული უნდა იყოს“. 1. ძველი, მომცრო ეკლესია თარიღდება

ადრინდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (8,8 X 8,7 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. შესასვლელი სამხრეთითაა. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო თაღოვანი სარკმელია, ჩრდილოეთით – ოთხკუთხა ნიში. სარკმლის ქვეშ მიდგმულია სატრაპეზო ქვა. დარბაზის სამხრეთ კედელში ძლიერ ვიწრო სარკმელია. სარკმელია დასავლეთ კედელშიც. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში ჩასმული ორი დიდი ქვის ლოდი თითქმის კედლის ნახევარს ავსებს. მოგვიანებით დარბაზის კედლები შეულესავთ. ეკლესიას სამხრეთით ჰქონია მინაშენი (სძა, 1990, 168). ერთი ვერსიით, ტაძარი მლეთის[20] წმინდა გიორგის ნიშია. ს. მაკალათიას ცნობით, ყოველ 15 ივნისს (ახალი სტილით) აქ დღეობა იმართებოდა. „სალოცავად მოდიოდნენ მთიულები, რომლებიც მას უკავშირებდნენ მთიულეთის ლომისას (თავლომისას). გადმოცემით, ამ ადგილას ქართველებს დაღესტნელ ყაჩაღებთან უბრძოლიათ ლომურად და მეფის ბრძანებით აქ აუგიათ ეკლესია, რომელსაც უწოდეს „ლომისა“ (მაკალათია, 1960, 14). ლომისის წმინდა გიორგის ტაძარს წინათ შხამ-ქიმიკატების საწყობად იყენებდნენ. ამჟამად შეკეთებულია და მსახურებაც აღესრულება“ (ცაგურიშვილი, 2008); 2. წმინდა გიორგის სახელობის XIX ს-ის ეკლესია, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ როგორც კავთისხევის წმინდა გიორგის ეკლესიასაც. სამხრეთ კარის თავზე ამოკვეთილი მხედრული წარწერის მიხედვით, იგი 1886 წელს აუგია ოსტატ ჯაბადარს. ეკლესია დარბაზულია (20,85 X 8,55), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. კონსტრუქციის ნაწილები და ლავგარდანი[21] აგურისაა. ეკლესიის მთავარი შესასვლელი სამხრეთიდანაა, დანარჩენი ორი ამოქოლილია. ნახევარწრიულ აფსიდში სამი სარკმელია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, ინტერიერის დასავლეთ ნაწილში კარიბჭე ყოფილა. დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ფასადებზე, ცენტრალურ არეებში აგურის წყობით გამოყვანილია

[20] მლეთა – დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების: ზემო მლეთისა და ქვემო მლეთის ძველი სახელწოდება (ქსე, 1984, 51).

[21] ლავგარდანი – შენობის კედლის ზედა ნაწილში ან ჭერის კიდეზე შემოვლებული არშია; ჩვეულებრივ, პროფილირებული ელემენტი (არქიტექტ. ლექს.).

დეკორატიული ჯვრები. ეკლესია მაღალ ცოკოლზე დგას (სძა, 1990, 172-173). მ. ქვრივიშვილისა და გ. კელაპტრიშვილის ცნობით, 1997 წლის 6 მაისს სოფლის მოსახლეობის შემოწირულობებით ანდრო კოტეტიშვილმა ეკლესიის სამრეკლოს გუმბათზე 70 კგ-იანი ბრინჯაოს ზარი ჩამოკიდა. 2007 წელს დაიწყო ეკლესიის აღდგენა-გადახურვა (ინიციატორი იყო სოფლის მკვიდრი ბაბულია ხოსიტაშვილი (კოტეტიშვილისა), ზედამხედველი – მხატვარი იორამ იმედაშვილი). ეკლესია მოქმედია. ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიაზე სასაფლაოა.

თხინვალიაანთ ვენახი – ვენახი ციხისუბანში, თხინვალიაანთუბნის ჩრდილოეთით, თხინვალიაანთ სასაფლაოსთან, ცენტრალურ გზასთან ახლოს.

თხინვალიაანთ სასაფლაო – ციხისუბანში, თხინვალიაანთუბანში, ლომისის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის (იხ. თხინვალიაანთ ეკლესია) გარშემო არის ძველი სასაფლაო, მის გვერდით კი – ახალი. ძველ და ახალ სასაფლაოებს ყოფს პატარა გზა, ჩიხი.

თხინვალიაანთუბანი // თხინვალიაანი // თხინოლიანთუბანი // თხინოლიანი – უბანი ციხისუბანში, სამხრეთით ეკვრის შუაუბნის კელაპტრიაანთუბანი, ჩრდილოეთით – გორი-თბილისის გზა მიდის. ცხოვრობენ თხინვალელები. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „დასავლეთიდან ეკვრის სატრაქტორო პარკი, რომელიც დღეს დაშლილია“.

თხინვალიაანი – უბანი, იგივე თხინვალიაანთუბანი (ციხისუბანი).

თხინოლიანთუბანი – უბანი, იგივე თხინვალიაანთუბანი (ციხისუბანი).

თხინოლიანი – უბანი, იგივე თხინვალიაანთუბანი (ციხისუბანი).

იაანთუბანი – იაშვილების დასახლება სოფ. ეზატში ჩივაანთ (ჩივაძეების) უბანში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გარშემო.

იაანთუბნის ეკლესია // ლაზარიაანთ საყდარი // ნათლისმცემელი // ჩივაანთუბნის ეკლესია – იოანე ნათლისმცემლის ეკლესია სოფ. ეზატში, ჩივაანთუბანში, ამაღლებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (12,2 X 4,85 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. გაირჩევა ორი სამშენებლო ფენა. XIX ს-ის დასაწყისში ნაგებობა შეუკეთებიათ – შემოუვლიათ ოთხი რიგისაგან შედგენილი ლავგარდანი და დასავლეთიდან მოზრდილი სათავსი მიუშენებიათ, სამხრეთ კედელში არსებული შესასვლელი ამოუქოლავთ და მინაშენის სამხრეთ კედელში მაღალი და ფართო კარი გაუჭრიათ. ორივე ნაგებობა ერთიანი ნახევარწრიული კამარითაა გადახურული.

მინაშენს ჩრდილოეთით ორი სარკმელი აქვს, დასავლეთით და სამხრეთით – თითო. ინტერიერში შემორჩენილია შელესილობის ფრაგმენტები. მინაშენის დასავლეთ ფასადზე, ცენტრში, აგურის წყობაში გამოყვანილია დიდი ჯვარი. ეკლესია გადახურულია კრამიტით (სძა, 1990, 155-156). რესპ. თ. კერესელიძე: „ეკლესია დგას ჩივაანთუბანში, რის გამოც ჩივაანთუბნის ეკლესიას ვეძახით. ეკლესიის გარშემო იაშვილების დასახლებაა, ამიტომ იაანთუბნის ეკლესიადაც მოვიხსენიებთ. ლაზარიაანი იაშვილების ერთ-ერთი შტოგვარის წარმომადგენლები არიან (ლაზარე მათი წინაპარი იყო), აქედან მოდის სახელწოდება ლაზარიაანთ საყდარი“. მ. ქვრივიშვილი: „ეკლესიის ორფერდა სახურავზე კრამიტი დაზიანებული იყო. ნინო კერესელიძის ინიციატივით, მოსახლეობის ძალისხმევითა და მუნიციპალიტეტის ისტორიული კულტურის ძეგლის დაცვისა და მოვლა-პატრონობის ფონდის ფულადი დახმარებით 2000 წლისთვის ეკლესია შეკეთდა“.

იაგორას ვენახი – მახარიაანთ გორის აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორია სოფ. ეზატში. ეკუთვნოდა იაგორა მორჩილაძეს, სოფ. შუაუბნის მცხოვრებს.

ილას წისქვილი – ნაწისქვილარი შუაუბანში, პატარა შაყულაანში, დიდრუზე. შუაუბნისა და ციხისუბნის რუების შეერთებასთან. ეკუთვნოდა ილია მონასელიძეს.

იმერლიაანი – სახნავ-სათესი მიწა, იგივე ახალშენი (შუაუბანი).

იობაანთ ჭალა // იობას ჭალა – მიწის ნაკვეთი შუაუბანში, კავთურას მარცხენა მხარეს, შაყულაანთუბანში. იობაანი შაყულაშვილები არიან, მათ წინაპარ იოსებს მეტსახელად იობას ეძახდნენ, აქედან მოდის შტოგვარიც. რესპ. ა. მონასელიძე: „შაყულაშვილების ვენახების ბოლოზე, სადაც იობაანთ წყარო გამოდიოდა, იობას დარგული ტირიფები იზრდებოდა. ბევრი ნერგი იყო, ამიტომ დაარქვეს იობაანთ ჭალა“. იობაანთ ჭალა, როგორც ჩანს, სახელდების მეორე ეტაპია. იობას თანამედროვეთათვის ეს ადგილი იობას ჭალაა, მომდევნო თაობებისთვის – იობას შთამომავლებისა.

იობაანთ წყარო – წყარო შუაუბანში, შაყულაანთუბანში, გამოდიოდა იობაანთ ჭალაში. რესპ. გ. შაყულაშვილი: „მდინარის პირას გამოდიოდა, მდინარის გამონაჟონი წყალი იყო, წმინდა, და აქედან იღებდნენ სასმელ წყალს შაყულაშვილები, დევსორაშვილები, პაპიაშვილები“.

იობას ჭალა – ნაკვეთი, იგივე იობაანთ ჭალა (შუაუბანი).

იორამგორა // იორამის გორა – გორა, ნამოსახლარი ციხისუბნის ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კმ-ზე, ქასრაანთხევის მარცხენა ნაპირზე (აღმოსავლეთით). თარიღდება ანტიკური და ადრე შუა საუკუნეებით. ნამოსახლარ იორამის გორასთან მდებარე მინდორზე გაითხარა ორი უძველესი ყორღანი და ოთხი ქვაყრილიანი ორმოსამარხი. ორმოსამარხებში დაკრძალული იყვნენ მიცვალებულები. აგრეთვე აღმოჩნდა ქოთნები, დერგები, ქილები, ბადიები, მძივები... (კვაჭაძე, 1999, 23-28). რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „გორაა ციხისუბანში, ქასრაანთხევის ქვემოთ, 500 მ-ზე“. გადმოცემით, იორამი იყო თავადიშვილი, თარხნიშვილი, და ეს ადგილების მას ეკუთვნოდა.

იორამის გორა – გორა, ნამოსახლარი, იგივე იორამგორა (ციხისუბანი).

იორამის წყარო – წყარო ციხისუბანში, იორამგორაზე.

იოსებაანთ წისქვილი – ნაწისქვილარი სოფ. გუდალეთში, მდ. გუდალურაზე (თაგვიაანთ მდინარეზე), თაგვიაანთუბნის მოპირდაპირე გორასთან. ეკუთვნოდა იოსებ თაგვიაშვილს. რესპ. გ. თაგვიაშვილის ინფორმაციით, მდ. გუდალურაზე და ზევითაც, ტყემლუანასა და ზვარიკოტმანში, ბევრი ნაწისქვილარია, მათი დიდი ნაწილი აუგია ოსტატ იოსებ თაგვიაშვილს, რომელიც თავადაც მეწისქვილე ყოფილა (ყველაზე დიდი წისქვილი ჰქონია). რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, მაშინ მამაჩემი, იოსებ თაგვიაშვილი, გააკულაკეს, მე ტყუპისცალი ვარ და მე და ჩემი ძმა იმ დროს აკვანში ვწოლილვართ. სულ წაართვეს, თუ რამე იყო, ამ კაცს, პატარა ქვაბიც არ დატოვეს, საქონელი წაიყვანეს, ერთი ძროხაც არ დაუტოვეს, რომ ბავშვებისთვის რძე ეჭმიათ. წუწკი პარტიულების ხელში იყო მაშინ ყველაფერი. შემოვიდნენ და გააკულაკეს ეს ხალხი. ამ უბნიდან ორი კაცია გაკულაკებული, ერთი იყო ნიკა, მამაჩემის ბიძაშვილი, წაართვეს ყველაფერი, და მამაჩემი, წისქვილები წაართვეს, საქონელთან ერთად. კიდევ, ბალიას ეძახდნენ, იმისი წისქვილი იყო, ნიკას წისქვილი, იოსებას წისქვილი, დიდგიგაანთა ეძახდნენ (გიგა ერქვა წინაპარს). ამ წისქვილებს მფლობელების სახელები ერქვა“.

იღლიეები – ტყე, გზა სოფ. გუდალეთის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიაზე, ნასოფლარ წიფორამდე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „გუდალეთის ველები იყო. თვითონვე გიჩვენებს სახელს: ამ

ველებში შედის, იჭრება ტყე და ტყის იღლიებია, აქეთ-იქიდან ტყეებია და შუაშია ველები. იღლიასავით არის შეჭრილი ამ ველებში ტყეები აქეთ-იქიდან".

კავთა // კავთის წმინდა გიორგი // წმინდა გიორგი – ეკლესია სოფ. თვალადში, სოფ. თვალადისა და შუაუბნის მიჯნაზე, შაყულაანთუბანში, მაღალ ბორცვზე. თარიღდება XIX ს-ით, კერძოდ, 1851 წ-ით. ეკლესია დარბაზულია (15,6 X 7,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით, გამოყენებულია თლილი ქვაც. შესასვლელი სამხრეთიდან და დასავლეთიდანაა. ღრმა ნახევარწრიულ აფსიდში დიდი სარკმელია. ასეთივე წყვილი სარკმელია გრძივ კედლებში. აფსიდის კედლებში რამდენიმე სხვადასხვა ზომის ნიშია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით. საკურთხეველი დარბაზის იატაკის დონიდან ამაღლებულია ერთი საფეხურით. იატაკზე მოგებულია ფიქალის დამუშავებული ნატეხები. კედლები შელესილი და შეთეთრებული ყოფილა. ეკლესიას ორფერდა კრამიტის სახურავი აქვს. დასავლეთ ფასადზე მიშენებულია აგურის კარიბჭე-სამრეკლო – თაღებგახსნილი, ორსართულიანი ნაგებობა, რომლის მეორე სართული (სამრეკლო) დანგრეულია. ქვედა, ნახევარწრიული კამარით გადახურული სართული ეკლესიაში შესასვლელია (სძა, 1990, 163). ს. მაკალათია: „აქ ხატობა იმართებოდა 28 ივნისს, „თავკავთობას". თავკავთა კი მოთავსებულია დიდგორთან, კავთის სათავეში. ვისაც თავკავთაში არ შეეძლო ასვლა სალოცავად, აქ მოდიოდა შესაწირავით და დგებოდა ღამის სათევად". აქ მოდიოდნენ ჩარდახიანი ურმებით კახეთში გადასახლებული კავთისხეველებიც[22] (მაკალათია, 1960, 9, 13). კავთის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში შუაუბნისა და სოფ. თვალადის ძველი სასაფლაოა. ამავე ეზოში, კავთის წმინდა გიორგის ეკლესიის გვერდით (4-5 მ-ზე), დგას კავთის ღვთისმშობლის ეკლესიაც. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კავთა გვიანდელი ეკლესიაა, ყველაზე

[22] ლეკთა თარეშის დროს შევიწროებული კავთისხეველები მეფე ერეკლე II-მ გადაასახლა კახეთში, რათა ფიზიკური განადგურებისაგან გადაერჩინა. მეფეს ლტოლვილები დაუსახლებია ნაფარეულსა და კურდღელაურში იმ პირობით, რომ მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ მათ ისევ სამშობლოში დააბრუნებდა (იოსელიანი, 1973, 107-108). მათ სოფელ კურდღელაურსა და თელავში აქვთ თავიანთი სალოცავი ხატი – კავთის წმ. გიორგი, მისთვის აუგიათ პატარა ეკლესიაც – კავთა (მაკალათია, 1960, 9).

ახალია. გვერდზე რომ არის, პატარა ეკლესია, ის არის ძველი. გაჭრილ კლდესთან არის თავკავთის წმინდა გიორგი, დიდი ხნისაა, XII საუკუნისა თუ უფრო ადრინდელი. იმის სახელობაზე ააშენეს კავთის წმინდა გიორგი, იმ თავკავთის ნიშია ეს გიორგობა. ადრე ამ ეკლესიასთან იყო შუაუბნის სასაფლაო, მერე თვალადელები საფლავდებოდნენ. შეშაბერიაანი ახლაც მანდ იმარხებიან, კავთასთან. ჩვენც (დანარჩენი თვალადელები) მანდ ვიყავით, მაგრამ მერე გამოვეყავით". რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „კავთა არის ზუსტად საზღვარზე და იქიდან იმიჯნება თვალადი და შუაუბანი. ეკლესიის გარშემო სასაფლაოა, რომელიც, ალბათ, მალე დაიხურება. კავთაში აღდგომიდან მე-8 კვირას კავთობის დღესასწაულს ზეიმობენ. მეორე დღეს, ორშაბათს, პეტრეპავლობის მარხვა იწყება. ახლა რამე განსაკუთრებული რიტუალი არა აქვთ, ადრე ცეკვა-თამაში და ჭიდაობა იმართებოდა". მ. ქვრივიშვილის ცნობით: „ეკლესია დაზიანებული იყო. მაშინდელი კულტურის განყოფილების გამგის, გერისო კელაპტრიშვილის, ინიციატივით გადაწყდა ძეგლის რესტავრაცია. სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა და დააფინანსა გურამ ჩიგოგიძის ოჯახმა. მოეწყო და მოპირკეთდა კარიბჭე და მისასვლელი გზა... ინტერიერის მოხატვაზე მუშაობდნენ მხატვრები ნოდარ და თემურ ჯოხაძეები. ეკლესია მოქმედია 2002 წლიდან".

კავთიაანთ ტოტი – მტკვრის ტოტი სოფ. ხანდაკის ტერიტორიაზე, დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა მხარეს. რესპ. მ. მამულაშვილი: „ეს იყო მტკვრის ძველი კალაპოტი, მტკვარი მოდიოდა აქეთ, მარჯვენა მხარეს (ქვემო ხანდაკისკენ), და მერე იქით გადავიდა. ცალკე კალაპოტია. როცა მტკვარი ადიდდება, იქ გადმოდის წყალი, ცალკე ტოტად გამოედინება ადიდებული მტკვრიდან და ისევ მტკვარში ჩაედინება, დელტასავით არის".

კავთიაანთუბანი // კავთიაანი – უბანი სოფ. თვალადში, ჩახრიალას თავზე, ცხოვრობენ კავთიაშვილები. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „გვარი კავთიაშვილი კავთის ეკლესიიდან მომდინარეობს. სულ ეგენი იყვნენ დასახლებული კავთიაანთუბანში, რაც გამიგია წინაპრებისგან, და ახლაც მხოლოდ ისინი არიან".

კავთიაანი – უბანი, იგივე კავთიაანთუბანი (თვალადი).

კავთის ნიში – ნიში გაჭრილ კლდესთან. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ბოტისში რომ მიდიხარ, იქ არის, ზედ გზაზე, გაჭრილი კლდის

ქვემოდან, სანამ გაჭრილ კლდესთან მიხვალ. ნიშია და დღემდე ლოცულობენ გამვლელები. ბინძურობა გააკეთა იქ ერთმა თათარმა, წავიდა და გადავარდა კლდეზე. აიღო და ორი ცხვარი დაუკლა. მაგათ ეჯავრებათ ეს ჩვენი სარწმუნოება, ამიტომ შეურაცხყო და, 20 მეტრი არ გაევლო, კლდეზე გადავარდა".

კავთის ღვთისმშობლის ეკლესია – ეკლესია სოფ. თვალადში, სოფ. თვალადისა და შუაუბნის მიჯნაზე, მაღალ ბორცვზე, კავთის წმინდა გიორგის, იმავე კავთის, ეზოში. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (10,5 X 4,9 მ), ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით. შესასვლელი სამხრეთითაა. ღრმა ნახევარწრიული ფართო აფსიდის ღერძზე სარკმელია. ორი შედარებით მცირე ნიში ჩრდილოეთ კედლის ქვედა ნაწილშია. დარბაზის გრძივ კედლებში თითო სარკმელია. საკურთხევლის წინ აგურის კანდელი მდგარა (შემორჩენილია ფრაგმენტები). საკურთხევლის იატაკზე მოგებულია ბრტყელი აგური. ეკლესია XIX ს-ში შეულესავთ (სძა, 1990, 163). რესპ. ო.ზაქარიაშვილი: „კავთის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში არის პატარა ეკლესია, ის არის ღვთისმშობლისა. ღვთისმშობელი უფრო ძველია, ვიდრე კავთა, 1 საუკუნით მაინც ადრინდელი, შეიძლება XVII-XVIII საუკუნისა. ზედ არის მიდგმული კავთის ეკლესიას, 5-6 მეტრი ყოფს. ძველი დაინგრა და გვერდზე მიუშენეს ახალი". როგორც ჩანს, XVIII ს-ში ლეკიანობის შედეგად დაცლილ სოფელში კავთის ღვთისმშობლის ეკლესია უმოქმედო იყო. 1848 წელს პ. იოსელიანი წერს: „შვიდი წლის განმავლობაში მთელი კავთისხევის ადგილ-მამული სულ ისეტყვებოდა, კავთისხევში დარჩენილმა მოსახლეობამ, რწმენითა და იმედით ღრმად გამსჭვალულმა, 1827 წელს მოსთხოვა სასულიერო წოდებას, რომელსაც გაუქმებული სავანიდან ღვთისმშობლის ხატი თბილისში გადაეტანა, რამდენიმე დღით კავთისხევში მიესვენებინათ საკურთხევლად" (იოსელიანი, 1973, 108). მ. ქვრივიშვილის ინფორმაციით, „ეკლესია ძლიერ იყო დაზიანებული, ჩამოქცეული, ქვიშით ამოვსებული. სოფლის მკვიდრმა ილია ჯანჯალაშვილმა თავისი ძალებით გაწმინდა ქვიშა-მიწისგან. 2001 წლიდან სარესტავრაციო სამუშაოები მთლიანად თავის თავზე აიღო გურამ ჩიგოგიძის ოჯახმა. ეკლესიას დაუბრუნდა პირვანდელი სახე. მოხატა მხატვარმა ზვიად ნადირაშვილმა".

კავთის წმინდა გიორგი – ეკლესია, იგივე კავთა (თვალადი).

კავთისხევი – 1. ტერიტორიული ორგანო, თემი, კასპის მუნიციპალიტეტში, კასპიდან სამხრეთით, დაახლოებით 10 კმ-ზე, ზღვის დონიდან 720 მ-ზე (ქსე, 1980, 298). კავთისხევის თემი რამდენიმე სოფლისგან შედგება. ესენია: კავთისხევი (თემის ცენტრი), გუდალეთი, ეზატი, თვალადი, ქვემო ჩოჩეთი, ქვემო ხანდაკი, მირიანი. გარდა დასახელებული ადმინისტრაციული ერთეულებისა, კავთისხევის თემში შედის კარიერის დასახლება (იხ. კარიერის დაჩები) და ნასოფლარები: ბოტისი, ვარჯაანი, ვერხვეული, ზვარიკოტმანი, სამტრედო, სანათუბანი, ტყემლუანა, ყრუველი, ქებაანი, შუბათი, წიფორი. ამ სოფლებსა თუ ნასოფლარებში დაცულია მრავალი ისტორიული ძეგლი: 1) ლომისა და წმინდა გიორგის ეკლესიები – სოფ. კავთისხევის ციხისუბნის თხინვალიაანთუბანში, კატაულას წმინდა გიორგის ეკლესია და აკლდამა – სოფ. კავთისხევის შუაუბნის მონასელიაანთუბანში; 2) წმინდა ნიკოლოზის ორი ეკლესია: შატბერაანთ ნიში და მეფეთსადგომის ეკლესია, წმინდა გიორგის ორი ეკლესია: ონოფრიაანთ საყდარი და კავთა, ღვთისმშობლის ეკლესია, სამება, მისალოცავის ეკლესია, კაციაანთ საყდარი, შეშაბერიაანთ საყდარი – სოფ. თვალადში; 3) იოანე ნათლისმცემლის ეკლესია – სოფ. ეზატში; 4) წმინდა გიორგის ორი ეკლესია, ისტორიული ციხე-გალავანი და ღვთისმშობლის ტაძარი, კვირაცხოვლის ნიში, წმინდა ესტატეს, წმინდა მარინეს, წმინდა მარიამის ეკლესიები – სოფ. გუდალეთში; 5) აბუაანთ საყდარი, ნონიკაანთ საყდარი, ხუციაანთ საყდარი, სამება – სოფ. ქვემო ჩოჩეთში; 6) ღვთისმშობლის, წმინდა გიორგისა და მთავარანგელოზის ეკლესიები – სოფ. ქვემო ხანდაკში; 7) სამება და ღვთისმშობლის ეკლესია – ნასოფლარ ქებაანში; 8) წმინდა გიორგის ეკლესია – ნასოფლარ წიფორში; 9) მთავარანგელოზის ეკლესია – ნასოფლარ ვარჯაანში; 10) ღვთისმშობლის ეკლესია ნასოფლარ ბოტისში და სხვ.; 2. თემის ცენტრი, კავთისხევი, „მდ. კავთურაზე გაშენებული ხეობის ყველაზე ძველი, მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული ამავე სახელწოდების სოფელი... ხეობის ამ სოფლის უძველესი ნამოსახლარები და სხვა მატერიალური კულტურის ძეგლები ნათლად მიგვანიშნებს მის ირგვლივ შემდგომში მრავალი დასახლებული ადგილის წარმოქმნასა და ერთიანი სოციალურ-


სოფელი კავთისხევი
კავთისხევის თემის ტერიტორია
ქვემო ბოჩეთი
ციხისუბანი
ეზათი
შუაუბანი
წინარეხის თემის ტერიტორია
თვალადი
1 - ხიზანაანთუბანი
2 - ჯანჯალაანთუბანი
3 - ბარდაანთუბანი
4 - თხინვალიაანთუბანი
5 - (ახალი უბანი)
6 - მორჩილაანთუბანი
7 - ალაპიაანთუბანი
8 - კვესიაანთუბანი
9 - კელაპტრიაანთუბანი
10 - ზავრადაანთუბანი
11 - პაპიაანთუბანი
12 - მთიულთუბანი
13 - შაყულაანთუბანი
14 - დევსურაანთუბანი
15 - მონასელიაანთუბანი

ეკონომიკური რეგიონის – ხეობის ჩამოყალიბებას“ (პავლიაშვილი, 2005, 42). სოფ. კავთისხევს ხშირად თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ დაღესტნელები ფეოდალები, ამიტომ ხალხში შავსოფელსაც ეძახდნენ. ლეკები თავს ესხმოდნენ სოფელს მკის დროს და კავთისხეველები პურის სათესად მუხრანში გადადიოდნენ. თავდამსხმელებთან ბრძოლაში სახელი მოუხვეჭიათ ქვლივიძეს[23], მარუაშვილსა და ქასრაძეს (მაკალათია, 1960, 12; ქსე, 1980, 298). ს. მაკალათიას ცნობით, სოფ. კავთისხევი „შედგება სამი უბნისგან: ციხისუბანი, ბარდაანი და შუაუბანი (ზემო და ქვემო). სოფლის სახელწოდება დაკავშირებულია მდინარე კავთასთან, რომლის ხეობაშიც იგი გაშენებულია. კავთისხევის ძველ უბანს წარმოადგენს ე. წ. „ციხისუბანი“ (მაკალათია, 1960, 11). დღესდღეობით, სოფ. კავთისხევის ძირითად უბნებად ითვლება ციხისუბანი და შუაუბანი, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა მიკროუბნებად (იხ. ციხისუბანი, შუაუბანი). ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად კავთისხევად მოიხსენიებს მხოლოდ ციხისუბანს. სხვა მოსაზრებით, ციხისუბანი და შუაუბანი უკვე სოფლებია (იხ. გვ. 23-28).

კავთისხევის წმინდა გიორგის ეკლესია – ეკლესია, იხ. თხინვალიაანთ ეკლესია (2).

კავთურა – მდინარე კავთისხევში. სათავეს იღებს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე 1910 მ სიმაღლეზე, ერთვის მდ. მტკვარს მარჯვნიდან სოფ. ქვემო ხანდაკთან. მდინარის სიგრძეა 26 კმ, აუზის ფართობი – 129 კმ². საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, მდგრადი წყალმცირობა – ზამთარში. იყენებენ სარწყავად (935 ჰა) და წისქვილებისათვის (ქსე, 1980, 298). **-ურ-ა**, როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. გუდალურა), ჰიდროფორმანტია. იგი ტოპონიმისაგან აწარმოებს იმ მდინარის სახელწოდებას, რომე-

[23] გადმოცემით, ქვლივიძე გლეხი ყოფილა. შიდაფეოდალურ ომში დამარცხებული მეფე იმერეთიდან ამალის გარეშე გამოქცეულა, კავთისხევში გამოუვლია და მისდგომია ერთ ოჯახს. ქვრივი დედაკაცი მეფეს გამასპინძლებია ისე, რომ ვინაობა არც კი.სცოდნია. შემდეგ გამოუკითხავს თავისი შვილების და მეფის ამბავი. სვიმონს მოუხსენებია, შენი შვილებისა არა ვიცი და მეფე კი კარგად არისო. ამის გამგონე დედაკაცი ღმერთს უმადლოდა: „ვინაითგან ცოცხლებით არს მეფე, იყავნ ყოველნი ნაცვლად მისად“ მეფეს არაფერი უთქვამს, მეორე დღეს წასულა და ქვრივისთვის ძღვენი გამოუგზავნია, თან აზნაურობაც უბოძებია (მაკალათია, 1960, 12).

ლიც ამ ტოპონიმით აღნიშნულ ობიექტს ჩაუდის ან იქვე იწყება. კავთურა სათავეს იღებს კავთის (თავკავთის) სიახლოვეს: კავთა → კავთ-ურ-ა. რესპ. *ჰ. წიტაიშვილი:* „კავთურა მოედინება თავკავთიდან და კავთისხევამდე წინარეხს გაივლის. ბოტისი და თავკავთა უყურებენ ერთმანეთს, შუაში გადის კავთურას ხევი". კოტმისხევში მდ. კავთურას უერთდება მდ. გუდალურა.

კავთურები // კავთურეები – სახნავი მიწა სოფ. თვალადის დასაწყისში, დასავლეთით, ხოდაბუნების ქვემოთ. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ფიქრობენ, რომ მდინარე კავთურა მანდ, ახლანდელი კალაპოტისგან, ასე, 1 კმ-ის დაშორებით, გადიოდა ადრე. ნიშნებიც არის, დიდი ქვები ყრია. მთელი ეს ჩვენი სადგომები სულ კავთურებია".

კავთურეები – სახნავი მიწა, იგივე კავთურები (თვალადი).

კავთურას ბოლო – ადგილი, სადაც მდ. კავთურა მდ. მტკვარს უერთდება, სოფ. ქვემო ხანდაკის დასავლეთით, გაღმაუბანში; მორევი, საბანაო ადგილი (სპეციალურად აგუბებდნენ). რესპ. მ. მამულაშვილის ცნობით, ეს მორევი ახლა თითქმის აღარ არის.

კავთურას ნაპირები – საძოვრები სოფ. ქვემო ხანდაკში, მდ. კავთურას პირას, აყოლებაზე. დროთა განმავლობაში სამოსახლოდ იქცა, ხალხი დასახლდა, თუმცა, რესპ. მ. მამულაშვილის ინფორმაციით, მაინც დარჩა საკმაო ადგილი საძოვრებისთვის.

კაკალაანთუბანი – დასახლებული უბანი მდ. კავთურას მარჯვენა მხარეს, სოფ. ქვემო ხანდაკში, კერძოდ, გაღმა ხანდაკში. ცხოვრობენ კაკალაშვილები.

კალატოზიაანთუბანი – უბანი ოფიციალურად ეკუთვნის სოფ. იდლეთს, იდლეთი კი – წინარეხს. მაგრამ ტერიტორიული სიახლოვის გამო, ფაქტობრივად, ციხისუბნის ნაწილად აღიქმება, მის მიკროუბნად. მდ. კავთურას მარცხენა მხარეს ციხისუბანია, მარჯვენა მხარეს – კალატოზიაანთუბანი. ცხოვრობენ კალატოზიშვილები.

კაკლების მიწები // კაკლიმიწა – სახნავი მიწა სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბანში. რესპონდენტის ინფორმაციით, ამ მიწაზე იდგა კაკლის ხეები. ეკუთვნოდა ილა გოგოლაურს.

კაკლიმიწა – სახნავი მიწა, იგივე კაკლების მიწები (გუდალეთი).

კალო – საძოვარი სოფ. თვალადში, კავთურების თავზე, ხოდაბუნებამდე. ადრე იყო სოფ. თვალადის კალო.

კალოები – სტადიონი სოფ. ქვემო ხანდაკის ბოლოს, გაღმა ხანდაკში, სადაც მდინარე კავთურა მთავრდება (მტკვარს უერთდება). რესპ. მ. მამულაშვილის ინფორმაციით, ადრე იქ ორიოდე მოსახლე ცხოვრობდა, ამიტომ ბოსლები, კალოები იყო, იქ ლეწავდნენ ხორბალს. 1981, 1988 წლებში, ამ პერიოდის ჩანაწერების მიხედვით, კალოებზე უკვე სტადიონი იყო.

კანდელაკიაანთუბანი – მიკროუბანი შუაუბანში, დევსურაანთუბნის ჩრდილოეთით. შედის პაპიაანთუბანში. ადრე ძირითადად ცხოვრობდნენ კანდელაკები, ამჟამად სხვა გვარის წარმომადგენლები ჭარბობენ.

კანჭიელა – 1. ფერდობი სოფ. თვალადის სამხრეთით. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „კანჭიელა ძლევის ქედის ბოლოზეა. თვალადიდან გუდალეთში რომ მივდივართ, ხომ ავალთ აღმართზე, დავშორდებით ფიჭვიანს და დავიწყებთ უკვე ჩამოსვლას. როგორც კი დავითავქვევებთ, იქ კაპნებიც არის, კლდეები რომ არის შიგ ჩასმული. იქიდან აქეთ მხარეს არის გადმოსახედი. კანჭიელა ალბათ იმიტომ დაერქვა, რომ ძნელი გადასასვლელი იყო. მანდ ავდიოდით მარხილებით, ფიჩხი ჩამოგვქონდა 13-14 წლისებს. მაგ კანჭიელაზე დავაქანებდით ხოლმე ამ თვლებიან მარხილს, გვერდზე არ შეიძლებოდა მოდგომა, გადაბრუნდებოდა და მოგკლავდა, ცხენის კუდებივით გვეჭირა ეს ბოლოები და ისე ჩამოგვყავდა მარხილები. კანჭიელა იყო ყველაზე რთული მონაკვეთი“; 2. კანჭიელას გზა – თვალადი-გუდალეთის გზის მონაკვეთი კანჭიელას ფერდობზე. თვალადი-გუდალეთის გზა სოფ. თვალადის მექანარიაანთუბნიდან გადადის კანჭიელას ფერდობზე, აუვლის ბრილისის ტყეს აღმოსავლეთის მხრიდან და თეთრი გზის გავლით შედის სოფ. გუდალეთში (იხ. თვალადი-გუდალეთის გზა). რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „გზის დაღმართია, დაღმართი და გზა, რომელიც აკავშირებს სოფ. თვალადის მექანარიაანთუბანსა და ბრილისს“. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კანჭიელა ფერდობია და გზა ამ ფერდობზე. ძლევის ქედის ასავალშიც, ქედის იქით მხარეს რომ იწყება ტერიტორია, ეძახიან კანჭიელას და გადადის მერე კაციაანშიც და მექანარიაანშიც“.

კანჭიელას გზა – გზა, იგივე კანჭიელა (2) (თვალადი).

კარიელი // კარიერი – კარიერი, ქვის სამტეხლო დიდსაჩიტის მთაზე, ნასოფლარ ქებაანის მიმდებარე ტერიტორიაზე. იღებენ კირქვის

მასალას ცემენტის ქარხნებისთვის. კარიერის ტერიტორიაზე, N3 ქვის სამტეხლოს აღმოსავლეთით, აღმოჩნდა V-VIII სს-ის ნამოსახლარი და სამაროვნები (სძა, 1990, 168-169).

კარიერი – ქვის სამტეხლო, იგივე კარიელი (ქებაანი).

კარიერის დაჩები – კარიერის მიმდებარე ტერიტორია. რესპ. გ. გიგაური: „დაჩები იმიტომ ჰქვია, რომ ბევრი აღარ ცხოვრობს, დასასვენებლადღა ჩამოდის. კარიერის დაჩებს სოფლის სტატუსი არ აქვს, გვსურს სოფლის სტატუსი მიენიჭოს და ხევისძირი დაერქვას, მოუხდება, რადგან კავთისხევის დასაწყისი, ანუ ხევის ძირი, არის აქ. დამისამართებაში ასე ვართ – კავთისხევის საკრებულო, კარიერის დასახლება. მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ეს ტერიტორია განაწილებულია 54 მოსახლეზე, მაგრამ შემორჩენილი ვართ ადგილზე მცხოვრები 12 კომლი“.

კატაულა – მთა და პატარა ბუჩქოვანი ტყე კავთისხევისა და წინარეხის მიჯნაზე. მთის სამხრეთ კალთა ეკუთვნის წინარეხს, ჩრდილოეთი და დასავლეთი – კავთისხევს: ჩრდილოეთ კალთა – შუაუბნის მონასელიაანთუბანს, დასავლეთი (სადაც მდ. კავთურა ჩამოუდის) – თვალადს. მთის სამხრეთით, ანუ წინარეხის მხარეს, ქვის სამტეხლოა, საკირე. ამ მთის კირითაა აშენებული ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მთის ჩრდილოეთით, მონასელიაანთუბნის მხარეს, ტყეში, კატაულას მიწებია: დიდმიწა (სახნავები) და ხარიწოლია (მინდორი, საძოვარი). მთაზე აშენებულია კვირაცხოველი – ნიში. მთის ჩრდილოეთ ფერდზე დგას კატაულას წმინდა გიორგის ეკლესია, იგივე მონასელიაანთ წმინდა გიორგი. აქვე არის მონასელიაანთ სასაფლაო. რესპ. ა. მონასელიძე: „იქით მხარე, სადაც ქვას იღებენ, წინარეხისაა, მაგრამ ჩრდილოეთი კავთისხევისაა, მონასელიაანთია, მონასელიაანთუბანს ეკვრის სამხრეთით“. 1981, 1988 წლების ჩანაწერების მიხედვით: „ისეთი ციცაბო ასასვლელი აქვს, რომ, ხალხის თქმით, კატა ფეხს ვერ მოიკიდებს. ამიტომ ჰქვია კატაულა“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ინდუაშვილის ბებია, კატუშა, დიდშაქარაანთ გერი, როცა გათხოვდა, მამინაცვალმა (დიდშაქარამ) ეს კატაულა მზითვებში მისცა. ამის მერე დაერქვა კატაულა თუ მანამდეც ერქვა, არ ვიცი“. ხალხური ეტიმოლოგიით, „კატაულა“ მონღოლური სიტყვაა და ნიშნავს „თეთრ ქვას“. მკვლევარ გ. შაყულაშვილის აზრით, ეს განმარტება მცდარია,

რამდენადაც მონღოლურში „თეთრის“ აღმნიშვნელი სიტყვაა „საგან“ და „საიბაგარ“, ხოლო „ქვისა“ – „შულუუნ“. მისი ვარაუდით, სიტყვა „კატაულას“ ფუძეა „კატრ“ („კატარ“ – საბას განმარტებით, „ცუდი ფიჭვი“, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით – „კავკასიური ფიჭვი“), რომელსაც დაერთვის წარმომავლობის **-ურ** და ქონების თუ კნინობითის **-ა** სუფიქსები. მაშასადამე, „კატაულა“ (მიღებული სიტყვისგან „კატრაულა“ ფუძისეული რ-ს დასუსტებითა და დაკარგვით) ნიშნავს კატარისეულს, ფიჭვნარისეულს. გ. შაყულაშვილის მოსაზრებით, ამ განმარტებას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ კატაულადან არც თუ ისე შორ მანძილზე დღესაც არსებობს ფიჭვნარი ტყე კატრიანის სახელწოდებით. მართალია, დღეს კატაულას მთაზე ფიჭვი არ ხარობს, მაგრამ ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას ე. წ. ჯიშთა მონაცვლეობით (შაყულაშვილი, 1975).

კატაულას მიწები – მიწები კატაულას ტყეში: დიდმიწა (სახნავები) და ხარიწოლია (მინდორი, საძოვარი) (იხ. დიდმიწა; ხარიწოლია).

კატაულას სასაფლაო – მონასელიაანთ (შუაუბნის მონასელიაანთუბნის მცხოვრებთა) სასაფლაო კატაულას მთაზე. რესპ. ა. მონასელიძე: „კატაულას წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე ორი სასაფლაოა. ერთი წმინდა გიორგის გვერდზეა, სადაც ეკლესიაა, იქვე. დიდი ქვები იდო (თეძმის ქვები), საფლავის, წარწერიანი. ძველი ნამარხებია. ცოტა ქვევით მეორე სასაფლაოა, კიდევ უფრო ძველი, სულ ადრინდელი. ქვებიც კი არ ედო, მაშინ ქვა არა სცოდნიათ, პირდაპირ მიწაშია ძვლები ჩაყრილი. არ ეტყობოდა იქ არც სამარხი, არც არაფერი. ამ ადგილას ახალი სასაფლაო გახსნეს, რომ მარხავენ, მიწას რომ თხრიან, სულ მთლად ძველისძველი ნამარხი ამოდის, ძვლები. გამოდის, რომ ახალ სასაფლაოს კი ვეძახით, მაგრამ მაგის წინა ყოფილა სამარხი, ძველისძველი სასაფლაო“.

კატაულას ტყე – პატარა ბუჩქოვანი ტყე კატაულას მთაზე (იხ. კატაულა).

კატაულას წმინდა გიორგი // მონასელიაანთ წმინდა გიორგი // წმინდა გიორგი – ეკლესია (სამეკლესიანი ბაზილიკა, 10,8 X 7,65 მ) კატაულას მთის ჩრდილოეთ ფერდზე, შუაუბნის მონასელიაანთ მიკროუბნის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. კავთურას მარჯვენა

მხარეზე. ტაძრის აგების ქრონოლოგიური ჩარჩოები VI-VII სს-იდან VII-IX სს-ის მიჯნამდე მერყეობს. ნაგებია ფლეთილი ქვით. ძლიერ დაზიანებულ ეკლესიას (თითქმის საძირკვლამდე იყო დანგრეული გვერდის ნავები, ჩამონგრეული იყო სახურავიც) რესტავრაცია ჩაუტარეს. შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ინტერიერში შიდა სივრცე კედლებითაა დაყოფილი სამ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს გასასვლელებით უკავშირდება. ეკლესიის შესასვლელი სამხრეთიდანაა. მეორე, უფრო ვიწრო, კარი ჩრდილოეთ ნავში გადის. საკურთხევლის წინ იდგა VII-IX სს-ით დათარიღებული სტელა (მის ზედაპირზე გამოსახულია რელიგიური სურათები, წმინდანთა და საერო პირთა ფიგურები და ასომთავრული წარწერები), რომელიც ამჟამად ინახება შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში (ქართ. წარწ. კორპ., 1980, 118-123; სძა, 1990, 168). ს. მაკალათიას ცნობით, ეკლესია „შემოზღუდული ყოფილა ქვის გალავნით, მის გარშემო ნასახლარი ადგილებია, სადაც კარგად მოჩანს ჩაქცეული სახლების საძირკვლები“ (მაკალათია, 1960, 13). რესპ. ა. მონასელიძე: „კატაულას ეკლესია ძველია, VI საუკუნისად ამაიცნეს. ეკლესია მიწაში იყო ჩაფლული, მთლიანად გაწმინდეს და აღადგინეს 4-5 წელიწადია. წმინდა გიორგის ეზოში მაღლა სულ ნასახლარებია, მანდ უცხოვრია ხალხს, გამოთხრილებში, მიწურში. ახლაც არის გამოქვაბული, თურმე იქიდან კავთურაზე ჩადიოდნენ. შემოსევები რომ იყო მტრისა, იქიდან ამოჰქონდათ წყალი. სულ ამოშენებული, კარგად გალესილია ყველაფერი, მაგრამ დღეს ქვებითაა ამოვსებული. ეკლესიის კლდოვან მიწაზე იმხელა თელები იდგა, სამი კაცი ვერ შემოსწვდებოდა. მაგ კლდეზე უწყლოდ როგორ ახეირეს იმ წინაპრებმა, არ ვიცი. ის თელებიც ეკლესიისა იყო, იმათი მოჭრა არ შეიძლებოდა. ხმელი ტოტიც რომ ჩამოვარდნილიყო, მოხუცებულები გვიშლიდნენ, არ მაიტანოთ სახლშიო“.

კატრების წყარო – წყარო კატრიანში, გამოყვანილია ნოსტისთავების ტყიდან. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ეგ წყალი ნოსტისთავებშია და გუდალეთში გამოიყვანეს, სანამ გუდალეთში შევალთ, ფიჭვნარი რომ არის, იქ. მილებით გამოიყვანეს თავის დროზე, მერე დაშრა. იქ მაგიდები იყო გაკეთებული, ხალხი მიდიოდა, ქეიფობდა, წყარო ჰქონდა გვერდით“.

კატრიანი // ფიჭვიანი ტყე – ფიჭვის ტყე (დაახლოებით 10 ჰა ფართობზე) ბრილისის ტყის მაღლა, სოფ. გუდალეთის შესასვლელში, ჩრდილო-დასავლეთით. კატარი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, კუთხური ფორმაა (იმერ. აჭარ. მესხ.) და იგივეა, რაც კავკასიური ფიჭვი. კატრიანის ჩრდილოეთ მხარე არის სოფ. ეზატის ტერიტორია, სამხრეთი – სოფ. გუდალეთისა. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „საკურორტო, ფიჭვნარი ტყეა. გუდალეთის, კერძოდ, თაგვიაანთუბნის ჩრდილო-დასავლეთითაა. აღმოსავლეთით არის პატარა კორომი, ამ კორომსა და კატრიანს ყოფს გზა, რომელიც ხიდახევას გამოივლის“.

კაციაანთ საყდარი – ეკლესია სოფ. თვალადში, კაციაანთხევში, სოფ. გუდალეთის აღმოსავლეთით 1,5 კმ-ზე. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში კაციაანთ ეკლესია მოხსენიებულია სოფ. გუდალეთის არქიტექტურულ ძეგლთა შორის (სძა, 1990, 154). თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია: გადახურვა, კონქის მნიშვნელოვანი ნაწილი და სამხრეთ-დასავლეთი კუთხე ჩამონგრეულია. აღმოსავლეთ ფასადს მთელ სიგრძეზე ბზარი გასდევს. ეკლესია დარბაზულია (9,2 X 5,5 მ). ნაგებია ქვიშაქვის დიდი ზომის ლოდებით. შესასვლელი ორი აქვს – ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთიდან. სამხრეთით და ჩრდილოეთით მთელ სიგრძეზე მიშენებულია ეგვტერები. ჩრდილოეთ მინაშენს ორი შესასვლელი ჰქონდა – ერთი ჩრდილოეთიდან, ეკლესიის შესასვლელის პირდაპირ, მეორე – დასავლეთიდან (ამოშენებულია). აღმოსავლეთ ფასადზე, მაღლა, მწვანე ტუფის ფილაზე გამოსახულია წრე, ხოლო დასავლეთ ფასადზე, ასევე მაღლა, მწვანე ტუფის ქვაზე – ჯვარი (იქვე). რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ვიწროებიდან რომ გადიხარ, პატარა ეკლესიაა, ქვით ნაშენები ნიში, შიგ ტყეში, ელექტროსადგურთან, ეგ არის კაციაანთუბნისა. თვალადიდან ხოკერაანში (უბანი სოფ. გუდალეთში) რომ მივდივართ, ტყის ზემოთ მხრიდან არის, სამხრეთის მხრიდან, გიორგი სააკაძის დროს არის აშენებული. თვალადის ტერიტორიაა. იმ დროს არის აშენებული მისალოცავიც და ძლევის ქედიცა, სისხლის გორაც მაშინ დაერქვა“. რესპ. ს. ძამუკაშვილი: „კაციაშვილები ცხოვრობენ აქ (თვალადში, კაციაანთუბანში), ზევით, მოშორებით, იმათი სალოცავია. დანგრეულია, აიტანეს მასალები, უნდა შეეკეთებინათ,

მაგრამ ველარ მოახერხეს". რესპ. ნ. კაციაშვილი: „ჩემი ვარაუდით, ეს ეკლესია წმინდა ნიკოლოზია. არ არის დიდი ეკლესია, ძველია. ორმეტრიანი ქვებთაა ნაგები, 70 სმ სიგანე აქვს თითოეულ ქვას. ნაგებობაში ჯვარიც ყოფილა, ყველაფერი, მაგრამ დანგრეულია: გუმბათი მოშლილია, კედელიც ჩამონგრეულია ერთ მხარეზე. შიგ ხე არის ამოსული. მე უნდა ამომეჭრა. მღვდელმაც ნება დაგვრთო, მაგრამ ქალმა არ გამიშვა, მერე უკუღმა იქნება ჩვენი საქმეო".

კაციაანთუბანი // კაციაანი – უბანი სოფ. თვალადის სამხრეთით, ძლევის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ადრე ცხოვრობდნენ მხოლოდ კაციაშვილები, დღეს – სხვა გვარის წარმომადგენლებიც სახლობენ.

კაციაანი – უბანი, იგივე კაციაანთუბანი (თვალადი).

კაციაანთხევი – კაციაშვილების ხევი სოფ. თვალადში, კაციაანთუბნის ზემოთ, სამხრეთით, დიდველსა და სოფ. გუდალეთს, კერძოდ, ხოკერაანთ მიწებს, შორის. ხევში მიედინება წიფორიდან შემომავალი წყალი, კაციაანთ წყარო. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „თვალადის სამხრეთით მექანარიაანი და კაციაანია, იმის მერე ხომ დასახლება აღარ არის და მაგათ თავზეა ეგ ხევი, წიფორის ჩამოსწვრივ, ხოკერაანთ გადმოსწვრივ. კაციაშვილებს იქ უცხოვრიათ ადრე და ბოლო დროსაც ეჭირათ იქ მამულები. თვალადიდან გუდალეთში რომ მიდიხარ საურმე გზით, ვიწრო მორევთან რომ გადიხარ, უნდა გაიარო კაციაანთხევი, რომელიც ყოფს გუდალეთის მამულსა და ამ დიდველსა აქეთ. დიდველის მხარეს, აღმოსავლეთით, კაციაშვილები ფლობდნენ მიწებს, იქითკენ – სამხრეთ მხარეს – ხოკერაანი. წიფორის წყარო ჩამოდის მანდ, იქ არის საყდარიც" (იხ. კაციაანთ საყდარი). კაციაშვილებს მიუნებებიათ თავი ამ ხევისთვის და მერე დაისაკუთრეს ცალქალამანიძეებმა. 1981, 1988 წლების ჩანაწერები: „კაციაშვილები ცხოვრობენ თვალადზე და ხევის სახელი ამ გვართან არის დაკავშირებული, კაციაანთი ყოფილა. მერე მიუნებებიათ თავი და ცალქალამანიძეებს თავიაანთვინ დაუწერიათ როგორც ცალქალამანიაანთხევი".

კაციაანთ წყარო – წყარო, რომელიც წიფორიდან მოედინება და ჩადის კაციაანთხევში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კაციაანთ ნაკვეთებზე ჩამოედინებოდა, ამიტომ ჰქვია კაციაანთ წყარო".

კეკეს წყარო – წყარო სოფ. თვალადში, კაციაანთუბანში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კეკემ ამააჩინა ეგ წყარო, მოხუცი ქალი იყო, შალი-

კო იორდანიძის დედა. ნახა, წყალი ამოდიოდა, თხარა, თხარა და წყარო ამოიყვანა. რომ დალიო, იმისთანა კარგი წყარო არ არის".

კელაპტრიაანთუბანი // მისრელიაანთუბანი – მიკროუბანი შუაუბანში, მორჩილაძეების უბნის აღმოსავლეთით. ცხოვრობენ კელაპტრიშვილები. გადმოცემით, კელაპტრიშვილები მისურეთიდან, მისრეთიდან არიან გადმოსულები. მისრელიაანებად გადმოვიდნენ და კელაპტრიშვილებად მერე დაეწერნენ. ამიტომ უბანს მისრელიაანთუბნადაც მოიხსენიებენ.

კეწერაანთ წყარო – წყარო, რომელიც კატაულას მთის დასავლეთ, კლდოვანი, კალთის ძირში გამოდის, გაივლის შუაუბნის მონასელიაანთ მიკროუბნის ჩრდილოეთ მხარეს და უერთდება მდ. კავთურას. მონასელიაანთუბნიდან მიეწოდება დანარჩენ სოფელს. სასმელი წყალიცაა და სარწყავიც. რესპ. ა. მონასელიძის ინფორმაციით, კეწერაანთ, ანუ ხომასურიძეების, სამოსახლო (ორიოდე ოჯახი) მონასელიაანთუბანს ეკუთვნის, მაგრამ რამდენადმე იზოლირებულად, განმარტოებით ცხოვრობენ კატაულას ძირში. სხვა ინფორმაციით, ხომასურიძეების სამოსახლო თვალადის ტერიტორიაა. კატაულადან სწორედ კეწერაანთ ბაღში ჩამოივლის, იმათი ბაღიდან გამოდის ეს წყარო. კეწერა მეტსახელია ხომასურიძეების წინაპარი ქალისა, რომელიც ხის კენწეროებზე ადიოდა.

კვესიაანთუბანი – უბანი შუაუბანში. აღაპიაანთუბნის სამხრეთ მხარეს. ცხოვრობენ კვესიაშვილები.

კვირაცხოველი – 1. ქედი და პატარა, ქვით ნაშენები სალოცავი, ნიში, სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე (იხ. გუდალეთის კვირაცხოვლის ეკლესია); 2. ნიში კატაულას მთის ჩრდილოეთ ფერდზე; 3. ნიში, სალოცავი სოფ. ქვემო ხანდაკის სამხრეთ-დასავლეთით, სამძივის გორაზე, სასაფლაოსთან.

კვირაცხოვლის მიწები – კვირაცხოვლის ნიშის მიმდებარე ტერიტორია, სახნავ-სათესი მიწა სოფ. ქვემო ხანდაკის სამრეთ-დასავლეთით, სამძივის გორაზე. ამ მიწის გარშემო სოფ. ქვემო ხანდაკის ძველი სასაფლაო იყო.

კირკიტები // კირკიტეები – სახნავი, საბოსტნე მიწა სოფ. გუდალეთის ჩრდილოეთით, ბერების წყაროსთან. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „16 ჰა მამულია ბერების წყაროს გამოსწვრივ. ცოტა მაგარი მიწაა და

კირკიტი, ანუ მაგარი ეწოდება". რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „სოფელში რომ შემოდიხარ, თაგვიაანთუბანში, გზის ზევიდან, დასავლეთით, ვაშლიმიწებია, გზის ქვევით – კირკიტეები. მაგარი მიწაა, ძნელად დასამუშავებელი".

კირკიტეები – სახნავი, საბოსტნე მიწა, იგივე კირკიტები (გუდალეთი).

კიჭას ნაკართობილარი – ფერდობი სოფ. ეზატში, პატარა ბრილისის ტერიტორიაზე. რესპ. ვ. ოთიაშვილი: „კიჭა (ალექსანდრე ოთიაშვილი) ტყის მცველი იყო 50-იან წლებში, ალბათ ამ ფერდობზე ბარავდა და კარტოფილი მოჰყავდა".

კოდა // კოდის გორა – გორა სოფ. ეზატში, გორი-თბილისის გზის (იმავე საქართველოს სათადარიგო სამხედრო გზის) ზედა მხარეს, ახაშნის ხევის დაბლა, ღვარების დასავლეთით, სოფ. ახალქალაქის საზღვართან. გორის მიმდებარე მიწაზე ჭაობი იყო. კოდის მინდორზე ამოდიოდა კოდის წყარო. აქვე მიედინება კოდის რუ (იხ. კოდის რუ).

კოდის გორა – გორა, იგივე კოდა (ეზატი).

კოდის მინდორი – მინდორი კოდის გორაზე.

კოდის რუ – რუ, რომელიც მდ. გუდალურადან გამოედინება, გაივლის კოდას (კოდის მინდორს), ჩაივლის დამპალას მიწებს და ჩადის სოფ. ქვემო ჩოჩეთამდე. საბჭოთა კავშირის პერიოდში ამ რუზე სოფ. თვალადში გაკეთდა ხელოვნური ჩანჩქერი, წყალვარდნილი (იხ. ჩახრიალა // ჩახრიელა).

კოდის წყარო – წყარო, ამოდიოდა კოდის მინდორში, ეზატისკენ. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ბარდაანთი იყო, მაგ კოდის წყაროსთან ეგენი იყვნენ".

კოდის ჭაობი // კოდიჭაობი – კოდის გორის მიმდებარე ტერიტორია, სადაც ადრე ჭაობი იყო. 1962 წელს კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიის ჰიდრომელიორაციული სამუშაოების დროს გაკეთდა არხები და დრენაჟი და კოდიჭაობი დააშრეს.

კოდიჭაობი – ჭაობი, იგივე კოდის ჭაობი (ეზატი).

კომკავშირების მიწა – სასაფლაო, იგივე თერუან მიწა (გუდალეთი).

კომშის მიწები – კერძო ნაკვეთები სოფ. თვალადში, სამხრეთით. ადრე ბევრი კომში ყოფილა, დღეს ვენახებია გაშენებული.

კონიას ბაღი – ადგილი ციხისუბანში, თხინვალიაანთუბნის დასავლეთით, გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე; კონია არაქელოვს ეკუთვნოდა და ბაღი ჰქონდა გაშენებული.

კონიას სახლი – ციხისუბნის ცენტრში დგას ორსართულიანი დიდი შენობა, რომელიც ეკუთვნოდა კონია არაქელოვს. შემდგომ კონიას ჩამოერთვა, გადაეცა სასოფლო საბჭოს და გაიხსნა საავადმყოფო, მერე გადაკეთდა ამბულატორიად.

კოსალას ნაბინავრები – საძოვარი, ტყე სოფ. თვალადის სამხრეთით. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კოსალა მეცხვარე კაცი იყო, ვასო ერქვა, ჩხუბი უყვარდა და სულ თავშეხვეული დადიოდა. სადაც ცხვარი ეყენა, აბინავებდა, იმ ადგილს დაერქვა კოსალას ნაბინავრები“.

კოტეს ფერდა – ვაზი, ფედობი, ტერასები; საძოვარი სოფ. ქვემო ხანდაკის აღმოსავლეთით. რესპ. მ. მამულაშვილი: „კოტე უსანეთაშვილი აღარ არის ცოცხალი. ჭკვიანი კაცი იყო, ხელოსანი, მეწისქვილე, ურმებს აკეთებდა. ეს ფერდა (მტკვრისგან გაკეთებული ფერდა, მტკვარი ხომ ნელ-ნელა ჩავიდა დაბლა და ფერდა დარჩა) სულ ჯაგით იყო დაფარული. კოტემ გაასუფთავა, დაამუშავა, გაჯაგა. დიდი შრომა გასწია. მზიანი ადგილია და ვაზი გააშენა ამ ფერდებზე, წყაროც გაიყვანა. ჯამი ედგა, რომელიც ავსებისთანავე დაიცლებოდა და ამოარტყამდა ზარს და რეკავდა, რომ მაჩვები და სხვა მღრღნელები დაეფრთხო. ახლა სხვისი კუთვნილებაა“.

კოტეს წყარო – წყარო კოტეს ფერდაზე (იხ. კოტეს ფერდა).

კოტეტიაანთ ბოლო – სახნავი სოფ. ეზატის დასაწყისში, ჩივაანთუბნის ჩრდილო-აღმოსავლეთით. კოტეტიშვილებს ეკუთვნოდათ. ახლა ცხოვრობს კაციაშვილი, მისია ნაკვეთებიც და სახლიც.

კოტეტიაანთ გორა // კოტეტიგორა – გორა სოფ. ეზატში, მახარიაანთ სასაფლაოს ჩრდილოეთით, 200 მ-ზე. რესპ. თ. კერესელიძე: „სახელწოდება მომდინარეობს კოტეტიშვილების გვარიდან“.

კოტეტიგორა – გორა, იგივე კოტეტიაანთ გორა (ეზატი).

კოტმისხევი // კოტმიხევი – ხევი სოფ. თვალადის ხვედრელიაანთუბნის ჩრდილოეთით, ონოფრიაანთუბნის აღმოსავლეთ მხარეს, მდინარეების – კავთურასა და გუდალურას – შესართავი. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „გუდალეთის მდინარე ჩამოდის და უერთდება კავთურას თვალადში, თვალადის დასავლეთით. ჩვენს ტერიტორიაზე ჩამოდის, ჩემს ვენახს ჩამოუვლის გუდალურაც, კავთურაც და იქ უერთდება ერთმანეთს. ლექტორმა ნიშანი დაუწერა აქაურს, ჩემი დის კურსელს: „აბა, ვინც მეტყვითო, გუდალურა და კავთურა სადა ერთდებაო, ნიშანს

უწერამო". წამოდგა ეთერაი, არაქელოვი, და: „ზაქარიაშვილის ნაკვეთთანაო", და დაუწერა ნიშანი". რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „მიმდებარე ტერიტორიას მონასელიაანი ფლობდნენ, რადგან მონასელიაანთუბნის თავზეა. სახელის პირველი ნაწილი, ალბათ, შეკუმშული ფორმაა „კოტამი" სიტყვისა. „კოტამი" რას ნიშნავს, არ ვიცი, მაგრამ ალბათ ამ ადგილს ერქვა ადრე". მკვლევარ გ. შაყულაშვილის მოსაზრებით, „კოტმისხევის" სახელს საფუძვლად დაედო სიტყვა „კოდმე" (კოდმე – მთის კონცხი, გორის ფერდობი, გვერდობი). „მართლაც, „კოტმისხევი" ე. წ. „ტურისწვერის" მთის გაგრძელებას წარმოადგენს და დაქანებულია მდინარეების შესაყარისაკენ. ენობრივი ცვლილება „კოტმესა" და „კოდმეს" შორის ბუნებრივია... „კ" თანხმოვნის გავლენით მომდევნო მჟღერი „დ" ყრუვდება და „ტ-დ იქცევა. აღსანიშნავია, რომ კასპირ რაიონში, დიდგორის მთების კალთებზე იყო სოფელი ზვარიკოტმანი, ხოლო ქარელის რაიონში ახლაც არის კოდმანი" (შაყულაშვილი, 1975).

კოტმისხევი – ხევი, იგივე კოტმისხევი (თვალადი).

კოშკი – 1. კოშკი სოფ. ქვემო ხანდაკის ცენტრში, თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. კოშკი ცილინდრულია (დიამეტრი 8 მ), ნაგებია რიყის ქვით და აგურით. პირველ სართულს აგურის გუმბათოვანი გადახურვა აქვს. დასავლეთ კედელში მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა დატანებული, ხოლო მეორე სართულის ჩრდილოეთ კედელში – მესამე სართულზე ასასვლელი. მესამე სართულსაც აგურის გუმბათოვანი გადახურვა აქვს. კედელში დატანებულია მეოთხე სართულზე ასასვლელი კიბე. კოშკის აღმოსავლეთ ფასადზე აგურის წყობით გამოყვანილია მაღალი ჯვარი (სძა, 1990, 208); 2. სათვალთვალო კოშკურა სოფ. ქვემო ხანდაკის აღმოსავლეთით 3 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, საფონავთან. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. კოშკი ცილინდრულია (დიამეტრი 7,2 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. თაღოვანი კარი დასავლეთ კედელშია. ამ სართულს აგურით ნაწყობი გუმბათოვანი გადახურვა აქვს. სამხრეთ-დასავლეთით კედელში დატანებულია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე, ხოლო მეორე სართულის სამხრეთ და დასავლეთ კედლებში – მესამე სართულზე ასასვლელი კიბე. მესამე სართულის კედლები ნახევრად დანგრეულია. კოშკი საყარაულო

ყოფილა (იქვე). რესპ. მ. მამულაშვილი: „ქვემო ხანდაკის ცენტრიდან დაახლოებით 3 კმ-ზე, აღმოსავლეთით, მტკვრის პირას არის პატარა კოშკურა, რომელშიც ცეცხლს ანთებდნენ და ერთმანეთს ნიშანს აძლევდნენ. ეტყობა, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ალბათ სათვალთვალო კოშკი იყო. იქიდან დიდი ტერიტორია არ ჩანს, მაგრამ რაღაც სამხედრო დანიშნულება რომ ჰქონდა, ფაქტია. შიგ სოფელში კი, ცენტრში, დიდი კოშკია, თავდაცვითი ნაგებობა. მტრის შემოსევის დროს იქ აფარებდნენ თავს. როდესაც სოფლის მკვიდრნი ადგილის მისათითებლად კოშკს ასახელებენ, ძირითადად ამ უკანასკნელს გულისხმობენ“.

კოშკის მიწა – ადგილი სოფ. თვალადში, მექანარიაანთუბანში, ჩრდილოეთით. ადრე აქ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია იყო (იხ. მეფეთა ნასახლარი) და მაღალი სათვალთვალო კოშკი იდგა. რესპ. რ. მექანარიშვილი: „მექანარიაანთ მიმდებარე ამ ტერიტორიას, სადაც ეს სახლები, თუნდაც ჩემი სახლი, დგას, ჰქვია კოშკის მიწა, იმიტომ რომ აქ იდგა კოშკი, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა. მაშინ მეფეები აქ მოდიოდნენ დასასვენებლად, საზაფხულო აგარაკები იყო. ცოტა წინ დგას საყდარი, ესეც მათი კარის ეკლესია იყო, მექანარიაანთ საყდარი, წმინდა ნიკოლოზი, მეფეთსადგომის ეკლესია. და ამ ადგილს ვეძახით კოშკის მიწას. მერე დაანგრიეს ეს კოშკი და იმ ქვებით არის მიმდებარე სახლები აშენებული“.

კოშკის მიწები – ვენახები სოფ. ხანდაკში, დასავლეთით, მტკვრის პირზე, სათვალთვალო კოშკურასთან (იხ. კოშკი (2)).

კოშკის რუ // ნამგალა რუ – რუ სოფ. ქვემო ხანდაკის სათვალთვალო კოშკურასთან (იხ. კოშკი (2)). ნამგლის ფორმა ჰქონდა, ნამგალივით იყო. რესპ. მ. მამულაშვილი: „ძირითადად ჩვენი რუები ლურსხმულით არის გაკეთებული. დაბალი ადგილიდან მაღლა წყალი არ მიდის, ის უნდა წამოიყვანო საიდანღაც, ზემოდან, ამიტომაც მიწას თხრიდნენ, დაყრიდნენ და ამაღლებდნენ, რომ წყალი მიეყვანათ ადგილამდე. ამას ჰქვია ლურსხმული. ანუ ლურსხმულებს აყრიდნენ სპეციალურად მიწებს, რომ ამაღლებულიყო და ამაში გაევლო და მიეყვანათ ადგილამდე. ეს ნამგალა სწორედ ასე იყო გაკეთებული, ლურსხმულით, გოდრებით მიტანილი მიწით, და მერე გადათხარ-გადმოთხარეს. ასე რომ, ფაქტიურად, კავთურას წყალი შემოდიოდა და მთელ სოფელს რწყავდა. ახლა ბევრმა არც იცის ეს რუ, გატყეებულია“.

კრუაანთ ვენახი – მეურნეობის ვენახი სოფ. ეზატში. ეკუთვნოდა შაქრო (ზაქარია) იაშვილს. კრუა მისი მეტსახელი იყო.

კუნლიმიწები – სახნავ-სათესი სოფ. ხანდაკის განაპირას, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. რესპ. მ. მამულაშვილი: „მხოლოდ ერთი კუნელის ბუჩქი იდგა, სხვა არაფერი“.

კურდღლიმინა // კურდღლიმიწები – პურის ყანა, საძოვარი სოფ. თვალადის სამხრეთით, თვალადი-გუდალეთის გზის დასავლეთ მხარეს, სოფ. გუდალეთის ჩრდილოეთით, მექანარიაანთ მიწების დასავლეთით. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ბექობი რომ არის, დიდი ბრილისი რომ მთავრდება, მერე ცარიელი ადგილი იწყება, სწორედ ეგ ადგილია კურდღლიმიწები, გზას აქედან არის. ნაწილი გუდალეთს ეკუთვნის, ნაწილი – თვალადს. არ შეიძლებოდა, მონადირე ასულიყო და იქ კურდღელი არ ენახა“.

კურდღლიმიწები – პურის ყანა, საძოვარი, იგივე კურდღლიმინა (თვალადი).

ლადას კაკალი – ადგილი სოფ. ეზატში, წივილაძეების უბნის დაბლა, ლადა (ლადო) რევაზიშვილის ნაკვეთის ბოლოს.

ლავრენტის წყარო – წყარო სოფ. თვალადში, ხვედრელიაანთუბანში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ციციშვილები თავადები იყვნენ, რომლებიც ფლობდნენ ნიჩბისის, წინარეხისა და კავთისხევის ნაწილს, კავთურას გაღმა ტერიტორიას. სად აღარა ჰქონდათ ნაკვეთები. ლავრენტი ციციშვილს ნაკვეთი მინდორშიც (ოთიაანთ ურწყავების იქით) ჰქონდა, მაგრამ ვენახი და ვაშლიანი (ვაშლის ბაღი) ჰქონდა აქ, ხვედრელიაანში, სადაც ცხოვრობდა. წყაროც იქვე გამოდიოდა. კარგი წყაროა, მანდედან გამოდის და კავთურაში ჩადის“.

ლაზარიაანთ საყდარი – ეკლესია, იგივე იაანთუბნის ეკლესია (ეზატი).

ლალეს ვენახი – ვენახი სოფ. ეზატში, გიგიაანთ ჭაობის მაღლა, სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეკუთვნოდა ლალე (ლავრენტი) ონოფრიშვილს, სოფ. თვალადის მცხოვრებს.

ლარები – სახნავი მიწა სოფ. გუდალეთში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „თაგვიაშვილების უბნის დასავლეთით, ვაშლიმიწების გვერდით, გზა ადის ვარცლებზე და იმ გზის მარჯვენა მხარეს არის ლარები, ვარცლებამდე, ქვევით, ტყის პირზე. ლარივით სწორი გრძელი ნაკვეთებია, ამიტომ ეძახიან ლარებს“.

ლაფიანხევი – ხევი სოფ. გუდალეთის სამხრეთით, ნასოფლარ ვარჯაანის გასწვრივ, ზავრადაანთ მიწებამდე. რესპ. გ. თაგვი-

აშვილი: „ყოველთვის ტალახი და ლაფია იქ, გზაზე გამოდის ეს წყლები და ატალახებს. რა არ სცადეს, რა არ ჩაყარეს, მაგრამ მაინც ლაფია“.

ლელოს კლდე – კლდე სოფ. ქვემო ხანდაკში, მტკვრის პირას. რესპ. მ. მამულაშვილი: „ლელო ჩიქოვანი და მიშა ლაშქარაშვილი იყვნენ მენშევიკები (ლელოსი იყო ხანდაკის გალავანი, ბოლო მესაკუთრე ის იყო). კომუნისტების წინააღმდეგნი იყვნენ, დასდევდნენ ამათ. ერთხელაც ლელომ გაიგო, რომ უნდა დაიჭირონ, გაიქცა და იმალებოდა ამ კლდეზე, მტკვრის პირას (მტკვარი სოფელს ჩაუვლის 1 კმ-ზე). გაიგეს, რომ იქ იმალებოდა და მივიდნენ. ლელო წყალში გადახტა, ქუდი ამოტივტივდა და თვითონ ჩაყვინთა. ძალიან კარგად იცოდა ცურვა, დაუძვრა ხელიდან და წავიდა, გადავიდა თურქეთში. მერე იბრძოდა გერმანელების მხარეს, ეგონა, მართლაც გაათავისუფლებდნენ საქართველოს. მერე მიხვდა, რომ არც ესენი იყვნენ ანგელოზები და გადავიდა პოლონეთში პოლონელ პარტიზანებთან და იქ ებრძოდა უკვე ფაშისტებს, იქვე დაიღუპა ბრძოლაში, იქ არის დასაფლავებული“.

ლოდები // ლოდების მიწა // ლოდების მიწები – სახნავ-სათესი მიწა სოფ. ქვემო ჩოჩეთში, კავთისხევი-კასპის საავტომობილო გზის აღმოსავლეთით, კავთისხევის ცემენტის კარიერისაკენ გასასვლელი გზის მოპირდაპირე მხარეს, 100 მ-ზე, გივის კლდის დაბლა. 1981 წელს „ლოდების მიწებზე“ აღმოჩნდა ე. წ. მელითონეთა განძი – თიხის ქოთანში მოთავსებული ბრინჯაოს ნივთები: აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ცული (2 ც.), თოხი, ხის სახოკი, სპილენძის ზოდები (40 კგ.). თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით. ნივთები ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (გვეტაძე, 1985, 46-47). რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „დიდი ლოდები დევს და ზედ ვზივართ ხოლმე. პატარა ლოდებიცაა. გივის კლდე თითქოს წამოფარებულია ამ მიწებზე“. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ლოდებს ეძახდნენ, რადგან დიდი ნაშალი ლოდები ყრია, შლადი კლდეებია“.

ლოდების მიწა – სახნავ-სათესი მიწა, იგივე ლოდები (ქვემო ჩოჩეთი).

ლოდების მიწები – სახნავ-სათესი მიწა, იგივე ლოდები (ქვემო ჩოჩეთი).

ლომისა – ეკლესია, იგივე თხინვალიაანთ ეკლესია (ციხისუბანი).

ლომისას სალოცავი – ეკლესია, იგივე თხინვალიაანთ ეკლესია (ციხისუბანი).

ლომისას საყდარი – ეკლესია, იგივე თხინვალიაანთ ეკლესია (ციხისუბანი).

ლომისის წმინდა გიორგი – ეკლესია, იგივე თხინვალიაანთ ეკლესია (ციხისუბანი).

ლუკას ნაკაფი – სათიბი სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბანში, ჩრდილოეთით, ვაშლიმიწების მიმდებარე ტერიტორია. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „ლუკა მოდრეკილაძეს ეკუთვნოდა. ლუკა მოდრეკილაანთუბანში ცხოვრობდა, მაგრამ მიწები თაგვიაანში ჰქონდა, ვაშლიმიწებთან“.

მათიას ვენახი – ვენახი სოფ. ქვემო ხანდაკში, ჩრდილოეთით. ეკუთვნოდა სოფლის მცხოვრებს, მათია ლაშქარაშვილს.

მათუშკის მიწები – სახნავი სოფ. ქვემო ხანდაკში, მტკვრის პირზე, ვენახების ბოლოს. რესპ. მ. მამულაშვილი: „მათუშკა ყოფილა ვიღაც რუსი, ომის დროს ჩამორჩა თუ რაღაც მსგავსი. უპატრონო იყო და შეიფარა სოფელმა. იქ მოკვდა და დაასაფლავეს. მას შემდეგ ამ ადგილს მათუშკის მიწებს ეძახდნენ“.

მათუშკის რუ – რუ სოფ. ქვემო ხანდაკში, მათუშკის მიწებზე.

მამულაანთ ბაგები – მამულაშვილების კუთვნილი სახნავ-სათესი მიწა სოფ. ქვემო ხანდაკში, მდ. კავთურას ნაპირზე (იხ. კავთურას ნაპირები).

მატვრის მორევი – ადგილი სოფ. მირიანში, ხანდაკი-მირიანის ხიდის სიახლოვეს. სოფლის დაარსებისთანავე ჩადგეს მტკვრის პირას „მატორი“, ანუ ძრავა (წყლის ამოსაღებად), რომელიც დღესაც დგას.

მაღლა ურწყავები – სახნავ-სათესი მამული მექანარიაანთ მიწებთან და კურდღლიმიწებთან, კატრების მხარეს.

მახარიაანთ გორა – სასაფლაო, იგივე აბულააანთ სასაფლაო (ეზატი).

მახარიაანთ სასაფლაო – სასაფლაო, იგივე აბულაანთ სასაფლაო (ეზატი).

მეზვრიაანთ ურწყავები // მეზვრიაანთ მიწები – საძოვარი სოფ. ქვემო ხანდაკის სამხრეთით (შესასვლელისკენ). რესპ. მ. მამულაშვილი: „მეზვრიშვილების ურწყავები იყო. ქვემო ჩოჩეთის აქეთკენ არის, ფერდაზე. არ ირწყვება, საძოვარი იყო“.

მეზვრიაანთ მიწები – საძოვარი, იგივე მეზვიაანთ ურწყავები (ქვემო ხანდაკი).

მელეების სახტომელა // ცხვირცხვირა – ვიწრო ბილიკი სოფ. გუდალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხევში, გრძელეებთან. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „გრძელეების ბოლოში, სადაც ეს წყლები, ორი გუდალურა, უერთდება ერთიმეორეს, ცხვირცხვირა მიდის. ფეხით გასვლა ძნელია ამ ბილიკზე, ვიწრო გასასვლელია, ჩასახტომებია. მელა თუ გაივლის, თორემ კაცი ვერა, შეიძლება გადავარდეს. ცხვირცხვირას ეძახდნენ, რადგან მართლა ცხვირივითაა ნაგრძელებული. თვალადში რომ დროზე ჩასულიყვნენ, მაგ ცხვირ-ცხვირაზე ფეხით ჩაივლიდნენ, მოკლეზე“ (იხ. გრძელეები (2)).

მეტივის გორა – შემაღლებული ადგილი, სასაფლაო, იგივე აბაზაანთ კაკლები (ეზატი).

მეფეთა ნასახლარი // როსტომ მეფის ნასახლარი // როსტომ მეფის სასახლე – ქართლის მეფეთა საზაფხულო სადგომის ნანგრევები სოფ. თვალადის მექანარიაანთუბანში. თარიღდება ფეოდალური ხანით. მოსახლეობა მას როსტომ მეფის (1632-1658 წწ.) სასახლეს, როსტომ მეფის ნასახლარს, მეფეთა ნასახლარს უწოდებს, ხოლო მეფეთსადგომის ეკლესიას, რომელიც მეფეთა სადგომების სიახლოვეს დგას, – როსტომ მეფის საყდარს (მაკალათია, 1960, 15; ქსე, 1979, 671; სძა, 1990, 163). რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „მეფეთა ნასახლარები მექანარიაანთი იყო, მეფეების დასასვენებელ ადგილს ეძახდნენ. დიდხანს რჩებოდნენ იქ მეფეები. ხან თამარის დასასვენებლად მოიხსენიება, ხან – სიმონისა. უბანთან ტბაც არის“. „საყდრის მახლობლად მდგარა ექვსსართულიანი კოშკი. დარჩენილი იყო მხოლოდ ქვედა სამი სართული და ისიც 1941 წელს დაუშლიათ... ეკლესიის ჩრდილოეთით მეფის სჯინიბო მდგარა, მის აღმოსავლეთით კი – სანაღარო (მემუსიკეთა სადგომი). კოშკის უკან, სამხრეთით, დავაკებულ ადგილს უწოდებენ ტბას. წინათ ტბა ყოფილა, ახლა ამომშრალია და ლერწმით არის დაფარული. ტბის ზევით ნანგრევია, რომელსაც მეფის აბანოს უწოდებენ, ანუ „ნააბანოებს“. მთელი ეს ფართობი, დაახლოებით ერთი ჰექტარი, შემოზღუდული ყოფილა ქვითკირის გალავნით... შიგ გალავანში ყოფილა მეფის სასახლე“. გადმოცემით, როსტომ მეფე ზაფხულობით აქ ისვენებდა (მაკალათია, 1960, 15-16).

მეფეთსადგომის ეკლესია // მეფის საყდარი // მექანარიაანთ ნიკოლოზი // მექანარიაანთ საყდარი // ნიკოლოზი // ნიკოლოზობა // როსტომ მეფის საყდარი // წმინდა ნიკოლოზი – ძველი ეკლესია სოფ. თვალადის სამხრეთ-დასავლეთით, მექანარიაანთუბანში, ფეოდალური ხანის მეფეთა საზაფხულო სადგომის (იხ. მეფეთა ნასახლარი) სიახლოვეს. ადგილობრივთა ცნობით, მეფეთსადგომის ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელობისაა. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „მეფეთა კარის ეკლესიაა, პატარა საყდარი მექანარიაანთუბანში, წმინდა ნიკოლოზი. როცა ის ავადსახსენებლები გვიტევდნენ, ალბათ შაჰ-აბასის დროს, საჯინიბედ ჰქონდათ ეგ მექანარიაანთ საყდარი, ცხენების დასაყენებლად. ზედ გზის პირზეა, მექანარიაანში“. რესპ. ს. ძამუკაშვილი: „მექანარიაანში იყო ტბა და მის გარშემო იყო მეფეების სადგომი, შიგ მექანარიაანში, და იქვეა ეგ მეფეთსადგომის ეკლესიაც, ნიკოლოზიც“. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში მეფეთსადგომისა და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიები გატანილია როგორც ორი სხვადასხვა ძეგლი: „მეფეთსადგომის ეკლესია, არქიტექტურული ძეგლი, დგას სოფლის სამხრეთ-დასავლეთით კიდეში. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (8 X 5,9 მ), ნაგებია თლილი ქვით, კამარის საბჯენი თაღი აგურისაა, ხოლო კამარა – რიყის ქვის. შესასვლელი ორია, ერთი შიგნიდან და გარედან დამრეცთაღიანი, – დასავლეთის კედლის ცენტრში, მეორე, შიგნიდან თაღოვანი და გარედან სწორკუთხა, – ჩრდილოეთის კედლის დასავლეთ ნაწილში. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს – სწორკუთხა ნიშები. თითო სარკმელი სამხრეთ და დასავლეთ კედლებშია. დარბაზის კამარის საბჯენი თაღი გრძივი კედლების წყვილ მარტივ პილასტრს ეყრდნობა. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით“ (სძა, 1990, 163). შდრ.: „წმ. ნიკოლოზის ეკლესია, არქიტექტურული ძეგლი, დგას მექანარიაანთუბანში, ამაღლებულ ადგილზე. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (8,1 X 6,25 მ), ნაგებია დიდი ზომის უხეშად დაკუთხული და პირმოსწორებული ქვებით. ოდნავ გაბრტყელებულ ნახევარწრიულ აბსიდში თაღოვანი სარკმელია, მის გვერდებზე – თითო სწორკუთხა ნიში. აფსიდის სატრიუმფო თაღი

აგურითაა ამოყვანილი. თითო თაღოვანი სარკმელია გაჭრილი ეკლესიის დასავლეთ და სამხრეთ კედლებშიც. ეკლესიას ორი, გარედან არქიტრავული და შიგნიდან თაღოვანი, შესასვლელი აქვს: დასავლეთ კედლის ცენტრში და ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთში. დარბაზი გადახურულია წვრილი ქვით ნაშენი ნახევარწრიული კამარით, რომელიც ერთსაფეხურიან პილასტრებზე დაბჯენილ თაღს ეყრდნობა. კედლები შელესილი ყოფილა. ფასადების კედლები დასრულებულია მარტივი პროფილის ლავგარდნით. დასავლეთ ფასადის ცენტრში ცისფრად მოჭიქული აგურით გამოყვანილია დიდი ზომის ჯვარი" (იქვე, 164). როგორც ვხედავთ, ამ ორ აღწერას შორის დიდი მსგავსებაა (ზომაში განსხვავებაც მინიმუმია). სავარაუდოდ, საუბარია ერთსა და იმავე ძეგლზე.

მეფის საყდარი – ეკლესია, იგივე მეფეთსადგომის ეკლესია (თვალადი).

მექანარიაანი // მექანარიაანთეული // მექანარიაანთი // მექანარიაანთუბანი – მექანარიშვილების უბანი სოფ. თვალადის სამხრეთით, კაციაანთუბნის დასავლეთით. ცხოვრობენ მექანარიშვილები; უბანში შემორჩენილია მეფეთა ნასასახლარის კვალი, ნანგრევები (იხ. მეფის ნასახლარი), უბნის ცენტრში დგას მეფეთსადგომის ეკლესია.

მექანარიაანთეული – 1. უბანი, იგივე მექანარიაანი (თვალადი); 2. სახნავ-სათესი მიწა, იგივე მექანარიაანთ მიწები (თვალადი).

მექანარიაანთი – 1. უბანი, იგივე მექანარიაანი (თვალადი); 2. სახნავ-სათესი მიწა, იგივე მექანარიაანთ მიწები (თვალადი).

მექანარიაანთ მიწები // მექანარიაანთეული // მექანარიაანთი // თეთრიგზაითავები – ვაკე ადგილი თეთრი გზის ბოლოს, მექანარიშვილების მამულები სოფ. თვალადში, სამხრეთით, სოფ. გუდალეთის თაგვიაანთუბნის ჩრდილოეთით, ფიჭვებთან. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „პურის ყანაა. თავებს იმიტომ ვეძახით, რომ, თვალადიდან გუდალეთში რომ მიდიხარ ამ გზით, თეთრი გზით, გზის მერე ვაკეა და მექანარიაანთ მიწები იწყება, ანუ ამ გზის თავში, სანამ გუდალეთში შევიდოდეთ, არის მექანარიაანთ მიწები". რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „დიდი ფართობია, დაახლოებით 50 ჰა. თვალადიდან გუდალეთში რომ მივდივართ, ხიდახევაში სანამ შევალთ, ფიჭვების დიდი კორომია. იმის მარცხენა მხარეს, ე.ი. თვალადის მხარეს, დიდი ნაკვეთია, ეგ არის მექანარიაანთ მიწები".

მექანარიაანთ ნაწისქვილარი – ნაწისქვილარი სოფ. თვალადში, მექანარიშვილების უბანში (იხ. მექანარიაანი). იდგა კოდის რუზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ამ გუდალურას გამონადენი შტო რომ გამოდიოდა, იმაზე იყო, თავში. მდინარე გუდალურათი სხვა წისქვილებსაც აბრუნებდნენ, პირდაპირ სათავეში იყო ეგ წისქვილი, იმის ქვემოთ ორი წისქვილი იყო კიდევ – ხარატიშვილისა და შეშაბერიაანთი.

მექანარიაანთ ნიკოლოზი – ეკლესია, იგივე მეფეთსადგომის ეკლესია (თვალადი).

მექანარიაანთ საყდარი – ეკლესია, იგივე მეფეთსადგომის ეკლესია (თვალადი).

მექანარიაანთ ტბა – ნატბეური თვალადში, სამხრეთით, ძლევის ქედის სამხრეთ მხარეს, ქედის ძირას. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ასე, 500 მ იქნებოდა სიგანე. შიგ კამეჩები შედიოდნენ. დააშრეს და ახლა ჭაობია, დაჭაობებულია“.

მექანარიაანთუბანი – უბანი, იგივე მექანარიაანი (თვალადი).

მზვარიანი – ტყე, იგივე გაღმა-გამოღმა მზვარიანი (გუდალეთი).

მზვრები – დასახლებული ტერიტორია, იგივე ზვრიბოლო (ქვემო ჩოჩეთი).

მზვრის ბოლო – დასახლებული ტერიტორია, იგივე ზვრიბოლო (ქვემო ჩოჩეთი).

მთავარანგელოზი – მთავარანგელოზის ეკლესიები კავთისხევში: 1. ვარჯაანის მთავარანგელოზის ეკლესია; 2. ქვემო ხანდაკის მთავარანგელოზის ეკლესია.

მთავარანგელოზის სასაფლაო – სასაფლაო სოფ. ქვემო ხანდაკში, მთავარანგელოზის ეკლესიასთან.

მთიულთუბანი – ახალი დასახლება, იგივე ახალშენი (შუაუბანი).

მირზეულიაანთ ვენახები – ვენახი, კერძო პლანტაცია სოფ. ქვემო ჩოჩეთში, ზვრის ბოლოს. ეკუთვნის მირზეულიაანთ – ქსოვრელების ერთ-ერთ შტოგვარს. რესპ. ი. ქსოვრელი: „ადრე აქ მირზეულიაანთ მხოლოდ ვენახები ჰქონდათ, მაგრამ მერე სახლებიც ააშენეს“.

მირიანი – სოფელი კავთისხევში, სოფ. ქვემო ხანდაკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. რესპ. მ. ოთიაშვილი: „ამ ადგილებს ერქვა მირიანეული, ანუ მირიანისეული. ჩვენ სახელი შევუცვალეთ და მირიანი დავარქვით. გადმოცემით, მირიან მეფეს უნადირია აქ. ახალი დასახლებაა, დაახლოებით 1 საუკუნისა იქნება. მე რომ

დავიბადე, 1940 წელს, აქ უკვე იყო დასახლება. 40-მდე კომლი ცხოვრობდა. პირველი მოსახლე წორუაშვილი იყო, მერე იყვნენ ხმალაძეები, მერე – გოდერძიშვილი, კარგა ხნის მერე – ჩოხელები. მამაჩემიც მოგვიანებით ჩამოვიდა. ძირითადად წინარეხიდან იყვნენ. ალბათ იქ გაჭირვება ადგათ და მინდვრების გამო ჩამოვიდნენ, სახნავად და საქონლისთვის რომ გამოეყენებინათ. მირიანს დიდი მინდვრები აქვს (თვითონ დასახლება სიგრძეზე დაახლოებით 1 კილომეტრია, მაგრამ მინდვრები 300 ჰექტრამდეა). ურწყავები კი იყო, მაგრამ ასარწყავებდნენ. მაზუთის წისქვილივით ჰქონდათ და იმით ამოჰქონდათ მტკვრიდან წყალი. ჩვენამდე ეს მინდორი თათრებს ეჭირათ, სულ 10 კომლი იყო, მაგრამ ფარეხები ჰქონდათ, ცხვარი ჰყავდათ. ჩვენ რომ ჩამოვედით, იმათ დატოვეს ტერიტორია. თათრები აქ აღარ არიან, მაგრამ გვერდით სოფლებში ცხოვრობენ, მიქელწყაროსა და ხიდისყურში, 400 კომლს გასცდნენ. დღესდღეობით მირიანში რეალური მაცხოვრებელი ცოტაა, სულ ერთი უბანია. ვინც შეძლო, ყველა გაიქცა. დაარსებიდან სოფელს არაფერი მიმატებია, წყალი არ არის და ძნელია ცხოვრება“.

მისალოცავი – აღმართი და საყდარი აღმართზე სოფ. თვალადში, თვალადი-გუდალეთის გზაზე, მექანარიაანთუბნის სამხრეთით, სანაღაროსთან, სოფ. გუდალეთის ჩრდილოეთით 1 კმ-ზე. რესპონდენტთა უმრავლესობის ვარაუდით, მისალოცავის ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა. რესპ. რ. მექანარიშვილი: „მექანარიაანთუბნიდან გუდალეთში რომ ავდივართ, 200 მ-ზე არის სანაღარო. გადმოცემის თანახმად, აქ ქართულ ლაშქარს მიულოცეს გამარჯვება დაფ-ნაღარით. ცოტა კიდევ იქით, 200 მ-ზე, არის მისალოცავის ეკლესია, მისალოცავი, მგონი, ნათლისმცემელია, ადგილსაც მისალოცავი ჰქვია“. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „მისალოცავი, ნათლისმცემელი, მექანარიაანთ თავზეა, ზედ გზის პირზე, გზის ზემოდან ეს ეკლესიაა და ქვემოდან – ელექტროსადგური. სოფელს გაცილებულია ის სანაღარო, სადაც მისალოცავი დგას. ვიწრო მორევს უერთდება. მისალოცავთან მეორე ეკლესიაც იდგა, მაგრამ დაინგრა, რადგან ფლატე მოსდევდა. მისალოცავი იმიტომ ჰქვია, რომ გიორგი სააკაძეს აქ მიულოცეს გამარჯვება. შემოსევა ყოფილა მაგარი, წმინდა გიორგის სალოცავთან ორი ქვა იდო და იქა მსხდარან მხედართმთავრები, თუ არ ვცდები, და მიულოცეს გამარჯვება“.

რესპ. ვ. ყველაშვილი: „მისალოცავს ეძახიან, სააკაძემ რომ იბრძოლა მანდა, კაციაანთგან (კაციაანთუბნიდან) რომ ადიხარ“. გ. თაგვიაშვილი: „სისხლიმიწების ძირზეა მისალოცავი, მექანარიაანთ ტერიტორიაზე“.

მისალოცავის აღმართი – პატარა აღმართი სოფ. თვალადში, თვალადი-გუდალეთის გზაზე, მექანარიაანთუბნის სამხრეთით, სანაღაროსთან. აღმართზე მისალოცავის საყდარი დგას (იხ. მისალოცავი).

მისალოცავის ეკლესია – ეკლესია მისალოცავის აღმართზე, სოფ. თვალადში, თვალადი-გუდალეთის გზაზე, მექანარიაანთუბნის სამხრეთით, სანაღაროსთან (იხ. მისალოცავი).

მისრელიაანთუბანი – უბანი, იგივე კელაპტრიაანთუბანი (შუაუბანი).

მიტას წისქვილი – ნაწისქვილარი, იგივე ზავრადაანთ წისქვილი (შუაუბანი).

მიშას ბოგირი – ბოგირი ხვლიკისწყაროსთან. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „გიგო თარხნიშვილის (ცხოვრობდა ციხისუბანში, იხ. თარხნიშვილების სახლი) შვილი – მიშა თარხნიშვილი – ავაზაკი იყო. XX სს-ის 20-30-იან წლებში მოკლეს და ბოგირში შეტენეს – ბოგირი რომ გამოდის, ხომ სივრცე აქვს, მკვდარი შეტენეს შიგნით დამალვის მიზნით. დაერქვა მიშას ბოგირი“.

მიხვეულა // მიხვეულები – სახნავი, საბოსტნე მიწა, ქლიავის ბაღები, ნაკვეთები სოფ. ეზატის ჩრდილო-დასავლეთით, დომენტის გორის მიმდებარე ტერიტორია. 1981, 1988 წლების ჩანაწერების მიხედვით, „მიხვეულა – სახნავი, ბორცვებს შუა გზა, ახალქალაქის (კასპის მუნიც.) მხარეზე, შარაგზის ზემოთ“. რესპ. თ. კერესელიძე: „ეს მიწა გორასთან არის და იძულებულია მოუხვიოს, სახნავი მიწა უხვევს“.

მიხვეულები – სახნავი მიწა, იგივე მიხვეულა (ეზატი).

მლაშეები – 1. მლაშე წყარო და მიმდებარე ტერიტორია (საძოვარი) კავთისხევის კირქვის კარიერის სამხრეთ-დასავლეთით, დუბიების (იხ. დუბია (2)) დასავლეთით. რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ჩოჩეთის დასავლეთით დუბიებია და იმის დასავლეთით, ახალქალაქის მიმართულებით – მლაშეები“. ტერიტორია მლაშე წყლით იჟღინთება, რის გამოც საქონელი ეტანება. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „დაბურღული წყალია, დუბიებთან ახლოს არის. მართლაც მლაშეა, ისეთი, რომ თუ ცივს დალევ, ხო, თუ არა და, თბილს ვეღარ დალევ. ეგ დაბომბეს მეორე სამამულო ომის

დროს"; მლაშეების დასავლეთით, 500 მ-ზე აღმოაჩნეს გვიანდელი ფეოდალური ხანის ნასახლარი, ზედაპირულად იპოვება კერამიკა (გვეტაძე, 1979, 19; სძა, 1990, 171); 2. სანერგე სოფ. ქვემო ხანდაკის შემოსასვლელში, სამხრეთით. რესპ. მ. მამულაშვილი: „მლაშე, მარილიანი მიწაა, საქონელი ეტანება. ფაბრიკა იყო აშენებული იქ, მაგრამ დაანგრიეს".

მლაშიპირები – ეროზირებული ფართობი, 25 ჰა-მდე სატყეო მცენარეების სანერგე, გაშენებული სატყეო მეურნეობის მიერ მლაშეების თავზე, კირქვის კარიერის ზემოთ, დასავლეთით (იხ. მლაშეები (1)).

მოდრეკილაანთეული – ხეხილის ბაღი სოფ. თვალადში, ძლევის ქედის რუს ქვემოთ.

მოდრეკილაანთუბანი // მოდრეკილაანი – 1. უბანი სოფ. გუდალეთის ცენტრში, დიდი და პატარა გუდალურას, ანუ გავაზურისწყლისა და ხოკერაანთ მდინარის, ხეობებს შორის. ცხოვრობენ მოდრეკილაძეები; 2. უბანი სოფ. თვალადში, თვალადი-გუდალეთის გზის აღმოსავლეთით, შეშაბერიაანთუბნის სამხრეთით, კავთიაანთუბნის დასავლეთით. სოფ. ეზატისკენ მიმავალ გზაზე. ცხოვრობენ მოდრეკილაძეები.

მოდრეკილაანი – 1. უბანი, იგივე მოდრეკილაანთუბანი (1) (გუდალეთი); 2. უბანი, იგივე მოდრეკილაანთუბანი (2) (თვალადი).

მოდრეკილაანთ სასაფლაო – სასაფლაო, იგივე თერუან მიწა (გუდალეთი).

მონასელიაანთუბანი // მონასელიაანი – უბანი შუაუბანში, მდ. კავთურას მარჯვენა, აღმოსავლეთ, მხარეს. სამხრეთიდან აკრავს კატაულას მთები. ადმინისტრაციული დაყოფით შედის კავთისხევის შუაუბანში, თუმცა ხშირად ცალკე მოიხსენიებენ. ძირითადად ცხოვრობენ მონასელიძეები, 15-მდე კომლი. რესპ. ა. მონასელიძე: „შუაუბნის მიკროუბნებში მონასელიძეები დიდი ვართ შეშაბერიძეებთანაც. ისინი მდინარის გაღმა არიან, კავთურა გვყოფს. რომ მივდიოდით სხვა ქალაქში ან რაიონში, რომ ეკითხათ, საიდანა ხარ, რომელ სოფლიდანა, ვიწერებოდით შუაუბანი, მონასელიაანი. მთავარი იყო, ცენტრი იყო შუაუბანი. უცხო ხალხს რომ ჰკითხო მონასელიაანი, არ იცის, ვერ გაგცემს პასუხს, ამიტომ შუაუბანს რომ ვახსენებდით, შუაუბანში რომ შემოვიდოდნენ, იქ იკითხავდნენ მონასელიძეებს და მოასწავლიდნენ მერე აქეთ".

მონასელიაანი – უბანი, იგივე მონასელიაანთუბანი (შუაუბანი).

მონასელიაანთ წმინდა გიორგი – ეკლესია, იგივე კატაულას წმინდა გიორგი (შუაუბანი).

მონასელიაანთ ხიდი – ხიდი (ლითონის კონსტრუქცია) შუაუბანში, მდ. კავთურაზე, აერთიანებს პატარა შაყულაანსა და მონასელიაანთუბანს. რესპ. ა. მონასელიძე: „კავთურა პატარა მდინარეა, მაგრამ რომ ადიდდებოდა, ფონს ვერ გახვიდოდი, მტკვარივით იყო, გადასასვლელად გადებულ მორებს მოგვტაცებდა ხოლმე. მე გავაკეთებინე ეს ხიდი დიდი წვალებით. სასოფლო საბჭოს დეპუტატი ვიყავი მაშინ, 60-იან წლებში. ხიდს აწერია კიდეც ამირან მონასელიძე. 5 წლის წინ რეკონსტრუქცია გაუკეთეს. რაღაც-რაღაცები მიუმატეს მხოლოდ".

მორდოკლიაანთ ვენახები – ქსოვრელების ერთ-ერთი შტოგვარის, მორდოკლიაანთ, ვენახები სოფ. ქვემო ჩოჩეთში. მორდოკლიაანთუბანი სოფლის თავშია, ვენახები კი მოშორებით აქვთ, სოფლის ბოლოში, ჩრდილო-აღმოსავლეთით, თელიწყაროსთან.

მორდოკლიაანთუბანი – უბანი სოფ. ქვემო ჩოჩეთის დასაწყისში. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ციხისუბნის შემდეგ ქვემო ჩოჩეთის დასაწყისში ჯანჯლაანთუბანია და იმას მოსდევს მორდოკლიაანთუბანი". ცხოვრობენ მოდროკლიაანი, ქსოვრელების ერთ-ერთი შტოგვარის წარმომადგენლები.

მორჩილაძეების უბანი – უბანი, იგივე ზუაანთუბანი (შუაუბანი).

მოურავიაანთ ვენახები – დასახლებული ტერიტორია, იგივე ზვრიბოლო (ქვემო ჩოჩეთი).

მოურავიაანთ მზვარი – დასახლებული ტერიტორია, იგივე ზვრიბოლო (ქვემო ჩოჩეთი).

მოღობილა – მთა, ფერდობი სოფ. გუდალეთის სამხრეთით, შუბათში, სამარილეების სიახლოვეს. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ობოლკლდიდან ქვემო შუბათში გადავითავქვევებთ თუ არა, მოღობილაზე უნდა ჩავიაროთ გზა, რომელიც ჩადის ქვემო შუბათში. ამ ფერდობის ხელმარცხნივ არის კლდოვანი, რომელსაც ჰქვია სამარილეები". რესპოდენტთათვის სახელდების მოტივაცია უცნობია. შდრ. მთა მოღობილა (ტოპონიმად ქცეული ნაზმნარი სახელი, -ილ სუფიქსიანი მიმღეობა) არის ბაღდადის მუნიციპალიტეტშიც, მესხეთის ქედზე. როგორც ვ. მაღრაძე აღნიშნავს, ამგვარი სახელწოდების შერქმევა მთისა და უღელტეხილის მოხრილობამ განაპირობა (მაღრაძე, 2006, 109).

მრავალწყარო – წყარო, საძოვარი ნასოფლარ ვარჯაანში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ვარჯაანის თავზე, მაღლა, მთაში, მიდის გზა, საიდანაც 2-3 კმ-ზე არის ვარჯაანის წყარო. სხვადასხვა ადგილას გამოდის წყაროები და მერე ერთიანდება. ადრე მილებით იყო ჩამოყვანილი გუდალეთში, მაგრამ მერე ამოყარეს მილები".

მრავალწყაროს ტყე – ფოთლოვანი ტყე ვარჯაანში, მრავალწყაროსთან.

მრგვალგორა // მრგვალი გორა – გორა, საძოვარი სოფ. ქვემო ხანდაკის სამხრეთით, ქვემო ხანდაკისა და იდლეთის გასაყარზე. რესპ. მ. მამულაშვილი: „რომ შემოუარო, მრგვალია, მაგრამ აწონილი, მაღალი, ვიწროთავიანი. გორაზე საძოვრებია".

მრგვალი გორა – გორა, საძოვარი, იგივე მრგვალგორა (ქვემო ხანდაკი).

მსხლიანი – მსხლიანი ბაღები, გრძელეების მონაკვეთი შუაუბანსა და ციხისუბანში (იხ. გრძელეები). რესპ. თ. კერესელიძე: „მსხლიანი იყო გრძელეების ტერიტორიაზე. მსხლიანს ვეძახდით ხოლმე შარას დაბლა" (იხ. შარაგზა). რესპ. თ. წივილაძე: „მსხლიანი გრძელეების ნაწილია, შარას ქვემოთ რომ ვეძახით, იქ. უფრო შუაუბნის და ციხისუბნის მონაკვეთზე". რესპ. ა. მონასელიძე: „ჩვენი, მონასელიძეების, შაყულაშვილების უბნების მხარეს მსხლიანის გრძელეებია. მსხლიანი შუაუბნის კოლექტივისა იყო. მაშინ იხვნოდა, ხორბალს თესავდნენ, შაქრის ჭარხალი მოჰყავდათ, სიმინდი, ბოსტნეული, პომიდორი, კიტრი. მერე გააშენეს მსხლის ბაღები და მსხლიანს ეძახიან. გრძელეები იყო და დღევანდელი ტერმინით მსხლიანია. იქით ბოლოში ეკუთვნოდა ეზატს, ჩასწვრივ იყო შუაუბნისა, შაყულაშვილებისა და მონასელიძეებისა".

მტკვრის ხიდი – კავთისხევის სადგურთან დამაკავშირებელი ხიდი. აშენებულია 1936-1938 წლებში. მშენებლობის მწარმოებელი იყო მ. ჯავჯანაშვილი. რესპ. ჰ. წიტაიშვილი „ეს ხიდი ისტორიულია. როცა იგი დაპროექტდა, ქვემო ხანდაკელი მნაცაკან ადამაშვილი იყო დეპუტატი და ქვემო ხანდაკელებმა მიაღწიეს იმას, რომ ეს ხიდი გადაიტანეს თავიანთ სოფელში, მირიანის პირდაპირ. შესაბამისად, მატარებლის პლატფორმა უნდა შეერთებოდა ქვემო ხანდაკს. ჩვენ მოვითხოვდით, იქ დაებრუნებინათ, სადაც თავიდან დაპროექტდა. ბოლოს სტალინამდე მივიდა ეს საქმე. სტალინს ქვისლი ჰყავდა აქ, მონასელიაანში (შუაუბანი) – მიშა

მონასელიძე. მიშა ჩავიდა მოსკოვში, სტალინთან, და უთხრა, ხიდს გვართმევს ქვემო ხანდაკი და ქსანიო. იქიდან დაურეკავს სტალინს, კავთისხევის სადგურის პირდაპირ კლდე რომ არის, იმ კლდეზე დასვითო, და დაჯდა კიდეც იქ".

მუნის საყდარი // სამინაანთ საყდარი – ნასაყდრალი სოფ. გუდალეთის აღმოსავლეთით, სოფ. გუდალეთისა და სოფ. თვალადის მიჯნაზე, თირის წყაროს თავზე, ტყისპირზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ვიწრო მორევებიდან ავდივართ კაკლებში, აი, სწორედ 10 მეტრზეა შიგ ტყეში შესული ეს მუნის ეკლესია". რესპ. გ. თაგვიაშვილი: „სამინაანებისგან ცოტა მოშორებით დგას. სანახევროდ დანგრეულია, შემორჩენილია კედლები. მუნის საყდარი იმიტომ ჰქვია, რომ, მუნიანი იქ რომ შესულიყო, განიკურნებოდა. ისეთი ლოდებია იქა, რომ ვერ დაძრავ ადგილიდან" (იხ. სამინაანები). რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „თირის წყარო ისეთ ქანებში და ფენებში გამოდის, რომელიც გემოს აძლევს. იმ წყაროთი რომ იბანდნენ, შეიძლება მუნს კურნავდა". ს. მაკალათია მუნის საყდარს წინარეხის თემში მოიხსენიებს და აღნიშნავს: „ჩადრის საყდრის მახლობლად არის ე. წ. მუნის საყდარი, რომელიც ახლა ნანგრევია. აქ მოდიოდნენ მუნით დაავადებულები, მოჰყავდათ წითელი მამლები და განკურნებას შესთხოვდნენ. იქვე მუჭით მიწას იღებდნენ, ტანზე ისვამდნენ, რომ განკურნებულიყვნენ" (მაკალათია, 1960, 19-20).

მუნის წყარო – წყარო სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს, კლდეში, კავთისხევ-კასპის გზის პირზე, მარჯვენა (ლოდების) მხარეს. ამ ადგილზე არქეოლოგებმა აღმოაჩნეს გვიან ბრინჯაოს-ადრინდელი რკინის ხანის ნამოსახლარი, ფართობი – 2 ჰა. იპოვება ნაცრისფერზედაპირიანი, შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ორნამენტიანი ფრაგმენტები (სძა, 1990, 169). რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „ეგ ძველად ნაგავსაყრელი იყო. მანდ ეს გზა არ იყო, გზა გადიოდა ლოდების მხარეს. ნაგავსაყრელი რაკი იყო, მუნის წყაროს ეძახდნენ. მაგ დროს მუნი იყო გავრცელებული".

მუსას წყარო – წყარო სოფ. თვალადისა და სოფ. გუდალეთის მიჯნაზე, ხოკერაანთუბნის ჩრდილოეთით 1 კმ-ზე, ჭანჭახებში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ხოკერაანთ აქეთ ჰქონდათ ნოქარაანთ (ნოქარაშვილებს) ნაკვეთი, წყლიანი ადგილი იყო, ნაჭაობარი ადგილივით, და ნოქარაანთ მუსამა (ტატუა ერქვა, მაგრამ თათარს

წააგავდა და მუსას ეძახდნენ) იმდენი ქნა, იმდენი თხარა, რომ წყალი ამაიყვანა, ნაკვეთიც ჰქონდა იქ და ვაზიც".

მუყაშაანთ ვენახები – სოფ. ქვემო ჩოჩეთის აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორია, კავთისხევის რკინიგზის სადგურიდან მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, მდ. მტკვრიდან 2 კმ-ზე. აქ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ძველისძველი ნამოსახლარი (მაკალათია, 1960, 10; სძა, 1990, 169).

მუხა – 1. ადგილი სოფ. ქვემო ხანდაკის ბოლოს, დასავლეთით, კავთურას პირზე. დღემდე დგას ასწლოვანი მუხა, იქვე ამოდის წყარო; 2. ადგილი სოფ. მირიანში. რესპ. მ. ოთიაშვილი: „მამაჩემმა, ზაქარია ოთიაშვილმა, დარგო ეს მუხა. ხშირად მიდიან ამ ადგილზე საქეიფოდ".

მუხის წყარო // მუხიწყარო – წყარო სოფ. ქვემო ხანდაკში, სოფლის ბოლოში, დასავლეთით, მუხასთან.

მუხიწყარო – წყარო, იგივე მუხის წყარო (ქვემო ხანდაკი).

მუხრან ბატონის ზვრები – რესპ. მ. მამულაშვილი: „საერთოდ, მთელი ქვემო ხანდაკი იყო მუხრან ბატონის (ბაგრატიონის) ზვრები, მიწები. ნათქვამია: „ნეტავი თევზი მაჭამა ქვემო ხანდაკის წყლისაო, ზედ ღვინო დამალევინა მუხრან ბატონის ზვრისაო". მუხრან ბატონის ზვრები იყო ესა, გადაღმა სოფლები, მიმდებარე ტერიტორიები. ჩვენ მუხრან ბატონის ყმები ვიყავით და თანაც შევდიოდით მცხეთის საეკლესიო ეპარქიაში".

მღვდლიაანთ თავქვე – ადგილი სოფ. თვალადში, ონოფრიაანთუბნის დასავლეთით. რესპ. ო.ზაქარიაშვილი: „მღვდლიაანთ თავქვე ონოფრიაანთ თაგზეა. დაღმართი იყო, თავქვე. მღვდელი ცხოვრობდა მანდ, ცხვედაძე. ნიკო ცხვედაძის (უნივერსიტეტის მშენებლობაში დიდი მონაწილეობა აქვს მიღებული) ოჯახი იყო. ცხვედაანი ერთი ოჯახი იყო და მერე გაიყვნენ. თავქვეები ბევრგან არის, მაგალითად, ციხისუბანშიც" (იხ. თავქვე).

მღვდლიაანთ მიწები – ნაკვეთები შუაუბანში, შაყულაანთუბნის დასავლეთით, ეკვრის გოგნიაურებს. მღვდლიაანი ინდუაშვილები არიან. მათი პაპა მღვდელი იყო, მას ეკუთვნოდა ეს ნაკვეთი, მაგრამ ჩამოართვეს და სხვებს გადასცეს, ზოგიც გაყიდეს.

ნაბორნალი – საბანაო მდ. მტკვარზე, სადაც მტკვარს კავთურა უერთდება, სოფ. ხანდაკისა და სოფ. მირიანის დამაკავშირებელი ხიდის სიახლოვეს. სანამ აღნიშნულ ხიდს ააშენებდნენ, მტკვრის

ამ მონაკვეთზე ბორანი იყო, რომელიც აკავშირებდა ხანდაკს მირიანთან და რკინიგზასთან. რესპ. მ. მამულაშვილი: „ადრე ხიდი არ იყო, ბორანი იყო. მანდ იყო გაბმული ტროსი და თელათგორი, კავთისხევი, წინარეხი სულ აქეთ დადიოდა“.

ნავენახევები – კლდე, კაკლები, ძველი ნასახლარი სოფ. თვალადის სამხრეთით, კაციაანთხევთან, სოფ. გუდალეთის მისადგომებთან, ნაციხრის ველის აღმოსავლეთით. ადრე ვენახები ყოფილა. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ნავენახევები ბაღები იყო, ვენახს ხშირად აქ ხეხილის ბაღს ეძახიან. თუმცა, არ არის გამორიცხული, ადრე ვაზიც ყოფილიყო“.

ნაზუქა – ხეხილის ბაღები სოფ. ეზატში, მეტივის გორის სამხრეთ-დასავლეთით, ბრილისის რუს დაბლა. რესპ. თ. კერესელიძე: „25 ჰა მსუყე, მზვარე, შედეგიანი მიწაა. იდგა ყველანაირი ხილი. მეც მაქვს ნაკვეთი იქ. კარგი მოსავალი მოდიოდა, თავთავი სულ იბრაწებოდა. დაარქვეს ნაზუქა“.

ნათლისმცემელი – იოანე ნათლისმცემლის ეკლესია: 1. იაანთუბნის ეკლესია (ეზატი); 2. სოფ. თვალადის მკვიდრთა აზრით, იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა მისალოცავის ძველი ეკლესია (თვალადი); 3. სოფ. ქვემო ჩოჩეთის მკვიდრთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა ნონიკაანთ საყდარი.

ნაკალოვარი – ნაკალოვარი სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბანში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „თაგვიაშვილების სასაფლაო სადაც არის ახლა, წმინდა გიორგის გარშემო, იმის მიმდებარე ტერიტორიებზე, აქეთ-იქით, იყო ყანები, სადაც ხელით მკიდა ხალხი და მერე უნდა შეეკრათ და დაედგათ ეს ძნა. მერე კალოებს გავაკეთებდით ხოლმე, იქ ხორბალი უნდა აგვეკრიფა. ორი ადგილი იყო ამორჩეული, სადაც უნდა გაკეთებულიყო ეს კალოები. შიგ ჩვენს (თაგვიაშვილების) უბანშია“ (იხ. გუდალეთის წმინდა გიორგი (1)).

ნაკერჩხლები // ნაკერჩხლიანი – პატარა ნაკვეთი, საძოვარი სოფ. თვალადისა და გუდალეთის მიჯნაზე. ბევრი ნეკერჩხალი იყო.

ნაკერჩხლიანი – ნაკვეთი, საძოვარი, იგივე ნაკერჩხლები (თვალადი, გუდალეთი).

ნამგალა რუ – რუ, იგივე კოშკის რუ (ქვემო ხანდაკი).

ნაორმალა // ნაორმალები – გზა, რომელიც სოფ. გუდალეთში ჩამოდის ქვაკაცეებიდან. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ჩემს ხსოვნაში

მოხდა: გაჩნდა საქონელში ციმბირის წყლული. თუ ეს დაავადება შეხვდებოდა, ვერაფრით მორჩებოდა საქონელი, სულ წყდებოდა. თბილისიდან დაახლოებით 10 ადამიანი იყო მოვლინებული, რაიონიდანაც იყვნენ და მაინც ვერაფერი უშველეს, დაიხოცა საქონელი. ხალხმა ორმოები ამოთხარა ამ ადგილას, არაფერი ტრანსპორტი არ იყო, ამ დახოცილ საქონელს თოკს მოუბამდნენ, ფეხებით მიათრევდნენ, ამ ორმოებში ყრიდნენ და მერე წვავდნენ, რომ არ გავრცელებულიყო ეს ეპიდემია. დღესაც ნაორმალებს ეძახიან ამ ადგილებს".

ნაორმალები – გზა, იგივე ნაორმალა (გუდალეთი).

ნარგიზაანთუბანი // ჯაგირაანთუბანი – უბანი სოფ. თვალადში, სამხრეთ მხარეს. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ერთი უბანია, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ნარგიზაანი და ჯაგირაანი. სულ 4-5 ოჯახია ნარგიზაანი – გურასპაშვილები. ნარგიზაანთ რატომ ეძახიან, არ ვიცი. ჯაგირაანი კაციაშვილები არიან, სულ აჯაგრული დადიოდა ეგ კაცი, კაციაშვილების წინაპარი, მაჩხუბარი იყო".

ნატბეურა – ვაკე ადგილი, სახნავ-სათესი მიწა, საძოვარი, მდ. კავთურას მარჯვენა მხარეს, კატაულას მთის ძირში. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „კავთურას მარჯვენა მხარეს, ერთი, 150 მ-ზე, მაღლა, არის დიდი ვაკე. ტბა იდგა ხოლმე მანდ, იტბორებოდა და დაერქვა ნატბეურა. მონასელიაანთამდეა (შუაუბანი) ეგ ტერიტორია, ციხისუბნისაა მანდ სახნავები. განაწილებულია მოსახლეობაზე".

ნატუსები – ტყე, იგივე გალმა-გამოლმა მზვარიანი (გუდალეთი).

ნაფარეხლები – 7 ჰა სახნავი მიწა (ნაკვეთები) სოფ. გუდალეთის ჩრდილოეთით, 2 კმ-ზე. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „თვალადიდან გუდალეთისკენ რომ მოვდივართ, ფიჭვებში რომ შემოვდივართ, ხელმარჯვნივ არის გზის პირზე, სანამ ხიდახევაში გადმოვალთ, ქედიდან როგორც კი გადმოვითავქვევებთ. ალბათ ვინმეს ფარეხი ჰქონდა იქ. ჩემს ხსოვნაში ეგ სახელი მოდის. დღეს ეს ნაფარეხლები დანაწილდა, აუქციონზე გაიტანეს".

ნაყაზახრები – სახნავი სოფ. გუდალეთსა და სოფ. გოსტიბეს შორის. ნაყაზახრების შესახებ რესპონდენტთა ცნობები განსხვავებულია: გ. თაგვიაშვილი: „გოსტიბის შუა გზაზეა, ახალქალაქის გზაზე. გოსტიბეს ეკუთვნის და არა გუდალეთს". ბ. თაგვიაშვილი: „გავაზურის თავზეა, გოსტიბესია". ვ. ყველაშვილი: „გოსტიბეში

სანამ შევალთ, მანამ ჩვენია, გუდალეთის დასავლეთითაა, სოფლის მიმდებარე ტერიტორიაა, გოსტიბესა და გუდალეთს შორის. ყაზახები ყოფილან, დაქირავებული ჯარი, ჩვენ გვყავდა დაქირავებული, ქართველებს. აი, თევდორე მღვდელს რომ თვალები დასთხარეს, მაშინ დახოცეს ეგ ყაზახები და ჩამოვიდნენ ცხვერში, ნოსტესთან ახლოს". დ. თაგვიაშვილი: „გუდალეთის ტერიტორიაა, მაგრამ შორს არის, გოსტიბესკენ. ისევ გოსტიბელები ხმარობენ".

ნაჩინაურები – ხეხილის ბაღები სოფ. თვალადის სამხრეთით, მინდორში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კარგი ნაკვეთები იყო, ჩინებული, საჩინო, ნაჩინაურები, აი, როგორც ნაზუქა, იბრაწებოდა თავთავი წითლადა. ჩინებული მოსავალი მოდიოდა".

ნაციხრის ველი – სათიბი სოფ. თვალადში, თვალადისა და სოფ. გუდალეთის მიჯნაზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ნაციხრის ველი ნაკვეთებია. ნავენახებს რომ ეძახიან, ის არის აღმოსავლეთის მხრიდან და ეს – დასავლეთის მხრიდან, ხოკერაანთუბნისკენ (გუდალეთი), ხოკერაანთ გამოსწვრივაა და მაგ ხევზე (პატარა გუდალურას, ხოკერაანთ მდინარის ხევზე) გამოდის ეგ ნაკვეთი. ერთი ციხეგამოვლილი კაცი იყო, კაციაშვილი, რომელსაც ეძახდნენ ნაციხარს. იმას ჰქონდა ნაკვეთი იმ ტერიტორიაზე, ვენახიც იყო, სათიბიც".

ნეკერჩხლების გზა – გზა, იგივე რიყიანი გზა (გუდალეთი-ვარჯაანი).

ნიკაანთ კაკლები // ორკაკლები – სახნავი სოფ. გუდალეთის ბოლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, დასახლებიდან 1 კმ-ზე, სოფ. თვალადის მიმართულებით. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „აქ იდგა ორი კაკალი, შუაში გადიოდა გზა. ერთი კაკალი, ჩვენი, იოსებასი (იოსები – რესპ. გ. თაგვიაშვილის მამა), იყო ზევით, მეორე კაკალი ნიკაანთი (ნიკა თაგვიაშვილის შთამომავლების) ყოფილა და ჰქონიათ ეს მიწა გადაჭრილი (გაყოფილი)".

ნიკალას ვენახი – ვაკე ადგილი სოფ. ეზატის სამხრეთით. ეკუთვნოდა ნიკალა (ნიკოლა) აბულაძეს.

ნიკას ხევი // ნიკაანთხევი – სოფ. ეზატის ბოლოდან, ჩრდილოეთიდან, იწყება ხევი, რომელიც გამოივლის გრძელეებს, შემდეგ – ციხისუბნის ნაწილს, შემდეგ – სოფ. ქვემო ჩოჩეთის მიწებს და ჩოჩეთშივე მთავრდება. ამ ხევის დასაწყისია ზავრადაანთხევი – ეზატის ბოლოდან. ნიკაანთხევი ზავრადაანთხევის გაგრძელებაა ციხისუბნის მონაკვეთზე. რესპ. შ. არაქელოვი: „ნიკა იყო ერთი

ძველიძველი კაცი და ეგ მამულები, სადაც ხევი გადიოდა, იმისი იყო. გვარი არ ვიცი, სახელი ხევს შემორჩა". ნიკას ხევის გაგრძელებაა ქასრაანთხევი". როგორც ჩანს, შემდგომმა თაობებმა ნიკას ხევს ნიკაანთხევი უწოდეს (სახელდების მეორე ეტაპი), რადგან ნიკას შთამომავლების მამულში გადიოდა.

ნიკაანთხევი – ხევი, იგივე ნიკას ხევი (ციხისუბანი).

ნიკოლასი – პატარა წყარო სოფ. მირიანის თავში, აღმოსავლეთით. გამოიყვანა ნიკოლას გოდერძიშვილმა, მირიანის მცხოვრებმა. წყარო ზამთარ-ზაფხულ გამოდის, მაგრამ მლაშეა, დასალევად არ ვარგა.

ნიკოლას მორევი – მორევი მდ. მტკვარზე, სოფ. მირიანში. მორევის სიახლოვეს ცხოვრობდა ნიკოლას გოდერძიშვილი, რის გამოც დაერქვა მისი სახელი.

ნიკოლოზი – წმინდა ნიკოლოზის ეკლესია: 1. მეფეთსადგომის ეკლესია (თვალადი); 2. შატბერაანთ ნიში (თვალადი).

ნიკოლოზობა – წმინდა ნიკოლოზის ეკლესია: 1. მეფეთსადგომის ეკლესია (თვალადი); 2. შატბერაანთ ნიში (თვალადი).

ნიკო ცხვედაძის სახლი – იხ. თვალადის სკოლა.

ნიკუაანთ ნაფარეხლები – სათიბი სოფ. გუდალეთის თავზე, ნასოფლარ ვარჯაანის ძირში, ობოლი კლდის ქვემოთ. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ვარჯაანს მიეკუთვნება ეგ მიწები. ნიკუაანთები იყვნენ წიკლაურები, ვარჯაანში ცხოვრობდნენ. ობლის (ობოლი კლდის) დაბლა გააკეთეს ფარეხები, ქვემოთ, ვარჯაანის დაბლა, ეტყობა ცხვარს აყენებდნენ, საქონელს".

ნინოწმინდის ნიში // წმინდა ნინოს ნიში – წმინდა ქვა სოფ. ქვემო ხანდაკის დასავლეთით, მდ. მტკვრის მარჯვენა პირზე. რესპ. მ. მამულაშვილი: „ნიშს ვეძახით, მაგრამ ქვაა, შენობა არ არის. კოტე უსანეთაშვილი (იხ. კოტეს ფერდა) ავიდა თხოთის მთაზე, აიკიდა ნინოწმინდიდან (წმინდა ნინოს ეკლესიიდან) ქვა, გამოიტანა მტკვარში ცურვით და დადო იქვე, მტკვრის ნაპირზე".

ნიშის მიწები – სანერგე მიწა სოფ. ქვემო ხანდაკში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ნინოწმინდის ნიშის გარშემო.

ნონიკაანთ საყდარი – პატარა ძველი საყდარი, ერთნავიანი ბაზილიკა, სოფ. ქვემო ჩოჩეთში, ნონიკაანთ (ნონიკაშვილების) უბანში. კირით ნაშენები ძველი საყდრისგან ნანგრევებილა იყო დარჩენილი, აღადგინეს 1985-1990 წლებში. სოფლის მკვიდთა

მოსაზრებით, ნონიკაანთ საყდარი იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა, მაგრამ საყდრის აღდგენითი სამუშაოების ერთ-ერთი ინიციატორისა და მონაწილის, აგრეთვე მისი მომხატველის, მხატვარ ზაქარია ნონიკაშვილის ინფორმაციით, ძეგლი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარია. რესპ. ზ. ნონიკაშვილი: „ბავშვობიდან მოხუცებულებს რომ ვეკითხებოდი, ყველა მიდასტურებდა, რომ ნონიკაანთ საყდარი ღვთისმშობელია, მიძინებაა. დანგრეული იყო, ჩაქცეული, არაფერი ჩანდა. საძირკვლიდან ნახევარ მეტრზე ძველი კედელია, შემდეგ დაშენებულია ახალი. როგორც ამბის მომსწრეები გადმოგვცემენ, 1956 წელს, აღდგომის მეორე დღეს თუ აღდგომას, საყდარში უქეიფია სოფლის რამდენიმე მკვიდრს. ესენი რომ გასულან, იმ ღამეს ჩამოქცეულა. 1985 წელს ახალგაზრდებმა მოვილაპარაკეთ, რომ აღგვედგინა. ნებართვა არავისთვის გვითხოვია, არც არავის დაუშლია. ალბათ ამ ძეგლს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ თვითონ სპეციალისტებიც. ჩავიფიქრეთ და დავიწყეთ კიდევაც ამ ნანგრევების გამოტანა. 40 მანქანა მარტო კირი გავიტანეთ, მოვასუფთავეთ. ძალიან რთული და საპასუხისმგებლო საქმე იყო. სანამ იატაკამდე არ დავედით, არ მოვეშვით. საკმაო სახსრები მოითხოვა. მთელმა გვარმა რაღაც თანხა გაიღო, ორგანიზებიანად გვარმა ითავა ეს საქმე. ააშენა რეზა ქსოვრელმა, კალატოზი იყო, გულმოდგინედ მიუდგა საქმეს. დაახლოებით 1-2 წელი დაგვჭირდა. მოხატვა დავიწყე 1989 წელს. ნონიკაანთ საყდართან სასაფლაო ყოფილა. საფლავები არ შემორჩენილა, მაგრამ საძირკვლის გასუფთავების დროს ნაშთები აღმოჩნდა. როგორც გადმოგვცემენ, აქ კრძალავდნენ მხოლოდ ნონიკაანთ ბავშვებს, დიდების სასაფლაო იყო იდლეთში, რასაც ქვებზე წარწერები ადასტურებს. ამის ანალოგი, მგონი, სხვა საყდართან არ არის. აქ იმდენი ადგილი არ იყო, რომ ყველა დაესაფლავებინათ. ახლომახლო ტერიტორიები ეკლესიას ეკუთვნოდა, მაგრამ კონკრეტული საზღვრები მონიშნული არ იყო და გარშემო სახლები ააშენეს, ეკლესიასთან მისასვლელიც კი არ იყო. მერე დათმეს მიწები და შემოსასვლელი გააკეთეს“.

ნონიკაანთუბანი // ნონიკაანი – სოფლის კუთხე, უბანი სოფ. ქვემო ჩოჩეთში, აღმოსავლეთით, მდ. კავთურას მარცხენა სანაპიროზე. ცხოვრობენ ნონიკაშვილები. რესპ. ი. ქსოვრელი: „ნონიკაშვილები

არიან ქვემო ჩოჩეთში დასახლებულნი ყველაზე ადრე. ხომ იცით, ისტორიულად, წყალი სადაც არის, იქიდან იწყებოდა დასახლება. ეს უბანი სულ წყლის პირზეა, ნონიკაანთ საყდართან, და მჭიდროდ არის დასახლებული. მდინარესთან ყველაზე ახლოს ეგენი ცხოვრობენ. მიწები მოშორებით აქვთ, სოფლის ბოლოსკენ". შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ნონიკაანთუბანში ორი საყდარია: ნონიკაანთ საყდარი და აბუაანთი. ნონიკაანთ საყდარი ოდნავ ქვემოთ არის, ვიდრე აბუაანთი, ერთმანეთს დაშორებულია 200-300 მ-ით).

ნონიკაანი – უბანი, იგივე ნონიკაანთუბანი (ქვემო ჩოჩეთი).

ნოსტისთავები – შემაღლებული ადგილი; ტყე დიდი ბრილისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფიჭვების თავზე, სოფ. ნოსტესთან (დიდი ბრილისი ეკვრის ნოსტეს, პატარა – თვალადს), საერთოა სოფ. გუდალეთთან. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ნოსტისთავებს იმიტომ ვეძახით, რომ იმის გადაღმა უკვე ნოსტე იწყება, გადაითავქვევებ და გადახვალ ნოსტეში. აქეთ გუდალეთისაა. ე. ი. ნოსტისა და გუდალეთის საზღვარზეა. ადრე საძოვრებიც იყო, ამჟამად მხოლოდ ტყეა".

ნოქარაანთუბანი // ნოქარაანი – უბანი სოფ. თვალადში, რვანლედი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. ცხოვრობენ ნოქარაშვილები.

ნოქარაანი – უბანი, იგივე ნოქარაანთუბანი (თვალადი).

ობოლი კლდე // ობოლკლდე – კლდე სოფ. გუდალეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქსილისის მთაზე. ამ ადგილზე მარტო ეს კლდე დგას, ობლად. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ცალკე კლდეა მარტო, საძოვარი არა აქვს და არაფერი. აქედან მანგლისში რომ გადავდივართ (ქსილისს რომ გადახვალ, უკვე მანგლისია), ვარჯაანის ნაქოხრებთან უნდა გადახვიდე ხელმარცხნივ, გზიდან მარცხენა მხარეზეა. წყალი ამოდის იქ და ცხვარი და საქონელი სარგებლობს". რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „წინარეხის მთის, თვალადისა და ვარჯაანის კუთხეშია ეს ობოლკლდე. ბევრი საქონელი გადმოცვენილა. კულასა და ბეჟანიაანთ სანდრუასა ცხენები ჰყავდათ კარგები. „არა ჩემი სჯობიანო, არა ჩემი სჯობიანო", – ერთიმეორეს ეცილებოდნენ. დაჯანყა თურმე, დააფრთხო ნადირმა ცხენები და ამ ობოლკლდეზე გადმოცვივდნენ. ეს ბეჟანიაანთ სანდრუას ცხენი წინ არის მოქცეული: „აი, კულაო, რო გეტყოდი ხოლმეო, ჩემი ცხენი უსწრებსო, უსწრებს თუ არაო?!"

ობოლკლდე – კლდე, იგივე ობოლი კლდე (გუდალეთი).

ოთიაანთუბანი – უბანი სოფ. ეზატის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ცხოვრობენ ძირითადად ოთიაშვილები, მაგრამ არიან ბაქრაძეებიც, რაზმაძეებიც, ჩიტაშვილები, ძამუკაშვილები და ა.შ.

ოთიაანთ სასაფლაო – შემაღლებული ადგილი, სასაფლაო, იგივე აბაზაანთ კაკლები (ეზატი).

ოთიაანთ ურწყავი – სახნავ-სათესი მიწა სოფ. ეზატში, ოთიაანთუბანში, ბრილისის რუს სამხრეთით, შხამქიმიკატების საწყობის გვერდზე. რესპ. ვ. ოთიაშვილი: „კარგი ნაკვეთებია. ურწყავი იყო, შემდგომ მაგისტრალური არხით შემოყვანილი მტკვრის წყლით გასარწყავდა. ამჟამად არხი უმოქმედოა. ითესება თავთავიანი კულტურები". 1981, 1988 წლების ჩანაწერები: „ცოტა ქვეით არის და არა ხვდება წყალი. ალბათ ეს მიწები ადრე ოთიაშვილების საკუთრება იყო".

ოთიაანთ წყარო // ჩიტაანთ წყარო – წყარო სოფ. ეზატში, ოთიაანთუბანში. წყაროთი სარგებლობს სოფლის მოსახლეობა. ჩიტაშვილები მოშორებით ცხოვრობენ, ოთიაანთუბნის ზევით, მაგრამ ამ წყაროს იყენებენ სარწყავად. ამიტომ შეარქვეს ჩიტაანთ წყარო.

ოლინკას წყარო – წყარო სოფ. ეზატში, ოთიაანთ ურწყავების ბოლოს, აღმოსავლეთით, სოფ. თვალადის მიმდებარე ტერიტორიაზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ნაკვეთი ვისიც იყო, იმას ერქვა ოლინკა. რაკი ნაკვეთი იმისი იყო, წყაროსაც ოლინკას წყარო დაერქვა. დაშრა".

ოლინკაწყარომამული – ხეხილის ბაღები სოფ. ეზატში, ოლინკას წყაროს მიმდებარე ტერიტორია. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „მამულიც ოლინკასი იყო და იქ ამოდიოდა წყალი" (იხ. ოლინკას წყარო).

ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმი – შუაუბნის კელაპტრიაანთუბანში დგას სახლი, რომელშიც ცხოვრობდა საქართველოს სახალხო არტისტი, გამოჩენილი მუსიკოსი ომარ კელაპტრიშვილი (1943-1992 წწ.). მ. ქვრივიშვილი: „სხვადასხვა დროს აქ ჩამოდიოდნენ ანსამბლების: „რუსთავისა" და „კელაპტრის" მომღერლები, მუსიკოს-შემსრულებლები, მსახიობები, მწერლები. განსაკუთრებით ხშირად სტუმრობდა მწერალი და მთარგმნელი, ფოლკლორისტი ვახუშტი კოტეტიშვილი, რომელსაც ომარმა სახლის ერთი ოთახი დაუთმო. 2003 წელს სახლი მუზეუმად გადაკეთდა: პირველ სართულზე მოთავსებულია მუზეუმის ბიბლიოთეკა, მეორე სართულის ორ ოთახში გამოფენილია სამუზეუმო ექსპონატები".

ონოფრიაანთუბანი // ონოფრიაანი – უბანი სოფ. თვალადში, ნოქარაანთუბნის აღმოსავლეთით. ცხოვრობენ ძირითადად ონოფრიშვილები. უბნის სამხრეთ-დასავლეთით დგას წმინდა გიორგის ეკლესია – ონოფრიაანთ საყდარი.

ონოფრიაანთ საყდარი // წმინდა გიორგი – წმინდა გიორგის ეკლესია სოფ. თვალადში, ონოფრიაანთუბანში, უბნის სამხრეთ-დასავლეთით. თარიღდება XIX ს-ით. ეკლესია დარბაზულია (9,4 X 6,1 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით, ზოგან კედლების წყობაში, სარკმლებისა და კარის თაღებზე გამოყენებულია აგური. ეკლესია დაზიანებულია. ორივე მხარეს თაღოვანი შესასვლელი სამხრეთითაა. უჩვეულოდ ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღეძზე სარკმელია. აფსიდის კედლებში სამი სწორკუთხა ნიშია. თითო სარკმელია ეკლესიის დანარჩენ სამ კედელში. ეკლესია შიგნიდან შელესილი და მოხატული ყოფილა (შემორჩენილია ფერადი ლაქები), დარბაზი – კამარით გადახურული. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ეკლესია თავკავთის წმინდა გიორგის ეკლესიის „მისალოცია“ (სძა, 1990, 164). ს. მაკალათია: „სოფლის თავზე არის ძველი ეკლესიის ნანგრევი, ე. წ. კავთის წმ. გიორგი, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ ონოფრიაანთ ეკლესიას... გადმოცემით, თავკავთაში ლეკებს მლოცველები დაუხოცავთ, ხალხი ლეკების შიშით თავკავთაში სალოცავად ვეღარ მიდიოდა. ამის გამო მის მოადგილედ ეს ეკლესია აქ აუშენებიათ“ (მაკალათია, 1960, 15). ადგილობრივები კავთის წმინდა გიორგის ეკლესიას უწოდებენ წმ. გიორგის მეორე ეკლესიას თვალადში (იხ. კავთა), ამ საყდარს კი მოიხსენიებენ როგორც ონოფრიაანთ საყდარს ან, უბრალოდ, წმინდა გიორგის. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ონოფრიაანთ საყდარია, ჩვენც გვეკუთვნის ეგა და მთელ ამ ონოფრიაანს. წმინდა გიორგისაა და ონოფრიაანთ წინაპრებისგან არის აშენებული. ონოფრე მღვდელი (მოსიძე) რომ მოვიდა, მერე აშენდა ეგ ეკლესია, ალბათ, აქედან არიან ონოფრიშვილებიც. აქ არის ონოფრე მღვდლის საფლავიც. ეკლესია საბა ონოფრიშვილის ეზოში იყო, სამნუაანთ სახლის უკან. ეს ონოფრიაანთუბანი, გზას ქვემოდან, სულ იმ დარბაზში (სამნუაანთ სახლში) დაიზარდნენ, მერე ძმები გაიყარნენ. ეკლესია დანგრეული იყო და აღადგინა მოსახლეობამ 2004 წელს“.

ონოფრიაანი – უბანი, იგივე ონოფრიაანთუბანი (თვალადი).

ორკაკლები – სახნავი მიწა, იგივე ნიკაანთ კაკლები (გუდალეთი).

ორსაქცევა // ორსაქცევები – სახნავი მიწა სოფ. ეზატში, სისხლის გორის ქვემოთ, სამხრეთით, გორი-თბილისის გზის (იმავე საქართველოს სათადარიგო სამხედრო გზის) სამხრეთ მხარეს; დასავლეთით ესაზღვრება ნოსტის მიწები. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ზედ გზისპირიდან დაწყებული სისხლის გორამდე, ხვლიკისწყაროდან დაწყებული (გარგრები და ჭერმები რომ იდგა) ნოსტის საზღვრამდე სულ ორსაქცევაა. საქცევი არის ერთი დღის სამუშაო მიწა. ძალიან დიდი, გრძელი მიწა იყო. ე. ი. ეს იყო ორი დღის სახნავი მიწა". რესპ. თ. კერესელიძე: „შეიძლება ეს სახელი უკავშირდება გუთნის მოქცევას. დიდი მიწა იყო, ორი გუთანი თავისუფლად აუქცევდა ერთმანეთს გვერდს".

ორსაქცევები – სახნავი მიწა, იგივე ორსაქცევა (ეზატი).

ორხევი – რესპ. ვ. ყველაშვილი: „ხევის გასასვლელი ნასოფლარებს – ვარჯაანსა და ტყემლუანას – შორის. გასასვლელი იმას ნიშნავს, რომ ამ ხეობაზე გადის გზა, ამ ხეობას კვეთს".

ოქრომიწები – ადგილი სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოსკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, შავწყალასთან. აქ აღმოჩნდა ძვ. წ. III და ახ. წ. V-VIII სს-ის ნამოსახლარი. კულტურული ფენები შეიცავს ელინისტური, ანტიკური და ადრინდელი ფეოდალური ხანის კერამიკას (გვეტაძე, 1979, 15-17; სძა, 1990, 171).

ოქროპარეულები–სახნავ-სათესი მიწა სოფ. ეზატში, აღმოსავლეთით, ოთიაანთუბანში. რესპონდენტთათვის სახელდების მოტივაცია უცნობია.

ოხერახევი – ადგილი სოფ. ქვემო ხანდაკის აღმოსავლეთით, 2 კმ-ზე, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. რესპონდენტთათვის სახელდების მოტივაცია უცნობია. ოხერახევის მიდამოებში, რამდენიმე ჰექტარ ფართობზე გამოვლინდა 1. ქვაყრილიანი ყორღანული სამარხები (თარიღი დაუდგენელია); 2. 1-1,5 მ სიმაღლის კონუსური ყორღანები (თარიღი დაუდგენელია); 3. ადრინდელი ბრინჯაოს და ელინისტური ხანის ყორღანი, 2 მ სიმაღლის და 35 მ დიამეტრისა. ყორღანში ესვენა ერთი ხელფეხმოხრილი მიცვალებული, აღმოჩნდა სხვადასხვა სახის ინვენტარი (სძა, 1990, 209).

პაიჭაურები – კაკლიანი ფერდობი, სახნავები სოფ. გუდალეთში, ხოკერაანთუბნის ჩრდილოეთით. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ხოკე-

რაანთია. ალბათ მეტსახელად პაიჭა ერქვა ვილაც წინაპარს. ხოკერაანთუბნის გადმოღმაა, ბოლოზე".

პანტიანველები // პანტიანთველები – საძოვარი სოფ. გუდალეთის სამხრეთით, მოდრეკილაძეების უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „მოდრეკილაანთუბნის ზევით ახლაც არის ის ველები. უბნიდან დაშორებით, ავქსენტაანთ გადაღმაა, მეორე გუდალურას ხევს გადაღმა. პანტიანი ადგილია". რესპ. ვ. ყველაშვილი: „მახსოვს, ვხნავდით და პანტაც ბევრი იდგა იქ".

პანტიანთველები – საძოვარი, იგივე პანტიანველები (გუდალეთი).

პარალები // პარალების მიწები – სატყეო, სანერგე სოფ. ქვემო ხანდაკის დასავლეთით. სახელდების მოტივაცია უცნობია. რესპ. მ. მამულაშვილი: „ხანდაკიდან კავთისხევისკენ რომ მივდივართ გზაზე, ეგ არის პარალების მიწა".

პარალების მიწები – სატყეო, სანერგე, იგივე პარალები (ქვემო ხანდაკი).

პაპიაანთეული ბაღი – ბაღი შუაუბნის დასავლეთით, შუაუბნისა და სოფ. ეზატის მიჯნაზე, სოფ. თვალადიდან სოფ. ეზატისკენ მიმავალი საავტომობილო გზის დაბლა, ჩრდილოეთ მხარეს, დავითის სანაკადლოსთან.

პაპიაანთუბანი – დასახლებული უბანი შუაუბნის ცენტრში, მდ. კავთურას მარცხენა მხარეს, კელაპტრიაანთ და კვესიაანთუბნების სამხრეთით. ცხოვრობენ პაპიაშვილები. პაპიაანთუბანში შედის დევსურაანთ და კანდელაკიაანთ მიკროუბნები.

პატარა ბრილისი – ფერდობი, ტყე (იხ. ბრილისები).

პატარა გორა – გორა სოფ თვალადში, ხვედრელიაანთუბნის ტყის უკან, ტურისწვერის სამხრეთით. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „პატარა გორა ტურისწვერის უკანა მხარეზეა, ტურისწვერის მომიჯნავეა. ტყე არ აქვს, გაკაფულია და ამოვიდა ბუჩქნარი. ღვია, ძეძვი სულ იქ მოდის, იმ პატარა გორასთან, და აქეთ, ხვედრელიაანთ მხარეს, არის ტყე".

პატარა გუდალურა – მდინარე სოფ. გუდალეთში (იხ. გუდალურა).

პატარა ვარჯაანი – ნასოფლარი სოფ. გუდალეთის სამხრეთით (იხ. ვარჯაანი).

პატარა საყდარი // სომხების ეკლესია // წმინდა გიორგი – წმინდა გიორგის სახელობის საყდარი სოფ. ქვემო ხანდაკში, ღვთისმშო-

ბლის საყდრის გვერდით. ცნობილია, როგორც გრიგორიანული სარწმუნოების ქართველთა ეკლესია სოფ. ქვემო ხანდაკში. რესპ. მ. მამულაშვილი: „დიდი შეცდომაა. ეგ არის ქართული ეკლესია. უნდა მოვიხსენიოთ წმინდა გიორგის ეკლესიად. ჩამოვიდნენ სომხები, გადაიღეს და ვიღაცებმა უთხრეს, სომხების ეკლესიააო. სომხების ეკლესია კი არ არის, ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო ორი ეკლესია, დიდი, ღვთისმშობლის, და პატარა, უფრო ძველი, წმინდა გიორგის. ღვთისმშობელში იყო ქართველი მღვდელი, მოვიდა ტერტერა და შევიდა იმ პატარა ეკლესიაში და იაფად ნათლავდა. ჰოდა, ნახევარი სოფელი მონათლა სომხურად, სომხებად ეწერებოდნენ კიდეც, რადგან მაშინ სომხებს პრივილეგიები ჰქონდათ (სამხედროში არ მიჰყავდათ) და ამით ისარგებლა იმ სომეხმაც. ხალხმა ირწმუნა, რომ სომხური ეკლესიაა. მაშინ რუსსაც ასე აწყობდა. მერე ადგნენ ის სომხები, რესტავრაცია გაუკეთეს და თავიანთი ნიშანი დაადეს ეკლესიასაც. რომ დაინგრა ეკლესია, ჩვენ აღვადგინეთ ქართული წესისამებრ“.

პატარა ურწყავი – სახნავ-სათესი ურწყავი მიწა კარიერის თავზე. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „არხი რომ გამოვიდა, გასარწყავდა, ახლა არხი აღარ არის“.

პატარა შაყულაანი – უბანი შუაუბანში (იხ. შაყულაანი).

პეტრეს კაკალი – ადგილი სოფ. თვალადისა და სოფ. გუდალეთის მიჯნაზე, თაგვიაანთუბნიდან 1,5 კმ-ის დაშორებით. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ამოვალთ თუ არა თვალადიდან, თაგვიაშვილების უბნის მოსაზღვრედ არის ეს ადგილი, ამ ადგილის ზევით გუდალეთია, ქვევით – თვალადი. პეტრე კაციაშვილი მოხუცებული კაცი იყო და მანდ ჰქონდა ხოლმე ადგილი, იქ ხნავდა და თესავდა. ადრე დიდი კაკალი იდგა. ახლა აღარ არის“.

პირწითელა // პირწითელები // სისხლიმიწა // წითელი მიწები – ყანები, საძოვარი, სახნავი სოფ. გუდალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფლის გარეთ. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „პირწითელა, ეზატიდან გუდალეთში რომ მიდიხარ, ხიდახევამდეა“. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „დიდი მიწაა თვალადის თავზე, გუდალეთის ძირზე. დაყოფილია მამულებად. ხიდახევა რომ ჩამოდის, იმის გაღმაა. მართლაც, რომ დავუკვირდეთ, პირი აქვს წითელი მიწას, წითელი მიწაა, ამიტომ ეძახიან პირწითელებს. იგივეა, რაც წითელი მიწები და სისხლი მიწა. მანდ სააკაძეა ნაბრძოლი, ეგრე მაქვს გაგებული, სისხლიმიწა

ალბათ ამიტომაც ჰქვია. მაგ სისხლიმინის ძირზეა მისალოცავი, მექანარიაანთ ტერიტორიაზე, საყდარი სადაც არის, იქ". 1981, 1988 წლების ჩანაწერების მიხედვით: „რო იხვნება, როგორც კრასკა (რუს. краска „საღებავი"), ისეთი წითელია. ვითომ უწინ რო ყოფილა შურისძიება, ჩვენებმა აიღეს და სისხლი დაიქცა".

პირწითელები – ყანები, საძოვარი, სახნავი, იგივე პირწითელა (გუდალეთი).

ჟიჟილაანი – მიკროუბანი ციხისუბანში, ცენტრში. ცხოვრობენ ჟიჟილაშვილები. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „ძეგლი რომ არის, გ. შატბერაშვილის ბიუსტი, გამოსცდები თუ არა, ჩრდილოეთ მხარეს, იქ ცხოვრობენ, 15-20 ოჯახია".

რაჟდენაანთ ნაკაფი – ადგილი სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბანში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „აქ ფიჭვები რომ არის, კატრიანი, იქით მხარეს რომ ავალთ, ვარცლებს ვეძახით დიდ მამულს, აი, იმის შესავალში იყო, ფიჭვნარში, ის ნაკაფი. რაჟდენა მოდრეკილაძე იყო. მე არც ამ კაცს მოვსწრებივარ და არც იმის ნაკაფს, უკვე აღმოცენებულია ფიჭვი. რაჟდენა არ მახსოვს და ანტონა და ყაყუტა მახსოვს" (იხ. ანტონას ნაკაფი; ყაყუტას ნაკაფი). როგორც ჩანს, ადგილს თავდაპირველად რაჟდენას ნაკაფი ერქვა, შემდგომში დაერქვა რაჟენაანთ ნაკაფი (სახელდების მეორე ეტაპი) – მომდევნო თაობებმა აღიქვეს არა როგორს რაჟდენას მიერ გაკაფული, არამედ როგორც რაჟდენას შთამომავლების კუთვნილი ტერიტორია.

რევაზაანთუბანი – რევაზიშვილების სამოსახლო სოფ. ეზატში, ნივილაანთუბანში. რესპ. თ. კერესელიძე: „40-მდე კომლია, განცალკევებით ცხოვრობენ, მაგრამ ცალკე უბნად არ მიიჩნევა".

რთველიაანთ მიწები – დასახლებული ტერიტორია სოფ. ქვემო ხანდაკის აღმოსავლეთით. რესპ. მ. მამულაშვილი: „ადრე აკაციის ტყე იყო, სახნავი. რთველიაანი ფლობდნენ, ადამაშვილები. რთველია ალბათ წინაპარი იყო. ახლა მანდ დასახლებაა".

რიყეები // რიყიანები // რიყიანი მიწები – სახნავ-სათესი მიწა სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით. რესპ. ჯ. სოლოლაშვილი: „ეგ მიწა სოფლის ბოლოზეა, შამპანურის ბოლოზე. ზოგადად, ქვემო ჩოჩეთის მცხოვრებთა მიწებია, დაახლოებით 40 ჰა. რიყიანი ადგილია, კენჭიანი. მდინარე მიედინებოდა იქ, შეიცვალა კალაპოტი და რიყიანი დარჩა".

რიყიანები – სახნავ-სათესი მიწა, იგივე რიყეები (ქვემო ჩოჩეთი).

რიყიანი – ტყე, საძოვარი სოფ. გუდალეთსა და ნასოფლარ ვარჯაანს შორის. 1981, 1988 წლების ჩანაწერების მიხედვით: „რიყიანი ამ ადგილს იმიტომ ჰქვია, რომ, ბარს თუ დაარტყამ, სულ რიყე ქვა ამოდის“.

რიყიანი გზა // ნეკერჩხლების გზა – სოფ. გუდალეთიდან ნასოფლარ ვარჯაანში ასასვლელი ძველი გზა. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „რიყიანში ადიან ამ გზით. ადგილი არის რიყიანი, თვითონ გზაც რიყიანია. გზის პირას აქეთ-იქით ნეკერჩხლების კორომი იდგა“.

რიყიანის გადმოსაყარი – ფერდობი, იგივე გადმოსაყარი (გუდალეთი).

რიყიანი მიწები – სახნავ-სათესი მიწა, იგივე რიყეები (ქვემო ჩოჩეთი).

რომანოზიაანთ გორა – საყანე სოფ. ეზატში, ოთიაანთ ურწყავის გაგრძელება, მიმდებარე ტერიტორია ჩრდილოეთ მხარეს. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „რომანოზი იყო ამ მამულის პატრონი. აქაური არ იყო, მოსული კაცი იყო“.

რომანოზიაანთ ურწყავი – სახნავი სოფ. ეზატში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „რომანოზიაანთ გორის თავზე იყო ეს ურწყავი. ოთიაანთ ურწყავებს რომ ვეძახით, იქ არის ჯავახთუბანი და რომანოზიაანთ ურწყავები, ერთიმეორეს მიტყუპებული, აღმოსავლეთ მხარეს რომანოზიაანთ ურწყავებია და სამხრეთის მხარეს – ჯავახთუბნების ურწყავები“.

როსტომაანთ კლდე – ნასახლარი ციხისუბანში, მდ. კავთურას მარცხენა მხარეს, ცენტრალური გზიდან 200 მ-ზე. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „არაქელოვები ცხოვრობდნენ იქ და იმიტომ ერქვა. როსტომა წინაპარი იყო მათი. დიდი კლდეა, დასახლებაც როსტომაანი იყო, მერე გადავიდნენ ნაბოსლარებისკენ, დუბიების სიახლოვეს“.

როსტომ მეფის ნასახლარი – მეფეთა საზაფხულო სადგომის ნანგრევები, იგივე მეფეთა ნასახლარი (თვალადი).

როსტომ მეფის სასახლე – მეფეთა საზაფხულო სადგომის ნანგრევები, იგივე მეფეთა ნასახლარი (თვალადი).

როსტომ მეფის საყდარი – ეკლესია, იგივე მეფეთსადგომის ეკლესია (თვალადი).

რუსის გორები – გორა, საძოვარი სოფ. თვალადში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „რუსი იყო მოსული ეზატში და, თუ სწორად მახსოვს,

აქ (თვალადში) ნაკვეთი იყიდა. ის ნაკვეთია, წყაროც იქ არის, ზედ გზაზეა. ახლა ერთი ეგ წყაროა, მეორე – ხვლიკისწყარო, დანარჩენი სულ დაშრა. საბეროშია ეგ, სადაც მღვდლების ნაკვეთები იყო. გორაც და წყალიც თვალადს ეკუთვნის, მაგრამ, როგორც ნაპირი, ეზატთან ახლოს არის". რესპ თ. კერესელიძე: „ეზატის სკოლა რომ იყო, მანდ ცხოვრობდა ის რუსი, სახლი აქ ჰქონდა და მიწები – თვალადის ტერიტორიაზე".

რუსის წყარო – წყარო, ბაღები რუსის გორებზე (იხ. რუსის გორა).

რუს სათავე – ტყე, რუს სათავე სოფ. გუდალეთის ბოლოს, დიდი გუდალურას დასავლეთ მხარეს. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ადრე ჩვენ არ გექონდა წყარო. ზევით, კვირაცხოველი რომ არის, იქ პატარა კლდეებია და წყალი გადმოდის, იქიდან გამოგვყავდა ხოლმე და ირწყვებოდა დაბლა მიწების მესამედი და იმას ვეძახდით რუს სათავეებს. სოფლის ბოლოზე ამოდიოდა ეს რუ და თაგვიაშვილების უბანში გამოდიოდა".

საბანკოები – სახნავი სოფ. თვალადის სამხრეთით, სოფ. გუდალეთის ჩრდილოეთით, პირწითელების გადაღმა, გვრიტეულებთან. 1981, 1988 წლების მასალების მიხედვით: „ბანკში ყოფილა კნიაზისაგან შატანილი, მერე გლეხებს უყიდიათ". რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „საბანკოები თვალადს ეკუთვნოდა. ბანკში იყო დაგირავებული ძველად, ბოლშევიკების შემოსვლის დროს, მღვდლები რომ დაწვეს, სწორედ იმ პერიოდში".

საბას ტბა – ნატბეური ადგილი ნასოფლარ ტყემლუანის თავზე, ტყეში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „დატბორილი ყოფილა უფრო ადრე, ახლა ქვიშრობი ჩამოიტანა და გასწორებულია თითქმის. ალბათ ვილაც საბა იყო, ვისაც ეჭირა ის ტყე, ნაყიდი ჰქონდა ის მიწები".

საბერო – ხეხილის ბაღები, სახნავი სოფ. თვალადის დასავლეთით. 1981, 1988 წლების ჩანაწერების მიხედვით: „საბერო მდებარეობს ახალციხის მისადგომებთან. წინათა ბერებ უცხოვრიათ იქა". რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კარგა დიდი ნაკვეთია, 37 ჰა, რუსის გორა და წყაროც იქ არის. თვალადს ეკუთვნის. ნაკვეთის ბოლო ემიჯნება ახალციხის ტერიტორიას, მიჯნამდე მიდის. სამღვდელოება ხმარობდა მაგას, ბერების ნაქონი იყო. შემდეგ, ბოლშევიკებმა ბერები რომ დახოცეს, დაერქვა საბერო. საბერო დანაწილდა მერე თვალადის მოსახლეობაზე".

საბეროები – სახნავი სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, კავთისხევ-კასპის საავტომობილო გზის დასავლეთ მხარეს, მოსდევს ქასრაანთ მიწებს, აღმოსავლეთით აკრავს მდ. კავთურა. რესპ. ი. ქსოვრელი: „საქაროა, ახალქალაქიდან დაწყებული, ტაფობივით არის: აქეთ-იქიდან მაღალი ადგილებია, შუაში – დავაკებული, დავარდნილი ადგილი. სხვაგან რომ ქარი არ ქროდეს, მანდ მაინც მოდის, უბერავს. ახალქალაქიდან წამოღებული სულ პატარა თოვლიც რომ იყოს, აქ დაგროვდება. ახლა ვიღაც გამოვიდა და ამბობს, ბერებისა იყოო". რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ქასრაანთხევის მაღლა არის ქასრაანთ მიწა და მერე არის საბეროები. საბეროები იმიტომ ჰქვია, რომ ახალქალაქიდან დავაკებულია, სწორი ადგილია და დასავლეთის ქარი მოდის, ამასაც ამბობენ, ბერების მამულები იყოო. მართლაც, საეკლესიო მიწაც იყო. ბერები არ ცხოვრობდნენ იქ, მაგრამ მამულები ჰქონდათ".

სადგურის გზა – გზა ციხისუბნიდან რკინიგზის სადგურამდე, მტკვრის ხიდამდე. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ეს გზა მთავრდება სადგურთან. ხიდის აქეთ მხარე უკვე კავთისხევია" (იხ. მტკვრის ხიდი).

სათიხეები – საძოვარი სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბნის დასავლეთით, ვაშლიმიწების თავზე, ტყეში. წინათ საკრამიტე თიხას იღებდნენ, რომლითაც ქოთნებსაც აკეთებდნენ და კრამიტებსაც.

საიჯაროები // ურწყავი – სახნავი მიწა, ბაღები სოფ. გუდალეთში, ხოკერაანთუბანში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ხომ არის, რომ იჯარით იღებენ ადამიანები, ასეთი მიწებია". რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ეგ ნაკვეთები გუდალეთს ეკუთვნოდა და იჯარით გასცემდნენ ხოლმე ადრე დასამუშავებლად. ახლა თვალადს ეკუთვნის, თვალადის დასავლეთ მხარესაა. სულ ურწყავებია". 1981, 1988 წლების ჩანაწერებიდან: „ურწყამსა ეძახიან, რომა წყალი არ უდგება, საიჯაროს იმიტომ, ეგ იყო ბატონების მამული და გლეხები იჯარით იღებდნენ. მერე შაისყიდეს გლეხებმა".

საკუპრე – გორა, საძოვარი კავთისხევის კირქვის კარიერის ჩრდილო-დასავლეთით, 3 კმ-ზე. აქ ამოდის ნავთობიანი წყალი, მოჰყვება კუპრი. მოსახლეობა იყენებდა ტიკების და რუმბის გამოსაყვანად, საპოხ მასალად.

საკუპრის მიწები – საკუპრის მიმდებარე ტერიტორია (25 ჰა). 1981, 1988 წლების ჩანაწერები: „მინდორი, მდებარეობს ციხისუბანში, დამპალას გვერდით. მეორე მხრივ ურწყავსაც ეკვრის". რესპ. ვ. ოთხაშვილი: „როდესაც ეს მიწები იხვნება, გუთანს ამოაქვს ფერადი კერამიკის ნამსხვრევები. თვითონ საკუპრის გორასა და ამ მიწებს შორის ადგილზე, საზღვარზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს აღმოჩნდა მიცვალებულთა ჩონჩხები, ლიტრები (დოქები)".

სალესავი კლდე // სალესავი კლდეები – კლდე სოფ. გუდალეთის სამხრეთით, ტყეში, ქსილისის მთის დაბლა. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ციცაბო, მტკიცე, სალი კლდეა და ამ კლდეზე შეიძლება გალესო იარაღი". რესპ. გ. თაგვიაშვილი: „სალესავი როცა არ იყო, იქ შეეძლოთ გაელესათ იარაღი". რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კლდე არის ისეთი, რომ სულ სიპი ქვაა. გადასხვეპულას თავზეა. იქიდან მოტანილ ქვას, ტალს, იყენებდნენ იარაღის გასალესად. დათვის სადგომი ადგილი იყო მანდ, სანადიროდ სულ მანდ დადიოდნენ, მაგ ჩახერგილში და მაგ გადასხვეპულას თავზე, ეგ სალესავი კლდე რომ არის. არ ვიცი, რატომ, ის ოხერი დათვი, სულ მანდ მიდიოდა. ახლაც, ჩემს ხსოვნაში".

სალესავი კლდეები – კლდე, იგივე სალესავი კლდე (გუდალეთი).

სამარილეები – კლდოვანი მთა შუბათში, მოღობილას ფერდობის სიახლოვეს. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „სამარილეები არის მთაში, იქით, მოღობილებს რომ ეძახიან. პატარა ფერდობია, კლდეებია, და მარილს იქ უყრიდნენ საქონელს, რომ მოელოკა და მინა არ აჰყოლოდა. საქონელს მარილი მიწაზე რომ დაუყარო, არ შეიძლება, მინას მიაყოლებს. იქ კლდე იყო. კლდის ღარებში ჩაუყრიდნენ და იქ ლოკავდა საქონელი. თუ მარილი არ არის, მთაში საქონელი ვერ გაძლებს".

სამარხები – ძველი სამარხები შუაუბანში, მონასელიაანთუბნის დასავლეთით, პატარა გორაზე, კატაულას მთის ჩრდილოეთით. რესპ. ა. მონასელიძე: „მაღლობი ტერიტორიაა, მონასელიაანთუბანთან სულ ახლოს, გვერდით, 100 მ-ზე, დიდმიწების ნაპირზე გზა რომ მიდის, იქ. კატაულას, დიდმიწებსა და მონასელიაანთუბანს შორისაა. ამ გორას სახელი არა აქვს. სამამულო ომის დროს, გაჭირვება რომ იყო, ჩვენი პაპები სამშენებლო ქვას იღებდნენ იქიდან, ფილაქვებს, სახლების ასაშენებლად (ფილაქვა ცოტა მოდიოდა, მაგრამ ჩვენი სახლები იმ ქვით არის

აშენებული). იქ შახვდათ სამარხები. სამშენებლო ქვისთვის რომ არ მოეთხარათ მიწა, ვერ ნახავდნენ, დაფარული იყო. თითო სამარხში ოთხ-ოთხი ქვა იდო, ქვებით იყო ამოკეთებული და მერე მიწა ჰქონდა მიყრილი. დიდი ქვები იყო, დაბლაც დადებული, გვერდებზეცა, თავ-ბოლოშიც. წარწერა ქვებზე არ იყო. შიგ ეწყო უბრალო ნივთები. ომის პერიოდი იყო და არქეოლოგები არ მოსულან, ვის ეცალა ამისთვის. ერთი, 5-6 მკვდარი ერთად იყო ნამარხი ამ აკლდამებში, ძვლები იყო. ასეთი სამარხი ბევრი იყო. ალბათ, ქოლერა რომ გაჩნდა, იმ დროის მიცვალებულები იყვნენ. ახლა ქვები აღარ დევს, ხალხმა წაიღო, გამაიყენეს, ყიდიდნენ, სოფელში ბოგირებად ხმარობდნენ, რუზე გადადებდნენ და დადიოდნენ ზევიდან. ეგ მიწა ერთი კაცის საკუთრება იყო, იმან ამოთხარა, ეგ ეძებდა იქა ქანსა. მერე აღარავის უშვებდა იქ. დღეს აღარაფერია, აღარც ნამარხები, აღარც ქვას იღებენ, გამაილია ის ქვა. მხოლოდ საძოვარია“.

სამგლე გორა – გორა ტყე-ბუჩქნარით სოფ. თვალადში, ხვედრელიაანთუბანში, შატბერაანთ ნაკვეთში, შატბერაანთ ნიშთან. 1981, 1988 წლების ჩანაწერებში აღნიშნულია როგორც მგლების გორა. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „მგლების კი არა, სამგლე გორაა. პატარა ტყეა, მგლები იყვნენ, მოდიოდნენ, თხებსაც იტაცებდნენ. საქვაბეც არის იქა, სახლიც, იმ სამგლესთან“.

სამება – სამების ეკლესიები კავთისხევში: 1. თვალადის სამების ეკლესია; 2. ქებაანის სამების ეკლესია; 3. ქვემო ჩოჩეთის სამების ეკლესია.

სამინაანები – სახნავი კატრიანთან, ეკუთვნოდა სამინაშვილებს. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „სამინაშვილებს უცხოვრიათ იქ. თვალადიდან ამოვალთ თუ არა კატართან, იქაა, პეტრეს კაკლის გვერდით. ნასახლარებიც არის, ქვევრებიც ბევრჯერ ამოიღეს, წინათ ღვინოც უწურავთ შიგ. მტრის შემოსევამ ეს ხალხი წაიყვანა“.

სამინაანთ საყდარი – ნასაყდრალი, იგივე მუნის საყდარი (გუდალეთი).

სამტრედო – ნასოფლარი, საძოვარი სოფ. გუდალეთის სამხრეთ-დასავლეთით, ზვარიკორტმანის მხარეს. სახელდების მოტივაცია უცნობია. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „პატარა სოფელი იყო (4-5 ოჯახი ცხოვრობდა) თაგვიაანთხევის მარჯვენა მხარეს, ზვარიკოტმანზე

უნდა გაიარო". რესპ. ვ. ყველაშვილი: „სოფელი იყო სამტრედო. ეგ, ტყემლუანი და ზვარიკოტმანი ერთი კოლექტივი იყო".

სამძივი // სამძვის გორა – გორა, ამაღლებული ტერიტორია სოფ. ქვემო ხანდაკის სამხრეთ-დასავლეთით, ქვემო ხანდაკისა და ქვემო ჩოჩეთის მიჯნაზე, მდ. კავთურას მარცხენა მხარეს, მდინარესთან ახლოს. 1981, 1988 წლების ჩანაწერები: „ეს არის ხორხოტიანი (ქვიანი) ადგილი. ისეთი წარმოდგენა იქმნება, თითქოს მძივებია ჩარიგებული". რესპ. მ. მამულაშვილი: „წინაპრების გადმოცემით, გათხრების დროს საფლავიდან სამი მძივი ამოვიდა, სხვა ინფორმაციით – მძივებივით ეწყო ქვები". რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „თხარეს და სამი მძივი ამოიღეს, ვიღაც შეძლებულის საფლავი ყოფილა".

სამძივეები // სამძივის მიწები – სახნავი მიწა, საძოვრები სამძივის გორაზე (იხ. სამძივი). რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „ადრე ვაშლის და მსხლის ბაღები იყო, სანერგე. ახლა აღარაფერია. დღეს განაწილებულია, ხალხს მისცეს, მაგრამ არავინ უვლის, საძოვარია".

სამძივის არხი // სამძივის რუ – სარწყავი არხი, რუ, რომელიც სამძივზე გადიოდა. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „არხის წყალი ჩამოდიოდა, მტკვრის წყალი. ახლა დაიშალა ყველაფერი".

სამძვის გორა – გორა, იგივე სამძივი (ქვემო ხანდაკი).

სამძივის მიწები – სახნავი მიწა, საძოვრები, იგივე სამძივეები (ქვემო ხანდაკი).

სამძივის სასაფლაო – სასაფლაო სამძივის გორაზე, კვირაცხოვლის მიწების გარშემო. რესპ. გ. მამულაშვილი: „ქვემო ხანდაკის ძველი სასაფლაო იყო სამძივზე. აუზი გააკეთეს და, რომ თხრიდნენ, მიცვალებულთა თავები ამოდიოდა. ახლაც არის სასაფლაოს დიდი ლოდები, ნიჩბისიდან წამოღებული, ქვემო ხანდაკში ეს ქვა არ არის. ერთადერთ კაცს ახსოვდა ეს სასაფლაო, დედამისი იყო იქ დასაფლავებული, ის კაციც გარდაიცვალა. ახლა ახალი, ძირითადი სასაფლაო მთავარანგელოზის ეკლესიასთანაა, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე".

სამძივის რუ – რუ, იგივე სამძივის არხი (ქვემო ხანდაკი).

სამძივის ფერდა – რესპ. მ. მამულაშვილი: „სამძივი თვითონ არის ამაღლებული ტერიტორია, გორა, და ეს იმისი ფერდობია".

სამჭედლოები – ადგილი შუაუბნის შაყულაანთუბანში. რესპ. გ. შაყულაშვილი: „ორი სხვადასხვა სამჭედლო იყო, ილასი და ვასოსი.

ბიძაშვილები იყვნენ. ახლოს ცხოვრობდნენ, გზის მოპირდაპირე მხარეს, ეზოში ჰქონდათ თავ-თავიანთი სამჭედლოები. ახლა სამჭედლოები აღარ არის, მაგრამ ადგილს ასე ვეძახით".

სამხერხაოები – ტყე ტყემლიანის ხევის აღმოსავლეთ მხარეს. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „სამხერხაო ეკუთვნოდა უფრო ტყემლუანს". რესპ. ვ. ყველაშვილი: „ტყემლიანში მახსოვს სამხერხაოები და სამხერხაოების წყალი. წყალი იქვე გამოდიოდა. სამხერხაოები როგორ იყო, იცით? ცირკულით კი არა, მორი იყო გაკეთებული. ერთი მხერხავი მაღლა იდგა, მიმართულებას აძლევდა. დახაზული ჰქონდათ ნახშირით, რომ ზუსტად გაეხერხათ, მეორე დაბლა იდგა. ხის ტარი ჰქონდა ხერხს გაკეთებული, ერთი ასწევდა, მეორე ჩამოსწევდა. ერთი მიმართულებას აძლევდა, მეორე მიჰყვებოდა. ხელით იხერხებოდა ყველაფერი".

სანათუბანი – ნასოფლარი სოფ. გუდალეთის სამხრეთით. სანა იმ კაცის სახელია, რომელიც, რესპონდენტთა (გ. თაგვიაშვილის, ა. თაგვიაშვილის) ცნობით, პირველი დასახლდა იქ. გვარი არ ახსოვთ, სანას შთამომავლები რომ მომრავლდნენ, სანაანები დაერქვათ, სოფელს კი – სანათუბანი. ბოლოს ამ ადგილას ჩოხელებიც ცხოვრობდნენ, ბექაურებიც და წიკლაურებიც, მაგრამ ადგილს იმ წინაპრის სახელი შერჩა.

სანათუბნები – სახნავი ნასოფლარ სანათუბანში.

სანათუბნების ტყე – ტყე ნასოფლარ სანათუბანში.

სანაღარო – ადგილი სოფ. თვალადში, მექანარიაანთუბნის სამხრეთით, მეფეთა ნასასახლარის უკან. აქ „ნაღარა დაუკრავთ გამარჯვებული მეფის შესახვედრად. იქვეა ადგილი მისალოცი, სადაც ხალხს მეფისთვის გამარჯვება მიულოცნია" (მაკალათია, 1960, 16). რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „გიორგი სააკაძემ რომ გაიმარჯვა, აქ მიულოცეს. შემოსევა ყოფილა მაგარი. წმინდა გიორგის სალოცავთან ორი ქვა იდო და იქა მსხდარან მხედართმთავრები, თუ არ ვცდები, და მიულოცეს გამარჯვება. ნაღარა დაუკრეს, იმიტომ ჰქვია სანაღარო". 1981, 1988 წლების ჩანაწერებით: „ამ ადგილას ყაენობის დროს ნაღარა დაუკრეს და ხალხი მოგროვდა".

სანაღაროეს წყარო – წყარო სანაღაროსთან (ვიწროებთან). რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „სანაღაროებს რომ ეძახიან, მანდ გამოდის ეგ წყალი, ელექტროსადგური რომ იყო, აი, იქ. კარგი წყალია".

სანახირო – 1. ადგილი სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს, აღმოსავლეთით, ფარუაანთუბნის დასაწყისში, სადაც ადრე საწყობი იყო. აქ აგროვებდა ნახირს სოფლის მოსახლეობა, რომ მწყემსს გაერეკა საძოვარზე; 2. ადგილი სოფ. თვალადში. აქ მოაბრუნებდნენ ხოლმე ნახირს. ყველა თავის საქონელს მოიყვანდა და მერე მენახირეს მიჰყავდა. კანჭიელაზე უნდა გადაეტარებინათ. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ეს სანახიროები თითქმის ყველა სოფელში ახლაც არის".

სანახშირეები – საძოვარი ნასოფლარ ვაჯაანში, ზავრადაანთ მიწებზე. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „წინათ რომ სამჭედლო გაეკეთებინათ, ნახშირი უნდა დაეგროვებინათ. ორმოებს თხრიდნენ, ჩაყრიდნენ ბევრ შეშას, დაანთებდნენ ცეცხლს და, როცა უკვე დანახშირდებოდა, უცბად დააფარებდნენ ზევიდან, რომ ჩამქრალიყო და ნახშირს წაიღებდნენ, ყიდდნენ. დღეს საძოვრადაა ქცეული ეს ადგილი".

სანდრას წყარო – წყარო სოფ. ქვემო ჩოჩეთში, ციხიაგორას დაბლა. რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „სადაც სანიაღვრე ხევი იწყება, გიგოლაანთხევი, იქ არის სანდრას წყარო. აფრიაანთ (ქსოვრელმა) სანდრომ გააკეთა. მამულები იქა ჰქონდათ და იმათ ნაკვეთში გამოდიოდა". რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „ახლა ამ ადგილას საკალმახეა".

სარდიონას მორევი – მორევი სოფ. ქვემო ხანდაკისა და სოფ. მირიანის დამაკავშირებელ ხიდთან, მდ. მტკვარზე. რესპ. მ. მამულაშვილი: „წლების წინ იქ დაიხრჩო პატარა ბიჭი, სარდიონა, მორევმა ჩაითრია".

სასვენი ვაკე – სათიბი; მოსასვენებელი ადგილი სოფ. გუდალეთის სამხრეთით, ტყემლიანის მთაზე. რესპ. ვ. ყველაშვილი: „ქსილისის ტყეში ტყემლიანიდან ავდივართ. სანამ ტყემლიანიდან ქსილისზე ავალთ, შუაწელზეა. სამუშაოდ მიმავალი კაცი ადიოდა მაღლა, იქ ფერმა იყო და დასასვენებელი ადგილიც. ახვიდოდი და დაისვენებდი. მეც ვარ ამ ადგილებში ნამყოფი. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „საქონლის სასვენი კი არა, ადამიანისა იქნებოდა, ტყისპირი იქნებოდა იქ".

საფეხმავლო ხიდი – სოფ. ქვემო ხანდაკისა და სოფ. მირიანის დამაკავშირებელი ხიდი. რესპ. მ. ოთიაშვილი: „გომიდან ჩამოიტანეს. ბურჯები არა აქვს, ჰაერში კიდია. იქ შეცვალეს ხიდი, სხვა გააკეთეს. იქ რომ მოშალეს, აქ ჩამოიტანეს და გააკეთეს".

საფონავი – ფონი მდ. მტკვარზე, სოფ. ქვემო ხანდაკის ბოლოში, სამხრეთით.

საქვიშეები – ტყე ნასოფლარ ვერხვეულში. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ვერხვეულში მოიპოვება არაჩვეულებრივი ქვიშა, ბუნებრივი, მიწიდან ამოღებული, წმინდა, ხარჯი არ უნდა". რესპ. გ. თაგვიაშვილი: „მარტო ვერხვეულში იყო ქვიშა. წყალი რეცხავს ამას და ქვიშა რჩება. იმ ქვიშით აიშენა იქ ხალხმა სახლები".

საქორიო – 4 ჰა-მდე ტყე ნასოფლარ წიფორში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „წიფორის გადმოსწვრივაა, წიფორს ეკუთვნის. ძალიან მაღალი ხეებია და საქორიოს ეძახიან, ქორი ხომ მაღლა ჯდება. იმ საქორიოში დიდველებია შეჭრილი, სადაც კაკალი გააშენეს". რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „დიდველების ქვემოთ კალთა არის ეს საქორიო. ეტყობა, მართლა ბუდობს ან ქორი, ან რაღაცა. ფერდა ადგილია. ტყით მანდედან ვსარგებლობდით, მივდიოდით, გამოგვქონდა ტყე, შეშა, ფიჩხი. სანამ თონეები იყო და პურს სახლში ვაცხობდით, ეგ ტყეები განადგურებული გვქონდა ფიჩხითა, გამოგვქონდა და ვახურებდით თონესა. ახლა რომ არავის გამოაქვს, გაუვალი ტყე გახდა".

საღოლიო – მთა, საძოვარი სოფ. გუდალეთის სამხრეთით, ქსილისის მთაზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ფაქტობრივად, თვალადის მამული იყო. ახლა დაიჩემეს ეგა ვარჯაანელებმა, ეგ საღოლიო. ახლა ვარჯაანში აღარავინ არის, მაგრამ სოფელი იყო, კაი დიდი კოლექტივიც იყო, და დაიჩემა მაგ მოსულმა ხალხმა, მთიელებმა, ჩვენიაო. ეს ობოლას მამა, მამაჩემი, იორამის მამა, ერთი ათი კაცი წავიდა. უთხრეს სოფელს: „აბა, წამოდითო, ერთი, სადამდენ არის თქვენი, გვაჩვენეთ მიჯნაო". იჩემებდნენ მთელ მთასა, რო არ შემრცხვეს, ერთი 15 ჰექტარია. „ეე, თქვე გუდით მორეკილებო, თქვენაო!" – ობოლას მამა დიდი დამრტყმელი კაცი იყო ობოლასავითა, დეერია და ძლივ დაიჭირეს, ბიჭო. პატარა კაცი იყო, მაგრამ გულადი. „თქვე გუდით გადმორეკილებოო" – ეგენი ხომ ლომისიდან არიან გადმოსახლებულები".

საყარაულო სერი – მთა, ქედი, ციხიაგორის კომპლექსის შემადგენელი ნაწილი სოფ. ქვემო ჩოჩეთის ჩრდილოეთით, ციხიაგორიდან 200 მ-ზე, ციხიაგორის ნასოფლარის ჩრდილოეთით. საყარაულო სერზე აღმოაჩნეს ძვ. წ. XIII – ახ. წ. I სს-ის ორმოსამარხები,

რომაული ხანის ქვევრსამარხები და ძვ. წ. I – ახ. წ. IV სს-ის ქვაყუთები. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხებში მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ან აღმოსავლეთისაკენ, კიდურებმოხრილნი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. სამარხებში აღმოჩნდა მოშავო-ლეგაფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, სამკაული, საბრძოლო იარაღი, ბრინჯაოს მახათი და ძვლის სავარცხელი (გვეტაძე, 1980, 6-13; ყაზახიშვილი, 1980, 60-67). საყარაულო სერზე გაითხარა 30 ქვევრსამარხი. სამარხად იხმარებოდა ვარდისფრად გამომწვარი სამეურნეო დანიშნულების ქვევრები, რომლებიც ჰორიზონტალურად იყო მიწაში ჩაფლული. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ თავით ნებისმიერი მიმართულებით, კიდურებმოხრილნი, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე. ძვ. წ. I – ახ. წ. I სს-ის სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რკინისა და ბრინჯაოს სამკაულები, ორი მონეტა: პართიის მეფეების – არტაბან II-ის (ძვ. წ. 88-77 წწ.) სპილენძის დრაქმა და გოტარზეს (ახ. წ. 40-51 წწ.) ვერცხლის დრაქმა (ჯინჯიხაშვილი, 1980, 42-59). რესპ. ი. ქსოვრელი: „ამ სერიდან რომ გადაიხედავ, სადგურამდე ტერიტორია ჩანს, მთელი ქსოვრისი. მაგ სერზე რომ დადგებოდა ყარაული და გადაიხედებოდა, სულ ჩანდა მთელი ტერიტორია“.

საყარი – 1. საქონლის საყარი ნასოფლარ ვარჯაანში, ზავრადაანთ მიწებში. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „საყარი, საერთოდ, ჩრდილიანი ადგილია, საქონელი ისე არ გაჩერდება, ნიავი თუ არ უბერავს, თუ ადგილი არ ნიავდება, როგორც, მაგალითად, ზავრადაანთ მინებში“; 2. საქონლის საყარი ორი გუდალურას შესართავთან. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „სადაც წყალია, იქ მოედანი იყო და საყარი დაარქვეს. სულ იქ ისვენებდა საქონელი. ეს საყარი სოფ. თვალადის სამხრეთით არის, ვიწრო მორევის ქვემოთ, ელექტროსადგურის სამხრეთით, უკვე გაერთიანებული გუდალურას პირას. სადაც ერთდება წყლები, ცხვირცხვირას ეძახიან, იქვეა ეს საყარიც“.

საყდრის მიწა – სახნავი ნასოფლარ წიფორში, სოფლის თავზე. რესპ. ვ. ყველაშვილი: „წიფორში საყდარია და იმ საყდრის მიმდებარე ტერიტორიაა“ (იხ. წიფორის წმინდა გიორგი).

საყვარელიძეების მიწები – კალო, იგივე გაბრუშკაანი (შუაუბანი).

საჩიტე – მთა, იგივე დიდსაჩიტის მთა (ქებაანი).

საჯილდაო ქვა // ხიზამბარელის ქვა – საფალავნო ქვა სოფ. თვალადში, ძლევის ქედზე. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ხიზამბარელმა, ნოსტელი კალატოზი იყო, სანაძლეოზე აიღო ის ქვა და ცხენზე გადააგდო. არსებობდა ასეთი ტრადიცია, ვაჟკაცობის დამტკიცების მიზნით. მძიმე ქვები იყო გამოკვერცხილი, ხელს კი ვერ მოჰკიდებდი. უნდა წაგევლო ხელი და მუცელზე მიგეკრა, ისე ვერ აიღებდი. ძლევის ქედის ეკლესიათან შეჯიბრება გაიმართა ამ ქვის აწევაში. ხიზამბარელმა ასწია და გადააგდო, თარხნიშვილის ცხენს გადაუარა ზემოდან. საჯილდაო იმიტომ ერქვა, რომ ჯილდოს აძლევდნენ გამარჯვებულს. ამან ცხენი მიიღო საჩუქრად, ოქრო და სპილენძი, მაგრამ, სანამ ნოსტეში გადავიდა, გამოუღამდა წუთისოფელი, ავად გახდა და გზაზე დაიღუპა. 100 წლის შემდეგ, საბჭოეთის დროს, თენგო კობაიძემ, კომავშირელი ბიჭი იყო, ვაჟკაცობის გამოჩენის მიზნით ასწია ეს ქვა, ფეხი დაუსხლტა და... მკვდარი იპოვეს... ლოდი ზედ ედო“. მწერალი გ. შატბერაშვილი: „საფალავნო ქვა... ვაჟკაცთა ღონის საცდელი. უმთავრესად მრგვლად „გამოკვერცხილი“. ამ ლოდის აწევას აძნელებს არა მარტო მისი სიმძიმე, ლოდი მრგვალი და ლიპია, მოუხელთებელი: ხელი არ ეკიდება... ბავშვობაში სოფელ გუდალეთის ეკლესიის ეზოში აღდგომის მეორე დღეს მინახავს, როგორ ეჭიდებოდნენ ჭაბუკები საფალავნო ქვას. ასეთი ლოდი ყოფილა სოფ. თვალადშიც, ძლევის ქედზე, წმინდა გიორგის ეკლესიასთან... ასეთი ლოდები ყოფილა რაჭასა და სვანეთში. ლოდის აწევის სპორტი საქართველოს ყველა კუთხეში ყოფილა გავრცელებული და აქა-იქ ჩვენს დრომდე მოაღწია. დაწესებული იყო ქვის აწევის საფეხურები: ქარის გატარება, მუხლამდე, მკერდამდე აწევა, თავზეით და ცხენზეით გადაგდება. ამის მიხედვით, ჯილდოც სხვადასხვა იქნებოდა... „საფალავნო ქვის“ გვერდით ქართულში შემორჩენილია ამავე მნიშვნელობის ძველი ტერმინი „საჯილდაო ქვა“, იგი მიგვითითებს, რომ ამ ქვის ამწევს აჯილდოებდნენ“ (შატბერაშვილი, 2009 გ).

სერები – შემაღლებული ტერიტორია, მიწის დიდი ფართობი, სახნავი მიწა შუაუბნის დასავლეთ მხარეს, ბარკალას სკოლის დასავლეთით. ესაზღვრება სოფ. ეზატს, მახარიაანთ გორის მიმდებარე ტერიტორიაა. აქ გახსნილია ახალი სასაფლაო და აშენებულია ახალი ეკლესია.

სვიმნიას ნაკაფი – ტყე, სოფ. გუდალეთის მოდრეკილაანთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, დათიკოს ნაკაფის სიახლოვეს.

სისხლიგორა // სისხლის გორა – გორა, სახნავ-სათესი მიწა კავთისხევ-ახალქალაქის მიჯნაზე, ახალქალაქის გზასთან ახლოს, კარიერის თავზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილის აზრით, სახელი სისხლის გორა გიორგი სააკაძის მიერ წარმოებულ ბრძოლებს უკავშირდება, ისევე როგორც: მისალოცავი, ძლევის ქედი, სანაღარო და ა. შ.

სისხლის გორა – გორა, სახნავ-სათესი მიწა, იგივე სისხლის გორა (ქებაანი).

სისხლიმიწა – ყანები, საძოვარი, სახნავი, იგივე პირწითელა (გუდალეთი).

სკოლასთან – სოფ. გუდალეთის ცენტრი. სოფ. გუდალეთის სამი უბნის ცენტრში, მოდრეკილაანთუბანში, ისტორიული ციხე-გალავნის კედელზე მიშენებული იყო სკოლა, რომელიც წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა. 25-30 წლის წინ სკოლა სხვა, ახალ შენობაში გადაიტანეს, ძველი შენობა კი დაანგრიეს.

სკუნლიანი გორა – ტყე სოფ. გუდალეთში, პატარა გუდალურას ხეობაში, მოდრეკილაანთუბნის მხარეს. რესპ. ვ. ყველაშვილი: „პატარა გუდალურაზეა, ვარჯაანის ძირზე. სკუნლიანი ანუ კუნელიანი, კუნლიანია. კუნელს ჩვენთან ეძახიან სკუნელს. ბევრი კუნელი იდგა იქ და ახლაც არის“.

სომხების ეკლესია – ეკლესია, იგივე პატარა საყდარი (ქვემო ხანდაკი).

სოსიას მიწა – გორა სოფ. ქვემო ჩოჩეთში, მირზეულიაანთ მიწებში (იხ. მირზეულიაანთ ვენახები). ეკუთვნოდა სოსიკა ქსოვრელს.

სოსიას ნერგები – ბაღები სოფ. თვალადში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კანჭიელადან რომ გადადიხარ, იქ არის ძამუკაანთეულები და სწორედ იქ არის სოსიას ნერგები. სოსია მოხუცი კაცი იყო, ნოქარაშვილი. გარდაიცვალა. იმან ჩაყარა ეს ნერგები“.

სოსიკაანთ წყარო – წყარო სოფ. თვალადში, ხვედრელიაანთუბანში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „სოსიკაანი არიან ხვედრელიანი (ნაცვლიშვილები), ამათი შტოგვარია. აქ დასახლდნენ ჩიგოგიძეები და ერთ-ერთმა ჩიგოგიძემ გამოიყვანა ის წყალი სოსიკაანთ ნავენახევის ბოლოდან“.

სოსიკას ნაკაფი – ფიჭვნარი ნასოფლარ ვარჯაანის დასავლეთ მხარეს. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „სოსიკა ალბათ იოსები იქნებოდა ვინმე“.

სტენდი – სამამულო ომში დაღუპულთა სტენდი სოფ. ქვემო ხანდაკის ცენტრში.

ტალები – ვენახი სოფ. ეზატში, კოდის მიწების სამხრეთით მიმდებარე ტერიტორია, წივილაანთუბნის დასავლეთით. რესპ. თ. კერესელიძე: „ამ ტერიტორიაზე მრავლად მოიპოვება ტალის ქვა – წითელი ფერის ქვა, ამტვრევდნენ და კევრში არჭობდნენ გასალეწად“.

ტატას ნაკვეთი – მიწის ნაკვეთი სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოსკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. კავთურას მარცხენა მხარეს, ხუციაანთ ეკლესიასთან. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „ეს ნაკვეთი ჰქონდათ ტატაანთ, ანუ ნონიკაშვილებს (ტატა წინაპარს ერქვა). აქვე, ნაკვეთში, დაბლა, გამოდიოდა წყარო და ჩადიოდა კავთურაში“.

ტატას წყარო – წყარო სოფ. ქვემო ჩოჩეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტატას ნაკვეთში.

ტატულას ნაკაფი – საკარტოფილე ტყეში, სოფ. გუდალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნასოფლარ წიფორის ძირზე. რესპ. ვ. ყველაშვილი: „ტატულას ეძახდნენ იმ კაცს, რომელსაც საკარტოფილე ეკუთვნოდა, და არ ვიცი, ვინ იყო, არ მოვსწრებივარ. არც ის ვიცი, რა გვარის იყო. ფერდობზე, შემაღლებულზე, ვაკეა და ეგ არის წიფორი, ამ ფერდობის ძირზეა ეს ნაკაფი“.

ტბები – დაჭაობებული ადგილი კოდის მინდორზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ეკუთვნის ბარდაანთა, ეკუთვნის ციხისუბანსა, შუაუბანს, ნაწილი – ეზატსაც. 3-4 გუბე იდგა. ვერაფრისთვის იყენებდნენ და დააშრეს, მაგრამ შემდეგ ბულდოზერები, ტრაქტორები მოვიდნენ, არხები გაჭრეს და მტკვრიდან წყალი ამოიყვანეს. მტკვარი რომ ამოქაჩეს, ისევ მომრავლდა წყლები, ბევრგან გამოდიოდა და ახლა ისევ დადგა ტბები, გუბეები, მაგ ამოქაჩული წყლისგან“.

ტეტიასერი // ტეტიას სერი – ქედი; აბუაშვილების, ქსოვრელების, ნონიკაშვილების დიდი სასაფლაო ამ ქედზე სოფ. ქვემო ჩოჩეთში, სოფლის ბოლოს, ჩრდილოეთით, კავთისხევიდან კასპისკენ მიმავალი საავტომობილო გზის დასავლეთით, მუნიწყაროს თავზე, სამების ახალ ტაძართან (იხ. ქვემო ჩოჩეთის სამების ეკლესია). რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „ტეტია ერქვა ვიღაცას წინათ. ადრე სახნავი იყო და დავანებეთ თავი, სასაფლაოდ ვაქციეთ“. სოფ. ქვემო ჩოჩეთში, გარდა ტეტიას სერისა, არის ორი ძველი სასაფლაო (იხ. აბუაანთ სასაფლაო).

ტეტიას სერი – ქედი, სასაფლაო, იგივე ტეტია სერი (ქვემო ჩოჩეთი).

ტიღურაანი – დასახლებული ადგილი ციხისუბნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ციხისუბნისა და სოფ. ქვემო ჩოჩეთის მიჯნაზე, კავთისხევ-კასპის გზის მარცხენა მხარეს, დასავლეთით. მოსდევს ჯანჯალაანთუბანს". რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „ჯანჯალაანთუბნის ჩრდილოეთ მხარეს, სკოლის გადაღმა, მდებარეობს ეს ტერიტორია, მდ. კავთურასა და ციხისუბნის გზას შორის. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ჩოჩეთი. ცხოვრობდნენ ტიღურაანი, ჯანჯალაშვილების ერთ-ერთი შტო, ერთ-ორი ოჯახი იყო".

ტოლბასეული – საძოვარი ნასოფლარ ვარჯაანში. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ტოლბა (← სტოლბა) კაცის მეტსახელია. მაღალი კაცი იყო. საძოვარი მას ეკუთვნოდა".

ტონია // ტონიები – სახნავ-სათესი, სავენახე ადგილი მდ. კავთურას მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოსკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქვემო ხანდაკის მხარეს, კავთისხევ-კასპის საავტომობილო გზის აღმოსავლეთ მხარეს, აბუაანთ ჭალებში. ეტიმოლოგია უცნობია. ამ მიწაზე დგას საყდარი (იხ. ანტონას საყდარი) და იქვე გამოედინება წყარო (იხ. ანტონას წყარო). რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „სახელწოდება ტონია რას ნიშნავს, არ ვიცი, მაგრამ ანტონას არ უკავშირდება, ანტონას ტონიათი არ მოიხსენიებენ".

ტონიები – სახნავ-სათესი, სავენახე ადგილი, იგივე ტონია (ქვემო ჩოჩეთი).

ტონია – საყდარი, იგივე ანტონას საყდარი (ქვემო ჩოჩეთი).

ტონიის საყდარი – საყდარი, იგივე ანტონას საყდარი (ქვემო ჩოჩეთი).

ტონიის წყარო – წყარო, იგივე ანტონას წყარო (ქვემო ჩოჩეთი).

ტონიიწყარო – წყარო, იგივე ანტონას წყარო (ქვემო ჩოჩეთი).

ტურისწვერი // ტურიწვერი – მთა, ტყე, სახნავი სოფ. თვალადის სამხრეთ-აღმოსავლეთით, პატარა ბრილისის მიმდებარე ტერიტორიაზე. 1981, 1988 წლების ჩანაწერები: „ეს მთა თავზე ადგას თვალადს და ზემოდან გადმოჰყურებს. წინათა ტურეები იყო". რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კატაულა მთა ხომ იქით არის, აქეთ (თვალადისკენ) არის ტურისწვერი, კატაულას გამოგრძელებაზე. ისეთივე ფორმისაა, მაღალი მთაა. კატაულა და ეს ერთიმეორის გასწვრივაა. კატაულა არის აღმოსავლეთით, ტურისწვერი – სამხრეთით. ტურა იყო ბევრი და სულ გაბეზრებული იყო ხალხი.

ახლაც გაულევალია, ვირი შეჭამეს, გამოგლიჯეს მთელი ხორცი". რესპ. ა. მონასელიძე: „ამ ტურისწვერსა და კატაულას ყოფს მდინარე კავთურა. მდინარის მარჯვენა მხარეს კატაულა რჩება, მარცხენა მხარე ტურისწვერია".

ტურიწვერი – მთა, ტყე, სახნავი, იგივე ტურისწვერი (თვალადი).

ტყემლის მიწები – ბოსლები და კვალსათბურები, ნარგავები სოფ. თვალადის დასავლეთით, ბოლოში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კალოები გვქონდა ხოლმე მანდა, დიდი ტყემლები იყო იქ, ჩემს დროსაც მახსოვს. ახლაც არის ნაშთი, ტყემალს ძლიერი ძირი აქვს. მანდ არის ბოსლებიც და კალოებიც".

ტყემლიანა // ტყემლიანი // ტყემლოვანა // ტყემლოვანი // ტყემლუანა – ნასოფლარი, საძოვარი სოფ. გუდალეთის თავზე, სამხრეთ-დასავლეთით. 1981, 1988 წლების ჩანაწერები: „ამ ადგილას წინათ სოფელი იყო, მაგრამ უხერხული მდებარეობის გამო (ადგილი მეტად მთაგორიანია) ხალხი ბარში გადმოიყვანეს. ბევრი ტყემალი ხარობს და ალბათ იმიტომ დაარქვეს". რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ლაფიანხევიდან რომ გადახვალ, პირდაპირ ტყემლიანაში ჩახვალ. სახლებიც სულ ტყემლით იყო გადაბურული, დღესაც ბევრი ტყემალია". მოცემული ბოტანონიმები მიღებულია მცენარის სახელზე **-იან, -ოვან** სუფიქსების დართვით. **-იან** ყოლა-ქონების მორფემა ტოპონიმებში ამა თუ იმ საგნის, ნივთის, მცენარის, ცხოველის... ყოლა-ქონებას (სიმრავლეს) გვიჩვენებს (შანიძე, 1973, 122-123). **-იან** სუფიქსი ქართველურ ტოპონიმიაში ძირითადად მცენარეულით დაფარული მიწების გარკვეულ მონაკვეთზე მიუთითებს (მუხ-იან-ი, პანტ-იან-ი). მცენარეთა სახელწოდებებისგან გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს **-ოვან** ბოლოსართიც. იგი კრებითობის სემანტიკის მიმანიშნებელია, მიუთითებს, რომელი ადგილი რა მცენარეული საფარით არის დაფარული (ვაშლ-ოვან-ი, წიფლ-ოვან-ი). ზოგ შემთხვევაში ამგვარ ტოპონიმებს მატოპონიმებელი **-ა** ფორმანტიც ემატება (მაღრაძე, 2006, 86, 90). სწორედ ასეთი სახელებია ტყემლ-იან-ა, ტყემლ-იან-ი ტყემლ-ოვან-ი, ტყემლ-ოვან-ა → ტყემლ-უან-ა. შდრ. ტყემლ-ან-ა (ახალციხე), ტყემლ-ოვან-ი (თიანეთი), ტყემლ-ოვან-ა (ჭიათურა, ქარელი) (იქვე, 87, 90, 91).

ტყემლიანი – ნასოფლარი, იგივე ტყემლიანა.

ტყემლოვანა – ნასოფლარი, იგივე ტყემლიანა.

ტყემლოვანი – ნასოფლარი, იგივე ტყემლიანა.

ტყემლუანა – ნასოფლარი, იგივე ტყემლიანა.

ტყიპირი // ტყის პირი – ტყე, სახნავი მინა დიდველების სამხრეთით. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ბრილისსაც ეძახდნენ ტყიპირსა და საქორიოსაც, კაკლებსაც უძახიან მანდ, საქორიოში. დიდი ნაკვეთია, მთელი შეშაბერიაანი მანდ ხნავდნენ, თესავდნენ, ერთი 15 ჰა იქნება, ამ კაკლებსაც ტყიპირს ეძახიან“.

ტყის პირი – ტყე, სახნავი მიწა, იგივე ტყიპირი (თვალადი).

ურწყავები // ურწყავის გორები – პატარა გორები, კავთისხევის კირქვის კარიერის მიმდებარე ტერიტორია დასავლეთით, საკუპრის მაღლა, ჩრდილო-დასავლეთით. ადრე ამუშავებდნენ სხვადასხვა მიზნით. ამჟამად უფუნქციოა.

ურწყავი – სახნავი, ბაღები, იგივე საიჯაროები (გუდალეთი).

ურწყავის გორები – პატარა გორები, იგივე ურწყავები (ქებაანი).

ფარუაანთუბანი – უბანი სოფ. ქვემო ჩოჩეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, კავთისხევ-კასპის საავტომობილო გზის აღმოსავლეთით. რესპ. ი. ქსოვრელი: „სოფლის სულ ბოლო დასახლებაა. ფარუაანი ქსოვრელების შტოგვარია“. რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „შამპანურის ქარხნის შემდეგ რიყიანები იწყება, ფარუაანთუბანი არის დასაწყისი იმ რიყიანებისა“ (იხ. რიყეები).

ფერდიმიწის წყარო – წყარო სოფ. გუდალეთში, ხოკერაანთუბანში. გამოედინება ფერდის მიწაზე, კოტეტიშვილების სახლთან.

ფერდის მიწა – სახნავები, საძოვარი სოფ. ეზატის ბოლოს, დასავლეთით, გორი-თბილისის გზის (იმავე საქართველოს სათადარიგო სამხედრო გზის) კავთისხევ-ახალქალაქის მონაკვეთზე, მარცხენა მხარეს, დომენტის გორის მიმდებარე 9 ჰა სახნავ-სათესი მიწა. ახლა საძოვარია. აქ გამოდიოდა ფერდის წყარო, ახლა დამშრალია.

ფერდის წყარო // ფერდიწყარო – წყარო სოფ. ეზატში, ფერდის მიწაზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ეს წყარო შარაგზის პირზე იყო, ჭაობების ზემოდან რომ გადიხარ, ნამყენებიანი რომ იყო, იმის ზემოდან. ეგეც დაშრა“. 1981, 1988 წლების მასალები: „წყარო, სახნავი. გორებივით არის და ფერდიწყარო იმიტომ ჰქვია“.

ფერდიწყარო – წყარო, იგივე ფერდის წყარო (ეზატი).

ფიჭვების გზა – თვალადი-გუდალეთის გზის მონაკვეთი, მექანარიაანთ მიწებთან, ფიჭვნართან (იხ. კატრიანი). რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „თვალადი-გუდალეთის გზის ბოლო მონაკვეთია, ვინემ მიხვალ გუდალეთში“.

ფიჭვიანი ტყე – ტყე, იგივე კატრიანი (გუდალეთი).

ფონი – ადგილი მტკვარზე, სოფ. ქვემო ხანდაკში. რესპ. მ. მამულაშვილი: „ახალი სასაფლაო სადაც არის, იქ რომ ჩახვალ, ფონია. ურემი გაჰყავდათ და გამოჰყავდათ. მტკვარი ძალინ თხელი იყო, გაშლილი“.

ფშატეები – ადგილი სოფ. ქვემო ხანდაკის სამხრეთ-დასავლეთით, შესასვლელში, გალავანთან. რესპ. მ. მამულაშვილი: „სანერგე იყო. ახლა აღარ არის, აღარც ფშატეებად მოიხსენიებენ“.

ფშატიანი – ადგილი შუაუბანში, დასავლეთ მხარეს, სერების სამხრეთით, ბესას ფარეხის სიახლოვეს. ბევრი ფშატი იყო.

ქასრაანთ მამულები // ქასრაანთ მიწები – სახნავი მიწა სოფ. ქვემო ჩოჩეთში, ციხიაგორის ნამოსახლარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქასრაანთხევის პირზე, მდ. კავთურას მარცხენა მხარეს, დუბიებთან. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „ქასრაძეებს ქვემო ჩოჩეთში უბანი არ ჰქონდათ, შეიძლება მიწები ჰქონდათ იქ და იმიტომ დაერქვა“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ამ ხევისპირზე მიწები ჰქონდათ ქასრაძეებს“. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „კავთურას მარცხენა მხარესაა, ციხისუბნის ცენტრიდან დასავლეთით, 1,5 კმ-ზე. ფართობი დიდია. ახლა სასაფლაო გააკეთეს იქ, სოფ. ჩოჩეთის სასაფლაო (ახალი)“. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ქასრაანთ აქ ჰქონდათ მამულები. ტეტიას სერის შემდეგ, დასავლეთით, ქასრაანთ მიწებია. საბეროებიც ქასრაანთ მამულებს მისდევს“. ქასრაანთ მიწებზე 1972-1977 წლებში აღმოაჩინეს ძვ. წ. VI-IV სს-ის სამაროვანი (600 კვ.მ). გაითხარა 30 ორმოსამარხი, მათგან 12 გადახურული იყო ფილაქვებით. სამარხები ინდივიდუალურია. მხოლოდ ერთ სამარხში იყო დაკრძალული ორ-ორი მიცვალებული. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ კიდურებმოხრილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით ან აღმოსავლეთით. სამარხებში აღმოჩნდა: ქოთნები, დოქები, ჯამები, კოჭობები; რკინისა და ბრინჯაოს იარაღი და სამკაულები: მოხრილი დანები, შუბისპირები, სამაჯურები, საყურეები, საკინძები, ჯაჭვის ფრაგმენტები, ქსოვილისა და ტყავის ნაშთი და სხვ. ორ სამარხში მიცვალებული ესვენა მათ ქვეშ მდებარე სამარხების გადამხურავ ფილაქვაზე, სრულიად უინვენტაროდ (შეწირული ადამიანის სამარხი) (ბერაძე, 1980, 14-17; სძა, 1990, 172).

ქასრაანთ მიწები – სახნავი მიწა, იგივე ქასრაანთ მამულები (ქვემო ჩოჩეთი).

ქასრაანთუბანი – ქასრაძეების უბანი ციხისუბანში, აღმოსავლეთით, მდ. კავთურას მარცხენა ნაპირზე. რესპ. ა. ქასრაძე: „ქასრაძეებმა თბილისში წასვლის შემდეგ კასრაძეებად გადაიკეთეს გვარი". რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ერთი ოჯახია, ერთი ძმა – ჩირია (ნოდარი) – იყო კასრაძე, მეორე – ქასრაძე. დანარჩენები იყვნენ ქასრაძეები, ამიტომ ჰქვია ქასრაანთუბანი, ანუ ქასრაძეების უბანი".

ქასრაანთხევი – სოფ. ეზატის ბოლოდან, ჩრდილოეთიდან, იწყება ხევი, რომელიც გამოივლის გრძელეებს, შემდეგ – ციხისუბნის ნაწილს, შემდეგ – სოფ. ქვემო ჩოჩეთის მიწებს და ჩოჩეთშივე მთავრდება. ხევის დასაწყის მონაკვეთს უწოდებენ ზავრადაანთ ხევს, შემდეგ მონაკვეთს – ნიკას ხევს. ნიკას ხევის გაგრძელებაა ქასრაანთხევი, რომელიც სოფ. ქვემო ჩოჩეთში გაივლის ქასრაანთ მიწებს და ტეტიას სერთან მთავრდება, მერე იწყება ხრამები. ქასრაანთხევი უერთდება ხრამებს. 1981 წლის ჩანაწერი: „კაკლებით დაფარულ ადგილს შუაში ჩამოუდის ხევი".

ქასრაანთხევის წყალი – წყალი, რომელიც მიედინება ქასრაანთხევში, შესაბამისად, ციხისუბნის მიწებსაც გამოივლის და ჩოჩეთსაც.

ქასრაანთ წყარო – წყარო ციხისუბანში, ქასრაძეების უბნის ჩრდილოეთით, გზის პირას. წყლის ნაკადი დიდი იყო, ამიტომ ორი მილით გამოიყვანეს.

ქაქუცას გორა – შემაღლებული ადგილი, სასაფლაო, იგივე აბაზაანთ კაკლები (ეზატი).

ქაჩალა გორა – ტიტველი, „მელოტი", გორა სოფ. ეზატში, კავთისხევი-ახალქალაქის გზის მარჯვენა მხარეს.

ქებაანი – ნასოფლარი კავთისხევის თემში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, კარიერის ჩრდილო-დასავლეთით მიმდებარე დაბლობ ადგილზე. ზღვის დონიდან 520 მ-ზე, კასპიდან დაშორებულია 5 კმ-ით. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელს მოსახლეობა არ ჰყავს (საქ. მოს. აღწ., 2002). რესპ. ი. ქსოვრელი: „პატარა სოფელი იყო, 8-10 ოჯახი ცხოვრობდა. მერე კარიერის გამო მეწყერმა წაიღო მთელი სოფელი, თავის სახლებიანად მტკვარში გადაყარა, საქონელიც. ხალხი ადრევე გაიხიზნა. იქაურ მიწებს, მამულებს, ქსოვრისს, ანუ ქსოვრელების კუთვნილს ეძახდნენ. ქებაანში იდგა სამება და ღვთისმშობელი" (იხ. ქებაანის სამების ეკლესია; ქებაანის

ღვთისმშობლის ეკლესია). რესპ. გ. შაყულაშვილი: „ქებაანის პირველი მაცხოვრებლები ქებაძეები იყვნენ. კირქვის მოპოვება რომ დაიწყეს, სოფელში მიწა მოწყდა და ოჯახები ჩაიტანა მტკვარში, ადამიანები გადარჩნენ“. რესპ. ზ. აბუაშვილი: „სოფელი სულ ნახევარ კილომეტრზე იყო, თუმცა მჭიდრო დასახლება. ძველი სასაფლაო იყო. ქებაძეების გარდა, ცხოვრობდნენ აბუაშვილები, მარჯანიძეები, ქსოვრელები“. როგორც ვ. მაღრაძე აღნიშნავს, საქართველოს დასახლებული პუნქტებისა და უბნების სახელთა შორის საყურადღებოა **-ან** დაბოლოებიანი სოფლის სახელები, რომლებიც მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს კუთვნილებაა (მორბედა-ან-ი, ქელეხსა-ან-ი, მირზა-ან-ი), მათ შორისაა ქებაანი (ქებაძე → ქებაძ-იანი → ქება-ან-ი) (მაღრაძე, 2006, 51-52).

ქებაანის სამების ეკლესია // სამება – ეკლესია, ქსოვრელების სალოცავი, ნასოფლარ ქებაანის დასაწყისში. რესპ. ი. ქსოვრელი: „ჩვენი, ქსოვრელების, ნამდვილი სალოცავი იყო, პატარა ძველი ტაძარი. ყოველ წელიწადს მამაპაპურად მივდიოდით იქ და ვლოცულობდით, მაგრამ რამდენიმე წლის წინ დაინგრა, კარიერზე რომ სამუშაოები იყო. რამდენიმე ქვა წამოვიღეთ და ქვემო ჩოჩეთში ავაშენეთ სამება. სამება ჩვენი იყო ქებაანში და ახლა ამოტანილია აქ, ახალ სასაფლაოზე“ (იხ. ქვემო ჩოჩეთის სამების ეკლესია; ტეტიას სერი).

ქებაანის ღვთისმშობლის ეკლესია – ეკლესია ნასოფლარ ქებაანის დასაწყისში, ქებაანის სამების ეკლესიის ახლოს, 50-60 მ-ზე. შემორჩენილია ნანგრევები.

ქედნების წყარო – წყარო წიფორში. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ქედნები სხდებოდნენ, იმდენად პატარა იყო, რომ ბევრნი რომ დასხდებოდნენ, დაშრებოდა“.

ქვაკაცები // ქვაკაცეები – კლდეები სოფ. გუდალეთის, კერძოდ, თაგვიაშვილების უბნის, სამხრეთით, დაახლოებით 3 კმ-ზე, კვირაცხოვლის ნიშის ზევით, გადმოჰყურებს დავითოს მიწებს, იქვეა სათიბები და ტყე. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „კლდეებია და, როგორც კაცები, ისე დგას. ეს კლდეები გადმოჰყურებს დავითოს მიწებს. იმ კლდეებს ქვაკაცებს ვეძახით იმიტომ, რომ კაცებივით დგანან. სახტად დარჩები, რატომ არის ესეთიო“.

ქვაკაცეები – კლდეები, იგივე ქვაკაცეები (გუდალეთი).

ქვაკაცია – ტყე სოფ. გუდალეთის სამხრეთით, ქვაკაცების სიახლოვეს.

ქვეითუბანი – უბანი, იხ. ზეითუბანი (მირიანი).


ქვემო შუბათი – მთა, ნასოფლარი, საძოვარი მთაში (იხ. შუბათი).

ქვემო ჩოჩეთი – სოფელი კავთისხევის თემში, ციხისუბნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. კავთურას მარცხენა ნაპირზე, ციხისუბანსა და სოფ. ხანდაკს შორის, კასპი-კავთისხევის გზის ორივე მხარეს; ზღვის დონიდან 510 მ-ზე, კასპიდან დაშორებულია 10 კმ-ით (ქსე, 1986, 517). რესპ. ჯ. სოლოლაშვილი: „ჩოჩეთი რას ნიშნავს, არ ვიცი, მაგრამ ქვემო იმიტომ ჰქვია, რომ არსებობს ზემო ჩოჩეთიც[24] ახალქალაქში, სოფელია. ქვემო ჩოჩეთში ქართველები ცხოვრობენ, ზემო ჩოჩეთი – სომხები“. 1981, 1988 წლების ჩანაწერებით: „ეს ადგილი თითქოს ჩამოჩოჩებულია“. ქვემო ჩოჩეთის ძირითადი უბნებია: ნონიკაანთ (ნონიკაშვილების), ხუციაანთ (ხუციშვილების), ფარუაანთ (ქსოვრელების) უბნები და ჭოტისუბანი. რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ნონიკაანი და ხუციაანი უძველესი უბნებია. ჭოტისუბანი და ფარუაანი – შედარებით ახალი. ჭოტისუბანი, ერთი, 50 წლის წინ დასახლდა. ჩემს ბავშვობაში აქ მამული გვქონდა და ვერ გამოივლიდი, სულ კაკლებით იყო დაბურული. ძირითადად ქსოვრელები ცხოვრობენ, ამოსულები არიან ქებაანიდან, ქსოვრისიდან. ფარუაანთუბანშიც ქსოვრელები არიან (ფარუაანი ქსოვრელების შტოგვარია)“. ქვემო ჩოჩეთში ოთხი ეკლესია დგას: სამი ძველი – აბუაანთ საყდარი, ნონიკაანთ საყდარი, ხუციაანთ საყდარი, და ერთი ახალი – სამება (იხ. ქვემო ჩოჩეთის სამების ეკლესია). შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ნონიკაანთ საყდარი ოდნავ ქვემოთ არის, ვიდრე აბუაანთი, ერთმანეთს დაშორებულია 300-ოდე მეტრით. ორივე ნონიკაანთუბანშია. ხუციაანთ საყდარი სოფლის ბოლოსკენაა, ჩრდილოეთით, ქვემო ხანდაკისკენ. ახლა აშენდა ახალი ტაძარი, სამება, ტეტიას სერზე“.

ქვემო ჩოჩეთის სამების ეკლესია – ახალი ეკლესია სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. ქვემო ხანდაკისკენ, ტეტიას სერზე. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე

---

[24] **ზემო ჩოჩეთი** – სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის თემში, მდებარეობს მდ. თეძმის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. ზღვის დონიდან 600 მ-ზე, კასპიდან დაშორებულია 14 კმ-ით (ქსე, 1979, 512).



სოფ. ქვემო ჩოჩეთის ახალი სასაფლაოა (იხ. ტეტიასერი). რესპ. ი. ქსოვრელი: „ქსოვრელებს სალოცავი გვქონდა ქებაანში, მაგრამ დაინგრა. რამდენიმე ქვა წამოვიღეთ და ქვემო ჩოჩეთში ავაშენეთ სამება, ახალ სასაფლაოზე, ტეტიას სერზე. აბუაანიც, ნონიკაანიც, ქსოვრელებიც ახლა ამ ახალ სასაფლაოზე იკრძალებიან“ (იხ. ქებაანის სამების ეკლესია). რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ნასოფლარ ქებაანში იყო ძირითადი ძველისძველი ტაძარი, სამება. იქ დაინგრა, კედლებიღა დარჩა. კარიერია, ცემენტის მასალას იღებდნენ და აფეთქებებისაგან დაირღვა მთა, წავიდა მტკვრისკენ და საყდარიც მოირღვა. ქვემო ჩოჩეთის სამება ქებაანის სამების ფილიალია“.

ქვემო ხანდაკი – სოფელი კავთისხევის თემში, ჩრდილოეთით, მდინარეების – კავთურასა და მტკვრის – შესართავთან, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 520 მ-ზე. კასპიდან დაშორებულია 8 კმ-ით (ქსე, 1986, 517). მდინარე კავთურას ხეობა სოფ. ქვემო ხანდაკს ორ ნაწილად ყოფს. სოფლის ძირითადი ნაწილი მდინარის მარცხენა ნაპირზეა, მარჯვენა ნაპირზე კი უფრო პატარა

დასახლებაა, რომელსაც გაღმაუბანს უწოდებენ (ცხოვრობენ ძირითადად კაკალაშვილები). კავთურას გამოღმა კომპაქტურად სახლობენ ადამაშვილები, უსანეთაშვილები, ფარსაღაშვილები, ლაშქარაშვილები. რესპ. მ. მამულაშვილის ცნობით, დანარჩენი გვარის წარმომადგენლები სოფელში გაფანტულად ცხოვრობენ. სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია არსებობს: „ადრე ეს ადგილი დაფარული ყოფილა გაუვალი ტყით. მეზობელ სოფელში მირიან მეფეს თათართა უფროსი ეწვია, რომელსაც თან ახლდა და, ხანიდა. ნადირობის დროს ხანიდა ტყეში დაიკარგა. ამის შემდეგ აქ დააარსეს სოფელი და ხანიდას პატივსაცემად ხანდაკი უწოდეს“ (1981, 1988 წლების მასალები). რესპ. მ. მამულაშვილი: „ამბობენ, ხანდაკი იმიტომ ჰქვია, რომ კავთურამ ხანი დააგდოო. ე. ი. კავთურა ჩამოდიოდა ამ სოფლის ტერიოტორიაზე. ამას იმით ასკვნიან, რომ ქვებით არის სოფლის ტერიტორია მოფენილი – კავთურას ქვები ჩამოაქვს, კლდე იშლება, ლოდებია მოფენილი. მერე კავთურამ ნელ-ნელა დააგდო ეს ტერიტორია, ხანი დააგდო და ჩავიდა იქ, სადაც ახლა მიედინება, სოფლის აღმოსავლეთით. ჯავახიშვილი წერს, რომ ხანდაკი სამხედრო დანიშნულების სანგარს ნიშნავს. ე. ი. ამ ადგილს რაღაც სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. ალბათ, ეს ვერსია უფრო სწორია. იმდენი ნანგრევია ძველი ციხისა, სათვალთვალო კოშკიც გვაქვს, თავდაცვითი კოშკიც. ახლაც სამხედროებს რაღაცები აქვთ მოწყობილი. ახალქალაქში არის ზემო ხანდაკი. ალბათ იმასაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ან ომიანობის დროს აქედან წასული ხალხი იქ დასახლდა და იმ ადგილსაც ხანდაკი დაერქვა. ქვემო ხანდაკი, მგონი, უფრო ძველია“. ქვემო ხანდაკში დგას მთავარანგელოზის (იხ. ქვემო ხანდაკის მთავარანგელოზის ეკლესია), ღვთისმშობლის (იხ. ჩიქოვნების საყდარი) და წმინდა გიორგის ეკლესიები (იხ. პატარა საყდარი), აგრეთვე ორი კოშკი – საყარაულო და თავდაცვითი (იხ. კოშკი). სოფლის სამხრეთით, ქედზე, აღმოაჩინეს ნასოფლარი და ეკლესია: „ნასოფლარზე გამოვლინდა ნასახლართა ნაშთები. აქვე დგას რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია (3,5 X 2 მ). [ეკლესია] ძლიერ დაზიანებულია. შესასვლელი დასავლეთიდანაა. აფსიდი ნახევარწრიულია... აფსიდის კედელზე მიდგმულია სატრაპეზო ქვა“ (სძა, 1990, 209).

კავთისხევ-ქვემო ხანდაკის გზა – კავთისხევიდან (ციხისუბნიდან) სოფ. ქვემო ხანდაკში მიმავალი გზა. კავთისხევიდან კასპში მიდის მთავარი გზა, რომელიც კასპის მისადგომებთან, ხიდამდე, იყოფა, მთავარი გზიდან აღმოსავლეთით უხვევს და გადადის ქვემო ხანდაკში.

ქვემო ხანდაკის მთავარანგელოზის ეკლესია // მთავარანგელოზი – ეკლესია სოფ. ქვემო ხანდაკში, სოფლის აღმოსავლეთით 1 კმ-ზე. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (5,5 X 4 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. არქიტრავიანი შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია, მის ორივე მხარეს – თითო სწორკუთხა ნიში. სამხრეთ და დასავლეთ კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, ნაწყობია აგურით (სძა, 1990, 208-209). რესპ. მ. მამულაშვილი: „ძველი ეკლესიაა, სოფლის ბოლოში, გაღმაუბანში. ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე სოფლის ძირითადი სასაფლაოა“ (იხ. მთავარანგელოზის სასაფლაო).

ქსილისი – ქედი სოფ. გუდალეთის სამხრეთით, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ განშტოება. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „შუბათიდან რომ მოჰყვება მთა, ეგ არის პირიქითი ქსილისი, იქით მხარე მანგლისს ეკუთვნის, აქეთ, წყალგადმოსაქცევი რაც არის და სათავეს იღებს გუდალურა, გუდალეთს ეკუთვნის“. ა. თაგვიაშვილი: „ქსილისის იქით მანგლისისა არის. გუდალურას აქეთ ჩვენია. წყალი, რაც გადმოიღვრება, ის გვეკუთვნის ჩვენ. ქსილისიდან რა წყალიც ჩამოდის, იქ შეკრებილი წყლებია. გავაზურიდანაც რაც ჩამოდის, ყველა ჩადის კავთურაში“. გ. შაყულაშვილის მოსაზრებით, ქსილისი ნაგენიტივარი სახელია და „უნდა ნიშნავდეს ქსილის მქონეს, ქსილიანს“. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ამ სიტყვის ფონეტიკური სახეცვლილებაა „ქსინი“, რომელიც ხევსურულ დიალექტში „შემოდგომის ცივ ქარს“, „ამინდს“ ნიშნავს. „ამგვარად, ქსილისი შეერქვა იმის გამო, რომ იმ მთიდან ალბათ უბერავდა ცივი ქარი და ამინდიც იყო მასზე დამოკიდებული. ეს ადვილი შესაძლებელია, რამდენადაც ქსილისის მთის სიახლოვეს თოვლი დიდხანს ინახავს თავს“ (შაყულაშვილი, 1975). რესპ. ჰ. ნიტაიშვილი: „ამბობენ, ქსილისში რომ სეტყვა მოვიდოდა, მუხრაანში ვენახს აფუჭებდაო, ქსილისზე რომ ქარი დაუბერავდა, მუხრაანამდე აღწევდაო. შეიძლება დამთხვევა იყო“.

ქსოვრელაანი // ქსოვრისი – ნავენახრები, სახნავები სოფ. ქვემო ჩოჩეთის ჩრდილოეთით, კავთისხევ-კასპის გზის დასავლეთით, კარიერის მიმდებარე ტერიტორია. რესპ. ი. ქსოვრელი: „თავის დროზე კახეთიდან წამოსული უზნაძეების თავდაპირველი დასახლების ადგილი იყო კავთისხევში. მარილიანი მიწებია. თუ არ მოირწყა და მარილი დაბლა არ წავიდა ნიადაგში, მოსავალი არ მოდის. მაგრამ, თუ მორწყავ, განსაკუთრებული მოსავალი იცის. მლაშეა მიწა. გვერდით, ლოდებთან, ჩვეულებრივი მოსავალი მოდის. სამაგიეროდ, აქაური საქონლის ხორცი უფრო გემრიელია, ვიდრე, ვთქვათ, გუდალეთისა, იმიტომ რომ მიწა მარილს შეიცავს. ქებაანთ საქონელს მეოთხედი უნდა მარილი და გუდალეთში მარილით ვერა ძღება“. რესპ. გ. გიგაური: „კარიერის დაჩების დაბლა მიწებია, ქებაანის მიმდებარე ტერიტორია, სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს. ქსოვრელების კუთვნილი ვენახები იყო, ქსოვრელები მერე გადაასახლეს და ნავენახრები დარჩა“.

ქსოვრისი – ნავენახრები, სახნავები, იგივე ქსოვრელაანი (ქებაანი).

ქუცი მიხაანთ გორა – გორა, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია სოფ. ეზატში, ჩივაანთუბანში (იხ. იაანთუბნის ეკლესია). ქუცი მიხა, იგივე მიხა რაზმაძე, მწყემსი, მენახირე, იქ ცხოვრობდა.

ღელიმიწა – სახნავები სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბანში, კირკიტეების მიმდებარე ტერიტორია, პეტრეს კაკლის გვერდით. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „სოფელში რომ შემოდიხარ, თაგვიაანთუბანში, გზის ზევიდან, დასავლეთით, ვაშლიმინებია, გზის ქვევით – კირკიტეები. ღელიმინები კირკიტეების დაბლაა. ვაკე ადგილია, ღელე იქ არ არის. ღელიმინა იმიტომ ჰქვია, რომ იქ მოსავალი აღელდებოდა. როცა კარგი მოსავალი მოდის, ვამბობთ, მოსავალი ღელავსო. ღელიმინაზეც, როგორც გინდა დაგეთესა, სულ ღელავდა მიწა, ამიტომ ერქვა ღელიმინა“.

ღვარები – ვაკე ადგილი, ხილის სანამყენე (60 ჰა), ხეხილის ბაღები ორსაქცევის სამხრეთით, გორი-თბილისის გზის (იმავე საქართველოს სათადარიგო სამხედრო გზის) სამხრეთ მხარეს. რესპ. ვ. ოთიაშვილი: „ნოსტიდან წვიმის წყალი რომ ჩამოვარდებოდა, ახაშნის ხევს გამოიღლიდა და აქ ჩამოდიოდა ღვარები“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ახაშნისა და ნოსტის ხევიდან შეკრებილი ნიაღვრის წყლები იშლებოდა ამ ვაკეზე“. რესპ.

ო. ზაქარიაშვილი: „ჩვენი (კავთისხევის) და ახალქალაქის მიჯნაზეა. შუაუბნის ყოფილი ნაკვეთი იყო. მეურნეობა რომ გაერთიანდა, საერთო სარგებლობისა იყო, მაგრამ ეკუთვნოდა შუაუბანს. ახაშნის ხევში იკრიბებოდა ნიაღვარი, მიდიოდა და სულ ხრამები ჰქონდა გაკეთებული მაგ ღვარებში. გაასწორებდნენ, ისევ დახრამავდა. მერე, მეურნეობა რომ ჩამოყალიბდა, ეს წყალი გამოიყვანეს, დაიცვეს ეს ნაკვეთი, ნამყენი ჩაყარეს, ვაზი“. 1981, 1988 წლების მასალები: „ღვარები არის მინდორი, სახნავი. მდებარეობს ახალქალაქისკენ, შარაგზის ზემოთა მხარეს“.

ღვთისმშობელი – ღვთისმშობლის ეკლესიები კავთისხევში: 1. აბუაანთ საყდარი (ქვემო ჩოჩეთი); 2. ბოტისის ღვთისმშობლის ეკლესია (ბოტისი); 3. გუდალეთის ღვთისმშობლის ტაძარი (გუდალეთი); 4. კავთის ღვთისმშობლის ეკლესია (თვალადი); 5. ქებაანის ღვთისმშობლის ეკლესია (ქებაანი); 6. ჩიქოვნების საყდარი (ქვემო ხანდაკი).

ყაყუტას ნაკაფი – ადგილი სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბანში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ყაყუტა იყო მოდრეკილაძე. მახსოვს, რომ კრამიტს აკეთებდა. ყაყუტა მეტსახელი იყო და, კაი სახელი რა ერქვა, არ ვიცი. ასე იხსენიებენ – ყაყუტას ნაკაფი. მიწა ნაკლები ჰქონდათ და ტყეს კაფავდნენ ხოლმე. ცოტაღა ეტყობა ნაკაფი. მერე კოლმეურნეობამ სახნავ-სათესად ვერ გამოიყენა და ისევ გატყევდა“.

ყაჭიაანთეული – ნაკვეთები ქებაანში. რესპ. ზ. აბუაშვილი: „მფლობელები რა გვარის იყვნენ, არ მახსოვს. ალბათ წინაპარი იყო ყაჭია“.

ყველაძიაანთუბანი – ყველაშვილების მიკროუბანი სოფ. გუდალეთში, მოდრეკილაანთუბნის გაგრძელებაზე, აქვსენტაანთ მიკროუბნის გვერდით. რესპ. ვ. ყველაშვილი: „ცხოვრობენ ყველაშვილები, 3-4 ოჯახი. შეცდომით ყველაძეებსაც ეძახიან“.

ყორული – შემაღლებული ადგილი სოფ. ქვემო ჩოჩეთში, მდ. კავთურას მარჯვენა ნაპირზე. ამ ადგილზე, გორის ზედაპირზე, არქეოლოგებმა აღმოაჩნეს ანტიკური ხანის ნამოსახლარი და ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სძა, 1990, 169).

ყორული – ადგილი სოფ. ქვემო ხანდაკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. რესპ. მ. მამულაშვილი: „ყორული ქვით შემოკავებულ ტერიტორიას

უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ყორის ან ქვის ნაშთი იქ არ ჩანს. ყორული არის მინდორი. ერთმა ჭკვიანმა კაცმა კავთურიდან გამოიყვანა იქ რუ და რწყავდა ამ მინდორს. მერე, როცა წყალსაქაჩები დადგეს, ის რუ აღარ დასჭირდათ, თანაც კავთურა დაბლა ჩავიდა და ის რუ დარჩა მაღლა, ველარ ავიდა წყალი. მე გადმოცემით რომ ვიცოდი (იქ მიწა არ მაქვს), ვთქვი, თუ იმ კაცმა ეს გააკეთა, ე. ი. ის რუ არსებობს. მართალია, კავთურამ დაინია, მაგრამ რაღაც უნდა მოვძებნოთ საშველი-მეთქი. მოეუყარე ამას ყველაფერს თავი, ჩავაგდეთ მილი ამ რუში და ახლა ირწყვება ის მიწა. ასე რომ, იქ ერთი ხე არ იქნებოდა, ეს წყალი რომ არ გაგვეკეთებინა. ახლა ბაღებია და სიმინდს თესავენ".

ყრუველი – ნასოფლარი, სათიბი სოფ. გუდალეთის სამხრეთით, ნასოფლარ ვერხვეულის მიმდებარე ტერიტორია. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „იქ მცხოვრები ხალხი ნოსტეში ჩავიდა. მივარდნილი ადგილია, მიყრუებული, უხვედრი. სპეციალურად თუ არ წახვედი, ისე ვერ მოხვდები, შემთხვევითი გამვლელი იქ ვერ მოხვდება, გზად ვერ გაივლის".

ყრუ-მუნჯების წყარო – წყარო სოფ. ქვემო ხანდაკში, სათვალთვალო კოშკთან. რესპ. მ. მამულაშვილი: „ბიჭები ვმუშაობდით ქვემო ხანდაკის სატყეო მეურნეობაში. რომ ვიმუშავებდით, წავიდოდით მერე, თევზს დავიჭერდით, ვქეიფობდით. ერთხელ უფროსობასთან მივედით და ვუთხარით, ხელფასს რომ არ გვაძლევთ, ყრუ-მუნჯები ხომ არა ვართო და დაგვარქვეს ყრუ-მუნჯები. ეს წყარო ჩვენმა ჯგუფმა გააკეთა და ასე ამიტომ დაერქვა".

შავწყალა // შავწყალას წყალი // შავწყალები – პატარა წყაროები და ამ წყაროების მიმდებარე ტერიტორია, სახნავი მიწა მდ. კავთურას მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოსკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქვემო ქანდაკის მხარეს, კავთისხევ-კასპის საავტომობილო გზის აღმოსავლეთ მხარეს, აბუაანთ ჭალებში. წყაროები ერთდება და ჩაედინება მდ. კავთურაში. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „წინაპრებმა დაარქვეს ასე, რადგან ხავსი არის შავად მოდებული და წყალი სულ გაშავებულია. პატარ-პატარა წყაროებია, მაგრამ რომ ერთდება, ცოტა რაღაცა არის. ნიაღვარი თუ მოდის, მაშინ საკმაოდ დიდდება". რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „ჩოჩეთის ბოლოს მდ. კავთურას მონაკვეთს, სანამ მტკვარს შეუერთდება, ეძახიან შავწყალას – ხავსი იყო მოდებული ყველაფერს და შავი

ფერი ედო“. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, „ზედსართავი შავი მრავლად ქმნის სხვადასხვა სახის ტოპონიმს“, მათ შორის პოტამონიმებს (მდინარის, ნაკადულის სახელებს): შავღელე (ხობის მუნიც.), შავი არაგვი (დუშეთის მუნიც.), რუშავი (ზესტაფონის მუნიც.). ამგვარი წარმოებისაა შავწყალაც (შდრ. შავწყალა არის ლაგოდეხსა და გუდაუთაშიც) (მაღრაძე, 2006, 104).

შავწყალას წყალი – წყაროები, სახნავი მიწა, იგივე შავწყალა (ქვემო ჩოჩეთი).

შავწყალები – წყაროები, სახნავი მიწა, იგივე შავწყალა (ქვემო ჩოჩეთი).

შამპანურები // შამპანური – კავთისხევის საშამპანურე ღვინოების ქარხანა და მიმდებარე ტერიტორია სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქვემო ხანდაკის მხარეს. დაარსებულია XX ს-ის 50-იან წლებში. „რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „მოსახლეობას და კოლმეურნეობას აქ მოჰქონდათ ყურძენი და აბარებდნენ. 4 ქარხანა იყო: კავთისხევის, ზემო ხანდაკის, აღაიანისა და ფონიჭალის. მერე ეს ჯუჯა ქარხნები გააუქმეს და აშენდა ერთი დიდი ქარხანა. ღვინოც მზადდებოდა, მაგრამ, უპირველესად, შამპანური“. რესპ. ი. ქსოვრელი: „მანდ კახეთის ყურძენს არ ღებულობდნენ, იბარებდნენ მხოლოდ ჩინურს, რადგან საშამპანურე მასალაა. სხვა ჯიშებიც სცადეს, მაგრამ არ გამოვიდა“.

შამპანური – შამპანურის ქარხანა და მიმდებარე ტერიტორია, იგივე შამპანურები (ქვემო ჩოჩეთი).

შარა – გზა, იგივე ეზატის გზა (ეზატი).

შარაგზა – გზა, იგივე ეზატის გზა (ეზატი).

შატბერაანთ მამულები – კეძო ნაკვეთები, ბაღი სოფ. თვალადში, სამხრეთით, მდ. კავთურას მარცხენა მხარეს, ხვედრელიაანთუბნის მიმდებარე ტერიტორია, შაყულაანთუბნის მიჯნამდე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „შატბერაშვილებს კარგი ბაღი ჰქონდათ, კარგი ნაკვეთები მინდორში, სოფლის სამხრეთით. დიდი ბაღი იყო, 2 ჰა-მდე. თვითონ ცხოვრობდნენ ხვედრელიაანთუბანში, უბნის ჩრდილოეთ მხარეს, მინდორი კი ხვედრელიაანთან, ზედ გვერდზე, ჰქონდათ. შატბერაშვილების სახლი გადასცქეროდა მამულს“.

შატბერაანთ ნიში // შატბერაანთ საყდარი // ხვედრელიაანთ ეკლესია // ნიკოლოზი // ნიკოლოზობა // წმინდა ნიკოლოზი – წმინდა ნიკოლოზის ეკლესია სოფ. თვალადში, ხვედრელიაანთუბანში,

გორაკზე, ძველ სასაფლაოზე. თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (5,95 X 4,6 მ), ნაგებია მოზრდილი პირმოსწორებული ლოდებით, გამოყენებულია აგური. შესასვლელი სამხრეთიდანაა. შეკეთების დროს გაუფართოებიათ, კამარა დაუდაბლებიათ და ახლა აფსიდის სატრიუმფო თაღს უშუალოდ ერწყმის. დარბაზს ორი სარკმელი აქვს: სამხრეთისა ოთხკუთხაა, დასავლეთისა – თაღოვანი (სძა, 1990, 173). რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ნიკოლოზობა ხვედრელიაანთუბანშია, სამგლე გორაზე, შატბერაშვილების ნაკვეთში. ამ უბანში ორიოდე ოჯახი იყო შატბერაშვილებისა – მწერალ გიორგი შატბერაშვილის მამა და მისი შვილები ცხოვრობდნენ. გიორგი შატბერაშვილის პაპა მღვდელი იყო, ამ ეკლესიაში მსახურობდა". მ. ქვრივიშვილი: „ეკლესიის სახურავი იყო დაზიანებული, თითქმის მთლიანად ჩამოქცეული. 2004 წელს ქალბატონ თინა კოპაძის ინიციატივითა და ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით ეკლესია შეკეთდა".

შატბერაანთ საყდარი – ეკლესია, შატბერაანთ ნიში (თვალადი).

შატბერაშვილის ბიუსტი – მწერალ გიორგი შატბერაშვილის ბიუსტი. დგას ციხისუბნის ცენტრში, სპეციალურად შექმნილ მოედანზე (24 X18 მ). ბიუსტი დაიდგა 1981 წლის 9 ივნისს. ავტორები არიან: მოქანდაკე ჯ. თუშურაშვილი, არქიტექტორი ი. კავთიაშვილი. ძეგლის უკან, დაბალ კედელზე მარმარილოს სამი ფილაა. მარცხენაზე გამოსახულია მზე, ვაზი და ეკლესიის ფასადი, ქვეშ წარწერაა: „მკვდრის მზე". დანარჩენ ორ ფილაზე წარწერებია: „საჯილდაო ქვას მხოლოდ ხვთის ნათლულები თუ უზამენ ძვრას"; „ღმერთო, გვიცოცხლე ქართული სიტყვა ან და მარადის და უკუნისად" (სძა, 1990, 172).

შატბერაშვილის სახლი – ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი შატბერაშვილის (1910-1965 წწ.), სახლი სოფ. თვალადში, ამაღლებულ ბორცვზე, ხვედრელიაანთუბანში. „სახლი ნაგებია ქვით, ორსართულიანია, აქვს ღია აივნები, გადახურულია კრამიტით... ამ სახლში დაწერა მწერალმა მრავალი ლექსი, მოთხრობა, აქ შეაგროვა მასალა წიგნისთვის „თვალადური ქართული ჭაშნიკი" (სძა, 1990, 163).

შაყულაანთ კალოები – კალო, იგივე გაბრუშკაანი (შუაუბანი).

შაყულაანთუბანი // შაყულაანი – უბანი შუაუბანში, შუაუბნისა და სოფ. თვალადის მიჯნაზე. აქვს მიკროუბნები: პატარა (იქითა) შაყულაანი და შაყულაანი. ორივეგან ძირითადად შაყულაშვილები ცხოვრობენ. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „პატარა შაყულაანი ესაზღვრება სოფ. თვალადის ონოფრიაანთუბანს. ორივე შაყულაანი მდებარეობს მდ. კავთურას მარცხენა მხარეს. პატარა შაყულაანსა და შაყულაანს ყოფდა ბაღები. აღიქმება შუაუბნის ცენტრად“. რესპ. გ. შაყულაშვილის ინფორმაციით: შუაუბანში ორი შაქრო შაყულაშვილი ცხოვრობდა (ბიძაშვილები): დიდშაქარა (უფრო შეძლებული, სხვა ვერსიით – უფრო მაღალი) და პატარა შაქარა, რომელსაც უკავშირდება პატარა შაყულაანის წარმოშობა.

შაყულაანთ საბანაო – საბანაო მდ. კავთურაზე, შუაუბანში, მონასელიაანთ ხიდთან.

შაყულაანთ წისქვილი – წისქვილი შუაუბანში, მდ. კავთურას მარცხენა მხარეს, შაყულაანში, პატარა შაყულაანთან, მონასელიაანთ ხიდის ქვემოთ.

შაყულაანი – უბანი, იგივე შაყულაანთუბანი (თვალადი).

შეშაბერიაანთუბანი // შეშაბერიაანი – შეშაბერიძეების უბანი სოფ. თვალადის ჩრდილოეთით, კავთის ეკლესიის სამხრეთით, ნოქარაჯანთუბნის ჩრდილოეთით. ონოფრიაანთუბნის გვერდით. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „შეშაბერიაანი რვაწლედი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზეა. გზა ყოფს ნოქარაანთა და შეშაბერიაანთა, ნოქარაანი იქნება სამხრეთით, შეშაბერიაანი – ჩრდილოეთით. შეშაბერიაანთგან გადის მოდრეკილაანი და მოდრეკილაანთ გაგრძელებაა მერე კავთიაანი“.

შეშაბერიაანთ საყდარი – ძველი საყდრის ნანრევები სოფ. თვალადის სამხრეთით, შეშაბერიაანთ კაკლებში, ტყისპირზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ვიწრო მორევს ზემოდანაა, შეშაბერიაანთ ნაკვეთები იყო იქ – შეშაბერიაანთ კაკლები. პატარა ნიშია, ქვით აშენებული“.

შეშაბერიაანთ კაკლები // შეშაბერიაანთ მიწები – დიდი ნაკვეთები (17 ჰა), საყანე მიწა სოფ. თვალადის სამხრეთით, გუდალეთისკენ. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „შეშაბერიძეები თვალადში ცხოვრობენ, მაგრამ ნაკვეთი შორს არის, გუდალეთისკენ, გუდალეთის გზა რომ გამოდის, ხოკერაანთ გზა, იმ გზის ქვემოდან, ვიდრე მოვალთ ტურისწვერამდე, საყარის ზემოდან. შეშაბერაანთ რამდენიმე

ოჯახს კიდეც უცხოვრია მანდ. მთელი ეს ნაკვეთები სულ მაგათი იყო. იქვე არის შეშაბერიაანთ საყდრის ნანგრევებიც". რესპ. ვ. ყველაშვილი: „კაციაანთხევის გადმოღმაა, მომიჯანავეა გუდალეთისა".

შეშაბერიაანთ მიწები – ნაკვეთები, საყანე მიწა, იგივე შაყულაანთ კაკლები (თვალადი).

შეშაბერიაანი – უბანი, იგივე შეშაბერიაანთუბანი (თვალადი).

შიმშილა // შიმშილები – სახნავ-სათესი მიწა, დასახლება სოფ. ქვემო ჩოჩეთში, ჭოტისუბნის ზემოთ. რესპ. ი. ქსოვრელი: „ღარიბი მიწაა. მზვრის მიწებზე კარგი მოსავალი მოდის და ჩვენთან (შიმშილებზე) ძალიან მწირი მოსავალი იცის. თუ სასუქი არ დაყარე, მოსავალი არ მოვა, ისევე როგორც ქსოვრისში". 1981, 1988 წლების მასალები: „ქარიანი ადგილია, თანაც უსასუქო. მშიერი მიწაა, ამიტომ დაარქვეს ეს სახელი".

შიმშილები – სახნავ-სათესი მიწა, იგივე შიმშილა (ქვემო ჩოჩეთი).

შიოს წყარო – წყარო ნასოფლარ ტყემლიანაში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ცივი წყალია. ნეტა, ერთი ჭიქა რო დალიო და დაჯდე გვერდზე, გაგაბაბანებს".

შუაუბანი – უბანი სოფ. კავთისხევში, მდებარეობს მდ. კავთურას ორივე ნაპირზე, კავთისხევის ცენტრიდან დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით. სამხრეთით ესაზღვრება სოფ. თვალადი, დასავლეთით – სოფ. ეზატი, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით – ციხისუბანი. შუაუბნის მიკროუბნებია: მონასელიაანთ, შაყულაანთ, პაპიაანთ, მთიულთ, ზავრადაანთ, მორჩილაძეების, კანდელაკიაანთ, აღაპიაანთუბნები. ერთი მოსაზრებით, შუაუბანი უკვე დამოუკიდებელი სოფელია და არა სოფ. კავთისხევის უბანი (იხ. გვ. 23-28).

შუაუბნის რუ – რუ შუაუბანში (იხ. დიდრუ).

შუაუბნის სკოლა – იტორიული სკოლა სოფ. კავთისხევში, შუაუბანში. სკოლა „XIX ს-ში ააგო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. შენობა ერთსართულიანია. სკოლაში კავთისხევის სცენის მოყვარულებმა 1881 წლის 6 მაისს წარმოადგინეს ა. ცხვედაძის კომედია „ბედნიერი ქორწილი". ამის შესახებ გაზეთი „დროება" საგანგებოდ აღნიშნავდა: „კავთისხევში ზოგიერთმა ახალგაზრდა ქალ-ვაჟმა განიზრახეს საზოგადოებისათვის წარმოდგენის გამართვა, რომლის დედააზრი

ის არის, რომ დაეხმარონ სოფლის ღარიბ მოსწავლეებს, რათა სხვაგან გააგრძელონ სწავლა ნიჭიერებმა"... ამ სცენაზე სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ ცნობილი მსახიობები" (სძა, 1990, 172).

შუბათი – მთა, ნასოფლარი, საძოვარი მთაში, ქსილისის მთის სამხრეთით. ორი შუბათია – **ზემო** და **ქვემო**. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ქსილისს რომ ვხედავთ, იქ იყო ეგ სოფელი. ახლა ნასოფლარია, ნასახლარიც აღარ არსებობს, აღარაფერია. ერთადერთი სახლია, მახარიაანთ ბინას ეძახიან, გუდალეთის კოლმეურნეობა საწყობად ხმარობდა. ეს სახლი ისევ არის და ხმარობენ მწყემსები. პატარა სოფელი იყო, რომელიც შემდეგ ბარში ჩამოასახლეს. ქვემო შუბათი კავთურას ხეობაშია, სოფ. გუდალეთიდან 8-10 კმ-ის დაშორებით. ზემო შუბათი ბეჟანიაანთყელებთან ახლოს არის. მთელი ეგ ტყე და მთა სულ მაგ შუბათის იყო. ადრე არ ეკუთვნოდა კავთისხევს, ცალკე კოლექტივი ჰქონდათ, ცალკე სოფელი იყო და მერე შეუერთდა გუდალეთს – ერთ მეურნეობაში შედიოდა შუბათიც, წიფორიც და გუდალეთიც. გუდალეთს სამხრეთ-აღმოსავლეთით ეკვროდა წიფორი, წიფორს კი ეკვროდა ეგ მიწები. შემდეგ გუდალეთი შეუერთდა კავთისხევის საბჭოთა მეურნეობას. ახლა შუბათის მიწები გუდალეთსაც ეკუთვნის და თვალადსაც, ფლობენ სხვადასხვა სოფლის მცხოვრებნი". რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ვარჯაანიდან ავალთ ობოლკლდესთან. ობოლკლდიდან რომ გადავითავქვევებთ, ჩავივლით მოღობილას და ჩავალთ ქვემო შუბათში. დაახლოებით, 6 კომლი ზემო შუბათში იყო, 8 – ქვემო შუბათში. ორივე მიეკუთვნა გუდალეთს, 180 ჰა ჩვენ გვაწერია".

ჩალიანი // ჩალიანი ჭალა // ჩალიანი ხევი // ჩალიანი ხეობა – ჭალა სოფ. გუდალეთში, თაგვიაანთუბანში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ჩალიანი პატარა ადგილია. ჩალა არ იყო, უფრო ლელი ამოდიოდა. ადრე ტბასავით დგებოდა და კამეჩები ბანაობდნენ ხოლმე. ჩალიანს ვეძახდით, მერე კაკლები დარგეს". რესპ. ვ. ყველაშვილი: „თაგვიაანთუბნის გუდალურას ხეობას ვეძახით ჩალიან ხეობას, ჩალიანს. ახლა იქ ბევრი კაკალი დგას. ადრე დაბურული ტყე ყოფილა და თავის კერძო საქონელს თუ გარეკავდა ვინმე. ჩალასთან რა კავშირი აქვს, არ ვიცი".

ჩალიანი ჭალა – ჭალა, იგივე ჩალიანი (გუდალეთი).

ჩალიანი ხევი – ჭალა, იგივე ჩალიანი (გუდალეთი).

ჩალიანი ხეობა – ჭალა, იგივე ჩალიანი (გუდალეთი).

ჩაჩქანა // ჩაჩქანა ვენახები // ჩაჩქანეები – ბაღები, ვენახები შუაუბანში, მდ. კავთურას მარჯვენა მხარეს, ადამას ჭალასთან. რესპ. ა. მონასელიძე: „დევსურაანთუბნის მოპირდაპირე მხარესაა, ბარდაანთ თავზე სანამ ჩამოვალთ. ამ მიწაზე, რომელიც ტერასებადაა დაყოფილი, ჩამოდის კავთურა. დიდი სიმაღლე არ აქვს, მაგრამ წყალსავარდნი ადგილია, ჩანჩქერივით მოდის და ჩამოხრიალებს, ჩაჩქანას ამიტომ ეძახიან. ჩაჩქანას დასავლეთ მხარე კანდელაკებისა და დევსურაშვილებისა იყო, აღმოსავლეთ მხარე – მონასელიძეებისა. ჩაჩქანაზე კავთურას არხი რომ გაივლის, იმით ირწყვება მონასელიაანთ ბაღებიც და ბარდაანთუბნის გავლით, იდლეთშიც მიდის, კალატოზიშვილების უბანში.

ჩაჩქანა ვენახები – ბაღები, ვენახები, იგივე ჩაჩქანა (შუაუბანი).

ჩაჩქანეები – ბაღები, ვენახები, იგივე ჩაჩქანა (შუაუბანი).

ჩახერგილი ხევი – საძოვარი სოფ. გუდალთის სამხრეთით, თაგვიაშვილების უბნიდან 2 კმ-ზე. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „ხეობას ავყვებით, მერე იწყება ჩახერგილი ხევი. მოფერდავებული ადგილია, უხვედრი და ჩახერგილივით არის დაბლა. პატარა ვარჯაანი გადმოჰყურებდა“.

ჩახრიალა // ჩახრიელა – პატარა ჩანჩქერი კოდის რუზე, სოფ. თვალადში, თვალადის სკოლიდან დაახლოებით 150 მ-ზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „შიგ თვალადშია. საბჭოთა კავშირის დროს კოდის რუზე ააშენეს 4 მ-მდე სიმაღლის კედელი და იქიდან გადმოდის წყალი და ჩხრიალებს, ხრიალით ჩამოდის. წყალვარდნილია, ჩანჩქერი. იქ ისედაც იყო დაქანება, მაგრამ რომ გაეძლიერებინათ წყლის ვარდნის ძალა, ამოიყვანეს კედელი და მერე ამის თავზე რუ გაასწორეს. ის წყალი აბრუნებდა წისქვილს (ეს წისქვილი აღარ არის). ჩვენ ნაკვეთებს იქიდან ვრწყავდით. სოფ. ჩოჩეთში, იორამის გორას რომ უძახიან, იქ რწყავდა ჩახრიელიდან გასული წყალი“.

ჩახრიელა – ჩანჩქერი, იგივე ჩახრიალა (თვალადი).

ჩივაანთუბანი – უბანი, იგივე აბულაანთუბანი (ეზატი).

ჩივაანთუბნის ეკლესია – ეკლესია, იგივე იაანთუბნის ეკლესია (ეზატი).

ჩივაანთუბნის სასაფლაო // ჯაჯანაანთ სასაფლაო – სასაფლაო სოფ. ეზატში, ჩივაანთუბანში, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან (იხ. იაანთუბნის ეკლესია). რესპ. თ. კერესელიძე: „ამ სასაფლაოზე დაკრძალული არიან ჯაჯანაშვილები, ჩივა-

ანთუბნის მცხოვრებნი, მაგრამ, რაკი ჩივაანთუბანშია, შეგვიძლია მოვიხსენიოთ ჩივაანთუბნის სასაფლაოდაც, ოღონდ არა ჩივაძეების სასაფლაოდ, რადგან, როგორც ვიცით, არცერთი ჩივაძე ეზატში არ არის დასაფლავებული“.

ჩივაანთ წყარო // ჩივაძის წყარო – წყარო სოფ. ეზატში. რესპ. თ. კერესელიძე: „მდებარეობს გიორგი ჩივაძის ყოფილი საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, 50 მ-ის დაშორებით. გიორგი ჩივაძემ მოათხრევინა ეს წყარო, ჩამოიყვანა სოფელში და ააშენა ბეტონის ნაგებობა“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „მე ასე გამიგია, რომ ჩივაანთუბანში რომ წყალი გამოდის, იქიდან დაახლოებით 100 მ-ზე ყოფილა ხევი, სადაც ამოდიოდა ეს წყალი. ჩივაძეს მოუჭრია ხეები, მოუტანია, მორები ჩაუყრია შიგ, ხევში, ქვები ჩაუყრია, ხრეშიც, ეს დონე ამოუწევია და ჩამოუყვანია წყალი უბანში მილებით“.

ჩივაძის ბაღი – გიორგი ჩივაძის მიერ გაშენებული ხეხილის ბაღები სოფ. ეზატში, ჩივაძის საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ბაღებს ვარდის ღობეები ჰქონდა შემოვლებული.

ჩივაძისეული ბოსლები – ნაბოსლარი, იგივე ბოსლები (ეზატი).

ჩივაძის მარანი – მარანი სოფ. ეზატში, გიორგი ჩივაძის კუთვნილი ნაგებობის, ამჟამინდელი საბავშვო ბაღის, სარდაფში. რესპონდენტთა ინფორმაციით, გიორგი ჩივაძეს რაიონში საუკეთესო მარანი ჰქონდა.

ჩივაძის მიწა – გიორგი ჩივაძის ნასახლარი და მიმდებარე ტერიტორია სოფ. ეზატში. გაშენებული იყო ვენახები და ვარდის ღობეები.

ჩივაძის სახლი – გიორგი ჩივაძის კუთვნილი სახლი სოფ. ეზატში, ჩივაანთუბანში. თავის დროზე ამ სახლში იყო ჩივაძის მარანი, შემდეგ – კოლმეურნეობის კანტორა, შემდეგ – საწყობი. ამჟამად შენობაში საბავშვო ბაღი და სოფ. ეზატის დაწყებითი სკოლაა.

ჩივაძის წყარო – წყარო, იგივე ჩივაანთ წყარო (ეზატი).

ჩიტაანთ წყარო – წყარო, იგივე ოთიაანთ წყარო (ეზატი).

ჩიტას აგარაკი – ნასახლარი და მიმდებარე ტყე ნასოფლარ ტყემლიანაში. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ჩიტას ტყემლუანაში აგარაკი კი არ ჰქონდა, ცხოვრობდა, მაგრამ იშვიათად იყო სახლში. უფრო დიდ დროს გავაზურში ატარებდა, რადგან იქ მეტი მამული ჰქონდა, საძოვარი იქ მეტი იყო, მესაქონლე კაცი იყო, საქონელი

გადაჰყავდა. ახლაც არის ტყემლუანაში მისი ნასახლარი, მარტო ცხოვრობდა".

ჩიტუნაანთ გორა – ბორცვი შუაუბანსა და სოფ. ეზატს, კერძოდ, ოთიაანთუბანს, შორის, ბაგების ბოლოში, სამხრეთით. ჩიტუნაანი შაყულაშვილები არიან, შუაუბნის მცხოვრებნი.

ჩიქოვნების კოშკი – ჩაწერილია 1981, 1988 წლებში სოფ. ქვემო ხანდაკში. რესპონდენტი მ. მამულაშვილი ვარაუდობს, რომ, რადგან ჩიქოვანები ცხოვრობდნენ სოფლის ცენტრში, მთავარ (თავდაცვით) კოშკთან ახლოს, სწორედ ეს კოშკია ჩიქოვანებისა (იხ. კოშკი).

ჩიქოვნების ნასახლარები – ნასახლარები სოფ. ქვემო ხანდაკში. ჩიქოვანი ყოფილა მუხრან-ბატონის მოურავი. ჩიქოვანები ცხოვრობდნენ კოშკთან, იქვეა ნასახლარებიც.

ჩიქოვნების საყდარი // დედახვთისა // ღვთისმშობელი – ღვთისმშობლის ეკლესია სოფ. ქვემო ხანდაკის განაპირას, აღმოსავლეთით. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (6,2 X 4,5 მ), ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. აქვს ორი არქიტრავული შესასვლელი – სამხრეთით და დასავლეთით. დასავლეთის ფასადზე, კარს ზემოთ, კარგად გათლილ ქვიშაქვაზე ამოკვეთილია რელიეფური ჯვარი. ეკლესიის სახურავი ორფერდაა, გადახურულია ღარიანი კრამიტით (სძა, 1990, 209). რესპ. მ. მამულაშვილი: „ღვთისმშობელი ძველია, დაინგრა, მაგრამ ახლახან აღადგინეს. იქვე ჩიქოვნიაანთ გალავანია, გალავნის ნაწილი (იხ. ჩიქოვნიანთ გალავანი). გალავანს თაღი აქვს, ეკლესიაში გასასვლელი, და, შეიძლება, ჩიქოვნები ჰპატრონობდნენ ან, სულაც, მათ ააშენეს, ამიტომ ჩიქოვნების საყდარსაც ეძახიან".

ჩიქოვნების სახლი – ჩიქოვანებს ორი სახლი ჰქონდათ სოფ. ქვემო ხანდაკში: ერთი – სოფლის ცენტრში, კოშკთან; მეორე – გალავანში (იხ. გალავანი (2)). კოშკთან მდებარე სახლში სკოლა იყო გახსნილი. როცა ეს შენობა დაიწვა, სკოლა დროებით გალავნებში გადაიტანეს, მერე ისევ დააბრუნეს ძველ შენობაში, რომელიც აღადგინეს.

ჩიქოვნიაანთ გალავანი – გალავანი სოფ. ქვემო ხანდაკში. რესპ. მ. მამულაშვილი: „სოფლის შემოსასვლელში რომ გალავანია, ისიც ჩიქოვნებისა იყო (იხ. გალავანი (2)), მაგრამ ეს სხვა გალავანია – ჩიქოვნების ნასახლარებისა და ღვთისმშობლის ეკლესიის, იმავე

ჩიქოვნების საყდრის გამყოფი, თაღიანი. გალავანი საყდრისკენაც მიდიოდა და ჩიქოვნების სამოსახლოსაც ჰქონდა შემორტყმული“.

ჩულიაანთ ვენახები – სახნავ-სათესი მიწა ციხისუბანში. რესპ. ი. ქსოვრელი: „ჩულიაანი არიან ქსოვრელები, შტოგვარია. ქვემო ჩოჩეთის მაცხოვრებლები იყვნენ, მაგრამ ჩოჩეთის ტერიტორიაზე კი არ ჰქონდათ ვენახები, არამედ – ციხისუბნის ტერიტორიაზე, თხინვალიაანთ ქვემოდან, სადაც დიდი ვერხვები დგას. ამათი შესყიდული მამულები იყო და ჩუალიაანთ ვენახებს ეძახდნენ“.

ჩულიაანთხევი – ხევი ნასოფლარ ქებაანში. რესპ. ზ. აბუაშვილი: „როგორც მახსოვს, ვიღაცა დამხრჩვალა იქ, ჩულიაანი (ქსოვრელების შტოგვარია)“.

ჩქიფას წისქვილი – ნაწისქვილარი ადგილი ციხისუბანში, ბარდაანთუბნის ჯურდანაანთ მიკროუბანში. რესპ.: „ჯურდანაანთ სახლის წინ შუაუბნის რუ გამოდის, იმაზე იდგა ილა პაპას (ზაქარაშვილის), მეტსახელად ჩქიფას, წისქვილი. საკმაოდ დიდი წისქვილი იყო. შემორჩენილია ამ წისქვილის ბორბალი“.

ცალბილიკა – საფეხმავლო ხიდი მდ. კავთურაზე, სოფ. ქვემო ხანდაკის ბოლოს, დასავლეთით. რესპ. მ. მამულაშვილი: „კავთურა სოფელს ორ ნაწილად ყოფს. ეს ხიდი, მუხასთან რომ წყაროა, იქ გადის, გადადის კავთურაზე და ქვემო ხანდაკის გაღმაუბანს აერთებს სოფლის დანარჩენ, აქეთა, ნაწილთან. გაკეთდა დიდი სამანქანო ხიდიც“ (იხ. მუხის წყარო).

ცალქალამნიაანთეული – სახნავი სოფ. თვალადის სამხრეთით, სოფ. გუდალეთისკენ. რესპ. ვ. ყველაშვილი: „ცალქალამნიაანი (ცალქალამანიძეები) ცხოვრობდნენ თვალადში. თვალადისა არის ეგ მიწებიც, გუდალეთსა და თვალადს შორისაა, გუდალეთის ჩრდილოეთით მიმდებარე ტერიტორიაა“.

ცანცარას წყარო – წყარო სოფ. თვალადში, სამხრეთით, მისალოცავის ეკლესიის ზემოთ, ცანცარას ხევში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ცანცარა კაცის მეტსახელია, პატარა კაცი იყო, ქანქურა. ცანცარას ეკუთვნოდა ეს ნაკვეთი, სულ იქ იყო ეს კაცი. კაციაანთუბანში ხოკერაშვილები ცხოვრობენ, რამდენიმე ოჯახი. მათ უნდა გადაეყვანათ ეს წყარო უბანში, მილებიც მიიყვანეს, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან დაიკარგა. განა პატარა წყარო იყო, დიდი იყო. ახლა ერთი ნაწილი ამოდის ელექტროსადგურის ქვემოდან“.

ცანცარას ხევი – ხევი სოფ. თვალადის სამხრეთით, მისალოცავის ეკლესიის ზემოთ. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ცანცარას ხევზე წყალი გადმოდიოდა, ზედ ეკლესიის ზემოდანა, მაგრამ დაიკარგა“ (იხ. ცანცარას წყარო).

ციცინას ჭაობი // ციცნას ჭაობი – ტენიანი მიწა, სახნავი ფართობი სოფ. ეზატში, გორი-თბილისის გზის (იმავე საქართველოს სათადარიგო სამხედრო გზის) დაბლა, ჩრდილოეთით. რესპ. თ. კერესელიძე: „შეიძლება სახელი მომდინარეობდეს ციცინათელებისგან“. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „ციცინა ალბათ გამოჩენილი კაცი იყო და ის ჭაობები სულ მაგისი იყო. იქნებ პატარა და მორჩლი ტანის იყო, ციცქნას ჭაობი დაარქვეს და მერე შეიცვალა ციცნად“.

ციცნას ჭაობი – სახნავი, იგივე ციცინას ჭაობი (ეზატი).

ციხიაგორა // ციხის გორა – გორა, ნამოსახლარი, საძოვარი სოფ. ქვემო ჩოჩეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, განაპირას, კავთისხევიდან კასპისკენ მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, 500 მ-ზე, სადაც მდ. კავთურას ერთვის შავწყალა. 1981, 1988 წლების ჩანაწერები: „ამ გორას ახლოს ერთი პატარა წყარო ჩამოუდის, ასაბილიკებელი მხოლოდ ერთ მხარეს აქვს. შორიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ციხეა და ერთ ადგილას აქვს მისადგომი. ამიტომ ეწოდება ციხიაგორა – ციხის გორა“. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „ძველი ნაქალაქარია. არქეოლოგებმა გათხარეს და აღმოაჩნეს ძველი ციხე-გალავანი, რომელიც მიწაში იყო მოქცეული“. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, ციხიაგორას ნამოსახლარი შედგება: საკუთრივ ნამოსახლარის, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ნასოფლარ-ნადაბურისა და სამაროვნისგან. 1. ნამოსახლარი გორის სიმაღლე 12 მ-ია, თხემის ფართობი 0,5 ჰა. დადასტურდა 4 კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა: ადრე ბრინჯაოს (რამდენიმე ნაგებობის ნაშთი), შუა ბრინჯაოს (2 მცირე ზომის ყორღანული სამარხი (ძვ. წ. XVII-XVI სს.)), გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის (რამდენიმე ნაგებობის ნაშთი) და ანტიკური ხანის. დაახლოებით ძვ. წ. VI ს-ში მოსახლეობა ბარში ჩავიდა და გორის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით დასახლდა, გორა კი სალოცავი ადგილი გახდა. შემორჩენილია დიდი საზეიმო შენობის საძირკვლის ნაშთები. შენობა გაანადგურეს ანტიკური ხანის მოზრდილი კომპლექსის (ტაძარი, ბელელი, მარანი, სატრაპეზო, საცხოვრებელი შენობები

და ა.შ.) მშენებლობისას (ძვ. წ. IV-III სს.). ძვ. წ. III ს-ის შუა ხანებში სატაძრო კომპლექსი ხანძარს გაუნადგურებია. მის ნანგრევებზე შემდგომში გაცილებით მცირე მასშტაბის დასახლება ყოფილა (ძვ. წ. III-I სს.); **2**. ციხიაგორას აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან აკრავს ვრცელი (დაახლოებით 3 ჰა) ნამოსახლარი – ნასოფლარ-ნადაბური, სადაც გამოვლინდა სამი ფენა (ძვ. წ. VI-I სს.). ფენები მიწის ზედაპირიდან 20-25 სმ-ზეა განლაგებული, ამიტომ ძლიერ დაზიანებულია. მხოლოდ ნასახლართა მცირე ნაშთებია შემორჩენილი; **3**. სამაროვანი მოიცავს ორ უბანს: საყარაულო სერს და დაჭრილებს (იხ. საყარაულო სერი; დაჭრილები) (ცქიტიშვილი, 1977, 51-55; გვეტაძე, 1979, 15-17; მახარაძე, 1999, 57-66).

ციხის გორა – გორა, ნამოსახლარი, საძოვარი, იგივე ციხიაგორა (ქვემო ჩოჩეთი).

ციხისუბანი[25] – სოფ. კავთისხევის ისტორიული უბანი. მდებარეობს კავთისხევ-კასპის საავტომობილო გზის ორივე მხარეს, სოფ. ქვემო ჩოჩეთამდე. 1981, 1988 წლების ჩანაწერები: „ამ ადგილას ციხე ყოფილა. შემდეგ ირგვლივ უბანი გაუშენებიათ. ციხისუბანი კავთისხევის ცენტრად ითვლება, აქაა საბჭო, საავადმყოფო, კულტურის სახლი და სხვ. ამ უბანში თარხნიაანთ ციხე იყო და იმიტომ ეძახიან ციხისუბანსა“ (იხ. თარხნიაანთ ციხე). რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „ციხისუბანი იმიტომ არის ეს, რომ იყო და ბევრგან არის ნაციხარი, მაგრამ ვერ ადგენენ, რომელი ციხის გამო დაერქვა. სულ ახლო-ახლო იყო აქ ციხეები. აქვე იყო ერთი ციხე-სიმაგრე, ახლაც არის ნანგრევები კავთურას მარცხენა მხარეს, მდინარესთან ძალიან ახლოს, ქარაფოვანი კლდის თავზე. კოშკი იყო, სამალავი იყო. ბავშვობაში დამალობანას რომ ვთამაშობდით, იქ ვიმალებოდით. ვარდიკოს (ციხისუბნის ერთერთ მცხოვრებს) გამოტანილი აქვს ერთი დიდი ქვა იმ ციხის ადგილიდან და ყოველ ორშაბათს მიდის და იქ ლოცულობს. მაგან იცის ეგ ამბები: „აი მანდ, დაბლაო, დაფარებული გვაქ ფიცრებიო, სარდაფები ყოფილა და შეიძლება ჩავარდეო, არ მიხვიდე ახლოსო“. ანუ ეს, სავარაუდოდ, არის ციხის ტერიტორია,

[25] გარდა კასპის მუნიციპალიტეტის კავთისხევის თემისა, ციხისუბანი ჰქვია სოფლებს: ადიგენის მუნიციპალიტეტის მოხეს თემში, დუშეთის მუნიციპალიტეტის გრემისხევის თემში, ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს თემში (ქსე, 1987, 237-238).

სამალავები იყო იქ ლეკიანობის დროს". ადგილობრივი მოსახლეობა ციხისუბანს კავთისხევად მოიხსენიებს (იხ. გვ. 23-28). ციხისუბნის მიკროუბნებია: თხინვალიაანთ, ბარდაანთ, ხიზანაანთ, არაქელოვების, ჯანჯალაანთუბნები, ჟიჟილაანი.

ციხისუბნის რუ – რუ, სარწყავი არხი, გამოდის კოტმისხევიდან შუაუბანში, ჩადის ციხისუბანში, შემდეგ კი – სოფ. ქვემო ჩოჩეთში (იხ. დიდრუ).

ცხვირცხვირა – ვიწრო ბილიკი, იგივე მელეების სახტომელა (გუდალეთი).

ძამუკასეულები – ძამუკაშვილების კუთვნილი ხეხილის ბაღები სოფ. თვალადის სამხრეთით. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „თვალადზე ცხოვრობდნენ ძამუკაანი და ამათ ეკუთვნოდათ ეს ბაღები. კანჭიელიდან რომ გადადიხარ, იქ არის ძამუკაანთეულები, სოსიას ნერგებთან".

ძამუკაანთ საყდარი – ნასაყდრალი სოფ. თვალადში, იხ. თვალადის სამების ეკლესია.

ძამუკაანთუბანი – ძამუკაშვილების უბანი სოფ. თვალადის ცენტრში. აქვეა ძამუკაანთ საყდარი – დანგრეული ეკლესია, ნაკვეთები კი სოფ. თვალადის სამხრეთით აქვთ (იხ. ძამუკასეულები). რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „უბანი აქაა, სოფლის ცენტრში, კლუბის წინ, გუდალეთში რომ მივდივართ, გზის მარცხენა, აღმოსავლეთ, მხარეს. ერთი კომლი კავთიაშვილია, დანარჩენები ძამუკაშვილები არიან. ეკლესია არის კანტორის შენობის უკან".

ძეძვნარა // ძეძვნარეები – სახნავი მიწა სოფ. თვალადის დასავლეთით, მინდორში. ძეძვიანი ადგილია (ძეძვი – ეკლებიანი, დატოტვილი ბუჩქი... იზრდება მთის ქვედა სარტყელში, მშრალ ფერდობებსა და ნატყევარ ადგილებში. გამოიყენება ღობეებისათვის (ქეგლი, VIII, 734). **-ნარ** ქართველურ ტოპონიმიაში, ჩვეულებრივ, მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელ სახელებს აწარმოებს. ასეთი ტოპონიმი მრავლადაა: კოპიტ-ნარ-ი, მუხ-რან-ი (← მუხ-ნარ-ი), თხმელ-ნარ-ი.

ძეძვნარეები – სახნავი მიწა, იგივე ძეძვნარა (თვალადი).

ძლევის ქედი – ქედი სოფ. თვალადის მექანარიაანთუბნის ჩრდილო-დასავლეთით. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „დიდი ადგილია, დიდი გორაა. უფრო თვალადს ეკუთვნის: თვალადის მექანარიაანთუბანი ეკვრის სამხრეთის მხრიდან, აღმოსავლეთის მხრიდან –

ძამუკაანთუბანი და კანტორა, ე.ი. თვალადშია, შემოსაზღვრულია თვალადის უბნებით. ეს ქედი გადასცქერის ყველა სოფელს თუ უბანს: თვალადსაც, ეზატსაც, შუაუბანსაც და გუდალეთის დაბლა ტერიტორიებსაც. ამ ქედზე ქართველებს გიორგი სააკაძის მეთაურობით მტერი დაუძლევიათ". 1981, 1988 წწ.: „მტერი დაძლიეს ლეკიანობის დროსა და გამძლეობა რო იყო, იმის გულისთვის დაუძახეს"; „გადმოცემით, თამარ მეფის დროს აქ დიდი ბრძოლა ყოფილა და თამარის სარდალს, მხარგრძელს, გაუმარჯვნია. მეფეს მხარგრძელისთვის უკითხავს: რა ქნა ჩვენმა ჯარმაო, მტერსა სძლიაო? უპასუხნიათ: მტერს ვძლიეთო. მეფეს უთქვამს, ამ ადგილს ეწოდოს ძლევის ქედიო" (მაკალათია, 1960, 16). ძლევის ქედზე დგას ქვითკირის პატარა ეკლესია – ძლევის ქედის წმინდა გიორგი, რომლის აღმოსავლეთ მხარეს, გადმოცემით, ყოფილა იოანე მხარგრძელის საფლავი. „ეკლესიის დასავლეთით, გორაკის ბოლოს, ძევს ორი დიდი ქვა – სავარძლის მოყვანილობისა" (იქვე) (იხ. თამარ მეფის ქვები). ძლევის ქედზე იდო საფალავნო ქვა, რომელსაც ჭაბუკები ეჭიდებოდნენ ვაჟკაცობის წარმოსაჩენად (იხ. საჯილდაო ქვა).

ძლევის ქედის სასაფლაო – სოფ. თვალადის სასაფლაო ძლევის ქედზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ძველადაც, სააკაძის დროს, ომიანობის დროს, სულ იქ დაუსაფლავებიათ, გაუთხრიათ ერთი ტრანშე. მე ვნახე ერთად ჩამარხული მიცვალებულები. სასაფლაო მთელ ძლევის ქედზეა, მაგრამ ძირითადად – აღმოსავლეთ მხარეს. თვალადს სხვა სასაფლაოც აქვს – კავთის ეკლესია, სადაც შუაუბანიც იმარხებოდა, ძლევის ქედზე – მარტო თვალადელები: კავთიაშვილები, კაციაშვილები, ძამუკაშვილები".

ძლევის ქედის წმინდა გიორგი // წმინდა გიორგი – ეკლესია სოფ. თვალაში, ძლევის ქედზე, დასავლეთით. თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (10,4 X 5,9 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. თავდაპირველად ეკლესია მცირე ზომის ყოფილა. XIX ს-ში მისთვის დასავლეთიდან მიუშენებიათ თითქმის მისივე ზომის ნაგებობა. და ორივე ნაწილისათვის თლილი ქვის ერთიანი ლავგარდანი შემოუვლიათ. სამხრეთ მინაშენი კიდევ უფრო გვიანდელია. შესასვლელი ორი აქვს – დასავლეთიდან და სამხრეთიდან. საკურთხეველში სატრაპეზო ქვა დგას. დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში თითო

სარკმელია. დასავლეთის ფასადზე აგურით გამოყვანილია დეკორატიული ჯვარი. დანარჩენი ფასადები სადაა (სძა, 1990, 172). რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „თევდორე მღვდელი რომ მოკლეს, აი, იმ პერიოდში, რომ გაიმარჯვა გიორგი სააკაძემ, ხომ აქეთ მხარეს წამოვიდა, ძლევის ქედის ნიში ააგეს, მერე გადავიდნენ წინარეხში. ამ გზაზე ააგეს გამარჯვების ნიშნად ეს ეკლესია". ნ. კაციაშვილი: „ძლევის ქედის სამხრეთი ნაწილი, მიდგმული რაც არის, კაციაშვილებმა მიაშენეს. ეკლესიასთან შედარებით გვიანდელი, მაგრამ მაინც ძველია". მ. ქვრივიშვილი: „ეკლესია ჩამოქცეული იყო, ფრაგმენტულად შემორჩენილი. მაშინდელი კულტურის განყოფილების გამგის, გერისო კელაპტრიშვილის, ინიციატივით, თვალადის მოსახლეობისა და პირადად ვაჟა უსანეთაშვილის ხელშეწყობით, კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მხარდაჭერით, 2000 წელს ეკლესია აღადგინეს, შეაკეთეს".

წელდაშვებულა // წელდაშვებულები – საბოსტნე, სახნავი მიწა, გრძელეების ერთი მონაკვეთი, სოფ. ეზატის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფ. თვალადის დასავლეთით. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „თვალადისაა, ეზატის ბოლოზე. მართლა ასეთია, კაი დიდი მიწაა და წელდაშვებულია, დაქანებულია". რესპ. ა. მონასელიძე: „ეზატის გრძელეებს (გრძელეების მონაკვეთს), სადაც ბაღები იყო გაშენებული, საბოსტნედ ხმარობდნენ, წელდაშვებულას ეძახდნენ გლეხები, რადგან მუცელი აქვს ჩაშვებული, ჩაზნექილი" (იხ. გრძელეები (1)).

წელდაშვებულები – საბოსტნე, სახნავი მიწა, იგივე წალდაშვებულა (თვალადი, ეზატი).

წვერაანთ ნასახლარები – ბექაურების ნასახლარები ქვემო შუბათში. ბექაურების ერთ-ერთი წინაპარი იყო წვერა. წვერაანი ქვემო შუბათში ცხოვრობდნენ და სოფ. გუდალეთში გადმოსახლდნენ.

წივილაანთ მიწები – სახნავ-სათესი მიწა სოფ. ეზატში, წივილაანთუბნის მიმდებარე ტერიტორია.

წივილაანთუბანი // წივილაანი – დასახლებული უბანი სოფ. ეზატის სამხრეთ-დასავლეთით. ძირითადად ცხოვრობენ წივილაძეები, მაგრამ არიან კახურაშვილებიც, ნოქარაშვილებიც და სხვ.

წივილაანთ წყარო – წყარო, იგივე ზაქას წყარო (ეზატი).

წივილაანი – უბანი, იგივე წივილაანთუბანი (ეზატი).

წითელი მიწები – ყანები, საძოვარი, სახნავი, იგივე პირწითელა (გუდალეთი).

წითელი ხიდი // წითელხიდი // ხვედურელთა ხიდი – პატარა ხიდი, რომელიც აკავშირებს სოფ. თვალადის ხვედრელიაანთუბანს და წინარეხს. აშენებულია მდ. გუდალურაზე. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ვიწრო, ლამაზი ხიდია, საცალფეხო, მანქანა ვერ გაივლის. ხომ უნდა გახვიდე ხვედრელიაანთგან წინარეხში, იქ არის. 1940 წელს ააშენა ხოკერაშვილმა ვანომ: რკინის რელსები დაალაგა, აქეთ-იქიდან ნაპირებზე გაუკეთა „რეშოტკა" (რუს. Решётка „გისოსი, ცხაურა") და წითლად შეღება. დაერქვა წითელი ხიდი".

წითელხიდი – ხიდი, იგივე წითელი ხიდი (თვალადი).

წიფორი[26] – ნასოფლარი, საძოვარი ნასოფლარში თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, კასპიდან დაახლოებით 25 კმ-ზე, სოფ. გუდალეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოკერაანთუბნიდან დაახლოებით 2 კმ-ზე. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „მთის პატარა სოფელია ხოკერაანთუბნის მაღლა. ახლა მხოლოდ საქონელი ჰყავთ იქ. ისეთი, რომ ზამთარ-ზაფხულ იქ იყოს, არავინ არის". ნასოფლარში აღმოჩენილია ნასახლართა ნანგრევები (სძა, 1990, 219). რესპ. ვ. ყველაშვილი: „წიფორს აღმოსავლეთით აკრავს წინარეხი. წიფორსა და წინარეხს შორის არის ბერების ტყე. წიფორი მიწებიანად იქნება 20 ჰა. ახლა დაცლილია, მაგრამ მოსახლეობას მოვესწარით, 15-16 კომლი მაინც იყო".

წიფორის წმინდა გიორგი // წმინდა გიორგი – ეკლესია ნასოფლარ წიფორის ტერიტორიაზე, ხატისუბანში. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია (6 X 3,2 მ), ნაგებია ნატეხი ქვით. შენობა დაზიანებულია: მთლიანად ჩამონგრეულია გადახურვა და მორღვეულია კედლების ზედა ნაწილები, დარღვეულია იატაკის დონე, თითქმის მთლიანად დანგრეულია მინაშენიც. ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთიდანაა. ნახევარწრიული შვერილის აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია. სარკმლები სამხრეთ და დასავლეთ კედლებშიცაა. ეკლესიაზე სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე მიშენებულ სამლოცველოს

---

[26] გარდა კასპის მუნიციპალიტეტის კავთისხევის თემისა, წიფორი ჰქვია სოფლებს: ბოლნისის მუნიციპალიტეტის დარბაზის თამში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ფასანაურის სადაბო საკრებულოში, გორის მუნიციპალიტეის ბერულის თემში (ქსე, 1987, 237, 334).

(5,6 X 3 მ) შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში ჰქონია (სძა, 1990, 219).

წიწიკაანთუბანი – მიკროუბანი სოფ. თვალადში, კაციაანთუბნის ჩრდილოეთით. ცხოვრობენ წიწიკაანი – იორდანიძეები. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „პატარა გვარია და უბანიც პატარა იყო. წიწიკა ალბათ იორდანიძეების წინაპრის მეტსახელი იყო“.

წმინდა გიორგი – წმინდა გიორგის ეკლესიები კავთისხევში: 1. გუდალეთის წმინდა გიორგი (1); 2. გუდალეთის წმინდა გიორგი (2); 3. კავთა (თვალადი); 4. კატაულას წმინდა გიორგი (შუაუბანი); 5-6. ლომისა და კავთისხევის წმინდა გიორგი (ციხისუბანი); 7. ონოფრიაანთ საყდარი (თვალადი); 8. პატარა საყდარი (ქვემო ხანდაკი); 9. ძლევის ქედის წმინდა გიორგი (თვალადი); 10. წიფორის წმინდა გიორგი (წიფორი).

წმინდა გიორგის ეკლესიის მიწა – კატაულას წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია შუაუბნის მონასელიაანთუბანში, კატაულას მთის სამხრეთით, წოწოლა გორასთან, გასწვრივ.

წმინდა ესტატე – ეკლესია, იგივე გუდალეთის წმინდა ესტატეს ეკლესია (გუდალეთი).

წმინდა მარიამი – ეკლესია, იგივე გუდალეთის წმინდა მარიამის ეკლესია (გუდალეთი).

წმინდა მარინე – ნიში, სალოცავი, იგივე გუდალეთის წმინდა მარინეს ეკლესია (გუდალეთი)

წმინდა ნიკოლოზი – წმინდა ნიკოლოზის ეკლესიები კავთისხევში: 1. მეფეთსადგომის ეკლესია (თვალადი); 2. შატბერაანთ ნიში (თვალადი).

წმინდა ნინოს ნიში – წმინდა ქვა, იგივე ნინოწმინდის ნიში (ქვემო ხანდაკი).

წოწოლა გორა – შემაღლებული ადგილი, გორა შუაუბნის მონასელიაანთუბანში, წმინდა გიორგის ეკლესიის მინის დასასრულს. რესპ. ა. მონასელიძე: „წოპწოპაა, კატაულას მთა მდებარეობს დასავლეთიდან აღმოსავლეთით, მის ჩრდილოეთ ფერდობზე არის ეს წოწოლა გორა. წვეტიანი არ არის, მომრგვალებული თავი აქვს, მაგრამ სხვასთან შედარებით შემაღლებული, აწონილია. მის გარშემო დაბლობზე სახნავი მინებია“.

წუნას ტბა // ჯაგას ტბა – ტბა ციხისუბანში, დასავლეთით, ქასრაანთხევისა და გრძელეების მიმდებარე ტერიტორიაზე. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „წუნა და ჯაგა (მეტსახელებია) ბიძაშვილები არიან.

წუნამ დაიკავა ეგ ჭაობი და მერე ერთად საქმიანობდნენ და ხან წუნას ტბას ეძახიან და ხან ჯაგას ტბას“.

ჭანდრის წყალი // ჭანჭახები – წყარო და მიმდებარე ჭაობიანი ადგილები სოფ. გუდალეთის ხოკერაანთუბნის ჩრდილოეთით, 1 კმ-ზე, სოფ. გუდალეთისა და სოფ. თვალადის მიჯნაზე. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „საზიაროა თვალადთან, ხოკერაანთი ხო თვალადს ესაზღვრება. ჭადრები იდგა. სულ ჭაობებია. დღეს ჭანჭახებს ვეძახით“. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ჭანჭახი წყლიან ადგილს ნიშნავს. მანდ იყო ტყე. იქიდან შეშაბერიაანთ დონამა დათვი ჩამაიყვანა კეტით შეშაბერიაანთუბანში და ვერ მოეხმარნენ, რომ შეემწყვდიათ. მარტოკინამ ჩამაიყვანა იქიდან კეტითა, არც თოფი, არაფერი. უშიშარი კაცი იყო, როგორც კამეჩს გამაიგდებ, ეგრე კეტით გამაიგდო წინ. აი, მუსას წყარო რომ ვთქვით, ეგენი სულ ჭანჭახებია, გუდალეთის ხევამდე სულ ჭანჭახებია“.

ჭანჭახები – წყარო, ჭაობიანი ადგილები, იგივე ჭანდრის წყალი (გუდალეთი).

ჭაობაანთუბანი – უბანი თვალადის ცენტრში. პატარა უბანია, ცხოვრობენ ჭაობაშვილები, 3-4 ოჯახი.

ჭაობი – საძოვარი, იგივე გიგიაანთ ჭაობი (ეზატი).

ჭიმიაანთ ვენახები – სახნავ-სათესი სოფ. ქვემო ჩოჩეთის ბოლოსკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. კავთურას მარცხენა მხარეს, შავწყალას მარჯვენა ნაპირზე, ანტონას საყდრის ზევით. რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „ჭიმიაანი ხუციშვილთა შტოგვარია, ერთ-ერთი წინაპრისგან მოდის, სულ დაიჭმებოდა, თავი მოჰქონდა“. ჭიმიაანთ ვენახებთან, ვენახებსა და მდ. კავთურას შორის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა აღმოაჩნეს ძვ. წ. III და ახ. წ. V-VIII სს-ის ნამოსახლარი (გვეტაძე, 1979, 18-19; სძა, 1990, 171).

ჭოტისუბანი – 1. სოფ. ქვემო ჩოჩეთის ერთ-ერთი დიდი უბანი, სოფლის დასავლეთით, რესპ. ი. ქსოვრელი: „ახლაც, ჩვენს მოსწრებაშიაც, არის ხოლმე, ღამე ჭოტი კივის. წინაპრების გადმოცემით, ადრე თურმე ამ მხარეში ბუდობდა ბევრი ჭოტი. ამ უბანში ძირითადად ქსოვრელები ცხოვრობენ, 80% მაინც, მაგრამ სხვა გვარიც მრავლადაა, ამ ტერიტორიაზე შედარებით გვიან დასახლებული“; 2. ტყე, საძოვარი ქვემო შუბათის სამხრეთით, ბეჟანიაანთყელების მიმდებარე ტერიტორიაზე. რესპ ა. თაგვი-

აშვილი: „ბევრი ჭოტი იყო იმ ადგილებში. ახლაც ბევრია. ბესო აფციაური ცხოვრობდა იქ, საქონელი ჰყავდა“.

ჭოტისუბნის წმინდა გიორგის ეკლესია – ეკლესია სოფ. გუდალეთის სამხრეთით 6 კმ-ზე, ბორცვზე. თარიღდება X ს-ით. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია დიდი ზომის ქვის ბრტყელი ფილებით. ძლიერ დაზიანებულია. მთლიანად ჩანგრეულია სახურავი და კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი: მხოლოდ აღმოსავლეთ კედელს აქვს შემორჩენილი პერანგის ნაწილი და ერთი პატარა სარკმელი. ეკლესია ამოვსებულია მიწითა და ნანგრევებით. შესასვლელი სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილშია. კარის არქიტრავზე ხუთსტრიქონიანი წარწერაა, რომელიც ძნელად იკითხება. მასში მოხსენიებულია ეკლესიის მშენებელი ვინმე გაბრიელ გალატოზი. წარწერის ორივე მხარეს გამოსახულია ჯვრები, რომელთა მხრები და თავი წყვილბოლოიანია და სტილიზებული ფრთების გამოსახულებითაა დასრულებული. მეორე, შედარებით მცირე ზომის დაზიანებულწარწერიანი ქვა დარბაზის ჩრდილო კედელშია ჩატანებული (სძა, 1990, 155).

ხარიწოლია – მინდორი, საძოვარი კატაულას ტყეში. რესპ. ა. მონასელიძე: „ვაკე ველია შიგ კატაულას ტყეში, დაცემული, სწორი ადგილი, ხნავდნენ, თესავდნენ. იქ უშვებდნენ, ასვენებდნენ და აძოვებდნენ ხარებს, ე.ი. ხარები რომ იწვნენ, ისეთი ადგილია“.

ხარის საყარი – სანერგე, საძოვარი სოფ. ქვემო ხანდაკის აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. რესპ. მ. მამულაშვილი: „სოფლის შემოსასვლელშია, მაგრამ დაბლა, მტკვრისკენ, საყარაულო კოშკთან. საძოვარზე რომ გაჰყავდათ ხარები, შუადღეზე ასვენებდნენ ამ ადგილზე, სანამ აგრილდებოდა, და მერე აძოვებდნენ ისევ და საღამოს მოჰყავდათ უკან, სოფელში“ (იხ. კოშკი).

ხევთაშუა – ადგილი ორ ხეობას შორის, სახნავი მიწა სოფ. გუდალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გრძელეების ბოლოს, სადაც ორი გუდალურა უერთდება ერთიმეორეს.

ხვედრელიაანთ ეკლესია – ეკლესია, იგივე შატბერაანთ ნიში (თვალადი).

ხვედრელიაანთუბანი // ხვედურელიაანთუბანი – უბანი სოფ. თვალადის სამხრეთით. ცხოვრობენ ნაცვლიშვილები. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „ხვედრელიაანთუბანი თვალადის არის, მაგრამ ცოტა

განშტოებაა, წინარეხისკენ ცხოვრობენ. მექანარიაანთ მიწებამდე სულ თვალადია და ე. ი. შუა ადგილას გამოდის ეგ, ოდნავ სამხრეთით. ხვედურეთიდან ჩამოსულა კაცი, გვარად ნაცვლიშვილი, ამ ტერიტორიაზე დასახლდა, მომრავლდა და დაერქვა ხვედრელიაანთუბანი". ხვედრელიაანთუბნის აღმოსავლეთით, მდ. კავთურას მარჯვენა ნაპირზე, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ძვ. წ. XIII-XII სს-ის სამაროვანი (სძა, 1990, 172).

ხვედურელიაანთუბანი – უბანი, იგივე ხვედრელიაანთუბანი (თვალადი).

ხვედურელიაანთ რუ – რუ სოფ. თვალადში, ხვედრელიაანთუბნის ბაღებში. გამოყვანილია მდ. კავთურადან, გადის ტურისწვერის ძირში და შატბერაშვილები და ხვედრელიაანი იყენებენ სარწყავად.

ხვედურელთა ხიდი – ხიდი, იგივე წითელი ხიდი (თვალადი).

ხვლიკიაწყარო // ხვლიკის წყარო – წყარო, სახნავი, ყოფილი მეურნეობის ბაღები სოფ. ეზატის ბოლოს, გორი-თბილისის გზის (იმავე საქართველოს სათადარიგო სამხედრო გზის) სამხრეთით, გზის პირას, ღვარების მიმდებარე ტერიტორია. რესპ. თ. კერესელიძე: „აქ გამოდის დიდი დებეტის წყლის ნაკადი. რომელსაც სოფელი იყენებს პირუტყვის დასარწყულებლად. ალბათ ბევრი ხვლიკი, ქვეწარმავალი იცის". 1981, 1988 წლების მასალები: „ხვლიკის წყარო ორსაქცევასთან არის. აქ ქვიანი ადგილია და ხვლიკები ბუდობენ".

ხვლიკის წყარო – წყარო, სახნავი, ყოფილი მეურნეობის ბაღები, იგივე ხვლიკიაწყარო (ეზატი).

ხიდახევა – დაბლობი ადგილი, სადაც პატარა ხევი კვეთს ეზატი-გუდალეთის გზას, ანუ კატრიანისკენ (ფიჭვნარისკენ) მიმავალ გზას. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „ეს პატარა ხეობა აუდის ფიჭვნარს. პატარა წყარო ჩამოდიოდა ხოლმე. ახლა ზაფხულში შრება, მაგრამ დიდი ნიაღვრობის დროს სულ ამ ხევში მიდის წყალი. ამ ადგილას ხიდი იყო ადრე გაკეთებული, ანუ ხიდიანი, ხიდგადებული ხევი იყო. წყალი მოედინებოდა დასავლეთიდან, გიგოს ტყიდან (ნოსტისთავებშია), აღმოსავლეთისკენ, მერე უერთდებოდა მდ. გუდალურას, აქეთას, თაგვიაანთ მდინარეს". რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ეზატიდან გუდალეთში რომ მივდივართ, გზა ჯერ გაივლის ბრილისის ტყეს, შემდეგ – კურდღლის მიწებს, შემდეგ დიდმიწების დაღმართია, რომელსაც მოსდევს ხიდახევა. ხიდახევას ხევში

გამოდიოდა წყალი, რომელიც დაშრა. 30-40 წლის წინ, როდესაც გუდალეთში მიმავალი გზა გაიჭრა, ხიდახევაზე ხიდი გადეს, რადგან წყალი ჯერ კიდევ იყო. მერე წყალი დაშრა, მაგრამ ხიდი დარჩა. სახელი ხიდახევა ამ ახალ ხიდს არ უკავშირდება, ადრინდელია, ალბათ ადრეც იყო ხიდი ამ ხევზე".

ხიზამბარელის ქვა – ქვა, იგივე საჯილდაო ქვა (თვალადი).

ხირხოტები – მეურნეობის სანერგე, გალავნის მიმდებარე ტერიტორია სოფ. ქვემო ხანდაკში (იხ. გალავანი). რესპ მ. მამულაშვილი: „სოფელში რომ შემოვდივართ, ჯერ გალავანია და შემდეგ ეს მიწები, დაახლოებით 2 ჰა. ხირხოტებს ეძახიან ამ მიწებს, რადგან ძალიან ქვიანია, ქვა არის მეტი, წყალს რომ არ აჩერებს, ისეთი მიწაა".

ხოდაბუნები – სახნავ-სათიბი მიწა ბრილისის არხის ქვემოთ, ძლევის ქედის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩრდილოეთით.

ხოკერაანთ მამულები – სახნავი სოფ. გუდალეთის აღმოსავლეთით, ხოკერაანთუბნის მიმდებარე ტერიტორია.

ხოკერაანთხევი – მდ. გუდალურას (ხოკერაანთ მდინარის) ხევი სოფ. გუდალეთში, მოდრეკილაანთ და ხოკერაანთუბნებს შორის. ხევის პირას სახლობენ ხოკერაშვილები. რესპ. ა. თაგვიაშვილი: „მოდრეკილაძეებიდან ამ ხევით გადადიხარ ხოკერაშვილებში, ხოკერაანთ მდინარე უნდა გადაკვეთო, მეორე გუდალურა".

ხოკერაანთუბანი // ხოკერაანი – უბანი სოფ. გუდალეთის აღმოსავლეთით, ხოკერაანთ ხევთან. ცხოვრობენ ხოკერაშვილები.

ხოკერაანი – უბანი, იგივე ხოკერაანთუბანი (გუდალეთი).

ხოკერაშვილების ხიდი – საცალფეხო ხიდი სოფ. გუდალეთში, პატარა გუდალურაზე (ხოკერაანთ მდინარეზე), აკავშირებს მოდრეკილაანთ და ხოკერაანთუბნებს (იხ. გუდალურა).

ხრამები – ხევი, დიდი საძოვარი სოფ. ქვემო ჩოჩეთის ჩრდილო-დასავლეთით, ქასრაანთხევის ბოლოს. რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „ხრამები იწყება ქასრაანთხევის ბოლოს. ქასრაანთხევი ტეტიას სერთან მთავრდება და უერთდება ხრამებს. ხრამები მიდის და ქსოვრისში ჩადის, თითქმის მლაშეების შემდეგ იწყება ხრამები, სადაც მლაშეები მთავრდება". რესპ. ჯ. სოლოლაშვილი: „ჩახრამული ადგილებია, დიდი ხევი გაკეთდა. დიდი წყალი არ ჩამოდის, მაგრამ, როცა ადიდდება, ხრამავს და ხევს აჩენს".

ხუციაანთუბანი – ხუციშვილების უბანი სოფ. ქვემო ჩოჩეთში. რესპ. ჯ. სოლოლაშვილი: „ნონიკაანთუბნის მომიჯნავე უბანია. მდ. კავთურას მარცხენა მხარეს არიან ნონიკაშვილები და იმათი მომიჯნავეები არიან ხუციშვილები“.

ხუციაანთ საყდარი – საყდარი, იგივე ანტონას საყდარი (ქვემო ჩოჩეთი).

ჯაგას ტბა – ტბა, იგივე წუნას ტბა (ციხისუბანი).

ჯაგირაანთუბანი – უბანი, იგივე ნარგიზაანთუბანი (თვალადი).

ჯაგირაანთ წყარო – წყარო სოფ. თვალადში, ჯაგირაანთ (// ნარგიზაანთ) უბანში. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „შიგ უბანშია. კარგი სასმელი წყალია, კაი ხნის გამოყვანილიცაა, ასე, 1955 წელს გამოიყვანეს“.

ჯანჯალაანთ მიწები – ჯანჯალაშვილების კუთვნილი მიწა სოფ. ქვემო ჩოჩეთის სამხრეთ-დასავლეთით, ქვემო ჩოჩეთისა და ციხისუბნის მიჯნაზე. რესპ. ჯ. სოლოლაშვილი: „ჯანჯალაანთი იყო, ახლა დანაწილდა კერძო ხალხზე“.

ჯანჯალაანთუბანი – უბანი ციხისუბნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ციხისუბნისა და ქვემო ჩოჩეთის მიჯნაზე. ცხოვრობენ ჯანჯალაშვილები. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „ახალი სკოლის ეზოდან იწყებოდა და გზის მარცხენა და მარჯვენა მხარე ორივე ჯანჯალაშვილებისა იყო“.

ჯავახაანთუბანი // ჯავახთუბანი // ჯავახთუბნების ურწყავები – ხეხილის ბაღები სოფ. ეზატში, რომანოზიაანთ ურწყავებთან. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „საცხოვრებელი უბანი კი არ არის, ნაკვეთებია. ოთიაანთ ურწყავების იქითაა, რომანოზიაანთ ნაკვეთებთან. ერთიმეორეს მიტყუპებულია, აღმოსავლეთ მხარეს რომანოზიაანთ ურწყავებია და სამხრეთის მხარეს – ჯავახთუბნების ურწყავები. ჯავახიშვილისა იყო (ჯავახიშვილები თავადები იყვნენ ნიჩბისში), ნიჩბისიდან იყო მოსული კაცი, აქ არ ცხოვრობდა. დიდძალი მამული ჰქონდა, 15 ჰა მაინც. არ ვიცი, შეისყიდა თუ რა“.

ჯავახთუბანი – ხეხილის ბაღები, იგივე ჯავახაანთუბანი (ეზატი).

ჯავახთუბნების ურწყავები – ხეხილის ბაღები, იგივე ჯავახაანთუბანი (ეზატი).

ჯანსუყაანი – საბანაო ადგილი მდ. მტკვარზე, სოფ. მირიანში. რესპ. მ. ოთიაშვილი: „აქ დაიღუპა ჯანსუყა (ჯანსულ) გოდერძიშვილი“.

ჯანჯალაანთხევი – ხევი სოფ. ქვემო ჩოჩეთში, გიგოლაანთ ხრამების დაბლა, ტეტიას სერის სიახლოვეს. რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „იქ მამულები ჰქონდათ ჯანჯალაანთ (ჯანჯალაშვილებს). ჯანჯალაანთუბანი ციხისუბანშია, მაგრამ მიწები ქვემოთ ჩოჩეთში ჰქონდათ. ამდენად, ჯანჯალაანთხევი უბანთან ახლოს არ არის. ხევში ნიაღვრის წყალი გაედინება“.

ჯაჯანაანთ სასაფლაო – სასაფლაო, იგივე ჩივაანთუბნის სასაფლაო (ეზატი).

ჯიხვიაანთუბანი // ჯიხვიაანი – მიკროუბანი სოფ. თვალადის კაციაანთუბანში, ძლევის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. რესპ. ნ. კაციაშვილი: „ჯიხვიაანი პატარა დასახლებაა კაციაანთუბანში. შალიტაურები ცხოვრობენ, მაგრამ ჯიხვიაანთ ეძახიან დასახლებას, რადგან ხევსურეთიდან არიან ჩამოსულები და წარამარა ჯიხვზე ლაპარაკობენ“.

ჯიხვიაანი – მიკროუბანი, იგივე ჯიხვიაანთუბანი (თვალადი).

ჯურდანაანი – მოკროუბანი ციხისუბნის ბარდაანთუბანში, ცხოვრობენ ზაქარაშვილები. რესპ.: „ჯურდანა მეტსახელია ჩვენი წინაპრისა. ჯურდანა ნიშნავდა ქისას, რომელშიც ეტეოდა ფულის გარკვეული რაოდენობა. ამ წინაპარმა ჯურდანად იყიდა ეს ადგილები და ამ უბანს, რომელიც მან შეისყიდა, ჯურდანაანს ეძახიან. ახლა აქ ამ კაცის შთამომავლები ვცხოვრობთ“.

თავი II. ანთროპონიმები

ა) გვარსახელები და ჯგუფური მეტსახელები

ისტორიამ მწირი ინფორმაცია შემოგვინახა კავთისხევის მკვიდრთა შესახებ. მემატიანეთა შრომებიდან თუ სხვადასხვა ისტორიული საბუთიდან ცნობილია, რომ აქ ცხოვრობდნენ ან მამულებს ფლობდნენ თარხნიშვილები და ციციშვილები.

თარხნიშვილები გიორგი სააკაძის შთამომავლები არიან (ქსე, 1979, 589-590). „სააკაძეთა წინაპრები კავთისხევის მოურავები ყოფილან, რასაც მოწმობს გულშარა დედოფლის სიგელი, მიცემული კავთისხევის მოურავის, ივანე სააკაძისათვის. სიგელში ნათქვამია: „ესე სიგელი და წიგნი გიბოძე ჩუენ, დედოფალმან გულშარა, თქუენა, სააკაძეთა: კავთისხევისა მოურავსა ივანეს, თქუენსა ძმასა გიორგისა, შვილთა და მომავალთა ყოველთავე სიაოშსა, როსტევანსა, შალვასა, ავთანდილსა, გაგიცვალეთ ნოსტესა გულიასეული სასახლე მისითა მიდამოთა... ესე ასრე გაგიცვალე, ჩემსა მეზვრესა კავთისხევსა სანაცვლო სახლკარი მოეცა“ (კაკაბაძე, 1929, 67-75; მაკალათია, 1960, 11). იოანე ბაგრატიონის მიხედვით, სააკაძეთა წინაპრები, ძველად ჭანკაანად წოდებულნი, დაღესტნის თავადები იყვნენ, რომლებიც სომხეთში გადასახლდნენ. 767 წლის შემდეგ, „რა სპარსთა იწყეს დამდაბლება სომეხთა სამეფოისა“, გადმოვიდნენ ქართლში. საქართველოს მეფემ მათ უბოძა მამულები თეძმის ხეობაში და კლდეკარის მოხელეობა. გიორგი მეფის დროს, 1503 წელს, ებოძათ მოურავობა და მესამე ხარისხის თავადობა. 1622 წელს შაჰაბასმა დაუმტკიცა თავადობა გიორგის და უბოძა გვარად თარხნობა („რომელ არს თათრულებ თავისუფლება“) და „მუნითგან იწოდებიან თავადად თარხნიშვილებად, რომელნიცა მოსახლეობენ გაღმა მხარესა ახალქალაქსა ადგილსა

შინა“ (ბაგრატიონი, 1997, 33). თარხნიშვილების სათავადო სახლის დამაარსებელია გიორგი სააკაძის შვილი იორამი, რომელსაც როსტომ მეფემ 1659 წელს სააკაძეთა საგვარეულო სამფლობელო აღუდგინა, სხვა მამულებიც უბოძა და თარხნობა დაუმკვიდრა (იოსელიანი, 1973, 54). ამის შემდეგ იორამის შთამომავლებს თარხნიშვილები ეწოდათ. ისტორიულ საბუთებში მოიხსენიებიან აგრეთვე როგორც თარხნი-შვილ-მოურავები, მოურავიშვილები, თარხან-მოურავები. 1873 წლის საარქივო მონაცემებით, თავადი თარხან მოურავები ყმა-მამულებს ფლობდნენ: საღირაშენში, ლისში, ახალქალაქში, ერთაწმინდაში, კავთისხევში, წინარეხში, ნოსტეში, ახალციხეში და სხვ. (ქსე, 1979, 589-590; თოფჩიშვილი, 2011, 142-143; ახუაშვილი, 2005, 420).

ამჟამად თარხნიშვილები კავთისხევში აღარ ცხოვრობენ[1], მაგრამ აქ დღემდე შემორჩენილია თარხნიაანთ ციხის ნანგრევები და თარხნიშვილების სახლი, რომელშიც ცხოვრობდა გიგო თარხნიშვილი, აქ იზრდებოდნენ მარო და თამარ თარხნიშვილებიც. XX ს-ის 20-იან წლებში თარხნიშვილები გაასახლეს, ზოგი დახვრიტეს, შენობაში კი გაიხსნა კავთისხევის საშუალო სკოლა.

ციციშვილები ქართლის თავადები იყვნენ, წარჩინებული ფეო-დალური საგვარეულოს წარმომადგენლები, ყოფილი ფანასკერ-ტელნი, საციციანოს მფლობელნი. რუსეთის მმართველობის დროს იწერებოდნენ ციციანოვებად (ქსძ, 1965, 484; მაისურაძე, 1990, 208). იოანე ბაგრატიონის მიხედვით, ციციშვილთა წინაპარნი ურიასტანიდან მოსულან. ძველთაგანვე მდიდრები ყოფილან, და-სახლებულან ფანასკერტად წოდებულ ახალციხის მიწაზე. მა-თი შთამომავლები ემსახურებოდნენ თამარ მეფეს და იყვნენ მხარგრძელ ზაქარიას მეგობრები. ზაქარიას შუამდგომლობით მეფემ ციციშვილებს თავადობა უბოძა და დაავალა ფანასკერტის მამულების ზედამხედველობა. ბაგრატის მეფობის უკანასკნელ წლებში ზაქარია (ზაზა) ფანასკერტელი იყო წარჩინებული მხედართმთავარი. მას თემურ-ლენგის შემოსევისას გმირობა გამოუჩენია, რის გამოც მეფემ უბოძა მძოვრეთის ხეობა და მიმდებარე სოფლები, ხოლო მის განაყოფებს მისცა ნიჩბისის ხეობის სოფლები. ზაზას დარჩა ძე,

[1] 1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 553 თარხ-ნიშვილი (თბილისში – 234, გურჯაანში – 61, ოზურგეთში – 48) (სილაგაძე, თოთაძე, 1997).

ციცი, მეფის ერთგული ქვეშევრდომი, რომლის შთამომავლობასაც მეფემ 1448 წელს გვარად მისცა ციციშვილი. მძოვრეთის ხეობის მცხოვრებნი იწოდებოდნენ ზემო ციციანებად, ხოლო ნიჩბისის ხეობაში მცხოვრებნი – ქვემო ციციანებად (ბაგრატიონი, 1997, 23). XIV-XV სს-ის დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, რ. თოფჩიშვილი ასკვნის, რომ „ციციშვილები XIV ს-ის მეორე ნახევარში ტაოდან მოდიან ქართლის გაღმა მხარეში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და მდინარე ძამის ხეობაში მკვიდრდებიან... XVIII საუკუნისათვის საციციანოში სამოცდაათამდე სოფელი შედიოდა". მათ ეკუთვნოდათ დოესი, ხოვლე, ზემო ნიჩბისი, ქვემო ნიჩბისი, სასხორი, თვალათუბანი და სხვ. (თოფჩიშვილი, 2011, 400-402).

ციციშვილებს კავთისხევშიც ბევრი მამული ჰქონიათ (მაგ., სოფ. ქვემო ხანდაკში დღემდე შემორჩენილია მათი მოურავების – ჩიქოვანების – გალავანი), გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი ცხოვრობდა კიდეც (მაგ.: რესპონდენტთა ინფორმაციით, სოფ. თვალადში ლავრენტი ციციშვილს ნაკვეთები ჰქონდა მინდორშიც და ხვედრელიაანთუბანშიც, თავის სამოსახლოსთან), მაგრამ ამჟამად აქ აღარ ცხოვრობენ[2].

გარდა თარხნიშვილებისა და ციციშვილებისა, კავთისხევში მამულებს ფლობდნენ და ცხოვრობდნენ აზნაურები: ჯაჯანაშვილები, ჩივაძეები, ცალქალამანიძეები, გუდაბრელიძეები, მაღალაძეები. აქ უცხოვრიათ აგრეთვე მარუაშვილებს, ქვლივიძეებს, მექანარიშვილებს, ქასრაძეებს, შაყულაშვილებს, მონასელიძეებს და სხვ. მათ შორის „სახელოვანი ყოფილან: გოდაბრელიძე, მონასელიძე... და შეშაბერიძე, მათზე ხალხური ლექსიც არსებობს:

„გუდალეთს – გოდაბრელიძე,
კავთისხევს – მონასელიძე,
იდლეთში – ღვინიაშვილი,
თვალადზე – შეშაბერიძე" (მაკალათია, 1960, 9-10).

ზოგიერთი გვარი, რომლებიც ისტორიულად იყო გავრცელებული კავთისხევში, ამჟამად აღარ დასტურდება, მაგალითად: მარუაშვილი,

[2] 1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 511 ციციშვილი (თბილისში – 306, გურჯაანში – 64, მცხეთაში – 46) (სილაგაძე, თოთაძე, 1997).

პაატიშვილი, ჭანაშვილი, გაგელიშვილი, ხატუაშვილი, ტატაშვილი, გიადაშვილი, კოშორიძე (ქსძ, 1965, 1970). ვარაუდობენ, რომ ამ გვართა დაკარგვა უმეტესწილად უკავშირდება ე.წ. ლეკიანობას. XVIII ს-ში დაღესტნელი ყაჩაღები თავს ესხმოდნენ კავთურას ხეობას და ანადგურებდნენ მოსახლეობას. ხალხი ვერ უძლებდა ლეკთა გამუდმებულ თარეშს, მასობრივად ტოვებდა სამკვიდროს. პ. იოსელიანი 1848 წელს წერდა: „ლეკების მიერ საზარლად განადგურებულნი, აიყარნენ თავიანთი ადგილებიდან და გაფანტულად ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იმისთვის, რომ დაეცვა ლეკებისგან, რომელნიც კავთისხევში და მის გარშემო ადგილებში გლეხობას წყვეტდნენ, მეფე ერეკლე მეორე XVIII ს-ის შუაწლებში იძულებული გახდა, ისინი კახეთში გადაესახლებინა, თანაც სიგელი მიეცა, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე სავანის ახლოს დააბრუნებდა. სხვადასხვა ადგილებში გაფანტული გლეხების კომლთა რიცხვი 224-მდე აღწევს. მათგან 59 ამჟამად ალაზნის გაღმა, ნაფარეულში, ცხოვრობს, 6 – კურდღელაურში, 9 – თბილისში, 16 – ბებნისში, 6 – რუისში და სხვა ადგილებში...“ (იოსელიანი, 1973, 108-109). ლეკთა თარეში გაგრძელდა XIX ს-შიც. ამის გამო მოსახლეობა კავთურას ხეობაში ფეხს ვერ იკიდებდა. ხეობის კვლავ მოშენება-დასახლება მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევრიდან დაიწყო (მაკალათია, 1960, 9, 12; ქსე, 1980, 298). კავთისხევის ძირძველი მოსახლეობის დიდი ნაწილი ვეღარ დაუბრუნდა სამკვიდროს, მაგრამ გაჩნდა ახალმოსახლეობა და, შესაბამისად, გავრცელდა მრავალი ახალი გვარი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ: „რომ არა ამ მხარეში არაგვისა და ქსნის ხეობებიდან მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სხვადასხვა დროს გადმოსახლება, ეს რეგიონი დიდი ხნით უკაცრიელი დარჩებოდა“ (პავლიაშვილი, 2005, 9-10). ს. მაკალათია წერს: „XIX ს-ის 90-იან წლებში კავთურასა და გუდალურას სათავეებში დასახლებულან მთიულები, რომლებიც გადმოსულან ფასანაურიდან და მლეთიდან (წიკლაური, აფციაური, ბურდული, კობაიძე და სხვ.). კავთურას შუა და ქვემო ნაწილის სოფლებში მოსახლეობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსულები: აბუაშვილი – ბარალეთიდან, ონოფრიშვილი – საგარეჯოდან, იაშვილი და აბულაძე – იმერეთიდან...“ (მაკალათია, 1960, 9-10).

კავთისხევს უკავშირდება მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის სახელი. აქ, სოფ. თვალადში, დედულეთში, პერიოდულად ცხოვრობდა ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, თბილისის სახელმწიფო. უნივერსიტეტის I კორპუსის (მაშინდელი თბილისის ქართული გიმნაზიის) მშენებლობის ორგანიზატორი **ნიკო ცხვედაძე** (1845-1911 წწ.). აღსანიშნავია, რომ 1905 წლის 10 მარტს კავთისხევისა და ნიჩბისის გლეხთა წარმომადგენლებმა იკისრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის უფასოდ მომარაგება კირით. ნიკო ცხვედაძის ხელმძღვანელობით გლეხებს კირი ურმებით გადაჰქონდათ უნივერსიტეტის მშენებლობაზე; სოფ. ეზატში დაიბადა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართულ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოების ავტორი, „სახალხო გაზეთის“ დამაარსებელი **ეგნატე ხრამელაშვილი** (1866-1912 წწ.); კავთისხევს ხშირად სტუმრობდა (სახლი ჰქონდა), აქ მუშაობდა ქართველი ნიადაგთმცოდნე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **დიმიტრი გედევანიშვილი** (1884-1958 წწ.); სოფ. კავთისხევში დაიბადა ქართველი მომღერალი, ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი, საქართველოს სახალხო არტისტი **მარო თარხნიშვილი** (1891-1969 წწ.); სოფ. თვალადს ხშირად სტუმრობდა და ერთხანს (1936-1944 წწ.) ცხოვრობდა ცნობილი ქართველი მწერალი, არაერთი ლექსის, პოემის, მოთხრობის, პიესისა თუ ლიტერატურული წერილის ავტორი **გიორგი შატბერაშვილი** (1910-1965 წწ.); კავთისხევში, მამაპაპისეულ სახლში, ხშირად ჩადიოდა ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვახუშტი კოტეტიშვილი** (1935-2008 წწ.); სოფ. კავთისხევში დაიბადა საქართველოს სახალხო არტისტი, სალამურის დიდოსტატი, ვირტუოზი შემსრულებელი, მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, ანსამბლ „რუსთავის“ დაარსებიდან მისი ღირსეული წევრი, ანსამბლ „რუსთავის“ ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელი და უცვლელი სოლისტი **ომარ კელაპტრიშვილი** (1943-1992 წწ.). ეს სახელოვანი მოღვაწეები დაკრძალულნი არიან დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

* * *

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, კავთისხევის თემში ცხოვრობდა 2953 ადამიანი (1390 – კაცი, 1563 – ქალი). 2007 წლის მონაცემებით[3], კავთისხევის თემში გავრცელებული იყო 186 გვარი (გვარების ჩამონათვალი და კომლთა რაოდენობა სოფლების მიხედვით იხ. გვ. 256-260).

გუდალეთი

სოფელ გუდალეთში, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ცხოვრობდა 163 ადამიანი (86 – კაცი, 77 – ქალი), 99 % – ქართველი. შდრ.: 1930 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ცხოვრობდა 50 კომლი, 263 ადამიანი (260 – ქართველი, 3 – სომეხი) (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930, 11-12). სოფელში სამი ძირითადი უბანია: თაგვიაანთ, მოდრეკილაანთ და ხოკერაანთუბნები. უბნები სახელდებულია ძირითადი მოსახლეების გვარების მიხედვით. სწორედ ეს სამი გვარია ყველაზე გავრცელებული გუდალეთში: თაგვიაშვილები, მოდრეკილაძეები, ხოკერაშვილები, თუმცა არიან სხვა გვარის წარმომადგენლებიც, ძირითადად, სამხრეთით მდებარე მთის სოფლებიდან ჩამოსახლებულნი.

რესპ. ა. თაგვიაშვილი: „79 წლის ვარ და ჩემს მეხსიერებაში აქ ძალიან ცოტა ხალხი ვიყავით, გაღმაც (მოდრეკილაანთ და ხოკერაანთუბნებში) და გამოღმაც (თაგვიაშვილებში). 15 კომლი ვიქნებოდით ხოკერაშვილები, მოდრეკილაძეები და თაგვიაშვილები, ძირითადი მაცხოვრებლები. დანარჩენი სხვა გვარი – ყველა შემოსულია მოგვიანებით, ჩვენ რომ გვახსოვს, იმ დროს, მთიდან ჩამოსახლდნენ. 50-60 წლის წინ, საბჭოეთის პერიოდში, მთები დააცარიელეს:

---

[3] ა) კავთისხევში გავრცელებული გვარების სია შეადგინეს და კომლთა რაოდენობა აღრიცხეს მანანა ქვრივიშვილმა და გერისო კელაპტრიშვილმა. მასალა მოგვაწოდა მ. კელაპტრიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა კავთისხევის ტერიტორიულ ორგანოში. სიაში არ შედის სოფ. მირიანის მონაცემები; ბ) კომლთა რაოდენობა სოფლების მიხედვით დავადგინეთ მ. კელაპტრიშვილის დახმარებით. ზოგიერთი გვარის შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

ვარჯაანი, ვერხვეული, ტყემლუანა, ზვარიკოტმანი, სანათუბანი... და, ვისაც სურვილი ჰქონდა, აქ, გუდალეთში, დასახლდა – სახლი იყიდა ან ნაკვეთი, ზოგი გადაასახლეს რუსთავში, ზოგიც – თეთრიწყაროში, კასპში".

20-ოდე წლის წინ მთელი გუდალეთის მოსახლეობა, დაახლოებით, 90-მდე კომლი მაინც იყო, მაგრამ ბოლო წლებში სოფელი იცლება – ახალი თაობა მიდის უპირობობის, უგზობის, უწყლობის გამო.

თაგვიაანთუბანი

უბანში ძირითადად თაგვიაშვილები ცხოვრობენ, არიან ჩამოსახლებულებიც. რესპ გ. თაგვიაშვილი: „როდესაც მთიდან გადასახლება მოხდა, ზოგი ჩამოსახლდა ჩვენთან: ბექაურები, წიკლაურები. ჩვენი პატარა უბანი, 25 კომლიც არ იყო, ამათ შეავსეს და, დაახლოებით, 30-35 კომლი მაინც გახდა".

თაგვიაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 255 თაგვიაშვილი (კასპში – 166, თბილისში – 49, თელავში – 25) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ი. მაისურაძის მოსაზრებით, გვარი წარმოდგება მეტსახელისგან თაგვა. ამავე ძირისაა გვარები: თაგვაძე, თაგვაშვილი, თაგაური (← თაგვაური), თაგოშვილი, თოგოშვილი (მაისურაძე, 1990, 71). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, ქართულ გვარსახელთა წარმოებაში აქტიურად მონაწილეობს ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა თუ მწერთა სახელებისაგან მიღებული მეტსახელებისაგან ნაწარმოები გვარები, როგორებიცაა: ვაცაძე, კატაშვილი, ხარაძე, აფთარაშვილი და სხვ. ერთ-ერთი ასეთი გვარია თაგვაშვილი (მაღრაძე, 2006, 165-166).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში ცხოვრობდა თაგვიაშვილების 35 კომლი, ამათგან 30 – გუდალეთში.

გადმოცემით, კავთისხეველი თაგვიაშვილების წინაპრები რაჭველი რაზმაძეები არიან. გვარი თაგვიაშვილი მოდის ერთ-ერთი წინაპრისგან, რომელსაც ლეკების შემოსევების დროს მრავალჯერ უსახელებია თავი. ტანად პატარა, მაგრამ ძალიან ყოჩაღი, სხარტი, თაგვივით მოქნილი ყოფილა. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „მარტო ჩაუსაფრდებოდა მტრებს იმ ჭაობიან ადგილებში, საიდანაც გასავალი არ იყო, რომ დაეხოცა ისინი. გაუვარდა დიდი სახელი. მეფემაც გაიგო მისი ამბავი და, აბა, ერთი მაჩვენეთო. ნახა, რომ ტანი იმდენი არა

აქვს, პატარა აქვს, და სახელი – ძალიან დიდი. უთქვამს: „შენს ნახვას შენი სახელი სჯობია, თაგვი ყოფილხარო". იქიდან თაგვიაშვილი დაარქვეს, დავრჩით თაგვიაშვილებად"[4].

თაგვიაშვილების დიდმა ნაწილმა დაიბრუნა ძველი გვარი – რაზმაძე. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „თითქმის მთელმა საგვარეულომ გადაიკეთა გვარი, აქა-იქ არიან დარჩენილნი. მაგალითად, მე ვარ თაგვიაშვილი, ჩემი შვილები არიან რაზმაძეები"[5].

თაგვიაშვილების წინაპრებს თავდაპირველად უცხოვრიათ შუაუბანში, დღევანდელი მთიულთუბნის ტერიტორიაზე. შემდგომ თარხნიშვილებს, გუდალეთის მიწების მფლობელებს, მათთვის მიწა უბოძებიათ და სამი ოჯახი გუდალეთში გადასულა. სწორედ მათი შთამომავლები არიან გუდალეთელი თაგვიაშვილები. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „დაახლოებით, 150-200 წლის წინ ჩვენი წინაპრები კავთის ეკლესიასთან ცხოვრობდნენ, ახლა ბოტისიდან გადმოსახლებული ხალხი რომ არის, აი, იმ ადგილას, მაგრამ ვიწროდ ყოფილან. აქ, გუდალეთში, საეკლესიო და საბატონო მიწები იყო და ბატონს უჩუქებია ადგილი ჩემი დიდი პაპისთვის, იოსებისთვის, უფრო სწორად, სოსიასთვის (მერე პაპაჩემს დაურქმევია თავისი შვილისთვის, მამაჩემისთვის, ეს სახელი). ოთხი შვილი ჰყოლია სოსიას, წამოიყვანა და დასახლდა აქ. ბევრი შვილი გყავსო და, ეკლესიამაც აჩუქა მამულები, ზოგიც შვილებმა იყიდეს, რომ წამოიზარდნენ. მამაჩემს ჰქონდა მიწების ფლობის ძველი საბუთი, ტყავზე დაწერილი. მერე ჩემს დიდ პაპას შემოუერთდა კიდევ ორი კაცი და სულ სამი კაცისგან გამრავლდნენ აქაური თაგვიაშვილები. თაგვიაშვილების ჩამოსახლებამდე დიდი ხნით ადრე გუდალეთში უცხოვრიათ

---

[4] ს. მაკალათიას ინფორმაციით, დაღესტნელების წინააღმდეგ მებრძოლი სახელგანთქმული თაგვიაშვილი არა რაზმაძე, არამედ პაპიაშვილი იყო. რომელსაც ტბა მლაშეში ჩაფლული ასი ცხენოსანი ამოუხოცავს, შემდეგ მასთან საომრად გამოგზავნილი ბელადისთვისაც ჭკუით უჯობნია და თავი მოუკვეთია. მეფეს მოუსურვებია მისი ნახვა. უბოძებია მისთვის ორმოცი დღის მამული და, რაკი პატარა ტანის კაცი იყო, თაგვივით მოძრავი, ცოცხალი და მარდი, გვარად თაგვიაშვილი მიუცია (მაკალათია, 1960, 16-17).

[5] 1995 წლის მონაცემებით, საქართველოში 5574 რაზმაძე ცხოვრობდა (თბილისში – 2039, გორში – 905, თელავში – 232 და სხვ.) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი შეიძლება მომდინარეობდეს საკუთარი სახელისგან რაზმა. რაზმაძეები ისტორიულ საბუთებში 1664 წლიდან მოიხსენიებიან: პაატა რაზმაძისთვის 1664 წელს აზატობის წიგნი მიუციათ. ამავე ძირისაა რაზმიაშვილი (ახუაშვილი, 2005, 585).

გუდაბრელიძეებს[6]. ისინი რომ წასულან, ამ უბანში პატარ-პატარა მამულები სჭერიათ ეზატელებსაც, კავთისხეველებსაც, საბატონო მიწები ხომ თარხნიშვილებისა იყო, მაგრამ საცხოვრებლად, მგონი, მხოლოდ თაგვიაშვილები ამოვიდნენ. გალმა უბანზე არ ვამბობ, იქ მოდრეკილაძეები და ხოკერაშვილები იყვნენ".

შტოგვარები:

ძველი შტოგვარებია:

მიხაკაანი: სოსია თაგვიაშვილის შვილები იყვნენ: ზაქარა, ილუა, მიხეილი და იაგორა. ამათგან ცნობილი არიან მიხაკაანი – მიხეილ თაგვიაშვილის შთამომავლები. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „ჩვენს წინაპარს ერქვა მიხაკა. ჩვენ, მიხაკაანი, მიხაკას შვილების ჯიშზე ვართ". მიხაკას ჰყავდა ოთხი ვაჟი: მიტა, ვასუა, იოსება და ნიკა. მათი შთამომავლებიდან ცნობილი არიან: **მიტაანი, იოსებაანი, ნიკაანი.**

ტურფაანი – ტურფა ეპონიმის სახელია. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „ძველისძველი იყო ტურფაც. სოსიას დროის ან უფრო ადრინდელი". ტურფას შვილები იყვნენ ტატა, გიგა (პატარა გიგა) და ოჭია (ვანა), მათი შთამომავლები არიან **ტატაანი, პატარა გიგაანი** და **ოჭიაანი.** პატარა გიგას იმიტომ ეძახდნენ, რომ იყო სხვა გიგაც – უფროსი თაობის (დიდი გიგა). ოჭიაც ეპონიმის მეტსახელია (რესპონდენტისთვის მოტივაცია უცნობია).

დიდგიგაანი – დიდი გიგას შთამომავლები. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „დიდი გიგაც სოსიას და ტურფას თაობაა. პატარა გიგა იყო ტურფას შთამომავალი, ეს კიდევ წინა თაობის გიგა იყო, დიდი გიგა". რესპ. გ. თაგვიაშვილი: „დიდი გიგა ტანად კი არ იყო დიდი, ასაკით იყო დიდი, უფროსი გიგა".

შედარებით გვიანდელი შტოგვარებია:

ბალიაანი – ბალია თაგვიაშვილის შთამომავლები. რესპ. ბ. თაგვიაშვილი: „ბალიაც ძველი შტოა, პაპის დროისა, მიხაკას შვილების თაობა".

ნიკაანი – ბალიას ძმის, ნიკას, შთამომავლები.

ახალი ჯგუფური და საოჯახო მეტსახელებია:

ფაცანაანი – ერთი ოჯახია. ფაცანაანი ტურფაანთა განაყრები არიან. ფაცანა ეპონიმის, გლახო თაგვიაშვილის, მეტსახელია: პატარა დაიბადა, დაბალი იყო და დაარქვეს პაცანა (რუს. пацан „პატარა ბიჭი, ბიჭუნა", რუსულ-ქართული ლექს., 1983).

ბულაანი – სამი-ოთხი ოჯახია. ბულა ეპონიმის, იოკიმე თაგვიაშვილის, მეტსახელია.

---

[6] იხ. სოფ. თვალადი, ხვედრელიაანთუბანი, ცალქალამანიძეები.

მოდრეკილაანთუბანი

უბანში ძირითადად მოდრეკილაძეები ცხოვრობენ, მაგრამ არიან წიკლაურებიც და ყველაშვილებიც.

მოდრეკილაძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 264 მოდრეკილაძე (კასპში – 131, თბილისში – 116, ოზურგეთში – 3) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ს. მაკალათიას ინფორმაციით, გვარი გავრცელებული იყო ძირითადად გუდალეთში (მაკალათია, 1960, 35). გვარის ფუძედ მიიჩნევა მეტსახელი მოდრეკილი (ნაზმნარი სახელი მო-დრეკ-ილ-ი, დრეკს ზმნის წარსული დროის მიმღეობა). ამავე ძირისა უნდა იყოს გვარი მოდრეკელიძე (მაისურაძე, 1990, 114; მაღრაძე, 2006, 152, 187). 1881 წელს სოფელ საღირაშენში[7] გიორგი ასათიანი მოუნათლავს დავით დავითის ძე მოდრეკელიძეს (ახუაშვილი, 2005, 637).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში ცხოვრობდა მოდრეკილაძეების 27 კომლი, ამათგან 19 – გუდალეთში.

რესპ. ო. მოდრეკილაძე: „როგორც ვიცით, ჩვენი გვარის ფუძე მოდრეკილია, „იყო მოდრეკილი, იყო ცურტაველი...“. გადმოცემით, მოდრეკილაძეები რაჭიდან არიან გადმოსახლებულნი, მიახლოებითი პერიოდი უცნობია. გუდალეთში თავდაპირველად სწორედ მათ უცხოვრიათ, მერე „ლეკიანობის გამო აყრილან და გადასახლებულან თვალადში. შემდეგში ნაწილი ისევ გუდალეთში დაბრუნებულა... გუდალეთის მებატონე ყოფილა თარხნიშვილი, მოდრეკილაძე კი მისი ყმა. მოდრეკილაძეებს თარხნიშვილისთვის მიურთმევიათ ერთი ქილა ოქრო და ყმობისგან თავი გაუთავისუფლებიათ“ (მაკალათია, 1960, 35).

გუდალეთელი მოდრეკილაძეების დიდმა ნაწილმა სოფელი დატოვა და სხვაგან (ძირითადად თბილისში) გადასახლდა.

შტოგვარები:

რაჟდენაანი – რაჟდენ მოდრეკილაძის შთამომავლები.

რაჟდენაანთა შტოგვარში გამოიყოფა კიდევ რამდენიმე შტოგვარი. რესპ. ო. მოდრეკილაძე: „ეგენიც რაჟდენაანი არიან, მაგრამ უკვე ცალკე არიან“.

---

[7] **საღირაშენი** – ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში. ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში (ქსე, 1985, 201).

ა) **ლუკაანი** – რაჟდენ მოდრეკილაძეს ჰყავდა სამი ვაჟი. ერთ-ერთის, ლუკას, შთამომავლები არიან ლუკაანი. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, „ლუკაანთაც ეძახიან, მაგრამ უფრო – რაჟდენაანთ“.

ბ) **წიპროაანი** – რაჟდენ მოდრეკილაძის შვილს, ლუკას, ჰყავდა ორი ვაჟი. ერთ-ერთის, წიპროს, შთამომავლები არიან წიპროაანი. წიპრო ეპონიმის, ზაქარა (შაქრო) მოდრეკილაძის, მეტსახელია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წიპრია, წიპრანა განმარტებულია როგორც „ჭივჭავი“ (ქეგლი, VIII).

გ) **ღალღაანი** – ღალღას შთამომავლები. ღალღა რაჟდენ მოდრეკილაძის შვილთაშვილი, ლუკას შვილიშვილი, წიპროს ძმისშვილია. ღალღა მეტსახელია, ალექსანდრე ერქვა. რესპ. მ. მოდრეკილაძე (არაქელოვა): „ღალღა ჩვენი დროის არის, ჩემი მეუღლის ტოლი იყო, 1931-1932-იანი. ღალღა ფრინველია, დაფრინავს ძალიან ნელ-ნელა, დაბლა, მაგრამ ამ კაცს რატომ ეძახდნენ ღალღას, არ ვიცი. ღალღაც რაჟდენას შთამომავალია, ე.ი. ღალღაანი წიპროაანთა ბიძაშვილები გამოდიან“.

სიკუაანი – სიკუა რაჟდენ მოდრეკილაძის ძმისშვილი იყო, სიკუაანი მისი შთამომავლები არიან.

კურდღელაანი – კურდღელა ეპონიმის მეტსახელი იყო. რესპ. მ. მოდრეკილაძე (არქელოვა): „სიკო და კურდღელა ერთი დროის იყვნენ, შეიძლება ბიძაშვილებიც. ჩვენ არ მოვსწრებივართ“.

კურდღელაანთა განაყრები არიან:

ა) **ოსაანი** – ეპონიმი, ოსა, კურდღელას შემდგომი თაობაა.

ბ) **ნესტროკიაანი** – ნესტროკეს შთამომავლები. რესპ. ო. მოდრეკილაძე: „ნესტროკეს ეძახდნენ და ნამდვილი სახელი იყო თუ მეტსახელი, არ ვიცით, არ მოვსწრებივართ. ნესტროკიაანი უფრო კურდღელაანი უნდა იყვნენ“.

ფირანაანი – ფირანა მოდრეკილაძის შთამომავლები. რესპონდენტთა ინფორმაციით, რაჟდენა და ფირანა იყვნენ ბიძაშვილები.

ტატაანი – ტატა (ესტატე) მოდრეკილაძის შთამომავლები.

ყველაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1130 ყველაშვილი (გორში – 354, თბილისში – 247, მცხეთაში – 164) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ამავე ძირისა უნდა იყოს გვარები: ყველაიძე – ყველაანი (გავრც. დუშეთის მუნიც.), ყველაურიძე, ყველუტაშვილი,

ყველიაშვილი (მაისურაძე, 1990, 185). ი. ახუაშვილის ცნობით, გვარი მოიხსენიება 1721 წლის აღწერის მასალებში (ახუაშვილი, 2005, 667).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში ყველაშვილების 3 კომლი ცხოვრობდა, სამივე გუდალეთში.

ყველაშვილები ცხოვრობენ მოდრეკილაანთუბანში, ცოტა მოშორებით, უბნის გაგრძელებაზე, ყველაძიაანთ მიკროუბანში. შეცდომით ყველაძეებადაც მოიხსენიებენ, აქედან მოდის მიკროუბნის სახელიც. წარმოშობით გუდამაყრიდან არიან, გადმოსახლებულნი, დაახლოებით, 2 ს-ის წინ. რესპ. ვ. ყველაშვილი: „გადმოსულ ხალხს რომ ჰკითხო, უმეტესობა ამბობს, წინაპარმა ბატონი მოკლა და გამოიქცაო. რამდენი ბატონი იყო, რომ ამოდენა ხალხი გადმოვარდა?! მე ასე ვიცი: მეფის რუსეთის ჯარები რომ შემოვიდნენ, დუშეთი ხომ გადაუკეტეს მთიულებმა, აჯანყება ხომ მოაწყვეს, მერე დამარცხებულ მეამბოხეებს ხომ იმპერია დევნიდა, ჩემი წინაპრები ამ მდევნელებს გამოექცნენ. ყველაშვილებს გვარშტოები არ გვაქვს. მამაჩემის სამი ძმა 1921-ში დაიღუპა: ორი გორში დახვრიტეს და ერთი, უფროსი, ამ წითლების მატარებელზე ეშელონის უფროსი იყო, დაიჭრა და, სად მოკვდა, არ ვიცი. მეც ორი ძმა დამეღუპა, ოჯახში მარტო მელა დავრჩი. ამდენად, ბევრნი არ ვართ და გვარშტოებიც არ გვაქვს“.

წიკლაურები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 12499 წიკლაური (თბილისში – 4496, დუშეთში – 1543, გარდაბანში – 1016) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). წიკლაური სათემო გვარია, გავრცელებულია მთიულეთსა და ხევსურეთში. გვარის ფუძეა საკუთარი სახელი წიქა. გადმოცემით, ამ გვარის მიმცემი წიქვაი და ბექაურების გვარის მიმცემი ბექაი ხევსური ძმები ყოფილან (ჭყონია, 1955, 27); ამავე ძირისაა წიკლაშვილი (მაისურაძე, 1990, 215).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში წიკლაურების 24 კომლი ცხოვრობდა, ამათგან 7 – გუდალეთში. გუდალეთში წიკლაურები ჩამოსულან სამხრეთით მდებარე სოფლებიდან, შუბათიდან და ვარჯაანიდან. ცხოვრობენ მოდრეკილაანთუბანში, ცოტა მოშორებით, განცალკევებით.

შტოგვარები:

ბეჟანიაანი – ეპონიმი ბეჟან წიკლაური, შეძლებული კაცი, ცხოვრობდა შუბათში. ბეჟანს ჰყავდა ოთხი შვილი: ერთი ჯარში დაიღუპა,

ორი კვესეთისკენ გადასახლდა, ერთი – გუდალეთში. ამჟამად გუდალეთში ცხოვრობს ბეჟანიაანთ 3 ოჯახი (1 – ციხისუბანში, 1 – თბილისში). რესპ. ჯ. ასლამაზაშვილი: „ბეჟანი ჩემი მამამთილი იყო. ჩემი მეუღლე შუბათშია დაბადებული და 28 წლის იყო, აქ რომ გადმოვიდა. ჩვენ რომ დავოჯახდით, 32 წლისა იყო. ჩვენ გვეძახიან ბეჟანიაანთ".

აქვსენტაანი – ცხოვრობენ აქვსენტაანთ მიკროუბანში. ჩამოსახლებულან ვარჯაანიდან. რესპ. გ. თაგვიაშვილი: „აქვსენტა წიკლაურს 3-4 ბიჭი ჰყავდა. აქვსენტაანი მოდრეკილაანთუბანს უერთდებიან, ძაან ცალკე არა ცხოვრობდნენ, მაგრამ, როგორც ჩამოსახლებულები, ოდნავ მოშორებით სახლობდნენ ყველანი".

ბერმიხაანი – სოფ. გუდალეთის სამხრეთით, 3 კმ-ზე, ქვაკაცეებში ცხოვრობდნენ წიკლაურები, რომელთაც მოიხსენიებდნენ როგორც ბერმიხაანებს, სავარაუდოდ, წინაპრის სახელიდან გამომდინარე.

ხოკერაანთუბანი

ხოკერაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 330 ხოკერაშვილი (თბილისში – 166, კასპში – 75, ახმეტაში – 28) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი, სავარაუდოდ, მომდინარეობს საკუთარი სახელისგან ხოკერა (მაისურაძე, 1990, 232).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში ხოკერაშვილთა 25 კომლი ცხოვრობდა, აქედან 19 – გუდალეთში, 6 – შუაუბანში.

გადმოცემით, ხოკერაშვილები ადრე ბათლიძეები ყოფილან. ერთ-ერთ ბათლიძეს, თარხნიშვილის ყმას, „ბატონისთვის მიურთმევია ჟოლო ხოკერათი (ბლის ქერქის კალათი) და ამაზე ბატონი გაჯავრებულა და ბათლიძისთვის უწოდებია ხოკერაშვილი" (მაკალათია, 1960, 35). რესპ. ქ. კუდუხაშვილი (ხოკერაშვილი): „ამის შემდეგ გვარი ბათლიძე დაგვეკარგა. ბათლიძეები არიან თვალადშიც, კახეთშიც, მაგრამ ნათესაობა არ გვაქვს".

შტოგვარები:

ხოკერაშვილთა 6 შტოგვარიდან, რესპონდენტთა ინფორმაციით, ერთმანეთთან ახლო ნათესაური კავშირი აქვთ:

1) ბალაანთა და თევდორიაანთა – ბალა და თევდორე ხოკერაშვილები ძმები ივნენ, შესაბამისად, ბაალაანი და თევდორიაანი ძმათა განაყრები არიან.

2) **ილაანთა და ტატუაანთა** – ილა და ტატუა ძმები იყვნენ.

ილაანი – ილა მოდრეკილაძის 8 შვილი (10 შვილი ჰყავდა, მაგრამ 8 შერჩა) და მათი შთამომავლები.

ტატუაანი – ტატო, ტატე (ესტატე) ხოკერაშვილის შთამომავლები. ტატუაანთა რამდენიმე ოჯახია გუდალეთში.

3) **გოლაანთა და მიხაანთა** – გოლა და მიხა ძმები იყვნენ, შესაბამისად, გოლაანი და მიხაანი ძმათა განაყრები არიან.

ბექაურები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 3463 ბექაური (თბილისში – 1188, დუშეთში – 468, თეთრიწყაროში – 417) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ბექა. 1774 წლის არაგვის ხეობის წარწერაში მოიხსენებიან ბეჟან, ნადირა, ირემა, შიო და სხვ. ბექაურები. გადმოცემით, გვარის მიმცემია ვინმე ხევსური ბექაი (ნიქას, ნიკლაურთა გვარის მიმცემის, ძმა) (ჭყონია, 1955, 27).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში ბექაურების 14 კომლი ცხოვრობს, აქედან 4 – გუდალეთში, 10 – შუაუბანში.

ჯგუფური და საოჯახო მეტსახელები:

წვერაანი – 1 ოჯახია, ე.ი. წვერაანი საოჯახო მეტსახელია. რესპონდენტები ვარაუდობენ, რომ ბექაურების ერთ-ერთ წინაპარს გრძელი წვერის გამო შეექრმეოდა წვერა.

ბეინაანი – 3 ოჯახია, ბეინა (ნამდვილი სახელია) ბექაურის შთამომავლები. ბეინა წიფორში ცხოვრობდა. სახალხო მთქმელი ყოფილა, ძალიან ენაკვიმატი, ჭკვიანი კაცი.

ეზათი

სოფელ ეზატში, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ცხოვრობდა 307 ადამიანი (148 კაცი, 159 ქალი), 99 % – ქართველი. შდრ.: 1930 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ეზატში (ჩივაანთუბანში) ცხოვრობდა 75 კომლი, 357 ადამიანი (354 – ქართველი, 3 – რუსი) (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930, 11-12). სოფელში სამი უბანია: ჩივაანთ (// აბულაანთ), ოთიაანთ (ოთიაშვილების), წივილაანთ (წივილაშვილების) უბნები. უბნების

სახელწოდებები მომდინარეობს ძირითადი მაცხოვრებლების გვარებიდან, გარდა ჩივაანთუბნისა.

ჩივაანთუბანი // აბულაანთუბანი

XVII-XVIII სს-ში ეზატში ცხოვრობდნენ ჯავჯანაშვილები და ჩივაძეები. გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) ხელისმომწერ თავადაზნაურთა სიაში მოხსენიებულნი არიან ჩივაძე და ჯავჯანაშვილი – „თავადის თარხნისშვილის მოურაოვის აზნაურნი“ (ქსძ, 1965, 488).

ჩივაძეები, თავად თარხნიშვილების სახლთუხუცესები (ქსძ, 1965, 488), ჯერ კიდევ გიორგი სააკაძესთან იყვნენ დაკავშირებულნი ვასალური ურთიერთობით. ჩივაძე მახარებელი მოხსენიებულია დიდი მოურავისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის სასისხლო საქმეზე 1620 წლის განჩინებაში (ქსძ, 1972, 59). ცნობილია პაპუნა ჩივაძე, გიორგი სააკაძის ერთგული თანამებრძოლი. 1610 წელს მეფე ლუარსაბის აგარაკზე გიორგი სააკაძეს შეთქმულება მოუწყვეს, სანადიროდ მიიწვიეს იმ განზრახვით, რომ მოეკლათ. მაგრამ მეფის კარის უფროსმა კახა ხერხეულიძემ ამის შესახებ ამცნო გიორგის, რომელმაც გაქცევით უშველა თავს. მოურავმა „თავისი ოჯახითა და შვიდი ერთგული მსახურით, მათ შორის აზნაურ პაპუნა ჩივაძის თანხლებით, ღამით ტყეღრეებით დიდგორის სიმაღლეები გადაიარა“ (იოსელიანი, 1973, 22; პავლიაშვილი, 2005, 58). რ. თოფჩიშვილის მოსაზრებით, თავდაპირველად ჩივაძეები ჩივჩივაძეებად იწერებოდნენ. 1382 წლის დოკუმენტში ატენში ჩივჩივაძის მამულია ნახსენები (პალ, 1991, 267). იოანე ბაგრატიონის მიხედვით, ჩივაძეების „წინაპარნი არიან მოსრულნი ჯავახეთის ვაჩიანის ადგილით და ადგილისა გამო ცვლილების სახელისა როსტომ მეფის დროს 1592 წელს ჩივაძეთ უწოდესთ, რომელთა ძველად ვაჩიანელთ უწოდნენ გვართა მათთა და არიან მცირე აზნაურნი“ (ბაგრატიონი, 1997, 91). რ. თოფჩიშვილის მოსაზრებით, ბატონიშვილის ამ ცნობაში შეიძლება სიმართლეს შეესაბამებოდეს მხოლოდ ჩივაძეთა ჯავახეთიდან მოსულობა. 1850 წლის ნუსხაში აზნაურ ჩივაძეების 3 კომლია შეყვანილი (თოფჩიშვილი, 2011, 378-379). პ. იოსელიანი 1848 წელს აღნიშნავს: „ჩივაძეების გვარი დღემდე არსებობს და ნაწილობრივ სათარხნოს სამფლობელოში შემავალ სოფელ კავთისხევში ბინადრობს“ (იოსელიანი, 1973, 60).

ჯავჯანაშვილების წინაპრები, იოანე ბაგრატიონის მიხედვით, „არიან ოდიშითგან მოსრულნი ჯანალის ძეები და გაუგვარდათ ჯავჯანიძეობა და არიან ესენი დროისა არჩილ მეფისავე წელსა

1675“ (ბაგრატიონი, 1997, 91). 1796 წლის განჩინებით, გაბრიელ ჯაჯანაშვილი სოფელ კავთისხევის მკვიდრი იყო (ქსძ, 1974, 679). ჯაჯანაშვილების ადრინდელი გვარი ყოფილა შიხეიდრიშვილი. თარხნიშვილების ყმები შედარებით გვიან გახდნენ. XVII სს-ის ბოლოს და XVIII ს-ის დასაწყისში ისინი მეფის ყმები იყვნენ. 1811 წელს გაბრიელ შიხეიდრიშვილი (ჯაჯანაშვილი), ჩივაძესა და ცალქალამანიძესთან ერთად, აქტიურად ჩაბმულია თარხნიშვილთა შორის გამართულ დავაში. 1830 წლის კამერალური აღწერით, აზნაური ჯაჯანოვი (ჯაჯანაშვილი) ყმა-მამულს ფლობდა სოფ. კავთისხევში. 1850 წლის ნუსხაში აზნაურ ჯაჯანაშვილების 4 კომლია შეყვანილი (თოფჩიშვილი, 2011, 454).

რესპ. თ. კერესელიძე: „ჯაჯანაშვილები უფრო მეტნი იყვნენ, მაგრამ უბანს ჩივაძეებისა დაერქვა, შეიძლება, უფრო დაწინაურებულნი იყვნენ და იმიტომ. ჯაჯანაშვილთაგან აღსანიშნავია ვანო (ივანე) ჯაჯანაშვილი, სახელგანთქმული ვაჟკაცი, რომელიც დასაფლავებულია ეზატის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. ჩივაძეთაგან აღსანიშნავია გიორგი ჩივაძე, რომელმაც გერმანიაში მიიღო აგრონომიული განათლება. ეზატში გააშენა საუცხოო ბაღები ხილის, ვაზის, ვარდის სხვადასხვა უცხო ჯიშით. ბაღს შემორტყმული ჰქონდა ვარდების ღობეები. ამ რეგიონში მან დაამკვიდრა მცენარეთა დამყნობის, შეჯვარების მეცნიერული ხერხები. გიორგი ჩივაძე დახვრიტეს 1924 წელს. ჩოლოყაშვილი რომ ამოვიდა და დაბანაკდა ქვათახევის ეკლესიასთან, გიორგიმ პურმარილი მოუმზადა და მიართვა. რომ მისულა, უთქვამს: „მოხვედით, ბიჭებოო?!“. ამის გამო ბოლშევიკებმა დახვრიტეს. საინტერესოა, რომ არცერთი ჩივაძე აქ აღარ ცხოვრობს, ამასთანავე, არცერთი არ არის დაკრძალული ამ სოფელში, არა მხოლოდ ახლა, არამედ ისტორიულადაც. ყოველ შემთხვევაში, ჩივაძეების ერთი საფლავიც არ არის შემორჩენილი. ლეკიანობის შემდეგ, როდესაც ეს სოფლები დაიცალა, ჩივაანთუბანში, დასახლდა 3 გვარი: აბულაძეები, იაშვილები და კერესელიძეები (დაახლოებით, 150-200 წლის წინ)“.

რესპ. ვ. ოთიაშვილი: „ამჟამად ჩივაანთუბანში ცხოვრობს, დაახლოებით, 18-19 გვარი: აბულაძეები, კერესელიძეები, იაშვილები, კოტეტიშვილები, ხოკერაშვილები, კუჭიაშვილები, მონასელიძეები, მიგრიაულები, ალექსიძეები და ა. შ. ამათგან ყველაზე ძველი აბულაძეებიის გვარია. ჯაჯანაშვილები და ჩივაძეები აღარ ცხოვრობენ“.

აბულაძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 10438 აბულაძე (თბილისში – 1474, თერჯოლაში – 829, ზესტაფონში – 687) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ი. მაისურაძის ცნობით, გვარი აგრეთვე გავრცელებულია აჭარასა და მესხეთში (მაისურაძე, 1990, 16).

ვარაუდობენ, რომ გვარის ფუძეა საკუთარი სახელი აბულა. მოხსენიებულია ლექსში: „ადე, ადე, აბულაო, თეთრად გათენებულაო“ (იქვე, 16). შდრ. აბული – მთები (დიდი და პატარა აბული, ჯავახეთში), ტბა (ახალქალაქის მუნიც.), სოფელი (ახალქალაქის მუნიც.). ერთ-ერთი მოსაზრებით, ამავე ძირისაა: აბულაშვილი, აბულაძეშვილი, აბულიძე... და ამ გვარებისთვის ამოსავალ ფორმად მიიჩნევა აბულეთისძე. აბულეთისძენი კახეთის დიდგვაროვანი ფეოდალები იყვნენ XII-XIII სს-ში. მამაულები არაგვისა და თეძმის ხეობებში ჰქონდათ. მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყვნენ ერისთავთერისთავები, გამოჩენილი სარდლები, საეკლესიო მოღვაწენი. XIII ს-ის შემდეგ დაკნინდნენ (ჟორდანია, 1897; ახუაშვილი, 2005, 30, 217)

აბულაძეები ზემო იმერეთში ცხოვრობდნენ და იყვნენ თავად წერეთელთა აზნაურები (სოსელია, 1981, 91). გვარი პირველად 1578 წლის ქუთაისის საყდრის გამოსავლის დავთარშია მოხსენიებული (ქსძ, 1970, 341-342). ჩხარელი აზნაურები: გოგია, ზაქარია, მამუკა, ნიკოლოზა აბულაძეები დასახელებულნი არიან 1584 წლის დოკუმენტში. ისინი დედოფალ თამარ დიასამიძეს გელათის წმინდა გიორგის ეკლესიისათვის შეუწირავს (პალ, 1991, 63). 1664 წლის საბუთით, ქაიხოსრო აბულაძე ფერსათის მამასახლისი ყოფილა (იქვე). 1843 წლის აღსარების მთქმელთა დავთარში საეკლესიო აზნაურები აბულაძეები მოხსენიებულნი არიან ჭოლევსა და მოწამეთაში. აბულაძეები სამეფო აზნაურებიც ყოფილან (თოფჩიშვილი, 2011, 12-13).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ეზატში, აბულაძეების 27 კომლი ცხოვრობდა. რესპ. ნ. კერესელიძე: „კავთისხეველი აბულაძეები წარმომავლობით იმერეთიდან უნდა იყვნენ. ჯერ უცხოვრიათ კავთისხევის რკინიგზის სადგურთან, როგორც თვითონ ამბობენ. იქიდან რომ წამოსულან, უცხოვრიათ კავთისხევის ცენტრში, ციხისუბანში, მერე აქ გადმოსულან, XIX ს-ში, როგორც ჩანს, ჩივაძეებმა მოიყვანეს. ალბათ გიორგი ჩივაძემ თავის ტერიტორიაზე დაასახლა და დაასაქმა კიდეც“.

გადმოცემით, ეზატელი აბულაძეების ნაწილი წარმოშობით ჭონიაშვილია. როგორც რესპონდენტები აცხადებენ, ეს ინფორმაცია სადავოა და, უტყუარიც რომ იყოს, დღესდღეობით ნამდვილი და გვარგადაკეთებული აბულაძეების გამიჯვნა შეუძლებელია.

აბულაძეები არა მხოლოდ ყველაზე ძველი გვარია ჩივაანთუბანში (ჩივაძეებისა და ჯაჯანაშვილების შემდეგ), არამედ ყველაზე გავრცელებულიც. სწორედ ამიტომ ჩივაანთუბანს ხშირად აბულაანთუბნადაც მოიხსენიებენ.

შტოგვარები:

გიგიაანი – წინაპრის, გიგიას, სახელიდან გამომდინარე.

სტეფანიაანი – სტეფანე აბულაძის შთამომავლები არიან.

ნიკოლაანი – რამდენიმე ოჯახია, წინაპარს ნიკოლა რქმევია.

ტატელაანი – წინაპარს ტატელა ერქვა.

მახარიაანი – მახარე აბულაძის შთამომავლები არიან.

ჩიხალაანი – ჩიხალა ეპონიმის, მიხეილ აბულაძის, მეტსახელია. რესპ. ნ. კერესელიძე: „მგონი პირველ მსოფლიო ომში იყო და იქ დაარქვეს, ალბათ ხშირად აცემინებდა“ (რუს. Чиханье „ცხვირის [და]ცემინება“, რუსულ-ქართული ლექს., 1983).

ჩოჩორაანი – ჩოჩორას შთამომავლები. ჩოჩორას მიხა აბულაძეს ეძახდნენ მეტსახელად.

ძამანაანი – ძამა ეპონიმის, ვანო აბულაძის, მეტსახელი იყო.

კერესელიძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 3053 კერესელიძე (თბილისში – 1501, ამბროლაურში – 237, გორში – 166) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). აგრეთვე, გვარი გავრცელებულია თერჯოლის (ალისუბნის თემში), ონის (სოფ. ბოყვაში), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებსა და სხვ. (მაისურაძე, 1990, 87).

გვარის ფუძედ მიიჩნევა საკუთარი სახელი კერესელი, რომელიც მიღებულია სიტყვებისგან „კერა“ ან „კერე“ და „სელი“. 1840 წელს კერესელიძეები მოიხსენიებიან რაჭის შემდეგ სოფლებში: ბარში, ბოყვაში, გორში, კრიხში, პიპილეთში, სადმელში, ფარავნეშში, ქვედა შავრაში, ღადიშში, შარდომეთსა და წესში. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ბოგვში „ალგეთისპირა ერთ-ერთ ბაღს ახლაც ეძახიან „კერესელიძეების ბაღს“, იტყვიან „კერესელიძეების წისქვილსაც“... ეს წისქვილი საუკუნეზე მეტხანს ემსახურებოდა

ბოგვესა და ახლომახლო სოფლებს. არის „კერესელიძეების სახლიც“, მაგრამ ამ სახლს თავისი პირვანდელი მფლობელის სახელი ვერ შერჩა, ხალხის ხსოვნამ მისი უკანასკნელი მფლობელის, საგინაშვილის, სახელი შემოინახა“ (მაისურაძე, 1981; ახუაშვილი, 2005, 460).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ეზატში, ცხოვრობდა კერესელიძეთა 9 კომლი.

ეზატელი კერესელიძეები, რესპონდენტთა ინფორმაციით, წამოსულან ონის მუნიციპალიტეტის სოფ. წესიდან, დაახლოებით, 150 წლის წინ. რესპ. თ. კერესელიძე: „პაპაჩემის პაპა ორი შვილით – ბიჭით (პაპაჩემის მამა) და ქალიშვილით (პაპაჩემის მამიდა) – წამოსულა. იმ დროს ეზატში ზედსიძედ ყოფილა შეძლებული გლეხი გიორგი მელაძე, რომელსაც ჰყოლია მეუღლედ ძაგნიძის ქალი. ეს ცოლ-ქმარი ყოფილა უშვილო. გიორგის სახლში ჰყოლია ცოლის და, ნინო ძაგნიძე, რომელიც შერთო პაპაჩემის მამას, იოსებ (სისა) კერესელიძეს, და, რადგან უშვილო იყო, დაასახლა თავისთან, მერე თავისი სახლ-კარი დაუტოვა კიდეც. მელაძეებთან ცხოვრობდნენ თავიდან სისა კერესელიძის (პაპაჩემის მამის) მამა და დაც. მერე ეს და გათხოვდა მონასელიძეებში, მამაც იმან წაიყვანა და იქ არიან დაკრძალულნი, ხოლო სისა აქ მარხია (ეზატში, მახარიაანთ გორაზე), რადგან აქ ჩაესიძა. სისა კერესელიძეს ჰყოლია 4 ვაჟი: სამი (მათ შორის – პაპაჩემი, ბაღდო) აქ ცხოვრობდა, ერთი – თბილისში. ამ ძმების შთამომავლები არიან აქაური კერესელიძეები, შტოგვარებიც მათი სახელებიდან მოდის. თითოეულ შტოგვარში რამდენიმე კომლია, მაგრამ ახლა სოფელში ცხოვრობს 5-6 კომლი“.

შტოგვარები:

ბაღდუაანი – ბაღდო ეპონიმის, გრიგოლ კერესელიძის, მეტსახელია: ლამაზი კაცი ყოფილა და, როდესაც სიდედრ-სიმამრს პირველად უნახავს, უთქვამს ბაღდოს (ვიღაც ლამაზი კაცი იყო) ჰგავსო.

ძიბუაანი – ბაღდოს უმცროსი ძმის, ძიბუას, შთამომავლები არიან.

ჩეკიაანი – ბაღდოს ერთი ძმა ჩეკისტი ყოფილა (მერე მეცხვარე გახდა) და მის შთამომავლებს ჩეკიაანთ ეძახიან.

პეტრუაანი – ბაღდოს მეოთხე ძმის, პეტრუას, შთამომავლები.

რესპ. ნ. კერესელიძე: „დღეს შტოგვარებით უფრო ხნიერები მოიხსენიებენ ადამიანებს. ახალი თაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიხსენიებს ვინმეს წინაპრის სახელით, როცა ორი-სამი კაცის სახელი და გვარი ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, თამაზი და

ნუგზარი თითო ვართ ამ გვარისა, კერესელიძეები, საჭიროება არ არის, ბაღდუაანით მოგვიხსენიონ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან მოერიდებათ".

იაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 2122 იაშვილი (თბილისში – 1153, ქუთაისში – 127, გარდაბანში – 102) (სილაგაძე, თოთაძე, 1997).

სავარაუდოდ, გვარი წარმომდგარია საკუთარი სახელისგან „ია". ამავე ძირისაა იაძე. იაშვილები წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო იყო რაჭასა და იმერეთში (ქც, 4, 36). იაშვილთა სათავადო, სავარაუდოდ, ჩამოყალიბდა XV ს-ის მიწურულს, რაჭაში, როდესაც მათ ბეთლევის ტაძარი ააშენეს (სოსელია, 1973, 126). ტაძარი აშენებულია 1453 წელს (ბოჭორიძე, 1994, 56). პირველად გავრცელებული იყო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: სადმელში, ძირაგეულში, კლდისუბანსა და ბეთლევში. ვახუშტი ბატონიშვილი იაშვილებს ძველ წარჩინებულ გვართა შორის ასახელებს (ქც, 4, 36). ყველაზე ადრინდელი ცნობა ამ საგვარეულოს შესახებ დაცულია 1432 წლის სიგელში: სამადავლე იაშვილს მონაწილეობა მიუღია კოტრიძეთა და ჭარულიძეთა სასისხლო დავაში (პალ, 1993, 408; სოსელია, 1973, 120-133; მაისურაძე, 1990, 78). 1534-1566 წლების საბუთებში ჩანს ნასყიდა იაშვილი, რომელიც ყოფილა როსტომ გურიელის „მზითეული ყმა, მწიგნობარი, მგალობელი, მღვდელი". XVIII ს-ის დამდეგს რაჭის ერისთავმა იაშვილები „გამოაძო რაჭიდამ" (სოსელია, 1973, 126). რაჭის ერისთავებისგან შევიწროებულნი იმერეთის მეფისგან იღებდნენ ყმა-მამულს. იმერეთის სამეფო კარზე ეჭირათ მეღვინეთუხუცესის, მდივანბეგისა და მოურავის თანამდებობები. იაშვილთა გვარიდან აზნაურებიც იყვნენ. როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, ამას სახლის დაშლა და იაშვილთა სხვაგან გადასახლება იწვევდა (თოფჩიშვილი, 2011, 157-159).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში იაშვილთა 5 კომლი ცხოვრობდა, ამათგან 4 – ეზატში. ამჟამად ეზატში იაშვილების ოჯახიდან, რესპონდენტთა ინფორმაციით, ერთი ქალიღა დარჩა და ისიც – რძალი, მონასელიძე.

ლაზარიაანი – იაშვილების ერთ-ერთი შტოგვარის წარმომადგენლები იყვნენ. ლაზარე მათი წინაპარი იყო.

ოთიაანთუბანი

ცხოვრობენ ძირითადად ოთიაშვილები, მაგრამ არიან ბაქრაძეებიც, რაზმაძეებიც, ჩიტაშვილებიც, ძამუკაშვილებიც და ა. შ.

ოთიაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1208 ოთიაშვილი (თბილისში – 353, საგარეჯოში – 217, ქობულეთში – 180) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ი. მაისურაძის ცნობით, გვარი ძირითადად გავრცელებულია კავთისხევსა და ვაქირში (სიღნაღის მუნიც.). ამავე ძირისაა ოთიაური, ოთინაშვილი, ოთიურიძე (მაისურაძე, 1990, 127). შდრ. საკუთარი სახელი ოთია (სს, I, 31), ოტია. 1721 წლის აღწერის მასალებში მოხსენიებულნი არიან ყმები სულია და ბერია ოთიაშვილები (ახუაშვილი, 2005, 563).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ეზატში, ოთიაშვილთა 15 კომლი ცხოვრობდა. რესპ. ვ. ოთიაშვილის ინფორმაციით, XVIII ს-ის მიწურულს ოთიაშვილების წინაპრები, ძმები ბერუკა და პეტრია ოთიაშვილები, მამუკა თარხნიშვილს ახლდნენ ჯარში. მამუკამ ისინი მიჰყიდა თიანეთის მოურავს. ძმებმა იუკადრისეს ყმობა და გამოიქცნენ, მაგრამ სახლ-კარი აოხრებული დახვდათ, რადგან მამუკას ძმას, ზურაბ თარხნიშვილს, ოთიაშვილების დარჩენილი ძმები 14 თუმნად მიუგირავებია სოლომონ თარხნიშვილისთვის. აქ რომ სახლ-კარი არ დახვდათ, გაბრუნდნენ თიანეთში, მაგრამ თიანეთის მოურავმაც იუკადრისა მათი დაბრუნება და კავთისხევში დასახლდნენ საეკლესიო მამულზე ხიზნებად.

შტოგვარები:

ბერუკაანი – ბერუკა (ნამდვილი სახელია) ოთიაშვილის შთამომავლები.

კიკოლაანი – კიკოლა (ნამდვილი სახელია) ოთიაშვილის შთამომავლები.

კიჭაანი – კიჭა ეპონიმის მეტსახელია, რომელიც, რესპონდენტთა ვარაუდით, უკავშირდება კბილს („კიჭი – კბილი (ბავშვის ენაზე)", ქეგლი, IV, 234).

წივილაანთუბანი

ძირითადად სახლობენ წივილაძეები, მაგრამ არიან კახურაშვილებიც, ნოქარაშვილებიც და სხვ.

წივილაძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 102 წივილაძე (თბილისში – 54, კასპში – 48) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ეზატში, ცხოვრობდა წივილაძეთა 19 კომლი.

რესპ. თ. წივილაძის ინფორმაციით, წივილაძეები ადრე ყოფილან მარჯანიძეები, ჩამოსულები დასავლეთიდან, იმერეთიდან. დასახლებულან თავდაპირველად სოფ. გუდალეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნასოფლარ წიფორის სიახლოვეს. წიფორის ქვევით სასაფლაოზე შემორჩენილია წივილაძეების ნიში, ახლაც მიდიან ხოლმე წივილაძეები სალოცავად. XVIII ს-ის ბოლოსკენ ჩამოსახლებულან ეზატში. რამდენიმე კომლი იყო და მერე გამრავლდნენ, მაგრამ შტოგვარები არ აქვთ, თუმცა, აქვთ საგვარეულო მეტსახელი – წინაპრის სახელიდან გამომდინარე, **პატიკოანთა** ეძახიან მთელ საგვარეულოს, როცა ერთად მოიხსენებენ.

თვალადი

სოფელ თვალადში, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ცხოვრობდა 554 ადამიანი (262 კაცი, 292 ქალი), 98 % – ქართველი. შდრ.: 1930 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით – 178 კომლი, 820 ადამიანი (819 – ქართველი, 1 – ეროვნება არარის მითითებული) (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930, 11-12). თვალადის ძირითადი უბნებია: კავთიაანთ (კავთიაშვილების), კაციაანთ (კაციაშვილების), მექანარიაანთ (მექანარიშვილების), მოდრეკილაანთ (მოდრეკილაძეების), ნოქარაანთ (ნოქარაშვილების), ონოფრიაანთ (ონოფრიშვილების), შეშაბერიაანთ (შეშაბერიძეების), ძამუკაანთ (ძამუკაშვილების), ხვედრელიაანთ (ნაცვლიშვილების) უბნები. უბნები სახელდებულია იქ მცხოვრები ძირითადი მოსახლეობის გვარების (ერთ შემთხვევაში კი – საგვარეულო მეტსახელის – ხვედრელიაანი) მიხედვით. არის მიკროუბნებიც.

კავთიაანთუბანი

კავთიაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 279 კავთიაშვილი (თბილისში – 137, კასპში – 78, მცხეთაში – 34) (სილაგაძე,

თოთაძე, 1997). ი. მაისურაძის მოსაზრებით, გვარის ფუძეა საკუთარი სახელი კავთია, ამავე ძირისაა კავთუაშვილი (გავრცელებულია ვაქირში, სიღნაღის მუნიც.) (მაისურაძე, 1990, 81-82). ი. ახუაშვილის მოსაზრებით, ამავე ძირისაა კავთელიშვილი, კავთელაშვილი, კავთიევსკი (ახუაშვილი, 2005, 451). ი. მაისურაძე კავთიაშვილს და კავთელაშვილს არ მიიჩნევს ერთი წარმომავლობისად: „კავთელაშვილი – გავრცელებულია ანაგაში (სიღნაღის მუნიც.), მომდინარეობს სადაურობის სიტყვა კავთელ-ისგან, ტოპონიმი კავთა ჩაქსოვილია სოფლის სახელწოდებაში – კავთისხევი“ (მაისურაძე, 1990, 81).

ადგილობრივთა მოსაზრებით, გვარი მომდინარეობს სიტყვისგან „კავთა“. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „გვარი კავთიაშვილი კავთის ეკლესიიდან მომდინარეობს. ძირძველი მაცხოვრებლები არიან. სულ ეგენი იყვნენ დასახლებული კავთიაანთუბანში, რაც გამიგია წინაპრებისგან, და ახლაც მხოლოდ ისინი არიან“.

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, თვალადში, კავთიაშვილთა 13 კომლი ცხოვრობდა. კავთიაშვილთა შტოგვარების შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს.

კავთიაანთუბანში ცხოვრობენ **მაღალაშვილები.**

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 694 მაღალაშვილი (თბილისში – 429, გორში – 61, კასპში – 54) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მაღალაშვილი იგივეა, რაც მაღალაძე. ერთსა და იმავე საბუთში ეს ორი ფორმა ხშირად პარალელურად იხმარება[8]. როგორც ირკვევა, გვარსახელის თავდაპირველი ფორმა იყო მაღალაძე. XIX ს-ის დასაწყისიდან „მაღალაშვილი“ დამკვიდრდა. გვარის ფუძეა საკუთარი სახელი მაღალა (მაისურაძე, 1990, 104; თოფჩიშვილი, 2011, 206-207; ახუაშვილი, 2005, 506-507).

იოანე ბაგრატიონის ცნობით, „თავადი მაღალაშვილი – ესენი არიან იმერეთიდგან მოსრულნი საქართველოსა შინა დროსა მეფისა ალექსანდრესა ქრისტეს აქეთ 1415 და მეფემან ალექსანდრემან

[8] გვარსახელში ორი სუფიქსის გამოყენება დამახასიათებელია XV-XVIII სს-ის თითქმის ყველა საბუთისათვის. საერთოდ, აღმოსავლეთ საქართველოში -ძე სუფიქსის -შვილი სუფიქსით ჩანაცვლება ძირითადად გვიან შუა საუკუნეებში მოხდა.

მიიღო აზნაურად და უბოძა იონის ძის მამულითგან ნაწილი და შესწირა მცხეთის ეკლესიას... ხოლო უკანასკნელ მეფემან ირაკლი უბოძა თავადობა ამილბარ მაღალაშვილსა ქრისტეს აქეთ 1783-სა და არიან თავადად: 1) ამილბარისშვილები, ხოლო 2) დავითისშვილები და სხვანი ამათი სახლის კაცნი აზნაურად..." (ბაგრატიონი, 1997, 33); დ. ციციშვილის ცნობით კი: „ესენი იყვნენ პირველ აზნაურნი სამცხისანი და გარდმოსულნი პირველ სამ სამეფოდ განყოფისა საქართუელოსა და დროსა მეფის ალექსანდრე მცხეთის აღმაშენებლისასა 1415 წელსა"... როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, მაღალაძეთა (მაღალაშვილთა) იმერეთიდან და სამცხიდან ქართლში მიგრაციის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა არ გაგვაჩნია. არ დასტურდება იოანე ბაგრატიონის ის ცნობაც, რომ მეფემ ისინი იონისძის მამულზე დასვა. საისტორიო საბუთებით ირკვევა, რომ მაღალაძეები კათალიკოსს ივანიასძეების მამულზე დაუსვამს, მათი მამული და სამოხელეო თანამდებობა – მცხეთიშვილობა (საყდრიშვილობა), ე. ი. სვეტიცხოვლის აზნაურობა უბოძებია. საეჭვოა მაღალაძეების იმერეთიდან ქართლში გადმოსვლის თარიღიც (1415 წელი). 1411 წლის ნასყიდობის წიგნში მოხსენიებული მღვდელ-მონაზონი ზაბილონ მაღალაშვილი, რომელიც 1411 წელს ადგენს სიგელს და მოწმეა ერთ-ერთი სამართლის ძეგლისა, ქართლის მკვიდრი ჩანს (პალ, 2004, 85; თოფჩიშვილი, 2011, 206-210). მაღალაძეები // მაღალაშვილები მოხსენიებულნი არიან XV ს-ის რამდენიმე საბუთში. ამ გვარის წარმომადგენლები ფლობდნენ მცხეთის საკათალიკოსო კარის სახლთუხუცესის, აგრეთვე მეღვინეთუხუცესის სახელოს (თოფჩიშვილი, 2011, 206-210). როგორც ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, XV ს-ის მეორე ნახევარში კავთურას ხეობაში დაწინაურდა აზნაური მაღალაძე (ბერიძე, 1947, 195-204)[9]. ამ დროიდან მაღალაძეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს გვარი XVII ს-ში, როდესაც გვარის მეთაური გახდა პაპუა მაღალაძე, „სვეტიცხოვლის სახლთუხუცესი" (დოკუმენტები, 1940, 29; მაკალათია, 1960, 6). იგი

[9] ცნობილია, რომ ამ დროს საქართველოს მთლიანობა დაიშალა და გიორგი VIII (1446-1466 წწ.) მეფე-მთავრებთან ბრძოლაში იძულებული გახდა ზოგი საგვარეულო, მათ შორის, მაღალაძეები, დაეწინაურებინა (მაკალათია, 1960, 6).

1626-1681 წლების საბუთებშია მოხსენიებული. იყო გამოჩენილი კაცი. ეწეოდა სამშენებლო საქმიანობას, გაჰყავდა რუები, აშენებდა მარნებსა და საწნახელებს, წინარეხში, სადაც ცხოვრობდა, ორი სასახლე აუშენებია (თოფჩიშვილი, 2011, 206-210). სოფ. წინარეხში მცხოვრები აზნაური მაღალაძეები იყვნენ მწიგნობარ-კალიგრაფები. 1391 წელს მაღალაშვილების მხედრულად ნაწერ სიგელში აღნიშნულია: „ჩუენ, მეფეთ მეფემან პატრონმა ალექსანდრე, ესე წყალობის წიგნი გიწყალობეთ... თქვენ მაღალაძეებს ამილბარს, დიმიტრის და გიორგის“ (ახუაშვილი, 2005, 506-507). 1850 წლის ქართლისა და კახეთის თავად-აზნაურთა სიაში 11 კომლი აზნაური მაღალაშვილია შეყვანილი (თოფჩიშვილი, 2011, 206-210).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში მაღალაშვილთა 4 კომლი ცხოვრობდა, აქედან 2 – თვალადში.

მაღალაშვილები კავთისხევში გადმოსახლდნენ წინარეხიდან, სადაც, როგორც ისტორიიდან ცნობილია, ჰქონდათ ციხესიმაგრე, მამულები, ტყე, კოშკები (მაღალაძიაანთ კოშკები), თავიანთი აფთიაქი[10]. რესპ. გ. მაღალაშვილი: „ჩემს წინაპრებს მცხეთის ეკლესიიდან დაწყებული ქვათახევსა თუ არმაზში დიდი სასულიერო თანამდებობები ჰქონდათ. მაღალაშვილებს დაუწერიათ სამკურნალო წიგნი, ხელნაწერი. მაღალაშვილებმა მიიღეს უშუალო მონაწილეობა თბილისში სტამბის დაარსებაში, მაგრამ, როცა ის წიგნი დაიწერა, სტამბები არ არსებობდა თურმე. წინარეხში პაპაჩემი იყო მაღალაშვილების ბოლო მემკვიდრე. აქედან რომ მივდივართ ქვათახევში, მარცხენა მხარეს რაც წყალი გადმოიღვრება, აქეთ, კავთურასკენ, სულ ჩვენი ყოფილა. პაპაჩემი იქ ნახშირს წვავდა. ეგ იყო მისი თავადობა თუ აზნაურობა, რომ შემორჩენილი ჰქონდა წინაპრებისგან ტყე და მამულები. მერე ჩამოვიდა და დასახლდა თვალადში, მოდრეკილაანთუბანში. ჩვენც თავიდან ამ უბანში ვცხოვრობდით. კავთისხეველი მაღალაშვილები ვართ პაპაჩემის შთამომავლები: მე, ჩემი ძმა და ჩემი ბიძაშვილები, რომლებიც ცხოვრობდნენ ციხისუბანში. ცოტანი ვართ, შტოგვარები არა გვაქვს“.

---

[10] გადმოცემით, „ქსილისის მთიდან ამ გალავნამდე მილი იყო ჩატანებული და გალავანში შეხიზნულებს, მტრის გარემოცვის შემთხვევაში, მწყემსები რძეს აწვდიდნენ. ეს რძე „მცურავს“ (გველს) მოუშხამავს და მთელი სოფელიც ამოწყვეტილა. გადარჩენილა ერთი, აქედან გახიზნული მაღალაძე“ (მაკალათია, 1960, 26).

კაციაანთუბანი

კაციაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1076 კაციაშვილი (თბილისში – 331, კასპში – 303, გურჯაანში – 156) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარის ფუძეა საკუთარი სახელი კაცია. 1721 წლის აღწერის მასალებში მოხსენიებულია ლამაზა კაციაშვილი (ახუაშვილი, 2005, 455). ამავე სახელისგან ნაწარმოებია გვარები: კაცია, კაცაძე (ჭუმბურიძე, 1987, 348-349).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში კაციაშვილთა 15 კომლი ცხოვრობდა, აქედან 13 – თვალადში. რესპ. ნ. კაციაშვილის ინფორმაციით, კაციაშვილები წარმოშობით ჯავახეთის ახალციხიდან არიან. თავდაპირველად დასახლებულან კაციაანთ ხევში, სადაც შემორჩენილია მათი საგვარეულო ეკლესია (კაციაანთ საყდარი). მოგვიანებით თავადებს ჩამოუსახლებიათ ახლანდელი კაციაანთუბნის ტერიტორიაზე, რადგან კაციაანთხევში კარგი ნაკვეთები იყო და, ცალქალამანიძეებმა რომ აზნაურობა მიიღეს, ეს მიწები იმათ გადაეცათ. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „კაციაშვილები კაციაანთხევიდან დიდი ხნის წინ ჩამოსახლდნენ, ორი საუკუნე მაინც იქნება, მათი პაპის პაპებიც აქ გაიზარდნენ. კაცია სახელია, ალბათ ამ სახელთან არის დაკავშირებული ეს გვარი“. ნ. კაციაშვილი: „ჩვენს წინაპარს ეგრე აქვს გადმოცემული, რომ კაციაშვილები XI ს-ში არიან მოსულები. მე 77 წლის ვარ და ჩემზე ადრინდელები რომ იყვნენ, იმათგან ვიცი. დასახლებულან კაციაანთხევში, საცა კაციაანთ საყდარია. ოთხი ძმანი ყოფილან, იქიდან რომ წამოსულან. ერთი წავიდა საინგილოში, ერთი – გომში, ერთიც – კახეთში. ჩვენ ვართ იმ ერთი დარჩენილი ძმის შთამომავლები“.

შტოგვარები:

კაკუნაანი – წინაპარი, კაკუნა (ეპონიმის მეტსახელია), რესპონდენტის ინფორმაციით, ხელოსანი ყოფილა, მუდამ რაღაცას აკეთებდა, აკაკუნებდა. კაკუნაანის განაყოფები არიან:

ა) **ჯაგირაანი** – ორი-სამი ოჯახია. ჯაგირა ეპონიმის მეტსახელია. რესპ.: „სულ აჯაგრული დადიოდა ეგ კაცი, კაციაშვილების წინაპარი, მაჩხუბარი იყო“. ჯაგირაანთ დასახლებას ჯაგირაანთუბანს უწოდებენ.

ბ) **იობაანი** – იობა ერქვა ეპონიმს. რესპ.: „ჩვენ იობაანთა გვეძახიან, იობა იყო პაპაჩემი“.

გაქვისაანი – გაქვისა (უცნობია, სახელი იყო თუ მეტსახელი) ერქვა კაკუნას ძმას.

რესპ. ნ. კაციაშვილი: „კაკუნა და გაქვისა ძმები ყოფილან, ორივე აქა ცხოვრობდა. ერთი შტო იყო და მერე გაიყო: ერთი მხარე იყო კაკუნაანი და მეორე – გაქვისაანი. გაქვისაანთ შთამომავლები არ ვიცი და ჯაგირას პაპა და ჩემი პაპა (იობა) იყვნენ ალალი ძმები. ერთად ვიქნებით 10-15 ოჯახი. ჯაგირაანს და იობაანს აქეთ შთამომავლობა შტოგვარებად არ გაყოფილა“.

გურასპაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 459 გურასპაშვილი (თბილისში – 163, ქარელში – 108, კასპში – 54) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გურასპაშვილი გულასპაშვილის პარალელურ ან მისგან მომდინარე ფორმად მიიჩნევა (საკუთარი სახელისგან გულასპ-ი: გულ (სპ.) – ვარდი, ასპ – ცხენი). ამავე ფუძისა უნდა იყოს გურასპიშვილი, გურასპაული. 1742 წელს სოფ. ბოგვში ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში მოხსენიებულია ძულია გურასპაშვილი (ახუაშვილი, 2005, 357-358).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, თვალადში, გურასპაშვილების 7 ოჯახი ცხოვრობდა.

გურასპაშვილები კაციაანთუბანში ცხოვრობენ ჯაგირაანთ (კაციაშვილების შტოგვარია) გვერდით. ამიტომ ამ მიკროუბანს ჯაგირაანთუბანსაც უწოდებენ და ნარგიზაანთუბანსაც.

ნარგიზაანი – თვალადელი გურასპაშვილების საგვარეულო მეტსახელია. მოტივაცია რესპონდენტთათვის უცნობია.

შალიტაურები

კაციაანთუბანში შალიტაურების ორიოდე ოჯახი ცხოვრობს. მათ ჯიხვიაანთ ეძახიან, რადგან ხევსურეთიდან არიან ჩამოსულები და სულ ჯიხვზე ლაპარაკობენ. 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში შალიტაურთა სულ 4 კომლი ცხოვრობდა, აქედან 2 – თვალადში, 2 – ციხისუბანში (გადასული არიან თვალადის კაციაანთუბნიდან).

იორდანიძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 89 იორდანიძე (თბილისში – 44, კასპში – 29, ოზურგეთში – 7) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში იორდანიძეთა 4 კომლი ცხოვრობდა, ამათგან 3 – თვალადში.

იორდანიძეები ცხოვრობენ კაციაანთუბნის ჩრდილოეთით. მათ **წიწიკაანთ** უწოდებენ (დასახლებაც წიწიკაანია – მიკროუბანი).

რესპ.: „წინიკა ალბათ იორდანიძეების წინაპრის მეტსახელი იყო. ცოტანი არიან. ერთი იორდანიძე ციხისუბნის თხინვალიაანთუბანში გადასახლდა, ორი-სამი ოჯახი თვალადშია“.

მექანარიაანთუბანი

მექანარიშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 66 მექანარიშვილი (კასპში – 50, თბილისში – 14, მცხეთაში – 2) (სილაგაძე, თოთაძე, 1997).

მექანარე მოსაქმეობის (პროფესიის) აღმნიშვნელი სახელია, ნიშნავს ქნარის გამკეთებელ-დამკვრელს. ს. მაკალათიას ცნობით, მექანარიშვილთა „წინაპარი ყოფილა მეფის მემუსიკე, დამკვრელი მექანარე და ამის გამო უწოდებიათ მათთვის მექანარიშვილი“ (მაკალათია, 1960, 15). ამავე ძირისაა მექანარი (გავრცელებულია გრიგოლეთში, ლანჩხუთის მუნიც.) (მაისურაძე, 1990, 110). მექნარიშვილი ჯავახი მოხსენიებულია 1695 წლის ყმისა და მამულის წყალობის წიგნში, რომელიც გიორგი მეფეს ბეჟან ჩივაძისა და მისი ძმისთვის, სეხნიასათვის, მიუცია: „არა საჩვენო სახელმწიფო სათხოვარი არა ეთხოვებოდათ... კიდევ ჩვენ შემოგიმატეთ და გიბოძეთ კავთისხევს თელათუბანს ჯავახი მექანარაშვილი და დათუნასშვილი თევდორა...“ (დოკუმენტები, 1940, 95; თოფჩიშვილი, 2011, 378-379).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში მექანარიშვილთა 12 კომლი ცხოვრობდა, ამათგან 10 – თვალადში. რესპ. რ. მექანარიშვილი: „გვარი მექანარიშვილი წარმოდგება ფუძე ქნარისგან. ადრე ქნარს ქანარსაც ეძახდნენ, ისტორიულ ძეგლებში ქნარადაც მოიხსენიება და ქანარადაც. ჩვენი გვარისები ცხოვრობენ ციხისუბანშიც, ბარდაანში, და იმათ მღვდლიაანთა ეძახიან, მღვდელი იყო წინაპარი, მექანარიშვილი. აქ შტოგვარები არ გვაქვს, რადგან სულ ერთი შტოა, ერთი პაპის, მიხეილის, შვილები ვართ. მიხეილს ჰყავდა ექვსი ვაჟი და სამი ქალიშვილი. იმ ექვსი ვაჟიშვილის შვილები ვართ აქ. მღვდლიაანი პაპაჩემის ნათესავები იქნებოდნენ, მაგრამ კარგა ხანია, წავიდნენ“.

მოდრეკილაანთუბანი

ცხოვრობენ სოფ. გუდალეთიდან ჩამოსახლებული მოდრეკილაძეები, 8 კომლი. შტოგვარები არა აქვთ (იხ. გუდალეთი, მოდრეკილაძე).

ნოქარაანთუბანი

ნოქარაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 89 ნოქარაშვილი (თბილისში – 42, კასპში – 33, თიანეთში – 6) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, თვალადში, ნოქარაშვილთა 7 კომლი ცხოვრობდა.

ნოქარაშვილები, ადგილობრივთა ცნობით, სოფ. თვალადის ძირძველი მოსახლეები არიან. რესპონდენტის ინფორმაციით, სულ 7 კომლი იყო, 1 ეზატში გადავიდა, 1 – რუსთავში, 1 – წინარეხში. ახალმა თაობამაც დატოვა სოფელი. ამდენად, შტოგვარები არა აქვთ, მაგრამ არის ერთი საოჯახო მეტსახელი:

ბაკლაშკაანი – ბაკლაშკებს ეძახიან ორ ტანდაბალ, ჩაფსკვნილ ძმას (რუს. **баклажка** „მომცრო ზომის ლითონის ან ხის საცობიანი ჭურჭელი“, რუსულ-ქართული ლექს., 1983). ამ ორი ძმის ორ ოჯახს უწოდებენ ბაკლაშკაანთ.

ონოფრიაანთუბანი

ონოფრიშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 182 ონოფრიშვილი (თბილისში – 83, ყვარელში – 35, გურჯაანში – 20) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). როგორც ი. მაისურაძე აღნიშნავს, გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელისგან ონოფრე. გადმოცემით, ონოფრიშვილთა ძველი გვარი მოსიძე ყოფილა, ჯავახეთიდან გადმოსულან ქართლში (მაისურაძე, 1990, 127).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში ონოფრიშვილთა 10 ოჯახი ცხოვრობდა, ამათგან 9 – თვალადში.

ერთი ვერსიით, დაახლოებით, XVII ს-ში ონოფრე მღვდელი (მოსიძე) მოვიდა ამ ტერიტორიაზე. აქედან არიან ონოფრიშვილები. აქვე, ონოფრიაანთ საყდართან, არის ონოფრე მღვდლის საფლავიც. მეორე ვერსიით, ონოფრიშვილები ადრე ცხოვრობდნენ ციხისუბანში, საიდანაც წამოვიდა სამი ძმა, მჭედელი. ორი წავიდა კახეთში, ლაგოდეხში, იქ „მოშენდა, მოჯიშდა“, ერთი თვალადში დასახლდა. ამ ძმის განაყრები არიან თვალადელი ონოფრიშვილები, ონოფრიაანთუბნის მცხოვრებნი. რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „გვარიც ონოფრიაანია და უბანიც. აქ ჩამოსული წინაპრის მესამე თაობა ვარ მე, კოწიასა და ვანას მერე. ონოფრიაანი მოშენებული იყო იმ კაცისაგანა. ონოფრიაანთ საყდართან დიდი დარბაზი გვქონდა,

სადაც პაპაჩემი ცხოვრობდა, თვითონ საცა დავიბადე და გავიზარდე. დიდი დარბაზი იყო, სულ იქ არიან მთელი ეს ონოფრიაანი, გზას ქვემოდანა, დაჩენილნი, იქ დაიზარდნენ. ამასაც მოვესწარი, რომ მიწის ტახტი ჰქონდათ, ზედ ჭილოფი, სიმინდის ფუჩეჩი, გვქონდა გაშლილი. დიდი ბუხარი იყო, არყის ქვაბი შიგ შედიოდა და ხდიდნენ არაყს. შეშას კი არ ჭრიდნენ, ტყიდან რომ მოიტანდნენ, ისევე შეათრევდნენ ამ დარბაზში და დანვავდნენ. ოთხი ძმანი იყვნენ, დედაჩემის მამა და იმისი ძმები. მერე ძმები გაიყარნენ. პაპაჩემმა, ჭკვიანი კაცი იყო, ტყე გაყიდა ტყემლიანაში და, იმ დარბაზის წინ რომ დიდი სახლია, ის ააშენა. დარბაზის შემდეგ ჯერ აშენდა ნინაანთ ბინაი, მერე – ბატონასი, მერე – ესტატიაანთ ბინა... სულ ერთად არის გაყოლებული. ვინც მერე იყიდა ბინა ან ჩაესიძა (როგორც მამაჩემი), თორემ დანარჩენები ონოფრიშვილები არიან. ონოფრიშვილებს შტოგვარები არა აქვთ“.

ზაქარიაშვილები, სამნუაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 387 ზაქარიაშვილი (თბილისში – 143, კასპში – 69, გურჯაანში – 44) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი უნდა მომდინარეობდეს საკუთარი სახელისგან ზაქარია (ძვ. ებრ., ნიშნავს „ღვთის მიერ დაუვიწყარს“) (ახუაშვილი, 2005, 775).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, თვალადში ცხოვრობდა ზაქარიაშვილთა 1 და სამნუაშვილთა 1 კომლი. ზაქარიაშვილები, გადმოცემით, რაჭველი აზნაურები ყოფილან. XVII-XVIII სს-ში ზედსიძედ წამოსულა კაცი ახალქალაქში. ამჟამად იქ, დაახლოებით, 6 კომლია. მათ სამნუაანთ ეძახიან. ახალქალაქიდან ერთ-ერთი ზაქარიაშვილი საცხოვრებლად გადავიდა თვალადში, ონოფრიაანთუბანში, მეუღლის ოჯახში. მათი ერთ-ერთი შვილის შვილებმა გვარად აიღეს სამნუაშვილი.

რესპ. ო. ზაქარიაშვილი: „როდესაც დედაჩემის ძმა დაიღუპა, ბაბუაჩემი მარტოკელა დარჩა. ჯერ უფროს სიძეებს სთხოვა, მამეპატრონეთო, მაგრამ უარი უთხრეს. ბოლოს მიაკითხა მამაჩემს. მამაჩემმა უთხრა: მე იქ დამრჩენი არა ვარ, მაგრამ წამოვალ, მამულს მოვუვლი, დაგიმუშავებო. რომ მოვიდა, აქაურები დაუპირისპირდნენ, მამულების ხელში ჩაგდება უნდოდათ. ბევრი უსიამოვნება გადახდა, ბევრჯერ გადაეკიდნენ, ვითომ შევაშინებთ და გავაგდებთო, მაგრამ შეუპოვარი, გულადი კაცი იყო ძაანა. აი, იმათ ჯიბრზე დარჩა,

ინტერესის გულისთვინ, რო არა თქვან, შევაშინეთ და წავიდაო, თორე მამაჩემსა აქ რა გადმაიყვანდა. მერე ის გადამტერებულები დაუძმაკაცდნენ, რო გაიგეს, რა კაცი იყო.

ახალქალაქში ჩვენი მისაგნები, რომ მოიკითხონ, არის სამნუაანი. პაპაჩემი, იოსები, მაშინ 14 წლისა იყო, უფროსმა ძმამ, ბაღრიამ, მეტეხში გაგზავნა დეიდაშვილებთან, ლალიაშვილებთან, ხარების მოსაყვანად. ყანის მკა არის და კევრში უნდა შეაბან ის ხარები, რომ გალეწონ მოსავალი. წამოვიდა იქიდან და სამუღელა (3 უღელი) ხარი მოუდის მეტეხიდან 14 წლის ბიჭს. სასამართლოსთან შეხვდა ნინიკა, ბატონი, თარხნიშვილი: „სად მიგიდის ეგ ხარებიო?“ – „კალოში უნდა შევაბათო“. „რა კალოშიო“ და, გრუზინცკიანთ ჩამოდაღმა კალოები ჰქონდათ ბატონებს, იქ წაასხეს ეს ხარები. ერთი კარგი სილაც გაჰკრა ბატონმა ამ პაპაჩემსა, არ ანებებდა ხარებს. ჩვენი კალოები კიდევა, დალაქის ქვას რომ ეძახიან, იქ იყო. გადააბრუნებს ეს ბაღრია ამ ძნასა, გადმააბრუნებს. დაიგვიანა, არ მორეკა ხარები. როგორც იქნა, დაბრუნდა პაპაჩემი და მივიდა ძმასთან. – „სადა ხარ აქამდინა, ხარებიც არ მოგიდის, ამდენი ხანი რატო დაიგვიანეო?“ – „ბატონმა ხარები წამართვაო“. ბაღრია ძლიერი კაცი იყო, მსხვილი, მაღალი. თითო თითი ჰქონდა თურმე ამ ჩემი მაჯის სიმსხო. მაშინ ხო ორთითები იცოდნენ, დაიდო ეს ორთითი მხარზედა და გაუდგა გზასა. მივიდა, მაგრამ კალოზე არ დახვდნენ ბატონები, მხოლოდ მოსამსახურეები იყვნენ, და არ დაინახა ხარები შებმული?! გამოუშვია ეს ხარები. ამ კევრსა, თეძამი მოდის, სულ ტყაპატყუპი გადაატანინა წყალშია, უღლიანადა. მივიდა, რჩეულოვის სახლთან ვიწრო ქუჩა რომ გამოდის, იქ ცხოვრობდნენ ეს ბატონები, და დაუძახა: „ნინიკა სახლშია? ბეჟანი სახლშია? ოთარი სახლშია?“ (სამი ძმანი იყვნენ), – „სახლში გახლავთო“. – „გამოეთრივნენ გარეთაო“. კი არ უთხრა, გამობრძანდნენო, გაჯავრებულია კაცი. გამეეჭრნენ მათრახებითა: „როგორ, გვიბრძანებ კიდეცაო!“. – „ოსეფა შენი ყმააო, ბაღრია შენი ყმააო, ნინიკა შენი ყმააო (ნინიკა რქმევია პაპაჩემის მეორე ძმასა), ლალიაშვილები რაღა შენი ყმები არიანო?!“. დაიჭირა და მოსცხო ეს ორთითი. ეე, დაღუპავენ ამ კაცსა, მოკლავენ, ჩამაახრჩობენ, როგორ, სამ ბატონსა სცემა ამ კაცმაო და შეერქვა სამნუაანი. სხვა ზაქარიაშვილებს მისაგნები სახელები არა აქვთ. ჩემი ძმისშვილები სამნუაშვილებად იწერებიან, ცხოვრობენ თვალადში“[11].

[11] სამნუაშვილი გავრცელებული გვარიც არის, მიღებული საკუთარი სახელისგან სამნუა. 1721 წლის აღწერაში მოიხსენიებიან ქიტია და მათე სამნუაშვილები (ახუაშვილი, 2005, 601).

ცხვედაძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 496 ცხვედაძე (თბილისში – 309, ხარაგაულში – 40, ქარელში – 31) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელისგან ცხვეთა (ცხვედეთი (← ცხვედიეთი) სოფელია დუშეთის მუნიციპალიტეტში). ამავე ძირისაა ცხვედიანი, ცხვედიაშვილი (გავრცელებულია არბოშიკში, დედოფლისწყაროს მუნიც.) (მაისურაძე, 1990, 210). 1843 წელს სოფ. ღოლოვანში (თეთრიწყაროს მუნიც.) მოიხსენიებიან დავით, გიგოლა, ბეჟანა, სიმონ და ანდრო ცხვედაძეები (ახუაშვილი, 2005, 704).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში ცხვედაძეების 1 კომლი ცხოვრობდა, კერძოდ, თვალადში, ონოფრიაანთუბანში. გადმოსულან მანგლისიდან, თონეთიდან. მოიხსენიებენ როგორც **მღვდლიაანთ,** რადგან მათი წინაპარი მღვდელი იყო, მათ საცხოვრებელ ადგილსაც მღვდლიაანთ თავქვეს უწოდებენ.

შეშაბერიაანთუბანი

შეშაბერიძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 394 შეშაბერიძე (კასპში – 112, ასპინძაში – 90, თბილისში – 58) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ამავე წარმომავლობისა ჩანს შაშაბერიძე (მაისურაძე, 1990, 192).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, თვალადში, შეშაბერიძეთა 16 კომლი ცხოვრობდა. რესპონდენტის ინფორმაციით, გორიდან წამოსულან დიდი ხნის წინ. გადმოცემით, შეშაბერიძეებმა გაზარდეს ობლად დარჩენილი მონასელიძე. შტოგვარები არა აქვთ.

ძამუკაანთუბანი

ძამუკაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 912 ძამუკაშვილი (თელავში – 524, თბილისში – 145, გურჯაანში – 74) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელისაგან ძამუკა (მაისურაძე, 1990, 211).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, თვალადში, ძამუკაშვილთა 11 კომლი ცხოვრობდა. რესპონდენტის ინფორმაციით, სოფლის ძირძველი მკვიდრები არიან, გვარიც უძველესია.

ხუთი ძმა ყოფილა, რომლებსაც ლეკების შემოსევის დროს ერეკლე მეფისთვის დახმარება უთხოვიათ. მეფეს უთქვამს, ჩემთან ახლოს გადმოდით, უფრო დაცული იქნებითო. წასულა ორი ძმა იქ, სამი დარჩენილა თვალადში. იმ სამი ძმის შთამომავლები არიან თვალადელი ძამუკაშვილები.

შტოგვარები:

ოთხი ძმა იყო: სიმონა, შიო, პეტრო და თედო. მათი შთამომომავლები (შვილიშვილები) არიან:

სიმონაანი – სიმონაანი სამი ძმა იყო, ერთი დაიღუპა, ორი კომლი დარჩა.

შიოაანი – ორი ოჯახი, შიო ძამუკაშვილის შთამომავლები.

პეტუაანი – პეტროს შთამომავლები.

თედუაანები – თედოს შთამომავლები.

გარდა ამ ოთხი ძმის შთამომავლებისა, ძამუკაშვილები არიან აგრეთვე:

ზაქარაანი – სიმონაანის გარებიძაშვილები არიან. ზაქარა იყო პაპა.

კოლაანები – კოლა ძამუკაშვილის შთამომავლები. ზაქარაანები და კოლაანები არიან ბიძაშვილები.

ხვედრელიაანთუბანი

უბანში ძირითადად ცხოვრობენ ხვედრელიაანი, იგივე ნაცვლიშვილები, აგრეთვე – შატბერაშვილები და ცალქალამანიძეები.

ნაცვლიშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 3535 ნაცვლიშვილი (თბილისში – 1228, ქუთაისში – 383, გურჯაანში – 313) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). იოანე ბაგრატიონის მიხედვით, „ამათნი წინაპარნი იყვნენ მოხელედ მეფეთა ნაცვლად წოდებულნი და მის გამო გაუგვარდათ ესე ნაცვლიშვილობა, რომელნიმე სახლობენ კახეთსა და რომელნიმე ქართლსა“ (ბაგრატიონი, 1997, 105). ი. მაისურაძის მოსაზრებით, გვარი მომდინარეობს ძველ სოფელში ადმინისტრაციული თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინისგან „ნაცვალი“. ამავე ძირისა უნდა იყოს ნაცვალაძე, ნაცვალაიძე (მაისურაძე, 1990, 123), ნაცვალაშვილი (ახუაშვილი, 2005, 553). ქართლელი ნაცვლიშვილები თავად აბაშიძეებისა და თავად ორბელიანების აზნაურები იყვნენ (ქსძ, 1970, 489. 490). აზნაური ნაცვლიშვილები კახეთშიც ცხოვრობდნენ

(ქსძ, 1965, 491) და დასავლეთ საქართველოშიც. ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც ნაცვლიშვილის გვარსახელია მოხსენიებული, 1578 წლით თარიღდება (ქსძ, 1970, 293). ბერთუბნელი აზნაური ბეჟიტა ნაცვლიშვილი მოხსენიებულია 1656 წლის საბუთში. 1850 წლის ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსხაში აზნაურ ნაცვლიშვილთა 6 ოჯახია შეყვანილი. საერთოდ, ამ გვარში უფრო მეტი გლეხი იყო, ვიდრე აზნაური (თოფჩიშვილი, 2011, 256).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, თვალადში, ნაცვლიშვილთა 23 კომლი ცხოვრობდა.

კავთისხეველი ნაცვლიშვილები, გადმოცემით, წამოსულან რაჭიდან, ხვედურეთიდან, ამიტომ მათ უბანს ხვედრელიაანთუბანს უწოდებენ. რესპ. მ. ნაცვლიშვილი, ბ. ნაცვლიშვილი: „ხუთი ძმა ყოფილა. ბატონყმობის დროს თურმე ცოლს რომ მოიყვანდა გლეხი, პირველად პატარძალთან ბატონი უნდა ყოფილიყო. ასე რომ არ მომხდარიყო, როცა ერთ-ერთმა ნაცვლიშვილმა ცოლი მოიყვანა, გამოიპარნენ ეს ძმები. წამოუღიათ რაჭიდან თავიანთი სალოცავი, ქვევრივით რაღაც. დაუგორებიათ ეს ქვევრი, სადაც გაჩერდება, იმ ადგილას დავსახლდეთო. ჯერ გაჩერებულან ქვემოთ, კავთისხევის სადგურთან. იქ, რაჭისგან განსხვავებით, მთები არ არის და წასულან. ჩასულან ნავთლუღში. მერე იქაც არ მოსწონებიათ და მხოლოდ ერთი ძმა დარჩენილა (ის მერე, მგონი, წავიდა კახეთში, იქაც არიან ნაცვლიშვილები). ერთი ძმა კიდევ წავიდა მანგლისისკენ. დანარჩენები კავთისხევში წამოსულან ისევ. რომ ამოჰყოლიან კავთისხევის სადგურიდან, შეხვედრიათ მღვდელი. გასაუბრებია ამათ და შეუთავაზებია, წამოდით, მე ვცხოვრობ ამა და ამ ადგილას, შატბერაშვილების მოძღვარი ვარ, კარგი ადგილები მაქვს და, თუ მოგეწონებათ, დასახლდებით იქო. მოუყვანია და უჩვენებია მონასელიაანთ ტერიტორია. ამ ძმებს უთქვამს, თუ შეიძლება, აქეთ (დღევანდელი ხვედრელიაანთუბნის ტერიტორიაზე, შედარებით შემაღლებული ადგილია) დავსახლდებითო. მერე მომრავლდნენ და შტოგვარებიც გაჩნდა. ეს შტოგვარები უნინ უფრო ახლოს იყვნენ, მაგრამ დრო გავიდა, თანდათან გვარიც გამრავლდა და იმდენი სიახლოვე აღარ გვაქვს“.

შტოგვარები:

სოსანაანი – სავარაუდოდ, ნინაპარს ერქვა სოსანა. რამდენიმე ოჯახია.

ილუაანი – ილუა ნაცვლიშვილის 5 შვილი და მათი შთამომავლები არიან (შვილიშვილები და შვილთაშვილები).

ყვითლიაანი – შტოგვარის სახელდების მოტივაცია რესპონდენტთათვის უცნობია.

დიმიტრაანი – დიმიტრი ნაცვლიშვილის შთამომავლები.

შატბერაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 258 შატბერაშვილი (თბილისში – 131, რუსთავში – 29, ბორჯომში – 22) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). შდრ. ტოპონიმი შატბერდი (ტაძარი ტაოკლარჯეთში) (მაისურაძე, 1990, 191). შატბერაშვილები საეკლესიო აზნაურები იყვნენ (ქსძ, 1965, 489). იოანე ბაგრატიონი ქართლში მოსვლის თარიღად 1547 წელს დებს (ბაგრატიონი, 1997, 97). შატბერაშვილები აზნაურად ლუარსაბ მეფეს მიუღია. 1523 წლის დავით X-ის განჩინებაში მოხსენიებულია აზნაური ბურნაშ შატბერაშვილი (ქსძ, 1985, 824). 1700 წლის საბუთით, „სველნეთის საკომლოები", საღალო მიწებისა და ხოდაბუნების ორი მესამედი ქვათახევისთვის მიუკუთვნებიათ, ერთი მესამედი – შატბერაშვილებისათვის (პალ, 1991, 287). შატბერაშვილებს საეკლესიო თანამდებობები ეკავათ. მაგალითად, 1717 წლის საბუთით, შატბერაშვილი ქვათახევის ეკლესიის სახლთუხუცესია. 1797 წლის საბუთში ქვათახევის არქიმანდრიტი დავით შატბერაშვილს თავის აზნაურს უწოდებს და კავთისხევის მოურაობის განახლების წიგნს აძლევს. აზნაური შატბერაშვილები სახლობდნენ სოფელ „სველნეთსა" და კავთისხევში. საეკლესიო აზნაურთა 1826 წლის აღწერაში შატბერაშვილების 5 კომლია შეყვანილი, ხოლო 1850 წლის ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ნუსხაში – 4 ოჯახი (თოფჩიშვილი, 2011, 372).

რესპონდენტთა ინფორმაციით, თვალადში შატბერაშვილთა ორიოდე ოჯახი იყო: მწერალ გიორგი შატბერაშვილის მამის და მისი შვილებისა.

ცალქალამანიძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 242 ცალქალამანიძე (თბილისში – 80, ასპინძაში – 28, ბორჯომში – 25) (სილაგაძე, თოთაძე, 1997).

ცალქალამანიძეები იყვნენ როგორც სახასო, ისე თავად თარხნიშვილთა აზნაურები (ქსძ, 1965, 486, 488). გეორგიევსკის ტრაქ-

ტატზე (1783 წ.) დართულ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში მოხსენიებული არიან თავად თარხნიშვილის აზნაური ცალქალამანიძე და სამეფო აზნაური ცალქალამანიძეები (ახუაშვილი, 2005, 814). ეს სამეფო აზნაურებად მოხსენიებული ცალქალამანიძეები ადრე ამილახვართა აზნაურები იყვნენ (თოფჩიშვილი, 2011, 395-397). იოანე ბაგრატიონის მიხედვით, ცალქალამანიძეები „არიან მოსრულნი დროსა დავით მეფისასა 1509 წელს იმერეთიდამ და მოსახლეობენ ქართლში" (ბაგრატიონი, 1997, 66). ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც ცალქალამანიძეები (გიორგი ცალქალამანიძე და მისი შვილები იოთამ და სეხნია) მოიხსენიებიან, 1609 წ-ით თარიღდება. აზნაური ცალქალამანიძეები ყმა-მამულით როსტომ მეფეს 1652 წელს თარხან იორამ სააკაძისათვის უწყალობებია. ამილახვრიანთ ყმობაში ცალქალამანიძეები, სავარაუდოდ, XVII ს-ის დასასრულს მოხვდნენ, გიორგი მეფეს თავისი დისთვის, გივი ამილახვარის მეულლისთვის, რაღაც საქონლის სანაცვლოდ სხვა აზნაურებთან ერთად ცალქალამანიძე უბოძებია. რაც შეეხება თარხნიშვილის აზნაურ ცალქალამანიძეებს, ჯერ კიდევ გიორგი სააკაძის დროს ისინი მისი ყმა-აზნაურები იყვნენ. დიდი მოურავის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ სამეფო აზნაურები გახდნენ. ხოლო XVII ს-ის 70-იან წლებში ცალქალამანიძე უკვე თარხნიშვილის აზნაურია. XVIII ს-ში ცალქალამანიძეებს თარხნიშვილთა სახლთუხუცესის თანამდებობა უჭირავთ. ამ დროისთვის ცალქალამანიძეებს ეკონომიკურად უჭირთ და ხშირად ყიდიან ყმა-მამულებს. 1818, 1830 და 1873 წლების საარქივო მონაცემებით, აზნაური ცალქალამანიძეები ყმა-მამულებს ფლობდნენ კავთისხევში, წინარეხსა და ქარელში. 1850 წლის თავად-აზნაურთა ნუსხაში აზნაურ ცალქალამანიძეთა 3 ოჯახია შეყვანილი (თოფჩიშვილი, 2011, 395-397).

ს. მაკალათიას ცნობით, კავთისხეველი ცალქალამანიძეები გადმოსახლებულან წმ. ესტატედან, სადაც ჟამისგან (ჭირი) ხალხი ამოწყვეტილა. მათი გვარი ყოფილა გუდაბრელიძე. „ერთხელ მეფეს ჩამოუვლია იოსებ გუდაბრელიძის კარზე და იოსებისთვის დაუძახია, ჩქარა წამოდი, მტერი კარზე მოგვადგაო. იოსები ამ დროს ქალამანს აკერებდა თურმე და მეფისათვის მოუხსენებია, ცალი ქალამანი მაცვია, მეორეს ვაკერებ და როგორ წამოვიდეო. მეფეს უბრძანებია, ახლავე წამოდიო და იოსებიც ცალი ქალამნით წასულა. ამის გამო

მისთვის უწოდებიათ ცალქალამანიძე“ (მაკალათია, 1960, 17). რესპ. თ. პაპიაშვილი (ცალქალამანიძე): „იმ პირველი ცალქალამანიძისთვის მეფეს დიდი მამულები უბოძებია, ძალიან დიდი ტერიტორია თვალად-გუდალეთში. მართლაც, ცალქალამანიძეები წინათ გუდალეთს და თვალადს განაგებდნენ, თვალადის მთელი ადგილები, ადგილ-მამულები, ტყეები ჩვენ გვეკუთვნოდა“.

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, თვალად-ში, ცალქალამანიძეთა 10 კომლი ცხოვრობდა. ამჟამად ცალქა-ლამანიძეების ორიოდე ოჯახი ცხოვრობს თვალადში, დანარჩენები სხვაგან (ძირითადად, თბილისში) წავიდნენ საცხოვრებლად.

რაც შეეხება ცალქალამანიძეთა წინაპრად მიჩნეულ გუდაბრე-ლიძეებს, გადმოცემით, ისინი სოფ. გუდალეთის თავდაპირველი, ძველისძველი მოსახლეები იყვნენ. ადგილობრივთა ინფორმაციით, მათ დიდი ხნის წინ დატოვეს სოფელი.

აზნაური გოდაბრელიძეები // გუდაბრელიძეები ცხოვრობდნენ იმერეთსა და ქართლში. ქართლში იმერეთიდან იყვნენ გადმო-სახლებულნი. ქართლში აბაშიძეთა აზნაურები იყვნენ (ქსძ, 1965, 489), ხოლო იმერეთში, ო. სოსელიას ცნობით, თავად წერეთლებისა (სოსელია, 1981, 91). საბუთებში გოდაბრელიძეები ხშირად გუდაბ-რელიძეებად არიან ჩაწერილი. ალექსანდრე V-ის 1721-1732 წლების განჩინებაში ნახსენებია ზაალ გუდაბრელიძე. იგივე პიროვნება 1717 წლის ნაყიდობის წიგნში გოდაბრელიძედ მოიხსენიება (დო-კუმენტები, 1940, 440, 460). 1850 წელს ქართლში გოდაბრელიძეთა მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობდა (თოფჩიშვილი, 2011, 92, 98-99).

კავთისხევი

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მიხედვით, სოფ. კავთისხევში ცხოვრობდა 1020 ადამიანი (474 კაცი, 546 ქალი), 97 % – ქართველი. შდრ.: 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ციხისუბანში ცხოვრობდა 142 კომლი, 635 ადამიანი (481 – ქართველი, 154 – სომეხი), შუაუბანში – 135 კომლი, 696 ადამიანი (ქართველი), ბარდაანთუბანში – 61 კომლი, 294 ადამიანი (ქართველი) (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930, 11-12).

შუაუბანი

შუაუბანში ძირითადად აღაპიშვილები, დევსურაშვილები, ზავრადაშვილები, კანდელაკები, კელაპტრიშვილები, კვესიაშვილები, მონასელიძეები, მორჩილაძეები, პაპიაშვილები, შაყულაშვილები ცხოვრობენ. გვარების მიხედვით სახელდებულია უბნებიც: აღაპიაანთ, დევსურაანთ, ზავრადაანთ, კანდელაკიაანთ, კელაპტრიაანთ (მისრელიაანთ), კვესიაანთ, მონასელიაანთ, მორჩილაძეების, პაპიაანთ, შაყულაანთ (შაყულაანი და პატარა შაყულაანი) უბნები. შუაუბანში ცხოვრობენ სხვა გვარის წარმომადგენლებიც: თაგვიაშვილები, უტარაშვილები, ქართლელიშვილები, ქარსელაძეები, წიტაიშვილები, ხოკერაშვილები და სხვ.

აღაპიაანთუბანი

აღაპიშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 366 აღაპიშვილი (თბილისში 256, კასპში – 83, რუსთავში – 12) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, შუაუბანში, აღაპიშვილთა 5 კომლი ცხოვრობდა.

რესპონდენტის ინფორმაციით, შუაუბნელ აღაპიშვილთა წინაპრები სახლობდნენ წინარეხში, ქვათახევისკენ მიმავალ გზაზე, მაღალაანთ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეკლესიის მსახურები ყოფილან: ზოგი – ხურო, ზოგი – მხატვარი, და ეკლესიებს იცავდნენ. წინარეხში როდის დასახლდნენ, არ იციან, მაგრამ იქ დღეს აც არის მიწები, რომლებსაც ეძახიან აღაპიაანთ მიწებს. იქ ცხოვრობდნენ, მიწათმოქმედებას ეწეოდნენ. შუაუბნელი აღაპიშვილები წინარეხიდან ჩამოსული წინაპრის მესამე-მეოთხე თაობა არიან. ა. აღაპიშვილი: „წინარეხში რომ იყვნენ აღაპიშვილები, გაიყო ორ შტოდ: ერთი წავიდა ნიაბში, მეორე – კავთისხევში და გამრავლდნენ. ადრე ვიყავით ბევრი, მერე დაიფანტნენ, ქალაქში წავიდნენ, და აქ ძირითადად სამი ოჯახი ვცხოვრობთ. სახლები დგას და ზაფხულობით მოდიან“.

აღაპიშვილები ამჟამად ცოტანი არიან, მაგრამ მაინც გამოიყოფა ორიოდე შტოგვარი და საოჯახო მეტსახელი:

შტოგვარები:

წიტაანი – წიტა ეპონიმის მეტსახელი იყო. რესპ.: „შეიძლება წიტები უყვარდა. წიტებს ვეძახით, როდესაც ჩურჩხელებს ამოვავლებთ, ქვემოთ რომ ჩამოიწვეთება პატარა, იმას“.

წვერიანაანი – წვერია (ან წვერიანი) ეპონიმის მეტსახელი იყო. რესპონდენტთა ვარაუდით, დიდი წვერი ექნებოდა.

საოჯახო მეტსახელები:

წიწიკაანი და მიშაანი ორი ძმის შვილები არიან, ბიძაშვილები, მაგრამ სხვადასხვა მეტსახელით მოიხსენიებენ:

წიწიკაანი – დედა იყო წიწიკაანთ ქალი (იორდანიძე) თვალადიდან. მამა ფრონტზე დაიღუპა და დედამ გაზარდა შვილები, ამიტომ ამ ოჯახს ხშირად მოიხსენებდნენ როგორც წიწიკაანთ, მაგალითად: წიწიკაანთ შოთა.

მიშაანი – მიშა მიმის სახელია, მიშაანი მიშა აღაპიშვილის ოჯახის წევრები არიან.

პაპიაანთუბანი

პაპიაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 2512 პაპიაშვილი (თბილისში – 974, მცხეთაში – 192, დუშეთში – 151) (სილაგაძე, თოთაძე, 1997).

გვარი, სავარაუდოდ, მომდინარეობს საკუთარი სახელისგან პაპა. ამავე ძირისაა: პაპაშვილი, პაპავა, პაპავაძე, პაპალაშვილი, პაპანაშვილი, პაპელიშვილი, პაპისაშვილი და სხვ. ამათგან ყველაზე გავრცელებულია პაპაშვილი (მაისურაძე, 1990, 131). 1523 წელს ბარათაანთ გაყრის წიგნში მოიხსენიება გვარი პაპიაშვილი (ახუაშვილი, 2005, 755). 1721 წლის აღწერის მასალებში მოხსენიებულნი არიან გიორგი, ყაზარა, ხითარა... პაპიაშვილები (იქვე, 576-77).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, შუაუბანში, ცხოვრობდა პაპიაშვილთა 3 კომლი. რესპ. თ. პაპიაშვილის (ცალქალამანიძის) ინფორმაციით, კავთისხეველი პაპიაშვილები ჩამოსულან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფ. სნოდან საუკუნეების წინ. სავარაუდოდ, ერთი ოჯახი წამოვიდა (წამოსვლის მიზეზი უცნობია), დასახლდა კავთისხევში და მისგან გამრავლდნენ აქაური პაპიაშვილები. სხვა გვარის მოსახლეები პაპიაანთ მიკროუბანში არ ცხოვრობენ. რესპ.: „პაპიაშვილები სასხორშიც არიან, მცხეთაშიც, დუშეთშიც, კახეთშიც, საინგილოშიც, არიან ებრაელებიც, მაგრამ სულ სხვადასხვა შტოა. კავთისხევის პაპიაშვილები არიან სნოდან წამოსულები. თუ არ ვცდები, შვიდი თუ რვა ძმა ყოფილა: შიო, ღუდუშა, გოდერძი, პაპუნა... სახელებისგან წარმოქმნილა მერე გვარები: შიოლასაგან – შიოლაშვილი, გოდერძისგან – გოდერძიშვილი,

ღუდუშასაგან – ღუდუშაური, პაპუნასაგან – პაპიაშვილი... ასე რომ, ჩვენი პატრიარქიც ერთ-ერთი ძმის შტოდან არის. კავთისხევის პაპიაშვილებს აქ პაპიაანებად მოიხსენიებენ, აქედან წარმოდგა უბნის სახლეწოდებაც – პაპიაანთუბანი. გამორჩეული უბანია, აქ კოლორიტული ხალხი ცხოვრობდა". ჰ. წიტაიშვილი: „ი. ალაზნელის წიგნში „შესართაველი ფალავნები" გორის რაიონის მოჭიდავეები არიან შესული და ერთადერთი კავთსხეველი კაცი – პოხრო (ნიკოლოზ) პაპიაშვილი. ჭიდაობდა არაჩვეულებრივად, ერთ-ერთი ძლიერი მოჭიდავე იყო, მაგრამ ცერა თითი დაკარგა ომის დროს და, ჩაჭიდება რომ არ შეეძლო, დაანება ჭიდაობას თავი".

პაპიაანთუბანში 10-15 კომლი მაინც ცხოვრობდა, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ერთი მუდმივი მაცხოვრებელია (დანარჩენები ზაფხულობით ჩადიან). შტოგვარები არა აქვთ.

წიტაიშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 494 წიტაიშვილი (ოზურგეთში – 249, თბილისში – 118, ბათუმში – 41) (სილაგაძე, თოთაძე, 1997).

კავთისხევში წიტაიშვილთა ერთი კომლი ცხოვრობს, შუაუბნის პაპიაანთუბანში. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „გურიიდან მოდის ჩემი გვარი. პაპაჩემის, არტემ წიტაიშვილის, თქმით, ჩვენს წინაპრებს უცხოვრიათ აჭარაში, ყოფილან გვარად იაშვილები. დაპირისპირება ჰქონიათ ბატონთან, რომელიც მოუკლავთ და გადასულან გურიაში, ასკანაში, შეჰკედლებიან გურიის თავადს. მერე მამაჩემი წამოვიდა თბილისში, უნივერსიტეტში სწავლობდა, იქ გაიცნო დედაჩემი და, ომი რომ დაიწყო, გადმოსახლდნენ აქ – დედა პაპიაშვილი იყო, კავთისხევიდან. ბებიაჩემთან ცხოვრობდნენ და მერე აიშენეს ცალკე სახლი. აქ წიტაიშვილების მხოლოდ ერთი ოჯახია".

დევსურაანთუბანი

დევსურაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 163 დევსურაშვილი (თბილისში – 82, თეთრიწყაროში – 27, გარდაბანში – 17) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი, სავარაუდოდ, მომდინარეობს მეტსახელისგან დევსურა (ახუაშვილი, 2005, 372). 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, შუაუბანში, დევსურაშვილთა 6 კომლი ცხოვრობდა.

გადმოცემით, დევსურაშვილთა წინაპრები სამხრეთ საქართველოდან, ახალციხიდან, ყოფილან. საუკუნეზე მეტი ხნის წინ იქიდან წამოსულა სამი ძმა – თავადი შემოჰკვდომიათ და გამოქცეულან. გვარიც შეუცვლიათ დევსურაშვილად – დევსურა თურმე იქ გავრცელებული ყვავილი იყო. ერთი ძმა გადავიდა სოფელ მოხისში (ქსილისის მთაზე, მანგლისამდე), ორი კავთისხევში დარჩა. დარჩენილთაგან ერთი უშვილო გამოდგა, ამდენად, ბევრნი არ არიან. რესპ. კ. დევსურაშვილი: „არც იქ (მოხისში) არიან მაინცდამაინც ბევრი, აქ სულ ერთიმეორეზე ათიც არ ვიქნებით. თანაც რამდენიმე ოჯახი დედის მხრიდანაა დევსურაშვილი: ერთ-ერთი ქალის ქმარმა გადაიკეთა გვარი დევსურაშვილად. წინათ, როგორც ჩანს, მიწას არ უფორმებდნენ ზედსიძეს, რადგანაც სხვა გვარისა იყო, ჩამოსული. მაშინ კიდევ მიწით ცხოვრობდა ხალხი, ეს იყო შემოსავალი. ამიტომ ერთ-ერთმა სიძემ გადაიკეთა გვარი დევსურაშვილად და ამჟამინდელი დევსურაშვილებიდან რამდენიმე დედით არის დევსურაშვილი, მაგრამ ერთმანეთს არ ვასხვავებთ. ყველანი დევსურაანი ვართ“.

შტოგვარები და საოჯახო მეტსახელები:

კოტიაანი – ხუთი ოჯახი, კოტე დევსურაშვილის შვილები და შვილიშვილები. კოტიაანი იყვნენ სამნი ძმანი, შესაბამისად, შთამომავლები მეტნი არიან.

ჩინოაანი – ერთი ოჯახი, ჩინო დევსურაშვილის შვილიშვილები. რესპ.: „ბიჭი მარტო ოთარა იყო, დანარჩენები ქალები იყვნენ და დათხოვდნენ“.

ჩინო და კოტე დევსურაშვილები ძმები იყვნენ.

ბატონაანი – ერთი ოჯახი, ბატონა დევსურაშვილის შვილიშვილები. რესპ.: „მათაც ერთი კაცი დარჩათ, ერთი ომში დაიკარგა, ამიტომ ბევრნი არ არიან“.

სიკაანი – ერთი ოჯახი, სიკა დევსურაშვილის შთამომავლები. რესპ.: „ანალოგიური შემთხვევა არის იქაც, ომში დაიკარგა ერთი ძმა, მეორე ძმა დარჩა“.

სიკა და ბატონა ძმები იყვნენ, ჩინოს და კოტეს ბიძაშვილები.

ზავრადაანთუბანი

ზავრადაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 283 ზავრადაშვილი (თბილისში – 116, კასპში – 89, დუშეთში –

32) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელისგან ზავრადა (მაისურაძე, 1990, 66). 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, შუაუბანში, ზავრადაშვილთა 25 კომლი ცხოვრობდა.

ზავრადაშვილების წინაპარი, მახარე ზავრადაშვილი, ჩამოსულა კავთისხევში გუდამაყრიდან დაახლოებით საუკუნე-ნახევრის წინ. ჰყოლია ოთხი ვაჟი, რომელთა შთამომავლები არიან შუაუბნელი ზავრადაშვილები. შტოგვარები არა აქვთ, მაგრამ ყველას მოიხსენიებენ როგორც მახარიაანთ, წინაპრის, გუდამაყრიდან ჩამოსული მახარეს, სახელიდან გამომდინარე.

კანდელაკიაანთუბანი

კანდელაკები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 3108 კანდელაკი (თბილისში – 1584, ქუთაისში – 264, გარდაბანში – 204) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ი. მაისურაძის ცნობით, გვარი გავრცელებულია ნიკორწმინდაში (ამბროლაურის მუნიც.), იმერეთსა და სხვ. გვარადქცეული სასულიერო თანამდებობის ტერმინია („მესანთლე", „მნათე", ბერძნ.), აქედანვე მომდინარეობს გვარი კანდელაკიშვილი (მაისურაძე, 1990, 83). რ. თოფჩიშვილის ცნობით, კანდელაკები მოსახლეობდნენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. იყვნენ აზნაურებიც და გლეხებიც. აზნაური კანდელაკები ძირითადად იმერეთში ცხოვრობდნენ. 1843 წლის საეკლესიო ჩანაწერებით, იმერეთის სოფელ ჭოგნარში ცხოვრობდა აზნაური ოქროპირ კანდელაკი, სოფელ ნაგარევში – საეკლესიო აზნაური ბესარიონ კანდელაკი. ცხოვრობდნენ აგრეთვე გელათსა და კურსებში. ზოგიერთ საბუთში მოიხსენიებიან კანდელაკიშვილებად. XVII ს-ის საისტორიო საბუთებში მოხსენიებული კანდელაკები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი არიან (ქსძ, 1970, 480). გამოჩინებულის წმინდა გიორგის ეკლესიის ერთ-ერთი წარწერის მიხედვით, იმერელი კანდელაკების, საეკლესიო აზნაურების, ადრინდელი გვარი ქორიძე იყო (თოფჩიშვილი, 2011, 167-168). სხვა ცნობით, საჯავახოს კანდელაკები ყოფილან ქორიძეები, ხოლო სამტრედიისა – ნიკურაძეები (მაისურაძე, 1990, 83).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, შუაუბანში, კანდელაკთა ერთი კომლი ცხოვრობდა.

კავთისხეველ კანდელაკთა წინაპრები, რესპონდენტთა ვარაუდით, რაჭიდან წამოვიდნენ და დასახლდნენ კავთისხევში (ნაწილი – ნიჩბისში). მერე მომრავლდნენ და 15 კომლამდე მაინც იყვნენ. რესპ. რ. კუკულაძე: „აქ აზნაურობდნენ და იქ, საიდანაც წამოვიდნენ, არ ვიცი. როდის ჩამოსახლდნენ, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, რაკი აზნაურობდნენ, XIX საუკუნეში მაინც. კანდელაკიაანთუბანი საჩვენებელი იყო, მამაკაცები სულ ჩოხა-ახალუხით და ქალები ჩიხტიკოპებით დადიოდნენ, ლამაზი ხალხი იყო. ცნობილი ადამიანები იყვნენ ტარას კანდელაკი – სვეტიცხოვლის ეპისკოპოსი, არჩილ კანდელაკი – განათლებული კაცი, პეტერბურგის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული“[12]. რესპ.: „ბებიაჩემი ამბობდა, ჩვენს უბანს ვარდისუბანსაც ეძახდნენ, რადგან ძალიან კარგი გარეგნობის ხალხი იყოო“.

ბოლო პერიოდში შუაუბნელი კანდელაკების უმეტესობა თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და ახლა კანდელაკიაანთუბანში ძირითადად სხვა გვარის ხალხი ცხოვრობს. როგორც ჰ. წიტაიშვილი აღნიშნავს, გარდა მიგრაციისა, კავთისხეველი კანდელაკების რაოდენობა იმანაც შეამცირა, რომ გვარში მამრობითი სქესის კაცები აღარ არიან, მხოლოდ ქალები დარჩნენ. ამდენად, კანდელაკებს შტოგვარები ამჟამად არ აქვთ. წარსულიდან რესპონდენტებს ახსოვთ:

ჯუღიაანი – ჯუღია, სავარაუდოდ, ეპონიმის მეტსახელი იყო.

ჩიტოაანი – ერთი ოჯახი იყო. მამას ერქვა ჩიტო.

---

[12] რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „არჩილ კანდელაკი გამორჩეული გაცი იყო, განათლებული. აქ ცხოვრობდა, დიდი ბინა აიშენა, მერე თბილისში გადასახლდა და დაუტოვა ბინა დას, ლუბა კანდელაკს, და სიძეს (სიძე მინდორაშვილი იყო, მიწათმომწყობი, „ზემლამერს“ (რუს. **Землемер** „მიწისმზომელი“, რუსულ-ქართული ლექს., 1983) ეძახდნენ). პეტერბურგის უნივერსიტეტში არჩილ კანდელაკთან ერთად სწავლობდა ვაჟა-ფშაველა. ვაჟა ესტუმრა ერთ მშვენიერ დღეს თავის მეგობარს და, რომ შეზარხოშდნენ, წავიდნენ კავთაში, ეკლესია რომ არის. კვირა დღე იყო და კავთაში ტრადიციულად ჭიდაობა იმართებოდა. ვაჟა ძლიერი კაცი იყო ფიზიკურად და დასჭიდეს გიორგი ცალქალამანიძეს, მოჭიდავეს. ამას ხერხები კარგად სცოდნია. ვაჟას ძალა ჰქონდა, მაგრამ მარტო ძალა არ არის საკმარისი, თანაც ცოტა ნასვამიც იყო. სჯობნიდა ცალქალამანიძე უკვე, მაგრამ უთქვამს ვილაცას, არ წააქციო, არ შეარცხვინო სტუმარიო, და ფრედ დაასრულეს, დაშალეს ჭიდაობა. არცერთს არ ჩაეთვალა. პატივი სცა, არ შეარცხვინა სტუმარი. ამის შესახებ ერთი 60 წლის წინ დაწერა ჟურნალისტმა ნორა ედიშერაშვილმა გაზეთ „განთიადში“.

კელაპტრიაანთუბანი // მისრელიაანთუბანი

უბანში ცხოვრობენ ძირითადად კელაპტრიშვილები. გადმოცემით, კელაპტრიშვილები მისურეთიდან, მისრეთიდან არიან გადმოსულები. მისრელიაანებად გადმოვიდნენ და კელაპტრიშვილებად მერე დაეწერნენ. ამიტომ უბანს მისრელიაანთუბნადაც მოიხსენიებენ.

კელაპტრიშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 364 კელაპტრიშვილი (კასპში – 233, თბილისში – 103, მცხეთაში – 6) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ი. მაისურაძე ამავე წარმომავლობისად მიიჩნევს კელეპტრიშვილს (მაისურაძე, 1990, 86). ვ. მაღრაძის მოსაზრებით, გვარის ფუძეა მცენარის სახელი კელაპტარა (მრავალწლოვანი უფესვო პარაზიტი მცენარე). „სახელწოდებამ კუმშვა-კვეცის შედეგად მოგვცა კელაპტრიშვილი. საეჭვოა, ამ გვარის მიღებაში მონაწილეობდეს კელაპტარი (დიდი სანთელი)" (მაღრაძე, 2006, 180). კასპის მუნიციპალიტეტში გვარი გავრცელებულია ზემო ხანდაკსა და კავთისხევში, კერძოდ, შუაუბანში.

2007 წლის მონაცემებით, შუაუბანში კელაპტრიშვილთა 14 კომლი ცხოვრობდა.

რესპ. ც. კელაპტრიშვილი (ომარ კელაპტრიშვილის მეუღლე): „კელაპტრიშვილები, ასე ვიცით ჩვენ, წამოსულები არიან ზემო ხანდაკიდან. ზემო ხანდაკში უფრო ბევრნი არიან, 52 ოჯახი ცხოვრობს. ჩვენთან, შუაუბანში, უფრო ნაკლებია, დაახლოებით, 25 ოჯახი, სასირეთში – 2-3 ოჯახი. მისრელიაანთაც ეძახიან, შეიძლება, მისრეთიდან არიან წარმოშობით. მგონი, ისტორიულ საბუთებში XIV-XV სს-იდან მოიხსენიება ჩვენი გვარი ერთ-ერთ ბრძოლასთან დაკავშირებით. ომარისთვის ვასო გოძიაშვილს უთქვამს, კელაპტრიშვილები საეკლესიო გლეხები იყვნენ და ბლაღოჩინებს[13] ეძახდნენო". რესპ. თ. კელაპტრიშვილი: „ეს ვერსიაა, მტკიცებულება არ არის და ამ ვერსიის საფუძველს იძლევა სიტყვა კელაპტარი, რომელიც დიდ სანთელს ან დიდი სანთლის დასანთებს, სასანთლეს, ნიშნავს. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ გვარი სასულიერო ხაზიდან მოდიოდეს. შესაძლებელია, არა საეკლესიო გლეხები, არამედ სასუ-

[13] რუს. **Благочинный** – მართლმადიდებლურ ეკლესიაში მღვდლის თანამდებობა, რომელზე დანიშვნის შემთხვევაშიც ის ხდება სამეთვალყურეო საკითხში ეპისკოპოსის დამხმარე ამა თუ იმე საეკლესიო თემში.

ლიერო მოღვაწეები იყვნენ, ეკლესიის მსახურები". რესპ. ნ. კელაპტრიშვილი: „1713 წელს ისტორიულ საბუთებში არის მოხსენიებული კელაპტრიშვილების გვარი (თამაზ, პაატა, გიორგი, კოტე, ბერია, ესტატე კელაპტრიშვილები) და აღწერილია საზღვრები. ეს ადგილები უყიდიათ და, საიდან ვართ წამოსულები, არ ვიცი. ზემო ხანდაკიდან ვართ გადმოსულებიო, რომ ამბობენ, არ უნდა იყოს მართალი. დღეს რომ იქ მეტნი არიან, არ ნიშნავს, რომ იქიდან გადმოვედით".

შტოგვარები:

ჭუკაანი – რამდენიმე ოჯახია. ჭუკა ეპონიმის მეტსახელია. რესპ.: „მაგარი კაცი ყოფილა, სტრაჟნიკი. თეთრ ჩოხა-ახალუხში იმოსებოდა. შეიძლება მალე თვრებოდა, მალე ჭუკდებოდა, და ამიტომ ეძახდნენ ჭუკას".

ლუკაანი – ორი ოჯახია, ლუკა კელაპტრიშვილის შთამომავლები. ჭუკაანთ განაყოფები არიან.

კიჭანაანი – ორი ოჯახია, კიჭას შთამომავლები. კიჭა დავით კელაპტრიშვილის მეტსახელია, რომელიც, რესპონდენტთა ვარაუდით, კბილთან იყო დაკავშირებული. რესპ. ნ. კელაპტრიშვილი: ჩვენს დიდ პაპას ერქვა თედუა. ჩვენი განაყოფები არიან პაპაჩემის, კიჭას, ძმის, ესტატეს, შვილიშვილები. მაგრამ მათ მეტსახელით არ მოვიხსენიებთ".

გიგუცაანი – ორი ოჯახია, გიგუცა კელაპტრიშვილის შთამომავლები.

კვესიაანთუბანი

კვესიაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 98 კვესიაშვილი (თბილისში – 44, კასპში – 44, გორში – 3) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, შუაუბანში, კვესიაშვილთა 9 კომლი ცხოვრობდა. ამჟამად, რესპონდენტთა ინფორმაციით, 10-15 კომლი იქნება.

გადმოცემით, კავთისხეველი კვესიაშვილების წინაპრები არიან დასავლელი კვესელავები. შტოგვარები არა აქვთ, მაგრამ არის საოჯახო მეტსახელები:

ნიკალაანი – ნიკალა იყო წინაპარი, მეცხვარე.

ჭიპჭიაანი – ჭიპჭია (მეტსახელია) იყო ნიკალა კვესიაშვილის შთამომავალი. ჭიპჭიაანთ მხოლოდ მის ოჯახს ეძახდნენ, მხოლოდ მის შვილებს.

კირკიზაანი // გიგუცაანი – ერთი ოჯახია. გიგუცა პაპას ერქვა, ხოლო კირკიზა მამის მეტსახელი იყო: ბავშვობაში ნკიპურტი ჩაურტყამთ და არ სტკენია, კირკიტივით თავი აქვსო და შეერქვა კირკიზა. მამის სახელი გადავიდა შვილზეც, მასაც კირკიზას ეძახიან.

ისაკაანი – ისაკა ერქვა რესპონდენტის, რ. კვესიაშვილის, პაპის პაპას. ისაკაანი ერთი ოჯახია, სხვა შთამომავლებიც არიან იმ პაპის პაპისა, მაგრამ ისაკაანთ მარტო ამ ერთ ოჯახს ეძახიან.

მონასელიაანთუბანი

მონასელიძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 326 მონასელიძე (თბილისში – 188, კასპში – 103, გორში – 12) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 1799 წლის განჩინებაში ანტონ წინამძღვრისა და გაბრიელ ჯაჯანაშვილის ყმის თაობაზე ვკითხულობთ: „ქვათახევის წინამძღვარი ანტონი გაბრიელ ჯაჯანაშვილს თავის გლეხს, მონასელიძეს, ეკლესიის ყმობით ედავებოდა“ (ქსძ, 1977, 105; თოფჩიშვილი, 2011, 454).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, შუაუბანში, მონასელიძეთა 24 კომლი ცხოვრობდა.

რესპ. ა. მონასელიძე: „მონასელიძეები რაჭიდან წამოსულან VI ს-ში მაინც, იმიტომ რომ ამ პერიოდშია ეს ეკლესია, კატაულას წმინდა გიორგი, აშენებული (არქეოლოგებმა, ისტორიკოსებმა დაადგინეს) და, ალბათ, მონასელიძეები ააშენებდნენ. სხვას არავის უცხოვრია აქ, ჩვენს უბანში, მხოლოდ მონასელიძეები იყვნენ. XII ს-ში დავით აღმაშენებლის ცხოვრებაში წერია, რომ მონასელიძე ყოფილა ვიღაც მდიდარი ვაჭარი, ღვინო დაჰქონდა ირანში. ძალიან დიდი ხნის წინ აქ ხორველობა გაჩენილა, შავი ჭირი. თითქმის გაწყდა ეს უბანი (სამარხები რომ არის აქვე, იმ ხორველობის დროს დახოცილი ხალხი უნდა იყოს დამარხული). გადარჩნენ მხოლოდ დედა და აკვნის ბავშვი, ბიჭი. შაატყო დედამ, რო თვითონაც ავად იყო და კვდებოდა, წამაიყვანა ეს ბავშვი და პირდაპირ კატაულას წმინდა გიორგის სიახლოვეს აკვნით დადგა ქედზე, სოფლის თავზე. შეშაბერიძეები ცხოვრობენ წყალგალმა, საცა ეკლესია არის, კავთა. ეს მდინარე კავთურა ყოფს შეშაბერიძეებს და მონასელიძეებს. დედამ იფიქრა, ტირილს გაიგებენ და იქნება მეეპატრონოს ვინმე, იქნება გადარჩესო. გაიგეს ტირილი ამ ბავშვისა და მოხუცებული კაცი

მოვიდა, შეშაბერიძე, წაიყვანა თავის სახლში და გაზარდა. ამასობაში კი, ხორველა უკვე გადავლილი იყო, ამ მონასელიაანთ ტერიტორიას დაეუფლა ერთი რაჭველი კაცი, მეწისქვილე, რადგან აქ აღარავინ იყო. ეს ობოლი ბიჭი საცოლე რომ გახდა, გამზრდელმა უთხრა, წადი იმ მეწისქვილესთან და უთხარი: „აქამდე რაც იცხოვრე, რაც შაიძინე, გეყოფა. ეს ტერიტორია ჩემია, ახლა აიკიდე გუდა-ნაბადი და წადი აქედანო“. ბიჭი რომ მივიდა, მეწისქვილემ დაავლო ხელი სატენ კეტს (მსხვილი კეტია, სატენი, დიდი ტომრებისთვის იყო, 150 კილოზე მეტი ფქვილი ჩადიოდა), გამოუდგა, ცემა და გააგდო, შააშინა. რომ მივიდა ბიჭი გამზრდელთან, „რა ქენი, შვილოო?“, „გამამიდგა, ლამის მამკლაო“. მეორედ გააგზავნა გამზრდელმა, მაგრამ იმ მეწისქვილემ მსხვილ კეტს დაუვლო ხელი და გააქცია ისევა. ადგა ეს გამზრდელი და გამაჰყვა ამ ბიჭსა, მიგზანა ეს ბიჭი კიდევა და თვითონაც შორიახლოს დაიმალა. კიდევ რომ გამოუდგა ის მეწიქვილე ბიჭს, ამ გამზრდელმა მოუარა და დასცხო კეტი, სუ კუდით ქვა ასროლინა. მეწისქვილემ: „ოღონდ ნუ დაგვხოცამთო და წავალთო“. გააგდო ესენი, გარეკა. დაასახლეს აქ ეს ბიჭი, დააქორწილეს და მონასელიაანი გამრავლდნენ. იმისი შთამომავლები ვართ ეს მონასელიძეები. ახლა შეშაბერიძეებსა და მონასელიძეებს შორის ქორწილი არ შეიძლება, ერთი გვარის არ ვართ, მაგრამ ერთი ოჯახივითა ვართ, ერთიმეორეს ვნათლავდით, ყველაზე დიდი რწმენა ნათლიისა იყო“.

მონასელიძეები ბევრნი არიან, მაგრამ მხოლოდ ერთი შტოგვარი გამოიყოფა:

მღვდლიაანი – მონასელიძეთა ერთ შტოს გვარში ბევრი მღვდელი ჰყავდა. რესპ. ა. მონასელიძე: „სულ მღვდლები იყვნენ მაგათი მამა-პაპა. მათე მღვდელი იყო მიხეილის, სტალინის ქვისლის, მამა, მიხეილ მათოვიჩს ვეძახდით ხოლმე. მეორეც იყო, მოზვერა მღვდელს ვეძახდით, მოზვერივით სქელი კისერი ჰქონდა. მოზვერა მღვდლის შვილი, სიკო მღვდელი, სიონში იყო, თბილისში. ეგენი იყვნენ მღვდლიაანი, რაკი მღვდელი იყო ყველა. მონასელიძეები არიან და მღვდლიაანი შტოგვარია“.

ხომასურიძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1476 ხომასურიძე (თბილისში – 514, გორში – 155, საჩხერეში – 148) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). აგრეთვე გავრცელებულია ონის მუნიციპალიტეტში (ხირხონისში) (მაისურაძე, 1990, 232). 2007 წლის

მონაცემებით, კავთისხევში ხომასურიძეთა 2 კომლი ცხოვრობდა, 1 – შუაუბანში, 1 – თვალადში.

ხომასურიძეების წინაპარი, პეტრე ხომასურიძე, დასავლეთიდან ჩამოსულა კავთისხევში საუკუნეზე მეტი ხნის წინ. ერთი ოჯახი იყო, მერე სამ ოჯახად გაიყო. შტოგვარები არ აქვთ, მაგრამ აქვთ საგვარეულო მეტსახელი – ყველას ეძახიან კეწერაანთ.

კეწერაანი – კეწერა მეტსახელია ეპონიმისა, ხომასურიძეების წინაპარი ქალისა, რომელიც ხის კენწეროებზე ადიოდა.

მორჩილაძეების უბანი // ზუაანთუბანი

მორჩილაძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 933 მორჩილაძე (თბილისში – 331, ლანჩხუთში – 177, ოზურგეთში – 107) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, შუაუბანში, ცხოვრობდა მორჩილაძეთა 15 კომლი.

კავთისხეველი მორჩილაძეები, გადმოცემით, დასავლეთიდან არიან წამოსულები. რესპ. ნ. მორჩილაძე: „პაპაჩემი იტყოდა ხოლმე, მეოთხე თაობა ვარ მეო. ჩვენი წინაპარი, აქ ჩამოსული პირველი მორჩილაძე, მღვდელი ყოფილა. მამულს ართმევდნენ და გადარჩენის მიზნით, მიწა რომ შეენარჩუნებინა, ცოლად მოიყვანა დაბრუნდაშვილების ქალი, თელათგორელი, და ხელი ვეღარ ახლეს, მამული დაიმტკიცა. ჰყავდა ოთხი ვაჟი. მთელ შუაუბანში ამ ოთხი ძმის განაყარი მორჩილაძეები ვართ“.

შტოგვარები:

ფუაანი – 3 ოჯახი, ფუას (მეტსახელია ეპონიმისა) შთამომავლები. ნ. მორჩილაძე: „ჩვენ, სამ ძმას, გვეძახიან ფუაანთ. თავდაპირველად რომ ოთხი ძმანი იყვნენ ამ გვარში, ერთ-ერთი ძმისა მარტო ჩვენა ვართ. ფუა ჩვენი ზედმეტი სახელია პაპაჩემის მხრიდან – ფუას პაპაჩემს ეძახდნენ. რომ ეძინა, კი არ ხვრინავდა, ფშვინავდა, „ფუუუ“-ს იძახდა. ისე, ფუაც გვიყვარს – სიმინდის ფქვილით იხარშება რძეში, ტკბილია. იქნებ ამიტომაც შეარქვეს ფუა“.

დიდამირანაანი – 3 ოჯახი: თვითონ ამირანასი და ორი – მისი შვილებისა. ამირანა ტანით დიდი კაცი იყო, ამიტომ დიდამირანა შეარქვეს მისი მოგვარე მეორე – პატარა ამირანასგან გასარჩევად.

კუბლირაანი – 2-3 ოჯახი. ეპონიმს, ამირან მორჩილაძეს, პატარა ამირანას ეძახდნენ (დიდამირანასგან განსასხვავებლად) და

კუბლირასაც. ნ. მორჩილაძე: „კუბლირას შეიძლება იმიტომ ეძახდნენ, რომ მოუსვენარი კაცი იყო, შეიძლება იბლვირებოდა და იმიტომ. დიდი ამირანა სხვა ძმისა იყო, ეს პატარა ამირანა – სხვისა. რომ გინდა გაარჩიო, ვისთან მიდიხარ, იტყვი დიდამირანაანთ ან კუბლირაანთ. პატარა ამირანაანთ არ ვიტყვით".

ფუსიაანი – 2-3 ოჯახი. ფუსე ეპონიმის მეტსახელია. რესპონდენტის თქმით, ცოტა ზარმაცი კაცი ყოფილა, დუნე.

ბიჭიკოაანი – მორჩილაძეების ერთ-ერთი შტოგვარია. ბიჭიკო ეპონიმის სახელია.

მათიაანი – მორჩილაძეების ერთ-ერთი შტოგვარია. მათე პაპის, ეპონიმის, სახელია.

კავთისხეველ მორჩილაძეებს აქვთ საგვარეულო მეტსახელიც: ყველას მოიხსენიებენ როგორც **ზუაანთ,** უბანსაც – ზუაანთუბნად. რესპონდენტის ვარაუდით, ზუა რომელიმე წინაპრის მეტსახელი უნდა ყოფილიყო.

შაყულაანთუბანი

შაყულაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 984 შაყულაშვილი (თბილისში – 396, გორში – 300, საჩხერეში – 153) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი გავრცელებულია აგრეთვე ონისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში. სავარაუდოდ, გვარის ფუძეა საკუთარი სახელი შაყულა (მომდინარეობს სპარსული „შაჰყულიდან", შაჰყული – შაჰის მონა). ამავე ძირისა უნდა იყოს გვარები: შახყულაშვილი, შანყულაშვილი, შახულაშვილი (შანიძე, 1964, 105; მაისურაძე, 1990, 191). გვარი შაყულაშვილი მოხსენიებულია 1523 წელს ბარათაანთ გაყრის წიგნში, ხოლო 1721 წლის აღწერის მასალებში შაყულაშვილები მოიხსენიებიან როგორც მემამულეები (ახუაშვილი, 2005, 683; 752). 1779 წლის არზაში თევდორე შაყულაშვილი, რომელიც ცალქალამანიძეებისგან თავდახსნილი ყოფილა, წერდა: „ახლა ცალქალამანიძე კიკოლა და საბა კიდევ მეჭიდებიან და თავიანთ გასაღებში მრევენ" (ქსძ, 1981, 453; თოფჩიშვილი, 2011, 395-397).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, შუაუბანში, შაყულაშვილთა 25 კომლი ცხოვრობდა.

რესპონდენტის ინფორმაციით, შუაუბნელი შაყულაშვილები სოფ. გუდალეთიდან ჩამოსულან XVIII ს-ში, აქ დასახლებულან და

გამრავლებულან. 30 კომლამდე არიან, თუმცა კავთისხევის მუდმივი მაცხოვრებელი 5-6 კომლია, დანარჩენები თბილისში ცხოვრობენ და ზაფხულობით ჩადიან ხოლმე.

ს. მაკალათიას ცნობით: „შაყულაშვილები სპარსეთიდან გადმოსულან, მათი წინაპარი ყოფილა შაჰ-ყული, რომელიც სპარსეთის ლაშქარს გამოქცევია და კავთისხევში დამალულა. ამ გვარს კავთისხევში თავისი კოშკი ჰქონია, რომელიც დაუნგრევიათ... კოშკი ორსართულიანი ყოფილა, მეორე სართულზე ასასვლელი კიბეც შიგვე ჰქონია გამართული, კოშკზე მიდგმული ყოფილა დარბაზიც“ (მაკალათია, 1960, 13). 1981, 1988 წლებში ჩაწერილი მასალის მიხედვით: „თათრების შემოსევისას ქართლში, ამ სოფელში, დარჩენილა ერთი თათარი, წოდებით შაჰყული, რომელსაც ქალი შეურთავს და გვარი შაყულაშვილად შეუცვლია“. რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „გადმოცემით, აქ ჩამოსულა, შაჰის ყული, ანუ ყმა, ქართველი კაცი, დასახლებულა და გამრავლებულა“. რესპ. გ. შაყულაშვილი: „შაჰყულიდან შაყულაშვილის წარმოქმნის ამბავს, მგონი, უფრო სიტყვის მსგავსებიდან ასკვნიან. ალბათ ჩვენს წინაპარს ერქვა შაყულა. შაყულაშვილები გუდალეთიდან არიან ჩამოსულები 1747 წელს. პირველი დასახლება იყო იქ. ნასახლარები არ შემორჩა, მაგრამ სალოცავი დღესაც გვაქვს, გალავანში (ღვთისმშობლის ტაძარი). ყოველ წელს, სექტემბრის 20-ის შემდეგ, დავდიოდით ხოლმე მთელი გვარი, ვისაც კი შეეძლო წამოსვლა. ხან ხბოს დავკლავდით, ხან ცხვარს. ადრე თურმე, მაგალითად, თილინიაანი ერთ წელიწადს შეაგროვებდნენ თანხას, მეორე წელიწადს – იობაანი, მესამეს – პატარა შაქარაანი, მეოთხეს – დიდშაქარაანი... ახლა კიდევ მთელი გვარი ვყიდულობდით სურსათს და მივდიოდით. ეს ორი წელია ვეღარ ვახერხებთ ასვლას. შაყულაანთუბანი დიდი უბანია, ბევრნი იყვნენ და შტოგვარებადაც იყოფოდნენ“.

შტოგვარები:

დიდშაქარაანი – რამდენიმე ოჯახია. შუაუბანში ორი შაქრო (ზაქარია) შაყულაშვილი ცხოვრობდა. ერთს, უფრო შეძლებულს (სხვა ვერსიით – უფრო მაღალს, ტანად დიდს), დიდშაქარას ეძახდნენ, მეორეს – პატარა შაქარას. გ. შაყულაშვილი: „შაყულაანთუბანში ერთმანეთის სიახლოვეს ცხოვრობდა ეს ორი ოჯახი: დიდშაქარასი და პატარა შაქარასი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ამ პატარა უბნის, პატარა შაყულაანის, წარმოშობა. დიდი და პატარა

შეარქვეს, ერთმანეთისგან რომ განესხვავებინათ. პატარა შაქარა დიდშაქარას ბიძაშვილი იყო, დიდშაქარას მამის, მოსიკას, ძმისშვილი".

პატარა შაქარაანი – რამდენიმე ოჯახია, პატარა შაქარას შთამომავლები (იხ. დიდშაქარა).

იობაანი – წინაპარ იოსებს მეტსახელად იობას ეძახდნენ, აქედან მოდის შტოგვარიც.

თილინიანი – ერთი ოჯახია დარჩენილი, თილინე ერქვა მეტსახელად პაპას.

იაგორაანი – რესპონდენტის ინფორმაციით, მოსიკა, დიდშაქარას მამა, და იაგორა ძმათა შვილები იყვნენ.

ჩიტუნაანი – რამდენიმე ოჯახია, პაპას, ვანოს, მეტსახელი იყო ჩიტუნა.

დათობაანი – პაპას ერქვა დათა.

არჯევანაანი – სამი-ოთხი ოჯახია. არჯევანი ერქვა პაპას.

ყარსულაანი – წინაპარი ყარსში მსახურობდა ჯარში, იქიდან ცოლი ჩამოიყვანა. რომ ჩამოვიდნენ, სოფელმა შეარქვა ყარსულა.

ჭრიჭინაანი – ჭრიჭინა პაპის მეტსახელია, რესპ.: „ალბათ მღეროდა, ახლა მისი შვილიშვილი მღერის".

შაყულაშვილთაგან ცნობილია ნატო შაყულაშვილი, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში შუაუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. მან შუაუბნის კოლმეურნე წევრებისგან შეკრიბა 100 000 მანეთი და წითელი არმიის დასახმარებლად გაგზავნა, რისთვისაც მიიღო უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა.

საყვარელიძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1254 საყვარელიძე (თბილისში – 568, ზესტაფონში – 196, ქუთაისში – 74) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი გავრცელებულია აგრეთვე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. მომდინარეობს საკუთარი სახელისგან საყვარელი, საყვარელა. ცნობილი იყვნენ ანდრია საყვარელიძე მოქველი (1605 წლიდან აფხაზეთის კათალიკოსი), ევდემოს საყვარელიძე (1666-1673 წლებში აფხაზეთის კათალიკოსი). ამავე ძირისაა შემდეგი გვარები: საყვარელაშვილი, საყვარელია, საყვარლიშვილი (მაისურაძე, 1990, 145; ახუაშვილი, 2005, 606).

აზნაური საყვარელიძეები ცხოვრობდნენ და ყმა-მამულს ფლობდნენ იმერეთში, ქართლში, რაჭაში. ქართლში ისინი სახასო აზნა-

ურებიც იყვნენ და თავად ორბელიანებისა და თავად ციციშვილების აზნაურებიც, ერთხანს – თავად ამილახვრებისაც (ქსძ, 1965, 486, 488, 491). იმერეთში საყვარელიძეები იყვნენ როგორც სახელმწიფო, ისე თავად ჩხეიძის აზნაურებიც და გლეხებიც (სოსელია, 1973, 39). იოანე ბაგრატიონის მიხედვით, „ამათნი წინაპარნიც არიან ძირით იმერელნი და ამათ გვართაგანნი მოვიდა ქართლსა დროსა მეფისა ბაგრატისასა 1512 წ. და არიან მუნიდგან დაშთომილნი. ხოლო რომელნიმე სახლობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლში“ (ბაგრატიონი, 1997, 66). ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც აზნაურ საყვარელიძის გვარია მოხსენიებული, 1523 წლით თარიღდება (პალ, 2007, 154). აღმოსავლეთ საქართველოში იმერეთიდან XVII ს-ის დამლევსა და XVIII ს-ის დასაწყისში გადმოსულან და ჯერ ციციშვილებთან მისულან ხიზნად, შემდეგ – დავითიშვილებთან, ამილახვრიშვილთან და ბოლოს სამეფო ყმები გახდნენ. 1850 წლის ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ნუსხაში აზნაურ საყვარელიძეთა სამი ოჯახია შეყვანილი, იმერეთის ანალოგიურ სიაში კი – ოცდაცამეტი (თოფჩიშვილი, 2011, 297-298).

გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში მოხსენიებული არიან საყვარელიძეები – აზნაურები რაჭაში და „თავადის ციციშვილის აზნაურნი“ (მაისურაძე, 1990, 145; ახუაშვილი, 2005, 606; 811, 813).

საყვარელიძეები ცხოვრობენ შუაუბანში, შაყულაანთუბნის დასავლეთით. ორი-სამი ოჯახია. ეძახიან **გაბრუშკაანთ** – წინაპარი იყო გაბრუშკა საყვარელიძე. რესპ. გ. შაყულაშვილი: „საყვარელიძეები სტალინის ქვისლის დისშვილები არიან. გაბრიელი მდიდარი კაცი იყო. გაბოს ეძახდნენ, რუსული გამოთქმით იყო გაბრუშკა“.

ინდუაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 534 ინდუაშვილი (ქარელში – 184, თბილისში – 134, გორში – 48) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). სავარაუდოდ, მომდინარეობს საკუთარი სახელისგან ინდო. 1692 წლის წყალობის წიგნში მოხსენიებულია ზაქუტა ინდუასშვილი, 1721 წლის აღწერის მასალებში მოხსენიებულნი არიან ნასყიდა, მამაჯანა, მახარა, ბერუა ინდუაშვილები (ახუაშვილი, 2005, 445).

შუაუბანში, შაყულაანთუბნის დასავლეთით, ინდუაშვილების ერთი ოჯახი ცხოვრობდა, გადმოსახლებული სოფ. რუისიდან. მათი

წინაპარი, სიმონ ინდუაშვილი, იყო მღვდელი (სიმონის ქალიშვილი ივლია (ივლიტა) შალიაპინის ძმის მეუღლე იყო). მის შთამომავლებს **მღვდლიაანთ** უწოდებდნენ.

ციხისუბანი

ციხისუბნის ძირითადი უბნებია: ბარდაანთ (ბარდაძეების), თხინვალიაანთ (თხინვალელების), ჟიჟილაანთ (ჟიჟილაშვილების), ქასრაანთ (ქასრაძეების), ხიზანაანთ (ხიზანიშვილების), ჯანჯალაანთ (ჯანჯალაშვილების) უბნები. ამ შემთხვევაშიც უბნები სახელდებულია ძირითადი მოსახლეობის გვარების მიხედვით. გარდა ამისა, ციხისუბანში ცხოვრობენ: არაქელოვები, ზაქარაშვილები, კოტეტიშვილები, მაზმანიშვილები, სესიკელაშვილები და სხვ.

ბარდაანთუბანი

ბარდაძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 218 ბარდაძე (თბილისში – 129, კასპში – 67, მცხეთაში – 11) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). სავარაუდოდ, გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ბარდა. ამავე ძირისაა ბარდანია, ბარდანაშვილი (მაისურაძე, 1990, 30). ვ. მაღრაძის მოსაზრებით, გვარი წარმოქმნილია მცენარე ბარდასგან (ერთწლიანი პარკოსანი კულტურული მცენარე) მიღებული საკუთარი სახელისგან (მაღრაძე, 2006, 176).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ციხისუბანში, ბარდაძეთა 19 კომლი ცხოვრობდა.

ადგილობრივთა ინფორმაციით, კავთისხეველი ბარდაძეები ყოფილან ბარდაველიძეები, უცხოვრიათ დედოფლისწყაროში, აზერბაიჯან-საქართველოს მიჯნაზე, სხვა ვერსიით – იმერეთიდან არიან, ბარდაველები, ჩამოსულნი დიდი ხნის წინ[14].

შტოგვარები:

ჭუკიაანი – ჭუკია ეპონიმის, პაპის, მეტსახელი იყო.

---

[14] ი. მაისურაძის ცნობით, გვარი ბარდაველიძე, გარდა თბილისისა, გავრცელებულია ბარდუბანშიც (თერჯოლის მუნიც.). „საფიქრებელია წარმომდგარი იყოს სადაურობის აღმნიშვნელი სახელისგან – ბარდაველი. ბარდავი ქალაქი იყო საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე. თვით სოფლის სახელს ბარდუბანს შესაძლებელია კავშირი ჰქონდეს გვარსახელთან, იყოს შემოკლებული ფორმა „ბარდათ უბანისა“ (მაისურაძე, 1990, 30).

წითელწვერაანი – ეპონიმს, რესპონდენტის პაპას, წითელი (ულალი) წვერი ჰქონდა და წითელწვერა გიორგი შეარქვეს: „წითელწვერაანთა გვეძახდნენ, მაგრამ ახალმა თაობამ აღარ იცის“.

ზაქარაშვილები:

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 603 ზაქარაშვილი (კასპში – 140, ქუთაისში – 135, თბილისში – 111) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი გავრცელებულია აგრეთვე ნაგარევში (თერჯოლის მუნიც.), ვალეში (ახალციხის მუნიც.), ვალეში მცხოვრებნი, ადგილობრივი გამოთქმით, ზაქარათებად იწოდებიან (ზაქარათი ← ზაქარაანთი). ამავე ძირისაა ზაქარია, ზაქარეიშვილი, ზაქარიაძე, ზაქარაძე, ზაქროშვილი (მაიურაძე, 1990, 68).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში ზაქარაშვილთა 10 კომლი ცხოვრობდა, ამათგან 8 – ციხისუბანში.

ზაქარაშვილები ბარდაანთუბანში ცხოვრობენ. გადმოცემით, კავთისხეველი ზაქარაშვილები წარმომავლობით ციციშვილები არიან, ზაქარია ციციშვილის შთამომავლები. კავთისხეველ ზაქარაშვილთა მიკროდასახლებას ჯურდანაანს უწოდებენ საგვარეულო მეტსახელის მიხედვით. ჯურდანაანთუბანში დგას დიდი სახლი, რომელიც გიგო ზაქარაშვილმა ააშენა თავისი ორი ვაჟისთვის (მანამდე პატარა სახლი იყო იქვე, გვერდით). სახლს ორი მხარე აქვს, ორი შესასვლელი. ერთ მხარეს ცხოვრობს ერთი ვაჟის შთამომავლობა, შვილთაშვილები – 3 ოჯახი, მეორე მხარეს – მეორე ვაჟის შვილთაშვილები, 4 ოჯახი.

ჯურდანაანი – ჯურდანა ეპონიმის მეტსახელია. რესპ.: „როგორც ვიცი, ჯურდანა ყოფილა ქისა, რომელშიც ეტეოდა ფულის გარკვეული რაოდენობა. ჩვენმა შორეულმა წინაპარმა ჯურდანად იყიდა ეს ადგილები. მას შემდეგ ამ უბანს, რომელიც ამ კაცმა შეისყიდა, ჯურდანაანს ეძახიან. მას ჰყოლია ორი ვაჟი და კავთისხეველი ზაქარაშვილები მათი შთამომავლები ვართ. შტოგვარებით, პაპის, წინაპრის სახელებით, ერთმანეთს არ მოვიხსენიებთ“.

თხინვალიაანთუბანი

თხინვალელები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 278 თხინვალელი (თბილისში – 180, კასპში – 67, რუსთავში – 9) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). თხინვალელი გვარადქცეული სადაურობის სიტყვაა, თხინვალი სოფელია გარდაბნის მუნიციპალიტეტში (მაისურაძე,

1990, 77). შდრ. მარაბდელი (სოფ. მარაბდა, ქართლი), კორინთელი (სოფ. კორინთა, ქართლი), ბოტკოველი (სოფ. ბოტკო, საგარეჯო) და სხვ. (მაღრაძე, 2006, 150).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ციხისუბანში, თხინვალელთა 19 კომლი ცხოვრობდა. რესპ. ლ. თხინვალელი: „დაახლოებით 20 კომლი ვართ ბიძაშვილები, მაგრამ რეალურად ორიოდე კომლი დარჩა კავთისხევში, ძირითადად კი თბილისში ცხოვრობენ. შტოგვარები არ გვაქვს ან აღარ გვაქვს, ყოველ შემთხვევაში, 87 წლის ვარ და შტოგვარებს არ მოვსწრებივარ“.

კოტეტიშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 101 კოტეტიშვილი (თბილისში – 88, კასპში – 7, მცხეთაში – 2) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ი. მაისურაძის მოსაზრებით, გვარი უნდა მომდინარეობდეს საკუთარი სახელისგან კოტეტა: კოტა + ბოლოსართი -ეტ; შდრ. კოტაშვილი, კოტია, კოტარია, კოტიშაძე, კოტუა (მაისურაძე, 1990, 92). იოანე ბაგრატიონის ცნობით, „აზნაურ კოტეტიშვილების წინაპარს ეწოდა სახელად კონსტანტინე, გარნა ეძახდნენ კოტეტს და ამის გამო გაუგვარდათ შთამომავლობათა მათთა კოტეტისშვილობა. ესენი არა არიან ძველნი აზნაურნი, არამედ მეფემან თეიმურაზ 1703 წ. უბოძა მღდელსა კოტეტსა და შვილთა მისთა აზნაურობა, რადგან კარის ეკლესიის დეკანოზი იყო, აწ კოტეტის ეკლესიად წოდებული ტფილისსა შინა სამეფო სასახლის ადგილსა“ (ბაგრატიონი, 1997, 69). კოტეტიშვილები სახასო აზნაურები იყვნენ (ქსძ, 1965, 486). გვარი პირველად მოხსენიებულია 1512 წლის საბუთში (პალ, 1993, 533). კოტეტიშვილებს თეიმურაზ II-ისგან ნაბოძები სადეკანოზო მამული ჰქონდათ კავთისხევში (სს, III, 183). 1850 წელს ქართლში კოტეტიშვილთა ოთხი კომლი ცხოვრობდა (თოფჩიშვილი, 2011, 186).

2007 წლის მონაცემებით, ციხისუბნის თხინვალიაანთუბანში კოტეტიშვილების 6 კომლი ცხოვრობდა, მათ მოიხსენიებენ როგორც ჩიტბატონიაანთ.

ჩიტბატონიაანი – კოტეტიშვილების წინაპარს ერქვა ჩიტბატონი. რესპ.: „მაღალი წრის ხალხი იყო, თავადები არა, მაგრამ აზნაურები იყვნენ“.

ჟიჟილაანთუბანი

ჟიჟილაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 183 ჟიჟილაშვილი (თბილისში – 125, კასპში – 43, მცხეთაში – 12) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, ციხისუბანში, ცხოვრობდა ჟიჟილაშვილთა 5 კომლი.

კავთისხეველი ჟიჟილაშვილების წინაპარი ნამოსულა წინარეხიდან. რესპ.: „გადაშენების გზაზე ვართ. 12 კაცი სამამულო ომის დროს დაიღუპა და გამრავლება შეფერხდა. ახლა 20 კომლი მაინც ვიქნებით, მაგრამ აქ 4-5 კომლიღა დარჩა. ლამის განყვეტაზეა ჩვენი გვარი".

შტოგვარები:

ჭიჭმანაანი – ამჟამად ჭიჭმანაანთა ერთი კომლი ცხოვრობს კავთისხევში. ჭიჭმანა იყო პაპის, ილიკო ჟიჟილაშვილის, მეტსახელი. ძველი მედუქნე ყოფილა.

გიგაანი – გიგა ჟიჟილაშვილის შვილიშვილები არიან. ორიოდე ოჯახია.

კავთისხეველ ჟიჟილაშვილთა შორის ცნობილია შალვა ჟიჟილაშვილი, საბჭოთა კავშირის სარკინიგზო ჯარების შტაბის უფროსის მოადგილე, რომელსაც სამამულო ომში შრომითი მამაცობისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ქასრაანთუბანი

ქასრაძეები // კასრაძეები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 101 ქასრაძე (ტყიბულში – 43, ქუთაისში – 21, თბილისში – 19), ხოლო კასრაძე – 1666 (თბილისში – 735, გორში – 626, რუსთავში – 111) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). როგორც ი. მაისურაძე აღნიშნავს, ქასრაძე და ქასრაშვილი (გავრცელებულია ბარდუბანში, თერჯოლის მუნიც.) ერთი ძირისაა (შდრ. საკუთარი სახელი ქასრე) (მაისურაძე, 1990, 171). ერთ-ერთი ვერსიით, კასრაძე წარმომდგარი ჩანს ჭურჭლის სახელწოდება კასრისგან (ახუაშვილი, 2005, 455).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, ციხისუბანში, ქასრაძეების 4 და კასრაძეების 3 კომლი ცხოვრობდა.

კავთისხეველი ქასრაძეების უმეტესობამ გვარი გადაიკეთა, ამჟამად კასრაძეები არიან. რესპ. ა. ქასრაძე: „27 წელია კასრაძეებად ვწერივართ, არადა ქასრაძეები ვართ. სკოლაში რომ ვსწავლობდით,

ქასრაძეები ვიყავით და, სკოლა რომ დავამთავრეთ, – კასრაძეები. ნაწილმა თბილისში წასვლის შემდეგ გადაიკეთა გვარი და, მგონი, ყველა კასრაძეა ახლა". რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ქასრაძეებიც დარჩნენ. მაგალითად, ერთი ოჯახია, ერთი ძმა – ჩირია (ნოდარი) – იყო კასრაძე, დანარჩენები იყვნენ ქასრაძეები. ამიტომ ჰქვია ქასრაანთუბანი, ანუ ქასრაძეების უბანი". ქასრაძეებს შტოგვარები არა აქვთ.

ხიზანაანთუბანი

ხიზანიშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 2697 ხიზანიშვილი (თბილისში – 1276, მცხეთაში – 204, გორში – 196) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი, სავარაუდოდ, მომდინარეობს საკუთარი სახელისგან ხიზანი (ზოგადი მნიშვნელობა – დროებით სხვას შეკედლებული პირი; მემამულის მიწაზე მოსახლე თავისუფალი გლეხი, რომელიც გადასახადს ყმის თანაბრად იხდიდა (ქეგლი, VIII)) (მაისურაძე, 1990, 230). ამავე წარმომავლობისაა ხიზანაშვილი. ხიზანიშვილი მოხსენიებულია 1721 წლის აღწერის მასალებში. 1785 წელს ხიზანა ხიზანიშვილისათვის სითარხნის წიგნი მიუციათ (ახუაშვილი, 2005, 729).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ციხისუბანში, ხიზანიშვილთა 18 კომლი ცხოვრობდა.

შტოგვარები:

წარბაანი – წარბა ეპონიმის მეტსახელია, შეტრუსული წარბები ჰქონია.

ჭანჭურაანი – ჭანჭურა ეპონიმის მეტსახელია. მაღალი კაცი იყო და ჭანჭურას ეძახდნენ.

ვახტაანგაანი – ვახტანგ ხიზანიშვილის შთამომავლები.

გოგინაანი – გოგინა ხიზანიშვილის შთამომავლები.

კავთისხეველ ხიზანიშვილთა შორის ცნობილია ნადია ხიზანიშვილი. დიდ სამამულო ომში იბრძოდა 605 კავთისხეველი (302 არ დაბრუნებულა), მათ შორის, ერთი ქალი – ნადია ხიზანიშვილი.

არაქელოვები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 218 არაქელოვი (თბილისში – 631, გორში – 53, გურჯაანში – 35) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). შდრ. გვარი არაქელაშვილი (მოხსენიებულია 1537-

1538 წლების საბუთში). 1699 წლის დახსნის წიგნში მოხსენიებულია საკუთარი სახელი არაქელა. არაქელი სოფელია ბოლნისის მუნიციპალიტეტში (ახუაშვილი, 2005, 247).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში არაქელოვთა 5 კომლი ცხოვრობდა, ამათგან 4 – ციხისუბანში. როგორც აღნიშნავენ, არაქელოვები, რეალურად, ბევრად მეტნი არიან, მაგრამ გვარი შეიცვალეს. ცხოვრობენ ხიზანაანთუბანში.

გადმოცემით, ბატონყმობის დროს ბატონს გამოჰქცევია ვიღაც კაცი, რომელსაც რქმევია არაქელა. ჰ. წიტაიშვილის ვარაუდით, არაქელოვები კავთისხევში დასახლდნენ დაახლოებით საუკუნენახევრის წინ. შესაძლებელია, პირველი ჩამოვიდა დიდვაჭარი კონია არაქელოვი. ერთი ვერსიით, ქართველები არიან, ამდენად, ძველი გვარები დაიბრუნეს. რესპ.: „ქვემო ჩოჩეთში ყოფილა ვიღაც ტერტერა და ყველას არაქელოვებად წერდა. მერე გაიყო თითქოს სოფელი, ერთ მხარეს სომხები დასახლდნენ, მეორე მხარეს – ქართველები. სინამდვილეში არც ერთი არ იყო სომეხი". მეორე, უფრო გავრცელებული, ვერსიით, არაქელოვები სომხები არიან, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო ქართული გვარები მიიღეს.

რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „მე ქვრივიშვილი ვარ. მამაჩემის მამიდის მეუღლე იყო არაქელოვი. შვილი არ ჰყავდათ, მამაჩემი იშვილეს და დაწერეს არაქელოვად. თავის დროზე ვიძალავე და ძმისშვილს დავუბრუნე გვარი. ახლა ჩემი ძმა და ძმისშვილები ქვრივიშვილები არიან. მეც ძალიან მინდა გვარის დაბრუნება, რა არ ვცადე, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. მითხრეს, ქვრივიშვილი ცნობილი გვარია, მისი დაბრუნება რთული პროცესია და სახიაშვილად დაეწერე, რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, ქართული გვარიაო. მე ვუთხარი, გინდა არაქელოვი ვიყო, გინდა სახიაშვილი, ჩემი გვარია ქვრივიშვილი და, თუ არ დამიბრუნებთ, ისევ არაქელოვი ვიყო-მეთქი. ახლა მეღა დავრჩი არაქელოვი და, ვინც ნამდვილი, ძირძველი არაქელოვი იყო, ლამის ყველამ გადაიკეთა გვარი. მართალია, მე ქვრივიშვილი ვარ და ჩემსავით ბევრი არის შვილად აყვანილი ან ნაშვილების შთამომავალი, მაგრამ არაქელოვად ვინც ეწერა, ღვიძლ ბიძაშვილებად მივიჩნევდით თავს, ყველა ერთად ვიყავით, ერთ კონად შეკრულები. ახლა სულ დაიქსაქსნენ, ზოგმა კავთიძედ გადაიკეთა გვარი, ზოგმა – არაყიშვილად, ზოგმა – პეპანაშვილად, ზოგმაც დედის გვარი არჩია – იაშვილებად,

სულხანიშვილებად დაეწერნენ, შვილად აყვანილმა არაქელოვებმა ნამდვილი გვარი, ბერიაშვილი, დაიბრუნეს. ის ძველი ხალხი, ვინც შემოვრჩით, ერთიმეორეს მივდევთ. როგორც ღვიძლი ბიძაშვილები, ალალი ძმის შვილები, ისე ვართ ერთმანეთთან. განშტოებები იყო: ერთი გვარი გვქონდა, არაქელოვი, მაგრამ აღზრდა და ჩვევები – განსხვავებული".

შტოგვარები:

კონიაანი – კონია არაქელოვის შთამომავლები. რესპ. შ. არაქელოვი (ქვრივიშვილი): „კონია ისტორიული კაცი იყო, სახელგანთქმული, ძვირფასი კაცი. დიდი მაღაზია ჰქონდა ადრე, დახლით გამართული, დაიღლებოდი, რომ შემოგევლო. ჩვენც მოვესწარით. ნანგრევებია ახლა იქ. რომ მივიდოდა მყიდველი, ქეთლით (ჩაიდნით), ღვინო ედგა ხოლმე, ამოიღებდა, დაასხამდა (თან ხელების ფშვნეტა იცოდა): „მოდი, შვილო, დაილოცე!". კონიაანიც, კონიას შთამომავლები, განათლებული, გამორჩეული ადამიანები არიან".

კაკილაანი – ეპონიმის მეტსახელი იყო კაკილა. შ. არაქელოვი: „მე და ჩემი ბიძაშვილი კაკილაანი ვართ. ჩვენ არაქელოვებად ვწერივართ, მისი შვილები სახიაშვილებად დაიწერნენ. ახალი თაობა ხომ იცი...".

პეპანაანი – პეპანა ეპონიმის, შორეული წინაპრის, სახელია. მოგვიანებით პეპანაანთ გვარი გადაიკეთეს პეპანაშვილებად.

აქსუაანი – აქსუა ეპონიმის, შორეული წინაპრის, სახელია.

გლახაანი – წინაპარს ერქვა გლახო ან გლახა.

პაჭაანი – წინაპარს ერქვა პაჭა.

როსტომაანი – წინაპარს ერქვა როსტომი.

იაკობაანი – წინაპარს ერქვა იაკობი.

ბიჭიკაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 857 ბიჭიკაშვილი (თბილისში – 290, კასპში – 192, ხაშურში – 131) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 2007 წლის მონაცემებით, ციხისუბანში ბიჭიკაშვილთა 3 კომლი ცხოვრობდა.

ბიჭიკაშვილები წამოსულან კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ხოვლედან. დიდი ხნის წინ არიან გადმოსულები (ბებიები და პაპები ციხისუბანში ცხოვრობდნენ უკვე), მაგრამ დროთა განმავლობაში ოჯახები თბილისში გადავიდნენ და ახლა კავთისხევში 3-4 ოჯახია. შტოგვარები არ ჰქონდათ.

მაზმიშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1893 მაზმიშვილი (თბილისში – 578, გორში – 504, ქარელში – 245) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი გავრცელებულია აგრეთვე ასპინძის მუნიციპალიტეტში (ხიზაბავრაში). გვარის ფუძეა საკუთარი სახელი მაზმი (← მაზიმი), შდრ. მაზიმატი, მაზიმატები, საგვარეულო წოდება (მაისურაძე, 1990, 99). ერთ-ერთი მოსაზრებით, ამავე ძირისაა გვარები: მაზაშვილი, მაზიაშვილი, მაზმანიშვილი, მაზმნიშვილი, მაზმადაშვილი, მაზიტაშვილი, ხოლო გვარის ფუძეა სახელი მაზმანი „ბალნის მთესველი“ (საბა). წინწყაროში მაზმნიშვილები მაზმანოვებად და ბერძნებად არიან მიჩნეულნი (ახუაშვილი, 2005, 487).

2007 წლის მონაცემებით, ციხისუბანში მაზმიშვილთა 5 კომლი ცხოვრობდა.

რესპონდენტთა ინფორმაციით, მაზმიშვილები იწერებოდნენ სომხებად, მაზმიანცებად, და მერე გადაიკეთეს გვარი და დაინერნენ მაზმიშვილებად. ამჟამად ციხისუბანში მაზმიშვილთა ორი-სამი კომლია.

შტოგვარები:

უნდაანი – უნდა ეპონიმის, ვანო მაზმიშვილის, მეტსახელია. პატარა რომ ყოფილა, დედამისს ფლავი გაუკეთებია. ფლავს რომ უნაწილებდა შვილებს, უკითხავს, ვანოს ფლავი უნდაო? ვანოს უპასუხია, უნდა, უნდაო, და დაერქვა უნდა. უნდას 3 ვაჟი ჰყავდა და მის შთამომავლებს ეძახიან უნდაანთა.

კრიჭინიაანი – ეპონიმის მეტსახელი იყო კრიჭინი.

სესიკელაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 39 სესიკელაშვილი (თბილისში – 28, კასპში – 7, მცხეთაში – 4) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, ციხისუბანში, ცხოვრობდა სესიკელაშვილთა 4 კომლი.

სესიკელაშვილები სახლობენ ხიზანაანთუბანში. მათი წინაპრები, გადმოცემით, ყოფილან იმერლიშვილები, რომლებსაც გვარი გადაუკეთებიათ დეკანოსიძეებად. ერთ-ერთი წინაპრის, გამოჩენილი პიროვნების, სესიკა დეკანოსიძის, დაღუპვის შემდეგ მის პატივსაცემად შთამომავლებმა ჯერ სესიაშვილებად, მერე სესიკელაშვილებად გადაიკეთეს გვარი. შტოგვარები არა აქვთ, მაგრამ ყველა სესიკელაშვილს, რომლებიც ციხისუბანში ცხოვრობენ,

თომაანთა ეძახიან. რესპ. ბ. სესიკელაშვილი: „თომა გვყავდა უხუცესი, ჩვენი წინაპარი, და იმის პატივსაცემად გვეძახიან თომაანთა“.

ჯანჯალაანთუბანი

ჯანჯალაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 311 ჯანჯალაშვილი (თბილისში – 217, კასპში – 88, მცხეთაში – 3) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი, სავარაუდოდ, მომდინარეობს მეტსახელისაგან ჯანჯალა. ამავე ძირისაა ჯანჯალია (მაისურაძე, 1990, 241). 2007 წლის მონაცემებით, ციხისუბანში ჯანჯალაშვილთა 28 კომლი ცხოვრობდა.

შტოგვარები:

ტიღურაანი – რესპონდენტთა ვარაუდით, ტიღურა ეპონიმის მეტსახელი იქნებოდა.

გოლაანი – გოლა ჯანჯალაშვილის შთამომავლები არიან. ტიღურაანთა და გოლაანთა ერთი წინაპარი ჰყავდათ.

ქვემო ჩოჩეთი

სოფ. ქვემო ჩოჩეთში, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ცხოვრობდა 498 ადამიანი (233 – კაცი, 265 – ქალი), 98 % – ქართველი. შდრ.: 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ქვემო ჩოჩეთში ცხოვრობდა 142 კომლი, 676 სული (54 – ქართველი, 7 – ოსი, 606 – სომეხი, 2 – ქართველი ებრაელი, 2 – რუსი, 5 – დანარჩენი ეროვნების) (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930, 11-12).

ქვემო ჩოჩეთის ძირითადი უბნებია: ნონიკაანთუბანი, ხუციაანთუბანი, ჭოტისუბანი და ფარუაანთუბანი.

ნონიკაანთუბანი

უბანში ძირითადად ნონიკაშვილები ცხოვრობენ, მაგრამ არიან აბუაშვილებიც, სოლოღაშვილები და სხვ.

ნონიკაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 993 ნონიკაშვილი (თბილისში – 389, გორში – 335, თელავში – 102)

(სილაგაძე, თოთაძე, 1997). სავარაუდოდ, გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ნონიკა (კნინობითი ფორმა სახელისა ნონე). 1721 წლის აღწერის მასალებში მოხსენიებულია ბეჟუა ნონიკაშვილი (ახუაშვილი, 2005, 560).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ქვემო ჩოჩეთში, ნონიკაშვილთა 35 კომლი ცხოვრობდა.

რესპონდენტის ინფორმაციით, ეს გვარი, სავარაუდოდ, კახეთიდან არის წარმოშობით, რადგან ფერეიდანშიც ცხოვრობენ ნონიკაშვილები. რამდენიმე სოფელია, სადაც ნონიკაშვილების კომპაქტური დასახლებაა, მაგ., კაკაბეთი (საგარეჯოს მუნიც.). არიან სიღნაღის მუნიციპალიტეტშიც. აგრეთვე, ცხოვრობენ ხიდისთავში (გორის მუნიც.).

რესპ. ზ. ნონიკაშვილი: „თუ დავაკვირდებით, როდესაც ადამიანები მიდიან სადღაც საცხოვრებლად, მდინარის სიახლოვეს ირჩევენ სამოსახლოდ, ადგილს, სადაც წყალია. აქ მდინარესთან პირველები ნონიკაშვილები არიან, ზედ მდინარის პირზე, რაც ადასტურებს, რომ უფრო ადრე მოსულან, ვიდრე სხვები, ვინც მაღლა ცხოვრობს. მერე, სავარაუდოდ, აბუაშვილები არიან მოსულები, ქსოვრელები – უფრო გვიან“. რესპ. ი. ქსოვრელი: „ნონიკაშვილები ნონიკიანებად იწერებოდნენ, ახლაც ამ გვარზეა ზოგი, მაგრამ ეს იყო მღვდლის ამბავი. ქსოვრელებიც სომხებად ვეწერეთ. ტერტერა იყო მაშინ და ხალხს ნათლავდა სომხურად, გვარებსაც უცვლიდნენ, რომ დიდი მრევლი ჰყოლოდათ. ხალხიც აჰყვა, რადგან ისინი უფასოდ ემსახურებოდნენ ხალხს და ჩვენი მღვდლები წაგლეჯაზე იყვნენ“.

შტოგვარები:

მგელაანი – მგელა ეპონიმის, იოსებ ნონიკაშვილის, მეტსახელი იყო. ზ. ნონიკაშვილი: „პაპას მოლხენა უყვარდა, ალბათ კარგად მიირთმევდა კიდევაც, სავარაუდოდ, ამიტომ შეერქვა მგელა“.

ავარაანი – ავარა ეპონიმის, ვასო ნონიკაშვილის, მეტსახელი იყო. რესპონდენტის ინფორმაციით, მართლაც ავარობდა.

იასიაანი – იასე ნონიკაშვილის შთამომავლები.

დათიაანი – დათია ნონიკაშვილის შთამომავლები.

ზალიკაანი – ზალიკა ნონიკაშვილის შთამომავლები.

გრიშკაანი – გრიშა ნონიკაშვილის შთამომავლები.

ბაგრატაანი – ბაგრატ ნონიკაშვილის შთამომავლები.

ჭაჭნიაანი – რესპონდენტთა ვარაუდით, ჭაჭნია ეპონიმის მეტსახელი იყო.

კიჭაანი – კიჭა ეპონიმის მეტსახელია.

ტატაანი – ტატა (ესტატე) ნონიკაშვილის შთამომავლები.

რესპ. ზ. ნონიკაშვილი: „ზალიაკაანი და დათიაანი ერთი განაყრები არიან. რითი ვხვდებით ხოლმე: ნაკვეთები, ბაღები, ვენახები ვისიც ახლო-ახლოს არის, ე. ი. ერთი წინაპრის განაყრები არიან – მამამ გაუყო ძმებს. ჩვენი, მგელაანთ, და ავარაანთ ვენახები ქვემოთ არის, ახლო-ახლოს, რადგან ავარა პაპაჩემის, მგელას, ძმა იყო (ე. ი. მგელაანი და ავარაანი ძმების შვილიშვილები არიან). იქვე არის იასიაანთ ვენახებიც. ნაკვეთები ახლოს გვაქვს და ამით ვხვდებით, რომ იასიაანი ჩვენთან ახლოს არიან, ჩვენი განაყრები არიან, ოღონდ უფრო წინა წინაპრისგან, პაპის პაპისგან“.

აბუაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1373 აბუაშვილი (თბილისში – 693, მცხეთაში – 211, კასპში – 163) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). მომდინარეობს საკუთარი სახელისგან აბუა. 1721 წლის აღწერის მასალებში იხსენიებიან ყაზარა, შანაზარა, ზადიკა, გოგია აბუაშვილები (ახუაშვილი, 2005, 215-216).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ქვემო ჩოჩეთში, ცხოვრობდა აბუაშვილთა 13 კომლი. დღესდღეობით ცოტანი არიან, მაგრამ სოფელში აბუაანთ ორი ძველი სასაფლაოა, რაც მეტყველებს, რომ ადრე ძალიან ბევრნი იყვნენ. რესპ. ც. აბუაშვილი: „რამდენიმე ოჯახი ვართ სულ. რა თქმა უნდა, საერთო წინაპარი გვყავს, მაგრამ ახლა ასე ახლოს არ ვართ“.

შტოგვარები:

ჭიყაანი – ჭიყა ეპონიმის, ალექსანდრე აბუაშვილის, მეტსახელია.

კიკოლაანი – სავარაუდოდ, პაპას ერქვა კიკოლა.

ტოტოლაანი – ტოტოლა პაპის მეტსახელია.

სოლოღაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1027 სოლოღაშვილი (თბილისში – 421, მცხეთაში – 263, გურჯაანში – 217) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ამავე წარმომავლობისა უნდა იყოს გვარი სოლაღაშვილი (ახუაშვილი, 2005, 613).

სოლოღაშვილები (ფეოდალური საგვარეულო) იყვნენ მებატონეები XV-XIX სს-ის ქართლში. მათ ეკუთვნოდათ მამულები და

ჰყავდათ ყმა-გლეხები ალგეთში, კუმისში, ტაბახმელაში, საღორისში, ასურეთში, გუდალეთში, შინდისსა და სხვ. გვარის ფუძემდებელი, სავარაუდოდ, სოლოღა // სოლაღა იყო, რომლის შთამომავლები XV ს-დან ჩნდებიან ქართლის სამეფოში. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, სოლოღაშვილები „არიან ძველადვე ახალციხელნი კალმახის ადგილის ერისთავის გვარისანი. ამათი წინაპარი ვინმე გათათრდა და უწოდეს სულაღად, ხოლო ამის შთამამავლობისანი, რომელთაც მიიღეს მაჰმადიანობა, მოვიდნენ საქართველოსა შინა მეფობასა ბაგრატისასა წელსა 1375-სა და მეფემან მიიღო თავადობისა ხარისხითა და უბოძა გვარადცა სოლოღასშვილობა და არიან მუნიდგან მცხოვრებნი სომხითსა, რომელნიმე გარდმოვიდნენ რუსეთს და დაშთნენ, ხოლო სხვანი ამათნი დაშთნენ ქართლსავე შინა და აწ არიან იესეს შვილები, ზაზას შვილები და სხვანი ძმანნი ამათნი. ხოლო სხვანი სოლოღასშვილები, რომელნიცა არიან თათრად, ჰსცხოვრებენ ახალციხის ნაწილსა შინა ჩირდილის კერძო ადგილსა“ (ბაგრატიონი, 1997, 35) ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც თავადი სოლოღაშვილია მოხსენიებული, 1519 წლისაა (ივანე სოლოღაშვილს ქვათახევის მონასტრისთვის ყმა-მამული შეუწირავს) (პალ, 1991, 335). სოლოღაშვილები XVI-XVII სს-ის მრავალ საბუთში მოიხსენიებიან. მათ ქართლის სამეფო კარზე ეკავათ სახლთუხუცესის, ბოქაულის, ყეენის მუშრიბისა და მუსაბის და სხვა თანამდებობები (ახუაშვილი, 2005, 613-614). 1850 წლის ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ნუსხაში თავად სოლოღაშვილთა სამი ოჯახია შეყვანილი (თოფჩიშვილი, 2011, 300-301).

2007 წლის მონაცემებით, ქვემო ჩოჩეთში სოლოღაშვილთა 8 კომლი ცხოვრობდა.

კავთისხეველი სოლოღაშვილები წარმოშობით ძეგვიდან არიან. შტოგვარები არა აქვთ, მაგრამ მოიხსენიებენ როგორც **ყორანაანთა.** რესპ. ჯ. სოლოღაშვილი: „სოლოღაშვილები ვართ და ყორანაანთა გვეძახიან, პაპაჩემის მამა ყოფილა ძალიან შავი კაცი და ყორანა შეარქვეს. ჩვენც, აქაურ სოლოღაშვილებს, გვეძახიან ყორანაანთ, რადგან ყველანი იმ ყორანას, პაპაჩემის მამის, შთამომავლები ვართ. სწორედ ის წამოვიდა ძეგვიდან. ნაკვეთი გვაქვს, იქ ასაფლავია ცალკე. ხორველით არის მკვდარიო და წინათ ყველა თავის ნაკვეთში ასაფლავებდა“.

ჭოტისუბანი, ფარუაანთუბანი

ორივე უბნის ძირითადი მოსახლეები ქსოვრელები არიან. რესპონდენტის ინფორმაციით, ჭოტისუბნის ტერიტორიაზე ადრეც ბევრი ჭოტი ყოფილა და ახლაც ხშირად ისმის ჭოტის კივილი. ფარუაანთუბანში ძირითადად ფარუაანი (ქსოვრელების ერთ-ერთი შტოგვარია) ცხოვრობენ.

ქსოვრელები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 1215 ქსოვრელი (თბილისში – 819, კასპში – 325, მცხეთაში – 35) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ქსოვრელი სადაურობის სიტყვაა (ქსოვრისი სოფელია მცხეთის მუნიციპალიტეტში[15]). ამავე ძირისაა გვარი ქსოვრელიშვილი (მაისურაძე, 1990, 176). როგორც ვ. მაღრაძე აღნიშნავს, გვარი ქსოვრელი ნაწარმოებია **-ის** დაბოლოებიანი (ნაგენიტივარი) გეოგრაფიული სახელისგან ქსოვრისი (მაღრაძე, 2006, 149).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ქვემო ჩოჩეთში, ქსოვრელთა 100 კომლი ცხოვრობდა.

ქსოვრელები ქვემო ჩოჩეთის მოსახლეობის დაახლოებით 90 %-ს შეადგენენ. სანამ ქვემო ჩოჩეთში დასახლდებოდნენ, ცხოვრობდნენ ქსოვრისსა და ქებაანში. რესპონდენტის ინფორმაციით, ერთხანს სომხებად იწერებოდნენ (იხ. ნონიკაშვილები). გადმოცემით, უზნაძეები იყვნენ, ერთი ვერსიით, დასავლეთიდან წამოსულნი, მეორე ვერსიით – კახეთიდან.

რესპ. ი. ქსოვრელი: „ამბობენ, უზნაძეები ვიყავითო, მაშინ გამოდის, დასავლეთიდან გადმოვსულვართ. ისე კახეთშიც არის ჩვენი გვარი, კავთობის დღესასწაულს რომ აღვნიშნავთ ჩვენთან, იქაც აღნიშნავენ. აქედან არიან წასულები თუ იქიდან მოსულები, არ ვიცი, მაგრამ, ცხადია, რომ ერთი მამა-პაპისგან ვართ წარმოშობილი. აქაური ქსოვრელები თავდაპირველად ქსოვრისში დასახლებულან, მტკვრის მაღლა, დაახლოებით 1 კმ-ზე, კალიერის (კარიერის) შესახვევი რომ არის, იმის ქვევიდან. გვარად ქსოვრელი იმიტომ აიღეს, რომ მიწას, რომელზეც დასახლდნენ, ერქვა ქსოვრისი. ქებაანშიც ცხოვრობდნენ. საერთოდ, ქებაანიდან ხალხი გადმოვიდა, როცა დაიმეწყრა, მაგრამ ქსოვრელები ბევრად ადრე წამოვიდნენ, საუკუნის, საუკუნე-ნახევრის წინ. ქსოვრელები ბევრნი ვართ და სულ სხვადასხვა შტო“.

---

[15] ქსოვრისი ადგილია კავთისხევშიც, კარიერის დაჩებთან.

რესპ. ჰ. წიტაიშვილი: „ქსოვრელებს ბევრი შტოგვარი აქვთ. ამ შტოებს სანამ ძირზე დაიყვან, რამდენი თაობა უნდა შეცვლილიყო, ამას ხომ დრო სჭირდებოდა, ე. ი. ძველი გვარია და აქაც დიდი ხნის მოსულები არიან. ქებაანიდან არიან და ქსოვრისში გადასულები თუ პირიქით, სადავოა. ქებაანი ძველი სოფელი იყო, მაგრამ პატარა, ქსოვრელების 3-4 კომლი ცხოვრობდა. ქსოვრისის მიწებიც კარიერის დაჩებთანაა, ქებაანივით. ისიც ძნელი სათქმელია, ქსოვრისში ცხოვრობდნენ და აქედან აიღეს გვარი, თუ ქსოვრისს დაერქვა სახელი ქსოვრელების გამო. ახლა ქებაანი ნასოფლარია და ქსოვრისის მიწებზე სხვები ცხოვრობენ, ქსოვრელი არავინ დარჩენილა“.

შტოგვარები:

ადუაანი – ოთხი კომლია. რესპ. ი. ქსოვრელი: „ჩვენ მეტსახელად ადუაანთა გვეძახდნენ, ალბათ შორეული წინაპარი, პაპის პაპა, იყო ადუა. მე 84 წლის ვარ და არ მოვსწრებივარ. ისიც არ ვიცი, ადუა სახელი იყო თუ მეტსახელი“.

ატკაზაანი – ატკაზა ეპონიმის მეტსახელია. რესპ.: „უთქვამს: მოვიპარე, მაგრამ ატკაზო (რუს. отказ „უარი, უარის თქმა). პაპის პაპა იქნება, ჩვენ არ მოვსწრებივართ“.

აფრიაანი – აფრია, სავარაუდოდ, ეპონიმის მეტსახელია. რესპ.: „ქსოვრელები არიან და აფრიაანი. უნდა იკითხო: აფრიაანთ ლენტო ხომ არ გინახავს?“.

ბაკლაანი – ბაკლას შთამომავლები არიან. რესპ.: „სახელია თუ მეტსახელი, არ ვიცი, პაპის პაპა იქნებოდა, მე და ჩემი თაობა არ მოვსწრებივართ“.

გასპარაანი – გასპარა ქსოვრელის შთამომავლები. რესპ.: „გასპარა წინაპრის სახელია. ნამდვილ სახელსა ჰგავს“.

გიგოლაანი – გიგოლა ქსოვრელის შთამომავლები არიან. რესპ.: „გიგოლაანი იყო გრიშა ქსოვრელი, მედუდუკეთა ანსამბლ „სოინარის“ დამაარსებელი. გრიშას მამას მარქარა ერქვა, ხელოსანი კაცი იყო, იმან გამოიყვანა სასმელი წყალი. მარქარას ხშირად ახსენებენ და ამიტომ ახლა შეიძლება ვინმემ მარქარაანით მოიხსენიოს მისი შთამომავლები, მაგრამ გიგოლაანი არიან ძველიდან“.

ზარალაანი – ზარალა ერქვა წინაპარს. რესპ.: „ალბათ მეტსახელია, იქნებ რამე ზარალი ნახა ან სხვა აზარალა“.

კაკუნაანი – ქსოვრელები არიან, წინაპარს აკაკი, ანუ კაკუნა ერქვა.

მირზეულიაანი – 7 კომლი, რესპონდენტის ვარაუდით, მირზა ერქვა ეპონიმს.

მორდოკლიაანი – 3 კომლი. 1981, 1988 წლების ჩანაწერები: „ძველად მორდოკლიაანთ ვენახებში ხალხი ცხოვრობდა, რომელიც მტრის შემოსევისას მორდოკში გადაასახლეს. შემდეგ ისევ აქ დაბრუნდნენ. სახელიც ამის მიხედვით შეერქვათ".

პეპაანი – 6-7 კომლია. პეპას შთამომავლები არიან.

სტეფანიაანი – 3-4 კომლია, წინაპარი იყო სტეფანე ქსოვრელი.

უდილაანი – უდილას შთამომავლები არიან. უხუცესი ქსოვრელები არც უდილას მოსწრებიან. რესპ.: „უდილა სახელია თუ მეტსახელი, არ ვიცი. ადუა და უდილა ადრინდელი განაყრები იქნებოდნენ".

ქაბცაანი – ქაბცა, სავარაუდოდ, ეპონიმის მეტსახელი იყო.

ჩიტაანი – ჩიტა, სავარაუდოდ, ეპონიმის მეტსახელი იყო.

ჩულიაანი – ჩულია, სავარაუდოდ, ეპონიმის მეტსახელი იყო.

ფარუაანნი – ფარუა, სავარაუდოდ, ეპონიმის მეტსახელი იყო. ბევრნი არიან, ქვემო ჩოჩეთში ცალკე უბანიც აქვთ.

რესპ. ი. ქსოვრელი: „ადუა, უდილა, გასპარა და სხვები, რომელთა სახელებითაც მოვიხსენიებთ ერთმანეთს, სავარაუდოდ, ერთი დროისანი იყვნენ, თანაბარი წლოვანებისა, ჩვენი პაპების წინა თაობა. ჩვენი მამა-პაპანი ერთნი არიან, მაგრამ გავმრავლდით, ბევრნი ვართ და ეგ სახელები მისაგნები სახელებია".

ხუციაანთუბანი

ხუციშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 11062 ხუციშვილი (თბილისში – 3678, რუსთავში – 637, გორში – 600) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). **ხუც** ძირი უძველესია, იგი დადასტურებულია საყოველთაოდ გავრცელებულ ხუცეს-ში და საკუთარ სახელებში: ხუცა, ხუცია, ხუცინა, ხუციკა, ხუცო, ხუცურა, ხუცაური. მღვდლის მნიშვნელობა ხუცესმა და ხუცმა შემდეგში მიიღო, თავდაპირველად კი უფროსს, მთავარს, მოთავეს ნიშნავდა (მაისურაძე, 1990, 236). „ხუციშვილები ქართველები არიან და ცხოვრობენ საქართველოს მრავალ კუთხეში. გვარის ძირია ქართული სიტყვა ხუცი. ძველად ამ გვარის რამდენიმე წევრმა ჯავახეთში (ხიზაბავრა) კათოლიკობა მიიღო, ახალქალაქს რამდენიმე

მცხოვრებმა გრიგორიანობა მიიღო" (ჭიჭინაძე, 1906, 29-46). ერთ-ერთი მოსაზრებით, ამავე ძირისაა გვარები: ხუცაურიძე, ხუცაიძე, ხუციანიძე, ხუციაშვილი, ხუციბერიძე, ხუცინაშვილი, ხუცუნაშვილი, ხუცურაული (ახუაშვილი, 2005, 738).

ხუციშვილები იყვნენ როგორც თავად ციციშვილების, დიასამიძეებისა და ფალავანდიშვილების აზნაურები (ქსძ, 1965, 487-490), ისე გლეხები. გლეხი ხუციშვილები, ზემო ქართლის გარდა, საქართველოს არაერთ მხარეში ცხოვრობდნენ. აზნაურ ხუციშვილებს უცხოვრიათ ოკრიბის სოფელ ძმუისში, რაჭის სოფელ სომიწოში, ფრონეების ხეობის სოფელ ცერონისში და ა.შ. როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, იურიდიულად ერთი გვარსახელის მქონე აზნაურ და გლეხ ხუციშვილებს სხვადასხვა წარმოშობა ჰქონდათ. აზნაურ ხუციშვილების შესახებ იოანე ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ამათნი წინაპარნი იყვნენ ხუციასშვილებად წოდებულნი, რომელნიცა იმერეთს მკვიდრობდნენ და მუნიდგან მოვიდნენ ქართლს და დაესახლნენ ვახტანგ მეფის დროს 1705 წ. და ხუციასშვილობა გაუგვარდათ ხუცისშვილებად და არიან მცირე აზნაურნი, რომელნიმე აქ ჰსცხოვრობენ იმერეთს და რომელნიმე ქართლს" (ბაგრატიონი, 1997, 83). 1643 წელს ყმისა და მამულის საჯილდაოდ წყალობის წიგნში მოხსენიებულნი არიან ბერუკა და ფარსადან ხუციშვილები, ბარათაშვილის ყმები (თოფჩიშვილი, 2011, 439-440; ახუაშვილი, 2005, 738).

2007 წლის მონაცემებით, კავთისხევში, კერძოდ, ქვემო ჩოჩეთში, ხუციშვილთა 9 კომლი ცხოვრობდა.

კავთისხეველი ხუციშვილები, გადმოცემით, ყაზბეგიდან გადმოსახლდნენ 1800 წელს. წინაპარს ბატონი მოუკლავს, გამოქცეულა და ტონიაზე (ადგილი ქვემო ჩოჩეთში) დასახლებულა. რესპ. ნ. ხუციშვილი: „ყაზბეგიდან რომ გამოქცეულა ჩვენი წინაპარი, საუკეთესო ადგილი, სამშვიდობო, უპოვია ტონია, სადაც აუგია პატარა ტაძარი (ანტონას საყდარი). მერე დასახლდნენ ნონიკაანთუბანში. ახლანდელი ხუციაანთუბნის ტერიტორია (რომელსაც ადრე ბაგებს ეძახდნენ, ჩოჩეთის ბოლოსაა) და ტონია იყო ხუციშვილების სამამულე ადგილები. ხუციშვილები ცოტანი ვართ კავთისხევში. ადრე მეტნი იყვნენ, მაგრამ სამამულო ომში დაიღუპა ბევრი და ისე ვეღარ გამრავლდა გვარი. ლეგენდად გადმოგვეცა ამბავი, რომ ძალიან მდიდრები იყვნენ ხუციშვილები და გაკულაკების პერიოდში ქონება

რომ დაეცვათ, ხორბლის ორმოში ჩააფინეს თავიანთი ფარდაგები, ხალიჩები, სიმდიდრე და მოოქროვილი ჭურჭელი. ამას დაეპატრონა გველი და წყლით დაფუფქეს. ბებიაჩემი ამბობდა, იმისი წივილი ზეცაში ადიოდაო. მას შემდეგ ჩვენს გვარში ბიჭი არ გამრავლებულა. ეს ორმო, სადაც ადრე ვცხოვრობდით, ნონიკაანთუბანში, იქ ყოფილა, ზუსტად არ ვიცით, სად, მაგრამ არც გვიძებნია. ის კი ვიცი, რომ აქ, ბაგებში, უნდა გაჭრილიყო კავთისხევის ცენტრალური გზა. პაპას მოოქროვილი გუთანი ჰქონდა, ის მისცა ინჟინერს, რომ შეეცვალათ გზის მიმართულება. შეცვალეს კიდეც".

ჯგუფური და საოჯახო მეტსახელები:

ანტონაანი – ანტონა ხუციშვილის შთამომავლები.

ბუდუაანი – ბუდუა პაპის, ეპონიმის, მეტსახელი იყო.

სოსაანი – სოსა იყო წინაპარი, პაპის მამა ან პაპა.

ჭიმიაანი – ჭიმია ეპონიმის მეტსახელი იყო, „სულ დაიჭიმებოდა, იბღინძებოდა, თავი მოჰქონდა".

ჩაბალაანი – საოჯახო მეტსახელია. ეპონიმის მეტსახელი იყო ჩაბალა. რესპ. ნ. ხუციშვილი: „ჩაბალა თურმე ნიშნავდა პატარას, შესაძლებელია დიალექტური ფორმა იყოს. ბებო ხილს უყოფდა შვილებს და უთქვამს, ეს ჩემს პატარა ჩაბალასო (თან პატარაც დაუყოლებია). მაგის მერე მამაჩემს დაერქვა ჩაბალა. ჩვენ, ჩაბალაანთ, გვიცნობენ მამის სახელით, დანარჩენებს – ძველების სახელით. პავლე ერქვა ჩემს პაპას, მაგრამ პავლიაანი ჩვენთვის არავის დაუძახია".

ქვემო ხანდაკი

სოფელ ქვემო ხანდაკში, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ცხოვრობდა 281 ადამიანი (130 – კაცი, 151 – ქალი), 96 % – ქართველი. შდრ.: 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ქვემო ხანდაკში ცხოვრობდა 93 კომლი, 429 ადამიანი (288 – ქართველი, 141– სომეხი) (საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930, 11-12).

სოფელში ძირითადად ცხოვრობენ ადამაშვილები, კაკალაშვილები, ლაშქარაშვილები, მამულაშვილები, უსანეთაშვილები, ვეშაპიძეები. ქვემო ხანდაკი ადრე ეკუთვნოდათ ციციშვილებს, აქ ცხოვრობდა მათი მოურავი, ჩიქოვანი. ჩიქოვანების შთამომავლებიდან სოფელში ერთი ოჯახი ცხოვრობს – სახელაშვილები არიან, მაგრამ

ჩიქოვანთა პირდაპირი შთამომავლები. სოფლის მცხოვრებთა დიდ ნაწილს ერთ დროს გვარი სომხურად გადაუკეთებია. რესპ. მ. მამულაშვილი: „მოვიდა ტერტერა და შევიდა იმ პატარა ეკლესიაში (წმინდა გიორგის ეკლესია ქვემო ხანდაკში) და იაფად ნათლავდა. ჰოდა, ნახევარი სოფელი მონათლა სომხურად, სომხებად ეწერებოდნენ კიდეც, რადგან მაშინ სომხებს პრივილეგიები ჰქონდათ (სამხედროში არ მიჰყავდათ) და ამით ისარგებლა იმ ტერტერამაც". მოგვიანებით ყველამ ძველი გვარი დაიბრუნა.

ადამაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 834 ადამაშვილი (თბილისში – 602, ბოლნისში – 52, კასპში – 34) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). ადამ (ძვ. ებრ.) „თიხა" (წითელი მიწა) (ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა პირველი კაცი შექმნა თიხისგან, სწორედ ამიტომ ადამი ეწოდა (ჭუმბურიძე, 1987, 320)). „სოფელ ქისტაურის მკვიდრთაგან ძირად მთიელებად თვლიან თავს ადამაშვილები" (თოფჩიშვილი, 1997, 33). 1832 წლის საბუთში მოხსენიებულია სოფ. მაწევანში მცხოვრები ანდრია ელისბარის ძე ადამაშვილი (ახუაშვილი, 2005, 219).

2007 წლის მონაცემებით, ქვემო ხანდაკში ადამაშვილთა 6 კომლი ცხოვრობდა. ერთ-ერთი შტოგვარია **რთველიაანი:** რთველია, სავარაუდოდ, წინაპრის მეტსახელი იყო.

კაკალაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 613 კაკალაშვილი (თბილისში – 301, კასპში – 64, გურჯაანში – 52) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გავრცელებულია აგრეთვე ზემო მაჩხაანში (დედოფლისწყაროს მუნიც.). მომდინარეობს საკუთარი სახელისგან კაკალა. ამავე ძირისაა, კაკალაძე, კაკალია (მაისურაძე, 1990, 82). დოკუმენტებში მოიხსენიებიან XIX ს-დან (კოდელ გიგია კაკალაშვილს 1826 წელს მოუნათლავს ტეტია ლაზარეშვილის ქალიშვილი) (ახუაშვილი, 2005, 451).

2007 წლის მონაცემებით, ქვემო ხანდაკში კაკალაშვილთა 18 კომლი ცხოვრობდა. რესპონდენტის ინფორმაციით, სოფლის მოსახლეებს შორის ყველაზე მეტნი კაკალაშვილები არიან, მაგრამ ცალკე უბანი არა აქვთ, სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ. მიუხედავად სიმრავლისა, არც შტოგვარები აქვთ.

ლაშქარაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 598 ლაშქარაშვილი (თბილისში – 217, გორში – 102, კასპში – 51) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარი გავრცელებულია აგრეთვე ხაშურის მუნიციპალიტეტში. ამავე ძირისაა ლაშქარაძე. სავარაუდოდ, ორივე მომდინარეობს საკუთარი სახელისგან ლაშქარა (მაისურაძე, 1990, 96). ლაშქარა ქართული სახელია (თუმცა სიტყვა ლაშქარი სპარსული წარმოშობისაა) (ჭუმბურიძე, 1987, 155). 1721 წლის აღწერის მასალებში მოხსენიებული არიან ოსეფა, გოდერძა, შარმაზანა, თამაზა ლაშქარაშვილები. ლაშქარაშვილთა ერთ ნაწილს მიუღია გრიგორიანული სარწმუნოება (სოფ. მუხათში, თეთრიწყაროს მუნიც.). შდრ. ლაშქარავა, ლაშქარაძე, ლაშქარეიშვილი (ახუაშვილი, 2005, 478).

2007 წლის მონაცემებით, ქვემო ხანდაკში ლაშქარაშვილთა 10 კომლი ცხოვრობდა. კავთისხეველი ლაშქარაშვილების ცნობილი წარმომადგენელია მენშევიკი მიშა ლაშქარაშვილი (1884-1952 წწ.), ანტისაბჭოთა პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი ქართლში 1920-იანი წლების დასაწყისში. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ წავიდა საფრანგეთში. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე (მეუღლეთან ერთად) (სმ, 2009, 4-11). რესპ. მ. მამულაშვილი: „მიშას თავს დაესხნენ კომკავშირლები. კურკა იყო ახალქალაქიდან ჩამოსული, რომ დაეჭირა. მოკვლა არ იყო მითითებული, მაგრამ კურკას ეტყობა შეეშინდა, მიშამ არ დამასწროსო, ესროლა და დედა მოუკლა. მიშა გაიქცა. დედის დასაფლავებას ვერ დაესწრო და შორიდან ჭოგრიტით უყურებდა. მერე ცოლი, ჩივაძის ქალი, წაიყვანა, თურქეთში გადავიდა და იქიდან მოხვდა საფრანგეთში. შთამომავალი, მგონი, არ ჰყავდა. მისი ბიძაშვილები, ნათესავები არიან აქ".

ლაშქარაშვილთა ერთ-ერთი შტოგვარია **ბუხუაანი.** რესპონდენტთა ვარაუდით, ბუხუა ეპონიმის მეტსახელი იყო (შდრ.: „ბუხუა: 1. მსხვილი ფუტურო კუნძი...; 2. დიდი, მსხვილი: ბუხუა კაკალი, ბუხუა ადამიანი..." (დიალექტ. ლექს., 1981, 70)).

მამულაშვილები

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 4578 მამულაშვილი (თბილისში – 1662, კასპში – 384, გურჯაანში – 381) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). 2007 წლის მონაცემებით, ქვემო ხანდაკში ცხოვრობდა მამულაშვილთა 13 კომლი.

რესპ. მ. მამულაშვილის ინფორმაციით, სოფელში სხვადასხვა წარმომავლობის მამულაშვილები ცხოვრობენ: ერთნი არიან ძირძველი მოსახლეები. კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალების მიხედვით, XVII ს-ში ქვემო ხანდაკში მოიხსენიებიან ლომკაცა მამულაშვილი და ხიზანიშვილი. რესპ.: „მამულაშვილი ლომკაცა იყო სოფლის თავკაცი და იმიტომ შემორჩა წყაროებს. ხიზანიშვილი კავთისხეველი (ციხისუბნელი) ყოფილა, აქ ზედსიძედ მოსული“. მამულაშვილთა მეორე შტო ჩამოსულა ხაშურის გომიდან, დაახლოებით, საუკუნე-ნახევრის წინ. რესპ.: „სამი ძმა ნამოსულა, ერთი დასახლებულა აქ და ორი – ძეგვში. შესაბამისად, იქაც არიან მამულაშვილები. ახლა ქვემო ხანდაკში ორივე შტოს წარმომადგენლები ვცხოვრობთ. ისინი მკვიდრი მამულაშვილები არიან, ჩვენ – გადმოსულები. ერთად 15-მდე კომლი ვიქნებით. შტოგვარები არ გვაქვს“.

ვეშაპიძე

1995 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 398 ვეშაპიძე (თბილისში – 137, საჩხერეში – 82, საგარეჯოში – 58) (სილაგაძე, თოთაძე, 1997). გვარის ფუძეა საკუთარ სახელად ქცეული ზღვის ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა. ამავე ძირისაა: ვეშაპელი, ვეშაპური (მაისურაძე, 1990, 66; მაღრაძე, 2006, 173). 2007 წლის მასალებით, ქვემო ხანდაკში ვეშაპიძეთა 12 კომლი ცხოვრობდა. შტოგვარების შესახებ ინფორმაცია არ შემონახულა.

წიფორი

ნასოფლარ წიფორის მოსახლეობას სოფ. გუდალეთის უხუცესობა მოესწრო. მათი ინფორმაციით, გადმოსახლებამდე 15-16 კომლი მაინც ცხოვრობდა. ზოგიერთი მათგანი ახსოვთ:

ფშავლიაანი – გოგოლაურები იყვნენ, ფშავიდან ჩამოსულები, ერთი ოჯახი. რესპ. ვ. ყველაშვილი: „გოგოლაური რცხილა და მამამისი წიფორის გაღმით ცხოვრობდნენ“.

შუშუნაანი – ნიკლაურები იყვნენ, ერთი ოჯახი. შუშუნა ერქვა მათ წინაპარს.

ბალიჩაანი – ნიკლაურები იყვნენ, ბალიჩა მათ წინაპარს ერქვა. ვ. ყველაშვილი: „აქეთ ცხოვრობდნენ, წიფორის ძირზე“.

ბეინაანი – ბექაურები, ბეინა ბექაურის შთამომავლები.

ჩოხლები – ჩოხელები.

N	გვარი	რაოდენობა	სოფლები						
			გუდალეთი (1)	ეზაგი (2)	თვალადი (3)	კავთისხევი (4)		ქვემო ჩოჩეთი (5)	ქვემო ხანდაკი (6)
						შუაუბანი (4ა)	ციხისუბანი (4ბ)		
1	აბუაშვილი	13						13	
2	აბულაძე	27		27					
3	ადამაშვილი	6							6
4	ალექსიძე	1	1						
5	არაქელოვი	5					4	1	
6	არაყიშვილი	3					3		
7	ასათიანი	1					1		
8	ასატუროვი	1							
9	ასლამაზაშვილი	1							
10	აფციაური	11				11			
11	აღაპიშვილი	5				5			
12	ბათლიძე	2				2			
13	ბარდაძე	19					19		
14	ბასიაშვილი	3					3		
15	ბაქრაძე	3							
16	ბედოიძე	1						1	
17	ბერიაშვილი	2					2		
18	ბერიკაშვილი	3					3		
19	ბერძენიშვილი	1							
20	ბექაური	14				14			
21	ბიტარიშვილი	3							
22	ბიჭიკაშვილი	3					3		
23	ბოჭოიძე	1							
24	ბულბულაშვილი	2							
25	ბურდული	1				1			
26	გაბინაშვილი	2							
27	გაბოძე	4					4		
28	გაზაშვილი	2							
29	გიორგაშვილი	1							
30	გოგიაშვილი	1							
31	გოდერძიშვილი	3					3		
32	გოცირიძე	1							

N	გვარი	რაოდენობა	სოფლები						
			(1)	(2)	(3)	(4)		(5)	(6)
						(4ა)	(4ბ)		
33	გურასპაშვილი	7			7				
34	დედანაშვილი	1				1			
35	დევსურაშვილი	6				6			
36	დემეტრაშვილი	1					1		
37	დოლიძე	1							
38	ვარაბიოვი	1				1			
39	ვაშაკიძე	1							
40	ვეშაპიძე	12							12
41	ვეფხვაძე	1				1			
42	ვოლსკი	1							
43	ზავრადაშვილი	25				25			
44	ზაქარაშვილი	10				2	8		
45	ზაქარიაშვილი	1			1				
46	თაბაგარი	1					1		
47	თაგვიაშვილი	35	30			2	1		
48	თაქთაქიშვილი	1							
49	თვაური	1							
50	თოიძე	1							
51	თხინვალელი	19					19		
52	იაშვილი	5		4		1			
53	იორდანიძე	4			3		1		
54	კავთიაშვილი	13			13				
55	კაკალაშვილი	18							18
56	კანდელაკი	1				1			
57	კაციაშვილი	15			13	2			
58	კახურაშვილი	3						3	
59	კასრაძე	3					3		
60	კელაპტრიშვილი	14				14			
61	კერესელიძე	9		9					
62	კესიაშვილი	9				9			
63	კობაიძე	7							
64	კობიაშვილი	1							
65	კოტეტიშვილი	6					6		
66	კოშაძე	1							
67	კუჭიაშვილი	2							
68	ლაშქარაშვილი	10							10
69	ლეკიშვილი	3							
70	ლომიძე	1							
71	მაზანაშვილი	2							2
72	მაზმანიანი	1					1		

N	გვარი	რაოდენობა	სოფლები						
			(1)	(2)	(3)	(4)		(5)	(6)
						(4ა)	(4ბ)		
73	მაზმიშვილი	5					5		
74	მაისურაძე	1							
75	მამულაშვილი	13							13
76	მამასახლისოვი	1							
77	მარჯანიძე	2							
78	მაღალაშვილი	4			2		2		
79	მაჭავარიანი	1							
80	მეზვრიშვილი	2							
81	მელიქიშვილი	1				1			
82	მერებაშვილი	3							
83	მესხი	1							
84	მექანარიშვილი	12			10		2		
85	მეცხვარიშვილი	1		1					
86	მიგრიაული	2				2			
87	მირზაშვილი	1							
88	მიხაკიშვილი	5						5	
89	მოდრეკილაძე	27	19						
90	მონასელიძე	24				24			
91	მორჩილაძე	15				15			
92	მურჯიკნელი	1							
93	მუყასაშვილი	2						2	
94	მუხიგულაშვილი	1					1		
95	მღებრიშვილი	2							2
96	მჭედლიშვილი	2							
97	მაჭარაშვილი	2							
98	ნავროზაშვილი	2							
99	ნათობიძე	2							
100	ნატბელაძე	1							
101	ნაცვლიშვილი	23			23				
102	ნახუცრიშვილი	4							
103	ნონიკაშვილი	35						35	
104	ნოქარაშვილი	7			7				
105	ოთიაშვილი	15		15					
106	ონოფრიშვილი	10			9		1		
107	პაპიაშილი	3				3			
108	პასტურმოვი	1							
109	პეპანაშვილი	3					3		
110	ჟიჟილაშვილი	5					5		
111	რაზმაძე	2				1	1		

N	გვარი	რაოდენობა	სოფლები						
			(1)	(2)	(3)	(4)		(5)	(6)
						(4ა)	(4ბ)		
112	რამიშვილი	2			2				
113	რევაზიშვილი	1							
114	რეხვიაშვილი	1							
115	რუხაძე	1							
116	საათაშვილი	1						1	
117	სამნუაშვილი	1			1				
118	სანამიანი	4						4	
119	სანებლიძე	1							
120	სახიაშვილი	8						8	
121	სესიკელაშვილი	4					4		
122	სიდამონიძე	3			3				
123	სიმონიშვილი	7							7
124	სოზიაშვილი	1							
125	სოლოღაშვილი	8						8	
126	ტერტერაშვილი	1							
127	ტორუაშვილი	1							
128	ტუმურაშვილი	3							
129	უმეკაშვილი	3					3		
130	უსანეთაშვილი	3							
131	უტარაშვილი	1				1			
132	ფარსალაშვილი	11							11
133	ფულაძე	2	2						
134	ქავთარაძე	7				7			
135	ქათამაშვილი	9							9
136	ქარსელაძე	5				5			
137	ქასრაძე	4					4		
138	ქებაძე	2					2		
139	ქეშელაშვილი	3			3				
140	ქლიავიძე	1				1			
141	ქვრივიშვილი	2					2		
142	ქიტუაშვილი	1							
143	ქორთიაშვილი	1							
144	ქსოვრელი	100						100	
145	ქურდოვანიძე	2							
146	ქურციკიძე	1							
147	ღვინიაშვილი	2							
148	ყველაშვილი	3	3						
149	შაველაშვილი	2				2			
150	შაშიშვილი	1							

N	გვარი	რაოდენობა	სოფლები						
			(1)	(2)	(3)	(4)		(5)	(6)
						(4ა)	(4ბ)		
151	შალიტაური	4			2		2		
152	შატაიძე	4					4		
153	შატბერაშვილი	2			2				
154	შაყულაშვილი	25				25			
155	შეშაბერიძე	16			16				
156	ჩაჩანიძე	4					4		
157	ჩოგოიძე	1			1				
158	ჩიტაშვილი	6		6					
159	ჩიხლაძე	1							
160	ჩოქური	1							
161	ჩოხელი	3							
162	ჩხენკელი	1	1						
163	ცალქალამანიძე	10			10				
164	ცხვედაძე	1			1				
165	ძამუკაშვილი	11			11				
166	ძიძიგური	1							
167	წივილაძე	19		19					
168	წიკლაური	24	7						
169	წიტაიშვილი	1				1			
170	ჭაობაშვილი	4			4				
171	ჭელიძე	1							
172	ჭინჭარაული	2				2			
173	ჭკადუა	1							
174	ჭყოიძე	1				1			
175	ხარატიშვილი	3			3				
176	ხარგალაძე	2							
177	ხიზანიშვილი	18					18		
178	ხმალაძე	12							
179	ხოკერაშვილი	25	19			6			
180	ხომასურიძე	2			1	1			
181	ხუციშვილი	9						9	
182	ჯავრიშვილი	1							
183	ჯანაშვილი	2							
184	ჯანელიძე	2							2
185	ჯანჯალაშვილი	28					28		
186	ჯიმშერაშვილი	4							

ბ) ინდივიდუალური მეტსახელები

აჩაინი – დავითი ერქვა ნამდვილი სახელი, აჩაინი დაარქვეს, რადგან ახალგაზრდობაში თავზეხელაღებული ყოფილა (რუს. отчаянный „თავზე ხელაღებული; შეუპოვარი; საძაგელი, უგვანო“, რუსულ-ქართული ლექს., 1983).

აჭყაპუნე – კაცი თავსხმა წვიმაში მიდიოდა და გუბეებს თავს არ არიდებდა, ფეხებს მიაჭყაპუნებდა, ამიტომ შეარქვეს აჭყაპუნე.

ბაკლაშკები – ორ ტანდაბალ, ჩაფსკვნილ ძმას მოიხსენიებდნენ ამ მეტსახელით (რუს. баклажка „მომცრო ზომის ლითონის ან ხის საცობიანი ჭურჭელი“, რუსულ-ქართული ლექს., 1983).

ბატონა – მეწისქვილე ესტატე ქასრაძეს შეარქვეს პატარაობისას. რესპ.: „პირველი შვილიშვილი იყო და, როგორც პატარას, „ბატონი ხარ, ბატონი ხარო“ და, ყველაფერს უსრულებდნენ“.

ბაქო – სანდრო ძამუკაშვილს აღმოსავლური სიმღერები ჰყვარებია და შეარქვეს ბაქო.

ბაღდო – გრიგოლ კერესელიძე ლამაზი კაცი ყოფილა. სიდედრ-სიმამრს პირველად რომ უნახავს, უთქვამს, ბაღდოს ჰგავსო (ბაღდო ვიღაც ლამაზ კაცს რქმევია). მას შემდეგ ბაღდოს ეძახდნენ.

ბაცა – რესპ.: „აქ იყო სამი ვასაი. რომ დაიძახებდი: ვასა! სამივე მოდიოდა. გასარჩევად ერთ-ერთს დაარქვეს ბაცა. ეს სახელი, ალბათ, იმიტომაც შეურჩიეს, რომ, ბავშვობაში როცა ეკითხებოდნენ, რა გქვიაო, ვასას მაგივრად უპასუხებდა ბაცას“.

ბაჭია – გიორგი შაყულაშვილს პატარაობისას ჰქონია საყელოზე კურდღლის ბეწვმოვლებული პალტო და შეარქვეს ბაჭია.

ბაჯიჯო – პატარაობისას მიდიოდა და თავისთვის მიიმღეროდა: „ჭიდაობენ ორნი, ბაჯიჯო და ღორი“, ბაღლინჯოს ვერ გამოთქვამდა. მეზობელმა გაიგო და ბაჯიჯო დაარქვა.

ბრანძი – ბატონი კავთიაშვილის მეტსახელია. თურმე ხშირად იბღინძებოდა.

ბუჭიტა – ცალთვალა იყო, ცალი თვალი გაფუჭებული ჰქონდა, მოჭუტული. რესპონდენტის ვარაუდით, სწორედ ამიტომ შეარქვეს ბუჭიტა.

გაიპარა // მელა – აკვნიდან ამომძვრალა და გაპარულა. ბავშვი რომ აკვანში ვერ ნახა, შეშინებულმა დედამ ძებნა დაიწყო და ბოლოს მეზობელთან მიაგნო. მელასავით გაიპარაო და ასეც შეარქვეს – ზოგი გაიპარას ეძახის და ზოგი მელას.

დიდამირანა – ტანად დიდი კაცი იყო. სოფელში იყო მეორე ამირანაც, ტანმორჩილი. ერთმანეთისგან გასარჩევად შეარქვეს დიდამირანა და პატარა ამირანა. პატარა ამირანას კუბლირასაც ეძახდნენ.

დიდგიგა – სოფელში იყო მეორე გიგაც, ასაკით ბევრად უმცროსი. რესპ.: „დიდგიგას და პატარა გიგას ორი-სამი თაობა აშორებდათ, მაგრამ დიდგაანი შტოგვარი იყო და ამიტომ დიდი გიგა დიდხანს შემორჩა ხსოვნას“.

დიდყურა – დიდი ყურები ჰქონდა.

დიდშაქარა – შუაუბანში ერთმანეთის სიახლოვეს ორი შაქარა (შაქრო) შაყულაშვილი ცხოვრობდა. ერთმანეთისგან გასარჩევად დაარქვეს დიდშაქარა და პატარა შაქარა. ერთი ვერსიით, დიდშაქარა უფრო შეძლებული კაცი იყო, მეორე ვერსიით – უფრო მაღალი.

დუდუკი – რესპ.: „ნახირში დადიოდა, დუდუკი ეჭირა, იმით გამოუდიოდა ნახირი“.

ვისოკი ოთარა – ძალიან მაღალი კაცია (რუს. высокий „მაღალი“).

ზოლოტო – კარგად ჭიდაობდა ბავშვობაში და მეზობელმა, სლიპიტონამ, ზოლოტო (რუს. золото „ოქრო“) შეარქვა.

თაქლა – რესპ.: „სქელი, ფარფაშა კაცი იყო“. შდრ. ქართლური დიალექტის ლექსიკონში თაქლა განმარტებულია როგორც „მოალერსე“ (დიალექ. ლექს., 1981, 220).

თუგშვლიპე – რესპ. ჰ. ნიტაიშვილი: „პაპაჩემს ცხენების „ტაჩკა“ (რუს. тачка „მაზიდა“, რუსულ-ქართული ლექს., 1983) ჰქონდა, რომლითაც დადიოდა. ბიჭები აწვალებდნენ ხოლმე – ეს ხომ კოფოზე იჯდა, წინ, და ბავშვები გვერდიდან შეახტებოდნენ ამ „ტაჩკას“. ეს გაბრაზებული ეუბნებოდა: „ჩადი, ბიჭო, თორემ, თუ გშვლიპე სახრე!..“ და შეერქვა თუგშვლიპე“.

კენერა – მეტსახელია ხომასურიძეების წინაპარი ქალისა, რომელიც ხის კენწეროებზე ადიოდა.

კირკიზა – ბავშვობაში ნკიპურტი ჩაურტყამთ და არ სტკენია, კირკიტივით თავი აქვსო და შეერქვა კირკიზა. შემდეგ შვილზე გადავიდა სახელი და მასაც კირკიზას ეძახიან.

კიჭა – რამდენიმე ადამიანის მეტსახელია. რესპონდენტებმა ზუსტი მოტივაცია არ იციან, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ყველა შემთხვევაში კბილის თავისებურებასთან იქნებოდა დაკავშირებული.

კლუჩი – მძღოლი იყო და მეტსახელად დაარქვეს კლუჩი (რუს. гаечный ключ „ქანჩი, ქანჩის გასაღები“, რუსულ-ქართული ლექს., 1983).

კოსალა – კოსალა მეცხვარე კაცი იყო, ვასო ერქვა. ჩხუბი ჰყვარებია და სულ თავშეხვეული დადიოდა. რესპონდენტის მოსაზრებით, სწორედ ამიტომ დაერქვა კოსალა.

კოჭლი მიტა – მეწისქვილე დიმიტრი კელაპტრიშვილს ეძახდნენ, რადგან კოჭლი იყო.

კუბღირა – რესპ.: „პატარა ამირანას მეორე მეტსახელია. მოუსვენარი კაცი იყო და ამიტომ ვეძახდით კუბღირას. შეიძლება იბღვირებოდა კიდეც“.

მაჩუჩი – რესპ.: „პატარა, ტანმორჩილი კაცია, მაჩუჩი პატარას ნიშნავს“. ქართლური დიალექტის ლექსიკონის მიხედვით, მაჩუჩა „უშნოს, მახინჯს“ ნიშნავს: „მაჩუჩა ადამიანიც შეიძლება იყოს, ქათამიცა, ღორიცა, თხაცა (კავთ.)“ (დიალექტ. ლექს., 1981, 276).

მელა – იხ. გაიპარა.

მზეწვუკა – მზეწვია პატარა ლამაზი ჩიტია. ვ. ყველაშვილმა თავის პატარა შვილიშვილს შეარქვა მზეწვუკა, რადგან ისიც პანაწინა და ლამაზია.

მოზვერა მღვდელი – შუაუბანში ერთ-ერთ მღვდელს მოზვერივით სქელი კისერი ჰქონია და შეარქვეს მოზვერა მღვდელი.

მუსა – ტატუას (ესტატეს) მუსას ეძახდნენ, რადგან შავგვრემანი იყო და თათარს ნააგავდა.

მუსო – მჭედელ ციკკვერას (იხ. ციკკვერა) შვილიც მჭედელი იყო. პრიმიტიული მოწყობილობა ჰქონიათ ცეცხლის გასაჩაღებლად. როცა შვილი მამას ეხმარებოდა და ამ მოწყობილობით ცეცხლს უბერავდა, საბჭოთა მთავრობით უკმაყოფილო მამა გასძახოდა: „დაუბერე, მუსოლინ, დაუბერე!“, თითქოს ბენიტო მუსოლინის, იტალიის ფაშისტ დიქტატორს, მოუწოდებდა. ამიტომ ციკკვერას შვილს შეარქვეს მუსო (← მუსოლინი).

ოჭია – სანდრო ერქვა, მაგრამ ამ მეტსახელით მოიხსენიებდნენ. რესპონდენტთათვის მოტივაცია უცნობია.

ოხერკოტე – კოტე მოჯამაგირე იყო შუაუბნის მონასელიაანთ უბანში. ძალიან მოხერხებული, ყოჩაღი, ცოცხალი კაცი ყოფილა და დაარქვეს ოხერკოტე.

პაიჭა – რესპონდენტთათვის მეტსახელის მოტივაცია უცნობია.

პატარა ამირანა – იხ. დიდამირანა.

პატარა გიგა – იხ. დიდგიგა.

პატარა რეიგანა – იხ. რეიგანა.

პანო – ბავშვობიდან ასაკთან შედარებით პატარა ტანის იყო.

პრანჭია დათო – სულ გაპრანჭული დადიოდა.

რეიგანა – დაჟინებული ლაპარაკი სცოდნია და მამამისს უთქვამს: „რა იყო, შენც რეიგანი ხომ არ ხარ, რა ჩაციება იციო“. შეერქვა რეიგანა. რესპ.: „მის შვილსაც გადმოჰყვა მამის სახელი – პატარა რეიგანას ვეძახით, თუმცა მას ჩაციება, დაჟინება არ სჩვევია. საგვარეულო სახელი გამოდგა“.

სანდალა – ფეხის თითები ჰქონდა ერთიმეორეზე გადადებული, გადაჯვარედინებული, ამიტომ ნორმალურ ფეხსაცმელს ვერ იცვამდა, მხოლოდ სანდლების ჩაცმა შეეძლო, ან ფეხსაცმელს გაჭრიდა, რომ ჩაეცვა.

ტოლბა – მაღალი კაცი ყოფილა, ამიტომ შეარქვეს ტოლბა ← სტოლბა (რუს. столб „ბოძი, სვეტი“).

ტოლბუხინე // ტოლმუხინე – ძალიან ჰგავდა საბჭოთა კავშირის მარშალს, ტოლბუხინს.

ტოტყი – ტანად დიდი მოსული კაცი ყოფილა. ქართლური დიალექტის ლექსიკონის მიხედვით, ტოტყი // ტატყი არის „დიდი, ტლანქი (ხელ-ფეხი) (კავთ.)“ (დიალექტ. ლექს., 1981, 388).

ტუდელა – კურდღელი გაექცა პატარაობისას. კურდღელი ვერ თქვა და ტუდელი დაიძახა.

უნდა – პატარა რომ ყოფილა, დედამისს ფლავი გაუკეთებია. ფლავს რომ უნაწილებდა შვილებს, უკითხავს: „ვანოს ფლავი უნდაო?“ ვანოს უპასუხია: „უნდა, უნდაო!“ და დაერქვა უნდა.

უჟია – რესპონდენტის ვარაუდით, ამ პიროვნებას მეტსახელი ჯარიდან ჩამოჰყვა. მერე ცოლსაც უჟიას ეძახდნენ, უჟიაანთ ნინას.

ფაცანა – გლახო თაგვიაშვილი პატარა დაიბადა, მერეც ასაკთან შედარებით დაბალი იყო და დაარქვეს ფაცანა ← პაცანა (რუს. пацан „პატარა ბიჭი, ბიჭუნა“, რუსულ-ქართული ლექს., 1983).

ფუა – ერთი ინფორმაციით, რომ ეძინა, კი არ ხვრინავდა, ფშვინავდა, „ფუუუ“-ს იძახდა, სხვა ინფორმაციით, ფუა (სიმინდის ფქვილის ტკბილი ფაფა) უყვარდა.

ქარუმა – იაგორა ტუშურაშვილს ეძახდნენ, რადგან ვაჭარი იყო.

ქუცი მიხა – ღორებს მწყემსავდა და შეერქვა ქუცი მიხა.

ღალღა – ალექსანდრე მოდრეკილაძის მეტსახელია. რესპ.: „ღალღა ფრინველია, დაფრინავს ძალიან ნელ-ნელა, დაბლა, მაგრამ ამ კაცს რატომ ეძახდნენ ღალღას, არ ვიცი“.

შალვარა – შალვა ერქვა, მეგობარმა ხუმრობით დაუძახა შალვარა (შარვალა, შარვალის ანალოგიით) და მას მერე ასე ეძახდნენ.

შანტიკლორი – რესპ.: „შანტიკლორს იმიტომ ვეძახდით, რომ ძალიან ლამაზი კაცი იყო, წერწეტა, კარგი ტანით. ადრე ფილმი გადიოდა „შანტიკლორის დედოფალი“, იქიდან იყო ეს სახელი გადმოლებული“ (იგულისხმება ფილმი „შანტაკლერის დედოფალი“. „შანტაკლერი“ კაბარეს სახელწოდებაა, მაგრამ, როგორც ჩანს, დამკვიდრდა „ლამაზი კაცის“ მნიშვნელობით, თან გარკვეული ფორმაცვალებით).

ჩაბალა – რესპ.: „ჩაბალა თურმე ნიშნავდა პატარას, შესაძლებელია დიალექტური ფორმა იყოს. ბებო ხილს უყოფდა შვილებს და უთქვამს, ეს ჩემს ჩაბალასო. მაგის მერე მამაჩემს დაერქვა ჩაბალა“.

ჩათალა – რესპ.: „ბავშვობისას თამაშობდნენ და ამისი ბიძაშვილი თლიდა ხესა, ვერ ასწრებდა და ეს აჩქარებდა: „ჩათალე, ჩათალეო!“. დეერქვა ჩათალა“.

ჩეკია – ადრე ჩეკისტი ყოფილა (მერე მეცხვარე გახდა).

ჩიგოლა – პატარა ტანის კაცია და ჩიგოლას, მოლაღურის მსგავს, მაგრამ პატარა, ჭრელ ფრინველს, მიამსგავსეს.

ჩირია – ნოდარი ერქვა, მაგრამ ჩირია დაარქვეს, რადგან გამხდარი, ხმელი კაცი იყო.

ჩიხალა – რესპ.: „მგონი, პირველ მსოფლიო ომში იყო და იქ დაარქვეს. ალბათ ხშირად აცემინებდა“ (რუს. чиханье „ცხვირის [და]ცემინება“, რუსულ-ქართული ლექს., 1983).

ჩიხტიკატო – რესპ.: „აზნაურული წარმომავლობის ქალი იყო და ჩიხტიკოპს ატარებდა. რევოლუცია რომ მოხდა, მერე უცნაური იყო ხალხისთვის ძველებური ტანსაცმლითა და ჩიხტიკოპით სიარული და შეარქვეს ჩიხტიკატო“.

ჩქიფა – ილა ზაქარაშვილი მეწისქვილე იყო. რესპ.: „ჩქიფას იმიტომ ეძახდნენ, რომ, როგორც ყველა მეწისქვილეს, ძალიან უყვარდა ტყუილების მოყოლა. ჩქიფა ალბათ მეტყუილეს ნიშნავს“. დიალექტური ლექსიკონის მიხედვით, ჩქიფა ნიშნავს „მომცროს, პატარას“: ჩქიფა დანა, ჩქიფა მაკრატელი (დიალექტ. ლექს., 1981, 479). შესაძლებელია, ჩქიფა მომცრო ტანის კაცი იყო.

ცანცარა – რესპ.: „პატარა კაცი იყო, ქანქურა“.

ციკვერა – მჭედელი იყო. ერთი ვერსიით, პატარაობისას, მჭედლობას რომ სწავლობდა, ციკად კვერავდა. რესპ.: „გმოკვერვას ვეძახით გამოჭედვას. ცხელი უნდა გამოკვერო, ეს კი ბავშვობაში ციკად კვერავდა. მერე გამოვიდა მაგარი მჭედელი, ისე რომ სამართებლებსაც კი აკეთებდა. გიორგი ერქვა“. მეორე

ვერსიით, ძუნწი კაცი იყო, ხელიდან ვერაფერს გააგდებინებდი. რესპონდენტები აღნიშნავენ მის დაუმორჩილებლობასაც: „ისე გაატარა თავისი ცხოვრება, ერთი დღე არ უმუშავია კოლმეურნეობის სასარგებლოდ და აწიოკებდნენ: წაართმევდნენ ყველაფერს, ეს ისევ მოიპარავდა. სულ ასე აკეთებდა. ერთი სიტყვით, არ დაემორჩლა აბსოლუტურად“.

წარბა – შეტრუსული წარბები ჰქონია.

წვერა – რესპონდენტთა ვარაუდით, მეტსახელი გრძელი წვერის გამო შეერქვა.

წითელწვერა გიორგი – მეტსახელი ჟღალი, წითელი, წვერის გამო შეარქვეს.

წიპროა – წიპრო ზაქარა (შაქრო) მოდრეკილაძის მეტსახელი იყო. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წიპრია, ნიპრანა განმარტებულია როგორც „ჭივჭავი“ (ქეგლი, VIII). შდრ.: იოსებ გრიშაშვილს „ქალაქურ ლექსიკონში“ შეტანილი აქვს სახელი ნიპრია: „მეტი სახელია ჩვენს უბანში: „წვიმავ, დაწვიმე, დაწვიმე, წიპრია არის ლხინშია“ (გრიშაშვილი, 1997).

წიტა მიშა – რესპ.: „შეიძლება წიტები უყვარდა. წიტებს ვეძახით, როდესაც ჩურჩხელებს ამოვავლებთ, ქვემოთ რომ ჩამოიწვეთება პატარა, იმას“. ქართლურის დიალექტური ლექსიკონის მიხედვით, წიტი არის: 1. ახლადამოვლებული ჩურჩხელის ნაღვენთი თათარა; 2. შინაური ფრინველის სენი ერთგვარი. ხოლო წიტა არის „დანაობის ილეთი ერთგვარი. ჯერ გულა, მერე ზურგა, მერე წიტა, მერე მუშტა, მერე ორთითა, მერე კალამა“ (დიალექტ. ლექს., 1981, 502).

წუწნელა – სულ თითებს იწუწნიდა ბავშვობაში.

ჭანჭურა – ძალიან მაღალი კაცი ყოფილა. რესპ.: „ჭანჭურის კიბესაც ეძახიან მაღალ კაცს“.

ჭიპჭია – რესპონდენტის ვარაუდით, იმიტომ ეძახდნენ ჭიპჭიას, რომ პატარა ტანის კაცი იყო.

ჭიტალა – სულ თვალებს აჭყეტდა.

ჭუკა – რესპ.: „პაპას ეძახდნენ ჭუკას. სულ თეთრ ჩოხა-ახალუხში იმოსებოდა, მაგარი კაცი ყოფილა, მაგრამ შეიძლება მალე თვრებოდა, ჭუკდებოდა“.

ხვლიკი – რესპ.: „ხვლიკი მიხას ეძახდნენ. ცოტა ისეთი კაცი ყოფილა, კაციც ჰყოლია მოკლული“.

ხორველა – დათა ერქვა, მაგრამ ხორველობის დროს გაჩნდა და ხორველა დაარქვეს.

ჯადო გოგია – რესპ.: „რომ მოგეკვრებოდა რაღაც საქმეზე, არ მოგშორდებოდა ჯადოსავით“.

ჯღანა – რესპ.: „ჩოფურა სახე ჰქონდა, ნაყვავილარი, დაკენკილი, ცხვირიც ძალიან პატარა ჰქონდა. მოკლედ, შეუხედავი კაცი იყო და ჯღანა შეარქვეს“.

მეტსახელები, რომელთა სემანტიკა და დარქმევის მოტივი რესპონდენტთათვის უცნობია:

ბრაცო, კიკოლა, კიტიბა, კიჭანა, კრიჭინი, კურდღელა, ოდეგა, პოხრო (კავთისხეველი მოჭდავის, ნიკოლოზ პაპიაშვილის, მეტსახელი იყო. ამ მეტსახელით იცნობდა საზოგადოებაც), **სლიპიტონა, ტატალა, ტოტოლა, ტუტლუკი, შიგთა, ჩიხო, ძამა, წუნა, ჭაპე, ჭიყა, ხახვია, ჯაგა, ჯუღია.**

ზოონიმები:

ძროხის სახელები: თაფლო (თუ თაფლისფერია), **თებრა // თებროლე** (თუ თებერვალში გაჩნდა), **მარტია** (თუ მარტში გაჩნდა), **მაისა** (თუ მაისში გაჩნდა), **ნიშა** (თუ ნიშანი აქვს თავზე), **ფაქიზო, ლამაზო, შუშანა, მაყვალა.**

ძაღლის სახელები: ბობრია // ბობრიკა (რესპ.: „თუ ძაღლი თეთრია, ბობრიას ვარქმევთ, ფუნჩულას, თეთრს ნიშნავს“); **ბუბუ** (რესპ.: „ბავშვმა დაარქვა, რადგან „ნანუკას შოუში“ იყო ძაღლი ბუბუ“); **კურკა და პაწია** (ძალიან პატარა ძაღლები არიან); **ჯილდა** (რესპ.: „დედალი ძაღლია, თან ლამაზი, ამიტომ ჯილდა დავარქვი“); **ქედანა** (რესპ.: „კარგი ძაღლია, მეცხვარეა, ქედანივით არის“).

თხის სახელები: ბარბარე, ლამაზო, პელო (რესპ.: „პეპელას ჰგავდა. ძალიან ლამაზი თხა იყო, დახვეული თმები ჰქონდა“).

კამეჩის სახელები: ლომა, მერცხალა (თუ შავია).

ხბოს სახელი: ცელქო (რესპ.: „ძალიან ცელქი ხბო იყო. ერხელ ბოძზე ვაბამდი თოკით, შემომიარა ამ ცელქობამ და მიმაბა ამ ბოძზე. მერე ვიღაცამ გამოიარა და შემოაბრუნა ისევ და გამიშვა“).

ცხენის სახელები: ქორა (ქორივით დაფრინავს), **ნიშა** (შუბლზე ნიშანი აქვს).

კავთისხევის სახალხო მთქმელები



გიორგი მაღალაშვილი

კავთისხევის სახალხო მთქმელი გიორგი მაღალაშვილი (89 წ.) ცხოვრობს სოფ. თვალადში. არის მრავალი ლექსის ავტორი. 2013 წელს გამოსცა კრებული „დამაკვირდი“.

ჰეი, ქსილისო, ქსილისო!

შენ, ჩვენო მთაო, მაღალო, ნაქებო არა ერთისავ,
განუყოფელო ნაწილო სამხრეთის მთიანეთისავ!
შენს გულზედ ნიავი დაქრის, ბარს როცა ხუთავს ივლისი,
ვინ იყო შენი ნათლია, რატომ დაგარქვა ქსილისი?

ჰეი, ქსილისო, ქსილისო, თავ-პირი ჩამოგტირისო,
ვინც შენ სახელი დაგარქვა, ის უკვე აღარ ყვირისო.
ახლა ჩვენა ვართ მოწმენი შენი ჭირის და ლხინისო,
გარს გახვევია სოფლები, დედა ხარ მრავალ შვილისო.

ირგვლივ დარაჯად გიდგანან დიდ ღმერთის სალოცავები,
ქვათახევ-მარიამისა, თავკავთა, სხვადასხვანები,
მარცხნივ კლდეკარი გდარაჯობს თავისი ელიქარითა,
მარჯვნივ მაღალთა კოშკები, წალკოტით, ყვავილნარითა.

შენ ქართლის სავსე ამბარო ბალახითა და ცვარითა,
მწყემსისთვის მადის მომგვრელო, ნაქებო ცივი წყალითა,
ზამთარში თოვლის შემნახო, ზაფხულში გრილი ქარისა,
დღედაღამ სხივი დაგნათის მცხუნვარე მზის და მთვარისა.

ჭექა-ქუხილის დამლეწო, შემქმნელო ნიაღვარისა,
კავთურის ამღელვებელო, ხეც რომ მოგაქვს და ქვანიცა,
ბარში საჩუქრად აგზავნი ნამსა და წყალსა მდინარსა,
ველ-მინდორს რწყავ და აღვიძებ საღათას ძილით მძინარსა.

რადგანაც სიკეთეს შვრები, ერთ რამესაც გთხოვ, ქსილისო:
ტყეც შეუნახე სოფელსა, ოცნება მრავალ შვილისო!

ჩაიწერე გუნებაში

შენ იმდენად ბრიყვი ჩანხარ,
არაფერი იცი რაო,
ჯერ ისწავლე ლაპარაკი,
მერე ჩემთან მოდი, ძმაო.
დღეს ცხოვრებას ეხუმრები,
სიმართლისა არ გაქვს ნიჭი,
სწავლა-განათლება გინდა,
რომ დაირქვა კარგი ბიჭი.
ბოროტება უნდა ძლიო,
სიკეთისკენ გადიხარო,
რომ არავინ გითხრას არსად,
ცოცხალი რად დადიხარო.
კაცი ერთხელ იბადება,
ერთხელ კვდება ცხოვრებაში.
აქ მეორედ აღარ მოვალთ,
ჩაიწერე გონებაში!
გაჭირვებას გაუძელი,
სიმდიდრემ არ გაგაგიჟოს,
მართალ ხალხში ფრთხილად იყავ,
ფეხი არვინ დაგაბიჯოს!

რასაცა გასცემ, შენია

სუნთქვა სიცოცხლეს გვიგრძელებს,
ცხოვრება – ჭკუა-გონებას,
კარგი სახელი სჯობიან
მილიონების ქონებას.
ერთხელ მოსულხარ ამქვეყნად,
ერთხელ იხილე სამყარო,
მეორედ აღარ ელოდო,
მტერს იარაღი აჰყარო.
მინამ აქა ხარ, ეცადე,
მტერსაც მოუგო გული,
„რასაცა გასცემ, შენია,
რასც არა, დაკარგულია“.
როცა იქ წახვალ, შორეთში,
მიქელა მოგცემს ბილეთსა,
აქ დაუტოვებ სახელსა
იმ შენს დაჩეკილ შვილებსა.

შვილი და ცოლი იქ მელის

დავბერდი, ძილი გამიკრთა, დამაუძლურეს ფიქრებმა,
მუხლებში ძალა წამერთვა, თვალში სინათლე მიქრება,
აღარც თვალს მოსწონს სამყარო, აღარც გულს ელამუნება,
ენაც დაჩლუნგდა ხმალივით, თან მიღალატეს ყურებმა.
ახალგაზრდული ხალისის არ დარჩა ნატამალია,
მწვანეს და წითელს ვერ ვარჩევ, ეგ რაღა დასამალია,
სიკვდილის არ მეშინიან, ესეც ხომ გარდუვალია,
რომელ გზით მოვა მიქელა, იქით მიჭირავს თვალია.
ვცდილობ სუყველას ვაჯობო, არვისი გამყვეს ვალია,
არავინ მყავდეს ნაწყენი, არც კაცი და არც ქალია,
შვილი და ცოლი იქ მელის, ჩემკენ უჭირავთ თვალია,
მივალ და ჩავეხუტები, როგორც საღვინეს მთვრალია.

არც ტირილი, არც წუწუნი

არც ტირილი, არც წუწუნი,
ვაი არ დამიძახია,
ზოგს სიზმარში არ უნახავს,
რაც მე ცხადში მინახია,
სიმართლე და სიყვარული
საქმედ დამიჩემებია,
განწირული კაცისათვის
ხელი შემიშველებია.
რაც სიკეთე მითესია,
მოსავალიც ამიღია.

* * *

კაცის ბედი და იღბალი
მაღლა ზეცაში წერია,
ამიტომ ყოვლის შემძლენი
სიკვდილს ვერაფრით შველიან.
მე არ მინდოდა სიკვდილი,
მსურდა ამ ქვეყნად მეხარა,
არ შემიბრალა ბუნებამ,
სუდარა გადამაფარა.
ბევრი რამ ამ ცხოვრებისა
ჯერ მე არ გამეგებოდა,
ნუთუ სიცოცხლის დღეები
მე მეტი არ მერგებოდა?!
მშვიდობით, ჩემო მშობლებო,
ჩემო მამავ და დედაო!
მე თუ ეს ბედი მელოდა,
რად გამაჩნეთ, ნეტავო.
ვინც რჩებით, ღმერთმა გაცოცხლოთ,
მოგცეთ მრავალი წელია,
წუთისოფელი რო ჰქვიან,
სიკვდილიც არ საწყენია.

მიქელა წამეთომარა

მიქელა წამეთომარა, თვალი ჩამიკრა ძმურადა,
მკითხა: „ისურვებ ცხოვრებას ჩემს სამეფოში მდგმურადა?
იქ არც ფულები გჭირდება, არც ღვინო, არცა არაყი,
სუყველაფერი მუქთაა, უფასოდ ჰპარსავს დალაქი.
ექიმებიც კარგი გვყვანან, თუ აიტკივებ რამესა,
უფასოდ გიმკურნალებენ, არ ღებულობენ ქრთამებსა,
იქ სულ ქეიფში იქნები, შეხვდები წინაპარებსა,
ქურდის ხსენება არ არის, ღიას ტოვებენ კარებსა“.
მითხრა და მალე წავიდა, არ დაელოდა პასუხსა,
შემოგივლიო კიდევა, მერე თუ მომცემ დასტურსა.
მას მერე ვდგავარ და ვფიქრობ: კიდევ რომ შემომიაროს,
ვეტყვი, რომ არა მცალიან, ცოტა ხნით შემაგვიანოს.
შვილებმაც უნდა იცოდნენ, ჩემზედ არ ვადარდიანო,
ქვეყანა არ დაინგრევა, ცოტა რომ დავაგვიანო.
ხან ვრეცხავ, ხან ღილს ვაკერებ, ვამზადებ მწნილის ქილებსა,
ხან გზას გავყურებ ბეჩავი, ველი ჩემს შვილიშვილებსა,
მათ უნახავად არ მინდა გავყვე იმ გაბრიელასა,
მინამ არ ვნახავ ჩემ გვერდით ერთად შეკრებილს ყველასა.



გრიგოლ (გრიშა) თაგვიაშვილი

სახალხო მთქმელი გრიშა თაგვიაშვილი (85 წ.), საოცრად თბილი და სტუმართმოყვარე ადამიანი, ცხოვრობს სოფ. გუდალეთში.

გრიშას სიბერის ლექსი

სიბერე შემომეპარა, ველარ ვიცილებ წყეულსა,
მუხლები მამდუნებია, ველარ ერევა სხეულსა,
ხშირადა სკამზე ვისვენებ, დიდ შრომას გადაჩვეულსა.
სიბერე ძნელი ყოფილა, მოურჩენელი სენია
და ამ სენისა მკურნალი ჯერ ღმერთს არ გაუჩენია.
ყურთ სმენას აკლებს, თვალთ – ხედვას,
დღეც მოხუცისთვის ბნელია.
დააბეჩავებს საწყალსა, რა ძნელი მოსათმენია.

ამ ოხერმა სიბერემა რა ცოდო ნახა ჩემშია,
ჯოხი ხელთ ამაღებინა, თანაც მამხარა წელშია:
„დაიბჯინე და იარე, არ გადავარდე ხევშია!“

* * *

მე ჩემი კალო გავლეწე,
გადავაყენე ხარები,
სუფთა კაცი ვარ ყველგანა,
არავისი მაქვს ვალები.

ხანდიხან კამეჩებს ვაბამ,
ტყეშიაც გავიპარები,
მეუღლე კიბომ მომიკლა,
მარტუა დავიარები.

ერთად ვართ, ჩემ კამეჩებო,
ჩემ გუდალეთის ჭალაო,
მაინც მაქვს თქვენი იმედი,
სანამ მუხლში მაქვს ძალაო.

ჩემს თავს

კაცნი რომ დავიბადებით,
თან დაგვდევს წერა-მწერალი,
რა გზასაც დაგიწერავენ,
იმ გზით გავივლით ყველანი.
ზოგისა ბედნიერია,
ზოგს კი გატანჯავს ვერანი.
ეს ჩემი საქმეც ასეა:
შვილი ჩამიგდეს ციხეში,
ცოლი მიკვდება სახლშია.
დავდივარ დაღონებული,
ვეღარ გავდივარ ხალხშია.

გონებას ფიქრი მიტანჯავს,
გულს ცეცხლი სწვდება ძლიერი,
ამდენი შრომა-დარდითა
ხშირადაც დავალ მშიერი.
ვერც მეუღლე მოვარჩინე,
ვერ მივაღწიე მიზანსა.
მარტუა დავრჩი სახლშია,
განზე გავუდექ ხიზანსა.

თუმც გულჯავრიან დავდივარ,
ზოგ დროს კარგი მაქვს გუნება,
რომ მიყვარს ჩემი სოფლისა
წყალი, ჰაერი, ბუნება.
ტყეებში გავლა-გამოვლა,
დაღუღუნება ქედნისა,
ტაძარში პირჯვრის დასახვა,
სოფელზე გადმოყურება.

მე მიყვარს ჩემი სოფელი,
სახელად გუდალეთია,
სადაც ბავშვობა ვიგემე,
სადაც ავიდგი ფეხია.
თუ სხვა სოფლებზე გავცვალო,
მაშინ დამეცეს მეხია!

* * *

ვებრძვი და ვებრძვი მიწასა,
ხელში მიჭირავს თოხია,
ვიღლები, წამოვისვენებ,
ახლოს კი მიდგას ქოხია.
როდემდე უნდა ვებრძოლო
ამ დალოცვილსა მიწასა,
იქნება რამე მეშველოს,
ჩემს თავს ვუთხარი, გრიშასა:
„ახალგაზრდა აღარა ხარ,
წლოვანების ხარ, ბერიო,
ამის შემდეგა, იცოდე,
უნდა დათესო ქერიო.
თოხსა გვერზე მიაყუდებ და
პიზე მოგივა ფერიო!“
თოხი გვერდზე მივაყუდე,
ახლა ავიღე ცელიო.
იონჯის თიბვა, კაცებო,
ყოფილა ძაან ძნელიო.
გამომაცალა ძალ-ღონე და
მართლა აღარ მაქვს ფერიო.

* * *

დედაკაცი დამიბერდა,
ჩაიცვა თბილი წინდები.
მეუბნება:
„შენ ჩემთან ველარ დაწვები,
მე შენ აღარა მჭირდები!“
– „ოღონ ნუ გადაბრუნდები და
წითელ კაბასაც გპირდები!“.
მინდა რომ მალე ვუყიდო,
არ შავირცხვინო პირია.
მაღაზიებში არ არის,
ბაზარზე ძალზე ძვირია.
ვერა ვყიდულობ, რაღა ვქნა,
საქმე გამიხდა ჭირია,
გადამიკრუხდა საწყალი,
მას აქეთ ასე ვტირია.



ლუარსაბ კვიშინაძე

სახალხო მთქმელი ლუარსაბ კვიჟინაძე (87 წ.) დაიბადა და გაიზარდა ზემო იმერეთში, მაგრამ ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა კავთისხევში, რომელიც მშობლიური იმერეთივით შეიყვარა და მრავალი ლექსიც მიუძღვნა. 2007 წელს გამოსცა ლექსების კრებული „მე და ჩემი სოფელი“.

ჩემი კავთისხევი

თრიალეთის მთა, კუშტი, მრისხანე,
გაჰყურებს კავკასს, როგორც უფროს ძმას,
თითქოს შეშურსო მის სიდიადე,
დგას თავდახრილი და ვერ იღებს ხმას.

კავკასიონი მართლაც დიდია,
სახელგანთქმული ცათამბჯენებით,
დგას მყინვარწვერი და იალბუზი,
უშბა, თეთნულდი ყელმოღერებით.

თრიალეთის მთა სიმაღლით უთმობს
თავის უფროს ძმას, მუდამ თეთრწვერას,
თორემ სიდინჯით, თვის ისტორიით
არ ჩამორჩება უფროს ძმას – ქერას.

თრიალეთის მთა მარტო მთა არა,
ის ძეგლი არის ქართველთ დიდების,
იქ ხომ დავითმა დიდგორის ველზე
დახოცილ მტერთა დადგა ზვინები.

მარტო ის რად ღირს, რომ გადმოხედავ,
გადაიშლება წინ ქართლის ხედი,
თავს რომ დაჰყურებს თრიალეთის მთა
და უძლეველი ქსილისის ქედი.

თრიალეთის მთა, გულღია, ბრძენი,
ზვიგენივით წევს, ბორჯომს უწვდის ხელს,
ტყით დაფარული ორივე თხემი
დაულარია მდინარეთა ხევს.

ყველა ხევთაგანს, მდინარეს, ღელეს
იმ თავიდგანვე სახელი ერქვა:
თეძმის, ქსნისა და კავთურას ხევი,
მთის დაღარულ მკერდს ეკვრიან ერთად.

ამ ხევთა შორის თვის ისტორიით
გამოირჩევა კავთურას ხევი,
მის სათავესთან, მაღალ მთის წვერზე,
წამოჭიმულა სიმაგრე ძველი.

ამ ციხე-ტაძარს, ამაყს, გულზვიადს,
წმინდა გიორგი ხალხმა დაარქვა,
ამ ნანგრევებს და ამ წმინდა ადგილს
ამშენებელმა მიაგო აღთქმა.

ამ დღიდან, ხალხთა გადმოცემებით,
მლოცველებს ფარავს გიორგის კალთა,
ამიტომ მრევლთა ღვთიური სულით
ცნობილი არის ვით „მაღლა კავთა“.

სულ ცოტა ქვევით, სადაც მდინარეს,
ვით დაღლილს, ცოტა შეუსვენია,
მერე, როს ჯიქურ ქვევით დაეშვა,
იქ დარჩა ტევრი შეუმჩნევია.

დროთასვლამ ტევრი მინდვრით დაფარა,
ულამაზესი გახდა ალაგი,
ათასნლეულის მიღმა გიორგიმ
აქ ააშენა ტაძარ-ქალაქი.

არ ვიცი, როგორ, საიდან მოდის,
რამ გააცოცხლა ეს ქვა და ხევი,
ალბათ ამიტომ დაარქვეს წმინდა
დედის სახელი მას – „ქვათახევი“.

როს თავს დააღწევს კავთურა უფსკრულს,
გაინავარდებს მწყურვალ ველებზე,
მიუალერსებს ბაღებს, ნაოფლარს,
ზღაპარს უყვება განვლილ ხევებზე.

ამ გაშლილ ველზე დიდი ხნის წინათ
დასახლდა ხალხი სხვადასხვა მრწამსით,
სოფლის სახელი ხევის პატივით
კავთისხევია – ცხოვრების არსით.

სოფელს, ძველიძველს სოფელთა შორის,
ამშვენებს თვისი აწმყო-წარსული,
გამომზრდელია მრავალ ვაჟკაცის
და საამაყო ქალის, ასულის.

ამ დიდ სოფელში არის უბნები,
ოდესღაც ცალკე სოფლებად თქმული,
ყველას თავისი კოლორიტი აქვს,
ყველა ამაყობს თავის წარსულით.

ვის არ შეხვდებით ამ ვრცელ სოფელში:
რაჭველს, იმერელს, მთიულს და ქართლოსს,
ისინი ძველად, ძნელბედობის ჟამს,
გამოჰქცევიან მრისხანე ბატონს.

ყველა ისინი თბილად მიიღო
ქართლელმა კაცმა თავის მამულში,
მეგობრობით და ძმურად ცხოვრებით
ერთურთს გაუხსნენ სული და გული.

კავთისხევია ერთი მათგანი,
ვინ ქვეყნის დაცვა იკისრა ბედით,
თავგამეტებით მტერს რომ ებმოდნენ,
ამის დასტურად დგას ძლევის ქედი.

სოფელი მეტად ლამაზი არის
თავის ბაღებით, მიწით, მამულით,
კავთისხეველი გლეხი შრომობდა –
უყვარდა მიწა მამაპაპური.

ეს ასე იყო ათასწლეულით,
გლეხი ვერ თმობდა გოჯა მიწას და
მომხვდურ მტერს მუდამ აბჯრით ხვდებოდა,
შეაკვდებოდა ზვარად მისადა.

ახლა რა მოგდით, ხალხო კეთილო,
კავთისხეველნო, რად ჰყარეთ გული,
რად შეიძულეთ მიწა მშობელი,
გამომკვები და ჩამდგმელი სულის?!

მე გავიზარდე ივერთ მხარეში –
ზემოიმერთა ლამაზ კუთხეში,
მაგრამ ისევე მიყვარს კავთურა,
როგორც ბებერი საძალისხევი.

მე შევიყვარე ვით ახლობელნი,
კავთისხევი და კავთისხევლები,
ყველას ვეპყრობი პატივისცემით,
კეთილ მეზობლებს ხომ თავს ვეველები.

კავთისხეველნო, გთხოვთ მომისმინოთ,
გონზე მოხვიდეთ, სანამ დრო არის,
აღზარდეთ თქვენში კაცთ სიყვარული,
პატივი ეცით სალოცავს კარის.

რას შეგადარო

სადარო ბაღის ვარდისა,
ცის ცისარტყელა ლამაზო,
მომეცი ნება, დავწერო
და ლექსი შემოგთავაზო!

მითხარი, შენს სიყვარულით
როდემდის უნდა ვიტანჯო,
„ან შენ და ანდა სიკვდილი!“
სულ ასე უნდა ვიძახო?!

დღე თუ გავიდა, ვერ გნახე,
დამეკარგება გონია,
რამდენ ქალიშვილს შევხედავ,
ყველა მტანჯველი მგონია.

ბაღში რომ ალვას ვუმზერი,
მე შენი ტანი მგონია,
ასეთი მწარე ფიქრები
ჯერ არასოდეს მქონია.

ნაზო, ლამაზო

ნაზო, ლამაზო, კეკლუცო ვარდო,
სუროს სადარო, ბაღში ნაზარდო,
მომეცი ნება, სათქმელი
გულღიად შემოგთავაზო.

ბაღში რომ ალვას ვუმზერი,
მე შენი ტანი მგონია,
ასეთი თბილი შეგრძნება
ჯერ არასოდეს მქონია.

მე მორწმუნე ვარ, დიდ პატივსაც ვცემ
იესო ქრისტეს, შობა-აღდგომას,
როდესაც გიმზერ, მე შენში ვხედავ
ბროლისგან ნაძერწ ღვთიურ მადონას.

ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ,
ბევრიც მინახავს ქალები,
მაგრამ ასეთი ციმციმა
არ შემხვედრია თვალები.

ოი, ბაგენი, ბაგენი,
საკოცნელად რომ იწვიან,
ახლოს არ მიგიკარებენ,
თავისი ფასი იციან.

ყელი, კისერი, გულ-მკერდი
რა ხელმა ძერწა დარადა,
ნეტავი იმ ჯვარს მამთხვია,
ორ ვარდს რომ უდგას ფარადა.

მჯერა, არ გამიბრაზდები,
გულში ნადების გულღიად თქმაზე,
ბედნიერების ოქროს გვირგვინი
მალე მენახოს შენს კოხტა თავზე.

არ ვიცი, შენ ხარ იგი თუ არა

არ ვიცი, შენ ხარ იგი თუ არა,
რომელსაც ვეტრფი ესოდენ გრძნობით,
ვისზეც ვამყარებ მთელ ჩემს ცხოვრებას,
ვისაც ვეყრდნობი ესოდენ ნდობით.

ნუთუ შენა ხარ, ესრეთ უბრალოდ
დაგიკავშირდი, მოგენდო გული,
თითქოს დიდი ხნის ნაცნობნი ვიყოთ,
მთლად შეგიერთდა ეს ჩემი სული.

ეს თუ შენა ხარ, რომელთან მთელი
ცხოვრება უნდა გავატარო მე,
მაშ, გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე,
იგემე, ტურფავ, სიტკბო ჩემგან შენ!

თუ ასეთია ჩვენი ცხოვრება,
მავალი ვიყოთ ერთი ოცნებით,
დე, წინ კედელი დაინგრეს ყველა,
წინააღმდეგი ჩვენი გონების.

რა ვუყოთ მერე, ბევრი არა გვაქვს,
არ გაგიტეხოს მცირედმა გული,
ყველაფერს შევქმნით ჩვენივე შრომით,
მხოლოდ ძლიერი ვიყოთ ჩვენ სულით.

ეს უნდა მეთქვა შენთვის, ძვირფასო,
რომ არა იყოს ჩვენში მალული,
რათა არასდროს წინ არ დაგვიხვდეს
თვალთმაქცობა მარად ტანჯული.

მარტოობა

ოხ, რა ძნელია მარტოობა, სულშემხუთველი,
როს არავინ გყავს გვერდით მყოფი, ხმისა გამცემი,
გულს მოგაწვება მთელი დარდი, ფიქრი წარსულზე,
გადაგეშლება, როგორც სარკე, ფიქრთა ანძები.

როცა შემთხვევით მარტო დარჩი სახშლი თუ გარეთ,
გრძნობ მარტოობას, აუტანელ სიმძიმეს თავზე,
შენ წინ გაჩნდება ვით ეკრანი და შიგ უყურებ,
თვალწინ ჩაგირბენს ყველა ის, რაც გადაგხდა თავზე.

მართლა ძნელია, დროებით რომ დარჩე სულ მარტო,
ხალხს შეჩვეული ეტანები ტკბილ საუბრობას,
მაგრამ მძიმეა უაღრესად, როს ხალხთან ცხოვრობ
და გული მაინც ვერ ისვენებს, გრძნობ მარტოობას.

თითქოს ერთ წუთით გარდიქმნები, გახალისდები,
დასავიწყებლად ყველა ცუდის გსურს საუბარი,
მაგრამ როს ნახავ, არავინ გყავს მოპირდაპირე,
გადმოინთხევა ისევ დარდი გულს ნაგუბარი.

ეხ, გულო, გულო, რა ხარ აგრე უსაზღვრო, ფართო,
როგორ ითავსებ ამდენ რამეს, თუნდ დარდი მარტო,
როდემდის გინდა, რომ ატარო, ეს მძიმე ტვირთი,
როდემდის გინდა დარდი-ფიქრი ერთურთს უმატო.

უსაზღვრო ზღვები, ოკეანე, მდინარეები,
ვერ ეტევიან კალაპოტში, ისვრიან ზვირთებს,
შენ შეგიძლია დაიტიო იმდენი რამე,
რასაც ვერ შეძლებს მოითავსოს ზღვა და ხმელეთი.

არარა არის ეს ცხოვრება, წვალების მეტი,
დღეს ცოცხალი ხარ, ხვალ მოკვდები, აღარ იქნები,
ამიტომ კაცმა სიცოცხლეში კარგი აკეთე,
სიკვდილის შემდეგ მოგონებული ამით იქნები.

იცი, რა გითხრა?

გთხოვ, ცოტა ხნით დაივიწყო ფიქრები
და მისმინო მონას სიყვარულისა,
რომ გადმოგცე სურვილები დიდი ხნის,
მიზეზები პატიმრობის გულისა!

მე დიდი ხნით მაწუხებდა სევდები,
შენზე ფიქრი, სიყვარულის ლალებავ,
არ მაძლევდა არასდროს მოსვენებას,
ჩემო ვარდო, თვალის დახამხამებავ.

ბევრჯერ ვცადე, სიყვარული ამეხსნა,
მაგრამ ვერსად მოსეირნე ვერ გნახე,
შემხვდებოდი, გამიფრენდი ჩიტივით,
საოცნებო, შენ ჩემი სულის მახევ.

ის წუთები, რასაც დრემდე ვნატრობდი,
ახლა არის სინამდვილედ ქცეული,
ამით ერთხელ ჩემი გული იხსნება,
სიყვარულით დიდხანს დატყვევებული.

შენ მიყვარხარ, მეყვარები ბოლომდე,
ჩემო კოხტავ, ფუტკარივით ბზუილა,
გთხოვ, გამეცი ამ კითხვაზე პასუხი,
სულით, გულით გეყვარები თუ არა?

რესპონდენტები:

აბუაშვილი ზაზა (48 წ.)
აბუაშვილი ანასტასია (ციცო) (57 წ.)
არაქელოვი (ქვრივიშვილი) შალვა (80 წ.)
ასლამაზაშვილი ჯულიეტა (85 წ.)
აფციაური გოდერძი (56 წ.)
აღაპიშვილი ამბროსი (73 წ.)
ბარდაძე თამაზ
ბარდაძე დავით
ბიჭიკაშვილი ციცინო
გიგაური გივი (63 წ.)
ზავრადაშვილი თენგიზ (87 წ.)
ზაქარიაშვილი ოთარ (91 წ.)
თაგვიაშვილი გრიგოლ (გრიშა) (85 წ.)
თაგვიაშვილი ამირან (79 წ.)
თაგვიაშვილი ბიჭიკო (76 წ.)
თაგვიაშვილი გოჩა (დიმიტრი)
თხინვალელი ლედი (87 წ.)
კაციაშვილი ნასყიდა (77 წ.)
კელაპტრიშვილი ნათელა (ციმი)
კელაპტრიშვილი თამარ
კელაპტრიშვილი ნოდარ
კერესელიძე ნუგზარ
კერესელიძე თამაზ (62 წ.)
კვესიაშვილი (კახურაშვილი) ქეთევან (80 წ.)
კვესიაშვილი გია
კვესიაშვილი რამაზ
კვიჟინაძე ლუარსაბ (87 წ.)
კუკულაძე როლანდ
მამულაშვილი მურად (70 წ.)
მაღალაშვილი გოგია (89 წ.)
მელიქიშვილი იზა
მექანარიშვილი რომან (75 წ.)
მოდრეკილაძე (არაქელოვი) მზია (83 წ.)
მოდრეკილაძე ოლეგ (50 წ.)
მონასელიძე ამირან (84 წ.)
მორჩილაძე ნუკრი
ნაცვლიშვილი ბელა
ნაცვლიშვილი მალხაზ
ნონიკაშვილი ზაქარია (61 წ.)
ოთიაშვილი ვალერიან (65 წ.)
ოთიაშვილი მიხეილ (74 წ.)
პაპიაშვილი (ცალქალამანიძე) თამარ
ჟიჟილაშვილი ნოდარ
სესიკელაშვილი ბეჟან (76 წ.)
სოლოღაშვილი ჯემალ (74 წ.)
ქასრაძე ამირან (74 წ.)
ქსოვრელი იაკობ (84 წ.)
ყველაშვილი ვალერიან (80 წ.)
შაყულაშვილი გიორგი (88 წ.)
ძამუკაშვილი სიმონ
წივილაძე თენგიზ (68 წ.)
ხოკერაშვილი დონარი (65 წ.)
ხოკერაშვილი (კუდუხაშვილი) ქეთევან (74 წ.)
ხუციშვილი ნათელა (59 წ.)

გამოყენებული ლიტერატურა

ანდღულაძე, 1974 – ანდღულაძე ნ., გუდალეთი, „ძეგლის მეგობარი", N35, თბ.

არქიტექტ. ლექს. – არქიტექტურული ლექსიკონი, http://www.dzeglebi.ge/leqsikoni/leqsikoni-l.html.

ახუაშვილი, 2005 – ახუაშვილი ი., ქართული გვარსახელები, მასალები ქართული გვარების ისტორიისთვის, რედ. ა. ღლონტი, სრულიად საქართველოს მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი „გვარიშვილობა", საქართველოს ეროვნული აკადემია, მე-2 შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ.

ბაბუნაშვილი, ნოზაძე, 1994 – ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ., მამულიშვილთა სავანე, თბ.

ბაგრატიონი, 1941 – ბაგრატიონი ბაგრატ, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, თბ.

ბაგრატიონი, 1986 – ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ.

ბაგრატიონი, 1997 – ბაგრატიონი იოანე, შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა: მასალა ისტორიისათვის, რედაქტორი და გამომცემელი ზ. კაცელაშვილი, თბ.

ბედოშვილი, 1980 – ბედოშვილი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ.

ბერაძე 1980 – ბერაძე ე., ადრეანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქასრაანთ მიწების" სამაროვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, რედაქტორი გ. ცქიტიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს არქეოლოგიური კომისია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ.

ბერიძე, 1947 – ბერიძე ვ., წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა მე-16-18 საუკუნეებში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, თბ.

ბერიძე, 1977 – ბერიძე თ., „...და აღმოსცენდა თბილისი", თბ.

ბოჭორიძე, 1994 – ბოჭორიძე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ.

გვეტაძე, 1979 – გვეტაძე ჯ., საყარაულო სერის ნამოსახლარი, „ძეგლის მეგობარი", N49, თბ.

გვეტაძე, 1980 – გვეტაძე ჯ., გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხები საყარაულო სერიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, რედაქტორი გ. ცქიტიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. საქართველოს არქეოლოგიური კომისია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ.

გვეტაძე, 1985 – გვეტაძე ჯ., ლოდების მინის განძი, „ძეგლის მეგობარი", N69, თბ.

გიულდენშტედტი, 1962 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ.

გორგიჯანიძე, 1925 – გორგიჯანიძე ფარსადან, საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საარქივო მოამბე", ტ. II, ტფ.

გრიშაშვილი, 1997 – გრიშაშვილი ი., ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა), გამოსაცემად მომაზადა რუსუდან კუსრაშვილმა, თბ.

დიალექტ. ლექს., 1981 – ქართული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბ.

დოკუმენტები, 1940 – დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.

თოფჩიშვილი, 1997 – თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ.

თოფჩიშვილი, 2011 – თოფჩიშვილი რ., საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბ.

იოსელიანი, 1848 – Иосселиани П., Описание Кватахевского монастыря, Жизнь великого Моурава Георгиа Саакадзе, ТБ.

იოსელიანი, 1973 – იოსელიანი პ., დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბილისი, 1948, თარგმანი რუსულიდან გიორგი თარხნიშვილისა, გამომცემლობა „მერანი".

კაკაბაძე, 1929 – კაკაბაძე ს., გიორგი სააკაძის ვინაობის შესახებ, საისტორიო კრებული, წიგნი მე-4, თბ.

კახელიშვილი, 1990 – კახელიშვილი თ., შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები ციხიაგორაზე (პრეპრინტი), თბ.

კვაჭაძე, 1999 – კვაჭაძე მ., შუაბრინჯაოდან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხები სოფ. კავთისხევიდან, „ძიებანი", N4, თბ.

ლექს. ქართ. – ლექსიკონი ქართული, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=11330.

მაისურაძე, 1990 – მაისურაძე ი., ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ.

მაკალათია, 1960 – მაკალათია ს., კავთურას ხეობა, თბ.

მაღრაძე, 1990 – მაღრაძე ვ., ფლორის აღმნიშვნელი ფუძეები კასპის რაიონის ტოპონიმიაში, იკე, XXIX, თბ.

მაღრაძე, 2006 – მაღრაძე ვ., ქართველური ტოპონიმებისა და გვარების ნარმოება და ურთიერთმიმართება, თბ.

მახარაძე, 1999 – მახარაძე ზ., ახალი აღმოჩენები ციხიაგორაზე, „ძიებანი", N4, თბ.

ნაკაიძე, 1980 – ნაკაიძე ნ., ძველი ნელთაღრიცხვის IV-III საუკუნეების ქვევრსამარხები „დაჭრილების" სამაროვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, რედაქტორი გ. ცქიტიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს არქეოლოგიური კომისია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ.

ორბელიანი, 1981 – ორბელიანი პაპუნა, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.

პავლიაშვილი, 2005 – პავლიაშვილი დ., თეძამ-კავთურას ხეობა (ნაწილი IV), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ.

პალ, 1991 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს-ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ.

პალ, 1993 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს-ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, II, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ.

პალ, 2004 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს-ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, III, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა და გ. ოთხმეზურმა. ტომი შეადგინეს დარეჯან კლდიაშვილმა და შზია სურგულაძემ, თბ.

პალ, 2007 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს-ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, IV, გამოსაცემად მოამზადეს გ. ოთხმეზურმა, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, დ. ჟღენტმა, ა. ბაქრაძემ, თ. ენუქიძემ და დ. კლდიაშვილმა. ტომი შეადგინეს მზია სურგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა, თბ.

ჟორდანია, 1897 – ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნ. 2, ტფ.

რუსულ-ქართული ლექს., 1983 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი. რედაქტორები: რ. გაგუა, ნ. ვაჩნაძე, ლ. კაიშაური და სხვ., თბ.

სანიკიძე, 1997 – სანიკიძე ლ., მუჭა-მუჭად გატანილი საქართველო, თბ. http://www.bu.org.ge/x2235?lang=geo.

საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1930 – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფა, სს ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამოცემა, ტფ.

საქ. ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1966 – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისთვის, გამოცემა მესამე, თბ.

საქ. მოს. აღწ., 2002 – საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.

სილაგაძე, თოთაძე 1997 – სილაგაძე ა., თოთაძე ა., გვარსახელები საქართველოში, თბ.

სმ, 2009 – მიხეილ ლაშქარაშვილი, შეფიცულთაგან ერთ-ერთი და სამშობლოსათვის თავგადადებული, „საარქივო მოამბე" N4, თბ.

სოსელია, 1973 – სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ.

სოსელია, 1981 – სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), II, თბ.

სს, I – საქართველოს სიძველენი, ტ. I, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1899.

სს, III – საქართველოს სიძველენი, ტ. III, ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1910.

სძა, 1990 – საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ.

ტოპ. ლექს., 2013 – ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, შემდგენლები: გამყრელიძე გ., მინდორაშვილი დ., ბრაგვაძე ზ., კვაჭაძე მ., თბ.

ფიცხელაური, 1973 – ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ.

ქართ. წარწ. კორპ., 1980 – ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ.

ქეგლი, I – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950.

ქეგლი, III – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 1953.

ქეგლი, IV – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955.

ქეგლი, VIII – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964.

ქორიძე, 1954 – ქორიძე დ., გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლული), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVIII-B.

ქსე, 1977 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ.

ქსე, 1978 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ.

ქსე, 1979 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ.

ქსე, 1980 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ.

ქსე, 1983 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ.

ქსე, 1984 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ.

ქსე, 1885 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბ.

ქსე, 1986 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ.

ქსე, 1987 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ.

ქსძ, 1965 – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.

ქსძ, 1970 – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.

ქსძ, 1972 – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.

ქსძ, 1974 – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი V, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.

ქსძ, 1977 – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VI, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.

ქსძ, 1981 – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.

ქსძ, 1985 – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VIII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.

ქც, 2 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

ქც, 4 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხევდით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.

ყაზახიშვილი, 1980 – ყაზახიშვილი ლ., ანტიკური ხანის ორმოსამარხები და ქვაყუთები „საყარაულო სერის" სამაროვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, რედაქტორი გ. ცქიტიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს არქეოლოგიური კომისია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ.

შანიძე, 1964 – შანიძე ა., თეოფორული სახელები ქართველურ ენებში, „მაცნე" N2, თბ.

შანიძე, 1973 – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ.

შანიძე, 1981 – შანიძე ა., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ.

შატბერაშვილი 2009 ა – შატბერაშვილი გ., კავთისხევი და ქვათახევი, ვახტანგ VI, ქართული და ქართულად თარგმნილი ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკა, http://kavtisxevi.ucoz.com/news/kavtisxevid aqvaTaxevi/2009-12-22-9.

შატბერაშვილი, 2009 ბ – შატბერაშვილი გ., კავთა, ეპისტოლარული, ვახტანგ VI, ქართული და ქართულად თარგმნილი ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკა, http://kavtisxevi.ucoz.com/news/k'avta/2009-12-22-12.

შატბერაშვილი, 2009 გ – შატბერაშვილი გ., საფალავნო ქვა, ვახტანგ VI, ქართული და ქართულად თარგმნილი ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკა, http://kavtisxevi.ucoz.com/news/sapalavno–kva/2009-12-22-10.

შაყულაშვილი, 1975 – შაყულაშვილი გ., შევისწავლოთ მშობლიური მხარე, გაზეთი „განთიადი", საქართველოს კპ რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანი, ხუთშაბათი, 28 აგვისტო.

ჩიქობავა, 1974 – ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში, იკე, ტ. XIX, თბ.

ცაგურიშვილი, 2008 – ცაგურიშვილი თ., კავთურას ხეობა, http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/chemi-sofeli/2871-kavthuras-kheoba.html.

ცქიტიშვილი, 1977 – ცქიტიშვილი გ., კავთისხევის „ციხია-გორა", „ძეგლის მეგობარი", N46, თბ.

ცხადაია, 1985 – ცხადაია პ., მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, ენათმეცნიერული ანალიზი, თბ.

ცხადაია, 2005 – ცხადაია პ., ონომასტიკის შესავალი, თბ.

ძოწენიძე, 1974 – ძოწენიძე ქ., ზემოიმერული ლექსიკონი, თბ.

ჭიჭინაძე, 1906 – ჭიჭინაძე ზ. (შავშელი), ქართველი გრიგორიანელები (სომხის სარწმუნოების ქართველები), თბ.

ჭუმბურიძე, 1987 – ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, თბ.

ჭყონია, 1955 – ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ.

ჯავახიშვილი, 1974 – ჯავახიშვილი ი., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი II (XIII-XIX სს.), თბ.

ჯინჯიხაშვილი, 1980 – ჯინჯიხაშვილი გ., ძველი წელთაღრიცხვის I და ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეების ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, რედაქტორი გ. ცქიტიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს არქეოლოგიური კომისია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, თბ.

ჯორბენაძე, 1970 – ჯორბენაძე ბ., აკლდამა სოფ. კავთისხევში, „ძეგლის მეგობარი", N20, თბ.

ჯორბენაძე, 1988 – ჯორბენაძე ბ., კობახიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ.